ვიტალი ქენქაძე

# ქსნის ერისთავები



ვიტალი ქენქაძე

# ქსნის ერისთავების საქართველო

გამომცემლობა **არტანუჯი**

## წიგნი ეძღვნება მშობლების ნათელ ხსოვნას

ჩვენი სამშობლო, საქართველო, დიდი კულტურის მქონე ხეობათა ლამაზი, მოზაიკური ერთობლიობაა, რომელთა შორისაც ქსნის ხეობა თვალისმომჭრელად გამოსჭვივის. მისი ისტორიის დიდი ნაწილი ქსნის ერისთავების ისტორიაა.

წინამდებარე ნაშრომში, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის ფონზე, გაშუქებულია მთის ვიწროებში წარმოქმნილი ცხრაზმისხევის საერისთავოს (XVI საუკუნიდან ქსნის საერისთავო) ათასორასწლოვანი ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები, მათი შთამომავლთა ცხოვრების და შემოქმედების ამსახველი ქრონიკები.

როგორც ფართო საზოგადოებაში, ისე სამეცნიერო წრეებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გოროზი და ამაყი ფეოდალების – ქვენიფნეველ-ერისთავების ცხოვრების ამსახველი მოვლენები, მათი დიდი გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ და  კულტურულ სფეროზე, კერძოდ: თაობებს გადაცემული გენეტიკური გამჭრიახობა, გერგილიანობა, თავისუფლებისაკენ დაუოკებელი ლტოლვა, მეფეთა სიახლოვე, უზარმაზარი ქონება, და რაც მთავარია, მამულის დიდი სიყვარული და მტრისადმი განუზომელი ზიზღი. სწორედ ეს თვისებები განსაზღვრავდა შიდა ქართლში მათ ჰეგემონობას და სხვებისაგან განსხვავებით „ერისთავთ-ერისთავის“ ტიტულის ფლობას.


რედაქტორი ხელოვნებათმცოდნე, არქიტექტურის დოქტორი
**ნინო ერისთავი**

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**დავით ახლოური**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**მამუკა ცოტნიაშვილი**

წიგნი გამოიცა თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით

ISBN 978-9941-463-78-5


© ვიტალი ქენქაძე, 2016.
© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2016.

# წინათქმა

ერისთავის ინსტიტუტმა, რომელმაც საქართველოში ჯერ კიდევ ძვ. წ-ის III საუკუნეში ფარნაოზის მეფობისას მოიკიდა ფეხი, განვითარების გრძელი გზა განვლო.

XIII საუკუნეში თამარის გარდაცვალებით დასრულდა საქართველოს „ოქროს ხანა“. შემდგომ ამისა ხვარაზმელ-მონღოლთა თავდასხმებმა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში შექმნილმა ქაოსმა გამოიწვია ერთიანი და ძლიერი საქართველოს დასუსტება და დაშლა, რამაც, თავის მხრივ, ბიძგი მისცა ქვეყნის პერიფერიებში ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაწინაურებულ, ამბიციურ ხევისუფალთა და ხევისთავთა კიდევ უფრო გაძლიერებას. სწორედ ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებას „ზენა სოფელში“, როგორც მაშინ შიდა ქართლს უწოდებდნენ, მოჰყვა ჯერ კიდევ X საუკუნეში ქსნის ხეობაზე არსებული ცნობილი ცხრაზმის სახევისთავოს ბაზაზე ამავე სახელწოდების საერისთავოს წარმოშობა-დაწინაურება. „თამარის შემდეგ ქართლის ერისთავი სხვაა და ქსნის ერისთავი სხვა“, იტყობინება ძველი ისტორია. მოგვიანებით, საერისთავოს გაძლიერების საგარანტიო პირობა გახდა XIV საუკუნის შუა ხანებში ქართლის საერისთავოს გაქრობა.

წინამდებარე ნაშრომში გამოხატულია მხარდაჭერა ცხრაზმის ხევის ერისთავების საგვარეულო მატიანეში მოყვანილი იმ ისტორიული ფაქტებისადმი, რომლებიც ასახავს VI საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე II-ის მიერ ქსნის ხეობაში ანტიირანული საერისთავოს თავდაცვით-რელიგიურ და კულტურულ ცენტრად ლარგვისის გადაქცევას. ასევე სავსებით რეალურად გვეჩვენება ოსეთის სამეფოს უმცროს შტოს წარმომადგენელთა გადმოსვლა ქართლის მთიანეთში და იუსტინიანესაგან მათთვის ერისთავის ისიგნიების გადაცემა. აქვე, საგვარეულო მატიანესაგან განსხვავებით ვაფიქსირებთ, რომ ზემოხსენებულ ოს მეფეთა უმცროს შტოს – როსტომ ბიბილურის გენეალოგიურ ხაზს ერისთავის

სახელო უნდა დაეკარგა მონღოლთა ბატონობისას, არა უგვიანეს დემეტრე II თავდადებულის (1271-1289) მეფობის დასაწყისში.

XIII საუკუნის ბოლოს, ცხრაზმისხევის საერისთავოს იკავებს მდინარეების ლიახვ-ლეხურის აუზებს შორის მდებარე „გვერდისძირის“ ვირშადან მოსული ეკონომიკურად დაწინაურებული და ნაკლებ პრივილეგირებული გვარი, რომელიც ეუფლება ცხრაზმისხევის ერისთავის თანამდებობას და იწოდება ქვენიფნეველად. ამავდროულად, იჩემებს ოს მეფეთა პრივილეგირებულ ბიბილურთა გვარს. სწორედ ამ ახალი დინასტიის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია ვირშელ I, რომელიც 1280-1290-იან წლებში ერისთავობდა ცხრაზმის ხევზე.

ახალი დინასტიის წარმომადგენლებმა ერისთავის თანამდებობაზე ძალაუფლების გასამყარებლად და მეფური წარმოშობის მეტი დამაჯერებლობისათვის XIV-XV საუკუნებიის მიჯნაზე, ლარგვისის მონასტრის წინამძღვრის გრიგოლ ბანდაისძის ხელით შექმნეს საგვარეულო მატიანე „ძეგლი ერისთავთა“, რომლის მნიშვნელობა აკადემიკოს ს. ჯანაშიას შეფასებით სცილდება საქართველოს ფარგლებს.

ცხრაზმის საერისთავოს მესვეურები, როგორც თავისი პოლიტიკური მოქნილობით და სამხედრო ნიჭით, ისე საქართველოს მეფეებთან (დავით VIII-ის გარდა) მეგობრული ურთიერთობების წყალობით მნიშვნელოვნად აფართოებენ საერისთავოს ტერიტორიებს.

XVI საუკუნის შუა ხანებში ქართლის სახელმწიფოს დასუსტებით კიდევ უფრო ძლიერდებიან ცხრაზმისხევის მმართველი ქვენიფნეველები. შიდა ქართლის ველებზე გაჭრილთ ველარ აკმაყოფილებთ ქსნის ვიწროებში მომწყვდეული ქვენიფნევის რეზიდენცია და ორი მდინარის ხერთვისში მომწყვდეული ლარგვისი, რომელიც საუკუნეების მანძილზე ასრულებდა ძლიერი საერისთავოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური ცენტრის როლს. თანადროულად, იგი იყო საგვარეულო საძვალე ერისთავებისა და სამოღვაწეო ასპარეზი ქრისტიანული რელიგიის ისეთი წარმომადგენლებისა, როგორებიც იყვნენ პიპა ქვენიფნეველი, მოძღვართმოძღვარი იოვანე, ავგაროზ და გრიგოლ ბანდაისძენი, შალვა ქვენიფნეველი, გიორგი თაბაური, ჟურულები და სხვანი.

XVI საუკუნე ქვენიფნეველთა ისტორიაში დიდი ცვლილებების ხანაა, კერძოდ: იცვლიან საცხოვრებელ ადგილს და რეზიდენცია მთიდან ბარში – ქვენიფნევიდან ახალგორში გადააქვთ. ამავდროულად ტოვებენ ქვენიფნეველობას და გვარად იღებენ თანამდებობის განმსაზღვრელ ერისთავის ტიტულს, საერისთავოს კი კერძო სამფლობელოდ აცხადე-

ბენ. ასევე ცვლიან საერისთავოს სახელს და ცხრაზმისხევის ნაცვლად იწოდებიან ქსნის საერისთავოს ერისთავებად. ამასთანავე ხაზს უსვამენ ერისთავთერისთავის ტიტულს, რომელსაც მხოლოდ ქსნის ერისთავები ატარებდნენ. აღნიშნულ ცვლილებებთან ერთად ერისთავები ირჩევენ ახალ საგვარეულო საძვალეს, მამა-პაპეულ ვირშაში შემავალ ერთ დროს კოლონკეთის ტერიტორიაზე აგებულ თამარის ქალწულობის დროინდელ უბრწყინვალეს იკორთის ტაძარს.

XVII საუკუნიდან აღნიშნული ტაძარი, სადაც დაკრძალულნი არიან წმინდა მოწამენი შალვა, ელიზბარ ქსნის ერისთავები და ბიძინა ჩოლოყაშვილი, ხდება ერისთავების უმთავრესი წმინდა ადგილი. ამასთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობენ ლარგვისის წმ. თეოდორეს სახ. მონასტერს, რომელიც 1759 წელს ააგო დავით ქსნის ერისთავმა.

ქსნის საერისთავოს ამ ორ მნიშვნელოვან სამონასტრო ცენტრს ბრწყინვალების სხივი პირველად 1777 წელს მოაკლდა, როდესაც გიორგი ყულარაღასის ურჩობის გამო ერეკლე II-მ გააუქმა ქსნის საერისთავო. დიდი უპატივობა კი მაშინ დაედოთ აღნიშნულ სავანეებს, როდესაც გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და 1811 წლიდან საქართველოში შემოღებულ იქნა ეგზარქოსის თანამდებობა.

ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ ერისთავების მრავალრიცხოვანი ოჯახები საკუთარი სამფლობელოების მოსაპოვებლად იყოფიან და თავისად მიჩნეულ მამულებში დიდებულ სასახლეებს იშენებენ. მათი დიდი ნაწილი შედის რუსეთის არმიის სამსახურში, სადაც უმრავლესობა ბრძოლებში მამაცობისა და იმპერატორის ერთგულებისთვის გენერლის მაღალ წოდებას იღებს. მათ შორისაა 1832 წლის შეთქმულების ხელმძღვანელობისთვის სიკვდილმისჯილი (შაყის კვრით – ოთხად კვეთა) ელიზბარ შანშეს ძე ერისთავი. ნაშრომში აღნიშნულია ასევე ელიზბარ ერისთავის საზოგადოებრივი და სამეწარმეო საქმიანობა, კერძოდ, საქართველოში პირველი მაღალხარისხოვანი მინის წარმოება.

დიდი ადგილი ეთმობა აგრეთვე შიდა ქართლის მთელ რიგ ადგილებში მცხოვრებ ერისთავების წარმომადგენლებს, მათ საქმიანობას, მეურნეობას, სახლ-კარს და გენეალოგიას. განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ქართული საზოგადოებისათვის ცნობილ პიროვნებებს, საერო და სასულიერო მოღვაწეებს: გიორგი დავითის ძე და დავით გიორგის ძე ერისთავებს, გიორგი იესეს ძეს, ივანე ელიზბარის ძეს თავისი ორი ქალიშვილით – მარიამითა და ეკატერინეთი, ზაქარია გიორგის ძეს და რევაზ შალვას ძეს, რომლის ერთი თარგმანის გამოც დაიწყო

იდეური ბრძოლა „მამებსა და შვილებს“ შორის. ასევე გამახვილებულია ყურადღება საქართველოს პირველ ეგზარქოსზე – ვარლაამზე, მწერალ ანასტასია ერისთავ-ხოშტარიაზე. მათ გვერდით აღსანიშნავია ცნობილი პიროვნებები: მანანა ერისთავ-ორბელიანი, პარიზში მცხოვრები გენერალი გიორგი – მერი შერვაშიძის მეუღლე, კოკო შანელის მოდელი რიმა ერისთავი. ასევე საინტერესო მასალაა მოცემული ქსნის ერისთავთა განაყარ რატიშვილებზე, კერძოდ, გაბრიელ რატიშვილზე, რომელიც ილია ჭავჭავაძისაგან საინტერესო მწერლადაა აღიარებული.

ქსნის ერისთავებს დიდი დამსახურება მიუძღვით XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში კულტურული, განათლებული საზოგადოების ფორმირებაში. სამწუხაროდ, ერისთავების აღნიშნული ძალისხმევა ქვეყნის სასიკეთოდ დიდხანს არ გაგრძელებულა. მომავალი ახალი დრო და საბჭოთა ხელისუფლება ერის რჩეულ არისტოკრატ ინტელიგენციას გენოციდსა და ემიგრაციაში ლტოლვილის სტატუსს უმზადებდა.

## ქსნის ერისთავების საპატიო წოდება – ტიტული

*„... ჯერცა ამა ხელმწიფეთაგან მოყვასად ხსენებულმან, საქართველოს წარჩინებულმან თავადმან, ქვეყნისა მპყრობელის ვიდრე შავზღვამდი მჭირავის, დიდისა კეისრის იუსტინიანეს მეფისაგან დიდად გულმოდგინებით სიმაღლედ აღწევნილმან და გამდიდრებულ-გაძლიერებულმან, ვიდრე აქამამდე შემდგომთა ხელმწიფეთაგან პატივ-საფარველ მოუკლებარმა, მისვე ძლიერისა იუსტინიანე მეფისაგან ერისთავთ-ერისთავად ხმობილმან, მყოფმან და ყოფილმან არა წერილისა მისა მსგავსად ქვიშასა ზედან შენებულმან, არამედ კლდესა ზედან დამყარებულის სახლისა და სალაროს მქონებელმან სახელისა და სიკეთის მძებნელმან, საქართველოს მეფეთა სიქადულმან და უნაკლულომ სამღრთო-სამხედრო ქცევითა, ქსნის ერისთავთ-ერისთავმან ბატონმან...“*[1]

---

[1] ელენეს მზითვის წიგნიდან 1713 წ. თაყაიშვილი ე., „საქართველოს სიძველენი“, ტ. III, 1910 წ. გვ. 492.

# შესავალი

დღეს ქსნის ხეობა კავკასიონის სამხრეთ კალთებიდან იმ მოწყვეტილ ოქროს ღილთაგანია, რომელიც ოდითგანვე ამშვენებდა შიდა ქართლის ჩრდილოეთით მონაპირე მთიელთა მხარეს. ლომისის წმ. გიორგისთან ერთად *„ალისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი, ალისფერ ცხენზე ამხედრებული“*[1] იბრძოდა საუკუნეების მანძილზე სარწმუნოებისა და ქვეყნის გადასარჩენად.

ქსნის ხეობა განუყოფელია იმ ქართული მიწისა, რომლის პერიმეტრები ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არეგაწამდე იყო გადაჭიმული, ან როგორც ჩვენი დიდი მეისტორიე და მკვლევარი ვახუშტი იტყოდა, არის ქვეყანა, რომლის *„სიგრძე 80* ეჯი[2]*, ხოლო განი სპერის*[3] *ზღვისაკენ 60 ეჯი, შუა ადგილი 32 ეჯი, ხოლო ბოლო კერძი 35 ეჯი და მდებარეობს კასპიისა და პონტოს ზღვას შორის. გარნა არს ქვეყანა შვენიერი და ნაყოფიერი ყოვლითა, ღვთისა მიერ და არა ხელოვნებითა კაცთა“.*[4]

საქართველო ოდითგანვე ყურადღებას იპყრობდა თავისი მდებარეობით და ბუნების მრავალფეროვნებით, რაზეც არაერთ მოგზაურსა და მკვლევარს დაუტოვებია საინტერესო ჩანაწერები. ქვეყნის მდიდარ ბუნებას განაპირობებდა დასავლეთ საქართველოში ზღვის ნოტიო ჰავა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – მშრალი კონტინენტური, სადაც

---

1 ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში არსებობს ლეგენდა ლომისის წმინდა გიორგიზე, სადაც გადმოცემის თანახმად, ქართველებს მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლაში გასაჭირის ჟამს ეხმარებოდა ალისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი, ალისფერ ცხენზე ამხედრებული ლომისის წმ. გიორგი. **ლიტ. ქენქაძე ვ., „ლომისის მთავარმოწამე წმ. გიორგი“, თბ., 2008, გვ. 18.**

2 ეჯი – მანძილის ძველი საზომი ერთეული, სამი მილი ერთი ეჯი არს., ამბობს საბა. რაკი ერთი ეჯი სამი მილი ყოფილა, მაშ ეჯში 3 000 ბიჯი უნდა ყოფილიყო ანუ 4 კმ და 440 მეტრის სიგრძისა იქნებოდა, ამბობს ივ. ჯავახიშვილი.

3 შავი ზღვა.

4 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოისა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 40.

შიდა ქართლის ვაკის აღმოსავლეთ საზღვარს მდ. არაგვი, ხოლო დასავლეთისას ლიხის ანუ სურამის ქედი წარმოადგენს. სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან მის მსაზღვრელებად თრიალეთისა და ცენტრალური კავკასიონის მაღალი მთებია. ამ მოცემულ სივრცეს ძველად ზენა სოფელი ეწოდებოდა.

ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის (XI ს.) მიხედვით, შიდა ქართლის ტერიტორიად ითვლებოდა *„ტფილისიდან და არაგვითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფარვარადმდე“.*[1]

სომხური გეოგრაფიის მიხედვით, ზენა სოფელი ანუ შიდა ქართლი აერთიანებდა: აჩაბეთის, საცხუნეთის, გვერდისძირის, ცხრაზმის, ქსნისხევის, ბაზალეთის, ტანისხევის და დვანის სათემო – სახევისთავო ტერიტორიებს.

შიდა ქართლის მტკვრის სამხრეთით მდებარე ნაწილს გაღმამხარი ეწოდებოდა. ეს უკანასკნელი, ისტორიული წყაროების მიხედვით, ზოგჯერ არ შედიოდა შიდა ქართლში, მაშინ როდესაც მტკვრის მარცხენა მხარის ყველაზე ჩრდილოეთით, დიდი და პატარა ლიახვისა და ქსნის სათავეები ყოველთვის შიდა ქართლში იგულისხმებოდა.

შიდა ქართლის *„გაღმა მხარეში“* მდინარეები: თეძამი, ძამა, ტანა პატარა ზეგანთა დაბოლოებებით ქმნიდნენ მცირე ვაკეებს, ხოლო მათ ჩრდილოეთით მტკვარი ქარელისა და ხაშურის რაიონებთან – დოღლაურას მინდორს, გორის რაიონში – ტირიფონის და ჩრდილო-აღმოსავლეთით ქსნის ქვემო დინებასთან ვიდრე არაგვამდე მუხრანის ვრცელ ველებს.[2]

ორგანიზებული შრომის საფუძველზე შიდა ქართლის როგორც ზამთრის (მუხრანის ველი, წლევის მთა, ფიცარა და კვერნაქები), ისე ქსნისა და პატარა ლიახვის აუზის საზაფხულო საძოვრები (ჟამურ-ყელისტბის, შვილავერის, ქნოღოს, სანგლის) სუბალპურ და ალპურ ზონაში ქმნიდნენ მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ინტენსიური განვითარების შესაძლებლობებს.

შიდა ქართლის ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა და გეოგრაფიულმა მდებარეობამ განსაზღვრა ის ეკონომიკურ-პოლიტიკური როლი, რომელმაც ასახვა ჰპოვა ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში, კერძოდ, ძვ. წ. IV-III სს. მიჯნაზე ფარნავაზის მეთაურობით შექმნილ იბე-

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I. თბ., 1955, გვ. 24.

[2] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1990, გვ. 12.

რიის ერთიანი სამეფოს დედაქალაქად მცხეთის გადაქცევაში. რაოდენ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მცხეთაში ტახტზე მეფედ ზის ქართული ეროვნული ტრადიციის მიხედვით ფარნავაზი *„მამულად ქართლელი.... ძმისწული სამარისი, რომელი მოსვლასა მას ალექსანდრესსა მცხეთელ მამასახლისი ყოფილიყო“.*[1]

ეჭვგარეშეა, რომ აღმ. საქართველოს სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ცენტრად მცხეთის გამოცხადება განპირობებული იყო უპირველესად მუხრანის სამეურნეო რაიონით, როგორც ჯ. გვასალია აღნიშნავს: *„წინაკლასობრივ და კლასობრივ ხანაში ქსნის ხეობის კულტურულ-ეკონომიკური დაწინაურების მიზეზი მდინარე ქსნისა და მის შენაკად ხევთა საირიგაციო თვისებებში უნდა ვეძიოთ“.*[2]

მცხეთის გადედაქალაქებას ხელი შეუწყო აგრეთვე მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. აქ თავს იყრიდა მნიშვნელოვანი მაგისტრალური გზები. ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ავტორთა ცნობებით და არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული მასალებით დასტურდება, რომ ანტიკურ ხანაში ინდოეთისა და დასავლეთ ევროპის დამაკავშირებელი სავაჭრო-სატრანზიტო გზა გადიოდა შიდა ქართლზე. ეს გზა მტკვრის ორივე სანაპიროს მიუყვებოდა. უპირატესობა ეძლეოდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე გამავალ გზას. იგი გაივლიდა მცხეთას, მუხრანს, სამთავისს, გორს, ურბნისს, რუისს. მცხეთაზე გადიოდა კიდევ ერთი საერთაშორისო სავაჭრო გზა, რომელიც მცირე აზიიდან მოემართებოდა და არაგვის ხეობით ჩრდილოეთ კავკასიაში გადადიოდა.[3]

ცნობილი მკვლევარი ი. გაგოშიძე ეხება ქსნის ხეობის გავლენის შესაძლებლობებს მცხეთის დაწინაურებასა და ნომერ პირველ ქალაქად გადაქცევაში და აღნიშნავს, რომ – *„ქსნის საერისთაო ადრეანტიკურ ხანაში უნდა ყოფილიყო ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ფორპოსტთაგანი შიდა ქართლში. ამ ხევის მჭიდრო კავშირ-ურთიერთობას ძვ. წ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე აღმოცენებული ქართლის სამეფოს ცენტრთან, კარგად გვიჩვენებს ტოპონიმიკური შეხვედრები ქსნის ხეობისა და მცხეთის მიდამოებს შორის“.*[4] და დასძენს, რომ ამ დამთხვევაში შესაძლებელია მოსახლეობის გარკვეული მასების გადაადგილებაც დავინახოთ ქსნის ხეობაში.

---

1 აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963.

2 გვასალია ჯ., ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, თბ., 1967.

3 იხ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, გვ. 12.

4 გაგოშიძე ი., ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 85.

მეცნიერის ამ მოსაზრებას ამაგრებს ქსნის ხეობაში რეალურად გავრცელებული ის ტოპონიმები, რომელთა ეტიმოლოგიის შესწავლის შემდეგ ისპობა ყოველგვარი ეჭვი მათ არამცხეთურ წარმომავლობაზე. მაგალითად: ქსნის ხევის ბაგინი, არმაზი, მთაწმინდა, ძეგლევი და კაბენი. მცხეთური: ბაგინეთი, არმაზციხე, არმაზისხევი, ძეგვი, თბილისის მთაწმინდა და კოჯრის კაბენი.[1]

ქსნის ხეობაზე ოდითგანვე არსებობდა სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებისთვის ხელშემწყობი პირობები, რამაც ჯერ კიდევ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში გამოიწვია საქართველოს მთისძირა რაიონების დაწინაურება,[2] რისი დამადასტურებელიცაა აღნიშნულ ზოლში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა. კერძოდ, ახალგორის ტერიტორიაზე ნაპოვნი ადრეანტიკური ხანის ბრინჯაოს ორი მასიური ქანდაკება და ასევე „ახალგორის განძის“ შტანდარტზე გამოსახული თხის ორი თავი შუაში ხელაპყრობილი ფიგურით. რამდენადაც ეს ფიგურა წყვილი ცხოველის გამოსახულებას შორის დგას სავსებით დასაშვებია, რომ იგი უშუალოდ წვრილფეხა მესაქონლეობის დაწინაურებას კი არა, უფრო ნაყოფიერების ღვთაებას ნიშნავდეს, რადგან საყოველთაოდაა ცნობილი სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის გამოსახვა წყვილი ცხოველის თანხლებით. აგრეთვე ყანჩაეთის ადრეანტიკური ხანის სამარხში ნაპოვნი ბრინჯაოს ცხვრის ქანდაკება (23X19 მმ.), ბრინჯაოს სამი ლაგამი, ასევე ცხენის შესამკობელი ვერცხლის ფირფიტების სამი კომპლექსი[3] – ანალოგიურად ახალგორის განძისა, სადაც აღმოჩენილია სასაფეთქლეები – წყვილი ცხენის გამოსახულებით და სხვა ისეთი ინვენტარი, რაც უკავშირდება სამეურნეო ზოლის განვითარებას.[4]

მკვლევართაგან გამოთქმულ აზრს, რომ ანტიკურ ხანაში მუხრანისა და ნასტაკისის ველი საირიგაციოდ ძირითადად ათვისებულია, ავითარებს აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი. მის მიერ დამოწმებული ხალხური გადმოცემის მიხედვით, ნასტაკისის რუს კვალი სოფ. ქანდადან იწყე-

---

[1] ასევე მცხეთის ჯვრის გავლენით ქსნის ხეობის საკულტო ტოპონიმიკაში ჩნდება: ვაკიჯვარი, ჯვართანგელოზი, ჯვართამაღლება, ჯვართპატიოსანი და სხვა სახელები.

[2] კიკვიძე ი., მორწყვა ძველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 51.

[3] გაგოშიძე ი., ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან.

[4] მთისძირა ზოლის სამეურნეო განვითარებას მოწმობს მთლიანად სამარხეული განძი თავისი სიმდიდრით, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ცხენის გამოსახულებები უფრო ასახავდეს მზის კულტს, ვიდრე სამეურნეო ან სამხედრო დანიშნულების ცხოველს.

ბოდა. რუს არსებობის ნაკვალევი დღესაც იკვეთება ტოპონიმიკაში. მინდორს, სადაც უნდა გაევლო, არხს მოსახლეობა **„ნაზვარევს“** ეძახის, ხოლო სხალტბის ქედის ფერდს, რომელსაც ვერ მისწვდებოდა რუს წყალი – **„ურწყავებს“.** გადმოცემით მუხრანის ველზე ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელს გამოუყვანია ქსნიდან სარწყავი რუ.

*„ამის ჩრდილოთ ქსორისი. მუნ არს აღებული რუ. და რწყავს ორთა ამათ მთათა შორისთა მინდორთა სარკინეთისა და ციხებოდავის მთათა შორისთა მინდორთა, და ნაყოფიერებს მით ფრიად. მას ზეით ოძისი და, დასავლეთ კსნისა, ირტოთეზ – ოკმის მინდორი და ჩანგილარ-ბეგთათავისა; ირწყვის კსნის რუთივე და ნაყოფიერებს“.*[1]

ვახუშტისავე თქმით ერთ-ერთი უძველესი სარწყავი რუ, რომელიც მდ. არაგვიდან მუხრანის ველზე იქნა გამოყვანილი, ისე წილკნელს უკავშირდება: *„ტყვილიანიდამ ისო წილკნელმა, ი-გ (13) მამათაგანმან, წამოიღო ყავარჯნის თრევით რუ, რომელსა მოსდევდა უმუშაკოდ წყალი“.*[2]

მუხრანის ველზე საირიგაციო სისტემის გამართვას უნდა გამოეწვია მუხრანის ჩრდილოეთით 5 კილომეტრში ქალაქ ძალისის გაძლიერება, რომელიც მეღვინეობის განვითარებით პირველ ადგილზე იდგა, რასაც ადასტურებს როგორც მისი არქეოლოგიური მონაპოვარი, ისე ძვ. წ. აღით II საუკუნეში მოღვაწე ბერძენი გეოგრაფი პტოლემაიოსი, რომ ამ ადგილებში უძველეს დროიდან უარსებია პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაწინაურებულ ქალაქს. გარკვეული დროის შემდეგ მცხეთის დაწინაურებამ დღის წესრიგში დააყენა მუხრანის ველის მთლიანად ათვისება. მდინარე ქსნის რესურსის სრული გამოყენებით საძოვარ-სანადიროდ ქცეული ველების უფრო ნაყოფიერ სავარგულებად გადაქცევის მიზანს ემსახურებოდა როგორც მდინარე ქსანზე დიდი საირიგაციო ნაგებობები (დიდი რუ რუსხმულით, ნასტაკისის რუ, საგლახაო რუ, თელოვანის რუ), ასევე ტირიფონისა და ურბნისის სარწყავი სისტემები და მეჯუდის რუ, რომელზეც ვახუშტი შემდეგ ინფორაციას გვაწვდის: *„დასავლეთისაკენ მეჯვდამდე და ვიდრე დიდ ლიახვამდე, და კუერნაქის მთის შორისი მინდორი დიდი და უტყეო. გარნა დაბნებთა არს წალკოტნი, ნიგვზნარნი და ვენახნი მრავალნი, და ირწყვის მინდორი ესე მეჯვდის აღმოსავლეთისა მეჯვდის რუთი“.*[3]

---

1 ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 352.

2 იქვე, გვ. 351.

3 იქვე, გვ. 366.

აღნიშნული საირიგაციო ნაგებობების დასრულების შემდეგ დიდი ძვრები უნდა მომხდარიყო საქართველოში. შიდა ქართლის სარწყავი ველები საქართველოს ბეღელად იქცა. გვიანი ფეოდალიზმის ხანაშიც კი, როდესაც ქართლი და მთელი აღმ. საქართველო ლეკთა თარეშით იყო გავერანებული, ვახუშტი მიმზიდველი ფერებით გვისურათებს მუხრანის ველს: *„... ესე მუხრანი ფრიად შემკული არს ზამთარს სით-ბოთი, და მეფეთს სადგური, ბალახ-ჩალიან-ლერწმოვანი, ზაფხულს მშუენი, კეთილ-აგარაკოვანი, ცივნი წყარონი, ჰავით მშუენი. მოსავალნი მტილთა, წალკოტთა, ვენახთა, თესლ-მარცვალთა მრავლად ნაყოფი-ერებს. პირუტყვნი, აქლემს გარდა, ყოველნი მრავალნი. რამეთუ ზამთარ ბალახთა მძოვარნი არიან. ფრინველნი გარეულნი და შინაურნი მრავალ-ნი, სანადირონი მოუკლებელნი“.*[1]

ი. კიკვიძის აზრით *„დიდი არხების გატანა ჩვენში კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებას ემთხვევა და ძველი იბერიის მონათმ-ფლობელური სახელმწიფოს პროდუქტი და მისი ძლიერების მოწმობაა“.*[2]

სავარაუდოა, რომ მდ. ქსნიდან გამომდინარე, მის ქვემოწელზე (ოძი-სიდან ქვემოთ) მოხდებოდა მცხეთის მმართველისა და ქსნისხეველ ხე-ლისუფალთა ინტერესების შეჯახება. საკითხავია, თუ მცხეთის (ბარის) დაწინაურება გამოწვეული იყო იმით, რომ შიდა ქართლის ვრცელი ველე-ბი ირიგაციის შედეგად გადაიქცა პურის ბეღლად, რის ხელის შემწყობა-დაც სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალების არსებობაც სახელდება, მა-შინ რამ გამოიწვია მთის ზოლში ცალ-ცალკე ხევებისა და ხევისუფალთა ეკონომიკური და სოციალური დაწინაურება, ამბიციურობა და პრეტენ-ზიები შიდა ქართლის ბარში პოზიციების გამაგრებისა.

ძვ. წ. V საუკუნეში ქვეყნის მიწათმოქმედების ცენტრი ისევ მთისძი-რა ზოლია, ხოლო მთა – მესაქონლეობის მტკიცე ბაზა. ათასწლეულების იქით ჩვენი მთა და გარდამავალი ზოლი ბარისკენ ისე დაღარული და ჩამორეცხილი არ იყო, როგორც ამას დღეს ვხედავთ. ალპური მთის ნო-ყიერი ბალახი საქონლის გამრავლების საუკეთესო საშუალებას იძლეო-და, რაზეც ნ. ბერძენიშვილიც მიუთითებდა: *„ამ ხევის (ქსნის ხევის – ვ. ქ.), ისევე როგორც არაგვ-ივრის ხევის სიძლიერე მესაქონლეობა უნდა ყოფილიყო. დასახლებულიც ის მჭიდროდ უნდა ყოფილიყო. ამას ჯერ*

---

1 ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 352-53.

2 კიკვიძე ი., მორწყვა ძველ საქართველოში, გვ. 85.

*ისევ სტრაბონი მოწმობს. მისივე ცნობით იბერიელთა უმრავლესობა მთაში ცხოვრობდა“.*[1]

მესაქონლეობის განვითარებულ კერაზე მიგვანიშნებს ქსნის ხეობაში არსებული სოფელი ქურთა (ისტ. პირველად იხსენიება 1470 წ.)[2] და მისი ეტიმოლოგია. მთისა და მთისძირა ზოლში ცხვარ-ძროხა სახნავი მიწების გასაპოხიერებლად საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა. სასუქდადებულ მიწას კარგი მოსავალი მოჰყავდა. სასუქის გარდა ფუნა – **„ქურთი“** საწვავად და სამშენებლო მასალადაც გამოიყენებოდა.

ქართლის დაბლობებზე სარწყავი მიწათმოქმედების მაღალ დონეზე აყვანა მესაქონლეობის განვითარებას დიდად აფერხებდა. აქცენტი მხოლოდ გამწევ, მუშა საქონელზე გადაჰქონდათ, ხოლო ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე მოთხოვნილებას მთიელებთან ბარტერული – გაცვლითი ვაჭრობით იკმაყოფილებდა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში და კერძოდ მთისძირა ზოლში მესაქონლეობის დაწინაურება ერთ-ერთი მიზეზია სახევისთავოების გაჩენა-დაწინაურებისა, ხევისთავებისა და ხევის – უფალთა, ერისა და ერისთავთა გაჩენისა. ამ სოციალური წარმონაქმნის დამადასტურებელია ქსნის შუა წელზე, საძეგურსა და ყანჩაეთში ნაპოვნი მდიდრული სამარხები. მოგვიანებით ცხაზმისხევის ხელისუფალთა რამინ და გიორგის გამოჩენა, ალეურას ხეობაზე გოდერძი მგდეურის დაწინაურება, ასევე დაჩი კორინთელის, ყანჩაველების, ფხვენელიძეებისა და სხვა აზნაურთა აღზევება.

რაც შეეხება ყანჩაეთსა და საძეგურში აღმოჩენილ *„ახალგორის“* სახელით ცნობილ სამარხეულ განძს, ნათლად ვლინდება, რომ საზოგადოების რიგითი წევრების კუთვნილება არ უნდა ყოფილიყო. – *„მათი მფლობელნი არა მხოლოდ ქონებრივად განსხვავებული პირებია, არამედ სოციალურადაც დაწინაურებულნი. ეს პირნი, ცხადია არა ტომის ბელადები ან თუნდაც გვაროვნული არისტოკრატიის წარმომადგენელნი, არამედ უკვე ხელისუფალნი, ხევისთავები, ერისთავები, რომელთაც უზურპირებული აქვთ საერო და ალბათ სასულიერო ხელისუფლებაც, რასაც გვაფიქრებინებს სამარხში დროშის ჩატანება“.*[3]

---

[1] ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 423.

[2] ქართული მწერლობა, ტ. V, გვ. 129, „შეწირულობის წიგნი შალვა ქვენიფნეველ ერისთავისა ლარგვისისადმი“.

[3] გაგოშიძე ი., ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, გვ. 79.

საძეგურისა და ყანჩაეთის ინვენტარიდან ნათლად იკვეთება საგანთა ერთი ჯგუფი – დროშა, შტანდარტი, რომელიც ხელისუფლის და ხევისბერის ინსიგნიაა.[1] მიუხედავად იმისა, რომ სამარხეული განძის ზოგიერთ საგანს ემჩნევა აქამენიდური ირანის გავლენა, მთელი რიგი მეცნიერები (ი. სმირნოვი, შ. ამირანაშვილი, ბ. კუფტინი, გ. გობეჯიშვილი და სხვები) ამტკიცებენ, რომ ინვენტარის ძირითადი ნაწილი ადგილობრივ საოქრომჭედლოშია გაკეთებული და მფლობელიც ადგილობრივი მცხოვრებია.

აღმოსავლეთ საქართველოში ფარნაოზამდე, დეცენტრალიზებულ სახელმწიფოში ცალკეულ ხეობებზე ეკონომიკურად დაწინაურებულ პირებს, რომელთაც ქონებრივი უპირატესობა სავარაუდოდ ბრძოლებითა და ფიზიკურ-გონებრივი ძალისხმევით მოიპოვეს, ბუნებრივია, გაუჩნდებოდათ ამბიცია სოციალურად მაღალ საფეხურზე ასვლისა, ამასთან მონდომებდნენ მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდებას, რაც მყარი გარანტია იქნებოდა შემდგომში წარმატებული ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობისა. სწორედ ამ ხაზით გამოკვეთილ პიროვნებასთან მივყავართ საძეგურისა და ყანჩაეთის სამარხებს. ამის შემდეგ, ბუნებრივია, დაისვას საკითხი ქსნის ხეობაში პოლიტიკური, ეკონომიკური და სტრატეგიული ცენტრის შესახებ.

ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით, ანტიკურ და უფრო მოგვიანო ახალი ერას დასაწყისში ქსნის ხეობაში არსებობდა არაერთი, არამედ რამდენიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრი.

ერთობ საინტერესოა, როდიდან იწყებს არსებობას საქართველოში ერისთავის ინსტიტუტი ან საიდან წარმოსდგება ესოდენ ზევრისმთქმელი და პატივსაცემი სიტყვა.

**„ერი“** – უძველესი ქართული ტერმინია, რომელიც ერთდროულად ხალხს, ჯარს, ლაშქარს და, სტრაბონის ცნობით, *„თავისუფალ მიწისმოქმედს და მეომარს“* აღნიშნავდა. ორი ძირძველი ფუძე – „ერი“ და „თავი“ საოცრად შეერწყა მოგვიანებით გვარადქცეულ თანამდებობის ტიტულს. *„ძველი იბერიის თავისუფალი მიწისმოქმედი მშრომელიც იყო და მეომარიც. ამ ფენიდან შეიქმნა და დაწინაურდა მეომართა ერთობა, მათგან გამოვიდნენ აზნაურ-წარჩინებულთა, ერისთავთა (პიტიახშთა) წინაპრები, ერისა და ჯარის თავები, განმგებლები“.*[2]

---

[1] ახალგორში, ქსნის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალში დაცულია ქსნის საერისთავოში შემავალი ქარჩოხის ხევისთავის სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი ბრინჯაოს ინსიგნია-შტანდარტი, რომელიც იხმარებოდა ძვ. წ. აღ. IV საუკუნიდან.

[2] საქართველოს თავადაზნაურობა, I, თბ., 2010, გვ. 303.

ერისთავების წარმოშობაზე დ. გვრიტიშვილი აღნიშნავს: *„საერთოდ მიუთითებენ, რომ ერისთავები ძველთაძველი ინსტიტუტია საქართველოში. უკანასკნელი არქეოლოგიური აღმოჩენები, რომლებმაც საქართველოში პიტიახშების არსებობა დაადასტურეს, გვაფიქრებინებს, რომ ერისთავის ინსტიტუტი წინაქრისტიანული ხანისა უნდა იყოს, რადგან პიტიახში ერისთავის შესატყვისი მცნების გამომხატველია. საერთოდ არ არის გამორიცხული, რომ ერისთავის ინსტიტუტი საქართველოში სახელმწიფოს გაჩენასთან ერთად გაჩენილიყო“.*[1]

ლეონტი მროველის მიხედვით მეფე ფარნავაზმა სახელმწიფოში განაწესა რვა ერისთავი და ერთი სპასპეტი. ერისთავები დანიშნა: არგვეთს, კახეთს, ზენანს, სამშვილდეს, წუნდას, ოძრხეს, კლარჯეთს და ეგრისს, *„ხოლო ერთი დაადგინა სპასპეტად და მისცა ტფილისიდგან და არაგვითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფარვარადმდე, რომელ – არს შიდა ქართლი. და ეს სპასპეტი იყო შემდგომადვე წინაშე მეფისა, მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა“.*[2]

სავარაუდოა, რომ იმ დროს ქართლის ერთიანი საერისთავოს შექმნა, ერთიანი სამეურნეო-პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაციის წარმოჩენამ განაპირობა, რამაც გამოიწვია ქსნისა და სხვა მრავალი ხევის ხელისუფალთა უზურპაცია. მაგრამ, სავარაუდოდ, დიდი ტერიტორიის მართვას სპასპეტი ახერხებს ისევ იმ ძველ ხელისუფალთა მეშვეობით, რომელთა უმრავლესობა დარჩებოდა თავიანთ დაქვემდებარებულ სამართავ ადგილებზე – *„მაგრამ თვისობრივად სრულიად ახალი ფუნქციით, რომლის მთავარი შინაარსი სამხედრო და ფისკალურია“*, აღნიშნავს ჯ. გვასალია.[3]

აქ მოხდა დადებითი მოვლენა, ფარნავაზამდელი ხევისთავი, ერისთავი თუ სხვა წოდების აზნაურ-ფეოდალი იყო დამოუკიდებელი და ერთმმართველი, ხოლო ფარნავაზის შემდგომ ემორჩილება სპასპეტს ისე, როგორც ემორჩილებიან სხვა ერისთავები და ყველას ერთად მიაქვს თავისი წილი გადასახადი მეფესთან. – *„მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეუფეო და საერისთავო“.*[4]

---

1 გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოც. ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 62.

2 ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“; წიგნ. „ქართლის ცხოვრება“ (ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით), ტ. I, გვ. 32.

3 გვასალია ჯ., ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, გვ. 17.

4 იქვე, გვ. 143.

იბერიის ხელისუფალთ – მეფეებს თუ პიტიახშებს გათვალისწინებული ექნებოდათ ქსნის როგორც *„მონაპირე“* ხეობის სტრატეგიული მდებარეობა, კერძოდ, ჩრდილოელ ტომებისგან შიდა ქართლის დაცვა.

ადრეფეოდალურ ხანაში ქსნის ხეობაში გაძლიერდა ორი ადმინისტრაციული ერთეული: ქსნის ხევი (ყანჩაეთი-წირქოლი) და ცხრაზმისხევი (ლარგვისი, ცხავატი, საძეგური). ცხადია, გაძლიერდნენ მეზობელი ხევის მმართველთა დასუსტების ხარჯზე. არქეოლოგი ნ. აფხაზავა, რომელმაც 1981-1982 წლებში ქვემო ალევის სამაროვანი გათხარა, X საუკუნეს გოდერძი მგდეურის ხანად მიიჩნევს.[1] ფეოდალი, რომელმაც ასახვა ჰპოვა ნარატიულ წყაროებში, მსხვერპლი შეიქმნა მეზობელ ხევისთავთა ამბიციებისა. ბრძოლები პირველობისთვის ხომ გამუდმებით ეწყობოდა ყველა ხეობაში. ასეთივე საბრძოლო ბატალიებს აღწერს ბანდაისძე როსტომის ცხრაზმის ხევზე მისვლისას *„მას ჟამს ცხრაზმისხეველნი ბრძოლილ იყვნეს ციხესა გრუისისა ხუთ თვე“.*[2]

პოლიტიკური ცხოვრების სცენიდან მგდეურის მსგავსად ჩამოდიან, სუსტდებიან და ქრებიან ყანჩაელები, კორინთელები, ფხვენელაისძენი და სხვა წვრილ-წვრილნი დიდებულ-აზნაურები, რომელთა სახელები ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ წყაროებში მკვეთრად აღიბეჭდა. მათ ადგილს ნელ-ნელა იკავებდა ექსპანსიით გაძლიერებული ცხრაზმის ერისთავი.

ვახუშტის ცნობით, თამარის ეპოქაში ქართლი და ქსანი ერთიან საერისთავოს წარმოადგენდა. მონღოლთა შემოსევების შემდეგ XIII ს-ის II ნახევრიდან ისტორიულ წყაროებში ჩანს ცხრაზმისხევის ერისთავი, რომელიც პოლიტიკური მემკვიდრეა ადრინდელი ფეოდალური ხანის ცხრაზმის ხევის ხელისუფლისა, იმ წინამორბედი ხელისუფლისა, რომელიც მოსული იყო ოსეთიდან და რომელმაც როსტომ ბიბილურის ხელმძღვანელობით ბოლო მოუღო ცხრაზმელ-გრუელებს შორის გაჭიანურებულ ომს. გამარჯვებისთანავე დიდების მწვერვალზე მოქცეული როსტომი იმოსება იუსტინიანეს ხელით – ***„სამოსელითა ვითარცა შვენის მეფეთა“.*** და გადაეცემა ერისთავის ინსიგნიები: ბეჭედი, საყურე, სარტყელი, საჭურველი, ცხენი, დროშა და შუბი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია სამი სახის – რანგის ერისთავი:

---

[1] აფხაზავა ნ., ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში, გვ. 119.

[2] ქართული მწერლობა, ტ. V, „ძეგლი ერისთავთა“, გვ. 105.

1. ცოტა ერისთავი
2. ერისთავი
3. ერისთავთერისთავი

ცოტა ერისთავის დადგინების წესი შედგება ერთი ლოცვისაგან. ერისთავის – ორი ლოცვისაგან. ერისთავთერისთავის – მრავალგზის, რომელიც იმოსება განმგებლის, მოსამართლის და მხედართმთავრის უფლებებით.

დღემდე მიგნებულ და გამოკვლეულ ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით, ცხრაზმის საერისთავოს ჩამოყალიბებამდე ანუ თამარის ძლიერი, ერთიანი საქართველოს დაშლამდე, საერისთავოს სხვადასხვა უბანზე და სხვადასხვა დროს ჩანან შემდეგი დაწინაურებული დიდებულ-აზნაურები, ერისთავთერისთავები, სასულიერონი, ხევისუფალნი და ხელისუფალნი:

*„უცნობი მხედარი ქვემო ალვიდან“*
*აბაზასძენი*
*ნაფენაი*
*თავლორიშვილები*
*ბერი და გიორგი*
*ზაზი და თოთი*
*კოლონკელის ფხვენელაისძენი*
*კოლონკელისძენი*
*გიორგი არმაზელი*
*მგდეური*
*კორინთელი*
*ყანჩაელები*

მათი უკეთ გაცნობა დაგვეხმარება იმ დროის საქართველოს მაჯისცემის, პულსის აღქმაში.

# თავი I

## „უცნობი მხედარი ქვემო ალევიდან“[1]

ქსნის ხეობაში, ახალგორის რაიონის სოფელ ქვემო ალევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1980-1982 წლებში აღმოჩენილი იქნა სოციალურად დაწინაურებული მხედრის სამარხი №23, რომლის დაკრძალვის პოზა ქრისტიანულია და მიეკუთვნება VII საუკუნის დასაწყისს. მიცვალებულის სამარხში აღმოჩენილია ჰერალდიკური ტიპის ქამარი, სიმბოლო მაღალი რანგის მხედრობისა. ასევე სამარხში აღმოჩნდა სასანიდური ირანის შაჰინშაჰის პიროზის (459-484) ვერცხლის მონეტა, რკინის ფარაკიანი ბეჭედი, ასევე ანგარიშგასაწევი აბზინდებისა და ბალთების ჯგუფი.

ცნობილია, რომ ქამარს გარკვეული დატვირთვა გააჩნდა შუა საუკუნეებში *„ქამარი ანუ სარტყელი „პასპორტი“ იყო მამაკაცის მდგომარეობისა საზოგადოებაში. ამასთან უნდა ითქვას, რომ მთავარი აზრობრივი დატვირთვა სწორედ საკიდ ბალთებს გააჩნდათ“.*[2] ბალთები კი დაწინაურებულ მხედრის ქამარზე მრავლადაა: ფართოჭრილიანი, ბრტყელღეროიანი, მუზარადისებრი, ნახევარმთვარისებრი, ხუთწვერა და, რაც **„აზრობრივი დატვირთვის“** მატარებელ მთავარ ნაწილს შეადგენს სამი საკიდი მოგრძო ნიღბისებრი ბალთა.

გვიანი სასანური ტიპის ქამრიანი მიცვალებულები საზოგადოებრივად უფრო მაღალ საფეხურზე იდგნენ, ვიდრე სხვები, ასეთი კი ქვემო ალევის სამაროვანზე მხოლოდ ერთი აღმოჩნდა. აზნაურობის გზაზე

---

1 ალევში სოციალურად დაწინაურებულ, აზნაურობის მაძიებელი მხედრის ამგვარი დახასიათება მოტანილია ნ. აფხაზავას ნაშრომიდან „ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში“, თბ., 1988.

2 აფხაზავა ნ., „მხედრის“ სამარხი ქვემო ალევიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1986, XXXVIII, გვ. 85.

მდგომი ჰერალდიკური ტიპის ქამრის მფლობელი ძვალმსხვილი, მხარბეჭიანი მხედარია თავის ქალაზე, ყიფლიბანდის ადგილას, შეხორცებული ჭრილობით. რისი მიზეზიც უთუოდ ხეობაში პირველობისთვის ბრძოლა იქნებოდა. თუმც აზნაურობის მაძიებელ, ქვემო ალეველ უცნობ მხედარს ბედმა უმუხთლა და ჯერ კიდევ ახალგაზრდა გამოეთიშა გრუელებთან, გდუელებთან, ციხისოფლელებთან და კორინთელებთან პირველობისთვის ბრძოლას.

## აბაზასძენი

შუა ფეოდალურ ხანაში აბაზასძეთ გამორჩეული ადგილი ეკავათ ქართლის მართვა-გამგეობაში, ისინი ძლიერ, ფეოდალურ გვარს მიეკუთვნებოდნენ. მკვლევართა აზრით, მათი ძირი გვარი ტბელი ყოფილა. ამ აზრისკენ გვიბიძგებს ცხინვალის რაიონის სოფ. ტბეთის ბორცვისჯვრის ეკლესიაზე არსებული 10 ასომთავრული წარწერიდან ერთი, რომელიც დანარჩენ 8 წარწერასთან ერთად დაკარგულია: ვარაუდობენ, რომ აბაზასძეთა გვარის ფუძემდებელია სწორედ ამ ბორცვისჯვრის მე-10 წარწერაში მოხსენიებული აბაზაი.[1]

*„ქ. ჯვარო ბორცვსაო ადიდე აბაზაი და ძენი მისნი: ივანე, ქობულ“.* წარწერა ზოგადად X ს-ის შუა წლებით თარიღდება. ძეგლი მთლიანობაში წარმოადგენს ტბელთა საგვარეულოს სამლოცველო ადგილს.

XI ს-ის პირველ ნახევარში ქართლის ერისთავთერისთავია ივანე აბაზასძე, პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი. მეფე ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) მცირეწლოვნობისას ქართლ-კახეთის სხვა განმგებლებთან ერთად ილაშქრა საქართველოსგან განდგომილ განძის ამირა ფადლონის დასასჯელად. 1032 წელს ივანე აბაზასძემ და ლიპარიტ ბაღვაშმა ხელთ იგდეს ბირთვისის ციხე. ერთი სიგელის მიხედვით, საქართველოს სამეფო კარზე აბაზასძენი დიდ თანამდებობებს ფლობდნენ, კერძოდ: ჭილა აბაზასძე 1297 წლიდან მეაბჯრეთუხუცესია, ხოლო ნავროზ აბაზასძე ჯერ ამირეჯიბი, შემდეგ კი ამილახორია.

ისტორიულ მასალათა ანალიზი საშუალებას იძლევა, ვივარაუდოთ აბაზასძეთა და სურამელთა წარმომავლობა ტბელთა გვარიდან. სწორედ ივანე აბაზასძის შემდეგ, ერთი პერიოდი, ქართლის ერისთავთ-ერი-

[1] ქართული ენციკლოპედია, ტ. I, გვ. 11.

სთავობას იკავებს მისი მონათესავე – სურამელი, რომელნიც აბაზასძეთ ქსნის ხეობაში უტოვებენ გარკვეულ ადგილებს: მამულებს დინების მარცხნივ ალევიდან ოძისამდე ლოწობნით და ხოფით, ხოლო სამოხელეოს – დინების მარჯვნივ.

XIII ს-ში აბაზასძენი მხარს უჭერდნენ და ერთგულებდნენ მეფე დავით VIII-ს, რის გამოც, *„ძეგლი ერისთავთას"* მიხედვით, ვახტანგ III აბაზასძეთა მამულს შალვა ქვენიფნეველს აძლევს. ხოლო 1311 წლის შემდგომ ხანებში ახალგორიდან 12 კილომეტრში მდებარე ლოწობნის ციხეც ჩამოართვეს ნავროზ აბაზასძეს.

*„გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების" მიხედვით, აბაზასძენი იყვნენ „ძლიერნი და აზოანნი სიმდიდრესა ზედა, მკლავისა თვისისასა, მოქადულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა აღზევებულნი"*. ამის მერე აბაზასძენი დაკნინდნენ და ისტორიულ წყაროებში იშვიათად იხსენიებიან. 1405 წლის დოკუმენტის მიხედვით, აბაზასძეთა ერთი შტოსთვის მეფე გიორგი VIII-ს კახეთში აბულეთისძეთა მამული უბოძებია.[1]

აბაზასძენი შუა ფეოდალურ ხანაში ქსნის ხეობას იძულებით უთმობენ ძლიერ ფეოდალებს – ქსნის ერისთავებს და ზემო ქართლის აზნაურები ხდებიან. გვიანდელ ხანაში მათი გვარის წარმომადგენელნი სურამში ცხოვრობენ და სხვა მიწებთან ერთად ქსანზე, ოძისში ფლობენ მამულებს.

## ნაფენაი

ახალგორის რაიონში, ცხავატის პატარა ხეობაში, სოფ. ჩუმაანთუბნის ჩრდილოეთით მდებარეობს X საუკუნის მაცხოვრის ეკლესია, რომლის აღმოსავლეთ ფასადზე ზომით 33×31 სმ. ამოღარულია ასომთავრული წარწერა:

*„ქ. ხატო მღრთაებისაო ადიდენ*
*ერი ცხავატი და ინა კალატოზი*
*ამენ. შეიწყალე ნაფენაი".*[2]

წარწერის მიხედვით, ტაძრის ამშენებელია *„ერი ცხავატი"* ანუ ხევის თემი, რომელსაც ადრე ფეოდალურ ხანისთვის ჯერ კიდევ სასოფლო თე-

---

1 საქართველოს ისტორია – ლექსიკონი. შემდგ. მეტრეველი რ., თბ., 1979, გვ. 6.
2 ქართული წარწერების კორპუსი, I, თბ., 1980, გვ. 191.

მის მნიშვნელობით შენარჩუნებული აქვს რეალური ძალა. სავარაუდოა, ამ ძალას ცხავატის ხევზე X ს-ში წარმოადგენდა ცხავატის ერის ხელმძღვანელი პირველი პირი – ნაფენაი. ის უთუოდ გარკვეულ როლს შეასრულებდა ამა თუ იმ პიროვნების გაერისთავებაში.

ცხრაზმის ხევზე როსტომის გაერისთავებაზე თანხმობის მიმცემ შვიდ ხევთაგან ერთ-ერთი ცხავატის ერიც მოისაზრება, ხოლო ლარგველის ერისთავთერისთავობა გულისხმობს მისდამი სხვა მცირე ერისთავების მორჩილებას. **„ერის“** ძალაუფლების გასაგებად ს. ჯანაშია აკეთებს დასკვნას: *„გვაროვნული საზოგადოების ერთმა ნაწილმა, დიდხანს, ფეოდალური ურთიერთობის საბოლოო გაბატონებამდე შეინარჩუნა ერთგვარი ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ნაწილი თავისი პოლიტიკური უფლებებისა“.* სწორედ ასეთი ეკონომიკური დამოუკიდებლობით და პოლიტიკური უფლებებით უნდა ესარგებლა ცხავატის ხევს მანამ, სანამ ქვენიფნეველები ცხრაზმის საერისთავოს ქსნის ერისთავთა სამფლობელოდ აქცევდნენ და სანამ გვარად მიიღებდნენ ტიტულის აღმნიშვნელ – ერისთავობას.

## თავღორიშვილები

რაიმე ისტორიული წყარო თავღორიშვილებზე თითქმის არ არსებობს, გარდა ზეპირი გადმოცემებისა. ამ აღზევებულ ფეოდალთა გვარიც კი არ შემოგვინახა ისტორიამ. მეტისმეტი სიხარბისა და გაუმაძღრობის გამო თავღორიშვილები შეარქვა მათ ხალხმა, რაც შემდგომ თიკუნ გვარად იქცა.

ხალხში შემორჩენილი ინფორმაციის მიხედვით, მათი საცხოვრისი ადგილი და მამულები მდ. ქსნის შუა წელზე, ახალგორიდან სამხრეთით 3-4 კმ-ზე, ძეგლეურას ხეობის დელტაზე სოფ. მოსაბრუნთან უნდა ყოფილიყო. მკვლევარ ვ. ღუნაშვილის თქმით, X საუკუნის წერილობით წყაროებში მოხსენიებულნი არიან თავღორიშვილები,[1] ამ წყაროს მიხედვით, თავღორიშვილს მაჭანკლები გაუგზავნია კახელ ბატონთან. სტუმარმაჭანკლებს კარგად დახვედრიან და მეორე დღეს საჩუქრად 100 ურმით ღვინით სავსე რუმბები გამოუტანებიათ და თან შეუთვლიათ: ჯერ ეს

[1] ღუნაშვილი ვ., ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან, თბ., 1997, გვ. 152-155.

ღვინო გადაასხან თავიანთ ჭურჭელში და ქალზე მერე ვილაპარაკოთო. თავლორანიც კარგად დახვედრიან სამძახლოს კაცებს და მეორე დღეს რამდენიმე ტიკი ღვინით დასაჩუქრებულნი უკან გაუსტუმრებიათ თავიანთი სავსე რუმბებით და დაუბარებიათ: „აბა ჩვენ საიდან ამდენი ჭურჭელიო".

კახელ ბატონს დიდი მედიდურობით დაუცინია დაწუნებულ სასიძოსთვის, მაგრამ როცა გაუგია, რომ რუმბებში ღვინის მაგივრად ზეთი ესხა, გაკვირვებია და დათანხმებია ქალის მითხოვებაზე.

ეს ლეგენდაა, მაგრამ თავლორიშვილების შეძლებაზე უნდა მიგვანიშნებდეს. მათ სამფლობელოში, კერძოდ მოსაბრუნში, არქიტექტურული ძეგლების სიმრავლეა. ცხადია, ყველა მათი ხელგაწყობით არ იქნება აშენებული, ისე როგორც დიდებული ხოფის მონასტერი, მაგრამ ძეგლეურას მარცხენა მხარეს ღვთისმშობლის სამნავიანი ბაზილიკა და ასევე მის ჩრდილოეთით სწორკუთხა, გეგმით დარბაზული – მიძინების ტაძარი, სავარაუდოა, რომ თავლორიშვილებს უკავშირდებოდეს.

თავლორიშვილებს მტრობდნენ მეზობელი ფეოდალები – აბაზასძენი. განდიდებისთვის ბრძოლაში ჯერ თავლორიშვილები მარცხდებიან, შემდეგ კი ფეოდალური ძალმომრეობის სიმძიმეს ვეღარც აბაზასძენი უძლებენ და თანდათან კნინდებიან.

## ბერი რამინ და გიორგი

**ცხრაზმისხევის ხელისუფალნი X ს. (923-926 წწ.)**

1925 წელს მკვლევარმა გ. ბოჭორიძემ მეჯუდის ხეობის სოფ. ჭალისუბნიდან სოფ. მეჯვრისხევში ჩატანილი ორი ფიქალწერილი ქ. თბილისში ჩამოიტანა. პირველი შესრულებულია ასომთავრულით და ნუსხა-ხუცურით, მეორე კი ნუსხა-ხუცურით, თუმცა ზოგიერთ ასოს ჯერ ისევ ასომთავრული მოყვანილობა აქვს.

ტექსტი შემდეგნაირად იკითხება:[1]

- სახელითა ხვთისაითა ესე ხელი ჩვენ
- რამინ და გიორგი დავწერეთ, ოდეს კონსტა
- ნტი ქართლისა გამგებელი იყო,

[1] ბოჭორიძე გ., ორი ფიქალწერილი, საისტორიო მოამბე, წ. I, ტფ., 1925, გვ. 96.

- ჩვენ ცხრაზმის ხევის ხელისუფლად ვ
- იყვენით, მას ჟამსა ავაგეთ
- წისქვილნი და ზემოთ სახლი ერთი
- სამსახური ჰკიდია ჱ (8)
- კაცთ

ფიქალწერილში მოხსენიებულია ქართლის გამგებელი კონსტანტინე, რომელსაც მამამ – აფხაზთა მეფემ გიორგი II-მ ქართლის გამგებლობა მისცა. სამი წლის შემდეგ ღალატისთვის მამამ შვილს თვალები დასთხარა (დაახლოებით 926 წ.).

**„ხევი“** ოდითგანვე აუცილებელ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა საქართველოს მთიანეთში, ხოლო **„ხევისუფალი“** ამ ერთეულის გამგებელს. ტექსტში მოხსენიებული ცხრაზმისხევის ხელისუფალნი ბერი (რამინ) და გიორგი ურთიერთ გაწეულ შრომას, საქმეს და უფლებამოვალეობას ქვაფიქალზე სწერენ ანუ ძეგლს სდებენ მეჯუდის ხეობაზე – ვირშაში. გამოდის,რომ ცხრაზმის ხევი ვირშა-იკორთასთან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული და ლარგვისში მჯდომი ცხრაზმისხევის ხელისუფალთ *„ცხრა მთას იქით“* მეჯუდაზე მიუწვდებათ ხელი ანუ მათი საერისთავო უკვე დიდ ტერიტორიაზეა გაშლილი.

## ზაზი და თოთი

**ცხრაზმისხევის ხელისუფალნი – ერისთავები XI ს. I ნახ.**

რაც შეეხება მეჯუდის ხეობის სოფ. ჭალისუბნიდან ჩამოტანილ მეორე ფიქალს: შემკულია იხვის, თევზების და ყურძნის მტევნისმაგვარი ორნამენტებით. ტექსტი შემდეგნაირად იკითხება:[1]

- სახელითა ღვთისაითა ესე დაწერილი
- დაგიწერეთ ჩვენ ზაზი და თოთ –
- მან კოლონკელის ფხვენელაისძისა
- პირითა და მისა ცოლისაითა, მოგე –
- ცით კოიტორი მამულობით ბაჰრამს
- და ლომასა ამა პირსა ზედა, რომე
- არაი ედვას ბეგარი ზედან სამსახოჳრი –

[1] ბოჭორიძე გ., ორი ფიქალწერილი, საისტორიო მოამბე, წ. I, ტფ., 1925, გვ. 102.

- საგან, კიდე ზედა კულა მოგეცით ბობაორი;
- მასვე მიწასა ზედა კაცი არა ჯდეს, ამათ
- ჰქონდეს. აწ კრული იყოს პირითა ღვთისითა,
- ვინ ესე ოჳქციოს რამანცა პატრონმან ჰკადროს, ი.

წარწერა შეიცავს წყალობის სიგელს, რომლითაც ცხრაზმის ხევის ერისთავები ზაზი და თოთი კოლონკელის ფხვენელისძისა და მისი ცოლის პირით აძლევენ ბაჰრამს და ლომას კოიტორს *„მამულობით“*, ე. ი. სამკვიდროდ, შთამომავლობით და ათავისუფლებენ მას ბეგარისა და სამსახურისაგან. დამატებით ჩუქნიან მამულს ბობაორს მასზე მოსახლე კაცით.

ზაზი და თოთის ერისთავობაზე მიგვანიშნებს მამული კოიტორი (შესაძლოა დღევანდელი კიტრიული), რომელიც ეკუთვნოდათ ცხრაზმისხევის ხელისუფალთ.

დავასკვნით: ზაზი და თოთი, ბერი და გიორგი ცხრაზმისხევის ხელისუფალთა სხვადასხვა თაობაა, რომელნიც იღწვიან ჰეგემონობისთვის და ფლობენ როგორც ყმა-მამულებს, ისე აზნაურებს კოლონკეთში.

## ფხვენელაისძენი

მეჯუდის ხეობის მეორე ფიქალწერილში მოხსენიებული კოლონკელის ფხვენელაისძე და მისი ცოლი XI საუკუნის I ნახევარში მოღვაწე აზნაურებია. მათი სახლობა, სავარაუდოდ, უნდა მომდინარეობდეს *„მატიანე ქართლისაში“* დასახელებულ კვირიკეს მომხრე აზნაურების **„სარა და გრიგოლ ძმანი ფხუენელნი“**-საგან, ხოლო ეს უკანასკნელნი ერთი ზეპირი გადმოცემის მიხედვით, ფხოვიდან მიგრირებული ოჯახის შთამომავალნია.

კოლონკელის ფხვენელაისძეთა დაწინაურებას გვაფიქრებინებს მათი **„დიდი“** სამფლობელო – კოლონკეთი. ზოგს შეიძლება გვარი ეგონოს, რადგან შუა ფეოდალურ საქართველოში, თამარის ეპოქაში, კოლონკელისძენი საკმაოდ ძლიერი გვარია და ამავდროულად იკორთის ტაძრის შემამკობელნი.

კოლონკეთი ტერიტორიულად მეჯუდის ხეობაშია. ვახუშტი ბატონიშვილს თავის შედგენილ რუკაზე მეჯუდის ხეობაში, დაბა მეჯუდის ზევით, სადაც დაბის ნიშანი ზის, უწერია *„კოლონკეთი“*.

კოლონკეთის მფლობელნი უთუოდ აზნაურები იქნებოდნენ, რადგან ფეოდალიზმის ხანაში კანონით მამულები მოურავთა კითხვით გაიცემოდა. მეფე გიორგი V-ის შედგენილი კანონი *„ძეგლის დება“* ამბობს – „მოურავთა პირითა მამული ებოძოს“-ო.[1]

დავასკვნით, რომ კოლონკეთი ტერიტორიულად და ადმინისტრაციულად არის ცხრაზმისხევის ხევისუფალთა – ერისთავთა მფლობელობაში და წარმოადგენს საგვარეულო მამულს ანუ სამფლობელოს; იქ მოსახლე კოლონკელის ფხვენელაისძენიც მათი კითხული აზნაურ-მოურავებია, რადგან მათი შუამდგომლობით ანუ პირით ერისთავებს მიუციათ მამულები ბაჰრამ და ლომისათვის. ასეა თუ ისე, ფხვენელაისძეთა ოჯახში არსებობდა ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა, რასაც გვაფიქრებინებს გათხოვილი ქალის მონაწილეობა სამოურავო საქმიანობაში.

## კოლონკელისძენი

ისტორიული წყაროების მიხედვით, კოლონკელისძეთა გვარი ასპარეზზე გამოდის XII საუკუნის II ნახევრიდან, თამარის მამის გიორგი III-ის მეფობისას (1156-1184 წწ.).

წყაროებზე დაყრდნობით, კოლონკელიძეები შიდა ქართლის ძირძველი მოსახლენი არიან. მათი საცხოვრისი და სამფლობელო მეჯუდის ხეობაზე კოლონკეთ-იკორთაა. მათ შორის მანძილი 10-12 კმ-ია. სავარაუდოდ, კოლონკელიძენი ჯერ თავიანთ მამულში უნდა ყოფილიყვნენ ერისთავები, რაზეც სამწუხაროდ არანაირი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. სამაგიეროდ სანდო ისტორიული ცნობები გაგვაჩნია, რომ ამ საგვარეულოდან ცნობილ პირველ ფეოდალს ვარდან კოლონკელისძეს XII საუკუნის 60-70-იან წლებში მეფისგან ბოძებული ჰერეთის ერისთავთერისთავობა უპყრია. თუმც ნ. ბერძენიშვილს მიაჩნია, რომ ის *„მამულობით“* ჰერეთის ერისთავი არაა. რომელიღაც სხვა ხევის მფლობელია.

ვარდანის ცხოვრებიდან საინტერესოა ერთი ეპიზოდი. XII ს-ის. 60-იან წლებში მუსლიმურ კოალიციასთან ქართველთა ბრძოლის დროს, ვარდანს უთანხმოება მოუვიდა მეფე გიორგი III-სთან. მიუხედავად კონფლიქტისა მეფეს არ დაუსჯია და არ ჩამოურთმევია ჰერეთის ერი-

[1] ბოჭორიძე გ., ორი ფიქალწერილი, საისტორიო მოამბე, წ. I, ტფ., 1925, გვ. 103.

სთავთერისთავობა (პ. ინგოროყვას მოსაზრება იმის შესახებ, რომ 1163 წელს ვარდანი გადაყენებული იქნა და ერისთავობა გრიგოლ ასათის ძეს მიეცა, არ დასტურდება).

1172 წელს ვარდანი ჯერ კიდევ ერისთავთერისთავია. წინააღმდეგ შემთხვევაში ზემო იკორთაში (თავის მამულში) მდიდრული ტაძრის მშენებლობაში არ მიიღებდა მონაწილეობას და ვერც კარიბჭეს მია-შენებდა და მოაპირკეთებინებდა, ვერც მორთავდა ჩუქურთმებით, სადაც ასამდე მოტივია ჩაქსოვილი. მდიდრული ტაძრის ერთ-ერთ წარწერაში ვკითხულობთ:

*„ქ. სამებაო: ერთარსებაო: ადიდენ:*
*ორთავე: შინა: ცხოვრებათა:*
*ერისთავთ – ერისთავი დემნა:*
*სულა: და ბეშქენ: მაშენებელნი:*
*ამა: ბჭისა: ვარდან: ჰერეთისა:*
*ერისთავთ-ერისთავი მომსხმელის*
*კედელთა: და: ლოცვა: ყავთ: ქ: ტჟბ:“*

სავარაუდოა, რომ 1172 წლის ამ სამშენებლო წარწერაში მოხსენიებუ-ლი ყველა პირი კოლონკელიძეა. მათგან დემნა და ვარდანი კი ერისთავთ-ერისთავები. თამარის ისტორიკოსის თქმით, ვარდან კოლონკელისძეს ჰერეთის ერისთავობა ეპყრა. ის გამოირჩეოდა გიორგი III-ისადმი მტრუ-ლი განწყობით, თუმცა იყო *„კაცი დღითა მომხსებული და ბრძოლათა შინა ძლიერი და გამოცდილი“*. მეფის მოწინააღმდეგემ ელდიგუს ათა-ბაგმა ისარგებლა გიორგის მიერ *„ლაშქრის გაყრით“*, თავს დაეცა უჯა-როდ დარჩენილ მეფეს და სასტიკად დაამარცხა იგი. ეს ყველაფერი კი მეფისადმი ვარდან კოლონკელისძის *„შურმან და მტრობამ ყო. რომელიც ადრინდანვე უთხრიდა საფლავს მეფეს“*.[1]

ვარდანის შემდეგ სარბიელზე გამოდის მისი შვილი ივანე. ისიც, სა-ვარაუდოდ, ჰერეთის ერისთავთერისთავი და ისიც *„შინაგამცემი“*. აქტი-ური მონაწილე 1177 წელს მეფის წინააღმდეგ ორბელთა მიერ მოწყო-ბილი აჯანყებისა. აჯანყებულები მარცხდებიან, ივანეს ბრძოლის ველზე ატყვევებენ. ამჯერადაც კოლონკელისძენი ინარჩუნებენ ერისთავთერი-სთავობას.

[1] სანიკიძე თ., იკორთის ტაძრის სამშენებლო წარწერები. ნაშრომი წაკითხული იქნა 1988 წ. ოქტომბერში საქ. ხელოვნების სახელმწ. მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. იგი წიგნად არ გამოცემულა.

გიორგი III-ის სიკვდილის შემდეგ (1184 წ.) დიდებულთა ერთი ნაწილი თამარის მოწინააღმდეგეთა დასს ქმნის, რომლის იდეოლოგია კოლონკელისძეებთან დაახლოებული კათალიკოსი მიქაელი. სწორედ მიქაელის სიკვდილის შემდეგ 1191 წელს საღირ კოლონკელისძე კარგავს ერისთავთერისთავობას. მას ეს თანამდებობა ასათ გრიგოლის ძემ *„მისტაცა მძლავრობით და მორევით“* და გადასცა (მეფის თანხმობით!) საკუთარ შვილს – გრიგოლს.[1] ამით თამარმა საბოლოოდ ჩამოაცილა მოღალატე კოლონკელისძენი ქვეყნის მართვა-გამგეობას. ამის შემდეგ გვარი დაკნინდა. მათ სავარაუდოდ, მალევე დაკარგეს ჯერ იკორთა, შემდეგ კოლონკეთი. ცხრაზმის ერისთავები ტრიუმფით იკავებდნენ მათ მიერ ნალოლიავებ შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების უთვალსაჩინოეს ნიმუშს – იკორთის ტაძარს.

## გიორგი არმაზელი

IX-X საუკუნეები ფეოდალური ხანის საქართველოს მთისძირა ზოლის ეკონომიკურად გაძლიერებისა და აღმშენებლობის ხანაა. ფეოდალური საზოგადოების დაწინაურებულ იმ პირთა სახელებს გვიტოვებს ისტორია, ვინც ეკონომიკური წარმატებისა და სოციალური უპირატესობის პარალელურად იღვაწა, ააგო, შექმნა, შეამკო, შესწირა ქვეყანას, ერს, თემს მატერიალური კულტურის ძეგლები და სხვა ეროვნული ფასეულობები. მოღვაწეთა ასეთ რიგს მიეკუთვნება მდინარეების ქსნისა და ლეხურის წყალგამყოფ მთის ფერდობზე გაშენებული სოფ. არმაზის მამასახლისი.

წმ. გიორგის სახელობის არმაზის ეკლესიის სამხრეთ ფასადის ცენტრში, კარნიზის ქვეშ ამოკვეთილია ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: *„ქ. სახელითა ღმრთისაითა, მე გიორგი არმაზელმა მამასახლისმან დავიწყე წმინდაი ეკლესიაი ქრონიკონსა პდ, ხელმწიფობასა გიორგისა“.*[2]

წარწერა გვაწვდის მშენებლობის დაწყების ცნობას. ქორონიკონი პდ = 864 წელს. მშენებლობის დასრულებაც და წარწერის ამოკვეთაც

---

1 ისტორიანი და აზმანი, „ქართლის ცხოვრება, II. თბ., 1959, გვ. 34.

2 ოთხმეზური გ., შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა, წიგნიდან „ოსთა საკითხი“, თბ., 1996 წ. გვ. 129.

ამ თარიღის ახლო ხანებშია სავარაუდებელი. წარწერაში მოხსენიებული ხელმწიფე გიორგი დასავლეთ საქართველოს აფხაზთა მეფე გიორგი I-ია (861-868 წწ.).[1]

შესაძლებელია მამასახლისის სახელო იგივე ხეობის რამდენიმე სოფლის მმართველობას გულისხმობდეს. გიორგი არმაზელს ბუნება და ჯანსაღი საზოგადოება აძლევს შეძლებას (სავარაუდოდ, სამთავნელიც) არმაზში ააგოს ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი. ის აღმავლობის გზაზე დამდგარ საქართველოს შეძლებული, დაწინაურებული გერგილიანი გვარის წარმომადგენელია, რომელსაც თავისი გეგმები და, ცხადია, ამბიციებიც ექნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელოვნების ასეთი სრულქმნილი შედევრი არ შეიქმნებოდა. თანაც ტერიტორიულად ასე ახლოს ყანჩაველის კაბენთან და წირქვლის ღვთისმშობელთან, თუ არ იქნებოდა მატერიალური ბაზა და *„ნება ერისა“*.

## გოდერძი მგდეური

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მდ. ქსნის შენაკად ალევის ხევის აუზში არსებული ადრე შუა საუკუნეების დროინდელი კორინთის *„კვირაცხოვლის ეკლესია“*, ალევის მიქელწმინდას სალოცავი, საფერშეთის ციხე-კოშკთა სტრატეგიული წყობა, გრუს ძლიერი ციხე, ალევის სამება და სხვა საფორტიფიკაციო და საკულტო დანიშნულების ძეგლები ქმნის *„ერთიან სისტემას ალევის ხევის V-VIII სს-ის ისტორიისას, რომელმაც მოგვიანებით მოგვცა ახალ საფეხურზე მყოფი, თავისი კულტურულ-სოციალური არსით X საუკუნე, რომელსაც პირობითად „გოდერძი მგდეურის ხანა ვუწოდეთ“.*[2]

გოდერძი მგდეური და კორინთლები გამარჯვებულნი არიან ალევის ხეობის იმ აზნაურთა შორის, რომლებიც იბრძვიან და პრეტენზიას აცხადებენ ხეობაში პირველობისთვის.

მგდეურების გვარი უნდა მომდინარეობდეს სოფ. გდუს სახელიდან, რომელიც მათ რეზიდენციას წარმოადგენდა. გდუში შემორჩენილია აზნაურთა სახლისთვის დამახასიათებელი *„ბარული ტიპის“* ბაზილიკა.

---

[1] ქართული წარწერების კორპუსი, I, შემდგ. შოშიაშვილი ნ., გვ. 167.

[2] აფხაზავა ნ., ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში, გვ. 167.

*„ქართლის ზედა“* მიმდინარე ბრძოლის მარათონში ჩართულ წარჩინებულ აზნაურებზე საინტერესო ცნობას გვაწვდის მატიანე ქართლისა: *„შეეზრახნეს აზნაურნი ქართველნი და მათ თანა კახნი: გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხვილოსელნი, სარა და გრიგოლ ძმანი ფხუენელნი, და მათ თანა ორმოცდაათი აზნაური სხუა, და მიერთნეს კვირიკეს“.*[1]

ქართლისთვის ბრძოლაში მონაწილე ქსნისხეობელი დიდებულ-აზნაურები *„მიმდგომნი“* არიან კახეთის სამთავროსი, რომელიც წარმატებებს აღწევს IX-X საუკუნეებში და იპყრობს შიდა ქართლის დიდ ნაწილს. მისი მტკიცე ფლობის საწინდარი იყო თავდაცვითი სისტემის შექმნა. სწორედ ამ თვალსაზრისით კახეთის ქორეპისკოპოსი ფადლა II მე-10 საუკუნის დასაწყისში აგებს ლოწობნის ციხეს, რომლის მშენებლობაში უთუოდ მონაწილეობას მიიღებდნენ ქსნელი აზნაურები და მათ შორის ჩამონათვალში პირველი პირი გოდერძი მგდეური, რომელიც უეჭველი გამოიჩენდა ინიციატივას, რათა კახეთის სამთავროს მტკიცედ მოეკიდა ფეხი ქსნის ხეობაზე.

საკითხავია გოდერძი მგდეური თუ მოესწრებოდა 975 წელს მეფე გურგენისა და მისი ძის ბაგრატის განთავისუფლებას, დავით კურაპალატის დროული ჩარევით, რომლებიც კახელებმა ქართლის აზნაურთა დახმარებით დაატყვევეს.

დავასკვნით: გოდერძი მგდეური აქტიური მოწინააღმდეგე იყო ერთიანი ძლიერი მეფის ხელისუფლებისა. იგი თავგამოდებით ცდილობდა შეექმნა ძლიერი და მინიმალურად დამოკიდებული სამფლობელო მე-10 საუკუნით დათარიღებულ ეპოქაში, რომლის სლოგანიც იყო: **„დიდი მომხვეჭელნი ყლაპავენ მცირეთ“.**

X საუკუნის ნარატიულ-თხრობით წყაროებში მგდეურებთან ერთად იხსენიება კორინთელთა გვარი, რომელთა შთამომავლებმა, მგდეურებისაგან განსხვავებით, იმარჯვეს და დღემდე მოაღწიეს.

---

[1] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 169.

## კორინთელები

კორინთელთა გვარი IX-X საუკუნეებიდანაა ცნობილი. მაშინ ისინი ქართლის წარჩინებული ფეოდალები იყვნენ და ცხოვრობდნენ ძირითადად ქსნის ხეობის მთისძირა ზოლის სოფ. კორინთაში. რადგან ელ-სუფიქსიანი საგვარეულო სახელწოდება იწარმოება სამამულე ქვეყნიდან (სურამელი, გაგელი, ჯაყელი და სხვა) კორინთელებმაც მამულის სახელის მიხედვით დაიდვეს გვარი.[1]

სოფ. კორინთისა და იქ მცხოვრებ კორინთელთა დაწინაურება ადრე შუა საუკუნეებიდან გამოიწვია მისმა ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. ის როგორც სტარატეგიული პუნქტი, მდ. ქსნის შუა წელზე წარმოადგენდა ხეობის ტაშირის კარს, სადაც ქართლის სამეფოს მნიშვნელოვანი გზები გადიოდა. ასევე იქ მთავრდებოდა მთის ზოლი და იწყებოდა ქართლის ბარი. გარდამავალ ზოლში ერთმანეთს შერწყმულმა მთისა და ბარის მეურნეობამ ძლიერ შეუწყო ხელი შიდა ქართლის მთიანეთში კორინთის დაწინაურებას.

*„მატიანე ქართლისაჲ“* მიხედვით, კორინთელთა სახლის წარმომადგენელი დაჩი კორინთელი ქსნის ხევის სხვა დიდებულებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სამეფო-სამთავროთა შორის პირველობისთვის ატეხილ ბრძოლაში. კერძოდ, მან აფხაზთა მეფის გიორგი II-ის კონტროლირებადი ქართლის ციხეები კვლავ ხელში ჩააგდებინა კვირიკე კახთა ქორეპისკოპოსს და ამით ხელი შეუშალა მეფეს საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

X საუკუნიდან ვიდრე XVIII საუკუნემდე კორინთელთა გვარის შესახებ არავითარი წყარო არ მოგვეპოვება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ გვიან საუკუნეებში გადადიან ლეხურის ხეობაში და აარსებენ ნადაბნევის ადგილზე სოფ. საკორინთლოს.[2]

რაც შეეხება სოფელ კორინთიდან ილტოზაში კორინთელთა გადასვლის პერიოდს, ჩვენთვის უცნობია. სავარაუდოდ, ეს უნდა მომხდარიყო ლეხურის ხეობაში პირველი „დიდი მიგრაციის“ შემდეგ. ილტოზას XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე „ვიწრო წრეებში“ ხშირად „კორინთლიანთ“ უწოდებენ. სადაც მოსახლე აზნაურები ჩვეულებრივ ჯერ ქსნის ერი-

---

[1] გვრიტიშვილი ლ., ქსნის ხეობის სოფლების ისტორია, საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე, 1997 წ. XII, გვ. 151. ასევე: Бакрадзе Дм., Кавказ в древних памятников христианства, Тб., 1875, с. 104.

[2] მაკალათია ს., ლეხურის ხეობა, თბ., 1970, გვ. 12.

სთავებს ემორჩილებოდნენ, შემდეგ კი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ახალშენ ილტოზაში ფეხმოკიდებულ რუსი ეროვნების მემამულე მარკოვების ნაწილობრივ გავლენის ქვეშ ექცევიან. XX საუკუნის დასაწყისიდან კორინთლები ქართლის ქალაქებსა და სოფლებში სახლდებიან. ახალ ილტოზაში დღემდე ცხოვრობენ კორინთლები, ხოლო, თუ როდის დატოვა მათი გვარის ბოლო წარმომადგენელმა საგვარეულოს ძირძველი ფუძე – სოფელი კორინთა, დაუზუსტებელია.

სოფ. კორინთაში შემორჩენილია წმ. მარინეს ეკლესია, რომელიც შესაძლებელია კორინთელთა აღმშენებლობის ნაყოფი იყოს. არაფერი აქვთ ნათქვამი მის დათარიღებაზე ე. თაყაიშვილს[1] (მკვლევრის იქ ყოფნისას ჯერ კიდევ მდგარა სამრეკლო) და დ. გვრიტიშვილს.

წმ. მარინეს ეკლესიის გვერდით, იქვე იკვეთება ადრე ქრისტიანული ხანის V-VII საუკუნეების ძველი ეკლესიის გეგმა (ცოკოლის დონეზე), იქვეა ერისთავების XVII საუკუნის კოშკი.

კორინთელთა გვარის ერთ-ერთი ბოლო წარმომადგენელი, საფლავის ეპიტაფიის მიხედვით, კორინთიდან 4-5 კილომეტრში სოფ. იკოთში ფიქსირდება. ეს არის დავით კორინთელი, მეუღლე ნანა და 15 წლის გარდაცვლილი ქალიშვილი მაგდანა.

*„მომიხსენე მე უფალო საფლავსა მდებარე მხევალი შენი აზნაურ დავით კორინთელის და ნანას ასული მაგდან – თხუთმეტი წლისა მოვშორდი ამიერ წუთისოფელსა სიცოცხლეს მხილველი... სიკვდილისა..“.*[2]

თაყაიშვილისეული დათარიღებით, აღნიშნული ეპიტაფია XVIII საუკუნის ბოლო წლებს უნდა მიეკუთვნებოდეს.

გვიან შუა საუკუნეებში კორინთელთა საგვარეულომ დაქვეითებადაკნინება განიცადა და აზნაურთა წოდებას მიეკუთვნენ, რასაც ეს წარწერაც ადასტურებს.

---

[1] Такаишвили Е., Археологические эксурсии, Разыскания и заметки, вып. 5; Тфл., 1913. с. 64.

[2] ოთხმეზური გ., შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა, გვ. 155.

## ყანჩაელები

ყანჩაელთა გვარი მომდინარეობს ქსნის ხეობის სოფ. ყანჩაეთიდან. ისინი შუა ფეოდალური ხანიდან აღზევებულნი და დაწინაურებულნი ჩანან. მათი სამფლობელო ადგილები ქ. ცხინვალიდან 20 კილომეტრში, მდ. მეჯუდის დასავლეთითაა, კერძოდ, ერთ-ერთი შენაკადის ხეობაში. სოფ. ბიეთის სამების ეკლესია შესაძლოა მათი, ყანჩაეთიდან ბიეთში გადასულ ყანჩაელთა შტოს სასულიერო-კულტურული ცენტრია.

ბიეთის სამების (ადრე წმ. თევდორეს სახელობის) ეკლესიის ოთხი წარწერიდან ერთ-ერთში, რომელიც ამოღარულია შირიმის ქვაზე და წარმოადგენს ექვსსტრიქონიან ასომთავრულ წარწერას, მოიხსენიება ერისთავთერისთავი იოვანე ძე ბაკურ ყანჩაელისა:

*„ქრისტე, მეუფეო ყოველთაო, ადიდე ერისთავთ – ერისთავი იოვანე, ძე ბაკურ ყანჩაელისა უფალი და პატრონი ამის წმიდისა ეკლესიისა დაიცევ წმიდაი მრემლი სამებისაი ყოველი“.*[1]

სამწუხაროდ, აქ მოხსენიებული იოანე ყანჩაელი სხვა წყაროებით არ არის ცნობილი, არადა მას საკმაოდ დიდი თანამდებობისთვის ერისთავთ-ერისთავობისთვის მიუღწევია. *„მატიანე ქართლისაჲ“* (956 წ.) დასახელებული ჰყავს მამა ყანჩაელი. ცხადია, რომ ის საგვარეულოს უფროსია და ამავე დროს, სასულიერო პირი. ის უნდა იყოს იოვანე ერისთავის მამა ბაკურ ყანჩაელი. როგორც სასულიერო პირი, ის ქართლის ერისთავთ-ერისთავობას ვერ მიიღებდა და ეს სახელი მის შვილს ებოძა.

ბიეთის ტაძრის მეორე წარწერაში მოხსენიებულნი არიან ვაჩე და ბეშქენ. სავარაუდოა, რომ ესენიც იოვანეს შვილებია:

*„ქ. წმინდაო სამებაო, ვაჩე და ბეშქენ დაიცევნ“.*

XI საუკუნეში ყანჩაელთა გვარი კვლავ დაწინაურებულა, რაც გამოიხატება ვაჩე ყანჩელის ძე ილარიონის – იგივე ილარიონ სამთავნელი – მიერ სამთავისის ახალი ტაძრის შენებასა (1030 წ.) და ამ კათედრალის ეპისკოპოსობაში. ეკლესიის აგების შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის წარწერა ქვაზე, რომელიც თ. ჟორდანიას ტაძრის ეზოში უპოვია: **„ილარიონ** *სამთავნელმან აღაშენა ტაძარი ესე.......... ქრნ~ კსა სნ“* – ე. ი. 1030 წელს. მასვე აღმოუჩენია ტაძრის სამხრეთ კედელზე ასომთავრული წარწერა: *„ქ. ხატო ღვთაებისაო, შ~ ე სული ილარიონისი, ძისა ვაჩე ყანჩაელისი“.*[2]

---

[1] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, გვ. 192.

[2] იქვე, გვ. 193.

ილარიონ ყანჩაელს მშენებელ ოსტატად მიიჩნევენ. ის მეტად გაბედული შემოქმედი ყოფილა. ვ. ბერიძის გამოკვლევით, ილარიონს 1032 წელს აუგია აგრეთვე აშურიანის ეკლესია, მოგვიანებით, დაახლოებით 1050 წელს – სამთავისის ტაძრის მარანი: *„ხატო ღ̃ თაებისაო, ადიდე ილარიონ სამთავნელი ყანჩოელის ძე, რომელმან ეკლესია, მარანი და საწნახელი აღაშენა ქკ̃ სო“.*

მომდევნო საუკუნეებში მათი აღმასვლა ნელდება და გვიანფეოდალურ ხანაში ყანჩაელები აზნაურობის ხარისხით ამილახვრების ქვეშევრდომები არიან.[1] ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, 1908 წელს გივი ამილახვართან დგას მოურავად ვინმე იოსებ ყანჩაველი.

ესაა მცირედი ჩამონათვალი იმ დიდებულ-აზნაურებისა და ერისთავებისა, ვისაც ფეოდალურმა ნიადაგმა მისცა ბიძგი აღზევებისა, უპრობლემო ეკონომიკურ გარემოში გამორჩეული პიროვნული თვისებების, ყოველდღიური ყოფითი თუ სხვა ჩვენთვის უცნობი მოვლენების წყალობით. ამ იურიდიულ, ხელმოცარულ მაძიებელ პირთა შორის არ იხსენიებიან ის დიდებულნი, საერონი თუ სასულიერონი, რომელთ ღონიერი მკლავის წყალობით შენდებოდა და მშვენდებოდა ადრე თუ შუა ფეოდალური ხანის ძლიერი საქართველოს მთისძირა ზოლი.

აღზევებულ, მაგრამ ისტორიისათვის უცნობთა შორის იგულისხმება ქარჩოხის ძლიერი ხევისთავი. ბერციხის და ალავერდის მფლობელი ჟამურის ხევის ხელისუფალი. წინკიბის, ცისკარას და ჭურთის ციხე-კომპლექსთა მფლობელი და სხვა ლაშქარმრავალი ხეობების მესვეურნი, რომლებიც ქსნის აუზში დიდი, ძლიერი საერისთავოს ჰეგემონიის შესაქმნელად იღვწოდნენ.

---

[1] გაზ. „ლენინელი“ 1987 წ. 29 აგვისტო, „კაბენი“ (ლენინგორის რაიონული გაზეთი).

# თავი II

## საერისთავოს წარმოქმნა

მაშინ, როდესაც თრიალეთში IX საუკუნეში დამთავრებულია მტკიცე ფეოდალური ორგანიზმის – საერისთავოს ჩამოყალიბება, ქსნის ხეობაში XII საუკუნეშიც არ ჩანს ჯერ კიდევ ერთიანი საერისთავო. შიდა ქართლის აღნიშნულ მთიანეთში კვლავ მიმდინარეობს დაუნდობელი ბრძოლები და თავდასხმები, ციხე-დარბაზთა ნგრევა, წარჩინებულთა საგვარეულო საბუდრების დედაწულიანად ამოწყვეტა. ურთიერთ მტრობა და ქიშპობა მრავალ თაობებს და საუკუნეებს გასდევდა. ასეთ გაუაზრებელ, უგუნურ მიხტომ-მოხტომებით დაუძლურებულთ ზოგჯერ გარეშე მტერთა თავდასხმებისას ღვედისა და ბალახის კურკის ჭამაც კი უწევდათ.

ასეთ არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფ ქსნის სახევისთაოებში იკვეთება შედარებით ძლიერი ცხრაზმის სახევისთაო, რომლის საერისთავოდ გადაქცევას მკვლევრები ვ. ღუნაშვილი და გ. არახამია XIII საუკუნის I ნახევრის მოვლენად მიიჩნევენ.[1]

ქსნის ხეობაზე ერისთავების მოსვლის რამდენიმე, ერთმანეთისაგან განსხვავებული წყარო არსებობს. ამ მხრივ ჩვენს ისტორიოგრაფიაში ძვირფასი და მნიშვნელოვანია XIV ს-ის. ბოლოს შექმნილი მატიანე –*„ძეგლი ერისთავთა“*. ნაკლებ მნიშვნელოვანია 1799 წელს იოანე ბატონიშვილის შედგენილი „შემოკლებითი აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“, ხოლო უმნიშვნელოა ს. ბარათოვის მოწოდებული ხალხური გადმოცემა, რომელიც გვიამბობს ქსნისა და არაგვის ერისთავების წარმომავლობაზე.[2]

---

1 ღუნაშვილი ვ., ქსნის საერისთავოს პოლიტ. ისტორია, თბ., 2005. ასევე არახამია გ., ძველი ქართული საგვარეულო მატიანეები, თბ., 1988.

2 გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 86. ქსნის ხეობაში მოგზაურობისას მარი ბროსემ მატერიალური კულტურის ძეგლების წარწერებთან ერთად მრავალი ზეპირი გადმოცემა შეკრიბა ერისთავების შესახებ.

ქსნის ერისთავების გვარეულობაზე ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გაჩნდა ინტერესი, ხოლო რაც შეეხება სტატუსს „ქსნის ერისთავი" – საისტორიო ლექსიკაში ეს სიტყვები XVI საუკუნიდან უნდა გაჩენილიყო, მანამდე კი დომინირებდა *„ცხრაზმის ერისთავი"*, რომელიც, როგორც ჯ. გვასალია აღნიშნავს, *„პოლიტიკური მემკვიდრე იყო ადრეფეოდალური ხანის ცხრაზმისხევის ხევისუფლისა".*[1] მაგრამ საკითხავია, ცხრაზმის საერისთავო, რომელიც XIII საუკუნის I ნახევარში ჩამოყალიბდა, პოლიტიკურის გარდა თუ იყო გენეტიკური მემკვიდრე იმ ცხრაზმის ხევისუფლისა ანუ როსტომისა, რომელიც იუსტინიანე მეორემ (565-577 წწ.) დაადგინა ცხრაზმისხევის ერისთავად.

ძველი ქართული საისტორიო მწერლობის წყარო *„ძეგლი ერისთავთა"* მოგვითხრობს ცხრაზმის ერისთავების, ქვენიფნეველთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიას VI საუკუნიდან XV საუკუნის დასაწყისამდე. მათ მოსვლას და დამკვიდრებას შინაური ომებით დაღლილ ცხრაზმისხეობაში. მატიანის ორიგინალი დღეისათვის ინახება პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში. იგი მოთავსებულია მარი ბროსეს მიერ აკინძულ მრავალგვერდიან კრებულში. ამავე კრებულშია დავით ციციშვილის *„შემოკლებული მოთხრობა საქართველოს თავადთა და აზნაურთა თუ რომელ ვითარ და რომელთა მეფეთაგან აღყუანებულ არიან ესე ვითართა ღირსებათა ზედა, ოდეს და ვინ სადით მოსულან"*[2].

ამ შემოკლებულ მოთხრობაში ცალკე თავად შეტანილია ქსნის ერისთავები, თუმც დ. გვრიტიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, *„ის იმდენად უვარგისია, რომ ჩვენ მას ანგარიშს არ ვუწევთ"*. მისივე თქმით, ეს დოკუმენტი ამჟამად ინახება ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

ბროსეს მიერ შედგენილ კრებულში, 136 ფურცლიდან, ჩაკერებულია „ძეგლი ერისთავთას" ათი ტყავის ფურცელი – ეტრატი, რომელიც კორესპონდენტს მელვინეთუხუცესს 1848 წელს საქართველოდან პეტერბურგში გაუგზავნია მარი ბროსესათვის.[3]

ჩვენდა საბედნიეროდ, მრავალ უბედურებას გადარჩენილი საგვარეულო მატიანე მოგვითხრობს: ჩრდილოეთ კავკასიაში ოსთა მეფის უმ-

---

[1] გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.

[2] გვრიტიშვილი დ., მითითებული ლიტერატურა, გვ. 60.

[3] მესხია შ., ძეგლი ერისთავთა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1954 წ. ნაკვ. 30, გვ. 17.

ცროსი შტო ეცილება უფროსს მეფობაში. ამ ცილობაში დამარცხებული და ლტოლვილი უმცროსი შტოს წარმომადგენელნი: *„როსტომი, ბიბილაი, წითლოსანი და ძენი მათნი სამეოცდაათითა მონითა“* გადმოდიან დვალეთს. დვალებმა განუცხადეს, ჩვენზე გაბატონების შიშით ქვეყანაში ვერ დაგაყენებთო. *მაშინ უთხრეს ოვსთა მეფის უმცროსი ძმის შვილებმა, რომ მათ არც ბატონობა სურთ და არც სამეფო გვარის ტარება, „არა გვერქვას მეფე, არამედ ქვეყანასა მას, რომელი მომცეთ, სახელი მისი გვერქვას ჩვენ“.*[1] მაშინ დათანხმდნენ დვალნი და მისცეს ქვეყანა ბობალეთაი და უწოდეს გვარად ბიბილურნი. თუმც ჩქარა გამჟღავნდა ლტოლვილ ოსთა ზრახვები. ბობალეთში მათ მალევე დაიწყეს ბატონობისთვის საჭირო ციხე-დარბაზების მშენებლობა.

*„მაშინ გულისხმა ყვეს დვალთა, შეკრბეს და თქვეს:*

*– ვხედავთ, ვითარითა საქმითა იწყეს შენებად ოვსთა ამათ მეფეთა, დაღათუ სახელვსდევით ბიბილურად, არამედ სახელი ესე ვერ დაჰფარავს გვარ-ნათესაობასა მათსა. და შემდგომად მცირედისა ეუფლნენ ყოველსა ქვეყანასა ჩვენსა“.* სიტყვას საქმე მოაყოლეს და გამოაძევეს ოსები დვალეთიდან. როსტომი თავისი ძმებით და მონებით გადმოდის ისროლის ხეობაში, რომლის მფლობელნი ცხრაზმისხეველნი ხუთი თვე გაჭირვებით ალყად დგანან მეზობელ გრუელთა ციხეებთან, საიდანაც დაჭრილ-დაუძლურებულთ უკან ველარ აბრუნებენ. ასეთ გაჭირვებაში მყოფ ცხრაზმისხეველებს დახმარებას უწევს როსტომი: *„მაშინ როსტომ მივიდა შველად მათდა და მას დღე სამგზის მთამდის ჰომით გამოესხნეს დიდად მოუძლურებულნი და დაკოდილნი ცხრაზმისხეველნი“.*

ამის შემდეგ როსტომი განაგრძობს ბიზანტიური ორიენტაციის მქონე ცხრაზმელთა დახმარებას. გრუელებთან ზავის დადების მიუხედავად *„... მას ღამესა შევიდა როსტომი და წარუღო ორივე ციხე. და ვითარცა განთენდა, დააქცივნეს ციხენი იგი ყოვლით ზღუდით და ნაშენებითურთ მისით“.*

დაუფასეს ესოდენ დიდი წვლილი როსტომს ცხრაზმელებმა და თქვეს: *„არა განვიშოროთ ჩვენგან ამიერითგან კაცი ესე გოლიათი, არამედ უყოთ ყოველი, რაიც უნდოდეს მას“* და ლარგვისის მამასახლისის ხუციანდაბისძის პირით სთავაზობენ ლარგვისს სამარხად. იგივეს ითხოვს როსტომიც: *„მოითხოვა საფლავი ლარგვისს და საჯდომად სახლი შუა*

[1] II თავის პირველ პარაგრაფში ყველა დაუნომრავი მასალა ციტირებულია წიგნიდან „ქართული მწერლობა“. ტ. V, „ძეგლი ერისთავთა“, გვ. 104-122.

*საყდრის შვილთა და ცხრაზმას ციხისთავის ნაქონები მამული და მისც-ეს ესე ყოველი ცხრაზმისხეველთა შუა ცხრაზმის ციხისთავისა ნაქონები სოფელნი და ქვეყანანი, საფლავი ლარგვისს და საჯდომი ქვენიფნევს და უწოდეს ქვენიფნეველნი, რამეთუ სხვაი სახელი არა ინებეს.*

*მაშინ იწყეს შენებად ციხისა და სახლებისა დიდ-დიდისა ... და შეი-ყვარნა ყოველმან ერმა ცხრაზმისხევისამან".*

ირკვევა, რომ ქსნისხეობელები იმ შორეულ წარსულშიც შემწყნარე-ბელნი და თავმდაბალნი არიან განსხვავებით დვალებისაგან.

*„და შემდგომად მცირედისა ჟამისა იქმნა დიდებულთა და აზნაურთა-გან თხოვად ერისთავობისა ბირებითა ერისაითა".* იუსტინიანე ითვალის-წინებს ცხრაზმისხეველთა სურვილს, თავისთან იბარებს საერისთავოს ახალ მმართველს და ოფიციალურად აფორმებს მის გაერისთავებას: *„მა-შინ მიუბოძნა შვიდნი ესე ხევნი განსაგებელნი ეკლესიისანი და ყოველნი აზნაურნი მკვიდრნი მას შინა, და უწოდა ერისთავ ცხრაზმისხევისა და შემოსა სამოსლითა მით, რომელ ემოსა მაშინ მეფესა, და შეაცვა ბეჭედი და საყურე და სარტყელი თვისი, საჭურველი და ცხენი თორნოსანი, დროშაი და შუბი.*

*ესე ყოველი უბოძა მეფემან იუსტინიანე როსტომს და წამოგზავნა სიხარულით. მაშინ როსტომ აღაშენა ქალაქი ლარგვისს და განასრულა და შეამკო ყოვლითურთ ეკლესია".* ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორიის მკვლევარი ბ-ნ ვ. ღუნაშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ: *„იუსტინე II-ს როსტომი უნდა დაემტკიცებინა ცხრაზმის ერისთავად, სა-ნამ ქართლის ერისმთავარი გახდებოდა გურამი (როსტომი ერისთავად დასამტკიცებლად გურამს არ წარუდგენია). ე. ი. როსტომ ბიბილურს ცხრაზმის ერისთავად ბიზანტიის იმპერატორი იუსტინე II ამტკიცებს 571 წლის ახლო ხანებში".*[1]

მატიანეს მიხედვით, როსტომის მერე ერისთავი ხდება მისი შვილი ლარგველი, შემდეგ დიმიტრი და შემდეგ მათი გენეალოგიური ხე ითვ-ლის 24 ერისთავს, საქართველო კი 26 მეფეს. ამით ამთავრებს მემატიანე ცხრაზმისხევზე ერისთავთა ყოფნის პირველ პერიოდს, აგრძელებს თხრობას XIII-XIV საუკუნეების ამბებით და იმ ზოგიერთი ეპიზოდებით, რომლის მომსწრეც თვითონ არის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მატიანეს პირველ ნაწილს ეჭვის თვალით უყურებენ ზოგიერთი მკვლევარნი. თვით დ. გვრიტიშვილი ამაზე ერთგვარ განმარტება-დარიგებას იძლევა:

---

[1] ღუნაშვილი ვ., ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია, გვ. 40.

*„...ძეგლი ერისთავთა“ საერისთავოს XIII-XIV საუკუნეების ისტორიისათვის მართლაც ფასდაუდებელი ისტორიული წყაროა, მაგრამ წინა ხანისთვის ძეგლის ცნობები საეჭვოა და ნაკლებ სანდო, ამიტომ ქსნის საერისთავოს წარმოქმნის საკითხის გარკვევისათვის ძეგლი მხოლოდ ნაწილობრივ თუ გამოდგება“.*[1]

ძეგლის პირველ ნაწილზე უფრო დაბალანსებულ დასკვნას იძლევა ვ. ღუნაშვილი: *„ამდენად ძეგლი ერისთავთას თავნაკლულ დასაწყისში გადმოცემული ამბები ასახავს VI ს. 70-80-იანი წლების ქსნის ხეობის ზედა წელზე ცხრაზმის საერისთავოში მიმდინარე მოვლენებს და წარმოადგენს იმ პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებათა ანარეკლს“.*[2]

ერისთავების, ასევე ბოლონაკლულ, საგვარეულო მატიანეს მეორე ნაწილში უფრო დამაჯერებლად და დეტალურად არის აღწერილი XIII-XIV საუკუნეების ამბები. რაც უფრო უახლოვდება აღმწერელი თავის ცხოვრების პერიოდში მომხდარი ამბების თხრობას, მით უფრო ცხოველმყოფელი და საინტერესო ხდება ისტორიაც.

ლარგვისის მონასტრის მწიგნობრის თხრობის მიხედვით, ისტორიას მითვლილი 24 ერისთავის შემდეგ ცხრაზმის ერისთავი ვირშის სასახლეში აღზრდილი ვირშელ I-ია, რომლის ერისთავობის პერიოდი 1280-1290-იანი წლებია. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ასაკში გარდაცვლილ ვირშელს დარჩა სამი წლის შალვა, რომლის მეურვეობა ერთიანი საქართველოს მეფემ ვახტანგ III (1289-1292) იკისრა.

მეფე დემეტრე თავდადებულს (თავი მოკვეთეს მონღოლებმა 1289 წ.) დარჩა სამი ვაჟი:

დავითი – შემდგომში დავით VIII (1290-1313)

ვახტანგი – შემდგომში ვახტანგ III (1302-1308)

გიორგი – შემდგომში გიორგი V ბრწყინვალე (1314-1346)

უფროსი შვილი დავითი მამის სიკვდილის შემდეგ ილხანთა კარზე იდგა. შუათანა – ვახტანგი, მამამ ურდოში წასვლამდე მთიულეთში გახიზნა, მაგრამ არის მოსაზრება, (ე. ხოშტარია-ბროსე), რომ მთიულეთში კი არა, შალვა ქვენიფნეველთან ერთად ცხრაზმაზე აფარებდა თავს, რადგან მანამდე შალვა დემეტრეს კარზე იზრდებოდა. შემდგომ როდესაც ვახტანგ დემეტრეს ძე ხდება მეფე (1302 წ.) ძმის, დავით VIII-

---

[1] გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 57.

[2] ღუნაშვილი ვ., ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია, გვ. 41.

ის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისა და ერთგულებისთვის შალვა ქვენიფნეველს უბოძა – *„თრუსოი, ღუდაი, გაგასძენი, მლეთე, არახვეთი, ხანდოი, ყანჩაეთი, აბაზასძეთა მამული, ძაგნაკორნანი, დიღვამი, გავაზი, აწრისხევი, ბეხუშე“.*

მალევე შალვა ქვენიფნეველი ირთავს ოსეთის მეფის ასულს – *„სახელად შირდი, რომელმან განადიდა პატივი მონასტრისა ამის (ლარგვისის. ვ. ქ.) და შექმნა ყოველი სამსახური ეკლესიისაი“.*

შირდიმ ერისთავს ცამეტი შვილი გაუჩინა *„ქველნი და გონიერნი“.* ამ ქველ და გონიერთაგან ცხრაზმის ერისთავი ხდება ლარგველი (1318 წ.) *„ამან აღაშენა უკანციხე თავსა ისროლის ხევისასა და ტფილურითა წესითა დარბაზოვანი ქვენიფნევს* (ამ სასახლის ორი სართულის ფრაგმენტები დღესაც შთამბეჭდავად დგას საძეგურის სიახლოვეს ქვენიფნევში. ვ. ქ.). *ამან შექმნა დიდი ესე ხატი მაცხოვრისა საზომითა ტანისა თვისისაითა და მოჭედა იგი. ამანვე შეამკო დიდი ესე ხატი თედორესი და შექმნა ორი კანდელი და დაუკიდა წინა.*

*ამას ჟამსა ადიდდა ქსანი და წარიღო ერთ კერძი ზღუდე აღმოსავლით კერძო და სამრეკლონი დიდნი და შვენიერნი“.*

გარდაცვლილ ლარგველს დარჩა სამი ვაჟი. მათგან უფროსი-ვირშელი ერისთავი ხდება: *„ამ ჟამსა მოვიდა ამბავი-კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა დაეპყრნესო, და დიდად შეწუხდა მეფე გიორგი (ბრწყინვალე. ვ. ქ.). მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისაი, რომელსა ერქვა პიპაი..... და წარჰყვა თანა ბანდასძე დეკანოზი იოანე და მივიდა პიპაი წინაშე ნისრელისა. ხოლო მან (ეგვიპტის სულთანმა. ვ. ქ.) სიხარულითა შეიწყნარა ძღვენი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალემისანი. მივიდა პიპა ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვია, ჟამი აწირვა, აკურთხა, ეზიარა და დეკანოზი იოვანე აკურთხეს მოძღვართ-მოძღვრად. და მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა ვირშელს და ყოველსა ერსა ცხრაზმისხევისასა, რომელ მოძღვართ-მოძღვრობაი ნუვის ხელეწიფების თვინიერ ამისსა...*

*ხოლო პიპამან მოილოცნა წმინდანი ადგილნი, და შეკრიბნა ნაწილნი წმიდათანი და ხატნი შვენიერნი და წარმოვიდა მასვე გზასა ხმელით და მოვიდა წინაშე მეფისა... ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა“.*

ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე, რაც ქრისტიანულ და არა მარტო ქრისტიანულ სამყაროში დიდ ავტორიტეტს უქმნიდა ქართულ სახელმწიფოს, ცხრაზმის საერისთავოს წარმომადგენლებმა, ქვენიფნევის სასახლეში გაზრდილმა პიპა შალვას ძემ და ლარგვისის დეკანოზმა იოანე ბანდას-

ძემ, გიორგი ბრწყინვალის სამხედრო და დიპლომატიური ნიჭის წყალობით წარმატებით დააგვირგვინეს 1320 წელს ეგვიპტის სულთანთან თავიანთი ელჩობით, **„რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა“.** მას მერე დაიშვა გამონაკლისი მხოლოდ ქართველთათვის – უფლება ცხენზე ამხედრებულთ, გაშლილი დროშებით იერუსალიმში შესვლის და ქრისტეს საფლავზე ლოცვისა.[1]

ამბების თანამიმდევრობით, „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი შემდეგ აგვიწერს გორში გამაგრებულ ოსებზე, გიორგი ბრწყინვალის სამი წლის მანძილზე ბრძოლას და მათ განდევნას საქართველოდან. ამ ბრძოლებში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქსნელები და არაგველები, რომლებიც ერთმანეთს დაემტერნენ. ბრძოლებში მეფე ქსნელებს – *„აქებდეს ქებითა დიდითა, რომელი ესე შეიშურვეს მთიულთა არაგვისათა და თქვეს:*

*– უკეთუ ჰომსა ამას გარეგანსა უმჯობეს არიან, არამედ მივიდეთ მთასა ლომისისასა და მუნ შემებნენ ჩვენ და იხილოთ, რომელნი უმჯობეს ვართ. მაშინ შექმნეს პაემანი და დაიმუქრნეს...“*

– პატივმოყვარე მთიულები ქსნელებს საომრად ლომისის მთაზე ელიან. თავმომწონე ქსნელებიც უკან არ იხევენ და მიდიან. ძმათაშორის სისხლისღვრის წინააღმდეგია მეფის ძე დავითი. მისი რჩევით, ლომისას მისული ვირშელი თავის ჯარით უკან ბრუნდება. გაიგეს რა ეს მთიულებმა, გაგულისებულნი დაედევნენ ქსნელებს. მაშინ *„დავით, ძე მეფისა, მუხლთა დაუყრიდა და ლომისას მყოფნი ხატთა დაუსვენებდეს და ევედრებოდეს, რაითა არა სდევდენ. ხოლო მათ არა ისმინეს, არამედ მრავლითა გინებითა მოსზახდეს და საგორავისა სიმრავლესა ჩამოჰყრიდეს“.*

მაშინ ქსნელებმა ვეღარ მოითმინეს: *„წარიძღვანეს დროშაი და აღემართნეს ორსა მას ქედსა მთას, ლომისისასა... და აღვიდეს კვალადცა, რამეთუ დაბურვილ იყვნეს ფარითა, ვითარცა სიპითა“.*

ამ საშინელ ბრძოლაში მთიულები მარცხდებიან. გამარჯვებულ ერისთავს ლომისამდე მოჰყავს ტყვეები და იქ ათავისუფლებს. ლომისის წმ.

---

[1] პიპა ქვენიფნეველი მეფე გიორგი ბრწყინვალის სახელმწიფო მოღვაწეა. პოლიტიკური მრჩეველი და კარის დიპლომატი. პიპა თავის დროის გამოჩენილი მწიგნობარი და მჭევრმეტყველი უნდა ყოფილიყო. როგორც ზემოთ ითქვა, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის „კლიტენი“ საქართველოში ჩამოიტანა. ამ დამსახურებისათვის ჯვრის სპეციალურ დავთარში აღუბეჭდავთ შალვა ქვენიფნეველის, პიპა ქვენიფნეველის და მისი მეუღლის თამარის მოსახსენიებელი აღაპები, იხ.: მეტრეველი ე., მასალები. თბ., 1961. გვ. 55, 63, 74-75. აგრეთვე კანდელაკი ნ., ქართული მჭევრმეტყველება. თბ., 1966, გვ. 492.

გიორგის შეწირა შესაწირველი *„არამცირედი“* და *„ისტუმრა შინა დავით, ძე მეფისა და შემოწირა ეკლესიასა ამას* (ლარგვისს. ვ. ქ.) *სვინაქსარი ესე კეთილი“.*

განვლო დრომ და სამ დღეში გარდაიცვალნენ ჯერ ვირშელი, შემდეგ მეუღლე მისი – გვანცა (სავარაუდოა, ეპიდემიით). დარჩათ სამი მცირეწლოვანი შვილი: ქვენიფნეველი; იოვანე; გიორგი. მათი უწლოვანების გამო ცხრაზმის საერისთავოს ცხრა წლის მანძილზე წინამძღვრობდა ბიძა – წითლოსანი.[1]

*„შემდგომ აღიზარდა ქვენიფნეველი და დაჯდა ერისთავად. იყო კაცი კეთილი, მშვიდი, და გონიერი... მან აღაშენა ქვენიფნევს ეკლესიაი და დარბაზოვანი დიდ-დიდი. ამის მონასტრისათა აღაშენა საზეთე და განაჩინა იზ (17) აღაპი და შემოიწირა ცხრაი ვენახი და გლეხნი მსახურად ეკლესიისა“.*

როგორც ირკვევა, ამ პერიოდისთვის მხნე და ახოვან ქვენიფნეველს პირად დაცვაში ჰყოლია 72 შუბოსანი.

– მის დროს ჟამურის ხევს დასცემიან არაგვის ცხავატელნი. უმარჯვენია ერისთავის უმცროს ძმას – გიორგის და *„გააქცივნეს აღმა მთისა სიმაღლესა. და ვითარაცა აღვიდეს მთად, დაუდგეს წინა მამასახლისნი და აღარ სდევნეს, რამეთუ თქვეს:*

*– კმა არს ბრალი ესე, – რამეთუ მომკვდარ იყო გარეშე წვრილისა ერისა იჱ (17) თავადი ხევისბერი ცხავატელი“.*

ჟამურელებს, გარდა ცხავატელებისა, თავს ესხმიან დვალები. ასეთ დროს მისულან ერისთავის გაგზავნილი ბეგარის ამკრეფნი. მათი დახმარებით დვალები გაუქცევიათ, რომელთაც თავი ქნოღოს ციხისთვის შეუფარებიათ: *„მაშინ განრისხნა ქვენიფნეველი და განილაშქრა ქნოღოს და დაარღვივნა ციხენი მათნი და მოწვა ქვეყანაი მათი. ამისსა შემდგომად დვალთა წაასხეს ხვასდაგი ჟამურით“.* აქაც იმარჯვა ერისთავმა და დაამარცხა მოძალადენი. ამ დროებაზე იღუპება ქვენიფნეველი.[2] ერისთავის

---

[1] მკვლევარ ვ. ღუნაშვილის მოსაზრებით, გიორგი ბრწყინვალის ლომისის მთით ცხრაზმისხევზე ჩამოვლა და მოკვლევა „მუნებური სასაქმო“-სი უნდა გულისხმობდეს წითლოსანის წინამძღვრად დაყენების საკითხსაც. იხ.: ღუნაშვილი ვ., ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია, გვ. 71.

[2] ქვენიფნეველის დაღუპვაზე ცნობას გვაწვდის ვ. ღუნაშვილი: „დღეისთვის უკვე დადგენილია, რომ მეფე გიორგი არის „პროვინციის მეფე“ გიორგი ალასტანელი, რომლის ამილახორი არის ცხრაზმის ერისთავი ქვენიფნეველი, რომელიც დაიღუპა გიორგი ალასტანელთან ერთად 1373 წ. 6 აგვისტოს. იხ.: ვ. ღუნაშვილი, ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია, გვ. 80.

ადგილს მემატიანის თქმით იკავებს შუათანა ძმა იოანე,[1] რომელიც მალე ქორწინდება და მალევე, „მიეცათ მათ ყრმა წული“. შემდგომ ფეხმძიმობაზე მეუღლე ეღუპება და *„რავდენთამე წელიწადთა მოიყვანა იოვანე ცოლად ასული მღრთივგვირგვინოსნისა დავით მეფეთ-მეფისა, გიორგის ძისაი, რომელსა ეწოდა გულშარ“*. გულშარმა მხოლოდ ორი ქალიშვილი აჩუქა ერისთავს.

იოანე ერისთავის დროც არ ყოფილა საამო და უშფოთველი. მემატიანე მალიმალ გვაწვდის ახალ-ახალ ინფორმაციას უარყოფით მოვლენებზე:

– *„ამას ჟამსა იყო შფოთი და პოეს ჟამი დვალთა და წაასხეს ღუდით ზროხაი..“.*

– *„მაშინ მთიულნი არაგვისანი ყოველნი დაესხნეს გრემისხევს..“.*

– *„ამას ჟამსა იქმნა წვიმაი მძაფრი და ადიდნა ქსანი და მოჰმართა მონასტერსა ამას და წარიხვნა ზღუდენი და სამრეკლონი და გამოთხარა ძირი ეკლესიისაი. მაშინ ერისთავმან იოვანე მასვე კვირიასა შინა იწყო შენებად ზემოისა ამის ეკლესიისაი, რომელ სამ წელ აღაშენა..“.*

– *„ამას ჟამსა ქვემო დვალთა წაასხეს ზროხაი აწ ერისხევით..“.*

– *„მაშინ მოშლილ იყო დიდი იგი საყდარი იკორთას მთავარანგელოზისა მიქელისი, და იწყეს შენებად..“.*

– *„და კვალად ყანჩაეთს მეორედ აღმაშენებელ იქმნნეს ტაძარსა დედისა ღმრთისასა..“.*

– *„ხოლო საქმე ერისთავისა იოვანესი ვითარ გაუწყო... და მოკვდა კეთილითა სიბერითა და დაეფლა მის მიერ აღშენებულსა მონასტერსა“.*

ძალზე მღელვარე და ხმაურიანი გამოდგა დრო იოვანეს ერისთავობისა: დაცემები დვალ-მთიულებისა. დაწვა, ნგრევა, ხოცვა-ტაცება ერთურთისა, წყალდიდობები, მიწისძვრები და სხვა უბედურებები. მიუხედავად ამისა, ენერგიულ ერისთავს მაინც არ დაუყრია ფარ-ხმალი. დაქვრივების მერე ბაგრატონიანთ სიძეობდა, იბრძოდა, აშენებდა, ამშვენებდა *„ხატთა და ეკლესიათა. იყო იგი მამა ობოლთა, შემწე ულონოთა, მოშიში ღმრთისა, მოყვარე მღვდელთა, პატივისმცემელი მონაზონთა, შემამკობელი ხატთა...“* და სხვა.

---

[1] ს. კაკაბაძე მიუთითებს, რომ იოანეს „პროვინციის მეფეთა კარზე ჰქონია მანდატურთუხუცესის თანამდებობა – ამირეჯიბობა. ამასვე იმეორებს ვ. ღუნაშვილი და დასძენს, რომ საწოლის მწიგნობარი, ამირეჯიბი და ამილახორი სავაზირო სხდომებს ესწრებოდნენ და სათათბიროს უფლებებიც ჰქონდათ. იხ.: ვ. ღუნაშვილის მითითებული ნაშრ. გვ. 86.

ერისთავი იოვანე იყო ცხრაზმისხევის ის ერისთავი, ვის სიკვდილსაც ლარგვისის მონასტრის მწიგნობარ-მემატიანე გრიგოლ ბანდასძე მოესწრო და დაიტირა. სწორედ მან იცოდა ყველაზე მეტი იოვანეზე და მის შვილ ვირშელზე, რომლის გაერისთავება ბანდასძის თვალწინ მოხდა. ვირშელი ბოლონაკლულ მატიანეში ცხრაზმის საერისთავოს ბოლო მოქმედი ერისთავია და თემურლენგის მარბიელ ჯართან წარმატებით წარმოებული თავდაცვითი ბრძოლების გმირი.

ბუნებრივია, რომ თავის თანამედროვე ერისთავს მწიგნობარი უფრო დაწვრილებით დაგვიხატავდა. მეტი საამო-სახოტბო სიტყვით შეამკობდა წიგნის შემკვეთ ფეოდალს, იმ ლამაზი სიტყვებით, რითაც ოდითგანვე მდიდრობდა ქართული ენა და რითაც ხელეწიფებულ იყო ჩვენი ნიჭიერი, ამაგდარი გრიგოლ ბანდასძე. გარდაცვლილი იოვანე ერისთავის ადგილს 14-15 წლის ყმაწვილი ვირშელი იკავებს.

*„და დაჯდა ძე მისი ვირშელი. იყო კაცი შვენიერი და სრული ყოვლითა კეთილითა, ბრძენი, გონიერი, მშვიდი, უშურველი, სამართლის მოქმედი-მოწყალე... ხოლო იყო ჭაბუკი ასაკითა და უბრძნეს მოხუცებულთა სათნოებითა, ბრძოლათა შინა უძლეველი და გამომრჩევი ქებული. რამეთუ კარსა მისსა იყო გალობაი და ლოცვაი დაუცადებელი. და პირველსავე წელსა ერისთავობისა მისისასა აღაშენა ქვიტკირითა ეკლესიაი წმიდისა ნიკოლოზისი“.*

ბუნებრივია, აღმზრდელნი და მრჩეველნი ეყოლებოდა ჭაბუკ ერისთავს. სწორედ მამამისის ხელში დაბრძენებულ, ახლომდგომ პირთა ჩაგონებით იწყებს საერისთავოს მაღალ მთებში მცხოვრებ, ერთგულებაში მუდამ მერყევ დვალთა მოთვინიერებას.

*„აწ ჩვენ მოვიცალოთ მათთვის, ანუ ავაოხროთ ქვეყანაი მათი და ანუ შევქმნნეთ მსახურ და მობეგრედ ჩვენდა. ნუ თუ მათ პოონ ჟამი ჩვენ ზედა, ოდეს ჩვენ უცალო ვიყვნეთ სხვისა შფოთისაგან, მათ შური იგონ და დაატყვენონ ნაპირი მათ კერძო სოფელი ჩვენი“.*

შემოიკრიბა ჭაბუკმა ერისთავმა ლაშქარი და მიადგა ბეხუშეს: *„და ესმა ქვემო დვალთა კოშკელ იოსებურთა, თლეველ-მულისველელთი, ზღუბერელ-როკაელთა შეძრწუნდეს და მოუსხეს მძევლები, ძღვენი და ბეგარი და ფიცით აღუთქვეს ერთგულად მსახურებაი“.*

საომრად ამხედრებულ ვირშელს მორჩილებით, მდაბლად უკრავენ თავს ქვემო დვალელნი: *„მაშინ შეიწყალა ქვეყანაი მათი და არაი ბოროტი უყო მათ“.*

ქვემო დვალეთიდან მაღრან-დვალეთს მიაშურა ვირშელ ერისთავმა: *„ესმა მაღრან-დვალთა და მოვიდეს ბრუტას შვილნი და კელეურ-კაბუშურნი და ყოველნი, სოსხოელ-წუბენისხეველნი, ხოჯაელ-წაელნი მძევლითა, ბეგარითა და ძღვენისა სიმრავლითა. და მოიმტკიცნა ფიცითა, და აღუთქვეს ერთგულებით მონებაი“.*

ძლევამოსილებით მოლაშქრე ვირშელი მაღრან-დვალეთიდან თრუსოს ჩადის. მათაც სრული მორჩილება გამოუცხადეს და მნაველთა წინააღმდეგ დახმარებას სთხოვენ: „ხოლო ერისთავმა უბრძანა მნაველთა მოსვლად წინაშე მისსა არამედ მათ არ ინებეს, რამეთუ თქვეს:

*– „არა მეშინის შენგან და ვერც რას შემძლებელ ხარ ვნებად ჩვენდა.*

*– მაშინ განრისხნა ვირშელ და შეუზახა ლაშქარი თვისი“.*

დიდი ცოდვა-ბრალი დაატრიალა ვირშელის ჯარმა მნაველებთან.

*– „და იყო ბრძოლაი სასტიკი, რამეთუ კაცნი იგი იყვნეს მარჯვედ მბრძოლნი, მხნენი და გოლიათნი და აბჯარსრულნი... მაშინ მოიკლნეს სიმრავლითა ისართაითა თავნი და გოლიათნი ქვეყანისა მათისანი: სუნდღუ, ფარეჯან, ამსაჯან, ბაღათარ და სხვანი მრავალნი“.*

ამ პატარა, ლოკალურ შერკინებაში მრავალსახელიან მეომართან ერთად იღუპებიან მნაველთა ოთხი სახელოვანი *„თავნი და გოლიათნი,“* მიუხედავად მათი აბჯარასხმულობისა *„და დაწვნეს და დაარღვივნეს ციხენი და სოფელნი იმათნი“.*

მნაველთა ომის ზათქი გაიგეს თუ არა პატივმოყვარე მოხევეებმა, თავიანთი ლაშქრით მოადგნენ ვირშელს: *„და ვითარცა იხილეს სიმრავლე ლაშქარისაი, შიშით დაიმალნეს. უკუმოდგა ერისთავი კობს, და მიიღეს მოხევეთა სიმრავლე ძღვენისაი და შემდგომად განთენებისა წარმოვიდა“.*

იგივე მოიმოქმედეს ხადელ-ცხავატელმა მთიულებმა და მათაც *„სიმრავლითა ძღვენისაითა მოეგებნეს, რამეთუ შეეშინა ფრიად. ხოლო ვირშელმა დაიდვა ნადიმი ვაკესა ხადისასა და ძღვენი ყოველი მიითვალა. აღდგა, ლომისას გამოვიდა და გაუშვა ლაშქარი ყოველი. წმ. გიორგის შეწირა არამცირედი, ტყვენი ყოველნი მოწამესა აპატივნა და განათავისუფლნა და განმარჯვებული მოვიდა“.*

ასე ოსტატურად აღწერს მემატიანე საერისთავოს მთიან რეგიონში ვირშელის ლაშქრობებს, რომელიც დიდი ალაფობით დამთავრდა. ქვენიფნევს დაბრუნებული ერისთავი ცოლად ირთავს თამარს – *„პატივოსანი ნათესავთაგან დიდტომთა, რომლის სიტურფე, სიკეთე-უკლებობაი უნახავთაგან სანატრელი იყო და ნანახთაგან სატრფიალო“.*

ერისთავ ვირშელისა და მისი ლამაზი მეუღლის ბედნიერი ცხოვრება იმ შუა ფეოდალური ხანის საქართველოს უშფოთველ ცხოვრებასთან ერთად დამთავრდა; რისი მიზეზიც გახლდათ მოსვლა *„თემურ სამანგნელი ყოვლითა სპითა ჩაღანელ-ქაშანელ-სიყალბელ-ნაჰრომელ-ინდუსტანელითა და ყოვლითა სპარსეთისა და აღმოსავლისა ლაშქრითა, დიდითა რისხვითა და გულისწყრომითა".*

მემატიანე გვიმხელს იმ დროის ერთადერთ მოღალატეს ცხრაზმის ერისთავთა შტოდან ბერდიას შვილ ვირშელს.

**„მოვიდა თემური და წარმოუძღვა წინა ბერდიას შვილი ვირშელი და შემუსრა ყოველნი ციხენი და დააქცივნა ყოველნი საყდარნი... და დაფარნა ლაშქარმან მათმან ყოველნი მინდორნი, მთანი და ტყენი, კლდენი და ხვენი, და ვითარცა ზღვამან დაფარა ყოველი ესე ქვეყანაი. და მიეწია ლაშქარი მათი ქუთათისს, ლეკეთს და დარიალსა, და მოწვეს და მოაოხრეს ყოველი საქართველოი, დაყარეს მძორი მკვდრისაი, ვითარცა მჭელი თვისაი"** (მჭელი – ხელეული, პეშვი. საბა).

მტრის სიმრავლით შეშინებული მეფე გიორგი ლიხთიმერეთს აფარებს თავს, ხოლო პირქუშ, მიუდგომელ ციხეთა პატრონი ცხრაზმის ერისთავი ბეხუშის ციხეს *„დედა-წულითა და ჯოგითა, და თანაჰყვა კათალიკოზი ელიაზ ყოვლით საყდრისშვილითურთ და ხიზნითა და ჯოგითა და ცხვრით".*

თემურლენგის მარბიელი ჯარი გასცდა ლარგვისს და მიაღწია ბეხუშეს. მაშინ ერისთავმა წინდახედულება გამოიჩინა და **„...უკუაყენა ხიზანი და დედა-წულნი ქნოლოს".** თვითონ კი დიდებულ-აზნაურებით ბეხუშის გარე ციხეში გამაგრდა. მალე გაიმართა ხელჩართული ბრძოლა: *„მოვიდა ლაშქარი, ვითარ დაიტევდა სივიწრე ხევისაი"*, მედგრად დახვდნენ ერისთავ-აზნაურნი, რადგან *„ვერ მოეტეოდა ლაშქარი მრავალი და მიბრუნდეს წინანი მბრძოლნი, რამეთუ მრავალი მოკვდა მათგანი, და წარმოვიდა ყოველი სპაი.*

*მაშინ ერისთავი გამარჯვებული* (უჯაროდ. ვ. ქ.) *მივიდა ქნოლოს ხილვად დედა-წულთა".* მრისხანე მტრის მოგერიების შემდეგ ძეგლის ავტორი გვაცნობს ქნოლოში მცხოვრებ ზნედაცემულ ვინმე ხარებას, რომელსაც გულში ვირშელის ღალატი და მოკვლა განუზრახავს. სწორედ ამ განზრახვით უცნობებია ხარებას დვალელთათვის: *„მტერი თქვენი ყოველთაი სახლსა შინა ჩემსა არს. აწ მოვიდით და მოვკლათ ესე".* გახარებიათ დვალებს ხელსაყრელი დროის ხელში ჩაგდებით და წამოსულან

კიდეც ქნოღოს, მაგრამ – **„აუწყა კაცმან კეთილმან განზრახვაი მათი“** – ერისთავს, ისიც აღარ გაჩერებულა და წამოსულა ხარებასგან.

გახარბებულმა ხარებამ იმხელა უზნეობა გამოიჩინა, რომ გზადმავალ დაუცველ ერისთავს წამოეწია და **„ზოგი რაიმე სალარო წარუღო“** – წაართვა. სამშვიდობოს მყოფმა ერისთავმა კვლავ შემოიკრიბა თავისი შეთხელებული ჯარი და მოღალატეთა დასასჯელად ქნოღოს მიადგა.

*„ხოლო ხარება და მიმდგომნი მისი შეაწყვდივნა ციხესა შინა და დახოცნა ყოველნივე,“* მხოლოდ ცოცხალი დატოვა დედასთან ერთად ხარებას სამი წლის ყრმა და ერთი ძმა.

გაიგეს თუ არა დვალებმა ხარებას აწიოკება, მაშინვე მიუხტნენ ჯერ კიდევ ქნოღოში მყოფ ერისთავს, მაგრამ შებრძოლება ვერ გაუბედეს. მაშინ უთხრა ვირშელმა დვალთა:

*„უკეთუ გნებავს ხილვაი ჩემი, მე მოვალ ქვეყანად თქვენდა, და თქვენ რაიცა გნებავს, იგი მიყავთ“.*

დაქადნებული ერისთავი წამოვიდა ქვენიფნევს და დიდად გასახარი ამბავი დახვდა შინ. *„მიეცათ მათ ყრმაი წული და განიხარეს სიხარულითა დიდითა და უწოდეს ქვენიფნეველი“.*

*„თემურ სამანგანელისგან“* მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდა ქართველთა ქვეყანა. დანგრეული და გადამწვარი დატოვა მტერმა ქსნის ხეობა, *„და დარჩეს ერისთავსა ზემოით თავადი ციხე ქვენიფნევს და სახლები ი (10) და ციხე ქოლოთისაი, ციხენი ისროლისანი, ციხე ბეხუშისი, ციხენი უკანუბნისანი, სახლი ნაკაფოვნისი და სახლი წინუბნისი და სხვაი ყოველი აღაოხრეს“.*

ყოველთვის მედგრად მბრძოლი ქარჩოხის ციხე დაუნგრეველ-დაუცემელ ციხეებს აღარ არის მითვლილი. ჩანს, 1400 წელს სერიოზულად დაუზიანებია მტერს აღნიშნული ციხესიმაგრე.

საქართველოდან თემურლენგის წასვლის მერე ლიხთიმერეთიდან ქართლში გადმოვიდა მეფე გიორგი VII. **„ესმა დვალთაგან ღალატი“**, მათ დასასჯელად ჯარი შემოიყარა და სოფ. აჩაბეთის გზით დიდი ლიახვის სათავეს მიაშურა, *„ხოლო ვირშელ განილაშქრა ზემოსა მხარსა და ჩავიდა სოსხოს და აიღო მათი მას დღეს რვაი ციხე და სოფელი და ყოველი მოწვა და მოაოხრა, თვინიერ კაცთა მათ, რომელთა აუწყეს ღალატი დვალთაგან“.*

დარბეულ და მოოხრებულ სოსხოდან ვირშელი ყარას მიდის და იქაც ციხეს და ხუთ სოფელს წვავს. ამავდროულად, *„მთიულთა ჯარი ზედაზნით დარიალამდისინ ყოველნი ერთად შეკრებნით იყვნეს და*

*უძლოდათ მათ ერისთავი მათი სურამელი“*. მიუხედავად დიდი ერთობისა, მათ ვერავითარ წარმატებისთვის ვერ მიუღწევიათ ხოჯაელებთან ბრძოლაში, პირიქით, დააკლდათ *„ხუთი კაცი საჩინოი და მოეკლა გამზრდელი ერისთავისა“*.

მაშინ მიუგზავნიათ ხოჯაელებთან მოციქული მთიულებს და შეუთვლიათ: ჩვენ თქვენ სასიკეთოთ აქ კიდეც რომ არ მოვსულიყავით, მაშინ მოვიდოდა ვირშელი და ლაშქარი მისი. დაანგრევდა და დასწვავდა ყველაფერს. დავივიწყოთ ყოველი მტრობა, მომეცით **„რაიმე პირუტყვი“** *ლაშქრის დასანახად. „მაშინ დვალთა მისცნეს კაცნი, მას ჰომსა შიგან შეპყრობილნი, და ზროხანი ოთხნი“*.

შეერთებული ძალით ერისთავებმა ვირშელმა და სურამელმა ჩამოიარეს მაღრან-დვალეთი, მივიდნენ როკას, შეიპყრეს 16 კაცი, მათ მოათხრეინეს გადამალული განძი, რომელიც მეფეს ვერ ეპოვა და წამოვიდნენ მშვიდობით. მეორე დღეს ვირშელი ეახლა მეფე გიორგის. მეფემ ძლიერ გაიხარა მისი ნახვით და ნაალაფევიდან მისცა:

13 საკიდი ჭურჭელი ვერცხლისა და ოქროსი. (აქ საკიდი უნდა მივიჩნიოთ საპალნედ: აქლემის – 224 კგ, ცხენის – 147 კგ, ვირის – 65 კგ)

16 საკიდი ლარი. (ლარი-კუმაში, ფარჩა)

200 ძროხა.

30 ცხენი.

500 ცხვარი.

36 ქვაბი დიდ-დიდი.

*„2 .... პირუტყვისაი და ვერცხლი, ოქრო სხვაი“.*

აქ ჩამონათვალი ბოლო სტრიქონში **„ორი .... პირუტყვისაი“** – მეფე თავის პირად საკუთრებიდან და არა ალაფიდან აძლევს ერისთავს, მაგრამ რას? საფიქრებელია, საზამთრო ან საზაფხულო სადგომ-საძოვარს, რის მოთხოვნილებასაც ხდიდა ერისთავისთვის დიდძალი საქონლის ჩუქება.

ამ სიტყვებით წყდება თავ-ბოლონაკლული საგვარეულო ისტორია ცხრაზმისხევის ერისთავებისა, რომელნიც შემდგომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ქსნის ხეობის ერისთავების სახელით მკვიდრდებიან. ცხადია, ისტორიული მოვლენების სხვანაირად განვითარების შემთხვევაში, ერთიანი და ძლიერი ქსნის საერისთავო რომ არ შემდგარიყო და ცხრაზმისხევის ერისთავების გენეალოგიას წერტილი დასმოდა ზოგიერთი თავადური გვარივით, მაშინ არ გვექნებოდა შიდა ქართლის ცენტრალური რეგიონის ასეთი მდიდარი ისტორია და არც იმ ისტორიის შემქმნელი ქსნის ერისთავები გვეყოლებოდა, რომლებმაც წარმოუდგენ-

ლად დიდი როლი ითამაშეს საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ამ საუკეთესო საგვარეულო მატიანეზე შემდგომ თავებშიც გვექნება საუბარი, ამჯერად კი ქსნის ერისთავების წარმომავლობის კიდევ ერთ გავრცელებულ ვერსიას შევეხებით, რომელიც შედგენილი უნდა იყოს 1799 წელს,[1] ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილის იოანე ბაგრატიონის მიერ. სამეფო შტოს მწიგნობარს ერისთავების გვარის ისტორია მოცემული აქვს შრომაში *„შემოკლებითი აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა აზნაურთა გვარებისა,“* სადაც განხილულია საქართველოს სამეფოს 88 თავადისა და 281 აზნაურის გვარის წარმოშობისა და გათავადება-გააზნაურების ისტორია. ეს ისტორია ცნობილ ქსნისხეობელ მკვლევარს დ. გვრიტიშვილს განხილული აქვს თავის სადოქტორო ნაშრომში.[2] ამ შემთხვევაშიც მიზანშეწონილად ვრაცხ გავაცნო მკითხველს იოანე ბაგრატიონის ნაშრომი, მიუხედავად მისი ნაკლები მნიშვნელობისა.

---

[1] ზოგიერთი მკვლევარი იოანეს ამ ნაშრომის დაწერის დროდ მიიჩნევს 1803-1810 წლებს. იხ.: 1997 წ. გამოცემული ნაშრომი ზ. კაცელაშვილის რედაქციით.

[2] გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 59.

## თავი III

## „თავადი ქსნის ერისთავი“

*„ძველთა დროთაგან არვინღა არიან, რომელნიც მოსრულნი იყვნენ თურქისტნის მხრიდან ავარიელნი ხალხნი, რომელთაცა დაიპყრეს კასპიის ზღვიდგან ვიდრე შავ ზღვამდის და დაეშენნენ მუნ დროსა საქართველოს მეფისა გურამ ბაგრატიონისასა“.*[1]

ეს ხალხი განიცდიდა მუდმივ შევიწროვებას გურამ მეფისაგან. მაშინ ავარიელთა ბეგნი მივიდნენ კეისარ იუსტინიანესთან თხოვნით: უშუამდგომლოს საქართველოს მეფესთან მშვიდი და მორჩილი ცხოვრებისთვის. შეიწყნარა კეისარმა მათი თხოვნა და საქართველოს მეფეს მოუწოდა ზავისა და მშვიდობისაკენ, რათა დაერთო ნება ავარიელთათვის უშიშარი ცხოვრებისა. გურამმაც შეასრულა კეისრის თხოვნა და კავკასიაში ზოგიერთ თავისუფალ ადგილზე და მათ შორის ხუნძაში დაასახლა ავარიელნი. ხოლო მათგან რამდენიმე წარჩინებული შიდა ქართლში გადმოიყვანა და მისცა თავადობა. ამ თავადთა შთამომავალია კონსტანტინე – მთავარი შიდა ქართლისა, *„რომელიც ეწამა სპარსთაგან ქრისტესთვის და მერმე ამისა შთამომავლობათაგანი თორნიკე დაიდგინა ერისთავად ქსნისა“.*

გარკვეული დროის შემდეგ ვითარების გართულების გამო თორნიკე წყვეტს საერო მოღვაწეობას, ხდება ბერი და მიდის ათონის მთაზე. *„... ხოლო შემდგომად ამის იყვნენ მონათესავენიცა მათნი ერისთავად, გარნა ასწყდენ იგინიცა.*

*მაშინ მართვიდნენ ქსანსა სხვა-და-სხვა მოხელენი მთისანი და სხვანი თავადნი სხვათა და სხვათა დროთა შინა, ხოლო უკანასკნელ დროსა მეფისა რუსუდანისასა იქმნა რა აღრეულობა საქართველოსა შინა და ბრძოლაი ნოინთაგან მაშინ მოვიდნეს ეს აწ წოდებული ერისთავთა წი-*

[1] საქართველოს მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფილება, ფონდი S – 550.

*ნაპარნი სამეფოს ხეობიდგან ოსეთისასა რომელიც არს ნარად წოდებული ადგილი, რომელნიც იყვნენ გვარით გორჭიანნი...“*[1]

იოანეს მიხედვით, 1235 წელს გორჭიაანთ გვარიდან ქსნის ხეობაში **„მოვიდნენ ორნი მამანნი“.** პირველი – ბიბილა დასახლდა ქვენიფნევში, ხოლო მეორე, რატი – ჟამურის ხეობაში. მათმა შთამომავლებმა 1412 წელს კონსტანტინე მეფისაგან გაწეული სამსახურისათვის მიიღეს თავადობა და იწოდნენ ბიბილურ-ქვენიფნეველებად.

*„... ხოლო შემდგომად რა მიიღო მეფობა სვიმონ მეფისა ძმამან დაუდხანად წოდებულმან ამან იმოყვრა ელიზბარ ქვენიფნეველი და დაუმტკიცა ერისთაობა გასამტკიცებლად თავისა თვისისა წელსა ქრისტეს აქეთ 1569 და მუნიდგან იწოდებიან გვარნი ამათნი ერისთავად“.*

შემდგომ მეფე თემურაზმა მათ შთამომავლებს: შანშეს და მერე დავითს მისცა ერისთავობა. ხოლო შემდეგ მეფე ერეკლემ დავით ერისთავის შვილს – როსტომს. როსტომით მთავრდება ერისთავობა ქსანზე. მისით განაწყენებული მეფე ერეკლე მეორე 1777 წელს აუქმებს ქსნის საერისთავოს. ამის შემდეგ, მეისტორიეს მიხედვით, ქსნის ერისთავიანნი იყოფიან სამ სახლად:

1. დავით ერისთავის შვილები (I ხარისხის თავადები)
2. ყულარაღასის შვილები (II ხარისხის თავადები)
3. აღაბაბის შვილები (III ხარისხის თავადები)

*„ხოლო სხვანი ბიბილურები არიან აზნაურად გამხდარნი და გაყმაებულნი მათნი და რატიანიცა დამდაბლებულნივე მათგან.....“.*

იოანე ბაგრატიონის ამ გადმოცემის გარდა ქსნის ერისთავების წარმომავლობაზე კიდევ ერთმა, ამჯერად ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის გაკეთებულმა ჩანაწერმა მოაღწია. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამ ჩანაწერის აქ სრულად მოყვანა მით უმეტეს, რომ იგი კავშირშია მეზობელ არაგვის ერისთავების სადაურობასთან.

გადმოცემის თანახმად, ქსნისა და არაგვის ხეობათა მოსახლეობა ლომისის მთაზე წმინდა გიორგის დღესასწაულს ერთად იხდიდა. მათ განუწყვეტელი დავა ჰქონდათ ამ დღეობაში თავისი ადგილისა და უფლებების გამო, რომელიც ყოველწლიურად სისხლისღვრით მთავრდებოდა. ლომისის ერთ-ერთ დღესასწაულზე იმყოფებოდა ოსეთის მეფის დუდარუკების

[1] გორჭიანნი ანუ გურჭიანი (გურწიანი) იყო კომპაქტურად დასახლებული უბანი ჟამურის ხეობაში, რომელსაც ადგილობრივი ოსები ძიმირის სახელითაც მოიხსენიებდნენ. ცხოვრობდნენ გვარად გურწიევები, რომლებიც მასობრივად გადასახლდნენ ჩრ. ოსეთში XX ს. 60-იან წლებში.

ჩამომავალი ორი ძმა თაგაური: – სიდამონი და როსტომი. მათ ორი ხეობის მოჩხუბარი ხალხი შეარიგეს და ზავის პირობები დაუდგინეს. მადლობის ნიშნად ძმებიდან უფროსი სიდამონი არაგვის, ხოლო უმცროსი – როსტომი ქსნის ხეობის მამასახლისებად მიიწვიეს. საქართველოს მეფემ კი მხედველობაში მიიღო რა მათი დამსახურება და ჩამომავლობა, ისინი ერისთავებად გაიხადა.[1]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქსნის ერისთავებზე არსებობს კიდევ ერთი, დავით ციციშვილის, ვერსია *„შემოკლებითი მოთხრობა“*, რომელსაც არ ვთვლით საჭიროდ აქ დასაბეჭდად (ეს დოკუმენტი ინახება ისტორიის ინსტიტუტში). ხოლო რაც შეეხება იოვანე ბაგრატიონის *„შემოკლებით აღწერაში“ „თავადი ქსნის ერისთავის“* საკითხს მკვლევრები ტენდენციურს უწოდებენ, ალბათ „ძეგლი ერისთავთასგან“ დიდი განსხვავების გამო. საფიქრებელია, რომ იოვანესგან ქსნის ერისთავების წარმომავლობაზე, ბანდაისძისგან განსხვავებით, უარყოფითი და არათავმოსაწონი მნიშვნელობის *„ისტორიული ცნობების“* საზოგადოებისთვის მიწოდება აიხსნებოდეს სამეფო კარსა და ერისთავთა შორის არაკეთილი და ანტაგონისტური ურთიერთობებით, რაზეც გ. თოგოშვილმა ადრე გაამახვილა ყურადღება: *„...ცნობაც აშკარა ტენდენციურია. იგი გამოხატავს ქსნის ერისთავთა მიმართ სამეფო კარის თვალსაზრისს, რომელიც აშკარად მტრული იყო XVIII ს. განმავლობაში“.*[2]

ძნელი დასაჯერებელი იქნება, რომ გრიგოლს და იოვანეს ერისთავების საგვარეულო მატიანეზე და გენეალოგიაზე მუშაობისას რაიმე დოკუმენტური წყაროებით არ ესარგებლათ. მათ – ლარგვისის სამონასტრო კარზე მონასტრის წინამძღვარს და სამეფო ხელისუფლების კარზე – უფლისწულს, საუკეთესო პირობები ექნებოდათ (შედარებით) მთელ რიგ ისტორიულ წყაროებზე ხელმისაწვდენად, მაგრამ ფაქტი ერთია, იოვანეს თხზულება ქსნის ერისთავებზე ლეგენდას უფრო ჰგავს, ვიდრე ისტორიას, სადაც უსუსურად დაკავშირებულ მოვლენათა შეუსაბამო ერთობლიობაა. ამ მოვლენათა შეუსაბამობაში იგულისხმება თუნდაც თორნიკე ერისთავი, რომელიც ქსნის ერისთავად არის მიჩნეული – რაც აბსურდია.

---

1 არაგვის ერისთავების გვარზე არსებობს კიდევ ერთი განსხვავებული ვერსია იოვანე ბაგრატიონისა, რომელიც მოყვანილი აქვს დ. გვრიტიშვილს ნაშრომში, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 86.

2 თოგოშვილი გ., საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1958, გვ. 216.

იოვანესთვის სავსებით მისაღები ჩანს ცნობილი ტაქტიკური ცნება: *„ტყუილი რომ უფრო დამაჯერებელი იყოს, მასში ცოტა სიმართლე უნდა გაურიოო“.* ჩანს ჩვენი მწიგნობარიც ასეთ ხერხს მიმართავდა თავად-აზნაურთა გვარებზე მუშაობისას. რაც შეეხება თხზულებაში *„ცოტა სიმართლეს“,* სერიოზულ შესწავლას და ანალიზს მოითხოვს მომავალში. თუნდაც საერისთავოს ადრინდელი დაარსება, იოვანესგან VI საუკუნეში ცხრაზმის საერისთავოს წარმოქმნის მიჩნევა და XIII საუკუნეში მათი საგვარეულოს შეცვლა დ. გვრიტიშვილის თქმით: *„თითქოს უფრო სწორი და მისაღები უნდა იყოს. რადგან XIII საუკუნეში შინაპოლიტიკური არეულობის და გარეშე ძალის (ამ შემთხვევაში მონღოლების) გავლენით ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში დიდი ცვლილებები მოხდა და სხვა ამბებთან ერთად ბევრი, მანამდის ცნობილი ფეოდალური გვარი ჩამოვიდა პოლიტიკური ცხოვრების სცენიდან. მათ მაგიერ სხვები აღზევდნენ“.*[1]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დავძენთ, რომ ჩვენი მოსაზრებაც აქეთკენ იხრება, განსხვავებით სხვა მკვლევრებისა. რაც შეეხება „ძეგლი ერისთავთას“ და მასში მოცემულ ცნობებს, მხატვრულად მოთხრობილ ისტორიას სიფრთხილით და უნდობლობით ეკიდება ბევრი მეცნიერი.

ძეგლის პირველი ნაწილი სათუოა იმ კუთხით, რომ როსტომ ბიბილური იყოს პირდაპირი წინაპარი XVIII საუკუნემდე მოღვაწე ერისთავებისა. სრულიად შესაძლებელია იუსტინიანეს ხელდასმით ლარგვისში, როგორც ცხრაზმისხევის საერისთავოს სასულიერო ცენტრში, მომხდარიყო ერისთავის დასმა, რომლის შთამომავლები მძიმე ისტორიული მოვლენების გამო (შესაძლებელია ფიზიკური განადგურებით) ჩამოშორდნენ ერისთავის ტიტულს. თუმც საწინააღმდეგო დასკვნებით გამოდის ს. კაკაბაძე, რომელიც ბიბილურების გაერისთავებას ცხრაზმაზე მიიჩნევს IX-X საუკუნეების მოვლენად და დასძენს: *„არავითარი მონაცემები არ გვაქვს იმისა, რომ საქართველოს მთიანეთში* (VI ს-ში. ვ. ქ.) *ნაკლებმნიშვნელოვანი პროვინციის, ცხრაზმის საშინაო საქმეებში ასე აქტიურად ჩარეულიყო ბიზანტიის საიმპერატორო კარი“.*

[1] გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 61.

მეცნიერის აღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებს, პირიქით, ეწინააღმდეგება კიდეც ქსნის საერისთავოს მკვლევარი ვ. ღუნაშვილი და მოჰყავს შესაბამისი არგუმენტები,[1] რაც ჩვენი აზრით მართებულია.

აზრს იმისა, რომ როსტომ ბიბილური ცხრაზმაზე VI საუკუნეში მოსულიყო, გვიცხოველებს ფაქტი ერისთავის ადგილის ვაკანტურობისა, ხეობაზე ბიბილურების მოსვლამდე ერისთავი, სავარაუდოა, დაღუპულიყო მეზობელ სახევისთავოს წინააღმდეგ ბრძოლაში ციხისთავთან ერთად, რომლის ადგილიც ასევე ვაკანტური ჩანს როსტომის მოსვლისას.

„ძეგლი ერისთავთა“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამწუხაროდ, თავნაკლულია, მაგრამ მის პირველსავე აბზაცში ნათლად იკითხება, რომ ერისთავობის პრეტენდენტი ანუ დაკარგულ ფურცელზე მოხსენიებული დიდებული ცდილობს ფარისევლური და ძალისმიერი მეთოდით ცხრაზმისხეველებს თავს მოახვიოს თავისი კანდიდატურა. ცხრაზმისხეველები ერთგვარ დათმობაზე მიდიან: *„დასაფლავებისათვის საფლავი მისცეს, ხოლო ერისთავობაი არავისი ინებეს, არამედ ეძიებდეს კაცსა ესევითარსა, რომელმანმცა პატივით იპყრა და არა მძლავრობით და იგიმცა დამკვიდრდეს შუა ქვეყანასა მათსა“.*

საგულისხმო და ბევრის მთქმელია ეს პირველი აბზაცი, რომლის დაკარგული წინა აბზაცის ცოდნა ბევრ პირდაპირ და მინიშნებით ინფორმაციას მოგვცემდა. *„დასაფლავებისათვის საფლავი მისცეს,“* გამოდის, რომ გარკვეული აქტიურობისთვის, დახმარებისთვის ცხრაზმელებმა სამარხი ადგილი მისცეს, ე. ი. ნება დართეს დაემარხათ *„პრესტიჟულ“* საფლავზე (ლარგვისში ან ვირშაში ან შუა ცხრაზმას-წიწუბანში), მაგრამ *„ერისთავობაი არავისი ინებეს“*. ჩანს, რომელიმე გვარის ან მეომრის მხრიდან იყო მცდელობა **„მძლავრობით“** ერისთავობის ხელში ჩაგდებისა. სწორედ ამის გამო უთხრეს ცხრაზმელებმა უარი ჩვენთვის უცნობ პირს თუ პირებს და განაცხადსაც აკეთებენ: ისურვებდნენ ერისთავად იმას, ვინაც *„პატივით იპყრნა... და იგიმცა დამკვიდრდეს შუა ქვეყანასა მათსა“*.

მართლაც შემდგომ როსტომი მკვიდრდება პატივით **„შუა ქვეყანასა მათსა“** ანუ შუა საყდრის შვილთა ნაქონებ მამულში – ქვენიფნევში. თუ მართლაც ცხრაზმისხეველთ როსტომამდე ჰყავდათ თუნდაც მცირე ერისთავი, მაშინ მეტი ალბათობაა, რომ მის საფლავთან ერთად საჯდომად ლარგვისი ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ქვენიფნევი არა. მაშინ

[1] ღუნაშვილი ვ., ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია, გვ. 31-32.

როსტომი თავის მოთხოვნაში იტყოდა, რომ მომეცით *„საფლავი ლარგვისს და საჯდომად სახლი [ერისთავის] ნაქონები“, მაგალითად, როგორც მოითხოვა – „ცხრაზმას ციხისთავის ნაქონები მამული“.*

ვირშელ მესამეზე (1390-1422 წწ.) თხრობით ამთავრებს 17 წლის წინ დაწყებულ წერას ცხრაზმისხევის საერისთავოს საგვარეულო მატიანეს მწიგნობარი გრიგოლ ბანდაისძე. ენერგიულ ერისთავს – ვირშელს და მის მეუღლეს – თამარს, ბანდაისძის თქმით: *„მიეცა მათ ყრამი წული, .... და ნათელსცა მას წმიდამან მღვდელმთავარმან ქართლისამან და უწოდეს ქვენიფნეველი“.*

საბუთების მიხედვით, ქვენიფნევში გაზრდილი შალვა ერისთავობას 1422 წლიდან შეუდგა და 1470 წელს კვლავ აღმშენებლობით საქმიანობას ეწევა. ის მამაზე მეტად ენერგიული, გონიერი და იღბლიანი მემკვიდრე გამოდგა. იგი იყო კარგი კანონმდებელი და რეფორმატორი, ორატორი და ქვეყნის მოჭირნახულე.[1]

ვინაიდან ჩვენ კვლავაც გვექნება მასზე საუბარი, ამიტომ დამსახურებებზე აქ თავს შევიკავებთ და მხოლოდ მის მჭევრმეტყველებასა და იურისპრუდენციაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ პიპა ქვენიფნეველის შემდეგ იგი ცხრაზმის ერისთავთა კარზე აღზრდილი მეორე ისტორიული პირია თავისი მოღვაწეობით. ლარგვისის მონასტრისადმი თავის შეწირულობის წიგნის შესავალშივე, ლოცვანში, ავლენს ქართული კულტურის თანაზიარ მჭევრმეტყველების ნიმუშებს, სადაც რიგისდა მიხედვით მოიხსენიებს იესო ქრისტეს და სხვა წმინდანებს.

**მაცხოვარს** სხვა მრავალ ამამაღლებელ ეპითეტებთან ერთად ჯოჯოხეთის დამრღვევ და შემმუსვრელს, უკვდავების წყაროს უწოდებს.

**მარიამ ღვთისმშობელს** უწოდებს სჯულთა მხსნელს, წინასწარმეტყველთა ბეჭედს, მტერთა სირცხვილისა შემმოსელს.

**იოანეს** – წინასწარმეტყველების დამბეჭვდელსა, უდაბნოს გვრიტსა, იადონსა ტკბილად მოუბარსა.

ხოლო **წმ. თევდორეს** და მის ხატს დაბრძანებულსა ლარგვისის მონასტერსა *„საუკუნოსა აღდგომისა მოსალოდნელსა,“* მოიხსენიებს როგორც: ძლევის გვირგვინის დამდგმელსა, სარწმუნოების ჭურს, მახვილსა მადლისასა, ეშმაკთა გუნდის დამცემელსა, წარჩინებულ მოწამესა, ღელ-

[1] იხ.: ქენქაძე ვ., „ყოველთავე წინა დაიხედენით“, გაზ. „ახალგორი“, №4. 27 მარტ. 2007 წ.

ვაგვემილთა ნავთსადგურსა, სათნოებათა ნაყოფის გამამრავლებელსა და სხვა.

თემურლენგის წინააღმდეგ მებრძოლი ვირშელ III-ის ძე შალვა ქვენიფ-ნეველ III თავის მჭევრმეტყველებას გამოხატავს ერთ-ერთ შეგონებაში, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს აღმზრდელობითი მნიშვნელობა: **„ყოველთავე წინა დაიხედენით, რამეთუ მიწად მიქცევაი წინა გვიც ცოდვილთა და მართალთა. ესე საწუთროი უხანო და წარმავალი არს და აღდგომაი მკვდართა და განახლებაი საუკუნოისა ცხორებისა დაუსრულებელი და წარუვალ არს. ამისთვის გვიღირს, რათა ყოველი საუკუნოისა ცხორებისათვის ვიზრუნვიდეთ“**.

გულსატკენია, რომ ქსნის ხეობის მკვლევართაგან ჯერ-ჯერობით არავინ შეხებია ცხრაზმის ერისთავთა ტიტულის მატარებელთა შორის ერთ-ერთ უპირველეს და უწარჩინებულეს ერისთავს შალვა III ქვენიფ-ნეველს, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალებს. ვფიქრობთ, ადრე თუ გვიან, უნდა მოხდეს ამ ისტორიული პიროვნების, დიდი ფილანტრო-პის „რეაბილიტაცია“.

შალვა ქვენიფნეველის მიმწუხრიდან – 1470 წლიდან ზუსტად მთელი ერთი საუკუნის მანძილზე 1570 წლამდე ძალზე მწირი და ძუნწი ცნო-ბების გამო ისტორიის უხილავი ბურუსით არის მოცული ყოფილი ცხრაზ-მის, შემდგომ ქსნის ერისთავთა ასწლიანი ისტორია. არადა ამ აღნიშნულ ასწლეულში საერისთავოში დიდი ცვლილებებია მომხდარი: სტატუსთან, საცხოვრებელთან და საძვალესთან დაკავშირებით.

# თავი IV

## ცხრაზმის საერისთავოს იურიდიული ძეგლები და მართლმსაჯულება

*„ავისა მქნელსა პატიჟსა უყოფენ და კარგისა მქმნელსა – პატივსა“*

**შალვა III ქვენიფნეველი**

გიორგი ბრწყინვალის გარდაცვალებიდან ორმოცი წლისთავზე, 1386 წელს, საქართველოს აღმოსავლეთიდან თავს დატეხილმა ტაიფუნის ძალის მქონე თემურ-ლენგმა 17 წლის მანძილზე რვაგზის ლაშქრობით მოთხარა და მიწასთან გაასწორა გიორგი V-ის წყალობით 70 წლის მანძილზე *„სეტყვა უნახავი“* ქალაქები და დაბები, სოფლები, ბაღები და ვენახები. მოსახლეობის ნახევარი მტერს შეაკვდა ან ტყვედ ჩავარდა, ბევრი შიმშილით დაიხოცა. წაბილწეს და დაანგრიეს ეკლესია-მონასტრები, ხატ-ჯვრები და მრავალი სიწმინდენი: *„რა ქონება იგდო ხელთ, რა ხატები გაძარცვა და დაწვა, რამდენი თვალი პატიოსანი, მარგალიტი, ოქრო და ვერცხლი წაიღო არავის შეუძლია აღწეროს“* (ქართველი ერის ისტორია).

ამ კაცთმოყვარეობის ანტიპოდმა, ვანდალმა, წერა-კითხვის უცოდინარმა ტირანმა სამარყანდს წაიღო ქართველ მეფეთა მდიდარი ბიბლიოთეკა, ბევრი საერო და სასულიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული იშვიათობა.

მკვლევრები (კ. ტაბატაძე, მ. ბახტაძე) ფიქრობენ, რომ თემურის ჯარები ლარგვისს არ გასცდენია.[1] „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი, დაუნდობელი მტრის ხელით დანგრეულს და დამწვარს აღარაფერს დაამატებდა და

[1] ქსნის ხეობის მკვლევარი ვ. ღუნაშვილი იზიარებს პ. ზაქარაიას მოსაზრებას და მარბიელი ჯარით ქარჩოხის მოთარეშებას.

დაამძიმებდა, ტყუილად არ დასწერდა ტყავის პერგამენტზე: *„და დარჩეს ერისთავსა ზემოით თავადი ციხე ქვენიფნევს და სახლები და ციხე ქოლოთისაი, ციხენი ისროლისანი, ციხე ბუხუშისაი, ციხენი უკანუბნისანი, სახლი ნაკაფოვნისაი და სახლი წინუბნისაი და სხვაი ყოველი აღაოხრეს“.*

საკულტო-საფორტიფიკაციო ნაგებობათა მკვლევარი პ. ზაქარაია ვარაუდობს, რომ საქართველოში თემურს მეექვსე ლაშქრობისას 1400 წელს უნდა აეღო და ნაწილობრივ დაენგრია ქარჩოხის ციხე. ერთი რამ ცხადია, ლარგვისის წმ. თევდორეს[1] სახელობის მონასტრის მამანი, მწიგნობარნი და *„საყდრის შვილები“* ხელში არაფერს უგდებენ მომხდურთ. ამ დროს ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ერისთავთა საგვარეულო მატიანე და თვით გრიგოლ ბანდაისძე, გონივრული და დროული მოქმედებებით, მონასტრის სიწმინდეებსა და ძვირფასეულობასთან ერთად თავს აღწევენ მტერს.

თემურლენგის გადაქარების შემდეგ ჩვენი ქვეყნისთვის თანმდევი გახდა მოუსავლიანობა, შიმშილი, ქოლერა, შინაფეოდალური აშლილობა, ტომობრივი და თემობრივი კინკლაობა, ხალხის გაბოროტება, დავიწყებას მიეცა საუკუნეზე მეტი ხნის წინ, თემის ერისთავთა, ხევისთავთა და ხევისბერ-ჰეროვანთაგან ერთად მეფე გიორგი V-ის მიერ დაწერილი სამართლის კანონები, რომლის მოქმედების არეალს ცხრაზმის საერისთავოც წარმოადგენდა.

საერისთავოს მოსახლეობის სოციალური ურთიერთობისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების შესწავლისათვის დიდად მნიშვნელოვანია *„სამთავისის სამწყსოს საკანონო წიგნი...“*[2] და *„შეწირულობის წიგნი შალვა ქვენიფნეველ ერისთავისა ლარგვისისადმი“*.[3] აქედან პირველის *„სამთავისის სამწყსოს საკანონო...“* წიგნის დაწერიდან 224 წლის შემდეგ, სამთავნელისადმი შემცირებულმა გადასახადებმა დღის წესრიგში დააყენა წიგნის განახლება სოფლების სიდიდისა და მოსახლეთა შეძლების მიხედვით. თუმცა განახლების აუცილებლობის მთავარ მიზეზს არ ამჟღავნებს ვახტანგ VI-ის კარის წინამძღვარი დანიელი: *„ვნახეთ და, დიაღ, დაძველებულიყო, და ჩვენად სადღეგრძელოდ და*

---

1 ლარგვისის ეკლესია-მონასტერი არის დიდმოწამე თეოდორე ტირონის სახელობის, იგი სამხედრო პირი იყო მცირე აზიაში და ევნო ქრისტიანობისთვის დაახლოებით 306 წელს. იხ.: ნ. აბაკელია, ალავერდაშვილი ქ. „ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი“, თბ., 1991, გვ. 80.

2 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970, გვ. 206.

3 ქართული მწერლობა, ტ. V, გვ. 126.

*გასამარჯვებლად, როგორც იმ ხატის სიგელში ეწერა, ისევ იმ რიგით და იმავე წესით განუახლეთ და დაუმტკიცეთ სიგელი ესე.*

*დაიწერა ბრძანება ესე ჩვენი ქორონიკინსა ტჲა“ (1673 წ.).*

სასურველია, შეძლებისდაგვარად იყოს წარმოჩენილი და გაანალიზებული ცხრაზმის საერისთავოს საზოგადოების ყოფა-ცხოვრება და ურთიერთდამოკიდებულება, რომლის სავალალო მდგომარეობამ დღის წესრიგში დააყენა 1459 წელს ცხრაზმისხეველთათვის **„საკანონო წიგნის“** შედგენა. აღნიშნული საკანონო წიგნის გაანალიზებით იკვეთება პრობლემები, რომლებიც აწუხებდა მე-15 საუკუნის შუა ხანების ქსნის ხეობას და განსაკუთრებით მთის მოსახლეობას. ეს ყველაფერი აფერხებდა სახელმწიფო სამართლისა და საეკლესიო კანონების ნორმალურ მოქმედებას. საერთო ჯამში კი იწვევდა საერისთავოს მოსახლეობის შემცირებას, თემთა და გვართა შორის მტრულ დამოკიდებულებას, უძრავ-მოძრავი ქონების განადგურებას, საზოგადოებრივი წესრიგის მოშლას და ქაოსს. იმდროინდელ ცხრაზმისხევალთა საჭირბოროტო საკითხები, კანონიკური ძეგლიდან გამომდინარე, შეიძლება ასე დავალაგოთ:

1. *საგადასახადო*
2. *სასისხლო*
3. *სარიტუალო*
4. *სპირიტული*
5. *ეთნიკური*
6. *ზნეობრივი*

საკანონო წიგნში შეტანილი **მუხლები თემატურად დაულაგებელია,** რის გამოც ამ თვალსაზრისით შედარებით უფრო მტკივნეული საკითხის გაგება შეუძლებელია. რაოდენობრივად ყველაზე მეტი საკანონო მუხლები სარიტუალო საკითხს ეთმობა. საკანონო წიგნის შესავალშივე ცნობილი ხდება, თუ ვის კომპენტენციაში შედის გაფართოებული საერისთავოს მოსახლეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სისხლის სამართლის კანონების შედგენა.

*„სახელითა ღმრთისაითა შემოვიდა სამთავნელ ეფისკოპოზი გრიგოლი ქ~ კსა რმზ პატრონის ერისთავს შალვას ბრძანებითა. მრავალი უწესო საქმე ქნილიყო. შევიყარენით ჩვენ, ცხრაზმისხევისა სამისავე ხევის*

*კრებულნი და მამასახლისნი და ესე პირი მოვახსენეთ სამთავნელსა და ჯუარსა და ომოფორსა“.*[1]

საერისთავოში დაგროვილმა გადაუჭრელმა პრობლემებმა და მომრავლებულმა უარყოფითმა მოვლენებმა, დღის წესრიგში დააყენა მათი მოგვარების აუცილებლობა და აი, ქსნის ერისთავის შალვას ბრძანებით, ხეობაში შედის სამთავისის ეპისკოპოსი გრიგოლი და ცხრაზმის სამივე ხევის კრებულთან და მამასახლისებთან ერთად ადგენს:

**მუხლი I:** *„დღეის ამას იქით ვინც იქნება ხუცესი*[2] *სვნდიკინოსი*[3] *უჩუმრად, უწესოდ მოტაცებულთ გვირგვინი დაადგას და ჯვარი დასწეროს ან სარჯულო (წარმომავლობა) დაუმალოს „რაცა ეპრიანებოდეს და დააურვებინოს“.*

სიგელის შექმნისას 1459 წელს და მის შემდგომ განახლების პერიოდში, როგორც საქართველოს მთის სხვა რეგიონებში, ცხრაზმისხევშიც, ჯარიმის გადახდის საშუალებას მსხვილფეხი საქონელი – *„ხვასტაგი“:* ხარი, ძროხა და ცხენი წარმოადგენდა, ხოლო ეკლესიას *„გაურჯელად და ულაპარაკოდ, სამთავისის მღრთაების საყდარს“* – მიერთმეოდა: პური, ღვინო, დრამა (გადასახადი ეკლესიის მსახურის გასამრჯელოდ), სამარხო (ნებადართული სურსათი მარხვაში), ყველი, ცხვარი, თხა, თივა, საბელი, ქალამანი, ქათამი, კვერცხი და სხვა.

გამოდის რომ, კანონიკური დოკუმენტის პირველი მუხლი კრძალავს უწესურად მოტაცებულ ქალთან ჯვრის დაწერას. ასევე ჯვრის წერისას ნეფე-დედოფლის წოდებრივი და რელიგიური მდგომარეობის გაუმჟღავნებლობას.

**მუხლი II-III:** საგადასახადოა და აკანონებენ სამთავნელისთვის საწირავის მირთმევას გარდაცვალების შემთხვევაში. ეს იქნება აზნაური, მსახური თუ ხუცესი. წინააღმდეგ შემთხვევაში თითო ხარი უნდა მიართვან.

**მუხლი IV:** *„უკეთუ კაცი მოკლას ვინმემ, მკულელმა ხუთი ხარი მიართვას და მკვდრის პატრონმა ერთი“.*

აქ ნათლად და ლაკონურად არის წარმოდგენილი სისხლის სამართლის **„სასისხლოს“** საქმის საზღაური. ამ მუხლის მიხედვით, მკვლელი ეკლესიას უხდის სისხლის საზღაურის ნაწილს – 5 ხარს, ხოლო ეკლესიას მიცვალებულის სულის მოსახსენებელ სავალდებულო წირვის ჩასატარე-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 206., ომოფორი – სამღვდელმთავრო წამოსასხამი.

[2] პატივით მოხუცებული მღვდელი (საბა).

[3] მომნათვლელი (საბა).

ბლად ერთ ხარს უხდის მკვდრის პატრონი. რომელსაც ეს ერთი ხარი აღებული აქვს მკვლელისგან. საკითხავია, რამდენ ხარს შეადგენს მკვლელის გაღებული საკონპენსაციო ხვასტაგი მოკლულის ოჯახისადმი? თუ გულდასმით წავიკითხავთ სიგელის ბოლო, ოცდამეშვიდე მუხლის მომდევნო მინაწერს, გავიგებთ, რომ *„სოფლებს ამას ვინცა აზნაურმა, ანუ გლეხმან კაცი მოკლას, მესამედი სისხლი მღრთაებას უნდა მიართვას, მიცვალებულის სულის მოსახსენებლად“.*

გამოდის რომ, ზემოაღნიშნული *„მესამედი სისხლი“* ანუ 5 ხარი, მკვლელისგან იგივე მოტივით, სულის მოსახსენებლად უნდა ყოფილიყო მღრთაებისთვის გადახდილი, რა მოტივითაც მკვდრის პატრონისგან გადახდილი 1 ხარი. ზოგიერთ შემთხვევაში ხდებოდა დაზარალებული ოჯახის *„სრულ“* კომლთა რიცხვიდან ამოვარდნა, თუ მოკლული იქნებოდა მამაკაცი და თანაც ოჯახში ერთი **„თავი“**-კაცი. საბოლოოდ ერთი კაცის მკვლელობისას სამთავნელი ღებულობდა 5+1 ხარს, ხოლო მოკლულის ოჯახი 2/3, ე. ი. 10–1 ხარს. საიდანაც 9 თავისად რჩებოდა და 1 ღმრთაებისა – სამთავნელისა იყო. აქ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტური მასალის მიხედვით, მკაცრი სასჯელი მკვლელისადმი, მიგვანიშნებს, არა მარტო საეკლესიო წესებისა და ქონების დაცვას, არამედ იმ დიდად არასასიამოვნო წესის მოშლას, რასაც სისხლის აღება ჰქვია, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილებიდან იღებს.

ნათელია „საკანონო წიგნის“ შემდგენელთა მისწრაფებები, მკაცრი შურისძიებისა და სისხლის აღების ნაცვლად დამკვიდრებულიყო მატერიალური ანაზღაურება, რაც წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ფეოდალური საქართველოსთვის. აღნიშნული კანონის ანალოგიაა ჩვენი დროის სასამართლოს ძალით, საპროცესო გარიგების საფუძველზე გირაოს შეფარდება.

კანონიკურ ძეგლში სარიტუალო საკითხი უკავშირდება: ა) ქორწინებას; ბ) ნათლობას; გ) დაკრძალვას; დ) მარხვას.

მართლმადიდებლური ტრადიციების დაცვით კანონიერ ქორწინებას, ჯვრისწერას და მყარი ოჯახის შექმნას უკავშირდება „საკანონი წიგნის“ შემდეგი მუხლები: № 1; 5; 13; 14; 15; 16; 21; 22; სულ 8 მუხლი.

პირველი მუხლი ჩვენ უკვე განვიხილეთ.

**მუხლი V: „***უკუეთუ ვინმე ცოლი გაუშვას ძროხა დააეურვოს“.*

**მუხლი XIII:** *„უკუეთუ უქმრო დედაკაცი მოიტაცოს ვინმემ ცოლად ბ (2) ძროხა მიართვას“.*

**მუხლი XIV:** *„უკუეთუ ქმრიანი დედაკაცი მოიტაცოს, დ (4) ძროხა მიართვას“.*

**მუხლი XV:** *„უკუეთუ მღვდელმან ამგვარად მოქმედს კაცთა ჯვარი დასწეროს, განიკუეთოს; უკუეთუ შეინანოს გ (3) ძროხა მიართვას“.*

**მუხლი XVI:** *„უკუეთუ მღვდელი ანუ მთავარდიაკონი ღირს იქმნას მეორედ ქორწინებასა ბ (2) ძროხა მღუდელმან და ა (1) ძროხა მთავარდიაკონმა მიართვას“.*

**მუხლი XXI:** *„უკუეთუ მღვდელმან ორსულს ჯუარი დასწეროს, გ (3) ძროხა მიართვას, თუ იცოდეს; თუ არ იცოდეს – ა (1); და მექორწინემ გ (3) ძროხა მიართვას“.*

**მუხლი XXII:** *„უკუეთუ ჯვარდაუწერელად კაცმა ცოლი დაორსულოს, გ (3) ძროხა მიართვას“.*

„საკანონო წიგნის“ შექმნისას ჩანს ცხრაზმისხეველთა ყოფაში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს ქორწინება წარმოადგენდა. უთუოდ იარსებებდა შეუსაბამობა ხალხის ყოფასა და ეკლესიას შორის. ხშირად ორივე ერთად ჩანს კანონის დამრღვევნი, რის აღმოფხვრასაც ითვალისწინებდა სწორედ ეს კანონთა კრებული.

კანონის მიხედვით, ცოლის გამშვები ჯარიმდებოდა 5 ძროხით, უქმრო დედაკაცის მომტაცებელი – 2 ძროხით, ხოლო ქმრიანი დედაკაცის მომტაცებელს უფრო მეტი სასჯელი, 4 ძროხის გადახდა ეკისრებოდა.

კანონთა წიგნში ჩადებულია მექანიზმი სასულიერო პირთა უკანონო ქმედების დასჯისა: *„უკუეთუ მღვდელმან ამგვარად მოქმედს კაცთა ჯვარი დასწეროს, განიკუეთოს; უკუეთუ შეინანოს გ (3) ძროხა მიართვას“.* ასევე 3 ძროხით განისაზღვრებოდა ფიქტიური რიტუალის შემსრულებელი სასულიერო პირი. საწინააღმდეგო შემთხვევაში კი თემიდან იქნებოდა მოკვეთილი.

მეტ-ნაკლებად მკაცრი სასჯელით არეგულირებს კანონი თვით სამღვდელოების წარმომადგენელთა მეორე ქორწინებას, მიუხედავად იმისა, რომ მექორწილენი *„ღირს იქმნიან მეორედ ქორწინებასა“.* ასევე მარხვაში ხსნილად ქორწილის გადახდისათვის დამნაშავეს 3 ძროხის გადახდა უწევს.

სარიტუალო ნიშნით ნათლობა მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახურების გამოხატულებაა, რომლის დაცვის მექანიზმს წარმოადგენს:

**მუხლი XXVI:** *„უკუეთუ მღვდელმან უსაყდროდ და უემბაზოდ ყრმას ნათელი სცეს, განიკუეთოს, და უკუეთუ შეინანოს გ (3) ძროხაი მიართვას“.*

**მუხლი X:** ასევე ნათლისცემის – მონათვლის კატალიზატორად გამოდიოდა: *„უკუეთუ მღუდელმან უნათლავი მოკლას ვინმე, ა (1) ძროხა მიართონ“.* ყველა ქრისტიან მრევლს და ყველა მღვდელს კანონი ავალდებულებდა მონათლულიყო და მოენათლა წესისამებრ. აღნიშნული მუხლის მიხედვით მრევლში მოუნათლავი ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში მღვდელს ჯარიმის სახით სამთავნელისთვის ერთი ძროხა უნდა მიერთმია. ხოლო ყრმათა უემბაზოდ და უსაყდროდ მომნათლავ მღვდელს მოკვეთა ემუქრებოდა. მონანიების შემთხვევაში კი 3 ძროხის გადახდა.

მეტად შთამბეჭდავად გამოიყურება **მუხლი IX,** რომელიც კრძალავს უზიარებლად ადამიანის სიკვდილს ეს მღვდლის დაუდევრობით იქნება თუ მკვდრის პატრონის. *„უკუეთუ უზიარებელი მოკლას ხუცესმა ა (1) ძროხაი დაუურვოს. და თუ ხუცესმა ვერ შეიტყოს, მკვდრის პატრონმა ა (1) ძროხა მიართვას“.*

დაკრძალვის ტრადიციად ქცეულ რიტუალის განუხრელ დაცვას ემსახურება **მუხლი XI:** *„უკუეთუ უხუცოდ და უანდერძოდ მკუდარი ვინმე დამარხოს, გ (3) ძროხა მიართვას“.*

ზიარებას რაც შეეხება, **მუხლი XXV** გვაფიქრებინებს, რომ ეს რიტუალი უშუალოდ მღვდლის მონაწილეობის გარეშეც ხდებოდა. სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს ზემოაღნიშნული XXV მუხლის არსებობა საკანონო წიგნში. *„უკუეთუ მღვდელმან ავადმყოფს სხვის ხელით საზიარებელი გაუგზავნოს განიკუეთოს და უკეთუ შეინანოს გ (3) ძროხა მიართვას“.*

მარხვის შენახვის აუცილებლობაზე და სამღვდელოთა ეთიკაზე მიუთითებს **მუხლი XXVII:** „უკუეთუ მღვდელმან უცოდინარობით მარხვა აჭამოს ვისმე. დ (4) ძროხა მიართვას“.

ფეოდალური ცხოვრების დონემ და სტილმა წარმოშვა და დღის წესრიგში დააყენა სპირიტიზმის ანუ *„კუდიანობა-მკითხაობის“* წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი, რაც აისახა ცხრაზმისხევის კრებულთა საკანონო წიგნის VI და VII მუხლებში:

**მუხლი VI:** *„უკუეთუ ვინმე კუდიანობაი ანუ მკითხაობაი ქნას, ცხვრით გახეიბრდეს; და თუ შეინანოს, ორი ზროხა დაუურვოს“.*

ქართულ ისტორიოგრაფიაში წერილობითი წყაროებით დასტურდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამგვარი სასჯელი – გახეიბრება, რასაც მიმართავდნენ არაერთგვაროვანი დანაშაულთა დროს. იმ დროისათვის არც უნდა იყოს გასაკვირი დასჯის ასეთი ხერხები. ცხადია, ცხვირის მოჭრას და გახეიბრებას, მონანიებას და შემდგომ ორი ძროხის გადახდას

ამჯობინებდა დამნაშავე. ამ სასჯელთა გარდა კუდიანობა-მკითხაობაზე კიდევ იყო მესამე სასჯელი – დადაღვა.

**მუხლი VII:** *„უკუეთუ კუდიანობაზედ დადაღონ ვინმე, დამდაღავმა ოთხი ძროხა მიართვას და დადაღულმა ერთი“.*

გამოდის, რომ დადაღულმა დამდაღავს ოთხ ძროხაზე მეტი უნდა მიართვას, რათა იქიდან ოთხი ძროხა სამთავნელისთვის მიერთმია და თვითონაც დარჩენოდა რამე გასამრჯელოდ. ამასთან ერთად ერთი ძროხა კიდევ დადაღულს სამთავნელისთვის პირადად უნდა მიერთმია.

საკითხავია, ვინ იყო დამდაღავი? ან ვის უნდა გაეცა დადაღვის ბრძანება? – ცხადია, ვინც დააწესა, ბრძანებასაც ის გასცემდა, მაგრამ საზოგადოების რომელ ფენას ეკუთვნოდა დამდაღავი ჩვენთვის გაუგებარია.

XV საუკუნის შუახანებში ცხრაზმისხევის საერისთავოში მართლმადიდებლური ეკლესია, ეროვნული ტრადიციების რღვევის გამო ახალგორს მცხოვრებ სომხურ მოსახლეობასთან მყარი კანონებით თავისი ინტერესების დაცვას აქტუალურ საკითხად მიიჩნევს. სურვილი ერთია: დათქმული კანონებით გამიჯნულიყო ეროვნებები, ანუ არ შერწყმოდა ერთმანეთს მართლმადიდებლური და გრიგორიანული მოსახლეობა. რითაც სამთავნელი შემოსავლის პროცენტს არ დაკარგავდა, პირიქით, ქართველთა მხრიდან კანონის დარღვევის შემთხვევაში 2 ან 3 ძროხას მიიღებდა.

სომხებით დასახლებულ საერისთავოს ამ უბანზე ეთნიკური პრობლემების მოსაგვარებლად „საკანონო წიგნში“ კანონმდებელთაგან ორი, XIX და XX მუხლები იქნა შეტანილი:

**მუხლი XIX:** *„უკუეთუ მღუდელმან სომეხს უხუცოს ანუ სახლი გაუნათლოს, ბ (2) ძროხა მიართვას“.*

**მუხლი XX:** *„უკუეთუ ქართველმან სომეხს ქალი მისცეს ცოლად და ანუ მოიყვანოს მონათლოს ანუ გააშვებინოს, საკანონო გ (3) ძროხა მიართვას“.*

შემთხვევითი არ უნდა იყოს ეკლესიის ჩარევა და სანქციების დაწესება ქართველისა და სომეხის ქორწინებაში. ასეთი შერეული ქორწინების გამო კომპენსაციას მოითხოვს ქართული ეკლესია და ძალზე შორდება იმ აგრესიულ პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს სხვა ხალხის ეროვნული ღირებულებების გაქრობას ზეწოლისა და ათქვეფის გზით.

ცხადია, კანონთა კრებულში საკითხი ვერ პოვებდა ასახვას, თუ იგი ყოველდღიურ ცხოვრებაში არ იქნებოდა *„სააჯო და საბაასო“*. აქედან

უკვე შეიძლება დასკვნის გამოტანა: რომ XV საუკუნეში ახალგორში, რომელიც უკვე დიდი ხანია მოქცეულია ცხრაზმის საერისთავოს საზღვრებში, მყარად დგას გრიგორიანული სომხური დიასპორა და გარკვეულ ამინდს ქმნის საერისთავოს ეკონომიკურ და ყოფით სფეროში.

ზნეობრივი და მორალური თვალთახედვით, ცხრაზმის საერისთავოს საზოგადოება ჯანსაღი და სანიმუშო ვერ იქნებოდა შუა ფეოდალური ხანის ქართლის მთიანეთში. ზნედაცემულობისა და ამორალურობის მინიმუმამდე დასაყვანად ცხრაზმისხეველმა კანონმდებლებმა ორი მუხლი შეიმუშავეს:

**მუხლი VIII:** *„უკუეთუ ისიძვოს ვინმე, ოთხი ძროხა მიართვას და ბუშიც საყდრისა არის“.*

ამ საკანონო მუხლის მიხედვით, უკანონოდ დაბადებული ბავშვი – ნაბუშარი, ცხადდებოდა საყდრის კუთვნილებად. სიძვის ქალს კი ოთხი ძროხის სამთავნელის სასარგებლოდ გადახდის შემდეგ დედობის უფლება ნაწილობრივ ერთმეოდა.

**მუხლი XII:** *„უკუეთუ ვინმე სვნტიკინოზმანთ თანა დაეცეს ანუ მეყვსთა თანა, ჩაიქოლოს; და უკუეთუ შეინანოს დ (4) ძროხა მიართვას“.*

სასჯელი – ჩაქოლვა, რაც ითვალისწინებს ადამიანის ფიზიკურ მოსპობას, გართულებული და ძალზე მკაცრია, მაგრამ მისგან თავის დაღწევაც ძალზე გამარტივებულია *„მონანიებით“*. რაც შეეხება სამთავნელისადმი მისართმევ 4 ძროხას, ეს ერთგვარი ინდულგენციაა აუწონელი ჭუჭყის, სირცხვილისა და ცოდვის ჩამოსარეცხად.

*„საკანონო წიგნის“* გაანალიზებით ირკვევა, რომ საერო-საეკლესიო სამართალში არსებული დარღვევების აღმოფხვრით ერისთავებთან და მამასახლისებთან ერთად დაინტერესებულია თვით სამთავისის ეპისკოპოსი – გრიგოლი. ზნეობრივ ასპექტში განხილული ის მანკიერებანი, რომელთა არარსებობის შემთხვევაში კანონმდებლები წიგნში ცალკე მუხლად არ შეიტანდნენ ქურდობის საწინააღმდეგო კანონს.

**მუხლი XVII:** *„უკუეთუ მღუდელმან ანუ სამღვდელომან იპაროს ანუ მახვილი იხადოს, განიკუეთოს: და უკუეთუ შეინანოს გ (3) ძროხა მიართვას“.*

ჩანს ქურდობისა და მექრთამეობის ერთ-ერთი კერა სწორედ უღირსი სამღვდელონი იყვნენ, ბევრს სხვა პატიოსან მსახურთა შორის.

ცხრაზმის საერისთავოს იურიდიულ ძეგლებზე მსჯელობისას სასურველია გავმიჯნოთ ერთმანეთისგან კანონიკური და არაკანონიკური

ძეგლები, რომლებიც ქართული სისხლის სამართლის ისტორიის საინტერესო მასალებს შეიცავს.

საერისთავოს არაკანონიკური ძეგლებიდან მნიშვნელოვანია ერთიანი საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის (1446-1466 წწ.) წყალობის სიგელი მღვდელ გიორგი ჟურულისადმი, რომელიც ერთი პერიოდი ნაყალბევ საბუთად იყო მიჩნეული. სიგელი ანუ სასიხლო განაჩენი დაწერილია ტყავზე ლამაზი მხედრული ხელით. თაყაიშვილის აღწერილობის თანახმად: *„თავში დახატულია მაცხოვარი, მარჯვენა ხელი ჯვარის სახედ აქვს და მარცხენა ხელში გაშლილი სახარება უჭირავს შემდეგის წარწერით ხუცურად „მივედით ჩემდა ყონი ტჳრთ მძიმენი და მე განგისუენო თქვენ“. მაცხოვრის ქვემოთ ნუსხურად: „სახელითა სახიერისა სამგვაროვნისა ერთ“... შემდეგ დახატულია თვით მეფე გიორგი VIII, რომელიც ზის ტახტზე და აწვდის სიგელს ჟურულს. მარჯვენა ხელის ზემოთ მეფის სურათს გარეთ აწერია მხედრულათ „მეფეთ მეფემან“.* სიგელს ახლავს ორი მინიატურა, რომლის ფოტოებიც თავის დროზე გადაუღია ერმაკოვს. ექვთიმე 1920 წელს გამოცემულ „საქართველოს სიძველენში აღნიშნავს, რომ ეს სიგელი შეცდომებით დაუბეჭდავს გაზ. „ივერიას“ 1886 წ. № 124.[1] სიგელი ინახება საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში Qd–7118.

*„აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვთ ფლობით ხელმწიფედ მტკიცედ მპყრობელმან, მეფეთ მეფემან გიორგი, და თანა მეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა დედოფალმან ნესტან-დარეჯან და ძემან ჩუენმან ალექსანდრე ესე მტკიცედ და უცვალებელი წყალობისა სიგელი ამისად ნიშნად გიბოძეთ ერისთავისა შალვასა და ლარგუელისა კითხვითა მათსა მკვდრსა და თანა-აღზრდილ შეზრდილსა და პატივცემულსა ჟურულსა მღვდელსა გიორგის და თქუენსა ძმასა ავგაროზს და რატის, და თქვენსა შვილსა დემეტრეს და ძმის წულსა შიოს ... ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, ვქენით მოკითხული და ძუელთა მეფეთაგანაცა შეწყალებული იყო ცხრაზმა და თქუენი გუარისა კაცი მისი მონაპირე ყოფილა და მონასტრისა და ციხისა შვილი და მქონებელი, აწ ჩუენცა შეგიწყალეთ და ძუელად გაჩენილი სისხლი გაგიახლეთ და გაგიჩინეთ ასსამოცი (ასამოცი) ათასი კილმანაური თეთრი[2] ამა პირითა ზედა:“*

---

[1] იხ.: ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, წ. I.

[2] კალმანაური თეთრი – ძველი ფულის ერთეული. უდრიდა ორ შაურს.

სასისხლო სიგელის უკეთ გარკვევისთვის საჭიროდ მივიჩნიეთ ეს უკანასკნელი თანამედროვე ენით ჩამოგვეყალიბებინა. იგი მოიცავს 17 დებულებას, რომლებიც აკანონებს XV საუკუნის ცხრაზმის საერისთავოს აზნაურ – ჟურულთა სისხლის საფას-ღირებულებას, რომელთა სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენს ულაპარაკოდ უნდა გადაეხადა მეფისაგან გაცემულ წყალობის „სასისხლო სიგელში“ დადგენილი განაჩენი.

1. ჟურულის გვარის კაცის სისხლის – სიცოცხლის ხელყოფისათვის = 160 000 (ას სმოცი ათასი) კილმანაური თეთრი **„დიდითა შემოხვეწითა“**[1]

2. სახლზე თავდასხმა, ცოლის გაუპატიურება ან ცემა = 45 000 კილმანაური თეთრი **„დიდითა შემოხვეწითა“**.

3. ოჯახზე თავდასხმა, ძარცვა და ნადავლის წაღება = 45 000 კილმანაური თეთრი და ნაძარცვის უკან დაბრუნება.

4. მახვილით დაჭრისთვის = 30 000 კილმანაური თეთრი.

5. ისრის სროლისთვის = 40 000 კილმანაური თეთრი.

6. ჯოგის და ნახირის გარეკვისათვის = 12 000 კილმანაური თეთრი.

7. თვალის გამოთხრისთვის = 60 000 კილმანაური თეთრი.

8. ხელით და ფეხით შეხებისთვის = 50 000 კილმანაური თეთრი.

*9. „თუ ვინმე სახიჩარი რამე დააჩინოს, ოცი ათასი დაგიურვოს“*[2]= 20 000 კილმანაური თეთრი.

10. სახლისთვის ცეცხლის წაკიდებაზე, ოჯახის წევრთა რაოდენობისა და მათი სისხლის საფასურის მიხედვით **„გაბრჭობა“** – გასამართლება.

11. სახლის გარდა: საბძლის, ძნის, თივის, წისქვილის, ვენახის სახლის, ღობის დაწვისთვის = 30 000 კილმანაური თეთრი.

12. ჯოხით ან სხვა მაგარი *„ხმელათ საცემელი რა გკრას“* = 10 000 კილმანაური თეთრი.

---

[1] ეს მაშინ, როდესაც თვით ერისთავ შალვას სისხლი 170 000 კირმანაური ღირს.

[2] სასისხლო განჩინების ეს მუხლი პირდაპირ გადმოვიტანეთ, რადგან სიტყვა „სახიჩარს“ ე. თაყაიშვილი „საქართველოს სიძველენ“-ში (1920 წ. გვ. 5) შემდეგნაირად განმარტავს: „სახიჩარი – გაუწყობლობაა, რამ საწყენი (საბას ლექსიკონი). ეს ახსნა მართალი არ არის. აქ სახიჩარი დაკოდილობის დანარჩენს კვალს ჰქვია“. ჩვენი აზრით, საბასეული განმარტება უფრო უნდა მიესადაგებოდეს სიტყვა „სახიჩარს“. წინააღმდეგ შემთხვევაში მეფე და მისი მწერალი თვალის გამოვარდნაზე ცალკე მუხლს არ შეიტანდა სიგელში, რადგან თაყაიშვილისეული გაფიქრებით თვალის დაკარგვა ზუსტად „დაკოდილობის დანარჩენს“ – დანამჩნევს ნიშნავს. ისე როგორც მახვილით დაჭრა და ისრის სროლა.

13. ასევე ცოლის სხვისაგან ამგვარად ცემისთვის = 30 000 კილმანაური თეთრი.

14. ციხის *„გატეხისთვის“*= 40 000 კილმანაური თეთრი.

15. **„მტერთა ზედა“** სასიკვდილოდ გაცემა-გამეტებისთვის = 50 000 კილმანაური თეთრი.

16. მსხვილფეხი და წვრილფეხი საქონლის ადგილ-სამყოფელის სწავლება ან გადაცემა მტრისთვის = 15 000 კილმანაური თეთრი.

17. რაიმე უკადრებელისთვის, მუქარისთვის, უპატიო წამოძახებისთვის, უხამსობისთვის სამართალი უნდა გაეჩინა ეპისკოპოსს ან დარბაზის კარის ვეზირთ და მოსამართლეთ ან მამასახლისთ, ქალაქის ვაჭართ და ავტორიტეტიან ღვთის მოშიშ, *„სულსა კერძოს კაცებს“.*[1]

ეს არის ჟურულთა გვარის დამცველი და იმიჯის შემქმნელი მექანიზმი, მათი როგორც აზნაურთა სისხლის პრივილეგიის მიმნიჭებელი და შემფასებელი, მთლიანობაში კი აზნაურთა წოდებისთვის ტონის მიმცემი. ამავდროულად სოციალურად დაბალი ფენებისთვის მორჩილებისა და პატრონყმური წესიერებისაკენ მიმმართველი ერისთავის თხოვნით და მეფის დასტურით შემუშავებული სასისხლო სიგელი.

მეფის ხელრთვით დამტკიცებული წყალობის სიგელის ღირსნი ნამდვილად ჩანან ლარგვისის მონასტრის წინამძღვარი მღვდელი გიორგი ჟურული, მისი შვილი დემეტრე, ძმები ავგაროზი და რატი, ძმისწული შიო, როგორც ერისთავისა და მეფის ერთგული აზნაურნი.

ჟურულთა გვარის ზემოთხსენებული სასისხლო სიგელი პირველად შეისწავლა, ფრანგულად თარგმნა და გამოსცა მარი ბროსემ (იხ.: Introduction ... გვ, xci-xcix), მის შემდეგ დაბეჭდა ი. ჭავჭავაძის „ივერიამ“ (1886 წ. № 124), ე. თაყაიშვილმა „საქართველოს სიძველენი“ (წ. 1. 1920 წ.), თ. ჟორდანიამ „ქრონიკები“ (წ. II), რუსულ ენაზე გამომავალმა გაზეთმა „Кавказское Обозрение“ და ს. კაკაბაძემ.[2]

---

[1] საერისთავოში სასამართლო ფუნქციები მამასახლისის ხელში იყო. მამასახლისი, როგორც მოსამართლე, ღებულობდა სასამართლო გადასახადის ნაწილს, ხოლო გადასახადის დიდი ნაწილი ერისთავს ეკუთვნოდა (იხ.: ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. თბ., 1952, გვ. 63.).

[2] ჟურულთა გვარის ეს სასისხლო სიგელი ივ. ჯავახიშვილის აზრით, შესაძლოა ყალბი იყოს, რომ მისი შედგენით დაინტერესებული პირი მიზნად ისახავდა თავისი გვარის ამაღლებას (იხ.: ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. ტფ., 1926. წიგნ. III. ნაკვ. I., ნაკვ. II: ქართული სიგელთმცოდნეობა და დიპლომატიკა).

დავასკვნით, რომ განხილული სასისხლო სიგელი მთლიანად იურიდიული ხასიათისაა, რომელიც წარმოაჩენს პატრონყმური ფეოდალური ხანის ცხრაზმის საერისთავოში არსებული სამართლის ინსტიტუტების ყველაზე საჭირბოროტო საკითხებს, გამოხატავს წოდებათა შორის ურთიერთდამოკიდებულებას და იძლევა მართლმსაჯულების დახასიათების საშუალებას. სიგელი სიყალბიდან შორს დგას და სრულფასოვანი, უნიკალური ისტორიული დოკუმენტია.

ჟურულთა გვარის (სავარაუდოდ გიორგი ჟურულის) შემოქმედებითი ღვაწლის, ეკონომიკურად და ავტორიტეტულად აღმასვლის უტყუარი საბუთია სოფ. წირქოლის წმინდა გიორგის საკურთხეველში არსებული მცირე ფრესკული წარწერა:

*„წმინდაო ეკლესიაო*[1]
*წმიდაო გიორგი, შეიწყალე ჟურული“.*

* * *

ცხრაზმის საერისთავოს მნიშვნელოვან იურიდიულ-კანონიკურ ძეგლად მიიჩნევა ერისთავ შალვა ვირშელის ძე ქვენიფნეველ III-ის მიერ შედგენილი და ბოძებული შეწირულობის წიგნი ლარგვისისადმი (1470 წ.), რომელიც ჟურულების გვარის დამსახურების ასევე უტყუარი საბუთია.

ცხრაზმის ერისთავი შალვა 1470 წელს თავის დაარსებულ და აღდგენილ სოფლებს სწირავს ლარგვისის მონასტერს და წინამძღვრად უდგენს გიორგი ჟურულს: *„ესეთნი სოფელნი მომიხსენებიან და მომნიჭებიან მონასტრისა ჩვენისათვის, და მიჩენია წინამძღვარი ჟურულიშვილი გიორგი და შვილნი მისნი, და გამირიგებია“.*

წინა თავში ჩვენ შევეხეთ ცხრაზმის ერისთავის სტატუსის მქონე ამ ბოლო ერისთავს – შალვა ქვენიფნეველს და მეტ-ნაკლებად წარმოვაჩინეთ მისი პიროვნება. ხაზი გაესვა მის დადებით თვისებებს: კაცთმოყვარეობას, აღმშენებლობას, მჭევრმეტყველებასა და კანონის უზენაესობას.

მისთვის *„მზრუნველი ერისთავის“* სახელის მინიჭებისაკენ გვიბიძგებს მისივე ნამოღვაწარი *„შეწირულობის წიგნი შალვა ქვენიფნეველ ერისთავისა ლარგვისისადმი“.*

---

[1] „ეკლესიაო“-ს ნაცვლად ვ. ლუნაშვილი კითხულობს „კვირაცხოველო“-ს, რაც ჩვენის აზრით, წმ. გიორგიზე წინ კვირაცხოვლის ხსენება მაშინაც მიუღებელი იქნებოდა. ოთხმეზური გ., შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა, ოსთა საკითხი, გვ. 149.

აღნიშნული წიგნის ერთ-ერთი ღირსება სწორედ იურიდიული ხასიათის კანონებია, რომელიც წარმოაჩენს პატრონყმურ საქართველოში ცხოვრების სირთულეს, თანდაყოლილი და შეძენილ უარყოფით თვისებებს, რომლის წარმოშობასა და ფორმირებას ხელს უწყობდა საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და გამიჯნული ვიწრო ხეობების იზოლირებული განვითარება. ამიტომაც იყო, რომ ცალკეული ფეოდალები არ ექვემდებარებიან საერთო სახელმწიფო კანონმდებლობას და თავიანთთვის სპეციალურად შემუშავებულ კანონთა კოდექს მოითხოვენ არა ყოველთვის მიღებული წესისამებრ ანუ *„კითხულობითა ბრძანებითა ღმრთივგვირგვინოსნისა მეფეთა-მეფისათა“.* ამ შემთხვევაში შალვა ეკითხება და თანხმობას იღებს მეფეთ-მეფის ბაგრატ IV-ისაგან. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებასთან ერთად, ცალკეულ ხეობათა იზოლირება, კარჩაკეტილობა, ქურდობა, მრუშობა, კაცის კვლა, კუდიანობა, კვლავ აქტუალურ საკითხად რჩებოდა ცხრაზმისხევის საერისთავოს მცხოვრებთა ყოფაში, რასაც, ცხადია, ვერ შეეგუებოდა ენერგიული, ნოვატორი ერისთავი და აი, წყალობის სიგელის სახელით, მონასტრისთვის აღორძინებული სოფლების შესაწირ წიგნთან ერთად სამართლის კოდექსში ამატებს მოკრძალებულ, მოქნილ და საკმაოდ საჭირო კანონებს.

**მუხლი I:** თუ ჩხუბი ვინმემ იკადროს, ხელში მახვილი აიღოს და კაცი დაჭრას, მაშინ მისი აბჯარი ეკლესიას გადაეცეს და დამნაშავე **„ცემითა და ჯლეხითა განიძებოდეს“.** და რაგინდ მართალი იყოს მისი სამართალი წახდეს. ე. ი. გამტყუნდეს.

**მუხლი II:** თუ მოსისხლე მოსისხლეს სალოცავში შეეყაროს უჩუმრად უნდა დაშორდნენ. თუ რომელიმემ მოსაკლავად გაიმეტოს და ვერ მოკლას, **„სისხლის ნახევარი გაუცუდდეს. და ხარითა და ერთითა საპალნითა პურ-ღვინოთი ეკლესიას შემოეხვეწებოდეს“.**

**მუხლი III:** ეკლესიაში შეუფერებელი და უპატიო საქმე სიტყვიერად მოგვარდეს და არა იარაღით, რადგან მონასტერში ხმლის ამოღებას ადრეც არავინ იკადრებდა.

**მუხლი IV:** მოსისხლესაგან მკვლელობის შემთხვევაში მისი სისხლი გაცუდდეს (გამტყუნდეს) და *„მოკლულისა სრული სისხლი დაეურვოს“* ანუ სისხლის საფასურის გადახდა დაეკისროს.

კანონმდებელი ერისთავი ამ კანონის შეუვალობას ხაზგასმით აღნიშნავს და დასძენს: *„ეს მანამდის არის, სადამდისასა სარეკლისა და ზარის ხმაი ისმოდეს“.*

**მუხლი V:** *„და თუ ვინმე მონასტერსა შინა სიძვაი ქნას თრევით უპატიობით გაიძებოდეს“.*

**მუხლი VI:** თუ ვინმემ რამე მოიპაროს შვიდმაგად ზღოს და მონასტრის უპატივსცემლოს სახელი დაედვას.

ჩანს, ლარგვისის მონასტერში დროდადრო ხდებოდა მრევლთაშორის შუღლი, ჩხუბი, სისხლის აღება, ქურდობა და სხვა უკეთურობანი იქ მყოფ საეკლესიო მომსახურე პირთა უპატივცემულობასა და შეურაცხყოფასთან ერთად, რის გამოც ქვენიფნეველის კანონებში შეიტანეს სამონასტრო პერსონალის დაცვის ღონისძიებები.

**მუხლი VII:** *„და თუ ვინმე მღვდელი უსამართლოდ, უპატიოდ გახადოს, ანუ საცემელი შესდვას, მისსა სამართალსა დიდითა შეხვეწითა ნახევარი სხვაი ემატოს“.*

**მუხლი VIII:** *„დედაბერთა და მონაზონთა უპატიობაი და ენკრატისთაი* (აქ იგულისხმება ქალი. ვ. ქ.) *პატრონისა ბრძანებითა წინამძღვრისაგან და ძმათაგან მოკითხვოდეს და გაევლინებოდეს“.*

ირკვევა, რომ ერისთავის ბრძანებით წინამძღვარი და სამღვდელონი ვალდებულნი არიან დაიცვან და განიკითხონ მონასტრის ქალთა პერსონალი, თუკი ისინი ვინმემ შეურაცხყო და დამნაშავე მათივე განაჩენისამებრ დაისაჯოს.

მორჭმული და **„მზრუნველი ერისთავი“** საეკლესიო სჯულმდებლობის განსამტკიცებლად კანონიკური კოდექსების გარდა იძლევა მორალურ-ზნეობრივ შეგონებებს. მისი მრწამსის მიხედვით, შენი გმირობით და ქველმოქმედებით უნდა აიძულო სხვაც გააკეთოს იგივე, თუნდ ის მხოლოდ შენ გეხებოდეს. ასევე საგულისხმო შეგონებას იძლევა ქვენიფნეველი თავისი ერთი ლაკონური გამონათქვამით: *„ავისა მქმნელსა პატიჟსა უყოფდნენ და კარგისა მქმნელსა პატივსა“* (პატიჟი – სასჯელი; პატივი – თანამდებობა).

ცხრაზმის ერისთავი თავის სამფლობელოში მიღებულ კანონებს, მიუხედავად მათი ლოკალურობისა, ათანხმებს ქვეყნის უზენაეს ხელისუფლებასთან – მეფე ბაგრატთან.

ლარგვისის მონასტრისთვის განახლებული სოფლების შეწირვის თანადროულად წინამძღვრად ნიშნავს გიორგი ჟურულს და შემდგომად მის მომავალს.

აღნიშვნის ღირსია ის, რომ ქართველი ხალხის მრავალმხრივსა და მდიდარ წარსულში ეროვნულ-იურიდიულ შემოქმედებას საპატიო ადგილი უჭირავს. მას მითვლილი შიდა ქართლის მოსახლეობა და მისი განუყ-

ოფელი ქსნის ხეობის მოსახლეობა, სადაც შეიქმნა ერთ-ერთი ყველაზე ადრეული პოლიტიკური ერთეული ცხრაზმისხევის საერისთავო, ადრინდანვე გამოირჩეოდა იურიდიული აზროვნების თავისებურებებით. ეს თავისებურებები ვლინდებოდა როგორც კანონიკური ძეგლების შექმნით, ისე სამართლისმცოდნე კადრებით: წინამძღვარი, ხევისთავი, ხევისბერი, სამღვდელონი და *„სულისა კერძნი“* კაცები.

წმინდა კანონიკური ძეგლებს გარდა საერისთავოში და მის გარეთ შექმნილი სხვა წყაროები უეჭველს ხდის შემოქმედებით მუშაობას სამართლის დარგში და ამ კუთხით როგორც ცხრაზმის, ისე ქსნის ძლიერ საერისთავოს იურისპრუდენციის – სამართალმცოდნეობის წარმოჩენას.

ჩვენ მიერ განხილული შალვა ქვენიფნეველ III-ის ერისთავობის დროს შექმნილი იურიდიული წყაროები: 1. სამთავისის სამწყსოს საკანონო წიგნი, 1459 წ. 2. ჟურულთა გვარის სასისხლო სიგელი, 1470 წ. 3. შეწირულობის წიგნი შალვა ქვენიფნეველი ერისთავისა ლარგვისისადმი, 1470 წ. წარმოადგენენ ეროვნული საეკლესიო სჯულდებისა და ძველი სამონასტრო წესწყობილების შესასწავლად საინტერესო ისტორიულ მასალებს.

# თავი V

## ლარგვისი (ზოგადი მიმოხილვა)

*„ლარგვისი წარმოადგენდა ქსნის საერისთავოს პოლიტიკური და კულტურული აზროვნებითი ცხოვრების ცენტრს, ამიტომ მასზე უფრო მეტი მასალაა შემორჩენილი ვიდრე ამ არაჩვეულებრივი ხეობის სხვა ეკლესია-მონასტრებზე“.*

**ე. თაყაიშვილი**

ლარგვისს უაღრესად დიდი ადგილი უკავია ქსნის ხეობის ისტორიასა და მისი საერისთავოს წარმოშობა-ჩამოყალიბებაში. უეჭველია, ეს პროცესები ბევრად უფრო ადრე, დაახლოებით VI საუკუნეში, უნდა დაწყებულიყო, ვიდრე ამას ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს.

ლარგვისის, ისე როგორც სხვა ნებისმიერი პუნქტის, დიდმნიშვნელოვან საკვანძო ადგილად წარმოჩენა დაკავშირებულია გეოგრაფიულ მდებარეობასთან. როგორც ლოკალურ-რეგიონალური, ისე მთლიანი ქვეყნის თვალსაზრისით, სოფელი ლარგვისიც სწორედ ასეთი მდებარეობისა და ლანდშაფტის მაკონტროლებელი პუნქტია.

თავდაცვისა და ბატონობის სურვილის გამო ორი ვიწრო ხეობის ხერთვისში გამოკვეთილ კლდოვან კონცხზე ციხესიმაგრის აგების სურვილი, ჩვენს წინაპრებს ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე უნდა გასჩენოდათ. სწორედ მისი ხელსაყრელი მდებარეობა გახდა მთავარი მიზეზი მაღალი მთების ძირში, ზღვის დონიდან 1100 მეტრის სიმაღლეზე ლარგვისის წარმოქმნა უმთავრეს ციტადელად და საერო-სასულიერო კულტურის კერად.

ცხრაზმის ხეობა ქსნის ხეობის ერთ-ერთი განშტოებაა. დინებიდან მარცხენა მხარეს, ლარგვისის ზემოთ ორ კილომეტრში იწყება ცხრაზმა. იგი ისტორიაში მიჩნეულია შიდა ქართლის მთიანეთში პირველი საერისთავოს წარმომშობელ ხეობად. ამ მოვლენების ასახვას და შთამომავლობისთვის დატოვებას ითვალისწინებდნენ ლარგვისის სამონასტრო ცენტრში მოღვაწე მამა-შვილი ავგაროზ და გრიგოლ ბანდაისძენი. მათზე მსჯელობამდე უპრიანია შევეხოთ ერთ ძირითად კვანძში მოქცეულ ოთხ გეოგრაფიულ ადგილს: 1. შუა ცხრაზმის ხევის წინუბანს, 2. ლარგვისს, 3. ქვენიფნევს და 4. ვირშას. პირველი სამი დასახელებული პუნქტი შემადგენელი ნაწილებია იმ ერთ მთლიანობაში ნაგულისხმევ ცხრაზმის ხევის საერისთავოსი, რომელსაც ჩვენის აზრით საფუძველი უნდა ჩაყროდა VI საუკუნეში როსტომის გადმოსვლით, როგორც ამას ასახავს **„ძეგლი ერისთავთა“.** მაგრამ XIII საუკუნეში პოლიტიკურ არენაზე ვირშიდან მოსული ერისთავები გარდა პოლიტიკურისა, არ არიან გენეტიკური მემკვიდრენი როსტომ ბიბილურის და მისი დინასტიისა.

ცხრაზმის ყოფილ საერისთავოში ვირშადან მოსულმა, ქვენიფნეველად სახელდებულმა, ერისთავებმა დაახლოებით 150 წლის შემდეგ აიხდინეს სურვილი, ისტორიული დოკუმენტის – საგვარეულო მატიანის *„ძეგლი ერისთავთას“* შექმნისა, რომლის ძალითაც, უკვე საბუთით გააფორმეს მეფური გვარის წარმომავლობა და ბაზისად გაიხადეს ოს ბიბილურთა თავმოსაწონი ისტორია, რაც უეჭველია მცირე წერილობითი ჩანაწერის სახით იარსებებდა ქვენიფნეველთა სახლში. სავარაუდოდ, მათი დაკავშირება როსტომის დინასტიასთან ერთი მხრივ ნაკარნახები უნდა ყოფილიყო იუსტინიანეს, როგორც *„აღმაშენებლის“* გავლენიან სახელთან, რაც უფრო პრესტიჟულს და შთამბეჭდავს გახდიდა ქვენიფნეველებს, მეორე მხრივ კი არამეფური გვარის დაფარვასთან. აღნიშნული გეგმებით ოს მეფეთა გვარის დადებას ვირშელ ქვენიფნეველთათვის, უფრო სწორად უკვე დადებულის განმტკიცებისთვის და გაფორმებისთვის ლარგვისში მოღვაწე მწიგნობარს უკვეთავენ საგვარეულო მატიანის *„ძეგლი ერისთავთას“* შედგენას.

რაც შეეხება შუა ცხრაზმის წინუბანს, ლარგვისს, ქვენიფნევს და ვირშას, მათში მკითხველის უკეთ გასარკვევად, შევეცდებით ლაკონურად წარმოვადგინოთ ამ ოთხი პუნქტის დანიშნულება და მდგომარეობა VI საუკუნიდან მოყოლებული დღემდე.

ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲑᲘᲑᲘᲚᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲕᲚᲐᲛᲓᲔ:

1. **შუა ცხრაზმა – წინუბანი: „შუა ცხრაზმას ციხისთავის ნაქონებნი სოფელნი და ქვეყანანი“.** (სავარაუდოდ, გრუელებთან ბრძოლაში დაღუპული ციხისთავის უპატრონოდ დაგდებული მამული).

2. **ლარგვისი:** საფლავი **„ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა“.** საკულტო ცენტრი.

3. **ქვენიფნევი:** სახლი შუასაყდრის შვილთა.

4. **ვირშა:** ვირშელთა ცალკე სამფლობელო.

ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲑᲘᲑᲘᲚᲣᲠᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲡᲢᲘᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲡ:

1. **შუა ცხრაზმა – წინუბანი:** ცხრაზმისხეველთა წინამძღვრის სარგო. საკულტო ცენტრი.

2. **ლარგვისი:** საფლავი – საძვალე ცხრაზმისხეველთა წინამძღვრისა. (როსტომისა). აგრეთვე სხვა დიდებულთა და აზნაურთა. **„მაშინ როსტომ აღაშენა ქალაქი ლარგვისს და განასრულა და შეამკო ყოვლითურთ ეკლესიაი!“.** საკულტო და პოლიტიკური ცენტრი.

3. **ქვენიფნევი:** საჯდომი ცხრაზმისხეველთა წინამძღვრისა – როსტომისა **„მაშინ იწყეს შენებად ციხისა და სახლებისა დიდ-დიდებისა“. „სახლი შუა საყდრის შვილთა“.**

4. **ვირშა:** ვირშა-კოლონკეთის სამფლობელი.

ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲡᲢᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲐᲜᲣ ᲪᲮᲠᲐᲖᲛᲘᲡ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓ ᲕᲘᲠᲨᲔᲚ ᲥᲕᲔᲜᲘᲤᲜᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲘᲜᲐᲡᲢᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲓᲐᲜ (XIII Ს.):

1. **შუა ცხრაზმა-წინუბანი:** ერისთავთა ერთ-ერთი ძველი კუთხე **„წინუბნის სახლით“** ანუ **„სახლი ზემო საყდრის შვილთა“.**

2. **ლარგვისი:** XVI სუკუნის ბოლომდე ერისთავთა – ქვენიფნეველთა და დაწინაურებულ საერო-სასულიერო პირთა საძვალე. პოლიტიკური, სასულიერო და კულტურული ცენტრი, მდიდარი წიგნსაცავით.

3. **ქვენიფნევი:** XVI საუკუნის ბოლომდე ერისთავთა – ქვენიფნეველთა საჯდომი რეზიდენცია. სახლი შუასაყდრის შვილთა. XIV საუკუნეში 55 ოჯახიანი უძლურთა და დავრდომილთა **„სახლი“** – ბანაკი. XIX საუკუნიდან აზნაურთა, უფრო სწორად აზნაურობის ღირსების მაძიებელ ხალიზეგაშვილების საცხოვრისი.

4. **ვირშა:** თავდაპირველი, სამემკვიდრეო ადგილი ცხრაზმის, იგივე ქსნის ხეობის ერისთავების ბოლო ქვენიფნეველთა დინასტიისა. დაუზუს-

ტებელი ინფორმაციით, მეჯუდას ხეობაში, სადაც უნდა ყოფილიყო *„სახლი ქვემო საყდრის შვილთა“*.[1]

დღეს:

1. **შუა ცხრაზმა – წინუბანი:** სახელდაკარგული. აწინდელი ცხრაძმა – რაც შეცდომაა. წინუბანი – მოხუცთა მოგონებებით **„ძველი ნასოფლარი,“** სადაც ოქროთმოყვარულნი 20-25 წლის წინ თხრიდნენ წინაპართა საფლავებს. დღეს იქ ჩვენი იურისდიქცია არ ვრცელდება.

2. **ლარგვისი:** ძველი დიდების გუმბათოვანი გამოკეტილი ეკლესიით, დანგრეული ციხე-გალავნებით, დაკარგული სიწმინდეებით და საფლავებით. ანუ *„უძაღლოდ დარჩენილი სოფელი“*. ზედ მობრუნებული ცეცხლის კევრით, სადაც დღეს ჩვენი იურისდიქცია აღარ ვრცელდება.

3. **ქვენიფნევი:** დავიწყებული ნაშთი ქსნის ხეობისა და მისი ერისთავების – ქვენიფნეველთა დინასტიის ძველი დიდებისა. არქეოლოგიურად შესასწავლი მდიდარი კერა. დღეს იქ ჩვენი იურისდიქცია აღარ ვრცელდება.

ექვგარეშეა, ჭურთის წყლისა და მდ. ქსნის შესართავთან, კლდოვან კონცხზე აგებული პირველი საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობათა პუნქტი ლარგვისი იქნებოდა ეპიცენტრი მთლიანად ხეობის, მთისა და ბარის თანწყობილი სასიკეთო ძვრებისა. საფიქრებელია, რომ ამ ხერთვისში ბატონობდა წარმართული პანთეონის რომელიმე ღირსეული წარმომადგენელი, თუმც ეს ისტორიული წყაროებით არ დგინდება. სამაგიეროდ მის ტოპონიმიკაში მოიძებნება *„სამძივარას ხევი“*[2]. სამძივარა მატრიარქატის ჟამინდელი ქალღმერთი უნდა იყოს, როდესაც ქალის როლი და გავლენა უსაზღვროდ დიდი იყო ოჯახში. ეს წარმართული პანთეონის ქალ-ღვთაება ლარგვისში რაიმე ხატით იყო წარმოდგენილი თუ არა, დღემდე გაურკვეველია.

---

[1] თ. ჟორდანიას ვარაუდით, ვირშა მდებარეობდა მეჯუდის ხეობაში, იკორთის სიახლოვეს. მოგვიანებით ვირშა იკორთად მოიაზრებოდა.

[2] ლარგვისიდან სამხრეთით 1500 მეტრში, „ლოქიდურებთან“ დასტურდება მატრიარქალური ხანის წარმართული საკულტო ტრადიციული ძეგლის სახელი – „სამძივარას ხევი“. სამძივარა, როგორც მითიური სახე, ქსნის ხეობაში მიჩნეულია ნადირობის ღმერთად. იგი სვანური ქალღმერთის დალის აღმოსავლური ვარიანტია. ფართოდ იხილეთ გაზ. „ახალგორი“, 2006, № 15: ქენქაძე ვ., ქსნის ხეობის მთიელთა მითოლოგიური პალიტრა.

ხსენებული ამ ორი მდინარის შერთულთან, პირველხანების ნაგებობებზე არაფერი ვიცით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი ვარაუდით ქრისტეს დაბადებამდე უნდა ყოფილიყო.

ცხადია, ყველაზე მეტ და საინტერესო ცნობებს ლარგვისზე მისივე სენაკში, მისივე წინამძღვრის ხელით დაწერილი საგვარეულო მატიანე „ძეგლი ერისთავთა“ გვაწვდის. ამ უნიკალური ძეგლის მიხედვით, როსტომ ბიბილურის ცხრაზმისხევზე მოსვლისას ლარგვისში ყოფილა ქრისტიანული სალოცავი *„მონასტერი“.*[1] უდავოა, იქნებოდა თავდაცვითი ნაგებობანი, მათ შორის ციხე, რადგან მონასტერი ციხის და პირიქით, ციხე სამლოცველოს გარეშე თითქმის არ შენდებოდა, თანაც სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილზე. ცხადია, ციხეს ციხიონი და ციხისთავი ეყოლებოდა, მონასტერს, სამღვდელონი და მათგან ერთ-ერთი წინამძღვარი.

მონასტერთან აუცილებლად სასაფლაოც მოეწყობოდა. ხეობის ყველაზე თვალსაჩინო სამლოცველოს სასაფლაოზე, რა თქმა უნდა, ცხრაზმისხევის საზოგადოების პრივილეგირებული ფენა დიდებულ-აზნაურები დასაფლავდებოდნენ. ასეთ გამორჩეული თავდაცვითი და რელიგიური კერისთვის აუცილებელია წინამძღვარი და მამასახლისი. და აი, ჰყავს კიდეც – მამასახლისი, რომელიც ირანული ორიენტაციის მქონე გრუელებთან ომში გამოჩენილი მამაცობისთვის როსტომს სთავაზობს იუსტინიანეს მიერ შეწირულ საფლავს და წინამძღვრობას:

*„მაშინ ჰრქვა **მამასახლისმან ლარგვისისამან, ხუციანდაბის ძემან**: – უკუეთუ გნებავს მკვიდრ ყოფაი ქვეყანასა ამასა, ითხოვე საფლავი მონასტერსა ამას, რამეთუ ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა საფლავი აქა არს და სოფელნი ესე, რომელნი ღმრთივგვირგვინოსნისა ისტვინიანე აღმაშენებელისაგან შემოწირულ არიან. იყო წინამძღვარ მათდა, თუ ღმერთსა უნდეს“.*[2]

მაშასადამე: VI საუკუნეში ლარგვისში არსებობს ქრისტიანული სალოცავი. ცხრაზმისხეველთა ყველაზე წმინდა, საპატიო, გამაგრებული ადგილი – საძვალეთი.

მემატიანის თანახმად, VI საუკუნის 70-იანი წლებიდან ლარგვისის მონაკვეთზე იწყება დიდი აღმშენებლობითი პროცესი: *„და მოსწრაფე იყვნეს ყოველნი შენებასა ლარგვისისასა დღითი-დღე ყოველნი ხევნი...*

---

1 მონასტერი – ბერძნულად მონასტრიონ განდეგილის მყუდრო სავანეს ნიშნავს.

2 „ძეგლი ერისთვთა“, ქართული მწერლობა, ტ. V, გვ. 104.

*მაშინ როსტომ აღაშენა ქალაქი ლარგვისს და განასრულა და შეამკო ყოვლითურთ ეკლესიაი".*

ლარგვისის მონასტერი არაერთხელ გამხდარა წყალდიდობის, მეწყერისა და მტრის მსხვერპლი. მას მდ. ქსანი აღმოსავლეთის მხრიდან დიდ საფრთხეს უქმნიდა და რამდენჯერმე სერიოზულად დაუზიანებია. ტალღებს მისკენ აბრუნებდა მარცხენა მხრიდან მდინარეს დაჯახებული ჩახრიალა (ხრიალა ხევი), ხევიდან წამოსული დამეწყრილი, მცოცავი ქვაღორღი, რომელიც კეტავდა და აბრუნებდა ქსანს დასავლეთისკენ.

დაახლოებით 1318 წელს, ლარგვისში წყლით გამოწვეულ ნგრევაზე მემატიანე აღნიშნავს: *„ამას ჟამსა ადიდდა ქსანი და წარიღო ერთი კერძი ზღუდე აღმოსავლით კერძო და სამრეკლონი დიდნი და შვენიერნი".*

ლარგვისის მონასტერს, როგორც ყველაზე წმინდას და საჩინო ადგილს, ერისთავები დიდ ყურადღებას უთმობდნენ. ნიადაგ ამდიდრებდნენ, ამკობდნენ და სწირავდნენ უამრავ შესაწირს. ამ მხრივ გამოირჩეოდა შალვა ქვენიფნეველ I-ის მეუღლე (პიპა ქვენიფნეველის დედა) ოსთა მეფის ასული შირდი: *„რომელმან განადიდა პატივი მონასტრისა ამის და შექმნა ყოველი სამსახური ეკლესიისაი... და მოჭედნა ხატნი და შეამკო ხატნი თეთროსანი წმინდათა ნაწილებითა და ყოვლითა სამკაულითა".*

სამწუხაროდ, მემატიანე არ ასახელებს და ჩვენთვისაც გამოურკვეველია, თუ რომელი წმინდანის სახელზე იყო აგებული ლარგვისის თავდაპირველი მონასტერი. ამ თვალსაზრისით პირველ მინიშნებას ისევ ავტორი აკეთებს, ლარგველის (პიპას ძმა) აღმშენებლობაზე თხრობისას. როგორც ირკვევა, იმ თავდაპირველ სალოცავში, როდესაც ის უკვე მონასტრად იხსენიება, არსებობს წმ. თეოდორეს ხატი, რომელსაც ერისთავი ლარგველი ამკობს, ხოლო ახალ ხატს მაცხოვრისას ქმნის **„ტანისა თავისისაითა"**, ე. ი. ზომით დიდ ხატს, ტანად დიდი ერისთავის სადარს. ლარგველი რომ მომცრო ან კაფანდარა ყოფილიყო, ბანდაისძე არ მოახდენდა ამ ხერხით მაცხოვრის ხატის მასშტაბურობის გამოხატვას: *„... ამან შექმნა* (ლარგველმა. ვ. ქ.) *დიდი ესე ხატი მაცხოვრითა საზომითა ტანისა თვისისაითა და მოჭედა იგი. ამანვე შეამკო დიდ ესე ხატი თედორესი და შექმნა ორი კანდელი და დაუკიდა წინა".*

ცხრაზმის მომდევნო ერისთავი ვირშელის ძე ქვენიფნეველი, დიდი პაპის მსგავსად აგრძელებს სამონასტრო აღმშენებლობას. ის ყველაზე მეტ გულუხვობასა და ყურადღებას იჩენს ლარგვისისადმი. *„ამან იწყო შენებად ზღუდეთა ამის მონასტრისათა და აღაშენა სამრეკლოითა და ყოვლითა სამკაულითა შეამკო ეკლესიაი და შეკრიბნა მღვდელნი და*

*მონაზონნი და პატივი სცა უმეტეს ყოველთა ერისთავთა პირველთა და შემდგომთა; და აღაშენა საზეთე და განაჩინა იზ (17) აღაპი და შემოიწირა ცხრაი ვენახი და გლეხნი მსახურად ეკლესიისა“.*

აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს ორ გარემოებაზე: 1. ლარგვისში მონასტერთან **არსებობს პანთეონი** და დიდ პატივში ჰყავთ გარდაცვლილი „პირველთა და შემდგომთა ერისთავები“ და მათ საფლავებზე ზრუნავს როგორც ერისთავი, ისე მღვდელ-მონაზონნი. 2. **შენდება საზეთე**, რაც დიდმნიშვნელოვანია, ამიტომ ამ თემაზე შემდგომ გვექნება საუბარი.

გადის რამდენიმე ათეული წელი და მდინარე ქსანი XIV ს-ის 80-იან წლებში კვლავ ანგრევს მონასტრის გალავანს. თუმც იმავე კვირას ცხრაზმის ერისთავი იოვანე იწყებს ახალი მონასტრის მშენებლობას.

*„ამას ჟამსა იქმნა წვიმაი მძაფრნი და ადიდნა ქსანი და მოჰმართა მონასტერსა ამას და წარიხვნა ზღუდენი და სამრეკლონი და გამოთხარა ძირი ეკლესიისაი, რომელი სამ წელ აღაშენა და მოაქმნა ბჭე და სამრეკლოი და იწყო ზღუდესა ხატვად ეკლესიისა“.*

სამწუხაროდ, ახალაშენებულ, მოხატულ ეკლესიას ანგრევს თემურლენგის ლაშქარი, ხოლო იქ დაკრძალულ იოვანეს საფლავს რა ბედი ეწია არ ვიცით. სავარაუდოდ, ლენგის მოლაშქრეებს უნდა აეკლოთ და გაეძარცვათ მონასტრის პანთეონი.

მემატიანე არაფერს ამბობს ლარგვისის დანგრეული ეკლესიის აღდგენაზე, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ მას უთუოდ ააშენებდა ვირშელ III. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ვირშელისგან ქაშუეთის წმ. გიორგის სახელზე ეკლესიის აგება „საზღვარსა ვარნისასა“. ლოგიკურია ჯერ თავის დანგრეულ მონასტერს აღადგენდა და მერე სხვა ახალს ააშენებდა. ჩვენი ვარაუდით, იოვანეს ეკლესია უნდა აეგო იქ, სადაც დღევანდელი წმინდა თევდორეს სახელობის ეკლესიაა, რომელიც მდინარის შესაძლო შემოტევებისაგან ერთხელ და სამუდამოდ იქნებოდა დაცული.

როგორც ირკვევა, ლარგვისის სამონასტრო ანსამბლი აერთიანებდა სულ ცოტა სამი სხვადასხვა წმინდანის სახელზე აგებულ ცალ-ცალკე სამლოცველოს. მათგან ორის დაზუსტებაა შესაძლებელი: ერთი – შალვა ქვენიფნეველის მიერ აგებული იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია და მეორე თევდორეს სახელობის ეკლესია, რომლის სახელს მემატიანე ბანდაისძე კარგახნამდე არ გვიმხელს (დასაწყისში მოიხსენიებს მონასტრად). მესამე ეკლესია შესაძლებელია ყოფილიყო წმინდა ნიკოლოზის სახელობის, რასაც გვაფიქრებინებს „ძეგლი ერისთავთას“

ცნობა – ვირშელ III-სგან, ჩვენთვის გაურკვეველ ადგილზე აღნიშნული წმინდანის სახელზე ეკლესიის აგება, მაგრამ ამ ვერსიის უარყოფას შესაძლებელს ხდის თვით ამ ერისთავის ვირშული წარმომავლობა, ე. ი. სავარაუდოა ვირშაში აეშენებინა. აქ ერთგვარი დასკვნის სახით ციტირებას მოვახდენთ ე. თაყაიშვილის უზის წიგნიდან, რომელიც მეცნიერს 1913 წელს გაუკეთებია ლარგვისში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით.

*„წმინდა თეოდორეს სახელობის ლარგვისის მთავარი ტაძარი თავის საერთო მონახაზში აშენდა XIV ს-ში და შემდგომ საუკუნეებში არაერთხელ იქნა რესტავრირებული და განახლებული“.*[1]

ლარგვისის, როგორც საკვანძო პუნქტის მთავარ ნაგებობას ციხე და მონასტერი წარმოადგენდა, სხვა დანარჩენ თავდაცვით, რელიგიურ და სამეურნეო ნაგებობებთან ერთად ისინი ერთ ძლიერ კომპლექსს ქმნიდა.

დიდი გეოგრაფის ვახუშტის დროს, რომელიც მოსკოვში გადასახლებამდე[2] იმყოფებოდა ქსნის ხეობაში, ლარგვისში ყოფილა უგუმბათო სალოცავი – მონასტერი. *„საძეგურის ჩრდილო არს მონასტერი ლარგვისი, წმიდის თევდორესი, აღმოსავლეთით უდის კსანი, სამხრეთით ჭურთის წყალი, უგუმბათო, შემკული ყოვლითა, აწ ხუცის სამარ“.*

ვახუშტის ნანახი მონასტერი აგებული უნდა ყოფილიყო ვირშელ III-ის მიერ, თემურლენგისგან ლარგვისის მოოხრების შემდგომ პირველ შვიდწლეულში, სამწუხაროდ, მისი დანგრევის მიზეზი უცნობია. უცნობია აგრეთვე დანგრევის წელი, რის დაზუსტებაში გვეხმარება თვალებდამწვარი ქსნის ერისთავის შანშეს მიერ 1750 წელს ლარგვისის მონასტრის ხატის შემკობა: *„ჩვენ ერისთავთ-ერისთავმა შანშე შევამკე ხატი ეგე ლარგვისის მონასტერს წმიდის თეოდორეს ტირონისა, რათა მეოხ მექმნეს წინაშე ღვთისა. ქორონიკონსა უკიჲ“.*[3]

რადგან ერისთავი შანშე 1750 წელს ამკობს ლარგვისის წმ. თევდორეს სახელობის ეკლესიის ხატს, გამოდის, რომ სალოცავი არსებობდა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, დანგრევის წელი და მიზეზი უცნობია.

---

1 Такаишвили Е., Археологические Экскурсии, разыскания и заметки, III. Тфл., 1913, стр. 81.

2 1725 წლამდე ვახუშტი ცხოვრობდა საქართველოში. მოსკოვში წასვლამდე, სადაც მან 1742-1745 წწ. დაწერა სოლიდური ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, მასალების მოსაგროვებლად შემოიარა მთელი საქართველო. მათ შორის „დამტერებული“ ქსნის ხეობა.

3 Такаишвили Е., стр. 95-96.

სამაგიეროდ ცნობილია, რომ ხატის შემკობიდან 12 წლის შემდეგ ლარგვისში დგას მაღალგუმბათიანი ლამაზი ეკლესია, რაზეც უტყუარ ცნობას გვაწვდის 1762 წლით დათარიღებული წმ. თევდორეს სახელობის ეკლესიის ღვთისმშობლის ხატის ასომთავრული წარწერა, სადაც იკითხება *„...ოდეს ეკლესია ესე ლარგვის მონასტრისა აღაშენა კეთილმსახურის ერისთავის დავითის და კეთილმორწმუნის დედისა მისისა ქეთევანის მიერ, ძისა მათისა შალვას კეთილად აღსაზრდელად, მას ჟამსა მე უღირსმან არქიმანდრიტმან ამის მონასტრისმან დავახატვინე ხატი ესე ყოვლად წმინდისა მცველად და მფარველად ერისთავსა დავითის საოხად სულისა ჩემისა ქკს ჩღ.ბ. მხატვარი იოანე“.*[1]

მოყვანილი ტექსტიდან ირკვევა ეკლესიის აღმშენებელთა ვინაობა, მაგრამ აშენების წელი კვლავ უცნობია. ამ საინფორმაციო დეფიციტს ავსებს ვახუშტის „გეოგრაფიის“ მინაწერი: *„საძეგურს ჩრდილოეთით ლარგვისში არის ძველადვე აშენებული წმ. თეოდორეს მონასტერი, მაგრამ რესტავრირებული ძირიდან სახურავამდე 1759 წელს დავით ქსნის ერისთავის მიერ“.*[2]

ღვთისმშობლის ხატზე გაკეთებული წარწერა პირდაპირ ასახელებს აღმშენებლად დავითს და მის ოჯახს. ვახუშტის მინაწერი გარკვევით ამბობს, ძირიდან სახურავამდე რესტავრირებულია დავით ქსნის ერისთავის მიერ. საკმაოდ დიდი სხვაობაა აღმშენებელსა და რესტავრატორს შორის. რაკი მონასტრის არქიმანდრიტი ადგილობრივი სასულიერო პირია და უთუოდ მშენებლობის მონაწილეც, სრულიად საფუძვლიანად გვეჩვენება დავითი დღევანდელი მონასტრის არა რესტავრატორად, არამედ აღმშენებლად. ამრიგად, 1750 წლამდე ლარგვისის ანსამბლში ჩართული იყო წმ. თევდორეს სახელზე აგებული უგუმბათო ეკლესია, რომელიც უცნობი მიზეზების გამო დანგრეულა და 1759 წელს დავითს აუგია ახალი გუმბათიანი ეკლესია.[3] იგი დღესაც მომხიბვლელად დგას ორი ხეობის გასაყართან.

ლარგვისის სამონასტრო კულტურული ცენტრის აღმავლობა კულმინაციას XVI საუკუნეში აღწევს. შემდგომ აღმასვლა ჩერდება. ცხრაზმის

---

1 Такаишвили Е., стр. 90.

2 Brosset M., Description Georgraphi de la SPB. 1842, პ. 233.

3 უგუმბათო ეკლესია შესაძლებელია დაენგრია მიწისძვრებს. 1750 წ. საქართველოში 9,5 ბალის სიმძლავრის ორი მიწისძვრა ყოფილა. ასევე მიწისძვრა ყოფილა 1756 წ. ეპიცენტრით კახეთში, მისი სიმძლავრე იყო 7,5 ბალი. ფართოდ იხ.: ისტორიული მიწისძვრები საქართველოში (1900 წლამდე), თბ., 2011 წ.

ერისთავები სახელთან ერთად რეზიდენციასაც იცვლიან, ლარგვის-ქვენიფნევიდან ქსნის ერისთავთა სახელდებით ახალგორში გადადიან და საგვარეულო სამარხად იკორთას ირჩევენ. 1777 წლიდან, როდესაც ერეკლე II-ის ბრძანებით ქსნის საერისთავო უქმდება, იწყება ლარგვისის დაქვეითება. საერისთავოს გაუქმების პირველ ეტაპზე ქსნის ფეოდალთა ქონების გადასვლა-გადაბარება უფლისწულთა ხელში შედარებით უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა, მაგრამ არ უნდა გავიგოთ ისე, რომ უპატიოდ და უპატრონოდ დარჩა ყოფილი საერისთავოს ეკლესია-მონასტრები, შეუჩერდათ შემოსავლები და მრევლმაც ზურგი აქცია.

ქრისტიანული კულტურის მოამაგე ბაგრატოვანთა დინასტიის წარმომადგენელი უფლისწულები ჯეროვან ყურადღებას უთმობენ კულტურის კერებისა და საერთოდ ხეობაში წამოჭრილ საჭირბოროტო საკითხებს. ამ მხრივ არაერთი ბრძანება არსებობს ერეკლე მეფის ძის გიორგისი. მათგან ერთი ლარგვისის მონასტრის შესახებ: *„1778, თიბათვის 19. ქ. ბატონიშვილი გიორგი გიბრძანებ ბოქაულთ-უხუცესო ზურაბ! მერმე რაც ქსანზე ლარგვის წმინდის თევდორის მონასტერს შეწირული აქვს რამე, ან ყმა და ან მამული, იმას ჩვენ ხომ არ გამოვწირამთ ...... რაც დებულება იყოს, მონასტრისა სუყველანი ისე უნდა ემსახურნენ და აძლიონ მაგ წმინდას მონასტერსა. და მეორე ესე, რომე ორაგულიდამ ხუთზე ერთი ორაგული უნდა მაგ ეკლესიას მისცეთ, რადგანაც განწესებული ასე ყოფილა...“*[1]

აღნიშნული პროცესი საქართველოში ავტოკეფალიის გაუქმებამდე და საერგზარქოსოს შემოღებამდე, 34 წელი გრძელდებოდა. 1811 წლიდან ლარგვისის მონასტერი გადაიქცა სამრევლო ეკლესიად და შედიოდა იკორთის საარქიმანდროში. აღნიშნული წლისთვის აღმოსავლეთ საქართველოში არსებობდა ცხრა საარქიმანდრო. გორისა და ანანურის (დუშეთის) მაზრაში ხუთი:

1. ქვათახევის – 105 კომლი გლეხით.
2. შიომღვიმის – 27 კომლი გლეხით.
3. იკორთის – 16 კომლი გლეხით.
4. თირის – 3 კომლი გლეხით.
5. ლარგვისის – 40 კომლი გლეხით.[2]

---

[1] თაყაიშვილი ე., საქართველოს სიძველენი, წიგნ. I, 1920, გვ. 458.

[2] შაკიაშვილი თ., საქართველოს ეკლესია XIX საუკუნის I ნახევარში, „რწმენა და ცოდნა“, თბ., 2002, № 2.

ე. თაყაიშვილის მონაცემებით, 1811 წლამდე ლარგვისში მჯდარა არქიმანდრიტი. შემდგომ მონასტერს დაუკარგავს ყმა-მამულები და ფლობდა მხოლოდ 3 კომლ გლეხს[1].

საბუთებით ირკვევა, რომ 1836 წლის 17 იანვარს, სინოდურ კანტორას მოუსმენია საქმე: იკორთის, ლარგვისის, ალევის, ხოფის მონასტრების მამულების შესახებ, რომლებსაც თავადი ერისთავები დაეპატრონენ.[2] ჩანს არაფრის გამკეთებელი სინოდის კანტორა ერისთავებს ეცილებოდა იმ მონასტერთა ყმა-მამულებით სარგებლობაში რომელ მონასტერთა პატრონები, შემწირველნი და მადიდებელნი სიტყვითაც და საქმითაც ერისთავები და ზოგიერთი მათნაირი თავადაზნაური იყო.

## ლარგვისის წმ. თევდორე ტირონის სახელობის ტაძრის არქიტექტურული განხილვა

*„ვისიცა იყოს საფლავი, მას*
*შეჰგავს ეკლესია და ყოველი მიმდგომი მისი“*

**გრ. ბანდაისძე**

როგორც უკვე ითქვა, ტაძარი აგებულია 1759 წელს და მასში არ შეიმჩნევა სხვადასხვა ეპოქის სამშენებლო შრეები. იგი მიეკუთვნება იმ ცენტრალურ-გუმბათოვან ტაძრის ტიპს, რომელი ჩვენთან გავრცელდა XI-XIX საუკუნეებში. *„იკორთის ძეგლთან ლარგვისის ეკლესიას ნაკლები მსგავსება აქვს, მაგრამ ლარგვისის ეკლესიაზე ასიოდე წლით ადრე აგებულ ანანურის ტაძართან მეტ მსგავსებას იჩენს“.*[3]

ლარგვისის მონასტრის გეგმა ოთხკუთხაა. იგი აგებულია ქვიშაქვისაგან, აქვს მაღალყელიანი და მახვილწვერიანი გუმბათი. გუმბათის ყელი, კარები და სარკმლები მოპირკეთებულია მოყვითალო თლილი ქვით, მათი კარნიზები კი – თეთრი ქვით. შიგნით ტაძარი ოთხი სვეტით გაყოფილია სამ ნავად. შუა ნავი გვერდითებზე მაღალია. სვეტები ამოყვანილია

---

1 Такаишвили Е., Археологические Экскурсии, разыскания и заметки, V. стр. 80.

2 ცსია, ფ. 489, საქ. 5173, ფ. 1.

3 ძეგლის არქიტექტურული დახასიათებისას ჩვენ გამოვიყენეთ ე. თაყაიშვილისა და პ. ზაქარაიას აღწერილობები. იხ.: თაყაიშვილის დასახელებული ნაშრომი და ზაქარაია პ., ქართული ხუროთმოძღვრება XI-XVIII სს. თბ., 1990.

აგურისგან და რვაწახნაგაა, თაღები ისრისებურია. შესასვლელები აქვს სამხრეთიდან და დასავლეთიდან.

ეკლესიის შიდა სივრცე კარგად ნათდება გუმბათის მაღალ ყელში განლაგებული ათი სარკმლით, ჯვრის მკლავებში მდებარე თითო სარკმლით და სამხრეთ ნავში მოთავსებული ორი სარკმლით. ყველა სარკმელი ნუშისებურია. მათი ასეთი ფორმა გავრცელებული არ ყოფილა, იგი ლარგველი ოსტატის ორიგინალობას უნდა მიეწეროს.

გუმბათი ეყრდნობა საკურთხევლის კუთხეებსა და დასავლეთის ორ სვეტს. აფსიდში ნახევარწრიული გეგმის მქონე ნიშებია. ეს ნიშები მღვდელმსახურთა ჩამოსასხდომად იქნებოდა განკუთვნილი.

საკურთხევლის გვერდებზე ორსართულიანი სადგომებია. ქვემოთ სადიაკვნე და სამკვეთლოა, ზემოთ კი სამალავები. ამ სამალავებს იყენებდნენ ეკლესიის განძეულობის შესანახად. ხოლო, რადგან ისინი სამალავს წარმოადგენდნენ, მათში შესასვლელი არ უნდა ყოფილიყო ეკლესიაში შემსვლელთათვის ადვილად დასანახი. ზედა ორ ოთახს მხოლოდ ერთი შესასვლელი აქვს, ტაძრის ეს ოთახები მხოლოდ სამალავის ფუნქციას არ ასრულებდა. კალატოზებს მათთვის თავდაცვითი დანიშნულებაც მიუციათ. გაუთვალისწინებიათ იმ მძიმე პერიოდისთვის დამახასიათებელი ლეკიანობა და მათი განუწყვეტელი თავდასხმები ქსნის ხეობაზე. სწორედ მათი თარეშის დროს შენდებოდა ლარგვისის ტაძარი.

ეკლესიის კედლები შიგნიდან ნაგებია ყორე-ქვითა და აგურით, ხოლო კამარები და თაღები მთლიანად აგურისაა (აგურის ზომები: 22X22X4 სმ.). შელესილ კედლებზე ფრესკების ნაკვალევი არ ჩანს. 1800 წლის შემდეგ შიგნით ფასადი კირით შეუთეთრებიათ.

საკურთხეველი დარბაზისაგან ხის მოჩუქურთმებული კანკელით ყოფილა გამოყოფილი. მისგან მხოლოდ ზედა კოჭია გადარჩენილი.

ტაძრის მთელი მორთულობა კარებისა და ზოგიერთი სარკმლის ირგვლივაა განლაგებული. არქიტექტორს მეტი ყურადღება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადებისათვის დაუთმია, სამხრეთის ფასადზე კი მხოლოდ კარია მორთული. აღმოსავლეთის ფასადზე სამი სარკმელია და სამივეს მოჩუქურთმებული საპირე არშია გასდევს. ცენტრალური სარკმლის თავზე კი ჯვარია აღმართული.

დასავლეთის ფასადზე ერთი კარი და თლილი ქვით მოპირკეთებული სამი სარკმელია. კარის მორთულობა რთული პროფილით კედლის შიგნითაა ჩაკვეთილი. მისი თაღის თავზე ოსტატს თავისი საქმიანობის უკვ-

დავსაყოფად საკუთარი მარჯვენა ხელი და სამუშაო იარაღები – ჩაქუჩი[1] და გონიო გამოუსახავს.

ლარგვისის პირამიდული გუმბათი და მთლიანად ტაძარი თავდაპირველად ქვის კრამიტით – ლორფინებით ყოფილა გადახურული. XIX საუკუნეში გუმბათი თუნუქით გადაუხურავთ, ხოლო ქვედა ტანის ქვის სახურავი – კრამიტით. ღვაწლმოსილ მეცნიერს ე. თაყაიშვილს ქსნის ხეობაში, 1908 წელს საძეგურში აღმოჩენილ განძთან დაკავშირებით, რამდენჯერმე უმოგზაურია. ყოფილა ლარგვისშიც. სავალალო მდგომარეობაში დახვედრია ტაძარი და თავის უბის წიგნში გაუკეთებია შემდეგი ჩანაწერი: *„ქსანზე გადაჭიმულ მორებისაგან შეკრულ დაკიდებულ ხიდს მივყავართ მონასტრის კარიბჭემდე, რომელიც შემოსაზღვრული იყო ქვის გალავნით. კარიბჭე განლაგებული იყო სამხრეთით, მის თავზე კი სამრეკლო, რომელიც ამჟამად ჩამოშლილია ... ლარგვისის მონასტრის რესტავრაცია გაუკეთებიათ XIX ს-ში, მაგრამ ამჟამად იგი ნელ-ნელა უდაბურდება, ინგრევა და ნადგურდება, სამხრეთი სარკმელი უკვე ჩამოვარდა, ამ მხარეს კედელს ბზარი გაუჩნდა და სადაცაა გადმოვარდება. მრევლი ღარიბია, ხოლო სინოდის კანტორა არანაირ ზომებს არ იღებს“.*[2]

აღწერილზე უფრო მეტად სავალალო მდგომარეობით მოაღწია ტაძარმა XX საუკუნის 80-იან წლებამდე. მხოლოდ ი. ციციშვილის ძეგლთა დაცვის სამმართველოს ხელმძღვანელობისას ჩაუტარდა არაჯეროვანი რესტავრაცია. მთლიანად მოხსნეს ქვის ლორფინები და გადახურეს თუნუქით. უყურადღებოდ იქნა დატოვილი ანსამბლის სხვა ნაგებობები, მათ შორის კარიბჭე და დამცავი გალავანი, რომლის სამხრეთ ნაწილს განადგურებით ემუქრება მდინარე ქსანი.

---

1 კარის თაღზე გამოსახული ამ შრომის იარაღს თაყაიშვილი წერაქვად მიიჩნევს, პ. ზაქარაია – ქვის მოსაკოდ ჩაქუჩად.

2 Такаишвили Е., Археологические Экскурсии, разыскания и заметки, V. стр. 87.

## ლარგვისის მონასტრის სიწმინდეები და შეწირულობანი

*„1723 წ. ყოველი სვეტიცხოვლის სამკაული ლარგვისში იყო გახიზნული, – გვირგვინი გ; ხატი მურასა დ; ბისონი ვ; წიგნი მრავალი და გუჯარნი სრულიად, ყოველნი სამსახურებელნი დიდისა კათოლიკე ეკლესიისა, ოდეს ურუმით შეიპყრეს ყოველი საქართველო, კახეთი და ყიზილბაშნი ვიდრე თავრიზამდე და ლეკთ აარხრეს კახეთი და საქართველო“.*[1]

საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის ექვთიმე თაყაიშვილის დიდი დამსახურებაა ლარგვისის წმ. თევდორე ტირონის სახელობის ტაძრის ზოგიერთი კუთვნილი ძვირფასეულობის აღნუსხვა და შესწავლა. ეს ღვთისკაცი რომ არა, იმ უამრავ გაძარცულ, გატანილ და დაკარგულ სიმდიდრეთა შორის აღმოჩნდებოდა დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული ქსნის ხეობის სიწმინდეებიც. აქ უმნიშვნელო ცვლილებებით მოვიტანთ ლარგვისში ექვთიმეს მიერ ნანახ, შესწავლილ ხატ-ჯვრებს და სხვადასხვა დროს შეწირული ინვენტარის აღწერილობებს.

ექვთიმისეული აღწერის მიხედვით, წმ. თევდორეს სახელობის ტაძრის კანკელი ხისაა და მოჩუქურთმებული, მასში ჩასმულია ოთხი დიდი ფერწერული ხატი წმინდანებისა, რომლებზეც მომდევნო თავში გვექნება საუბარი. ახლა კი აღვწერთ კანკელის *„სამეფო კარებზე“* მიმაგრებულ მაცხოვრის ხატს და სხვა სიწმინდეებს:

1. *„სამეფო კარებზე“* მიმაგრებულია მცირე ზომის მაცხოვრის ხატი, როგორც ჩანს, XIX ს-ის, თამარ ერისთავის (დაბადებით ამილახვარი) მიერ შეწირული, რაზეც მოწმობს მხედრული წარწერა: *„ივანე ამილახვრის ასულმა თამარმა კნეინა ერისთავისამ შემოგწირე მაცხოვრის ხატი წმინდა თევდორეს ეკლესიას ჩემი ქმრის და შვილების სადღეგრძელოთა“.*[2]

2. წმ. თეოდორე ტირონის მოოქროვილი ვერცხლის დიდი ჭედური ხატი, ოდნავ დაზიანებული, გადმოტანილია აქ სოფ. საძეგურიდან, 73X56 სმ. იგი ცნობილია კობაურების ხატის სახელით. ხატზე თეოდორე შუბით ამარცხებს ურჩხულს. ხატი რელიეფურია, სარტყელზე გამოსახულნი არიან: ზემოთ მაცხოვარი ტახტრევანზე, გვერდებზე წმინდანები –

[1] კარბელაშვილი პ., იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ.143.

[2] წინა შემდგომი 28 ექსპონატის დახასიათება ციტირებულია ე. თაყაიშვილის არქეოლოგიური მოგზაურობის ჩანაწერებიდან, წიგნ. V.

ჯვრებით, ხატს ზემოთ აქვს ასომთავრულით შესრულებული წმინდანის სახელის წარწერა: **„წმინდა თეოდორე“.** შეცდომით არის მიჩნეული წმ. გიორგის გამოსახულებად.

3. წმ. გიორგის გამოსახულება, შუბის გარეშე 49X37 სმ. მოოქროვილი ვერცხლი, ნიმბა მორთულია მარგალიტით და რამდენიმე ქვით: ერთი ზურმუხტი, ორი ლალი, ორი ფირუზი. ზემოთ ხუცურით წმინდანის სახელია მოცემული. ქვემოთ 1732 წელს მხედრულით შესრულებულ წარწერაში მოხსენიებულია ერისთავი შანშე:

**„1. ქ. ჵ: მოწამეთა: მთავარო: დიდებულო: გიორგი: მყოს: ექმენ დიდსა მას განკითხვისასა: ერისთავთ: ერისთავს:**

**2. შანშეს: ძითა: და: ასულით: ვინც: იხილოთ: შენდობა: ბრძანეთ: ქრისტეს: გულისათვის:**

**3. დიაღ: მეჭირვება: სრულ: იქმნა: წმიდა: ესე: ქკ ~სა: უკ: (1732 წ.) ბატონი: ერისთაო: ჩემის: საქმეს: ნუ: დაივიწყებთ:“**

4. თეოდორ ტირონის დიდი სატაძრო ხატი 81,5X48X,5 სმ. გამოსახულება რელიეფურია, ჭედური, თეოდორე გამოსახულია მთელი ტანით, მარცხენა ხელით ეყრდნობა შუბს, მარჯვენაში უკავია ჯვარი. იგი რომაელი მეომრის ჩაცმულობაშია. ხუცურით შესრულებული წარწერა გვამცნობს, რომ ხატი 1750 წელს შეჭედა ერისთავმა შანშემ. გაწვდით ტექსტს შემოკლების გარეშე მხედრულად: **„ჩვენ ერისთავთ ერისთავმა შანშემ შევამკე ხატი ეგე ლარგვისის მონასტრის წმიდის თევდორე ტირონისა, რათა მეოხ მექმნეს წინაშე ღთისა. ვინც იხილვიდეთ შენდობას ბრძანებდეთ. ქორონიკონსა უკიჱ** (1750 წ.). ქორონიკონის აღნიშვნა ასოებით უკიჱ-თი, ულჱ-ის მსგავსად მეტად უჩვეულო მოვლენაა.

5. წმ. თეოდორ ტირონის მეორე დიდი ხატი 44,5X33,5 სმ. წმინდანი ზის ცხენზე, უკან უდგას ყმაწვილი, დაწერილია ხეზე და შემკულია ვერცხლის პერანგით. ნიმბი მორთულია ხუთი ქვით. ძალიან ორიგინალური და ლამაზი ხატია. კუთხეში აქვს ხუცურით შესრულებული წარწერა – წმინდანის სახელი.

6. ღვთისმშობელი ყრმით ზემოთ წარწერით M~p O~u, მოოქროვილი ვერცხლის პერანგით, 33X25 სმ. შურთას თემის შენაწირი; ხატს აქვს ხუცურად შესრულებული წარწერა. გაწვდით ტექსტს მხედრულად: **„ყოვლად წმიდაო ღმრთის მშობელ(ო), მეოხ დ (ა) მფარველ ექმენ მომჭედს შენს შალვას (და) შურთის თემთ“.**

7. წმ. პეტრეს და პავლეს გამოსახულებიანი დასაკეცი ხატი მოოქროვილი ვერცხლი, ხატის კარებზე პეტრეს და პავლეს რელიეფური გამოსახ-

ულებები. წმინდანთა ნაწილიანი ხატის შიგნით არის რვაწახნაგა ჯვარი და 22 სანაწილე. სანაწილეების თავზე არის იმ წმინდანთა გამოსახულებები, რომელი წმინდანის ნაწილიც არის სანაწილეში. ხატის უკანა მხარე დაფარულია ფოთლოვანი ვერცხლით წარწერის გარეშე.

8. ღვთისმშობელი ყრმით, ვერცხლის, რომელიც 1853 წელს თორნიკე ერისთავმა შეწირა: **„მე თორნიკე ერისთავის ძემ შევამკე ხატი ესე საოხად მეუღლისა ჩემისა და მამისა; და დედისა ჩემისა საოხად და ასულთა ჩემთა და მ ~დ** (მეო.რედ) **ასულისა ჩემისა; ძეთა და ასულთა სადღეგრძელოდ. მაისის იგ. წელსა. ჩყნგ“.**

9. გამოსაბრძანებელი ვერცხლის ჯვარი 38X19,5 სმ. რომელიც შეწირა 1798 წ. *„მესტუმრე“* ქიტესა ჩუკიანმა. უკანა მხარეს აქვს მხედრული წარწერა: **„ქ. მე: მესრუმრე: ქიტესამ: გავაკეთებინე: წმინდის: გიორგის: მათ: ჯვარი: წმნდა მოსახსენებლად: სულთა ჩვენთა ჩუენთათვის შესწყანრებლთ და: ჩემისა: შვილებისა: სადღეგრძელოთ კათათვის. ბ. ქ ~კს: უჲკვ“ (1798 წ.).**

**ჩუკიანები** არის გვარი ქურთადან, რომელიც ლარგვისის ზემოთ მდებარეობს. ქორონიკონის აღნიშვნა ასოებით: უჲკვ სრულიად უჩვეულო და არასწორია, სწორი აღნიშვნაა უპკ.

10. გამოსაბრძანებელი ვერცხლის ჯვარი 33X15 სმ. 4 ქვით, 1855 წლის. უკანა მხარეს აქვს მხედრული წარწერა **„საქორეთის გამოჩინებულის წმინდის გიორგის ფულით გავაკე (თე) ბინე ესე ჯვარი გეაბრიელ *(sic)* ბერიაშვილმა ჩემის მეზობლების მომხრეობითა შერმადინებითა მე სოსი შავერდოვს გამიკეთებია ჩყნე წელსა მარტის ა“** (1855 წ. 1 მარტი).

11. გამოსაბრძანებელი ჯვარი – ხის, რომელიც წინა მხრიდან შემკულია მოოქროვილი ვერცხლის ფირფიტებით, რომლებზეც გამოსახულნი არიან წმინდანები. 37X25 სმ. წარწერის გარეშე. როგორც ჩანს XVIII ს.

12. გამოსაბრძანებელი ვერცხლის ჯვარი, რომელიც მონასტერს შესწირეს გავაზელებმა. იგი მორთულია ორი ლალით, ქვემოთ „ვაშლზე“ (ბურთზე) მხედრულით შესრულებულია წარწერა, როგორც ჩანს, XIX ს-ის. **„ქ. ეს ჯვარი წმიდის გიორგისა გავაკეთებინეთ ჩვენ ბუთხუზებმა და ყაჭიურებსა მე მითვნია ბერსა ვახიკაშვილსა“.**

13. მოოქროვილი ვერცხლის ჯვარი, 49X27,5 სმ. მხედრული წარწერით, ბატონიშვილ გიორგის (შემდგომში გიორგი XII-ის) მიერ შეკვეთილი: **„ქ. ეს ჯვარი ლარგვის წმინდის თეოდორეს მონას; ტრისა არის თავისის შემოსულიდამ გავაკეთებინე მეფის ძემ გიორგიმ; იანვრის ზ ქ**

**~კს უჲთ. მისხალი პდ. ვინც გამოსწიროს მას რისხვიდეს** (1781 წ. 7 იანვ; მისხალი 84).

14. დაბეჭდილი სახარება, ვერცხლის გარეკანში, რომელიც ასევე შეუკვეთა გიორგი XII-მ. უკანა მხარეს აქვს მხედრული წარწერა: **„ქ. ეს: წ ~ა: სახარება: ლარგვისის წ ~ის: თეოდორის მონასტრისა არის თავისის შემოსავლიდამ გავაკეთებინე მეფის ძემ გიორგიმ იანვრის ზ. ქ ~კს უჲთ. მისხალი რჱ** (1781 წ. 7 იანვ; მისხალი 108).

15. ვერცხლის თასი ხუცური წარწერით, რომელიც მოიხსენიებს შალვა ქვენიფნეველს. გთავაზობთ წარწერას მხედრულად: **„ერისთავსა ქუჱნიფნეველსა შალვას შეუნდნენ ღმერთმა“.** წარწერის მიხედვით, ეს ის შალვა ქვენიფნეველია, რომელმაც ლარგვისის მონასტერს უბოძა, ჩვენამდე მოღწეული, 1470 წლის აქტი.

16. ბარძიმი, 1720 წლის მხედრული წარწერით: **„ქ: ეს ბარძიმი: ლარგვისის მონასტრისა: წმინდის: თეოდორესია: ვინც:. გამოსწიროს:. ისამც რისხვას *(sic)*:. წყულიმც:. და:. შეჩვენებულ:. იქნება:. უკუნისამდი:. მისხალი რ~ლბ. ქ ~კს ტყჱ** (მისხალი 132; 1710 წ.)

17. ვერცხლის თასი, გიორგი ერისთავის და მისი მეუღლის თამარის შენაწირი. აქვს წარწერა: **„მონანი ღ~სნი ერისთოვი გიორგი და მეუღლე მ ~სი თამარი“.**

18. ვერცხლის ლანგარი იგივე წარწერით რაც წინა ნივთზე.

19. შუბი ვერცხლის სახელურით და იგივე წარწერით.

20. ვერცხლის საცეცხლური XIX ს-ის მხედრული წარწერით: **„არის ეს საცეცხლური მისხალი ასოცდა თხუთმეტი ქსანზედ ლარგვისის წმინდის თეოდორეს მონასტრისა“.**

21. ვერცხლის თასი, XIX ს-ის. სოსანა ტუსიშვილის შენაწირი, აქვს მხედრული წარწერა: **„ქ. ესე თასი შემოგწირა საქორეთის წმინდა გიორგისა ტუსიშვილმა სოსიკამ“.**

22. ბალთა ვერცხლის, მხედრული წარწერით: **„ქ: მოიხსენე: უფალო: ბატონიშვილი: ლევან: და: თანა: მეცხედრე: ჩუენი: სულ: კურთხეული: გურიელის: ასული: ბატონიშვილი: თუთა: რომელმან: შემოგწირეთ: სამარხსა ჩუენსა“.**

ლევანი ანდა შაჰყული-ხანი იყო ვახტანგ მეფის ვაჟი. მან ცოლად მოიყვანა ქაიხოსრო I გურიელის ქალიშვილი თუთე – 1662 წ., მაგრამ თუთე გარდაიცვალა 1678 წელს ორი წლის შემდეგ ლევანი ხელახლა დაქორწინდა თინათინ ავალიშვილზე. ჩვენ მიერ მოყვანილი წარწერა თუთეს

გარდაცვალების შემდეგ და, როგორც ჩანს, მეორე ქორწინებამდე არის შესრულებული. გამოდის 1678-1680 წწ-ში.

23. მოსკოვში დაბეჭდილი სახარება, შესწირა მეფე ბაქარმა 1739 წელს მცირე ფორმატის, ვერცხლის ყდაში.

24. ასეთივე სახარება, ყდის გარეშე.

25. ოქროს კიდობანი, წმ. თეოდორე ტირონის წმინდა ნაწილების შესანახად. სანაწილე ოთხი ძვირფასი ქვით, XVII-XVIII სს-ის ლამაზი ქართული სტილით შესრულებული ნამუშევარია.

26. წმინდა ნაწილების შესანახი ოქროს ზარდახშა, მორთული ხუთი ქვით.

27. სპილენძის თასი, XIX ს-ის წარწერით: **„აკაქასია“.**

28. სპილენძის თასი, XIX ს-ის წარწერით: **„ხიმშიაშვილი თამაზასია“.**

*„ძეგლი ერისთავთაში“* მოხსენიებულია ხატები, რომლებიც ექვთიმე თაყაიშვილს უკვე აღარ დახვდა ლარგვისის ეკლესიაში, მაგრამ მოიძია და მათ შესახებაც გვაწვდის ინფორმაციას, ასე მაგალითად: *„ლარგველი ერისთავმა XIV ს-ის I ნახევარში შექმნა და შეჭედა თავისი სხეულის სიმაღლის ზომა უფლის გამოსახულება; მანვე მორთო წმ. თეოდორეს დიდი გამოსახულება და დაკიდა ეკლესიაში ორი საკანდელე. ლარგვისის ერთ დროს უმდიდრესი ბიბლიოთეკიდან ამჟამად შეიძლება ითქვას რომ აღარაფერია თითქმის დარჩენილი, ის უმცირესი ნაწილი რაც გადარჩა რამდენიმე წლის წინ გადატანილი იქნა ტფილისის საეკლესიო მუზეუმში“.*[1]

ლარგვისის მონასტრის, როგორც ძლიერ კულტურულ-საგანმანათლებლო და რელიგიურ-პოლიტიკურ ცენტრად ჩამოყალიბება განაპირობა არა მისმა მშრალმა, ალპურმა ჰავამ და ჯანსაღმა ბუნებრივმა გარემომ, არამედ ამ კეთილ ბუნებაში დაბადებულმა და აღზრდილმა წინსწრაფვის დაუოკებელი სურვილის, გერგილიანმა და კონკურენტუნარიანმა ქვენიფნეველთა საგვარეულო დინასტიამ, რომელთაც პატარა და სუსტი ცხრაზმისხევის საერისთავო ძლიერ და მდიდარ საფეოდალოდ აქციეს. ლარგვისი კი შიდა ქართლის მთიანეთში დიდი პოტენციალის მქონე კულტურის ცენტრად.

საუკუნეების მანძილზე აღმოსავლეთ საქართველოს მთელი ტერიტორია ქართული მწერლობის კერებით იყო დაფარული. ასეთი კერების არსებობით თვალსაჩინო იყო ქსნის ხეობა და მის გარეთ საერისთავოს

1 ამ ხელნაწერებზე არსებული მინაწერები იხ.: თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 19-26.

კუთვნილი დასახლებები: ლარგვისი, ახალგორი, ყანჩაეთი, იკორთა, ზე-ლოთი, ქვეში, კარალეთი, ლამისყანა. ქსნის ხეობის ქვემო წელზე სამაგა-ლითო იყო მუხრანი.

ძველი ქართული კულტურის განვითარებაში საპატიო ადგილი უკა-ვიათ ლარგვისში მოღვაწე მწიგნობრებს, კალიგრაფებს, მხატვრებს, ოქრომჭედლებს, რომლებიც თავიანთ მყუდრო სენაკებში აკეთებდნენ საშვილიშვილო საქმეებს. მათ კარგად ესმოდათ ხალხური ბრძნული გამ-ონათქვამი: *„ხელი მწერლისა ლპების, ხოლო ნაწერი მისი ჰგიეს უკუ-ნისამდე“*. და ამიტომაც ხშირად უანგაროდ, ავადმყოფნი, უჭმელნი, უსახსრონი ჭრაქის შუქზე წერდნენ, კერავდნენ, ხატავდნენ, ამკობდნენ მატიანეებს, პარაკლიტონებს, ოთხთავებს, სახარებებს, ზატიკებს და *„სხვა რამ სამწიგნაროს“*.

გთავაზობთ არასრულ სიას იმ მკლავმოუღლელ, *„ჯვრის მტვირთვ-ელ“* შემოქმედთა, ვისაც სხვადასხვა დროს *„უმოღვაწ-უმუშაკიათ“* ლარგ-ვისის მონასტერში ერისთავთა მფარველობით და დიდი ხელშეწყობით.

1. **პიპა ქვენიფნეველი** – დიპლომატი, მწიგნობარი, მჭევრმეტყველი.
2. **იოანე ბანდაისძე** – დეკანოზი, წინამძღვართ-წინამძღვარი.
3. **ავგაროზ ბანდაისძე** – წინამძღვარი, მწიგნობარი.
4. **თევდორე, თათუთაი** და **გიორგი ბანდაისძენი** – მონასტრის დიდი მოამაგენი.
5. **გრიგოლ ბანდაისძე** – მწიგნობარი, მემატიანე, მხატვარი.
6. **ბანდაისძენი** – მხატვრები.
7. **გიორგი თაბაური** – კალიგრაფისტი.
8. **ბარნაბა** – კალიგრაფისტი.
9. **გიორგი ჟურული** – წინამძღვარი.
10. **გერმანე ჟურული** – არქიმანდრიტი.
11. **მხატვარი იოანე.**
12. **შალვა ოქრომჭედელი.**

**პიპა ქვენიფნეველი** ცხრაზმის ერისთავთა გვარის წარმომადგენელ-ია[1], ქვენიფნევში დაბადებული და გაზრდილი. მამამის, შალვა ვირშელის ძეს, ოსთა მეფის ასულმა ცამეტი ვაჟიშვილი გაუჩინა. პიპა ქვენიფნევე-ლი გიორგი ბრწყინვალის კარის დიპლომატია. თავისი დროის გამოჩე-ნილი მწიგნობარი და მჭევრმეტყველი. ის სწავლა-განათლების საფუძ-

[1] პიპაზე იხილეთ, ნიკოლოზ კანდელაკი, ქათული მჭევრმეტყველება, თბ., 1968, გვ. 492.

ვლებს ლარგვისში უნდა დაუფლებოდა. სწორედ თავისი ორატორული და დიპლომატიური ნიჭის წყალობით გიორგი ბრწყინვალის კარზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

როგორც ცნობილია, 1320 წელს მეფე გიორგიმ პიპა ქვენიფნეველი და დეკანოზი იოანე დიპლომატიური მისიით გაგზავნა ეგვიპტის სულთანთან და მოითხოვა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის *„კლიტენი“*.

მეფის ელჩებმა იმოგზაურეს იერუსალიმსა და ქაიროში, მოინახულეს ჯვრის მონასტერი, განაწესეს რამდენიმე აღაპი და, რაც მთავარია, ეგვიპტის სულთნისაგან მიიღეს *„იარლიყი შეწყალებისა“* და *„კლიტენი იერუსალიმისანი“*. ამ დამსახურებისათვის ჯვრის სავანის სპეციალურ დავთარში აღუბეჭდავთ შალვა ქვენიფნეველის, პიპა ქვენიფნეველისა და მისი მეუღლის თამარის მოსახსენებელი აღაპები.[1]

**იოვანე ბანდაისძე** *„ძეგლი ერისთავთაში“* ბანდასძედ არის მოხსენიებული. ის არის ცხრაზმის საერისთავოს პოლიტიკურ-კულტურული ცენტრის – ლარგვისის წინამძღვარი, რომელიც თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობისა და ავტორიტეტის, ასევე მაღალ ხარისხში აყვანის სურვილით აახლეს პიპა ქვენიფნეველს 1320 წლის იმ დიდად მნიშვნელოვან ისტორიულ ელჩობაში, რომლითაც ერთიანმა საქართველომ *„იერუსალიმის კლიტესთან“* ერთად დაიბრუნა სახელი და დიდება. ამ ისტორიულ მოვლენებს ერისთავების საგვარეულო მატიანე საგანგებოდ აშუქებს:

*„მივიდა პიპა ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვია, ჟამი აწირვა, ეზიარა და დეკანოზი იოვანე აკურთხეს მოძღვართ-მოძღვრად. და მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა ვირშელსა და ყოველსა ერსა ცხრაზმისხევისასა, რომელ მოძღვრად-მოძღვრობაი ნუვის ხელეწიფების თვინიერ ამისსა...“*

1347 წლის ერთი ცნობით, წმინდა საფლავის გასაღები ქართველების ხელთ იყო, ხოლო ქრისტეს საფლავის ბაზილიკაში ვისაც ღამის გათენება სურდა, მცირე ძღვენი უნდა მიეცათ ქართველი მცველისთვის. XVI ს-ის გერმანელი მოგზაურის ბაუმგარტნერის ცნობით, მარტო ქართველებს ჰქონდათ უფლება გაშლილი დროშებით უხარკოთ იერუსალიმში შესვლისა. წმინდა ადგილების მოსალოცავად მიმსვლელს ახდევინებდნენ: ლათინელებს სულზე 14 პიასტრს (გროშს), ბერძნებს 7, არაბთა და მისრიელთ 3, ხოლო ქართველთ და აბისიენელთ არაფერს. ქართველებს

[1] მეტრეველი ე., მასალები, გვ. 74.

ძლიერების ხანაში იერუსალიმში 12 უმდიდრესი და ყველაზე მნიშვნელოვანი მონასტერი ჰქონდათ.

დიდია წვლილი იოანე ბანდაისძისა პიპასთან ერთად ქართული სახელმწიფოს პრესტიჟის აღდგენაში. იგი სავარაუდოდ ბანდაისძეთა გვარის ძირძველი წარმომადგენელია.

**ავგაროზ ბანდაისძე** ლარგვისის მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა.[1] მრავალ პროფესიასთან ერთად ის უპირველესად ქვენიფნეველთა მწერალი ყოფილა. დაბადებული ჩანს მე-14 საუკუნის 30-იან წლებში. გარდაიცვალა 1400 წლამდე. ავგაროზს ოსტატის გარეშე შეუსწავლია ათი ხელობა, რომელთა გამოყენებით თავისუფლად შეეძლო მწერლისა და დღევანდელი მესტამბის დანიშნულების მარტოს შესრულება. ავგაროზი მოგვითხრობს:

*„წყალობითა ღვთისათა მომეცა თვინიერ მოძღურისა ხელოვნება ესე ვითარი პირველად:*

*ხელი სწავაი ხუცობისა*
*ხელი მეორე მწიგნობრობისაი*
*ხელი მესამე წერაი ხუცურისაი*
*ხელი მეოთხე შექმნაი ეტრატისაი*
*ხელი მეხუთე შეკრვაი წიგნისაი*
*ხელი მეექუსე ხატვრობაი*
*ხელი მეშვიდე მკერვალობაი*
*ხელი მერვე ტყავის კერვისაი*
*ხელი მეცხრე ხუროვნობისაი*
*ხელი მეათე მსოფლიო მუშაკობისაი“.*

ავგაროზი ამ შემთხვევაში წიგნის საბეჭდი ცოცხალი სტამბაა, მაგრამ არა ქაღალდზე მომუშავე. ის თავის დამზადებულ ეტრატს[2] კერავს, კინძავს, წერს, ხატავს და წიგნად კრავს. მისი გადაწერილია ლარგვისის

[1] ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 14.

[2] ძველ საქართველოში საწერ მასალად ეტრატი იხმარებოდა, იყო ცხვრის ან ხბოს ტყავი, წერისთვის საგანგებოდ მომზადებული. რადგან მწიგნობრობა ბევრგან იყო გაჩაღებული და მეფე-დიდებულთა სიგელ-გუჯარები ეტრატზე იწერებოდა, მასზე მოთხოვნილება იზრდებოდა. ძველად საქართველოში ჩინებული ეტრატი უკეთებიათ: ყვითელი და მკვრივი, ან მასთან ერთად თეთრი და თხელი ეტრატი როგორც თავისი მოქნილობით, ისე სითეთრით ეხლანდელი ქაღალდისაგან ძნელად ირჩევა. დიდტანიანი ხელნაწერის გაკეთებისათვის ეტრატის დასამზადებლად ზოგჯერ მთელი ფარა ან ჯოგი უნდა დაეხოცათ.

მონასტრის პარაკლიტონი, რომელსაც საყოფაცხოვრებო ცნობების შემცველი ბევრი საინტერესო მინაწერი აქვს. მათგან ერთ-ერთში გვამცნობს თავის თავს როგორც გადამწერს, ასევე იმ მძიმე 17 წელს, სიდუხჭირის და ეპიდემიების ხელისშემშლელი ფაქტორებით სავსე პერიოდს, რა დროშიც უხდებოდა წიგნის შექმნა.

*„სახელითა ღვთისაითა და თანაშეწევნითა წმიდის თევდორე ლარგვისისაითა ღისრ ვიქმენ არა ღისრი მწერალი ავგაროზ ბანდაისძე აღწერად წმიდისა ამის წიგნისა .... ხელვყავ და ვიწყე წერად დიდსა სიგლახაკესა და ეტრატის სიძვირესა და შფოთსა და უცალობასა შინა წელსა ამას, რომელსა იყო დიდი სიკდილობა. ქორონიკონი იყო ლვ (1348 წ.) ... ოდეს ვიწყე წერად, ყმა ვიყავ და აქა მომხცოვნებულმან სრულვყავ ქორონიკინსა მიგ (1365 წ.)“.*[1]

ავგაროზს როგორც მხატვარს მონაწილეობა მიუღია გიორგი თაბაურის მიერ გადაწერილი სახარების გაფორმებაში, რომელიც ერისთავ ვირშელის დავალებით გაუკეთებიათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავგაროზი მწიგნობართხუცესის როლში გვევლინება და სხვა მწერალ-წიგნობართა და დაწერილ-გადაწერილ წიგნების შექმნაში უთუოდ გარკვეულ სამუშაოებს შეასრულებდა როგორც პროფესიონალი.

ავგაროზს ჰყოლია ექვსი ვაჟი. მათგან ხუთი თემურლენგის შემოსევებისას დაღუპვია. ცოცხლად დარჩენილი მისი ვაჟი გრიგოლი, სამეცნიერო ლიტერატურაში გახმაურებული საგვარეულო მატიანის „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი და დანგრეული ლარგვისის დიდი ამაღორძინებელია.

**თევდორე, თათუთაი და გიორგი ბანდაისძენი.** წყაროების მიხედვით, თევდორე ავგაროზის ძმაა, რომელსაც დიდად უთანაგრძნობდა და ეხმარებოდა რძალთან, ავგაროზის ცოლთან – თათუთისთან და შვილებთან გრიგოლთან და გიორგისთან ერთად.

თევდორე ავგაროზის შექმნილ ლარგვისის პარაკლიტონზე გაკეთებულ მინაწერებში (სულ 10 მინაწერი) იხსენიება. მაგალითად: *„აქ თეოდორე ერთი ლიტრა ბამბაი მიბოძა, შეუნდვენ ღმერთმან“ ... „აქავ თევდორე ღვინითა ფლავი მომიტანა“*[2] („აქა“ ნიშნავს, როცა ამ ადგილს ვწერდი, მაშინ მომიტანა. ვ. ბერიძე). გავიმეორებთ, რომ ლარგვისის პარა-

[1] ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 15.
[2] იქვე, გვ. 16.

კლიტონს, შექმნის 17 წლის მანძილზე, დიდი ამაგი დასდო თევდორემ, ავგაროზის ცოლმა თათუთაიმ და გიორგიმ – გრიგოლთან ერთად.

**გრიგოლ ბანდაისძე** – როგორც ვთქვით, ავგაროზის შვილია. სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე ავგაროზი იყო მიჩნეული „ძეგლი ერისთავთას“ ავტორად (იხ. შ. მესხია). ბოლო დროს კი ნათლად გაირკვა, რომ ამ მშვენიერი მატიანის ავტორი არა მამა, არამედ მისი შვილი გრიგოლია.

ავგაროზის გადაწერილ პარაკლიტონზე გრიგოლს თავისი ხელით გაუკეთებია საინტერესო მინაწერი თემურლენგის 1400 წლის დამანგრეველ ლაშქრობაზე, თავის თავს და ქვეყნის უბედურებებზე. ექვსი შვილის და მეუღლის სიკვდილის შემდეგ ის ბერად შემდგარა და გაპარტახებული ლარგვისის აღდგენას შესდგომია.

*„მოვიდა თემურბეგ სულტანი სამარყანელი და ... დააქცივნეს საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და აღხუნეს ყოველნი ციხენი და მოსრეს, ტყუე-ქმნეს და მოაოხრეს ყოველი ქუეყანაი დასავლეთამდის. მას ჟამსა შინა დამიცვა ღმერთმან ხელთაგან მათთა და შემდგომად მცირედისა ჟამისაი დავრჩი ობოლი ხუთთა ძმათთაგან და ვსტიროდი თავსა ჩემსა მე, გრიგოლ ბანდაისძე ავგაროზის შვილი. დაწვისაგან მოოხრებული აღვაშენე ხუთი სახლი ..... შევიმოსე სახე მონაზონისაი და საფლავსა ზედა ჩემსა აღვაშენე კარიბჭე და დავხატე ხელითა ჩემითა, დავკიდე კანდელი ვერცხლისაი და ორი საცეცხლური ... შიგნით ეკლესიაი მოვხატე და შევამკე ყოველი მოშლილი ხატები. დავსხენ წიგნნი: პარაკლიტონი, სამოციქულოი, გულაი, ავგაროზი და ავაგე მარანი და ჩავდგი ორი ჭური, ავაგე ზედა სამყოფი სახლი, ბეღელი, საწოლი, დერეფანი, სამრეკლოი და ბოსელი დავბურე ყოველი სიპითა“.*[1]

გრიგოლ ბანდაისძის ვრცელი ანდერძი ნათლად გვაცნობს ლარგვისის მონასტრის ამ თავდადებული მოღვაწის მრავალმხრივ საქმიანობას, როგორც ჩანს, გრიგოლმა აღადგინა, განაახლა, მოხატა და შეამკო ძველი მონასტერი, შემატა ახალი დამხმარე ნაგებობანი და შესწირა ხელნაწერები.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საბუთი ცხრაზმისხევის ანუ ქსნის ერისთავების ისტორიისა მათი საგვარეულო მატიანე „ძეგლი ერისთავთაა“, რომლის შემქმნელი სწორედ მწიგნობართა დინასტიის ბანდაისძეთა გვარის ღირსეული წარმომადგენელი გრიგოლ ავგაროზის ძე ბანდაისძეა, იმ დიდი წინაპრის დეკანოზ იოვანეს

---

[1] მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, წიგნ. I, თბ., 1962, გვ. 219.

შთამომავალი, რომელმა იოვანემაც ქრისტეს საფლავზე მისასვლელად და სალოცავად *„იერუსალიმის კლიტენი“* პიპა ქვენიფნეველთან ერთად ქართველებს მოუტანა.

**მხატვრები ბანდაისძენი**. ავგაროზ ბანდაისძის გადაწერილ პარაკლიტონზე გრიგოლ ბანდაისძის, ანუ მამის შექმნილ წიგნზე, შვილის ხელით გაკეთებული გრძელი მინაწერის შემდეგ სხვა ხელით ჩაწერილია ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ გრიგოლისა და მისი შვილებისთვის ცხრაზმის ერისთავს ქაშუეთის დახატვისათვის (ეს ქაშუეთის წმ. გიორგი უნდა იყოს) სხვადასხვა ქონება უბოძებია. სხვა ხელით გაკეთებული ამ ჩანაწერის პირველი რამდენიმე სტრიქონი წაუშლია ალბათ მტრულად განწყობილ პიროვნებას, რაც აფერხებს სწორად გარკვევას იმისა, რომ გრიგოლი ავგაროზის ძეა და მისი შვილები ავგაროზის შვილიშვილები, (სავარაუდოდ, ის სამი ბიჭი, რომლებიც დედასთან და სამ დასთან ერთად გარდაიცვალნენ) თუ ავგაროზთან ახლოს მდგომი სახლიკაცები?!

უფრო სარწმუნოა ვიფიქროთ, რომ ავგაროზთან მყოფი გრიგოლი და მისი შვილები ავგაროზის ოჯახის წევრებია, რომლებიც აგრძელებენ ტრადიციებს და პაპის *„ათ ხელობათაგან“* შეისწავლეს მხატვრობა სხვა *„სწავლანთან“* ერთად. აქედან გამომდინარე გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ შემდგომ, მხატვარ ბანდაისძეთა გაუჩინარება გრიგოლის ცნობის თანახმად, უკავშირდება ეპიდემიით ოჯახის სხვა წევრებთან ერთად მათ დახოცვას.

წყაროების მიხედვით, მხატვრები ბანდაისძენი გრიგოლი და მისი შვილები ავგაროზთან ერთად ქაშუეთის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატვისათვის ერისთავისაგან მეჯუდის ხეობაში ბოძებულ *„ლომსაურის საახალშენე მიწას კო-ტას“* (კოტა-ურს) სწირავენ ლარგვისის წმ. თევდორეს[1] ეკლესიას. ასევე მამისა და ბიძის ნაქონ *„აფხაზთეულის“* მიწას, რითაც გაიჩინეს წირვა თევდორობის მეორე დღეს.[2]

**გიორგი თაბაური** – ცხოვრობდა XIV საუკუნეში. ის გადამწერ-კალიგრაფისტია. წიგნში, რომელიც მან ცხრაზმის ერისთავის ვირშელ III-ისთვის გადაწერა, ტექსტს მისი ხელის გაწაფულობა და პროფესიონალიზმი ეტყობა. სახარების ამ წიგნმა ჩვენამდე ძალიან ცუდ მდგომარეობაში მოაღწია. გადარეცხილი, დაშლილი და შემოგლეჯილია.

---

[1] თევდორობა აღინიშნება დიდმარხვის პირველ შაბათს. დაწვრილებით იხ.: ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1991, გვ. 80.

[2] პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1991, გვ. 386. აგრეთვე: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, გვ. 17.

როგორც შიგადაშიგ, ისე ბოლოში აკლია გვერდები. მიუხედავად წიგნის სერიოზული დაზიანებებისა, რამდენიმე სხვადასხვა დროის მინაწერებთან ერთად შემორჩა გადამწერის ანდერძი: *„ამისსა მწერალსა თაბაურსა გიორგის შეუნდნეს ღმერთმან“.*

სახარების 10 მინაწერიდან კიდევ ერთი მოკლე მინაწერი ძალზე ბევრის მთქმელია, რომელიც გვაფიქრებინებს ლარგვისის სამონასტრო მდიდარ წიგნსაცავზე, საიდანაც ჩვენამდე მოღწეულია ძვირფასი ხელნაწერები და საეკლესიო სიწმინდეები: *„ასორმოცდაათი წიგნი გავყიდე ასორმოცდაათ მანეთად“.*

გიორგი თაბაურის მიერ ეტრატზე ნუსხური ხელით გადაწერილ სახარებაში კამარები, თავკაზმულობა, მახარებელთა სურათები და მწერლის იარაღების გამოსახულებები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეუსრულებია ავგაროზ ბანდაისძეს, რასაც გვიდასტურებს მესამე ფურცელზე მათე მახარებლის სურათის ქვემოთ გაკეთებული მინაწერი: *„ესე ოთხნი მახარებელნი და ზემოთ კამარანი დაიხატნეს ხელითა ავგაროზ ბანდაისძისაითა შენდობა ყავთ“.*

**ბარნაბა** – კალიგრაფი. სამწუხაროდ, მისი გვარი უცნობია. მრავალ თავაუწეველ შემოქმედთა შორის ერთ-ერთი მათგანია, ვინც თავის თავმდაბლობის გამო შთამომავლობას არ დაუტოვა თავისი გვარი.

ბარნაბა XIV-XV საუკუნეების წარმომადგენელია. მის შემოქმედებას მიეკუთვნება ქსნის ერისთავ შალვასთვის გადაწერილი ზატიკი. მშვენიერი ნუსხური ხელით, ეტრატზე გადაწერილი წიგნის პირველი გვერდი მორთულია თავსამკაულებით და ორნამენტირებულია ლურჯ-წითელ-თეთრი ლენტების ჭილობისებრი წნულით. წიგნს 7 მინიატურა ამკობს: თომას ურწმუნოება; მენელსაცხებლე დედანი და იოსებ არიმათიელი; ქრისტე და სამარიტელი ქალი; განრღუეულის განკურნება; შობითგან ბრმის განკურნება; ამაღლება და ნიკეის კრება. სავსებით შესაძლებელია, ამ მინიატურების ავტორი თვით ბარნაბაა.

ამ დაზიანებულ ტყავის ზატიკზე გაკეთებულია ექვსი მინაწერი, რომელთაგან ორი განსაკუთრებულად მივიჩნიეთ. რიგით მეორე მინაწერი გვამცნობს: *მე ერისთავთა-ერისთავის იესეს ძემან ერისთავმან პატრონმან ქვენიფნეველმან ესე წ-˜ნი ზატიკნი დატყუევებულ იყო მას ჟამსა, ოდეს ჩემნი ოთხნი ბიძანი ხანდოს ხევსურთა დაეხოცნეს ქ ˜კსა: სკივ:*

(ე. ი. 1545 წ.) *და ... ამა ხნის დაკარგული მე ვიპოვე ქ ~კს: სჟე:* (1607 წ.) *და ისევ ტაძარსა შემოვსწირე...*[1]

ტექსტი გვამცნობს მთიულეთში, კერძოდ ხანდოს ხევში (ცხრაზმისხევს სოფ. მახიართან და ხანდოს ხევს ერთი საერთო გადასასვლელი მთა აშორებთ) ჩვენთვის გაურკვეველ ვითარებაში ცხრაზმის ერისთავთა ოჯახის წევრთა ამოწყვეტას. ესენია: ლარგველ ყოფილი ლაზარე, მისი მეუღლე რენტი იგივე ეკატერინე, მათი ძე ერასტი, ლაზარეს ძმები ზაალი, მოძღვართ-მოძღვარი ბესარიონი და იოთამი, ქვენიფნეველი მიქაელი და მეუღლე მისი თინათინი და მათი შვილები გიორგი და პიპა[2] შესაძლებელია ამ ტრაგედიას კავშირი ჰქონდეს გერგეტის სამების „სულთა მატიანეში" ზემოთ ჩამოთვლილ პირთა მოხსენიებას, რომელთაგან ოთხი, ამ მინაწერის ავტორის ბიძა ყოფილა.[3]

1545 წელს ხანდოში ამოხოცილ ქსნისხეობელთ თან ჰქონიათ ბარნაბასეული ზატიკი, რომელიც „ტყვედ ჩავარდნილა" და 62 წლის შემდეგ 1607 წელს იესე ერისთავის (ეს იესე სასწაულად გადარჩენილა ხანდოში დატრიალებულ უბედურებას) ძემ ქვენიფნეველმა დააბრუნა ლარგვისის მონასტრში.

ბარნაბასეული ზატიკი კიდევ ერთხელ XVIII საუკუნეში დაკარგულა, რომელიც კარალეთში მყოფ ამილახვრის ასულს უპოვია და კვლავ ლარგვისის წმ. თევდორეს სახელობის მონასტრისთვის დაუბრუნებია.

*„...ამილახვრის ასულმან და ერისთავის სძალმან მარიამ, ვიპოვე ზატიკი ესე ჟამთა ვითარებისაგან დაკარგული და შენი შენადვე შემოგწირე...".*

**გიორგი ჟურული** – ჟურულების გვარი ძველი აზნაურული გვარია ცხრაზმის, იგივე ქსნის საერისთავოს აზნაურულ გვარებს შორის. მათი თავდაპირველი სამკვიდრო თვითონ ცხრაზმის ვიწრო და განაპირა ხეობა უნდა ყოფილიყო (აკადემიკოსი ი. ახუაშვილი თავის ნაშრომში „ქართული გვარ-სახელები" ჟურულებს მიიჩნევს რუსეთიდან მოსულად, რაც აბსურდია). ამას გვაფიქრებინებს მათივე სასისხლო სიგელი, სადაც 1460 წელს მეფე გიორგი VIII უწერს ჟურულებს მღვდელ გიორგის, მის ძმებს ავგაროზს და რატის, შვილს დემეტრეს და ძმისწულ შიოს, რომ *„ვისმინეთ*

---

1 ჟორდანია თ., ქრონიკები, ტ. II, 1897, გვ. 20.

2 იქვე, გვ. 23-24.

3 დასაშვებია, რომ მთიულეთში – ხანდოში მხოლოდ ქვენიფნეველი მამაკაცები დაეხოცათ ხევსურებს და ზატიკზე მიწერისას როგორც მათი გარდაცვლილი მეუღლენი და ძენი მათთან ერთად შეიტანეს „სულთა მატიანეში".

*აჯა და მოხსენება თქვენი მოკითხული და ძველთა მეფეთაგანც ბოძებული იყო ცხრა-ზმა და თქვენი გვარის კაცი მისი მონაპირე ყოფილა და მონასტრისა და ციხისა შვილი და მქონებელი. აწ ჩვენც შეგიწყალეთ და ძველგაჩენილი სისხლი გაგიახლეთ და გავიჩინეთ".*[1]

**„თქვენი გვარის კაცი მისი** (ერისთავის. ვ. ქ.)**მონაპირე ყოფილა"** – ნიშნავს, რომ საერისთავოს საზღვრისპირა მამულზე მდგარან, რაც ითვალისწინებდა სხვადასხვა შეღავათს. თანაც მონასტრისა და ციხის მეპატრონენი და „სასისხლოს" ნაქონები, რომელიც განუახლა გიორგი VIII-მ.

გიორგი ჟურულს ასახელებს წინამძღვრად ლარგვისში 1470 წლის *„შეწირულობის წიგნი შალვა ქვენიფნეველ ერისთავისა ლარგვისისადმი".* სადაც ვკითხულობთ *„ესეთნი სოფელნი მომიხსენებიან და მინიჭებიან მონასტრისა ჩვენისათვის (ლარგვისისათვის. ვ. ქ.) და მიჩენია წინამძღვარი ჟურულისშვილი გიორგი და შვილნი მისნი".*[2]

იგივე გიორგი ჟურული უნდა იყოს ნაგულისხმევი XV საუკუნის წირქვლის თეთრი გიორგის მცირე ფრესკულ წარწერაში:

*„წმინდაო ეკლესიაო*
*წმიდაო გიორგი, შეიწყალე ჟურული".*[3]

**გერმანე ჟურული** – ჟურულთა გვარიდან XVIII საუკუნეში ცნობილია გერმანე ჟურული, ლარგვისის მონასტრის არქიმანდრიტი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ლარგვისის ოთხთავის, იგივე სახარების გადარჩენაში (მისი გადამწერია ნიკოლოზ კატარაწის ძე XIII ს.)[4] *„წმიდა ესე სახარებანი ჟამთა ვითარებისაგან თაგვს შეეჭამა და უხმარ იყო, რადგან ამდენი წარიხოცა ფუჭდებოდა, ვიგულისმოდგინე და განვაახლე მე, წინამძღვარმა გერმანე"* (1761 წ.).

აქვე დავძენთ, რომ არქიმანდრიტ გერმანე ჟურულს მხატვარ იოანესთვის მოუხატინებია ლარგვისის მონასტრის მოჩუქურთმებული ხის კანკელი.

**მხატვარი იოანე** – ამ ფერთა ჯადოქარს ლარგვისის მონასტერში დიდხანს არ უმოღვაწია. მის მიერ შესრულებული ნახატები ამშვენებდა წმ. თეოდორეს სახელობის ტაძრის ხის კანკელს, რომელიც 1762 წელს როგორც აღინიშნა, მონასტრის არქიმანდრიტმა გერმანე ჟურულმა

[1] გაზ. „ივერია", 1886, № 124.
[2] ქართული მწერლობა, ტ. V, 1988, გვ. 132.
[3] ოთხმეზური გ., შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა, ოსთა საკითხი, გვ. 149.
[4] ჟორდანია თ., ქრონიკები, ტ. II, გვ. 19.

მოახატინა. მოჩუქურთმებულ კანკელზე იოანეს შესრულებულია ოთხი დიდი ფერწერული ხატი წმინდანების წელამდე გამოსახულებით.

კანკელზე სამეფო კარის მარჯვნივ მაცხოვრის გამოსახულებაა მაკურთხებელი ხელითა და გაშლილი სახარებით.

მარცხენა ხელში, რომელშიც იკითხება: **„მე ვარ ნათელი სოფლი-სა...“** მაცხოვრის ხატიდან მარჯვნივ იოანე ნათლისმცემელია. „სამეფო კარების“ მარცხნივ – ღვთისმშობელი ყრმით და ხუცური წარწერით – **„ყოვლადწმიდა; იესო ქრისტე“.** ხატს ქვემოთ აქვს წარწერა ხუცურად ორ რიგად, რომელიც თედო ჟორდანიას უნახავს და ე. თაყაიშვილს – ვე-ღარ. წარწერა გვამცნობს:

*„ოდეს ეკლესია ესე ლარგვის მონასტრისა აღაშენა კეთილმსახურის ერისთავის დავითის და კეთილმორწმუნის დედისა მისისა ქეთევანის მიერ, ძისა მათისა შალვას კეთილად აღსაზრდელად. მას ჟამსა მე ულირსმან არქიმანდრიტმან ამის მონასტრისამან დავახატვინე ხატი ესე ყოვლად წმიდისა მცველად და მფარველად ერისთავისა დავითის და საოხად სუ-ლისა ჩემისა.*

**ქ ~კს ჩღიბ. მხატვარი იოანე“.**[1]

კანკელზე იყო კიდევ ორი სხვა ფერწერული ხატი, განსხვავებული ხელით ნახატი. იოანეს ნამუშევრებში თვალსაჩინოა ევროპული მხატვ-რობის გავლენა. სავარაუდოა, რომ იოანეს გავლილი ჰქონდა სპეციალ-ური სკოლა.

**შალვა ოქრომჭედელზე** ძალზე ცოტა რამ არის ცნობილი. შესაძლე-ბელია მას ლარგვისში არც კი ემოღვაწა და მხოლოდ დროდადრო შეეს-რულებინა მონასტრის დაკვეთები.

შალვას მოჭედილი ყოფილა წმ. თეოდორეს სახელობის ტაძარში ფერწერულად შესრულებული ღვთისმშობლის ხატი. მოჭედილობა შეი-ცავს მხოლოდ გარეთა ჩარჩოს ფონსა და შარავანდებს ორმაგი არშიით. მორთულობისათვის ტრადიციული მცენარეული მოტივებია გამოყენებ-ული. ხატს ქვემოთ მრგვლოვანი წარწერა აქვს, საიდანაც ვგებულობთ, რომ ჭურთის ხეობის თემმა ოქრომჭედელ შალვას ხელით გააკეთეს და შესწირეს წმ. თეოდორეს.

*„ყოვლად წმიდაო ღმრთის მშობელო, მეოხ და მფარველ ექმენ მომ-ჭედს შენს შალვას და ჭურთის თემთ“.*

[1] ჟორდანია თ., ქრონიკები, ტ. I, გვ. 171.

ხატს, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ (ე. თაყაიშვილი. ვ. ბერიძე) თარიღი არ უზის და გვიანდელია.[1]

საერისთავოს უპირველეს მონასტერში ცნობილ მოღვაწეთა შორის არიან ნაკლებ ცნობილნიც, რომლებმაც მსგავსად სხვებისა ილვაწეს ღმერთისა და ერის სადიდებლად და დარჩათ სახელი საამქვეყნიო:

– წინამძღვარი გაბრიელი (XVIII ს. დასაწყისი), რომლის მფლობელობაშიცაა საძეგურსა და ქვენიფნევს შორის „წალკოტი".

– „მწერალი" – ვახუშტი (გაბრიელის თანადროული).

ასევე „მწერალი" მამუკა ფურცელაძე.

– არქიმანდრიტი პაფნოტი (XIX ს-ის დასაწყისი) და სხვა მრავალი ღირსეული მოღვაწენი, რომელთაც ულირსად მიიჩნიეს თავი და თავმდაბლობის გამო სახელებიც კი არ დაუტოვეს შთამომავლობას.

## მონასტრის წიგნსაცავი

*„ძეგლი ერისთავთა" ძველი ქართული*
*საისტორიო მწერლობის შესანიშნავი ძეგლია, რომლის*
*როგორც სოციალური ისტორიის დოკუმენტის მნიშვნელობა*
*სცილდება საქართველოს ფარგლებს".*

**სიმონ ჯანაშია**

ბუნებრივია, რომ ლარგვისის სავანე და მისი მონასტერი, როგორც ქსნის ხეობის მთიანეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ცენტრი, გადაიქცა ერთ-ერთი ადრეული ხანის წიგნსაცავად. მისი მდიდარი ბიბლიოთეკის არსებობაზე მრავალი ისტორიული წყარო მიგვანიშნებს. ლარგვისსა და მის ციხე-კომპლექსში ჩართული მონასტრის მეურნეობის მფლობელი ქვენიფნეველები, ცხრაზმისა და შემდეგ ქსნის ერისთავად წოდებულნი, ნიჭთან ერთად დიდ ინტერესს იჩენდნენ მწიგნობრობისადმი. სწორედ ამანაც შეუწყო ხელი ლარგვისის ძველი ქართული მწერლობის კერად ჩამოყალიბებას. მწერლობის კერა კი ბიბლიოთეკის გარეშე წარმოუდგენელია. საუკუნეების განმავლობაში წიგნსაცავი ივსებოდა როგორც ერისთავთაგან გულუხვი შეწირულობებით, ისე იქ ადგილზე შექმნილი სასულიერო და საერო ხასიათის წიგნებით.

---

[1] ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, გვ. 125.

მონასტრის ნიჭიერი და შრომისმოყვარე კრებული: დეკანოზები, წინამძღვრები, არქიმანდრიტები, მწერლები, კალიგრაფისტები თუ მხატვარ-ოქრომჭედლები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ და რუდუნებით ქმნიდნენ მონასტრის წერილობით ძეგლებს: საგვარეულო მატიანეს, ოთხთავებს, ზატიკებს, პარაკლიტონებს, გულანებს, სვინაქსარებს და სხვა მრავალ იურიდიულ ძეგლებს.

ლარგვისში დაწერილ და შექმნილ წიგნებიდან უმთავრესია საგვარეულო მატიანე „ძეგლი ერისთავთა“, რომელიც სხვა მრავალ წყაროსთან ერთად სავანის წიგნსაცავის არსებობაზე იძლევა მინიშნებებს.

- *„მაშინ როსტომ აღაშენა ქალაქი ლარგვისს და განასრულა და შეამკო ყოვლითურთ ეკლესია“. (VI ს.)*
- *„ხოლო შალვამ მოიყვანა ცოლი სახელად შირდი, რომელმან განადიდა პატივი მონასტრისა ამისა და შექმნა ყოველი სამსახური ეკლესიისაი“. (XIII ს.)*
- *„... და შემოწირა ეკლესიასა ამას სვინაქსარი ესე კეთილი“. (ვირშელ II, XIV ს.)*
- *„მაშინ აღიზარდა ქვენიფნეველი და დაჯდა ერისთავად. ამან აღაშენა ... და ყოვლითა სამკაულითა შეამკო ეკლესიაი და შეკრიბნა მღვდელნი და მონაზონნი...“ (XIV ს.)*
- *„ხოლო იოვანე იყო ... საყვარელი კაცთა, საქებელი მთავართა და უნაკლულო საღმრთოითა ქველის საქმითა ურცხვინელი საკაცობოითა მოქმედებითა ...“ (XIV ს. 80-იანი წ.)*
- *„ხელვყავ და ვიწყე წერად დიდსა სიგლახაკესა და ეტრატისა სიძვირესა, შფოთსა და უცალობასა ... ოდეს ვიწყე წერად ყმა ვიყავ და აქა მომხცოვნებულმან სრულვყავ“ (1348 წ. ავგაროზ ბანდაისძე).*
- *„ეკლესიაი მოვხატე და შევამკე ყოველი მოშლილი დავსხენ წიგნნი: პარაკლიტონი, სამოციქულოი, გულაი, ავგაროზი“. (XV ს. გრ. ბანდაისძე)*

ცხრაზმის ცნობილი ერისთავი „მზრუნველი“ შალვა ქვენიფნეველი ლარგვისის იმ მონასტრის ბიბლიოთეკისთვის აწერინებს წიგნებს, რომელიც *„... პაპათა, მამათა და ჩამომავალთა ჩვენთა აღაშენა და ყოვლითურთ უნაკლოდ შეამკო ხატითა, წიგნითა, ხატვითა და ყოვლითა მოწყობილობითა ... აღვაშენე ეკლესიაი ნათლისმცემელისა, დავახატვინე და შევამკე ხატითა, წიგნითა სრულიად უკლებად“. (1470 წ.)*

- *„ასორმოცდაათი წიგნი გავყიდე ასორმოცდაათ მანეთად“.*
- *„... ერისთავის სძალმან მარიამ, ვიპოვე ზატიკი ესე ჟამთა ვითარებისაგან დაკარგული და შენი შენადვე შემოგწირე“.* (1780 წ.)

• *„ესე სახარება ... ფუჭდებოდა და განვაახლე მე წინამძღვარმა გერმანემ ... შემწე ექმენ ... არონ მღვდელსა, რომელმან მოიტანა ესე სახარება ზურგით შორიდამ“* (1794 წ.).

წმინდა თევდორეს სახელობის მონასტრის ბიბლიოთეკისთვის პირველი სერიოზული ზიანი 1400 წელს თემურლენგს უნდა მიეყენებინა. არც მერე დაჰკლებია მტერ-მოძულენი შიდა ქართლის მთიანეთის ამ კულტურის ცენტრს. შემდგომ წიგნსაცავისადმი ყურადღების შენელება ერისთავთა რეზიდენციის ახალგორში გადატანას და იკორთის ტაძრისადმი დიდ ინტერესს უნდა მოჰყოლოდა. 1777 წლიდან ჯერ საერისთავოს გაუქმებას, შემდეგ ავტოკეფალისაა და 1811 წლიდან საეგზარქოსოს შემოღებას მოჰყვა დამაკნინებელი და დამღუპველი შედეგები როგორც ლარგვისის, ისე იკორთისა და ყოფილ საერისთავოს სხვა კულტურული ცენტრებისათვის. ლარგვისის მონასტრის წიგნსაცავის კართოტეკიდან ჩვენამდე მხოლოდ 1% თუ მოაღწია. მათმა ზეპირმა კატალოგმა კი, შეიძლება ითქვას, ოდნავ მომეტებულად.

• **სვინაქსარი** (XIV ს.)

• **საულ-დავითი** (XII ს.)

• **სამოციქულო** (XIII ს.)

• **საწინასწარმეტყველო** (IX ს.)

• **გულაი** (XIV ს.)

• **მეტაფრასი** (მრავალი IX-X სს.)

• **ავგაროზი** (XIV ს.)

• **საგვარეულო მატიანე „ძეგლი ერისთავთა“** (XIV-XV სს.) პერგამენტზე. ნუსხური დამწერლობით. ავტორი გრიგოლ ბანდაისძე.

• **ოთხთავი** (ლარგვისის. გიორგი მთაწმინდელის რედაქციით XIII ს.) გადაწერილია ნიკოლოზ კატარაწისძის მიერ პერგამენტზე ნუსხური დამწერლობით. **„მრავლის დაუჭკნობელი ფერადებით“** კაზმული კამარებით, მინიატურებით და ოქრომელნით შესრულებული საზედაო ასოებით. მასში შემონახულია რამდენიმე ბოძებისა და ნასყიდობის წიგნი XVI საუკუნიდან, როცა ის ქსნის ერისთავების კუთვნილებად იქცა.

• **პარაკლიტონი** – გადამწერი ავგაროზ ბანდაისძე. (1348-1365 წწ.) ეტრატზე. ნუსხური დამწრლობით. მნიშვნელოვანი მინაწერებით, ორნამენტებით, თავსამკაულებით.

• **სახარება** – გადაწერილია გიორგი თაბაურისგან ეტრატზე ნუსხური დამწერლობით (XIV ს.) ცხრაზმის ერისთავ ვირშელისათვის. მახარებელთა სურათებით – დახატული ავგაროზ ბანდაისძისგან.

• **ზატიკი** – გადაწერილია ბარნაბასაგან (XIV-XV სს.) ეტრატზე ნუსხური დამწერლობით ცხრაზმის ერისთავის შალვასთვის. მორთულია ჭილობისებრი ფერადი ლენტებით. წიგნს ამკობს 7 მინიატურა.

• **აღწერა ვნებათა ლარგვისის არქიმანდრიტის პაფნოტისა** (1821 წ.), რომელიც მოითმინა აგვისტოდან ნოემბრამდე აჯანყებულ მთიელთაგან. აქ იგულისხმება 1803-1804 წწ. აჯანყება.

ცხადად აქ ძალზე მოკრძალებული ჩამონათვალია მოყვანილი ლარგვისის მდიდარი ბიბლიოთეკისა, რომელსაც უთუოდ ბევრს შემატებდა იერუსალიმიდან მობრუნებული პიპა და წინამძღვართ-წინამძღვარი იოვანე ბანდაისძე.

ლარგვის-ქვენიფნევიდან ახალგორსა და იკორთას გადასულმა ერისთავებმა თან გაიყოლეს წიგნებისადმი სიყვარული და პატივისცემა, რასაც მოწმობს ქსნის ერისთავების ასულთა მზითვში წაღებული წიგნებიც: სახარება, დავითნი, ჟამნი პატარა ხელით ნაწერი, სტამბის ჟამნი, ყოვლადწმინდის სავედრებელი, წმინდა მარინეს ცხოვრება. გარეშე წიგნებიდან: ვეფხისტყაოსანი, ზილიხანიანი, ირდუხტიანი და სხვა მრავალი. ლარგვისთან კულტურული და ტერიტორიული სიახლოვის გამო ცხავატის „ერს" და იქ არსებულ X საუკუნის მაცხოვრის ეკლესიას მდიდარი წიგნსაცავი ჰქონია. ამ სიმდიდრეს თითქმის XX საუკუნემდეც კი მოუღწევია, მაგრამ დაუდევრობით ექვთიმეს იქ მისვლამდე და მის მერეც საბოლოოდ XX საუკუნის 30-იან წლებში განადგურებულა.

**ლარგვისის სამონასტრო სავანის ისტორია არის მამულის სიყვარულისა და შენების, წიგნთა თხზვისა და ლოცვის გრძელი ამბავი.** ცხადია, ურიცხვ მტერთან ქსნისხეობელები მარტო ხმლითა და ლახტით, ძლიერი ციხის გარეშე ვერაფერს გახდებოდნენ. სამლოცველოსაგან განსხვავებით, შემაღლებულ ადგილზე, ძლიერ და მაგარ გალავანში მოქცეულ თავდაცვით ნაგებობებს მდინარე ქსნის ბობოქარი ტალღები ვერაფერს აკლებდა. ასი წლის წინ ე. თაყაიშვილი ლარგვისს ასე ახასიათებს: *„სამხრეთ ნაწილი უკავია მონასტერს, ჩრდილო მხარე კი ერისთავების – ლარგველების სასახლეს, რომელიც თავის მხრივ მონასტრის ნაგებობებისაგან გამოყოფილია მაღალი კედლით. სასახლიდან შემორჩა ცენტრალური მაღალი კოშკი და მაღალი ქვის კედელი ორი სხვა კოშკით, რომლებიც განლაგებულია მდ. ქსნის მხარეს".*[1]

[1] Такаишвили Е., Археологические Экскурсии, разыскания и заметки, V.

ლარგვისის ციხე XIV საუკუნის შუახანებში საიმედო თავდაცვითი ნაგებობა უნდა ყოფილიყო, რადგან „მზრუნველი" შალვა ერისთავისაგან 1470 წლისთვის ლარგვისში აგებულ-აღდგენილთა ჩამონათვალშია ყველა წვრილმანი ნაგებობაც კი, გარდა ციხისა, რაც მისი სრულფასოვანი თავდაცვისუნარიანობით უნდა აიხსნას.

ამჟამად ლარგვისის კომპლექსში ჩართულ კოშკებს, ბურჯებს, წყალმომარაგების სისტემას გვირაბით, ჭით, თარიღი არ გააჩნია. ისტორიული წყაროებით ცნობილი ხდება, რომ ამჟამინდელი ციხე აგებულია ფიცხ და დაუდგრომელ შანშე ერისთავის მიერ 1721-1741 წლებში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მანამდე იქ სხვა ციხე არ ყოფილა.

ციხის გეგმა არაწესიერი – მრავალგვერდაა. შესასვლელი ორი მხარიდანა აქვს, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. აქედან პირველი მთავარია, მეორე დამხმარე. ციხის შიგფართი ორი ეზოსგან შედგება. ეზოები ერთმანეთისაგან მოცულობით მნიშვნელოვნად განსხვავდება. სამხრეთით მდებარე თითქმის ოთხჯერ აღემატება ჩრდილო-აღმოსავლეთისას. მთლიანად ციხე-კომპლექსი მონასტრითურთ მტკიცე გალავნითაა შემოზღუდული, რომლის კუთხეებს კოშკები ამაგრებდა, ხოლო თვით კედლებს ორიგინალურად გადაწყვეტილი ბურჯები. მათში მცირე ფართებია დატოვებული მებრძოლებისათვის. აღმოსავლეთით, მდინარისკენ, ერთ-ერთ ბურჯში მოწყობილი ყოფილა ჭა, საიდანაც ციხიონს მდინარე ქსნის ნაჟური წყლით შეეძლო სარგებლობა. სპეციალური გვირაბის დახმარებით ბურჯის ფუნდამენტი პირდაპირ კლდოვან ქანზე იყო დადუღაბებული. მეტრ-ნახევრის ზემოთ იზოლირებულად მეომრისთვის საბრძოლველად სადგომი იყო გამართული. იმ სადგომშიც კი მოხვედრილ მტრისთვის წყალმომარაგების სისტემა შეუმჩნეველი ხდებოდა.

ლარგვისის ციხის მთავარ, უძლიერეს ნაგებობას ცენტრალური კოშკი წარმოადგენს. მისგან მხოლოდ სამი სართულია შემორჩენილი. *„მეორე სართულის ოთახს ქვის მასალის გვირგვინული გადახურვა აქვს, რაც იშვიათია ქვის ნაგებობებში. კოშკი უხვადაა აღჭურვილი სარკმლებით, სათოფეებით, ბუხრებითა და ნიშებით. იგი კარგად დაგეგმარებული კოშკური სახლის იშვიათი ნიმუშია".*[1]

ამ მშვენივრად გაწყობილ საფორტიფიკაციო ნაგებობას, ამგების – შანშე ერისთავისთვის მაინცდამაინც გვარიანი სამსახური არ უნდა

---

[1] ზაქარაია პ., საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები, თბ., 1988, გვ. 122.

გაეწია. ამას უნდა გულისხმობდეს ვახუშტი თავის გაკეთებულ ჩანაწერებ-ში: *„აქა ჰყო შანშემ ციხე, არამედ ურგებად თავისად“.*[1]

*„ციტადელი ქვედა ეზოსაგან გამოყოფილია მაღალი გალავნით. შემაერთებელი კარი მორთულია საუკუნის შესაბამისად, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ ციტადელი მაღალი ფენის წარმომადგენლებისათვის ყოფილა განკუთვნილი“.*[2]

ციტადელის სამხრეთ-აღმოსავლეთით დღესაც ამაყად დგას ყელ-მოღერილი ცენტრალურგუმბათოვანი თეოდორე ტირონის სახელობის ლარგვისის ცნობილი ტაძარი[3] (გარეთა ზომებია 20X12 მ. გარეთა სიმაღლე გუმბათის პირამიდის წვერამდე დაახლოებით 22 მ. შიგნით გუმბათის სფერომდე – 17 მ.) აბსოლუტური ზომით უმნიშვნელო, მაგრამ XVIII საუკუნის კვალობაზე მაინც საგრძნობი მასშტაბით.

ლარგვისის ციტადელის თავდაცვისუნარიანობასა და სიძლიერეზე უნდა მიგვანიშნებდეს მცხეთის სამონასტრო განძეულობის რამდენჯერმე გახიზვნა ლარგვისში. ქსნის ხეობის ამ სიმაგრეში მცხეთის სიწმინდეების ერთ-ერთი მასშტაბური გახიზვნა მომხდარა 1723 წელს. ლარგვისში ზოგჯერ სვეტიცხოვლის ხელნაწერებსაც ხიზნავდნენ,[4] ამაზე მიუთითებს ძველი ქართული კულტურის კერების მკვლევარი, ღვაწლმოსილი მეცნიერი ლევან მენაბდე.[5]

ლარგვისის სამონასტრო მეურნეობის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა ზეთსახდელი, რომელიც „ძეგლი ერისთავთას“ ცნობით, აუშენებია ვირშელ II-ის ძეს ქვენიფნეველს (1344-1373 წწ.) *„... და აღაშენა საზეთე და განაჩინა იზ (17) ალაპი და შემოწირა ცხრაი ვენახი და გლეხნი მსახურად ეკლესიისა“.*

საზეთეები და ზეთსახდელები საქართველოში XI-XIII საუკუნეებიდან მრავლად იხსენიება სიგელ-გუჯრებში. მათი არსებობა დგინდება

---

1 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 359-370.

2 ზაქარაია. პ., დასახ. ნაშრ. გვ. 123.

3 ცნობილ მეცნიერს ვ. ბერიძეს 1958 წლის ზაფხულში ტაძრის ორი სარკმელი გამონგრეული უნახავს. მისივე თქმით: ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით, კედლებში ჩატანებულ ფულებს ეძებდნენო. ეკლესია დაკეტილია, შიგნით, რა თქმა უნდა, ალარაფერია, არც კანკელი, არც ხატები, არც საეკლესიო რამ, ჭურჭელი ან წიგნი. – იხ.: ბერიძე ვ., XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბ., 1994, გვ. 102.

4 კარბელაშვილი პ., იერარქია საქართველოს ეკლესიისა, გვ. 136; გულაბერისძე ნ., საკითხავი სუეტისა ცხოველისაი, გვ. 1.

5 მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები საქართველოში, გვ. 221.

როგორც საზღვარგარეთ არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებში, ისე ქვეყნის შიგნით: სამთავისში, შიომღვიმეში, ნიქოზში, დუშეთში, ყანჩაეთში და სხვა ადგილებში.[1] ეს დარგი ძირითადად უკავშირდებოდა სამონასტრო ცხოვრებას, რომელზეც მოთხოვნილებები ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასთან ერთად საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

სამონასტრო ცხოვრებაში ზეთის დიდმნიშვნელობას განაპირობებდა მისი კვებითი ღირებულება. სელის ზეთზე, როგორც საკვებ ცხიმზე, დიდი მოთხოვნილება იყო ისეთ რეგიონებშიც კი, სადაც მესაქონლეობა, კერძოდ ცხვარ-ძროხა მოსახლეობის სიმდიდრის ეკვივალენტად აღიქმებოდა.

ზეთის საკვები მოთხოვნილება განსაკუთრებით სამარხვო რეჟიმით იყო განპირობებული. ცნობილია, რომ წელიწადში სამარხვო დღეთა რაოდენობა 180-185 დღემდე ადიოდა, ამასთანავე, ზეთით შემზადებული საჭმელი არასამარხვო დღეებშიც იხმარებოდა. ასეთ ვითარებაში გასაგებია ზეთის მნიშვნელობა ქართულ სამზარეულოში.[2]

საკვების გარდა ზეთი განათების საუკეთესო საშუალებაც ყოფილა. უიმისოდ ჭრაქი და მაშხალა-შუშხუნები წარმოუდგენელი იყო. ქართველი მეფეები მტერზე გამარჯვებებთან და სხვა ღირსახსოვარ მოვლენებთან დაკავშირებით ტფილისის ქუჩებს ზეთით ანათებდნენ, თუმცა ამ პერიოდში ზეთის გარდა საქონლის ქონი და შავი ნავთიც იხმარებოდა. ამგვარი აღნიშვნებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერეკლე II. ზეთს განსაკუთრებული ადგილი ეკავა ხალხურ მედიცინაშიც.

---

1 ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1963, გვ. 47.

2 იქვე, გვ. 56.

# თავი VI

## ქვენიფნევი

*„ქსნის ერისთავი წამოდგა*
*ქვეყანას ავლებს ხელსაო*
*პირველში ხადას დავამტვრევ*
*მერე გადავალ ხევსაო“.*
***ხალხური***

ქსნის ხეობაში ქვენიფნევით მთავრდება მთა და იწყება მთისძირი ანუ გარდამავალი ზოლი. ის მრავალი საუკუნის განმავლობაში წარმოადგენდა ცხრაზმის ერისთავების – ქვენიფნეველთა რეზიდენციას და ლარგვის-ვირშასგან განსხვავებით, მთავარ საცხოვრებელს. იგი ქსნის ხეობის თავდაცვისა და კულტურული ცენტრიდან – ლარგვისიდან ქვემოთ, სამხრეთით, მდ. ქსნის მარჯვენა სანაპიროზეა. ქვენიფნევი სტრატეგიული მდებარეობით ლარგვისს ჩამოუვარდება, თუმცა თავისი სიფართით აღემატება მას.

სწორედ ეს უნდა გამხდარიყო ფაქტორი ჯერ კიდევ ოს ბიბილურთა მიერ საცხოვრებელ ადგილად ქვენიფნევის მოთხოვნისა, სადაც დასახლებულ დევნილთ ქვენიფნეველები ეწოდათ.

აქვე უნდა აღინიშნოს მის გეოგრაფიულ მდებარეობასთან და ლანდშაფტთან დაკავშირებული ერთი გარემოება, არსებობდა ქვენიფნევის საპირისპირო ზენიფნევიც, რომელიც ბოლო ორასი წლის მანძილზე ადგილობრივები ღრომისწყაროდ, ზოგი მას დღესაც ხრომისწყაროდ იხსენიებს, რაც შეცდომაა. ღრომი ჩაღრმავებულ ანუ ჩავარდნილ ტაფობს ნიშნავს, რის მნიშვნელობასაც ამართლებს დღევანდელი არა ნასოფლარი, (იქ XX ს-ის 70-იან წლების ბოლომდე მოსახლეობა ცხოვრობდა), არამედ მისგან დასავლეთით მდებარე ტერიტორია, რომელსაც ზემო

ღრომს ანუ ზემო იფნევს ეძახდნენ. ხოლო ქვემო ღრომი ანუ ქვემო იფნევი ერისთავთა ყოფილი რეზიდენცია ქვენიფნევია, რომლის ლანდშაფტი ამფითეატრივით ჩაღრმავებულ, ჩავარდნილ ტაფობს წარმოადგენს. იქ არსებული მზვრის იფანი დროთა განმავლობაში მსგავსად წიწვოვანი სარტყლისა დიდი ხნის წინ შეცვალა მუხნარმა.

ძნელი სათქმელია, რა დრომდე ცხოვრობდა იქ ქვენიფნეველთა დინასტიის ბოლო წარმომადგენელი, მაგრამ უდავოა, რომ ეს სილამაზით შემკული „ამფითეატრი" საბუდარია ორი ახალი ფეოდალური გვარისა – ერისთავებისა და რატიშვილებისა, წარმოდგენილნი ცალ-ცალკე საგვარეულო სამარხებით – იკორთითა და თელოვან-ყანჩავეთით.

ქვენიფნევს, როგორც რეზიდენციას, უნდა დაეკმაყოფილებინა იქ მოსახლე ერისთავთა უსაფრთხოება და ის სხვადასხვა მოთხოვნილებები, რასაც ითვალისწინებდა ფეოდალის სტატუსი და მათი კარმიდამო..

ოს მეფეთა უცნობი გვარის წარმომადგენლებმა, რომლებიც ჯერ კიდევ დვალეთში, კერძოდ ბობალეთში დასახლების გამო ბიბილურად იწოდებოდნენ, ქვენიფნევში მისვლისა და წინამძღვრობისთანავე *„იწყეს შენებად ციხისა და სახლებისა დიდ-დიდებისა".* გაძლიერების შემდგომ ერისთავმა ლარგველმა *„აღაშენა .... ტფილურითა წესითა დარბაზოვანი ქვენიფნევს".* ერისთავთა საგვარეულო მატიანის ცნობით, ქვენიფნევი არის სადგომი და სახლი შუასაყდრის შვილთა[1], სადაც ცხოვრობენ საყდრის მოხელე ხელისუფალნი. გარდა ამისა, ვირშელ II-ის დროს (1320-1335 წწ.) ქვენიფნევი წარმოადგენდა საპყართა, ობოლთა და ხეიბართა თავშესაფარს: *„იზრდებოდა ქვენიფნევს მიე (55) სახლი უძლურთა და დავრდომილთაი..."*

ქვენიფნევში კვლავ განაგრძობდა აღმშენებლობით საქმიანობას ვირშელის ძე ქვენიფნეველი: *„ამან აღაშენა ქვენიფნევს ეკლესიაი და დარბაზოვანი დიდ-დიდი და შვენიერი".*

აქედან და არა ახალგორიდან უნდა მომხდარიყო რატიშვილების გამოყოფა ცალკე საგვარეულო შტოდ, რომელთა კუთვნილი სამამულო ადგილები ჯერ ყანჩავეთი უნდა ყოფილიყო და მერე ქსოვრისი-თელოვანი, სადაც ისინი, როგორც ცალკე თავადური გვარეულობა, დასახლდა და დამკვიდრდა.

---

[1] ს. ჯანაშიას განმარტებით, „საყდრის შვილებად" იწოდებოდა მთელი ის პერსონალი, რომელიც დაკავშირებულია კულტსა და ტაძართან – კერძოდ, ტაძრის მეურნეობასთან. იხ.: ხოშტარია-ბროსე, ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობების საკითხები. თბ., 1984, გვ. 109.

ლარგვისის ციხე-კომპლექსის მსგავსად ქვენიფნევი თავისი საფორტიფიკაციო, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებით, გარდა წმ. ბარბარეს სახელობის გარდამავალი ხანის ეკლესიისა, შემოსაზღვრულია გალავნით, რომლის სამხრეთის დიდი ნაწილი გადავარდნილია ღრმა, ფრიალო ხევში. გალავნის შიგფართი დაახლოებით 2500 კვ. მეტრამდე იქნება და იყოფა ორ ძირითად ტერასულ ეზოდ. წინა ეზოში, აღმოსავლეთით XIV ს-ში ერისთავ ლარგველის მიერ „ტფილურითა წესითა“ აშენებული სახლებია. მისი ნაშთები დღესაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ამ სახლების უკან დასავლეთის დიდი ეზო ამავდროულად გზასაც წარმოადგენს, რომლის ჩრდილოეთი მხარე დათმობილი ჰქონია ორ დიდ სახლს, მათგან ერთი ორსართულიანია. მისი პირველი სართული შესაძლოა საწყობი ყოფილიყო, ხოლო მის მიყოლებით განლაგებულია: მართკუთხა ვიწრო და გრძელი სამალავები, მარანი, ბეღელი, საკუჭნაოები, წყლის რეზერვუარები, საპატიმრო, მომსახურეთა სადგომები და სათადარიგო საჯინიბო. ეს ეზო, იგივე გზა, დასავლეთით იწყებოდა გალავანში ჩატანებული ორმეტრიანი განივი კარებით. კარების გარეთ ჩრდილო-დასავლეთით დიდი დარბაზული სახლია, სამხრეთით – ციხე-კოშკი, მისი დასავლეთი მხარე მომრგვალებულია, შიგნითი კვადრატული. შემორჩენილია 3-4 მეტრის სიმაღლეზე. შესასვლელი აქვს სამხრეთიდან. მთავარ ციტადელს ღრმა ხევი გაქრობით ემუქრება. თავდაცვითი ნაგებობების აღმოსავლეთით დიდი ფართე „სახლების“ ნაშთები იკვეთება.

რეზიდენციიდან ჩრდილოეთით, 120 მეტრში მდებარეობს წმ. ბარბარეს სახელობის დარბაზული ფორმის სამლოცველო. გეგმით მართკუთხედია. ნაშენია ტლანქი და დიდრონი დაუმუშავებელი ქვებით. ასეთი ლოდებით გამოირჩევა მისი აღმოსავლეთი ნაწილი. შესასვლელი სამხრეთიდანაა. ინტერიერში, აღმოსავლეთ კედელზე, შემორჩენილია ფრესკების ფრაგმენტები. ეკლესიის კამარა და კონქი ჩამოქცეულია და ნანგრევებითაა ამოვსებული. მის სამხრეთით სასაფლაოებია, სადაც განისვენებენ ადგილობრივ მემამულეთა მოურავები ხალიბეგაშვილები – ხალბეგოვები[1], რომლებიც XIX-XX საუკუნეებში მისდევდნენ მეწარმეობას.

[1] ზოგიერთი სხვა აზნაურების მსგავსად, ხალიბეგაშვილები არ იხსენიება ქსნის ერისთავთა აზნაურთა სიაში. უპრიანია, ისინი აზნაურთა კატეგორიას კი არა წვრილ მეწარმეთა კატეგორიას მივაკუთვნოთ, რომლებიც იყვნენ აზნაურის ღირსების მაძიებელნი.



შალვა III ვირშელის ძე ქვენიფნეველი
მხატ. ნიკო ხერკელაძე

მსგავსად ცხრაზმის საერისთავოს სტრატეგიული მნიშვნელოვანი პუნქტებისა, ქვენიფნევიც ყოველთვის მედგრად იბრძოდა შინაური და გარეშე მტრის წინააღმდეგ. მისი ძლიერი და კარგად გამაგრებული ციხე-კომპლექსი ვერ აუღია საქართველოს მეფეს – დავით VIII-ს. ამაო გამომდგარა შვიდწლიანი მცდელობა მის ხელში ჩასაგდებად. ასევე მედგარი ბრძოლის წყალობით თუ სხვა სასწაულით თავი გადაურჩენია ყოვლის დამანგრეველი თემურლენგის მრისხანებისაგან. *„და დარჩეს ერისთავსა ზემოით თავადი ციხე ქვენიფნევს და სახლები ი (10) ..... და სხვაი ყოველი აღაოხრეს“.* ბევრი სხვა აღუწერელი ავბედითი ისტორიის მატარებელია ერისთავების ეს უძველესი რეზიდენცია, რომელზეც ჩვენ ძალზე ცოტა რამ გვეცოდინება მანამ, სანამ არქეოლოგები იქ წერაქვს და ფუნჯს არ მოსინჯავენ. ერისთავთა ეს რეზიდენცია ძალზე შთამბეჭდავი სილამაზის ლადშაფტზეა სწორად მორგებული, სადაც არქეოლოგიური გათხრები, ისე როგორც ლარგვისში, ძალზე საჭირო და ნაყოფიერი გვეჩვენება, თუმც ერთი ქართული ანდაზა მაგონდება ჩვენს ლტოლვილობასთან და ბედოვლათობასთან დაკავშირებით *„გზირს სოფელში არ უშვებდნენ და ფარ-ხმალი მამასახლისთან შემინახეთო“.*

## თავი VII

# ვირშა

ცხრაზმის ერისთავების საგვარეულო მატიანეში „ვირშას“ არმოხსენიება 27 ერისთავის გარდაცვალებამდე, გვაფიქრებინებს, რომ ის, როგორც ცალკე გეოგრაფიული კუთხე, VI-XII საუკუნეებში ცხრაზმისხეველებს არ ეკუთვნოდათ.

ვირშა, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი იკორთად და მის შემოგარენად მიიჩნევს, ცხრაზმისხეველთა ცნობიერებაში XIII საუკუნიდან უნდა გაჩენილიყო. ჩვენი მოსაზრებით, ქართული გენეზისის მატარებელი ვირშის მფლობელები გაურკვეველ ვითარებაში უნდა გამხდარიყვნენ ქსნის ხეობაში არსებული ცხრაზმისხევის მმართველი ერისთავები. ამ არაოსური წარმომავლობის საგვარეულო შტომ გარკვეული მოსაზრებით მიისაკუთრა ოს მეფეთა წარმომავლობა – ბიბილურ-ქვენიფნეველობა და ზურგი გაიმაგრა დიდი კეისრის იუსტინიანეს მიერ ლარგვისის აღმშენებლობის ფაქტით.

„ვირშას“ არმოხსენიება მატიანეში ვირშული წარმომავლობის დაფარვას უფრო გვაფიქრებინებს და ეჭვს ბადებს ქვენიფნეველთა ოსურ წარმომავლობაზე, ხოლო იქ არსებულ მამა-პაპეულ სახლში აღზრდილ ერისთავის შვილებს ვირშელებად მოიხსენიებდნენ.

დავასკვნით რომ, VI საუკინიდან, ცხრაზმის ხევის ერისთავების დინასტიის საწყისად როსტომ ბიბილური და მისი ოსური გენეზისი ჩვენთვის მისაღებია. ამასთანავე ვაღიარებთ, რომ დინასტიის ცვლა მოხდა XIII საუკუნეში. ცხრაზმისხევის ერისთავები ხდებიან ქართული გენეზისის მატარებელი ვირშის წარმომადგენლები.

## თავი VIII

# ახალგორი (ზოგადი მიმოხილვა)

*„... ჩდილოთ არს მცირე ქალაქი ახალგორი. მსახლობელნი არიან სომეხნი, და სასახლე ქსნის ერისთვისა.“*

***ვახუშტი***

ცხრაზმა, ლარგვისი, ქვენიფნევი – ამ სამი პუნქტის დაბალანსებული ურთიერთობა თითქმის ათასწლეულის მანძილზე წარმოადგენდა ცხრაზმის ძლევამოსილი საერისთავოს როგორც პოლიტიკური ერთეულის წარმოშობისა და ჩამოყალიბების, ისე მისი კულტურულ-რელიგიურ და საფორტიფიკაციო-ადმინისტრაციულ ცენტრს. მიუხედავად მათი ასეთი დომინანტობისა მაინც შუა ფეოდალური ხანის მიმწუხრს დროის მოთხოვნით, ქვენიფნეველთა გაძლიერების თანადროულად, დღის წესრიგში დადგა – მაღალი მთების ძირში ძნელად მისადგომ, მდინარის ჩქარი დინებით გამოწვეულ, უგზო-უკვალო ვიწროებიდან – შედარებით ფართე და ადვილად სამოქმედო, ბუნების რბილი კლიმატის მქონე ახალგორში გადასვლა, რაც იძლეოდა კავშირის უფრო მეტ შესაძლებლობებს როგორც ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ისე ახალშეძენილ სამფლობელოებთან შიდა ქართლსა და ხეობის ქვემო დინებაზე.

ახალგორი მდინარე ქსნის შუა წელის მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 900 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. მის დაარსებას, როგორც ცნობილია, ფარნავაზ მეფის მემკვიდრეს საურმაგ I (ძვ. წ. III ს.) მიაწერენ.[1] ადრეფეოდალურ ხანაში ახალგორი ფეოდალ – ყანჩაველებს

[1] საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ერთი დოკუმენტის მიხედვით, რომელიც შედგენილია XVIII ს-ში, „ახალგორი მცირე ქალაქია. იგი გააშენა მეორე მეფე საურმაგმა“. იხ.: ხოცუაშვილი ვ., „ახალგორი“, გაზ. „ლენინელი“, 1987 წ. 5 დეკემბერი; ახლოური დ., ქსნის ერისთავების ციხე-დარბაზი XVII-XVIII სს., წიგნ. შიდა ქართლი, ტ. IV, თბ., 2008, გვ. 16.

ეკუთვნოდათ, შემდეგ აბაზასძეთა ხელში გადადის. ამ უკანასკნელთა პოლიტიკური მოუქნელობის გამო ისინი მალე კარგავენ აღნიშნულ ადგილებს და მას ეუფლებიან ცხრაზმისხეველი ერისთავები, რომელთა განდიდებას ძლიერ შეუწყო ხელი მათი გერგილიანი შთამომავლების კეთილგონივრულმა ურთიერთობებმა ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

ქსნის ხეობაში ახალგორის დაწინაურება განაპირობა მისმა მოხერხებულმა მდებარეობამ და სომეხ ვაჭარ-ხელოსანთა ჩასახლებებმა.[1] იქ მათი პირველი ნაკადის მოსვლას და დასახლებას მკვლევრები XIV საუკუნეში მონღოლთა მიერ აოხრებული ქ. ანისიდან ვარაუდობენ. ამ მოსაზრებას არ იზიარებდა მკვლევარი ს. მაკალათია. კერძოდ, ის ამ მოვლენას დავით აღმაშენებლის ღონისძიებად მიიჩნევდა და სახელი „ახალგორი" ისტორიულ სამოსახლო გორას დაუკავშირა ანუ ერთმანეთისაგან განასხვავა ძველი და ახალი გორა. *„თუ ამ აზრს უცვლელად მივიღებთ (დასძენს ახალგორელი ისტორიკოსი და მკვლევარი ვ. ხოცუაშვილი), მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალგორის ძველი უბნები სწორედ იმ უძველეს პატარა სამოსახლო მთისძირა გორას ზემოდან აწევს ფიჭვნარის ხევისაგან ჩამოტანილი ქვაღორღის ახალი გორა და აქედანვე უნდა იყოს წარმომდგარი მისი სახელწოდებაც „ახალგორა", რომელსაც დროთა განმავლობაში დაბოლოება „ა", „ი"-ით შეეცვალა და ამ გზით დამკვიდრდა სახელი „ახალგორი".*[2]

ამ საკითხით დაინტერესებულმა ახალგაზრდა მეცნიერმა დ. ახლოურმა მონოგრაფიულად შეისწავლა ახალგორი, სადაც სომხების დასახლებას არაუგვიანეს XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ვარაუდობს, თუმც პარალელურად, არც იმას გამორიცხავს, რომ XV საუკუნემდეც ყოფილიყო ახალგორში სომხური მოსახლეობა. როგორც სომხეთიდან, ისე გორიდან მოსულნი. მისივე ვარაუდით, დასაშვებია ახალგორში სომხების ჩასახლება XV საუკუნის შემდგომ პერიოდშიც გაგრძელებულიყო.[3] რასაც ჩვენც ვიზიარებთ და დავამატებდით, რომ ვაჭარ-ხელოსანთა ჩასახლებებისთვის დიდად უნდა შეეწყოთ ხელი ცხრაზმისხევის ერისთავ – ქვენიფნეველებს, რათა მათი სამოსახლო ახალგორი ხალხმრავალი და ეკონომიკურად შეძლებული სავაჭრო ცენტრი გამხდარიყო.

---

1 ვახუშტის მიხედვით „ხოფას ჩრდილოთ არს მცირე ქალაქი ახალგორი. მსახლობელნი არიან სომეხნი, და სასახლე ქსნის ერისთავისა. იხ.: ქართლის ცხოვრება, ტ. IV (ყაუხჩიშვილის რედ.), გვ. 356.

2 ხოცუაშვილი ვ., „ახალგორი", გაზ. „ლენინელი", 1987 წ. 5 დეკემბერი.

3 ახლოური დ., ახალგორის ისტორია, თბ., 2006 წ., გვ. 42-44.

გაბატონებული აზრი იმის შესახებ, რომ ცხრაზმისხევის ერისთავები ქვენიფნევიდან ახალგორის რეზიდენციაში XVI-XVII საუკუნეებში გადავიდნენ, ერთობ გაწელილი გვეჩვენება ორსაუკუნოვან დროში, რომლის ფოკუსირებასაც ჩვენ კონკრეტულად XVI ს-ის. II ნახევრისკენ ვახდენთ. ანუ ახალგორში ზემოთ აღნიშნულ დროისთვის ერისთავებს უნდა ჰქონოდათ სასახლე და რეზიდენცია. თუმცა საჭიროდ მივიჩნევთ აქვე ერთ გარემოებას გაესვას ხაზი.

სავარაუდოდ, 1578 წ. (ვ. ღუნაშვილის თქმით) კახთ ბატონის ალექსანდრესი და ქართლის მმართველ დაუთ-ხანის წაქეზებით ბარძიმ ამილახვარმა და ელიზბარ ქსნის ერისთავმა გაძარცვეს სიმონ მეფის ოჯახობა კავთისხევში. ცხრა წლის შემდეგ ქართლში პატივით მობრუნებულ სიმონ მეფეს და დედოფალს *„ურიგოს კადრებისთვის ქსნის ერისთავმან მიართუა საუპატიოდ მეჯუდისხევი და ახალგორი“.*[1]

ზოგიერთი მკვლევარი (ჯ. გვასალია, დ. ახლოური, ვ. ღუნაშვილი) ასკვნის, რომ ზემოხსენებული „საუპატიოდ“ მეჯუდასთან ერთად დედოფლისთვის მირთმეული ახალგორი ჯერ კიდევ ვერ იქნებოდა რეზიდენცია და საცხოვრებელი ერისთავებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში *„...ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა მისი გადაცემა დედოფლისათვის“* (ჯ. გვასალია).

ჩვენი აზრით, სავსებით შესაძლებელი იქნებოდა დამფრთხალ ქსნის ერისთავს სიცოცხლისა და საერისთავოს შენარჩუნებისთვის ახალგორის მცირე მასშტაბის სასახლე, იმ მეჯუდის ხეობასთან ერთად, სადაც იდგა იკორთა – „თავმოწონების წმინდა საგანი,“ მიერთმია დედოფლისათვის მაშინ, როდესაც მეფის მოღალატე თავადები ზოგი თურქეთში და ზოგი კახეთში გარბოდა თავის გადასარჩენად. ან სულაც დასაშვებია, არ ყოფილიყო საჭირო ახალგორის და მეჯუდის გადაცემა სასახლით და ციხეტაძრით. ასე რომ, ჩვენი აზრით, ახალგორისა და მეჯუდის გადაცემა დედოფალ ნესტან-დარეჯანისთვის არ უნდა ნიშნავდეს იქ ქსნის ერისთავების საცხოვრისის და საძვალის არარსებობას.

ცხრაზმის ერისთავების იგივე ქვენიფნეველთა ტიტულის მატარებელი ვირშელის პირველი სამართავი რეზიდენცია ბიბილურთა მსგავსად ქვენიფნევია (XVI ს. შუახანებამდე), საიდანაც მიუხედავად მათი უზრუნველი ყოფისა, მაინც 17 კილომეტრით ქვევით, ბარში ინაცვლებენ და სამხრეთით, სატახტო ქალაქთან ახლოს ახალგორში მკვიდრდებიან.

[1] ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, გვ. 412.

ამ პროცესებს უნდა მოჰყოლოდა ქვენიფნევს დარჩენილ ერისთავთა ოჯახების გადასვლა შიდა ქართლის ვაკეზე.

მკვლევრები ბევრ მიზეზს ასახელებენ ერისთავების რეზიდენციის და ტიტულის შეცვლის აუცილებლობაზე. პროფესორი დ. გვრიტიშვილი, აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი ახალგორის გაშლილ მდებარეობასა და ფართო ჭალას მიიჩნევენ, ჯ. გვასალია კი ასკვნის – *„ქვენიფნევი ვეღარ აკმაყოფილებს დროის მოთხოვნებს“,* პ. ზაქარაია ხაზს უსვამს ახალგორის სავაჭრო და პოლიტიკური ცენტრის მნიშვნელობას და ქვეყნის ცენტრთან მის ახლო მდებარეობას. უეჭველია ყველა ამ ერთად აღებულმა მიზეზმა და საერისთავოს კერძო სამფლობელოდ გადაქცევამ განაპირობა რეზიდენციის ადგილმონაცვლეობა. ამავდროულად, ეს იყო ქვეყნის ცხოვრების დონის ამაღლებით ნაკარნახები. წინააღმდეგ შემთხვევაში საერისთავოს დასუსტებისა და მისი თავდაცვისუნარიანობის გაუარესების შემთხვევაში ქვენიფნეველები ბარად, დედაქალაქთან უფრო ახლოს კი არა, უფრო მიუდგომელ მთებში გადაინაცვლებდნენ და რომელიმე ძლიერ ციხე-კომპლექსში დაიდებდნენ ბინას.

გვიანი შუა საუკუნეების დროინდელმა ცხოვრებამ, გარდა ცხრაზმის ერისთავებისა, არაგვისა და საამილახვროს ფეოდალთა დღის წესრიგშიც დააყენა მთიდან ბარში ადგილმონაცვლეობის საკითხი.

ჯერ კიდევ ხევში არსებული „სონთა ერისთავების“ სამხრეთით, მთიულეთში გადმოსვლა და ლეხურაზე, მთიდან ქვემოჭალაში ამილახვრების გადმოსახლება სწორედ ჩვენ მიერ დასახელებულ მიზეზთა შედეგი უნდა ყოფილიყო.

ქვენიფნეველთა ადგილმონაცვლეობა და დასახლება იმავე ხეობის სხვა ადგილზე დაკავშირებული ჩანს ახალი ტიტულისა და გვარის მიღებასთან. საერისთავოს ახალ სახელთან, საგვარეულო საძვალესთან, გერბთან (რომლის ძველი ვარიანტი ქვენიფნევში უთუოდ ექნებოდათ) და ახალ დროშასთან, რომელიც „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით, ჯერ კიდევ იმპერატორმა იუსტინიანე II-მ როსტომ ბიბილურს ერისთავობასთან ერთად VI ს-ში გადასცა.

რაც შეეხება XIII საუკუნიდან ცხრაზმის ერისთავების ლტოლვას და ამოუცნობი უხილავი ძაფებით მათ კავშირს შიდა ქართლის, კერძოდ ვირშის, გვერდისძირის, კოლონკეთის და უპირველესად იკორთის მიმართ, გვაფიქრებინებს მათ ქვენიფნეველ-ბიბილურთა მანტიაში გახვეულ ვირშულ წარმომავლობას.

ძალზე დამაფიქრებელია „ძეგლი ერისთავთაში“, თუ რის საფუძველზე და საიდან გაჩნდა პირველად სიტყვა – ვირშელი... ვირშა?!, თანაც მას

შემდეგ, სანამ არ გარდაიცვალნენ *„მეფენი კვ-ნი (26) და ერისთავნი კდ-ნი (24)“*, ე. ი: სანამ არ გავიდა პოლიტიკური სცენიდან ბიბილურთა დინასტია, რომელთა „ამოწყვეტას“ მეისტორიე გვამცნობს: „ძველნი ერისთავნი არღარავინ დარჩა“...

## ქსნის ერისთავების სასახლე

მდ. ქსნის ვიწროებში ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში შექმნილმა ცხრაზმის სახევისთავომ და შემდგომ საერისთავომ ასწლეულების მანძილზე წარმატებით დაიცვა თავი შინაური და გარეული მტრებისაგან, შექმნა ეკონომიკური ბაზა, თავდაცვითი-საფორტიფიკაციო სისტემა. ამავდროულად, შექმნა ძლიერი კულტურულ-რელიგიური ცენტრი. შეიმუშავა და მიიღო იურიდიული და კანონიკური ძეგლები. ყოველივე ამის შემდეგ აღზევების გზაზე შემდგარი საერისთავოს მესვეურები იცვლიან საცხოვრებელ ადგილს და ახალი რეზიდენციისთვის ირჩევენ არცთუ ძირძველ მამა-პაპეულ ადგილს – ახალგორს, რომელიც ისტორიული წყაროების მიხედვით, ყოფილა ცნობილი ფეოდალების – აბაზასძეთა მამული.[1]

ქვენიფნეველთა გვარის „დაგდების“ შემდეგ ერისთავობა ანუ წოდება გვარად გაიხადეს ყოფილმა ვირშელური დინასტიის ერისთავებმა.

ქსანზე გაძლიერებული ფეოდალები ახალგორში 6 ჰექტარის ფართობზე[2] აშენებენ ქვიტკირის სასახლეებს. ხეობის შუაწელზე, მდინარის მარცხენა ნაპირზე დღესაც თავმოწონებით და ამაყად დგას ერისთავების

---

[1] XI ს. შუაწლებში აბაზასძენი ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძვიან. მათი განდგომა მარცხით და ერისთავობის დაკარგვით დამთავრდა. XIII საუკუნის ბოლომდე აბაზასძეთა სამამულო მფლობელობაში იყო ქსნის მარცხენა მხარე – კორინთიდან ოძისის ჩათვლით. „აღნიშნული ტერიტორიის გადაცემა შალვა ქვენიფნეველისათვის უნდა მომხდარიყო 1303 წლის მეორე ნახევარში“, – აღნიშნავს ვ. ლუნაშვილი. შემდგომ ამისა აბაზასძენი დაკნინდნენ და ისტორიულ წყაროებში იშვიათადღა იხსენიებიან თუმც ზაალ აბაზაძე 1613 წელს ლუარსაბ მეფის ბაზიერთუხუცესია. ბოლოს ისინი ზემო ქართლის მეფის აზნაურებად ჩანან.

[2] ციხე-სასახლის ეზო-ბაღის ფართზე ჩვენეული ცნობისაგან განსხვავებით პროფ. დ. გვრიტიშვილი მიუთითებს 5 ჰექტარს, ხოლო ექვთიმე ასახელებს 7 დესეტინას. თავის მხრივ დესეტინა მიწის საზომი ერთეული იყო მეფის რუსეთში და უდრიდა 2400 კვ. საჟენს ანუ 1,09 ჰექტარს.

სასახლე, რომელსაც გარს შემოვლებული ჰქონია კირის დუღაბით ნაგე-ბი მტკიცე გალავანი (1030 მ. სიგრძის და 2, 20 მ სიმაღლის). გალავანს სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ასევე გასდევდა წყლის ღრმა და განიერი თხრილი. გასული საუკუნის 70-იანი წლების ახალგორელი უხუცესები იგონებდნენ რიყის ქვით ნაგებ გალავანს, დამატებითი დაბრკოლებები-სთვის თავზე გარიგებული ჰქონია ძეძვ-ეკალი. მთავარი ტრიუმფალ-ური თაღოვანი შესასვლელი აღნიშულ გალავანს სამხრეთ-დასავლეთით, სასახლიდან პირდაპირ 150 მეტრში ჰქონია. გარდა საერთო გალავნისა სასახლეს უფრო გაძლიერებული თავდაცვის მიზნით მეორე, ბურჯებით გამაგრებული ძლიერი და მაღალი გალავანი ჰქონდა, რომლის სიმაღ-ლეები სხვადასხვა მხრიდან სხვადასხვა იყო. ამ გალავანის შიგნით უპ-როპორციოდ, დაუგეგმავად არის ჩადგმული ორსართულიანი ქვიტკირის სასახლე.

ქსნის ერისთავების ციხე-სასახლეს ფეოდალის საცხოვრებელისთ-ვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტი გააჩნდა. ლამაზ, მდიდრულ საცხოვრებელთან ერთად კარის ეკლესია, თავდაცვითი სისტემა – ციხე-



ახალგორი. ერისთავების ციხე-სასახლის სქემა.

კოშკები, საბაჟო, საიდუმლო გვირაბები, აბანო, წყალმომარაგების სისტემა, სატუსაღო, დამატებითი საცხოვრებელი კომპლექსი, მარანი, ბეღელი, ბოსელი და საჯინიბო. ბაღში ყვაოდა მრავალი ჯიშის ხილი, გამართული ჰქონდათ საირიგაციო სისტემა, სასახლის წინ, ჭადრების ქვეშ წყაროსთან კი – საზაფხულო საქეიფო ფანჩატური („ფოთლის დერეფანი“).

სიგრძით 1030 მეტრიან გალავანში, სადაც, როგორც ვთქვით, მშვენიერი ბაღიც იყო გაშენებული, ერისთავების ციხე-სასახლის სულ სამი ანსამბლი იყო ჩართული. პირველ ანსამბლად მიჩნეულია მთის ძირში განლაგებული მთავარი სასახლე ციხე-კოშკებით, მეორედ მის ჩრდილოეთით 200 მეტრში (დღევანდელი სახანძროს გვერდით) მდებარე ანსამბლი, ხოლო მესამედ – მის ჩრდილო-დასავლეთით 100 მეტრით დაშორებული კუთხის ნაწილი, სადაც დღეისთვის მხოლოდ გალავნის ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი.[1]

ძირითად მაღალ გალავანს შიგნით, რომელიც სასახლისთვის ალბათ უკანასკნელ თავდაცვით ზღუდეს წარმოადგენდა, მთავარი საცხოვრებლის გარდა წარმოდგენილი იყო ციხე-კოშკები, კარის ეკლესია, ჭა და საიდუმლო გვირაბი. საცხოვრებლისთვის დამახასიათებელი ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ატრიბუტები გალავნის გარეთ, საერთო გალავანში იყო მოქცეული.

სომეხი ვაჭარ-ხელოსნებით გაჯერებული ახალგორი წარმოადგენდა ერისთავების ძირითად რეზიდენციას და ერისთავიც აქ ცხოვრობდა, მის შვილებს კი საკუთარი საუფლისწულოები ჰქონდათ შიდა ქართლის სხვადასხვა ტერიტორიაზე (სულ 23 ადგილზე), სადაც საუცხოოდ აგებულ სასახლეებში ცხოვრობდნენ. ერისთავების ციხე-სასახლის გეგმაში დაშვებული პროპორციების უხეში დარღვევა, სხვადასხვა მინაშენები და კონსტრუქციები გვაფიქრებინებს, რომ სასახლე ერთი ეპოქის ძეგლი არ არის. რომ ნაგებობამ დასაწყისიდანვე ვიდრე XIX ს. შუახანებამდე მრავალჯერ განიცადა გადაკეთება-რეკონსტრუქცია, გაფართოვდა, შეივსო ახალ-ახალი დეტალებით და ევროპული სტილი შეიძინა.

ახალგორის წარსულის მკვლევარი, ისტორიკოსი ვ. ხოცუაშვილი თავის ნარკვევში აღნიშნავს, რომ ქვენიფნეველმა ერისთავებმა ახალგორში

---

[1] ახალგორზე და იქ არსებულ ერისთავების სასახლეზე იხ.: გაზ. „ლენინელი“ (ლენინგორის რაიონის გამოცემა) 1987 წ. ნოემბერი, 5 დეკემბერი, 19 დეკემბერი, 26 დეკემბერი; 1988 წლის 9/I; 16/I; 30/I; 230/I; 6/II; 5/III; 12/III; 19/III; 26/III; 2/IV; 9/IV; 7/V.

თავიანთი სასახლე ახალგორის ძველ მეპატრონეთა ყოფილ სასახლეზე დააშენეს, *„საეჭვო არავის გაუხდია, რომ ერისთავების სასახლე დაშენებულია აქ დამხვდურ შედარებით მცირე ზომის სასახლეზე“...* (აღნიშნავს მკვლევარი და განაგრძობს) ... *„სასახლის ქვედა სართულის დეტალების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ახალგორში ქსნის ერისთავების დამკვიდრებამდე ვინმე ცნობილი პირის სასახლე იდგა. მაგრამ ვინ იყო ეს ცნობილი პირი? ისტორიულად დადგენილია, რომ ესენი იყვნენ აბაზასძენი, რომლებიც ქსნის ხეობის გარკვეულ მონაკვეთს ფლობდნენ...“*[1]

მკვლევარის ეს მოსაზრება ჩვენ ნაკლებად სარწმუნოდ გვეჩვენება. ძნელი დასაჯერებელია აღზევებულ ერისთავებს ახალი რეზიდენცია ძალით გაძევებულ ისეთ ძლიერ ფეოდალთა ნასახლარზე დაეშენებინათ როგორებიც აბაზასძენი იყვნენ. არავინ უწყოდა, როდის შეიცვლებოდა ძალთა უპირატესობა იმ ძნელად პროგნოზირებად არასტაბილურ ხანაში. ჩვენი ვარაუდით სასახლის პირველი სართული, რომელიც გახდა ბაზისი მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში აგებული სასახლისა, უნდა წარმოადგენდეს ახალგორის შემოერთებისთანავე იქ ქვენიფნეველთაგან პირველად აგებულ მომცრო დარბაზულ საცხოვრებელს თავდაცვის ორი კოშკით. რაც ამ განაპირა მამულზე მყარად დამკვიდრების გარდა ითვალისწინებდა: წყალდიდობით, დიდთოვლობით, ბარგის სიმძიმით დაღლილთა, დაგვიანებულ მგზავრების თუ ბრძოლაში დაჭრილების დასვენებას და ღამის გათენებას.

**სასახლის პირველი ანსამბლი** – ერისთავების მთავარი საცხოვრებელი დგას მაღალი მთის ტყით შემოსილ დასავლეთის ფერდობის ძირში. ფრონტონით დასავლეთით, ქსნისკენაა მიმართული.

1908 წელს ახალგორში მყოფმა ექვთიმე თაყაიშვილმა უბის წიგნაკში გააკეთა შემდეგი ჩანაწერი: *„ახალგორში ინტერესს წარმოადგენს ერისთავების სასახლე (ნიკოლოზ და გიორგი დავითის ძეების) იგი აგებულია ქართველი ფეოდალების სასახლეების ძველებურ სტილში. მისი შინაგანი მორთულობა, ევროპულ სტილშია დაწყებული, მაგრამ დასრულებული არ არის. ამჟამად იგი საკმაოდ მოუვლელი და გავერანებულია. სახლი აგებულია ქსნის ერისთავების ყოფილ ციხესიმაგრეში*[2] (აქ აბაზასძეებს არ ახსენებს!).

---

[1] ხოცუაშვილი ვ., ქსნის ერისთავების ციხე-დარბაზი. იხ.: დაზ. „ლენინელი“, 1988 წ. 18 ივნისი, გვ. 4.

[2] Такаишвили Е., Археологические Экскурсии, Разыскания и заметки, V. стр. 123.

*„I სართულზე ძველი ციხე-სიმაგრიდან რამდენიმე დარბაზული და მცირე ზომის ოთახია შემორჩენილი. ამჟამად პირველ სართულზე ცხრა სათავსოა. რომელთაგან ორი ყოფილი კოშკების ქვედა სართულებია. მათი ზედა სართულები კი ჩანს მოგვიანებით ევროპულ სტილით დაშენებულ სასახლის გამოა მოხსნილი. მათ შორის მანძილი ათი მეტრა თუ იქნება. კოშკები ერთი ხელოსნის მიერ უნდა იყოს აგებული. შიდა თაღური გადახურვა ძველი ქართული აგურითაა შესრულებული პროპორციების ზუსტი დაცვით, თევზის ფხის მაგვარად დუღაბით ჩაწყობილი აგურით თაღოვან-ჯვარედინი სარტყელებია გამოყვანილი. ჩრდილოეთის კოშკი თავისი გაფორმებით მარტივი და ღარიბია, სამხრეთისა კი უფრო დატვირთულია დეტალებით და რთულ კონსტრუქციას ქმნის. აქ გარდა ორი ჯვარედინი თაღური სარტყელისა კედლებში დატანებულია ბუხარი, ნიშები, სათოფურის მაგვარი ოთხი ჭრილი“.*[1]

ს. მაკალათიას მითითებით, ახალგორის სასახლე სამსართულიანია, ვ. ბერიძე კი მხოლოდ ორ სართულს გამოყოფს, რაც საკითხით დაინტერესებული პირის დაბნევას იწვევს. აღნიშნულ გაუგებრობაზე დეტალურად საუბრობს და განმარტავს თავის სადოქტორო ნაშრომში მკვლევარი ნინო ერისთავი: *„საქმე იმაშია, რომ სასახლის ზედა ნაწილისკენ მიმავალი კიბის მეორე უჯრედი შენობის სიღრმისკენაა გავრცელებული და ღია ბაქანს წარმოქმნის. აქედან მარჯვნივ (სამხრეთის მიმართულებით) განლაგებულია ორი არათანაბარი ზომის დაბალჭერიანი ოთახი რომელიც სასახლის მოცემულ ნაწილში პირველი მაღალი სართულის ორ იარუსად გატიხვრის ხარჯზეა წარმოქმნილი. მაშასადამე ე. წ. მეორე სართული პირველი სართულის ზედა სივრცეში აღმოჩნდა შეჭრილი და გაუგებრობის საფუძველი გახდა“.*[2] ამ ეგრეთ წოდებულ მეორე სართულიდან ზემოთ ამავალი კიდევ ორი კიბეა, რომელთაგან ძირითადს ავყავართ ბოლო და მეორე სართულზე. ხოლო დამატებითი კიბე, რომელიც სასახლის შიდა სივრცეში შედის, უკავშირდება ზედა სართულის ერთ დამხმარე სათავსოს და ჩრდილოეთის კოშკის მეორე სართულს. სივრცის ამგვარი გადაწყვეტით სასახლე მხოლოდ მოცემულ ნაწილშია სამსართულიანი.

---

[1] ახალგორში ერისთავების სასახლეზე წერილები იხ. ლენინგორის რაიონულ გაზეთ „ლენინელში“, 1988 წლის 2/V; 18/VI; 16/VII; 30/VII; 20/VIII; 10/IX.

[2] ერისთავი ნ., სადოქტორო დისერტაცია „XIX ს. ქართულ სასახლეთა ხუროთმოძღვრების ისტორიიდან“, 2009, გვ. 45.

სასახლის მეორე სართულზე რვა სხვადასხვა ზომის ოთახია მოწყობილი: **I.** 6,40X4,75 მ; **II.** 4,25X4,75 მ; **III.** 9,50X4,75 მ; **IV.**4,60X4,75 მ; **V.** 6,30X6,40 მ; **VI.** 6,85X6,40 მ; **VII.** 13X7,20 მ; **VIII.** 7X7,20 მ.[1]

მეორე სართულის აღნიშნულ ოთახებში მოხვედრა შუშაბანდის მხრიდან ოთხი შესასვლელი კარებით არის შესაძლებელი. რომელთაც აღმოსავლეთის მხრიდან დაყოლებული აქვთ ათი სარკმელი, სამხრეთიდან – ოთხი, რასაც შუშაბანდის მხრიდან კიდევ ოთხ-ოთხი ფანჯარა ემატება. მდინარე ქსნისკენ, დასავლეთის ფასადის მხრიდან სასახლეს ფართოდ გაშლილი ხის აივანი მიუყვება, რომელიც ათ მაღალსვეტიან გიგანტურ კოლონადას ეყრდნობა (სვეტის სიმაღლე 7 მეტრს აღწევს). *„აგურის თეთრად შეღებილი სვეტები მწყობრ რიტმს ქმნიან. მათ თორმეტი ინკუსტრირებული ე. წ. „დრაკონისებრი“ კრონშტეინები გასდევთ. მუშარაბითა და მოხარატებული ფარდით დამშვენებული აივანი დახურული ყოფილა (ამჟამად გახსნილია) მთლიანობაში ამგვარი აივანი – შეზავებული კლასიცისტური ელემენტებითა და ქართული ჩუქურთმით – ციხის მძლავრ, შეუპოვარ ხასიათს ერთგვარად მსუბუქს, ჰაეროვანს ხდიდა და მას განსაკუთრებულ ხიბლს ანიჭებდა“.*[2] სამხრეთის ფასადის პირველ სართულზე მხოლოდ ერთი სარკმელია, მეორე სართულს კი – აგურის მომრგვალებული, ნახევარწრიული მოხაზულობის ოთხი სარკმელი. ნ. ერისთავის ცნობით, **XX** საუკუნის დასაწყისისათვის აღმოსავლეთი და სამხრეთი ფასადები შელესილი და შეთეთრებული ყოფილა. სასახლის აღნიშნული რვა ოთახიდან სამ დარბაზში დაგებული ყოფილა მუხის პარკეტი რომლის პატარა ფრაგმენტიც დღემდე ინახება ქსნის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალში. ყველაზე დიდ დარბაზში, რომელსაც აღმოსავლეთიდან დამატებით ოთხი სარკმელი ანათებს, როგორც ე. თაყაიშვილი და ს. მაკალათია აღნიშნავდნენ, ყოფილა კარი, საიდანაც მოძრავი ხის ხიდით გადადიოდნენ გალავნიდან გარეთ, ღამე კი ხიდს ქვევით ჩაუშვებდნენ. ამ ხიდს საინტერესოდ აღგვიწერს ე. თაყაიშვილი, რომელიც მას საკუთარი თვალით უნახავს:

*„სასახლის უკან, მთის გასწვრივ, გალავნის კედლების თავზე ამჟამად გადის ქუჩა. ქუჩიდან სასახლეში მოხვედრა შეიძლება დაკიდებული ხიდით, რომელიც შეკრულია ფიცრებისაგან და მისი მოხსნა ყოველ წუთს შეიძლება. ამ ასაწევ ხიდს, ოთხიარუსიან კოშკებს და გალავნის მაღალ*

---

[1] ერისთავი ნ., სადოქტორო დისერტაცია „XIX ს. ქართულ სასახლეთა ხუროთმოძღვრების ისტორიიდან“, 2009, გვ. 46.

[2] იქვე, გვ. 50.

*კედლებს ძალაუნებურად წარმოსახვით გადავყავართ შუა საუკუნეებში და გარკვეულწილად გვიხატავს ქართველი ფეოდალის სასახლის საერთო სახეს“.*[1] დარბაზი, რომელსაც მოძრავი ხიდი ქუჩასთან აკავშირებდა ერისთავების გადმოცემით სამეჯლისო ანუ საზეიმო დარბაზი იყო, სადაც *„მუსიკოსებისთვის გაკეთებული ყოფილა სცენა-პოდიუმი. სამხრეთ-დასავლეთ კუთხის კედელში ჩაშენებული იყო ჰოლანდიური ღუმელი. ამ ოთახში მდგარა როიალი. სარკმლებს შორის მდებარე კედლებს დიდი სარკეები და რაინდთა ბრინჯაოს ქანდაკებები ამშვენებდა“.*[2] ყოველივე ზემოაღწერილს მეტად დიდებულ ელფერს და პომპეზურობას იტალიური შპალერი, მუხის სხვადასხვა ფერის პარკეტი და პლაფონების მოხატულობა სძენდა. პლაფონების გარშემომწერ წრეში ჩახატული იყო ანგელოზები და ყვავილები. ხოლო მის აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში ორ დიდ წრეს შორის ორ კუთხეებმომრგვალებულ მართკუთხედში განირჩეოდა სიუჟეტი „ვენერას დაბადება ზღვის ქაფიდან“. კუთხეებისგან თავისუფალ მონაკვეთებში ერთმანეთს ანგელოზთა თავები და იორდისალამთა თაიგულები ენაცვლებოდა.

სამეჯლისო დარბაზს სამხრეთ-აღმოსავლეთით, კუთხის, შედარებით მცირე ზომის სასტუმრო ოთახი უკავშირდებოდა, რომელსაც დიდ კაბინეტსაც უწოდებდნენ. მისი ჭერი მოხატული იყო იორდისალამთა რვა დიდრონი თაიგულით, რომლის სიბრტყეზე შემოვლებულ წრეწირის კუთხეებში წარმოქმნილ „ტრომპულ“ სამკუთხედებში ჩახატული იყო ლენტებითა და გირლიანდებით შემკული დიდრონი მზესუმზირები. კედელზე გაკრულ შპალერზე რეგისტრებად ყვავილთა და ორნამენტთა ხვეულებია მოცემული. იატაკზე იქაც მოზაიკური მუხის პარკეტი იყო დაგებული.

*„სასტუმრო ოთახის აღმოსავლეთის კედელზე, ფანჯრებს შუა ეკიდა ბრინჯაოსფერი თაბაშირის სარკე* (ეს სარკე მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორმა ვ. ღუნაშვილმა ცხინვალის თეატრიდან უკან, მუზეუმში დააბრუნა). *ოთახის ცენტრში ყავისფერი ხის მაგიდა იდგა გარშემორტყმული ნეო-ბაროკული სტილის – „კაბრიოლის“ ფეხებიანი სკამებით და სავარძლებით“.*[3] ამავე სასტუმრო ოთახის ჩრდილოეთ კედლის მარცხენა ნაწილში მოწყობილ ბუხრის თავზე დახატული ყოფილა ქსნის ამაყი და შეუპოვარი ერისთავი – შანშე. თავის დროზე ნახატზე ყურადღება

---

[1] Такаишвили Е., Археологические Экскурсии, Разыскания и заметки, V. стр. 143.

[2] ერისთავი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 52.

[3] ერისთავი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 54.

გაუმახვილებიათ ს. მაკალათიას, პ. ზაქარაიას[1] და დ. გვრიტიშვილს. მაკალათია აღნიშნავს, რომ *„ერისთავების მისაღებ* (სასტუმრო ვ. ქ.) *ოთახში, ბუხრის თავზე, დახატული ყოფილა შანშე ერისთავი, რომელიც მდგარა ქსნის ორივე ნაპირზე (ორივე მხარე ჩემიაო). ქვეშ ქსანი გადიოდა, ხელში სჭერია ქსნის საერისთავოს დროშა, რომელზედაც გამოსახული იყო ცხენის ნალი“.*[2]

ცნობილი მეცნიერი დ. გვრიტიშვილი ამ აწ განადგურებულ სურათზე თავის ერთ-ერთ სტატიაში გულისტკივილით წერდა: *„... ერთ ოთახში 1937 წლამდე, დახატული იყო ერისთავის სურათი, რომელსაც ფეხები ორ მთაზე ჰქონდა დადგმული. მთებს შუა მდინარე მიმდინარეობდა. ერისთავს ერთ ხელში ხმალი ეჭირა, ხოლო მეორეში – საგვარეულო დროშა. ეს სურათი ჩემი თვალით მინახავს და არ შემიძლია გულისტკივილით არ აღვნიშნო, რომ იგი დაიღუპა ერთ-ერთი მედროვის უგნური განკარგულების გამო. ჩვენ ამაზე არაფერს ვიტყოდით, რომ მსგავსი მოვლენები დღესაც არ გრძელდებოდეს“.*[3]

უნდა აღინიშნოს, რომ მე-18 საუკუნის დასაწყისიდან მე-20 საუკუნემდე აღნიშნულმა სურათმა ორი მეტ-ნაკლებად განსხვავებული ვარიანტით ასახვა პოვა ქსნის ერისთავების ბეჭდის შტამპზე, რაც თან ერთოდა მათ მიერ ხელმოწერილ თითქმის ყველა საბუთს.

აღნიშნული *„დარბაზის შიდა სივრცის გაფორმებაში ნათლად ჩანს ქართული ხასიათისა და ტრადიციების ევროპული ტენდენციებით შეზავება“.*[4]

სასახლის მეორე სართულზე მოთავსებული იყო ასევე ევროპული ყაიდის სასადილო ოთახი (სიდიდით მეორე, 9, 50X4, 75 მ). მისი მოხატული ჭერიდან მხოლოდ ერთი კუთხის ერთი ანგელოზი ყოფილა შემორჩენილი, ისიც 1952 წლამდე. გადმოცემით, სასადილო ოთახის დგამს შეადგენდა მასიური ბუფეტი და დიდი მაგიდა სკამებით. ამავე სართულზე იყო საძინებელი ოთახები და ლოჯია-აივანი. ეს უკანასკნელი როგორც ოჯახის წევრებისთვის, ისე სტუმართათვის მუსაიფის, გართობის და დასვენების საყვარელ ადგილად ითვლებოდა, საიდანაც კარგად მოჩანდა მდ. ქსანი და ხეობის თვალწარმტაცი ხედი. როგორც ძველი ფოტომასალე-

---

1 ზაქარაია პ., ლენინგორის რაიონი, თბ., 1981, გვ. 3.

2 მაკალათია ს., ქსის ხეობა, თბ., 1968, გვ. 68.

3 გვრიტიშვილი დ., ქსნის ერისთავების სასახლე; „ძეგლის მეგობარი“, 1965 წ. №4, გვ. 78.

4 ერისთავი ნ., დასახ. ნაშრ., 2009, გვ. 50.

ბიდანაც ირკვევა, აგურის თეთრად შეღებილ, მაღალ სვეტთა კოლონაზე პომპეზურად დაყრდნობილი აივანი ადრე დახურული ყოფილა, ლამაზად მორთული და მოჩუქურთმებული ხის დეტალებით.

როგორც ცნობილია, ახალგორის სასახლის პირველ სართულზე ცხოვრობდნენ შინამოსამსახურენი, მეორე სართულის ორ ოთახში – მოურავი, ხოლო ზედა მესამე სართულზე – ერისთავები, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, რომ ერისთავს პირველ სართულზეც უცხოვრია. ამაზე ერთ საგულისხმო ინფორმაციას შეიცავს ერისთავიანთ ერთ-ერთი შტოს წარმომადგენლის ელისაბედ დავითის ასულის მოგონებები: *„ახალგორის სასახლეზე შევეკითხე კოლა ერისთავის ასულს – თამარ ერისთავს (საზოგადო მოღვაწეს, საბავშვო ბაღების საქმის პიონერს). იმან მიამბო შემდეგი: მამაჩემს უამბნია ჩემთვისო, რომ იმის პაპის, ე. ი. ლუარსაბ ერისთავის სიცოცხლეში დიდი ხანძარი მომხდარა, სულ გადამწვარა პატარა კარის ეკლესია და მახსოვს, რომ პაპა ლუარსაბი სცხოვრობდა სიკვდილამდის ძირის სართულში (ეკლესიის მხრივ) და იმისი თაღიანი დარბაზის კედლები სულ გაჭვარტლული იყო. მერე მამა ჩემმა დავითმა, რომ შეირთო დედაჩემი, რომ მოიყვანა სახლში უთხრა „ავია თუ კარგია ქალო შენი სახლია“. პატარძალს* (ანა ბებუთოვას, ვ. ქ) *დიდი მზითევი მოჰყვა როგორც ნივთიერად, ისე ფულათ და ეს უკანასკნელი მოანდომა სასახლის შეკეთებას. აი ამიტომაც ამ კარ-მიდამოში ერწყმიან ერთმანეთს ძველებური და ახალი სტილი და სევდის გრძნობას წარსულზე მიღვიძებს მუდამ“.*[1]

ქსნის ფეოდალთა ციხე-დარბაზს ახალგორში მრავალგზის განუცდია არქიტექტურული ცვლილება, რაც ყოველთვის ერისთავთა სურვილებსა და გემოვნებაზე არ იყო დამოკიდებული. ხშირად ეს ყველაფერი მკაცრი იძულების წესით ხდებოდა. ავიღოთ თუნდაც მეამბოხე იასე ქსნის ერისთავის პერიოდი. ის იოთამ ამილახვართან ერთად ებრძოდა როსტომ მეფეს, როსტომმა სძლია მათ, ამილახორს ცხვილოს ციხე დაუქცია, ქსნის ერისთავთა რეზიდენციას მეფე შობა ღამეს დაესხა თავს, იქ მყოფი შეთქმულნი გაიფანტნენ. *„იმათი მასპინძლობის საჭმელი მეფის ლაშქარმან შეჭამა“*, აღნიშნავს მეისტორიე გორგიჯანიძე. დ. გვრიტიშვილი ვარაუდობს, რომ: *„შეიძლება როსტომმა ქსნის ერისთავიანთ ციხე-კოშკები მიუნგრია მსგავსად ამილახვრებისა“.*[2]

---

[1] ელ. დავითის ასულ ერისთავის მოგონებები, გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტ. მუზეუმი, № 19799-300.

[2] გვრიტიშვილი დ., ქსნის ერისთავების სასახლე, „ძეგლის მეგობარი“, 1965 წ. № 4.

*„ცნობილია, რომ შანშე ერისთავის დროს (1717-1753 წწ.) ორჯერ დაიქცა ეს სასახლე და ციხე-კოშკები. ერთხელ 1720 წ., როდესაც ვახტანგ VI-ის წინააღმდეგ აჯანყებული შანშე დამარცხდა. დატყვევებულმა თვითნებურად დატოვა თბილისი და საერისთავოს დაეპატრონა. ვახტანგმა ურჩ ფეოდალებზე ჯავრი იყარა, თავს დაესხა, სასახლე დაუწვა და ციხეები დაუქცია. მეორედ – 1741 წ., როდესაც ნადირ-შაჰმა შანშეს ექვსათასიანი ლაშქარი ამილახვრის სარდლობით ქსნის ხეობას შემოუსია... შანშეს სასახლე და ციხეები ხელახლა აუგია“.*[1]

*„ისეთი შემთხვევაც იყო, როცა თვით ერისთავიანთ სახლში ჩამოვარდნილი შუღლის გამო, ერთმანეთს თავს ესხმოდნენ და სახლ-კარს უქცევდნენ, ცოლ-შვილს უჟლეტდნენ და გამარჯვებული დამარცხებულს საიქიოში აგზავნიდა. საკმარისია ითქვას, რომ ვახუშტის ცნობით, „მოწყვიტნა იესე ქსნის ერისთავმან ძმანი თვისნი, ცოლშვილითა სრულიად“.*[2]

საქართველოს ისტორიულ-არქიტექტურული ანალიზის საფუძველზე დაყრდნობით იკვეთება აზრი, რომ ახალგორში ერისთავების ციხე-სასახლე ძირითადად აგებულია XVI-XVII საუკუნეებში. რაც შეეხება სასახლის ბოლოდროინდელ სახეს, რამაც ჩვენამდე მოაღწია, გადმოცემის მიხედვით, მოხატულ-მოპირკეთებული ყოფილა იტალიელი ხელოსნების მიერ XIX ს-ის. მეორე ნახევარში. თუმც მანამდე, კერძოდ 1844 წელს როდესაც რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავმა ჯვარი დაიწერა ნ. ბარათაშვილის დაზე – ეკატერინეზე სასახლე კარგ მდგომარეობაში ყოფილა. იმდროინდელ ციხე-სასახლეზე საინტერესო ინფორმაციას შეიცავს ნ. ბარათაშვილის მიწერილი წერილი ზაქარია ორბელიანისადმი: *„კატოს ერთი თვეც არის ჯვარი დავსწერეთ – კარგი ქორწილი გადავიხადეთ. რა – დაბინდდა – შევედით ახალგორს – სასახლე ჭრაქებით იყო გაჩახჩახებული, მეიდანი მაშხალებით. დეკანოზი შემოსილი და ჯვრით შემოგვეგება გალავნის კარებში. დაჰკრეს ზურნას, სათარას სიმღერა, თოფის სროლა და ხალხის ჟღდვა და ყვირილი საუცხოვო სანახავს წარმოადგენდა. ამასთან მთვარიანი ღამე და მშვენიერი მდებარეობა... ზაქარიავ, სწორედ გულით გეტყვი, რომ კატო თავის მოსაწონს, ეხლანდელ დროში, სანატრელს ოჯახშია, ძმების უმაგალითო თანხმობა, სიმდიდრე სასახლისა და უვალობა... მე ის მეამა, რომ მტერი ვერ გაიხარებს...“*[3]

---

1 ხოცუაშვილი ვ., ერისთავების ციხე-დარბაზი, გაზ. „ლენინელი“, 1988 წ. 10 სექტემბერი.

2 გვრიტიშვილი დ., ქსნის ერისთავების სასახლე, „ძეგლის მეგობარი“, 1965 წ. № 4.

3 ბარათაშვილი ნ., პოეზია, წერილები, ტ. I, თბ., 2012, გვ. 88-90.

უფრო ადრე, 1772 წელს ეს სასახლე აგრეთვე საზეიმო დიდებით გამოიყურებოდა, როდესაც ერეკლე II-ის თხოვნით დავით ქსნის ერისთავს ახალგორში ეწვია გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი. რაც შეეხება სასახლის ბოლო მოპირკეთება-გალამაზებას, ხალხური გადმოცემით, მფლობელებს იტალიელი ხელოსნების ხელით ჩაუტარებიათ. ამის თაობაზე თავის საგაზეთო სტატიაში დაწვრილებით მოგვითხრობს ახალგორელი ისტორიკოსი ვალერიან ხოცუაშვილი. ციტირებულია მცირე შემოკლებით: *„.... ხელოსნები რომლებმაც თბილისში „დვორეცი" (ამჟამად პიონერთა სასახლე) მოაპირკეთეს, დავით ლუარსაბის ძე ერისთავს ახალგორს წამოუყვანია თავისი სახლის დასამშვენებლად. მათ ბრწყინვალეთ შეუსრულებიათ დავალება: ზედა სართულზე სამი დარბაზული ოთახის ჭერი მხატვრული სახეებით და ფრთოსანი ანგელოზებით მოუხატავთ, იატაკი ხელთუქმნელი პარკეტით დაუმშვენებიათ, კედლები იტალიიდან ჩამოტანილი შპალერით გაუფორმებიათ, კარებები, სარკმლები და აივანი ჩუქურთმებით და ვიტრაჟებით შეუმკიათ. სასახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფართო ოთახში ბუხარი საოცრად მოუპირკეთებიათ, მის თავზე მაღალი ჩარჩო გამოუკვეთიათ, ამოულესავთ და შიგ ქსნის ხეობის ორივე მხარეს მთებზე გადამდგარი, ხმალამოწვდილი შანში ერისთავის პორტრეტი ჩაუხატავთ... „ხელოსნებმა როცა სამუშაო დაამთავრეს ანგარიშსწორება მოითხოვეს. ერისთავმა ახლო მომავალში დაიბარა ხელოსნები, თბილისიდან მალე მხოლოდ ერთი ხელოსანი დაბრუნდა ახალგორს. ერისთავმა გარიგებისამებრ ორასი ოქრო ჩააბარა მას, ხელწერილი ჩამოართვა და გაისტუმრა, უკან კი დაადევნა ლეკი ჩაფრები რომლებიც ილტოზის ხევთან წამოეწივნენ. იგი შეიპყრეს, ფული წაართვეს და ისე სცემეს რომ მომაკვდავმა ქსოვრისამდე ძლივს მიაღწია".*[1]

არსებობს გადმოცემის მეორე ვერსია, რომელიც მიუთითებს ერისთავების ეგოისტურ ბუნებაზე, თითქოს იმ მოტივით დაახოცინა ჩაფრებს ქსნელმა თავადმა იტალიელი ხელოსნები, რომ მსგავსი მშვენება აღარსად შეექმნათ. თუ ან ერთი, ან მეორე ვერსია სიმართლეა მაშინ რა მნიშვნელობა აქვს მკვლელობა ეგოიზმის ნიადაგზე იქნა ჩადენილი თუ სიხარბის. ამ შემთხვევაში ბედენა მინიმალურია.

**კარის ეკლესია:** ქსნის მდიდარ ფეოდალთა ციხე-სასახლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და უმშვენიერეს ატრიბუტს წარმოადგენდა კა-

1 ხოცუაშვილი ვ., ერისთავების ციხე-დარბაზი, გაზ. „ლენინელი", 1988 წ. 10 სექტემბერი.

რის ეკლესია, რომელიც სასახლის გალავნის სამხრეთ კედელთან დატანილი კარის მარჯვნივ, გალავნის შიგნით იყო დაშენებული. ერისთავების კარის ქართული წითელი აგურით ნაგები ერთნავიანი ეკლესია XX საუკუნის დასაწყისში უნახავს და სათანადოდ აღუწერია კიდეც ექვთიმე თაყაიშვილს. ეკლესია ოსტატურად და მაღალი გემოვნებით ყოფილა გაფორმებული. წაბლის ხისაგან შეკრული საოცარი სილამაზის გუმბათით, რომლის ინტერიერში შვიდფეროვან ვიტრაჟიდან იღვრებოდა მომაჯადოებელი სინათლის სხივები.

კანკელი ხისაა, როკოკოს სტილში.[1] მოჩუქურთმებულ „სამეფო კარებზე" (საუფლო კარები, აღსავლის კარები) ვაზის მტევნებიანი ყლორტების გამოსახულებით მოცემულია ჯვარცმისა და 12 მოციქულის ფიგურები. თვითონ კარები შეკრული ყოფილა ვაზის ლერწმებით. ჯვარცმის თავზე გამოსახული ყოფილა მამა ღმერთი და სული წმინდა მტრედის სახით. მოციქულების სახელები შესრულებული ყოფილა ხუცური წარწერით. ქვემოთ ანგელოზებს უკავიათ ლენტი, რომელზეც ხუცურად აწერია: *„მე ვარ ვენახი და თქვენ მტონი. რომელი დაადარეს ჩემთა მან მიიღოს ნაყოფი მრავალი"*.

ექვთიმეს აღწერით, *„კანკელში არის ჩაბრძანებული წმინდა ელიზბარის და წმინდა შალვა ქსნის ერისთავის გამოსახულებები, რომლებსაც აკურთხებს იესო. მარცხნივ გამოსახულია სვეტი ცხოველი, ქვევით კი სიდონიას კვართით სვეტიდან გადმოდის მირონი, რომელიც ჩაედინება თასში. სვეტის უკან დგას წმინდა ნინო"*.[2]

ამაგდარ მეცნიერს კარის ეკლესიაში უნახავს და თავის არქეოლოგიური ექსკურსიის დღიურში შეუტანია ვერცხლის ლამფა, რომელიც შეუწირავს დავით ლუარსაბის ძეს: *„1855 წელსა შევწირე ლამპადი ესე ვერცხლისა თავადმა დავით ლუარსაბის ძემ ერისთავმა სულისა ჩემისა საოხად და ასულისა ჩემისა სადღეგრძელოდ"*.[3]

იქვე ყოფილა დაკრძალული 1818 წელს დაბადებული დავითი, რომელიც გარდაცვლილა 1889 წელს ინვალიდის ეტლზე ათწლიანი ჯდომის შემდეგ. კარის პატარა ეკლესიის დანგრევის შემდეგ, რომლის მხოლოდ საძირკვლის მონახაზი უნახავს XX საუკუნის 60-იან წლებში სერგი მაკა-

---

[1] როკოკო არქიტექტურული სტილია, რომელიც გავრცელებული იყო XVII-XVIII საუკუნეებში და გამოირჩეოდა რთული ფერწერითი ფორმებითა და სასწაულებრივი ორნამენტით.

[2] Такаишвили Е., Археологические Экскурсии, Разыскания и заметки, V, стр. 135.

[3] იქვე.

ლათიას, გადარჩენილა შესანიშნავად მოხატული, მოზრდილი ხის ჯვარი, ისიც იმდროინდელი ლენინგორის კულტსახლის თეატრალურ წარმოდგენებში საჭიროების გამო.

XX საუკუნის დადგომისთანავე დაიწყო ახალგორში ქსნის ერისთავების ციხე-სასახლის თანდათანობით გაპარტახება. ისტორიკოს ვ. ხოცუაშვილის ცნობით, *„1918 წელს დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ერისთავების მიტოვებულ სასახლეში ქსნის ხეობაში გლეხთა განიარაღების მიზნით ვალერიან ჯუღელის საველე შტაბი იყო მოთავსებული. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ერისთავებმა დაიბრუნეს სასახლე და მათვე ეკუთვნოდათ 1932 წლამდე. ცნობილმა ნიკოლოზ ერისთავმა საკუთარი სურვილით მიატოვა შენობა და აქ ჩასახლდნენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები....“.*[1] ძნელია იმის დაჯერება, რომ ახალგორში მცხოვრები ერისთავების ბოლო წარმომადგენელს საკუთარი სურვილით მიეტოვებინოს ხუთასწლოვანი ტრადიციების მატარებელი საგვარეულო სასახლე.

გასული საუკუნის 30-იანი წლებში ახალგორში საბჭოთა ხელისუფლების მესვეურებმა ანტირელიგიური პროპაგანდის ფონზე ეზოს გაწმენდის საბაბით დაანგრიეს უმშვენიერესი კარის ეკლესია. ქაოსურად გააკეთეს პირველი სართულის ოთახები და განათავსეს რაიონში არსებული ყველა ადმინისტრაციული თუ საზოგადოებრივი სამსახურები. შემდგომ მრავალგზის მოხდა სიძველეების გაუთვალისწინებლად ნგრევა-რემონტი. სასახლის სახურავს აყარეს ძველი კრამიტი და ახლის გადახურვის შედეგად ჩამოსულმა წვიმამ უფრო მეტად დააზიანა შენობა, არც დაუდევრობით გამოწვეულმა ხანძარმა დაინდო კულტურულ-არქიტექტურული ძეგლი. ბოლოს, იმავე საუკუნის 70-იან წლებში დაწყებულმა სარესტავრაციო სამუშაოებმა შეიწირა ჭერსა და იატაკზე ჯერ კიდევ მანამდე შემორჩენილი ხელოვნების ნიმუშები.

**ციხე-კოშკები:** ახალგორში ერისთავების მთავარ ანსამბლში სასახლისა და კარის ეკლესიის გარდა ჩართული იყო ციხე-კოშკები, რომლებიც სასახლეს გარშემორტყმულ მაღალქონგურებიან გალავანს ოთხივკუთხით აძლიერებდა. სამხრეთის უქონგურო გალავანი ნახევარწრიული დასასრულით მთავრდება და შედარებით კარგადაა შემორჩენილი; აღჭურვილია მრავალი სათოფურით; მიწის ზედაპირიდან თითქმის 3 მე-

[1] ხოცუაშვილი ვ., ერისთავების ციხე-დარბაზი, გაზ. „ლენინელი“, 1988 წ. 10 სექტემბერი.

ტრის სიმაღლემდე ყრუა. შიგნიდან გალავანს გაუყვებოდა ფიცარნაგი, რომელიც საბრძოლო ბილიკს წარმოადგენდა. სამხრეთ-აღმოსავლეთის წახნაგა კოშკთან შეერთების ადგილას გალავანს თავდაპირველად ვიწრო შესასვლელი კარი ჰქონია, რომელიც მოგვიანებით გაუფართოებიათ და დღეს უკვე ალაყაფის კარებია დაკიდებული.

აღნიშნულ სამხრეთ-აღმოსავლეთით მდგარ შვიდსართულიან კოშკსა და სამხრეთ-დასავლეთით 8 წახნაგა კოშკს საბრძოლო ბილიკი აერთებდა. სასახლის კოშკებიდან ყველაზე გოროზი და მასიური ეს ოთხკუთხა-კონუსური ფორმის შვიდსართულიანი კოშკია. შესასვლელი პირველ სართულზეა. ამავე სართულზეა ბუხარი და სამეურნეო დანიშნულების ნიშები. მეორე და მომდევნო სართულები სათოფურებითაა აღჭურვილი. საყურადღებოა აივნითა და ბუხრით, ასევე სათოფეებით და ნიშებით გამართული მეექვსე სართული, რომელიც სპეციალისტების აზრით, გამოიყენებოდა არა მარტო თავდაცვისა და მეთვალყურეობისათვის, არამედ საცხოვრებლადაც. ბოლო, მეშვიდე სართული თავდაცვითი საბრძოლო ხასიათისაა. მის სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე მოწყობილია ნისკარტა სალოდეები, ხოლო აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედელში დატანებულია ოთხკუთხა ფართე ამბრაზურები. კოშკის სართულებშუა გადახურვა და მათი ურთიერთდამაკავშირებელი კიბეები მთლიანად ხისა ყოფილა.

რაც შეეხება სამხრეთ-დასავლეთის კოშკს, იგი ფუნქციური თვალსაზრისით და სტრუქტურული თავისებურებებით საყურადღებოა. ის როგორც სამხრეთ-დასავლეთის გალავნის მისადგომებს, ისე ეზოში შესასვლელსაც კეტავდა. კოშკი სამსართულიანია. მისი რვა წახნაგი ლამაზად, მაგრამ არაპროპორციულადაა გამოყვანილი როგორც გარეთა, ისე შიდა ფასადზე. მშენებელს დეკორად შუა წელზე აგურების ოთხპირა ფიგურული წყობით სარტყელი შემოუვლია. სართულები სათოფეებით და ორიარუსიანი ნიშებით აღუჭურვია და კონუსური გადახურვით დაუმთავრებია. ოთხი საზეიმო ღია თაღით დამშვენებული მეორე სართული საცხოვრებლად მოუწყვიათ. ხოლო მის პირველ სართულზე ღრმა ნიში ტუალეტად გამოუყენებიათ. აქვეა ბუხარი, რაც საცხოვრისად გათვლილი ფართის აუცილებელი ატრიბუტია.

სასახლის დამცველი, მესამე ჩრდილო-დასავლეთის კოშკი, სავარაუდოდ, ყველაზე ძველია. ამიტომაც მას მრავალგზის უნდა განეცადა გადაკეთება-გარდაქმნა, რამაც პირვანდელი ფორმა დაუკარგა. მისი ზედა ნაწილი გარკვეული მოსაზრებებით მოუნგრევიათ, ხოლო ქვედა სართუ-

ლი მიწაშია მოქცეული და იქ მოხვედრა შეიძლებოდა მეორე სართულიდან ჩასასვლელი ხვრელით. კოშკის მეორე სართული 5 მეტრის სიმაღლეზე სფეროსებრი გუმბათითაა გადახურული. მესამე ზედა სართული სამეურნეო დანიშნულების ნიშებითა და პატარა სადგამ-სათავსოებითაა აღჭურვილი. თხრობას კოშკის ზოგიერთი დეტალის ძველ დანიშნულებაზე ქვემოთ დავუბრუნდებით.

პირველ ანსამბლში ჩართული ყველაზე გვიანი პერიოდის ნაგებობად (XVIII ს.) შეიძლება მივიჩნიოთ მის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით გალავნის კუთხეში მიშენებული ცილინდრული კოშკი, რომლის ქვედა ნაწილი ყრუა. მას დღემდე ორი სართული შემორჩა. პირველ სართულზე დატანებული აქვს ბუხარი და სათოფეები. მეორე სართულზე კი ფართო სარკმელები.

**საბაჟო:** აღნიშნულ კოშკს სასახლის ჩრდილო და აღმოსავლეთ ზღუდის დაცვასთან ერთად იქვე, გზის მოპირდაპირედ, მთის ძირში მოწყობილი ერისთავების საბაჟოს დაცვაც ევალებოდა, სადაც ზეპირი გადმოცემით, გამსვლელ-შემომსვლელებს მტვრისთვისაც კი – ახდევინებდნენ გადასახადს.

როგორც ცნობილია, სასახლის უკან, აღმოსავლეთით, საქალაქო გზა საბაჟოსთან ერთად გვიან იქნა გადმოტანილი ციხესიმაგრის „7 დესეტინიანი" ფართის ზღუდის დასავლეთ ნაწილიდან, სადაც ბოლოდრომდე მოქმედებდა სასახლის მთავარი ტრიუმფალური კარიბჭე.

**საიდუმლო გვირაბი:** ხშირად ფეოდალები თავიანთი ეკონომიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე დიდ ძალისხმევას და სახსრებს ხარჯავდნენ როგორც თავდაცვაზე, ისე უსაფრთხოებაზე, რათა კრიტიკულ მომენტში ოჯახთან ერთად გადარჩენილიყვნენ. ამის ყველაზე მუდმივმოქმედი გარანტი საიდუმლო – გვირაბი-გასასვლელები იყო. ისტორიას არ შემოუნახავს ცნობა, რომ ერისთავებს ოდესმე გამოეყენებინოთ ალყაშემორტყმულ ახალგორის ციხე-სასახლიდან თავის დაღწევისთვის საიდუმლო გვირაბი, მაგრამ მისი იქ არსებობა დადასტურებულია.

ახალგორის ისტორიის მკვლევარი ვ. ხუცუაშვილი თავის ნარკვევებში საინტერესოდ აღწერს საიდუმლო გვირაბის არსებობას: *„იგი იწყებოდა სასახლის ჩრდილოეთით, აბანოების მიდამოებში (ზუსტი ადგილის დადგენა ვერ შევძელით) და მიემართებოდა ჩრდილოეთით აღმოსავლეთის ზღუდის გასწვრივ. შემდეგ ორიენტირი ჯერ ავტოსადგურის მიდამოებში, ხოლო ე. წ. „ძველი სასადილოს" აღმოსავლეთ კედელში გამოჩნდა. ეს შენობა ვაჭარ მზარეულოვებს ეკუთვნოდათ. იგი აუგიათ XX ს. დამდეგს. ფიჭვნარის ხევისაგან მოტანილ ხევში საძირკვლის 3-4 მეტრის სიღრმეზე*

*გაქრისას გამოჩენილა ხვრელი. იგი გადახურული იყო მუხის გათლილი ხეებით. გვერდები ქვითკირისა ჰქონდა. ადამიანი გამართული გაივლიდა შიგ. შემდეგ ხვრელი გამოჩნდა ოქტომბრის ქუჩაზე* (დღევანდელი შალვა და ელიზბარ ერისთავების ქუჩა. ვ. ქ.)... *კვლავ ჩრდილოეთით კოდის ხევისაკენ მიემართებოდა...“*[1] აღნიშნულ ადგილიდან გვირაბი ადგილობრივ მცხოვრებლებს კვირაცხოვლის ნიშამდე დაუფიქსირებიათ. არავინ უწყის სად მთავრდებოდა ეს საიდუმლო გასასვლელი.

**წყალმომარაგება:** ვ. ხოცუაშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ციხე-სასახლის წყალმომარაგების სისტემა ამ შენიღბულ გვირაბს გასდევდა. ასეთი სისტემის კვალი ბოლო დრომდე შეინიშნებოდა როგორც ჩრდილოეთით – აბანოებთან, ისე 7 სართულიან კოშკთან სამხრეთ გალავნის კედლის ძირში.

ერისთავთა სახლეულისთვის სასმელი წყლით უზრუნველყოფის გარანტიას ასევე იძლეოდა ეზოში მოთავსებული, აგურით მოპირკეთებული ღრმა ჭა.

**აბანო**: სასახლის წყალმომარაგებაზე დიდად იყო დამოკიდებული მის ჩრდილოეთით, მთავარი გალავნის გარეთ მდგარი მოზრდილი აბანო, რომლის თავდაპირველი სახით წარმოდგენა ნანგრევების მიხედვით შეუძლებელია. აღნიშნული ძეგლის დათვალიერებისას ახალგაზრდა მეცნიერმა ნინო ერისთავმა ისარგებლა შემორჩენილი ძველი ფოტომასალით და დაასკვნა, რომ: *„რიყის ქვით ნაგები აბანოს ფასადის მაღალი და მძლავრი კედლის ცენტრში საკმაოდ დიდი ზომის შესასვლელი თაღია გაჭრილი. მის გვერდებში ორ რეგისტრად დაყოლებულია ვიწრო, თაღოვანი ღიობები, რომლებიც კედლის სიბრტყესთან მიმართებაში კომპოზიციურად სიმეტრიულ სურათს ქმნიან“*[2]. სავალალო მდგომარეობის გამო აბანოს აღდგენა-რესტავრაცია ამჟამად უკვე შეუძლებელია თუნდაც ამის პოლიტიკური ნებაც რომ გვქონდეს.

**საპყრობილე:** ისტორიული საბუთების მიხედვით, როგორც ამას ვ. ხუცუაშვილი ამბობს, ერისთავებს მოპოვებული ჰქონდათ დამნაშავეთა გასამართლებისა და დასჯის უფლება. ზემოთ ჩვენგან მოხსენიებული სასახლის უძველესი ციხე-კოშკის ძირით სართულზე, რომლის კედლები ყრუ იყო, გადახურვა კი – თაღოვანი-ქვითკირის, მოწყობილი ჰქონიათ საპყრობილე ურჩ მტერ-მოყვრისთვის. გადმოცემის მიხედვით (ვ. ხოცუ-

---

[1] ხოცუაშვილი ვ., ერისთავების ციხე-დარბაზი, გაზ. „ლენინელი“, 1988 წ. 20 აგვისტო.

[2] ერისთავი ნ., დასახ. ნაშრ.

აშვილი ერისთავების კარზე ნამსახურებ ადგილობრივ რესპოდენტს იმოწმებს), საპყრობილეს ერთ კუთხეში სახრჩობელაც ყოფილა მოწყობილი: *„მახსოვს, ბავშვობაში მშობლები შვილებს აფრთხილებდნენ: მაგ კოშკში ფეხი არ შედგათ, ეგ კოშკი ნაცოდვილარია. შიგ ადამიანის თავები ყრიაო“.*

**მარანი:** ერისთავების ძირითადი მარანი სასახლის სამხრეთით, უქონგურო გალავნიდან 30-40 მეტრში ჰქონიათ მოწყობილი, რომელიც XX საუკუნის 30-იან წლებში დაანგრიეს. თვითმხილველთა მოგონებით, იქ იყო ასამდე კოკის 7000 ლიტრზე მეტი ტევადობის ღვინის ქვევრები. ასევე მარნის ნაშთები დიდი ქვევრებით აღმოჩენილა ყოფილი რაიკომის შენობის სამხრეთით, მუსიკალური სკოლის მიდამოებში. *„მაგრამ განსაკუთრებული მოცულობით გამოირჩეოდა ქვევრი, რომელსაც თვით ერისთავები (და ხალხიც) „წლის სათვალავს“ უწოდებდნენ (რამდენი დღეც იყო წელიწადში იმდენი თუნგი ღვინო ამოდიოდა). ქვევრში კიბით ჩადიოდნენ გასარეცხად. XIX ს-ის. მეორე ნახევარში „წლის სათვალავი“ ჯერ კიდევ ხმარებაში იყო. მას მოხდიდნენ ხოლმე გაზაფხულზე, როცა სამუშაოები იწყებოდა. მამითადში ახლომახლო სოფლებიდან იკრიბებოდნენ გლეხები, რომლებიც ნადიმობის მეორე დღეს უკვე შეუდგებოდნენ მუშაობას ერისთავების მამულში“.*[1]

გადმოცემის თანახმად, ქსნის ერისთავები და მათი შთამომავალნი ქართლის სხვადასხვა სოფლებში XIX საუკუნის დასაწყისიდან, ე. ი. საერისთავოს მეორედ გაუქმების შემდეგ, უფრო მეტად მისძალებიან ხელგაშლილ, უდარდელ და ლაღ ცხოვრებას. ასე გაგრძელებულა მანამ, სანამ მათ ყმები, ვალდებული და ნახევრად ვალდებული გლეხები პირად საკუთრებაში ჰყოლიათ – დაახლოებით XIX საუკუნის 80-იან წლებამდე.

სტუმართმოყვარეობით განთქმულ ახალგორელ ერისთავებს მამა-პაპეული დანატოვარი ყველანაირად აძლევდა ხელს ნადიმობის და ნადირობისთვის. მათი საყვარელი საქეიფო და დროის სატარებელი ადგილი სწორედ მათივე ბაღში, სასახლის წინ ასიოდე მეტრში ასწლოვანი ჭადრების ქვეშ ყოფილა (აქვე იმართებოდა სახალხო ნადიმობები და გლეხთათვის პურობები). ამ ჭადრების ქვეშ მოულხენია ქართველთათვის საყვარელ რომანტიკოს პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილს, როდესაც

[1] ხოცუაშვილი ვ., ერისთავების ციხე-დარბაზი, გაზ. „ლენინელი“, 1988 წ. 10 სექტემბერი.

მისი და ეკატერინე ცოლად გაჰყვა ქსნის ხეობელ მემამულეს რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავს.

**სასახლის მეორე ანსამბლი** – როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერისთავების ციხე-სასახლე დაახლოებით ერთი ეპოქის სამ ანსამბლს აერთიანებდა. პირველ და მთავარ ანსამბლის ჩრდილოეთით ორას მეტრში მეორეა. იგი წარმოდგენილია კომპლექსის სახით: საცხოვრებლით, თავდაცვითი-საფორტიფიკაციო ნაგებობებით, ბეღლით, საწყობებით, ბოსლებითა და საჯინიბოებით. აქ ჩამოთვლილ ნაგებობებიდან თითქმის ნახევარი საუკუნის წინ ჯერ კიდევ ყოფილა (შედარებით უკეთეს მდგომარეობაში) შემორჩენილი მთელი რიგი ნაგებობანი, რომლებიც დროის მსვლელობასთან ერთად ნელ-ნელა ნადგურდებოდა, რის გამოც 1965 წლის ჟურნალ „ძეგლის მეგობარში“ (№ 4) ისტორიკოსი დ. გვრიტიშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა: *„უკანასკნელ ხანებამდე ქსნის ერისთავიანთ სასახლე ერთი ყველაზე უფრო სრული სახით იყო დაცული. კარის ეკლესია, აბანო, საბაჟო, გალავანი, თავლები და სხვა თითქმის ისპობა...*

*სასახლის ჩრდილო-დასავლეთით შემონახულია მეორე სასახლის ნანგრევები. ამ ნანგრევებს შორის მოთავსებული ყოფილა ციხე-კოშკები. მათი თავისებურება სხვა ციხე-კოშკებთან შედარებით ის არის, რომ ისინი გარეგნულად ციხეებს ჰგვანან, ხოლო შიგნით – საცხოვრებელ ბინებს... ჩვენს მიზანს შეადგენს დავიცვათ ის მაინც, რაც ჩვენამდე დარჩა...“*[1]

იმ დროისთვის გადარჩენილიც ბევრი განადგურდა აღნიშნულ საკითხისადმი ადამიანების გულგრილი დამოკიდებულებით. მოგვიანებითი რესტავრაციის შედეგად მოხერხდა, რომ ჯერ კიდევ საბჭოეთის დროიდან აღნიშნულ ანსამბლის ეზოში გაკეთდა „საკოლმეურნეო“ ბაზრობა, ახალგაზრდული კლუბი, ბოლოს კი სასადილოები.

**სასახლის მესამე ანსამბლი** – ეს კომპლექსი დანარჩენ ორთან შედარებით უფრო ადრე და სრულად განადგურდა. დღეს მის ადგილზე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლებია და, სავარაუდოდ, მისი სრულად მოსპობა XX საუკუნის 60-იან წლებამდე თანდათანობით უნდა მომხდარიყო. სამაგიეროდ შემორჩენილია გალავანის ჩრდილო და დასავლეთი მხარე, რომელიც შედარებით თავდაპირველი ფორმით გრძელდება სამხრეთით ვიდრე მთავარ ტრიუმფალურ კარიბჭემდე. სწორედ მის დაყოლებაზე, მდ. ქსნის მხარეს მოწყობილი იყო წყლის სავსე ღრმა და

[1] გვრიტიშვილი დ., „ქსნის ერისთავების სასახლე“, ძეგლის მეგობარი, № 4.

განიერი თხრილი. სასახლის უკეთ დაცვის მიზნით. დღემდე ბევრისთვის უცნობია ადრე იქ რაიმე ნაგებობათა კომპლექსი თუ არსებობდა.

ქსნის ამაყ ერისთავთა თავმოსაწონ საცხოვრებელ ციხე-სასახლეზე, რომელიც საერისთავოს მთავარ სამართავ რეზიდენციას წარმოადგენდა, მეისტორიეს ბევრი დაუწერია, მაგრამ უფრო ბევრი დაუწერელ-დაუფიქსირებელი დარჩენია. უცხო თუ შინაურ მტერთა თავდასხმები, ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების ზენიტში დგომა თუ დამცრობა-დაქვეითება, მიწისძვრები, ხანძრები და ათასი რამ აღუწერელად მისცემია დავიწყებას. ათეული წლების მანძილზე სასახლეში ფუნქციონირებდა: ლენინგორის პარტიის რაიკომი, კომკავშირის რაიკომი, აღმასრულებელი კომიტეტი, განათლების განყოფილება, ბიბლიოთეკა, სახანძრო სამსახური, კომუნისტური პარტიის რაიონული კომიტეტის სხდომათა ანუ მამაკაცთა დარბაზი და პარტიული განათლების ანუ ქალთა სხდომათა დარბაზი და სხვა, დამთავრებული სასადილოთი.

XX საუკუნის 70-იან წლების ბოლოს მაშინდელი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან არსებულ ძეგლთა დაცვის სამმართველოს მიერ ციხე-სასახლეზე დაწყებული სარესტავრაციო სამუშაოების (ხელმძღვანელი, არქიტექტორი გ. ბოჭორიძე) დამთავრების შემდეგ 1985 წელს სასახლე ახალგორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს დაეთმო. დღეს მუზეუმს უძღვება ისტორიკოსი ვ. ღუნაშვილი. მუზეუმს თავდაპირველად საფუძველი ჩაუყარა ღვაწლმოსილმა პედაგოგმა და ისტორიკოსმა ვალერიან ხოცუაშვილმა. ჯერ კიდევ 1961 წელს მისი ინიციატივით ახალგორში გაიხსნა პირველი მუზეუმი, რომელიც 1964 წელს ცენტრალიზებასთან დაკავშირებით გაუქმდა. 1982 წელს ახალგორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი კვლავ აღდგინეს. დღეისათვის იქ, როგორც ქსნის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალში, დაცულია 4300-მდე ექსპონატი. მათგან თითქმის ყველა დაკავშირებულია ქსნის ხეობასთან, ხოლო რამდენიმე ექსპონატი უშუალოდ მის საერისთავოს მმართველ ერისთავების ოჯახთან.

ახალგორში მცხოვრებ ქსნის ერისთავთა ნაქონი ზოგიერთი ნივთი და ფოტომასალა ინახება მათივე შთამომავლის თამარ აშხაცავა-ერისთავის სახლში ქ. თბილისში. მას და მის ოჯახს კიდევ ერთხელ დიდი მადლობა საინტერესო მასალების მოწოდებისთვის.

რაც ცხრაზმის საერისთავოს მესვეურებმა ქვენიფნეველებმა საერისთავო კერძო სამფლობელოდ გაიხადეს და ამ სამფლობელოს ძველი სახელი ცხრაზმის ხევი ახლით, ქსნის საერისთავოს სახელით შეცვალეს,

ერისთავის სახელი გვარად, ახალგორი რეზიდენცია და ადმინისტრაციულ ცენტრი, ხოლო საგვარეულო საძვალე იკორთა გახდა. მას შემდეგ თითქმის 250 წლის მანძილზე აღნიშნული ფეოდალური სახლი ჰეგემონობდა შიდა ქართლის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე. იგი გადაჭიმული იყო თრუსოდან ცხინვალ-გორის სანახებამდე, აღმოსავლეთით კი მუხრანის ველამდე (სოფ. ქსოვრისს ფლობდნენ ერისთავების ძირძველი განაყრები – რატიშვილები.), ასევე პერიოდულად ფლობდა და პრეტენზიებს აცხადებდა თეთრი არაგვის ზოგიერთ თემზე. გარკვეულ დროს საერისთავოს მფლობელობაში შედიოდა 250-ზე მეტი სოფელი 17-18 ათასი მცხოვრებით. სამოურავოებად დაყოფილ ამ ვრცელ სამფლობელოს მართავდა აზნაურთა და გლეხთა წრიდან გამოსული 25 მოურავი.

*„ყველაზე დიდი ახალგორის სამოურავო იყო. მას ტრადიციულად სათავეში ედგნენ ძირძველი აზნაურები – ფიცხელაურები. მოურავი თვალყურს ადევნებდა სამოურავოში წესრიგის დაცვას, საგადასახადო საქმეების რეგულირებას, ახალგორის დუქნებში საქონლის ნიხრის დადებას, საბაჟო საქმეების მოგვარებას, ერისთავების სტუმრების მიღება-გასტუმრებას, წესრიგის დამრღვევთა და მძარცველთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებას. მასვე ევალებოდა საოჯახო საქმეებისა და ყმა გლეხების ყიდვა-გაყიდვის საქმეების დამოწმება. მოურავს ექვემდებარებოდა ნაცვალი და მამასახლისი. ნაცვალი ამოწმებდა ზომა-წონის ერთეულებს. იგი რიგით მესამე კაცი იყო ერისთავისა და მოურავის შემდეგ. მასვე ევალებოდა ციხე-სიმაგრეების მოვლა-პატრონობა“.*[1]

შუა საუკუნეებში, ისტორიული საბუთებით ახალგორი „მცირე“ – „ყასაბა“ ქალაქია. უშუალოდ ერისთავის სასახლის მოურავი, ნაცვლით და ჩაფრით სასახლეში ცხოვრობდა, ხოლო ახალგორის და სხვა სოფლის მოურავები თავიანთ სამოურავოებს მამასახლისებისა და გზირების მეშვეობით საგანგებლოს ცენტრებიდან მართავდნენ, ჩაფრებით ზურგგამაგრებულნი.[2] მოურავი განაგებდა ასევე სასამართლოს და ადმინისტრაციულ საქმეებს. სასახლის მოურავები, ისე როგორც ახალგორისა ფიცხელაურები იყვნენ. ბატონისა და მოურავის ურთიერთგანწყობაზე

---

1 ხოცუაშვილი ვ., ერისთავების ციხე-დარბაზი, გაზ. „ლენინელი“, 1988 წ. 6 თებერვალი.

2 XIX საუკუნის შუახანებიდან ქსნის ერისთავი და ზოგიერთი მისი მემკვიდრე სხვა მემამულეთა მსგავსად თავიანთი სამფლობელოების უკეთ დაცვის მიზნით ქირაობდნენ ლეკებს, რომლებიც სასტიკად ექცეოდნენ „კანონის დამრღვევ“ მოსახლეობას.

მიგვანიშნებს ძველ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ერთი ეპიზოდი: *„თავად შანშე ერისთავის ეზოში პირუტყვი საქონელი მოერეკათ. ფიცხელაურმა წაიდუდღუნა:*

*– ნეტაი ისეთი ბატონი მყვანდეს, ეს სულ მიწყალობოსო.*

*– რაო? ჰკითხა შანშემ.*

*– არაფერი, ბატონო.*

*– მაინც?*

*– მოგახსენებდი: ნეტაი ისეთი ბატონი მომცა, სულ ყველა ეს მიწყალობოს მეთქი.*

*– ფეშქაშ! ბრძანა თავმოწონებულმა დიდკაცმა. თქმა და ქმნა ერთი იყო“*[1].

ქსნის ერისთავების კუთვნილ აზნაურთა ჩამონათვალი შემდეგნაირად გამოიყურება:

1. აბულაძე
2. ალექსიშვილი
3. ბასილაშვილი
4. ბეგიაშვილი
5. განძიელი
6. გარაყანიძე
7. ელისაშვილი
8. თულაშვილი
9. იმერლიშვილი
10. კაჭკაჭიშვილი
11. კობახიძე
12. კორინთელი
13. ლოლაძე
14. ლონგულაშვილი
15. მამულაშვილი
16. მანჩურიშვილი
17. მაჭავარიანი
18. მახატელი
19. მრულიშვილი
20. ჟურული
21. ტატიშვილი
22. უთნელიშვილი
23. ფავლენიშვილი
24. ფარნიშვილი
25. ფიცხელაური
26. ფურცელაძე
27. ჩერქეზიშვილი
28. ჩუბინაშვილი
29. ძამელაშვილი
30. ხმალაძე
31. სრესელი
32. ჯაფარიძე

აკადემიკოსი ი. ახუაშვილი ასახელებს ქსნის ერისთავების 29 აზნაურს[2] 1783 წლის ტრაქტატის საბუთების მიხედვით ქსნის ერისთავების აზნაურებად ითვლება 18 გვარი.[3]

---

[1] ნაკვესები, გაზ. „ივერია“, 1886 წ. № 80.

[2] ახუაშვილი ი., ქართული გვარ-სახელები, ტ. V, გვ. 114.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 456.

ახალგორში გადასულ და ქვენიფნევს დარჩენილ ერისთავთა სახლობიდან სხვადასხვა დროს გამოსულ განაყართა ოჯახები ცხოვრობდნენ შიდა ქართლის ძველ და ნაყოფიერ ველებზე. ჯერ კიდევ ახალგორში დამკვიდრებამდე ანდრონიკე მეფეს 1346 წელს ქვენიფნეველთათვის უბოძებია კარბი და გარეჯვარი ზაკურის უბნით. არ არის გამორიცხული, რომ ქვენიფნეველ II-ს ნომინალურ მეფესგან ნაბოძებ მოყვრის – სალარისეულ მამულში ფეხის მტკიცედ მოკიდების მიზნით, ჩაესახლებინა შვილი ან ძმა. ძირითადად ქვენიფნევის ერისთავთა სასახლიდან სხვადასხვა დროს გასულმა განაყრებმა სამფლობელოებად მიიღეს ყმა-მამულები და დამკვიდრდნენ შიდა ქართლის 22 სოფელსა და ორ ქალაქში, კერძოდ:

| | |
|---|---|
| 1. ახალგორი | 13. მეჯვრისხევი |
| 2. კორინთა | 14. ლამისყანა |
| 3. ოძისი | 15. ბელოთი |
| 4. კასპი | 16. ქვეში |
| 5. საბაჟო (დას. საქ.) | 17. აწრისხევი |
| 6. ფლავი | 18. იკორთა |
| 7. იკოთი | 19. ტყვიავი |
| 8. ატენი | 20. ილტოზა |
| 9. დოესი | 21. ქსოვრისი |
| 10. რეხა | 22. ხიდისთავი |
| 11. კარალეთი | 23-24. ქალაქები: |
| 12. ღვარები | გორი და თბილისი. |

ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ერისთავების საუფლისწულო სოფლებიდან დ. გვრიტიშვილი ზოგიერთს არ ასახელებს, სადაც ისინი „საუცხოოდ აგებულ სასახლეებში ცხოვრობდნენ“. ზოგსაც კი უმატებს, მაგალითად როგორებიცაა: მერეთი, კოშკა, დისევი. ბატონი ვ. ხოცუაშვილი პირდაპირ მიუთითებს ერისთავებით დასახლებულ 12 პუნქტზე.

ზემოთ მოყვანილ 23 პუნქტიდან ერთში, კერძოდ, ქსოვრისში ცხოვრობდნენ ქსნის ერისთავებისაგან გამოსული რატიშვილები. რომლებსაც როგორც ერთი ძირი გვარისგან წარმომდგართ ერისთავებთან ერთად განვიხილავთ. მეორე პუნქტია სოფელი საბაჟო (დასავლეთ საქართველო), სადაც ერისთავი ზესიძედ ყოფილა მისული ქალის მამულში. დანარჩენ 21 პუნქტში, როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა დროიდან ცხოვრობდნენ ერისთავიანი და ზოგიერთში რამდენიმე ოჯახიც კი. ასევე ციციშვილები-

საგან ერისთავების სამზითვო სოფელია დოესი. სამზითვოს ტრადიციით, შეძენილი ორი სამოსახლოს პარალელურად ერისთავები გასცემენ 2 მნიშვნელოვან პუნქტს: იკოთს და ლამისყანას, რომლებსაც ეუფლებიან ჯამბაკურ-ორბელიანები. აღნიშნული პუნქტების უმეტეს ნაწილში ძალუმად ჩქეფდა ცხოვრება, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა და ყალიბდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობები. კულტურულ ცენტრებად რჩებოდა იკორთა და ლარგვისი. ასევე კულტურულ-შემოქმედებით კერებს წარმოადგენდა: ახალგორი, მეჯვრისხევი, ლამისყანა, ქვეში, ყანჩაეთი, გორი და თბილისი.

სამწუხაროდ, საქართველოში რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარების გამო 1811 წლის 30 ივლისს, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით გაუქმდა მცხეთის საკათალიკოსო. კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობა შეიცვალა ეგზარქოსით (პირველი ეგზარქოსი საქართველოში იყო დავით ქსნის ერისთავის ვაჟი – ვარლაამი). აღნიშნულმა საეკლესიო რეფორმამ ქართული კულტურისა და რელიგიური ცხოვრების შენელება და ბოლოს შეჩერება გამოიწვია. მოგვიანებით მრევლისა და შემოსავლების გარეშე დარჩენილი იკორთა და ლარგვისი სხვა ტაძრების მსგავსად გაიძარცვა და გაპარტახდა.

## მამა-შვილი რევაზ ლუარსაბის ძე და ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავები

ქსნის ერისთავების ოჯახის პირველი დიდი გაყრა ძირძველ სამკვიდრო ქვენიფნევიდან, სავარაუდოდ, XVI ს-ის მეორე ნახევარში უნდა მომხდარიყო, მეორე დიდი გაყრა კი ახალგორიდან – XVIII საუკუნის ბოლოს, რის შედეგაც ახალგორის მამა-პაპეულ სასახლეში რჩება ლუარსაბ გიორგის ძე ერისთავი მეუღლით მარიამ ფარნაოზის (ფარნას) ასულ წულუკიძესთან და ხუთ შვილთან ერთად: ლევანთან, რევაზთან, დავითთან და ორ ქალიშვილთან ანასტასიასა და მარიამთან ერთად. შემდგომ მათი უფროსი ვაჟი ლევანი საცხოვრებლად სოფ. ტყვიავში გადადის, სადაც წილში ნარგები დიდი მამულების მფლობელი ხდება. ორი მომდევნო ვაჟი რევაზი და დავითი რჩებიან ფაქტობრივი მემკვიდრენი ახალგორის ძველი ტრადიციული ოჯახისა, რომელიც 1777 წლამდე ითვლებოდა ერისთავების რეზიდენციად და ქსნის საერისთავოს ადმინისტრაციულ ცენტრად.

ლუარსაბ ერისთავის ქალიშვილებიდან უფროსი ანასტასია (1809-1860 წწ.) ცოლად გაჰყვა ჯერ დავით თუმანიშვილს, შემდეგ გივი ბარძიმის ძე ამილახვარს. უმცროსი მარიამი (დაიბ. 1816 წ.) კი – დავით ივანეს ძე ჯორჯაძეს.

ახალგორის სასახლეში მცხოვრებმა, თავმდაბალმა და უწყინარმა ლუარსაბ ერისთავმა თავის უფროს ვაჟიშვილს ლევანს მუხრანბატონის ასული ქეთევან ბაგრატიონი შერთო ცოლად, მომდევნო ვაჟს – რევაზს კი ყველასთვის საყვარელი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის უმცროსი და ეკატერინე მელიტონის ასული ბარათაშვილი. ქორწილი ნიშნობიდან (აპრილის დასაწყისში) ორ თვე-ნახევრის შემდეგ, 29 ივნისს გამართულა. თბილისში დიდი ქორწილი გადაუხდიათ და მზითვიც კარგი გაუტანებიათ კატოსთვის. მექორწილეები მეორე დღეს აშლილან და ახალგორს წასულან. გზად მიმავლები ლუარსაბის მძახლებს ქაიხოსრო მუხრანბატონს სადილად მიუწვევია და კარგადაც გამასპინძლებია. რევაზისა და ეკატერინეს ქორწილის ერთ-ერთი მონაწილე რა თქმა უნდა ნ. ბარათაშვილიც იქნებოდა. სწორედ ზაქარიასადმი მის მიერ მიწერილ წერილიდან ვგებულობთ ბევრ საინტერესო დეტალს ახალგორის სასახლეში გამართულ ქორწილზე, ამის გამო ჩვენ საჭიროდ მივიჩნევთ მცირე შემოკლებით მოვახდინოთ მისი ციტირება: *„...იქიდან* (მუხრანიდან. ვ. ქ.) *ახალგორს წავედით. ოძისს რომ მივუახლოვდით, სადაც ბიძინა ერისთავი დგას, ლევან ერისთავი* (კატოს მაზლი. ვ. ქ.) *თავადებით, აზნაურებით, და იმერეთის მგალობლებით მოგვეგება... რა დაბინდდა – შევედით ახალგორს. სასახლე ჭრაქებით იყო გაჩახჩახებული, მეიდანი მაშხალებით. ამ დროს ახალი არქიელი, წულუკიძე, კატოს დედამთილის ძმა, აქ იყო და მგალობლები მისნი იყვნენ, დეკანოზი შემოსილი ჯვარით მოგვეგება გალავნის კარებში, დაჰკრეს ზურნას სათარას სიმღერა, თანა გვყვანდა (ცნობილი ირანელი მომღერალი – ტენორი ვ. ქ.) – თოფის სროლა და ხალხის ჭედვა და ყვირილი საუცხოვო სანახავს წარმოადგენდა; ამასთან მთვარიანი ღამე და მშვენიერი მდებარეობა!...*

*რასაკვირველია, მეორე დღეს პატარძლის ჩვეულებისამებრ, კატო ქვეშაგებში იწვა. მესამე დღეს ადგა. მზითვი გაშინჯეს... მეოთხე დღეს ნიშნები მოართვეს დედამთილმა, მაზლებმა, მულებმა და რძალმა. არქიელი ეზოში იდგა კარავში ჭადრებს ქვეშ. – იმ დღეს ამობრძანდა კატოს სანახავად, დალოცა და ერთი ოქროთ მოჭედილი ღვთის მშობლის ხატი აჩუქა. ხუთი დღე და ღამე სულ შექცევაში ვიყავით...“*

ახალგორიდან მექორწილეები და მათი შორის ნ. ბარათაშვილიც კარალეთში წასულან ნათლობის სუფრაზე, შემდეგ კარალეთიდან ატ-

ენში, – სადაც პოეტის თქმით გიორგი „დიდი კნიაზი“ – *„ძალიან კარგად დაგვიხვდა; სულ შუშურები გვასვა, ერთის ლექსით კარგად გავატარეთ დროება, მრთელი ორი კვირა...“*[1]

როგორც ცნობილია, აღნიშნული ქორწილი ახალგორში 1844 წლის 29 ივნისს (ძვ. ს.) გამართულა. ამ დროისთვის ერისთავების სასახლე უეჭველად თავმოსაწონი სანახავი უნდა ყოფილიყო. ყმა-მამულებიდან-აც შემოსავალი არ იქნებოდა მცირე, რასაც ზემოთ აღნიშნულ წერილში პატარძლის ძმაც აღნიშნავს: *„ზაქარიავ სწორედ გულით გეტყვი, რომ კატო თავის მოსაწონს, ეხლანდელს დროში, სანატრელს ოჯახშია. – ძმების უმაგალითო თანხმობა, სიმდიდრე სასახლისა და უვალობა. ამასთან რევაზ ზედ აკვდება, ლევანისა ხომ სულია კატო, და დავითი ხომ იმის ნებივრობაშია. მე ეს მიამა, რომ მტერი ვერ გაიხარებს. თუ ღმერთი გვაღირსებს ერთად შეყრას, შენ, გრიგოლ, ილია, გიორგი, მამუკა უნდა ვეწვივნეთ ამ შემოდგომაზედ, რომ ლაზათი გავწიოთ... მართალია სანადირო არ არის ყოვლის გვარისა“.*

სამწუხაროდ, ჩვენ სასიქადულო პოეტს ღმერთმა აღარ აღირსა ერისთავებთან „ლაზათის გაწევა“, ახალგორის სანახებში ნადირობა და ალევის მთაზე სამებობის დღესასწაულზე მოლხენა, სადაც 1844 წლის 15 აგვისტოს თავის ახლობლებთან ერთად გაუტარებია.

*„მე და მამა ალევობას, რომ ამ თვის თხუთმეტს იყო, ვეწვიეენით კატოს. მანანა და ელენეც გარდმოვიდნენ სალოცავად. საუცხოვო ჯვარობა იყო. ახალგორიდგან თორმეტი ვერსტია, მაღალს მთაზედ. ქალები ცხენებით, საწვიმრებით, ქოლგებით, დიდის ამალით ოსურის სიმღერით ავედით სალოცავად. ის ღამეც და მეორე დღეც იყო მშვენიერი. ძალიან მხიარულება იყო. ცოტა წამოსვლის დროს მანანა ავად გახდა და იმან ცოტად დაგვიშალა მხიარულობა...“* – სწერდა ნ. ბარათაშვილი თავის ნათესავს ზაქარია ორბელიანს.

ბარათაშვილებს, რევაზ ერისთავთან დამოყვრებამდე, ჰყავდათ კიდევ ერთი სიძე გვარად ერისთავი – ელენეს მეუღლე. ელენეს უმცროსი და ნინო კი ცოლად გაჰყვა კარის მრჩეველს ლევან (ლეონიდ) გერმანოზის ძე ბარათაშვილს (1826-1875). ნინო 1851 წელს შამილთან აღმოჩნდა ტყვეობაში. უფროსი და ბარბარე გახლდათ მეუღლე ოსიაურის დიდი და შეძლებული მემამულის დიმიტრი ვეზირიშვილისა. ხოლო ბარბარეს მომდევნო (მელიტონს სულ შეეძინა 15 შვილი) და სოფიო – ცოლად გაჰყვა ვასილ ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილს.

---

[1] ბარათაშვილი ნ., ტ. I, თბ., 2012.

სუმბათაშვილები ენათესავებოდნენ ქსნის ერისთავებს. ამ სიახლოვიდან გამომდინარე ალექსანდრე სუმბათაშვილი მეჯვარე ბრძანდებოდა რევაზ ლუარსაბის ძისა, ალექსანდრეს ვაჟი ვასილი დაუქვისლდა რევაზს. ნიკოლოზ ბარათაშვილის სიძის ვასილისა და დის სოფიოს დახასიათებას იძლევა დავით ერისთავის მოყვარე ივ. ციციშვილი: *„ჩემსობას (1897 წ.) კნეინა სოფიო ორმოცდათექვსმეტი წლისა იქნებოდა, მარა ძალიან ახალგაზრდად გამოიყურებოდა. დილიდანვე ფერ-უმარილ წასმული კორსეტ-მოჭერილი, ფარჩის კაბაში გამოწყობილი, ტახტზე უძრავად მჯდომარე ბრძანებლობდა ან საუბრობდა. თუმცა ლამაზი არ იყო, მარა იერი დიდკაცური ჰქონდა. სახის ტიპი ჩინურ-მონგოლური. თვალები ვიწრო და ირიბად ზევით გაწეული. პოეტის პორტრეტი* (ნ. ბარათაშვილის. ვ. ქ.) *ქართულ კაბაში ამ სოფიოს მიხედვით არის დახატული. თუმცა ბოროტი არ ყოფილა, მაგრამ კაპასი ძრიელ, ასე რომ მისი ყველას ერიდებოდა. თვით ვასო გულკეთილი კაცი იყო. ამასთან ჰოროზონტ შეზღუდული და დიდკაცურად გოროზი. თავის მეზობელ აზნაურებს: ყიფიანებს, ციმაკურიძეებს, ნემსაძეებს დაცინვით უყურებდა. მხრებზე ყურთ-მაჯებ შეკრული ესეც მთელი დღე აივანზე იჯდა და ვეება, ცერის სისხო პაპიროსს აბოლებდა, ან ნარდს თამაშობდა, ან დურბინდით არემარეს და მის მოაგარაკეთ გასცქეროდა“.*

სამწუხაროდ, ასეთი დეტალური დახასიათებები, როგორიც ვასილზე და სოფიოზე შემოგვრჩა, თავის დროზე არ გაკეთებულა რევაზ ერისთავზე და ეკატერინეზე. ვიცით, რომ მათ ოთხი შვილი: ელენე, ნადეჟდა, ეფემია და ნიკოლოზი შეეძინათ. ეკატერინეს გარდაცვალების შემდეგ რევაზი 1856 წლის 18 თებერვალს ირთავს მეორე ცოლს – მართა ნიკოლოზის ასულ მუხრანბატონს. 25 წლიანი თანაცხოვრებით მათ შეეძინათ ხუთი შვილი: თამარი, არჩილი, ანასტასია, სოფიო და ივანე.

რევაზ ერისთავისა და ეკატერინე ბარათაშვილის ერთადერთ ვაჟს ნიკოლოზს 30 წლის ასაკში შეუყვარდა თბილისელი სომეხი დიდვაჭრის მიხეილ იაგორის ძე თამამშევის ასული ეკატერინე (1857-1937). ახალგაზრდა წყვილმა 1882 წელს იქორწინა, თუმცა მანამდე ერთი არასასიამოვნო ფაქტი მოხდა. ახალგორელ თავადიშვილს სიმამრ-სიდედრთან ტესტირების გავლა მოუწია. საქმე შემდეგში იყო. კოლას – როგორც მას შინაურები ეძახდნენ, ახალგაზრდობიდანვე სახეზე ეგზემის პატარა ლაქა ჰქონდა, რაც დისკომფორტთან ერთად, თამამშევებმა სასიძოსაგან უშვილობის საფრთხედ მიიჩნიეს და მათ შვილზე ქორწინებამდე კოლას მკაცრად მოსთხოვეს ექიმის დასკვნა – წარმოადგენდა თუ არა იგი შვილოსნობისთვის ჯანსაღ სრულფასოვან პიროვნებას. ახირებულ

თამამშევებს ერისთავმა მალევე წარუდგინა დადებითი დასკვნა – პასუხი ექიმებისა, თუმცა, სამწუხაროდ, ბედმა მაინც უშვილობა არგუნა მოსიყვარულე ცოლ-ქმარს. მათ ახალშექმნილ ოჯახის ანგარიშზე კი ძალზე დიდი ქონება დაგროვდა. ეკატერინე ძველი სომხური საგვარეულო დინასტიის წარმომადგენელი იყო. პაპამისს, იაგორ ივანეს ძე თამამშევს რუსეთის იმპერატორისაგან „პირადი თავადიშვილობა“ ჰქონდა ნაბოძები. თურქეთთან და სპარსეთთან ომის დროს დაგროვილი სიმდიდრის მეოხებით თავის ძმასთან გაბრიელთან ერთად XIX ს-ის. დასაწყისში თბილისის უმდიდრეს ვაჭრებად ითვლებოდნენ. იაგორს საპატიო მოქალაქის წოდებაც კი ებოძა.

ეკატერინეს პაპამ – იაგორმა 1851 წელს მ. ვორონცოვის დავალებით თბილისში ერევნის მოედანზე – ამჟამინდელი თავისუფლების მოედანი – არქიტექტორ ჯ. სკუდიერის და მხატვარ გ. გაგარინის ხელშეწყობით ააგო ამიერკავკასიაში პირველი თეატრის შენობა. იქვე იყო მათივე ცნობილი სავაჭრო ქარვასლა, რომელიც 1874 წელს თეატრთან ერთად ხანძარმა შთანთქა.

ერისთავების რძლის მშობლების მიხეილ იაგორის ძე თამამშევისა და ბარბარე ვასილის ასული ყორღანოვას (ყორღანაშვილი) დიდი ქონების პატარა ნაწილად ითვლებოდა ხუთი საცხოვრებელი სახლი, სამი დუქანი ბნელ რიგებში, ორი მიწის ნაკვეთი მშენებარე ნაგებობებითურთ, აგარაკები კოჯორსა და კისლოვოდსკში, წისქვილი ორთაჭალაში, საძოვრები და ვენახები ნავთლუღსა თუ დიღომში. შესაშური სიმდიდრის მზითვი მისცეს ეკატერინეს მშობლებმა. არანაკლები მზითვი გაატანეს მიხეილ სმირნოვზე გათხოვილ უფროს დას ელისაბედს: 100 000 რუბლის მზითვი, მათ შორის 5 000 რუბლის ძვირფასეულობა და 80 000 რუბლის „საღირალი“. 1882 წელს ეკატერინეს მზითვში გადაეცა განის ქუჩაზე, დღევანდელ ტაბიძის ქუჩაზე, №20-ში ევროპულ ყაიდაზე დიდებულად ნაგები სახლი, სადაც ბარბარე ყორღანაშვილის მოთხოვნით ელისაბედ სმირნოვამაც მიიღო დამატებითი სახლი. ძველი თბილისის უმშვენიერესი არქიტექტურული ძეგლი იაგორ თამამშევმა 1859 წელს ააგო ოტო სიმონსონის პროექტის მიხედვით.

პეტერბურგის საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულ ოტო-იაკობ სიმონსონს (1832-1914) – გერმანელი კოლონისტის შვილის – ალბერტ ზალცმანთან ერთად (1833-1897) ხვდა წილად XIX საუკუნის გამდიდრებული და თავგამოდებულ-გაევროპელებული თბილისური ბურჟუაზიისათვის ძველი პროვინციული ხის აივნებიანი სახლების ნაცვ-

ლად აეგოთ დიდი, პრეტენზიული, უფრო თანამედროვე – „დედაქალაქური“ ნაგებობანი.

ცნობილი მეცნიერი ვახტანგ ბერიძე განიხილავს თავის ნაშრომში („თბილისის ხუროთმოძღვრება“, ტ. I, თბ., 1960, გვ. 123) იაგორ თამამშევისეულ სახლს ტაბიძის ქუჩაზე და აღნიშნავს, რომ *„ეს ახალი ტიპის პირველი შენობაა (ან ერთი პირველთაგანი), რომლის პროექტი გრაფიკული თვალსაზრისითაც მკვეთრად გამოირჩევა იმდროინდელი პროექტებისაგან... ფასადის საერთო სახისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პილასტრებს, რომელთა თანაბარზომიერი რიტმი ანაწევრებს მეორე სართულს. აქ პირველად ჩნდება კორინთული პილასტრები. თაღოვანი სარკმელები და თბილისური ალათები ორი თაღითა და მედალიონებით უარყოფილია. ორსავე სართულის სარკმლები სწორკუთხაა, ფართო, მარტივად პროფილირებული საპირეებით. ასეთნაირ ამ ახალი ტიპის სახლებში ჩნდება ნამდვილი სადარბაზო შესასვლელი, ნამდვილი ვესტიბიული, რომელსაც გაცილებით მეტი საზეიმო იერი აქვს. ჰოლს ოქტოგონური (რვაკუთხა) მოხაზულობა აქვს საგანგებოდ მინიჭებული, თუმცა ამას პრაქტიკული საჭიროება არ მოითხოვდა. დიდად ვრცელდება შემომრგვალებული კიბეები, რაც აგრეთვე „გამოსაჩენი“ საზეიმო მიზნით უნდა იყოს გამოწვეული და არა ტექნიკურ-პრაქტიკულით“.*

*„ამ ევროპულად მორთულ სახლში ხშირად ეწყობოდა ლიტერატურული და მუსიკალური საღამოები. სხვადასხვა დროს აქ სტუმრობდნენ: პ. ჩაიკოვსკი, დ. სარაჯიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, და სხვა გამოჩენილი ადამიანები.*[1]

განის ქუჩაზე ევროპელი არქიტექტორის ოტო სიმონსონის პროექტით აგებულ თამამშევების სახლის გვერდით XIX ს-ის. 90-იან წლებში, ზეპირი გადმოცემის თანახმად, ზალცმანის პროექტით იგება ჩინებული, ევროპული მოდერნის სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი (დღევანდელი ტაბიძის ქ. № 22), რომლის მშენებლობისას ქართული ისტორიული ხუროთმოძღვრების მოტივები და პრინციპებია გათვალისწინებული. ზალცმანის მიერ გამოყენებული ქართული ხასიათის ელემენტები შემდგომ ბევრი არქიტექტორის მიერ მიჩნეული იყო, როგორც ჩვენი ერისთვის დამახასიათებელი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების გზად, რაშიც ვახტანგ ბერიძე გულისხმობდა *„განსაკუთრებით ხუროთმოძღვრული ორნამენტაციის სტილიზაციას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში და უფრო გვიანაც საფუძ-*

---

1 სმირნოვების სახლი საჩუქრად საქართველოს, თბ., 2009.

*ვლად ედო ეროვნული ფორმის პრეტენზიით აგებულ მრავალ შენობას“.* მართალია, ზალცმანისეული შენობის ეზოს მხარე მოკლებულია თბილისური საცხოვრებელი სახლის ყოველგვარ ნიშანს, სამაგიეროდ *„მისი ფასადი „ქართული ტანსაცმლითაა“ შემოსილი. კერძოდ, ესაა XVIII-XIX საუკუნეებისთვის დამახასიათებელი, სართულის დამანაწევრებელი დეკორატიული ლილვები, როზალიტების გრძელი დეკორატიული თაღები, კარ-სარკმელთა მოჩუქურთმებული საპირეები, შუა როზალიტის დამამთავრებელი ფრონტონი, ასევე მთელი ფასადის საერთო კარნიზი „ქართული“ პროფილითა და მდიდრული წნულითაა მორთული“.*[1]

ტაბიძის ქუჩის № 22 სახლის ფასადზე წარმოდგენილია ქართული ხასიათისა და ბუნების მთელი ანსამბლი, ტექნიკურად ეს ნაძერწი მორთულობა ოსტატურადაა შესრულებული და წარმოადგენს ეროვნული მოტივების აღორძინების მცდელობას, რაც უდავოდ უნდა მომდინარეობდეს არა დამფინანსებლის სურვილიდან არამედ მისი მეპატრონის – ამ შემთხვევაში ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავის ეროვნული ხასიათიდან.

თამამშევების ერთ-ერთ სახლში ველიამინოვის ქუჩაზე (დღევანდელი შალვა დადიანის № 15) არისტოკრატიული „ინგლისური კლუბი“ იყო, სადაც დაიარებოდნენ იმდროინდელი ტფილისის წარჩინებული საზოგადოების წარმომადგენლები. ამ ინგლისურ კლუბს ხშირად თამამშევების სიძე ნიკოლოზ ერისთავი და მისი უახლოესი მეგობარი ი. ჭავჭავაძე სტუმრობდნენ.

თამამშევების მთელი ოჯახი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხელოვნებასთან. ეკატერინეს ძმა გენერალ-მაიორი ვასილ თამამშევი გახლდათ ამიერკავკასიის მთავარმართებლის განსაკუთრებულ დავალებათა ოფიცერი და პირველი მსოფლიო ომის დროს ლტოლვილთა განსახლების კავკასიის ფრონტის პასუხისმგებელი წარმომადგენელი და თბილისის სახაზინო თეატრის დირექტორი.

ქართველი ერის დიდი მოამაგის ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ქსნის ერისთავებთან ერთად თამამშევებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენებაში. ამ კეთილშობილური საქმის განსახორციელებლად, როგორც ი. მეუნარგია იტყობინებოდა: *„1893 წელს ნ. ბარათაშვილის ნათესავებმა, დებმა: ბარბარე ვეზირიშვილისამ, სოფიო სუმბათაშვილისამ, და ნინო ბარათაშვილისამ, ბიძაშვილმა გიორგი ილიას ძე ორბელიანმა და დისწულმა ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავმა (პოეტის მეოთხე დის ეკატერინეს*

[1] ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917, ტ. 2, გვ. 144-45.

*შვილმა) აღძრეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ნება დაერთოთ მათთვის გადმოესვენებინათ განჯიდან თბილისს მათი ოჯახის დამამშვენებელი მგოსანი“.*[1]

ნიკოლოზ და ეკატერინე ერისთავების ოჯახი მეგობრებთან ერთად დაუცხრომელი სიყვარულისა და პატივისცემის გამომხატველნი იყვნენ პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნიჭისა. 1915 წელს უკვე დაქვრივებულმა ეკატერინე ერისთავმა განიზრახა გამოსაცემად მოემზადებინა და შემდგომ თავისი ხარჯებით დაებეჭდა ნ. ბარათაშვილის ლექსების ერთტომეული. აღნიშნულ წიგნზე ეკატერინემ საქმეში ჩართო იოსებ გრიშაშვილი, გიორგი თუმანიშვილი, სიმონ ფირცხალავა, გიორგი ჟურული, დიმიტრი შევარდნაძე, გრიგოლ რობაქიძე, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვები. კრებული 1922 წელს გამოვიდა 2600 ეგზემპლარით, სადაც მოთავსებულია ფიროსმანის, ლ. გუდიაშვილის, გ. გაგარინის, მ. თოიძის ილუსტრაციები. წიგნი გამოცემისთანავე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ერისთავების რძალმა, მართალია მოგვიანებით, მაგრამ მაინც შეასრულა ის ფიცი, რომელიც 1915 წელს პოეტი ბიძის მოსახელეს, თავის საყვარელ კოლას, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მისცა – რომ გამოსცემდა ნიკ. ბარათაშვილის კრებულს თავის ხარჯებით.

კოლა ერისთავს კი ასაკთან ერთად ეგზემა უფრო და უფრო უავდებოდა და მის ფსიქოლოგიაზეც უფრო მეტი სიმძაფრით ახდენდა უარყოფით გავლენას. ასეთ პირობებში 65 წლის ასაკში გარდაიცვალა კოლა ერისთავი, ვისაც დედამ უდროოდ გარდაცვლილი თავისი ძმის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი დაარქვა. საზოგადოებაში გაჩენილია ეჭვი, რომელზეც სმირნოვების სახლში არასდროს ლაპარაკობდნენ, თითქოს ავადმყოფობით შეწუხებულმა კოლამ თავი მოიკლაო.

კოლას გარდაცვალებამდე და მას შემდეგაც უშვილო ოჯახი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცხოვრობდა განის ქუჩაზე, დღევანდელი ტაბიძის ქუჩის 22 ნომერში. დაქვრივებული, უმემკვიდროდ დარჩენილი ეკატერინე შემდგომ შეუერთდა თავისივე დის და დისშვილების – სმირნოვების ოჯახს, რომლებთან ერთადაც ცხოვრობდა განის ქუჩაზე 1882 წლიდან.

ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავი მრავალი წლის განმავლობაში მეგობრობდა ილია ჭავჭავაძესთან. საოჯახო არქივში შემორჩენილია მწერლის 2 ჩანაწერი და გადმოცემა იმის შესახებ, რომ სწორედ სმირნოვების სახლში ი. ჭავჭავაძე შეხვდა პუშკინის 100 წლის იუბილეს.

ეკატერინე ერისთავი საქართველოს გასაბჭოებამდე დიდ თანხებს რიცხავდა სხვადასხვა საქველმოქმედო საქმეებზე, როგორიც იყო თეატ-

---

1 შარაძე გ., ილია ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 112.

რი, გაზეთი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სხვა. 1922 წლიდან იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას, თბილისის ერთ-ერთ სკოლაში ასწავლის ფრანგულ ენას.

როგორც ყველა იმდროინდელ თავადს და თავადის ქალბატონს ეკატერინესაც საბჭოთა ხელისუფლება დევნის, ავიწროებს და მეთვალყურეობის ქვეშ ამყოფებს. ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს თამამშევების ასულს სიცოცხლის ბოლო წლები თავისი პაპის, იაგორის 1859 წელს აშენებულ სახლში (ამჟამად სმირნოვების სახლი ტაბიძის ქ. № 20) უნდა გაეტარებინა სიმართლე არ არის. საქართველოს გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმში (7863/80) დაცული ერთი საბუთის მიხედვით, 75 წლის ფრანგული ენის მასწავლებელი ეკატერინე ერისთავი განცხადებით მიმართავს მუშათა კავშირის ადგილკომს (პროფკავშირებს) და სთხოვს სამედიცინო კომისიასთან შუამდგომლობას, რათა გასცენ სათანადო სამედიცინო დასკვნა მისდამი, შრომისუუნარობაზე მხედველობის დაქვეითების გამო. ჩვენთვის უცნობია დააკმაყოფილა თუ არა ადგილკომმა პედაგოგის მოთხოვნა, მაგრამ ცნობილი ხდება ეკატერინეს საცხოვრებელი სახლის მისამართი წერეთლის ქ. № 22. გამოდის რომ ენკავედემ ეკატერინეს მამა-პაპეული სახლის დაბალ სართულზე ის ერთი პატარა ოთახიც არ დაუტოვა, სადაც იგი წერეთელის ქუჩაზე გადასვლამდე ცხოვრობდა.

ეკატერინე თამამშევა-ერისთავი გარდაიცვალა 1937 წელს 82 წლის ასაკში. მისი დღიურები, წერილები და სხვადასხვა საბუთი დაცულია გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმში.

წარმოგიდგენთ ნიკოლოზ ერისთავისა და ეკატერინე თამამშევას შეუღლების 1882 წლის მაისის თვის საოჯახო ხარჯთაღრიცხვას:

1. მოსამსახურეები ........................................................ 49.
2. მაგიდა .......................................................... 117, 11.
3. ბუფეტი .......................................................... 97, 82.
4. ჩაი და შაქარი ................................................ 26, 80.
5. განათება ............................................................ 8, 9.
6. შეშა – 40, რუბლ. 13, ნახშირი – 10, რუბლ. 12 ........... 25,50.
7. სარეცხი (მრეცხავი) ........................................... 13, 81.
8. მედროგე ........................................................ 31, 55.
9. საყიდლები ..................................................... 61, 90.
10. სხვადასხვა წვრილმანი ...................................... 25, 1.
11. საჩუქრები ..................................................... 45, 20.
12. გაუთვალისწინებელი ხარჯები .................................. 20, 50.

13. ჩემი „ტუალეტი“ .......................................................... 51,79.
14. Издержки К ................................................................ 10, 40.
................................................................................ 581, 79.

### ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავის გენეალოგია

გიორგი რევაზის ძე ერისთავი (ყულარაღასი)

ლუარსაბ გიორგის ძე ერისთავი (1754-1817)
მარიამ ფარნაოზის (ფარნას) ას წულუკიძე

ლევანი — ანასტასია — დავითი — მარიამი

**რევაზი** (1812-1881)
I. ეკატერინე (კატო) მელიტონის ას ბარათაშვილი (დაიბ. 1821)
II. მართა ნიკოლოზის ას მუხრანბატონი (1836-1892). ქორწ. 1856 წ.

ელენე (1845-1892)
ნადეჟდა (1847-?)
ეფემია (1849-?)
**ნიკოლოზი** (1850-1915)
ეკატერინე მიხეილის ას თამამშევა (1857-1937)
დაქორწინდნენ 1882 წელს.
თამარი (1859-?)
არჩილი (1862-?)
ანასტასია (1862-1880)
სოფიო (1865)
ივანე (1868-?)

## მამა-შვილი დავით ლუარსაბის ძე და ნიკოლოზ დავითის ძე ერისთავები

ახალგორში მცხოვრებ ლუარსაბ გიორგის (ყულარაღასის) ძე ერისთავის უმცროსი ვაჟი დავითი ფიცხი და ზვიადი ბუნების ბავშვი ყოფილა. ძმების დიდი მოსიყვარულე და შემდგომ როგორც ჩვენი დიდი პოეტი ნიკ. ბარათაშვილი ამბობდა, ძმის რევაზის ცოლის ეკატერინე მელიტონის ასულის „ნებივრობაზე მოფიქრალი“.

დავითი 31-32 წლის ასაკში დაქორწინებულა თავისავე ბიძაშვილზე გიორგი – გლუხარიჩის მამის ძმის შალვას ქალიშვილ სალომეზე. მათი პირველი შვილი პაპის მოსახელე – შალვა ორი წლის ასაკში გარდაცვლილა, მომდევნო ქალიშვილი მარიამი (მაშო) 1851 წელს შესძენიათ. მესამე ბავშვის მშობიარობას გადაჰყოლია სალომე. ოთხი წლის შემდეგ 1858 წელს დავითს მეორედ უქორწინია ანა გრიგოლის ასულ ბებუთოვაზე

(1839-1918). დავითის და ანას შეუღლებაზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის მათი რძლის ტასო ციციშვილის უმცროსი ძმა ივანე, რომლის მოგონებები მომაწოდა ქალბატონმა თამარ აშხაცავამ (ივ. ციციშვილის მოგონებები ინახება საქ. სახელმწიფო ლიტ. მუზეუმში 7473/4).

*„ჩემი სიძის* (ნიკოლოზ დავითის ძე. ვ. ქ.) *დედა ანა გრიგოლ ბებუთაშვილის ასული დავითის მეორე ცოლი იყო. დავითს პირველ ცოლად ისევე ერისთავის ქალი ჰყავდა. ლამაზი და მზითვიანი. ამასთან ქალ-ვაჟი, რომლებიც ჩემს დროს ცოცხლები აღარ იყვნენ. რომ დაქვრივდა ურჩიეს გრიგოლ ბებუთაშვილის ქალის ანას შერთვა. დათანხმდა, მხოლოდ მაჩვენეთო. აჩვენეს თეატრში. არ მოეწონა და სოფლად გაიპარა. რადგან ეს ამბავი გახმიანდა გრიგოლს ძან ეწყინა და ნიკო ამილახვრის (შემდეგ გენერალ-ადიუტანტის) დედა (დავითის და) ანასტასია დაიბარა. ამას გრიგოლისა კარგა დიდი ფული ემართა და უთხრა: „თქვენმა ძმამ ქვეყანაში თავი მომჭრაო და მეც არ დაგზოგავთო“. ესეც აიჭრა ახალგორს და იქვე აივანზე შეუტია ძმას: „როგორ! ახალგაზრდას, განათლებულს, მუსიკოსს და შენ ბებერი სწუნობ!“ დაითანხმა და კიდეც შერთო“.* – დავითი ანაზე 25 წლით უფროსი ყოფილა.

ცნობილია, რომ ახალგორის სასახლე XIX საუკუნის დასაწყისში ხანძარმა სერიოზულად დააზიანა. მას შემდეგ მისი საფუძვლიანი შეკეთება ვერავინ მოახერხა და აი, ერისთავების რძალს ანა გრიგოლის ასულს, როგორც ელისაბედ ერისთავი იგონებს თამარისთვის მამის ნიკოლოზის ნათქვამს *„მამა ჩემმა დავითმა, რომ შეირთო დედაჩემი, ანა ბებუთოვისა პატარძალს დიდი მზითვი მოჰყვა როგორც ნივთიერად ისე ფულათ და ეს უკანასკნელი მოანდომა სახლის შეკეთებას...“* სასახლის საფუძვლიანი შეკეთება და ევროპული სტილით მეორე სართულის დაშენება XIX საუკუნის 60-იან წლებში უნდა მომხდარიყო.

დავითსა და ანას რვა შვილი შეეძინათ. სამი ვაჟი: გრიგოლი, ნიკოლოზი (კოლა, იგივე ცუნცულა) გიორგი (შინაურობაში ჟორჟიკა) და ხუთი ქალი: ნინო, სოფიო, ელისაბედი და მისი გარდაცვალების შემდეგ 1870 წელს კვლავ ელისაბედი დაიბადა. რვა შვილიდან ზრდასრულობამდე ხუთმა მიაღწია, მათ შორის ვაჟებიდან ნიკოლოზმა და უმცროსმა ჟორჟიკამ. რომელთაც შექმნეს თავ-თავიანთი ოჯახები და დაზარდეს შვილები.

დავით ლუარსაბის ძე ერისთავი, გადმოცემის თანახმად, ყოფილა ამაყი, მკაცრი და შეუბრალებელი ბატონი. მასზე ზეპირი გადმოცემები, თუ შეიძლება რომ ვინმემ გაზვიადებულ ირიალობად მიიჩნიოს, ივ.

ციციშვილის მიერ რეალურად აღწერილ დავითის ახირებულ ხასიათსა და სიმკაცრეში ეჭვს ვერავინ შეიტანს. კოლას (ცუნცულას) მოყვარე ივანე იგონებს: *„თვით დავითი საშინელი დესპოტი ხასიათისა იყო. მისი გალავნის გასწვრივ ქსნის პირის გზა არის ახალგორიდან ტფილისს მიმავალი. ქვეითი მგზავრი ამ გზაზე არ ჩანს, რადგან გალავნის კედელი ფარავს მას, ხოლო ცხენოსნის მხრები და თავი გალავანს აცილებული მაღლა აივნიდან ჩანს. დავითს ახალგორელი ვაჭრები საშინლად სძაგდა და უბრძანა: „ჩემი ხილნის წინ დაკუზულები იარეთო, რომ არ დაგინახოთო“. წინააღმდეგ შემთხვევაში ბიჭებს გზავნიდა და აცემინებდა. ვაჭრებმა ამაზე გუბერნატორთან იჩივლეს. მგონი ორლოვთან თუ ორლოვსკისთან.*

*ერთ ბნელ ღამეს გუბერნატორი მოადგა დავითის კარებს. გუბერნატორი ციხეს რომ მოადგა ატყდა ძაღლების ყეფა. როცა გაიგეს რაშია საქმე დავითმა ბიჭები ჩაგზავნა. მათ ალაყაფის კარები გააღეს და გუბერნატორი მაღალ კიბეებზე მაშხლებით ამოაცილეს. იმ ღამეს საუკეთესო ვახშმით გაუმასპინძლდნენ. გუბერნატორი ოჯახის ნიჭიერებამ და გულუხვობამ მთლად მოხიბლა.*

*მეორე დღეს, ჩაის შემდეგ აივანზე რომ გავიდნენ, გუბერნატორს მოახსენეს, რომ ახალგორის ვაჭართა დეპუტაცია გეახლათო. მართლაც კარი გაიღო და ერთი ხუთი კაცი შემოვიდა. ამათ თავისი საჩივარი კვლავ გაიმეორეს, რომ გაათავეს გუბერნატორმა მიმართა მათ: „დაბრუნდით ოჯახებში და ბატონ დავითს მე თვითონ მოველაპარაკებიო“, ხოლო ესენი რომ გავიდნენ სიცილით მიუბრუნდა დავითს და უთხრა: „მართლაც, ვინც ამ აივანზე ზის მას არ შეუძლიან არ ბრძანებლობდესო“. ასე გადაჭრა სამართალი ხელმწიფის დიდმა მოხელემ“.* შემდეგ განაგრძობს ივანე: *„დავითი საშინელი ეჭვიანი ყოფილა. ამბობდნენ სხვაგან რომ მიდიოდა ციხეს (ციტადელს) კეტავდაო და გარშემო ნაცარს აყრევინებდაო, რათა ცოლი უმისოდ გარეთ არ გასულიყო“.*

დავითის ორი ვაჟიდან უფროსი ნიკოლოზი – კოლა დაიბადა 1865 წელს სოფ. ახალგორში. ხანში შესული კოლა თავის მოგონებაში აღნიშნავს: (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი Q-100) *„მე დავიბადე მდიდრულ ფეოდალურ ოჯახში. დედა მყავდა სომეხი ბებუთაანთ ქალი. ჯერ ისევ 8 წლისა ვიყავი როდესაც ქალაქს ჩამომიყვანეს და სწავლა დამაწყებინეს, მიმცეს ეგრეთწოდებულ შენგერის პანსიონში. იქ დიდხანს არ დავრჩი, რადგან მთელი ჩვენი სახლობა ჩამოვიდა ქალაქს და მე გადავედი ჩემს სახლში“.*

**კოლა თეატრში**

ცნობილია, რომ კოლამ თავისი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები დაუკავშირა ქართულ თეატრს, რომელიც გ. ერისთავის სიკვდილის (1864 წ.) შემდეგ მოდუნდა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტუალურობა დაკარგა.

პატარა კოლა დედას ხშირად დაჰყავდა თავის დეიდაშვილთან – მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილთან, რომელიც იმ ხანებში, კოლას თქმით *„აწყობდა და განაგებდა ქართულ თეატრს“*.

სცენაზე კოლას პირველი როლი პატარა გოგო ყოფილა სპექტაკლში „ეჭვით ავადმყოფი“. კოლა ამბობს: *„ცოტა გული დამწყვიტა იმ გარემოებამ, რომ პატარა ქალის როლი მომცეს, მოვიდა დღე წარმოდგენისა. თეატრი სავსე იყო ხალხით. მე უშიშრად გამოველი სცენაზე და როდესაც დავამთავრე როლი და ფარდა დაეშვა რამდენჯერმე გამომიძახეს და კანფეტებიც მითავაზეს. ეს იყო და ეს ამ საღამომ გადამრია და სამუდამოდ დამაკავშირა თეატრთან. იმ დღეს აქეთ მე თეატრს აღარ მოვშორებივარ“.*

პატარა კოლა „შენგერის“ პანსეონიდან გასვლის შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისის რეალურ სასწავლებელში, პარალელურად აქტიურად მონაწილეობს თეატრის სპექტაკლებში.

კოლა ერისთავი 1879-80 წლებში თამაშობს ქართული თეატრის დასში, რომელთან ერთად ის გადადის სომეხი ვაჭრის არწრუნის მიერ თბილისში აშენებულ კერძო პატარა თეატრში, სადაც თითქმის ყველა დადგმულ სპექტაკლში ღებულობს მონაწილეობას.

აღნიშნულ ქართულ დასს 80-იან წლებში შეუერთდნენ ვასო თუმანიშვილი, ვალერიან გუნია და ცნობილი მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი, რომელმაც მალევე მიატოვა სცენა. ვასო თუმანიშვილის რეჟისორობისას კ. ერისთავი სერიოზულ და საპასუხისმგებლო როლებს თამაშობს, რის გამოც თითქმის დაანება სწავლას თავი და მთლიანად თეატრს მიენდო *„...ხალხს ვუყვარდი, კარგად მიღებდა სცენაზე და ბოლოს დივერტისმენტებზედაც ვიღებდი მონაწილეობას და ლექსებს ვკითხულობდი“* – იგონებს ხანდაზმული ერისთავი. *„.... მამაჩემს როგორც ძველი დროის კაცს და სულ სხვანაირად აღზრდილს არ მოსწონდა თეატრი. არ დადიოდა, რადგან თეატრი გარყვნილობის ბუდედ მიაჩნდა. არ იცოდა რომ მისი შვილი ამ ბუდეში იღებდა მონაწილეობას. იმ დროს გლეხის როლებს სოფრომ მგალობლიშვილი ასრულებდა და კარგადაც ასრულებდა. ერთხელ ერთ საღამოს, როდესაც მამა ჩემი კარგ გუნებაზე იყო უთხარი წამობრ-*

*ძანდით ქართულ თეატრში მეთქი. შემომიტია: იქ რა მინდა. გადაიყრიან ფქვილს თავზე და ვინ იცის რაებს არა სჩადიანო. მე კიდე გავბედე და უთხარი: აბა ნახეთ სოფრომ მგალობლიშვილი რა საუცხოვოთ თამაშობს გლეხების როლს-მეთქი. ამაზე მიპასუხა: არა მამა უცხონდა პრინცებს ითამაშებსო. მე ვისარგებლე მისი კარგი გუნებით და უთხარი: მამა ხვალ ლოჟა მაქვს აღებული თეატრში, კარგი წარმოდგენაა ვასო აბაშიძე თამაშობს და თუ გიყვარდე წამოდი-მეთქი. ჩემდა გასაკვირველად მიპასუხა: კარგით, მხოლოდ ლოჟა დახურული იყოსო – ღია ლოჟაში არ დავჯდებიო".*

თეატრში მართლაც წაბრძანებულა კოლას მამა – დავითი, სპექტაკლს წარმატებით ჩაუვლია და სახლში მისულ მამა-შვილს შორის შემდეგი დიალოგი გამართულა: *„მამა ჩემო როგორ მოგეწონათ წარმოდგენა?- მეთქი. არ შემომხედა, მხოლოდ მიპასუხა: იფ, იფ, ძალიან კარგი იყო. მამას გიხსენებდნენ და მეც იქ ვიდექი და მთელი ხალხი მე შემომცქეროდა. მაგისთვის წამიყვანეო. ასე გათავდა მამაჩემის პირველი დებიუტი ქართულ თეატრში. არ განვლო ხანმა და თვითონ შემეკითხა: კოლა, ლოჟა აღარ გაქვს თეატრშიო? მაქვს-მეთქი და მიუტანე ლოჟა. წამოვიდა. მამაჩემი მერე ხშირი სტუმარი გახდა ქართული თეატრისა..."*

შემდგომ როგორც ირკვევა, ქართული თეატრის საქმე უსახსრობის გამო ცუდად წარიმართა. სანამ არ გამოჩნდა სანდრო ნებიერიძე, რომელსაც შეუდგენია ახალი ქართული დასი, სადაც მიუწვევია კოლა ერისთავი და დაუნიშნავს ხელფასი თვეში 40 მანეთი. ასევე ნებიერიძეს დაუწყია თეატრალური ჟურნალის გამოცემა. ახალ ქართულ დასში ერისთავი კიდევ 2 წელიწადს დარჩენილა. საბოლოოდ კოლამ თეატრის სცენაზე 1889 წლამდე დაჰყო. წლების განმავლობაში იყო თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე და დიდი ხალისით აბანდებდა ფულს.

**კოლა ქიზიყში**

ქართული თეატრის სცენაზე მდგომი თავადიშვილი ნიკოლოზ დავითის ძე 23 წლის ასაკში ოჯახს ქმნის. 1888 წელს ცოლად ირთავს ქართლში ცნობილი მემამულის ქალიშვილს – ანასტასია გიორგის ასულ ციციშვილს (დაიბადა 1864 წ.).

ტასოს, როგორც მას შინაურები ეძახდნენ, დამთავრებული ჰქონდა თბილისის კეთილშობილ ქალთა სასწავლებელი, ჰყავდა 4 ძმა და 2 და. ის ჯერ წერეთელზე იყო დანიშნული, თუმცა მას მალევე უარი უთხრა და კოლა ერისთავს მისთხოვდა. ახალდაქორწინებულ ჭაბუკ კოლა ერისთავის პორტრეტისათვის შტრიხებს მისი მოყვარე ივ. ციციშვილი

გვაცნობს: *„ჩემი უნცროსი სიძე – კოლა ერისთავი ცოცხალი, ნიჭიერი, სიტყვის ხელოვანი და მშვენივრად მთქმელი, ამასთან უაღრესად ზრდილი და მორიდებული“.* ერთმანეთის შესაფერის წყვილს მალე შვილებიც ეყოლათ. ჯერ კიდევ ძველ – ფეოდალურ ბორბლებზე მდგომი აგრარული მეურნეობის შეკვეცილი შემოსავალი ვეღარ აკმაყოფილებდა ევროპულ ყაიდაზე ცხოვრების მოსურნე ახალგაზრდა თავადთა მრავალშვილიან ოჯახებს. კოლა იძულებული ხდება მიატოვოს სცენა და სხვა შემოსავლიანი სამსახური ეძებოს. ამ შეჭირვებულ პერიოდზე წერს შემდგომ ხანდაზმული ერისთავი თავის მოგონებებში, რომელიც ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში – Q-1000.: *„1896 წელს მე უკვე ცოლშვილიანი ვიყავი, თეატრი არას მაძლევდა. სახლიდან არას ვიღებდი და იძულებული ვიყავი სამსახური მეძებნა. მივმართე ლ. ჯანდიერს, ი. ჭავჭავაძეს და ვთხოვე ეშოვნათ ჩემთვის რაიმე სამსახური. ერთ მშვენიერ დღეს დამიბარა მაშინდელმა გუბერნატორმა გიორგი შერვაშიძემ და მითხრა: თქვენ გნიშნავთ ქიზიყში ბოქაულათ – იცოდეთ თქვენ მეტს მოგთხოვთ ვიდრე სხვასო“.*

კოლა მალევე ჩავიდა ქვემო მაჩხაანში – ქიზიყის ცენტრში და შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. ამ დროებაზე ქიზიყში არ იყო მომრიგებელ-მოსამართლე და ეს თანამდებობაც მან შეითავსა: *ქიზიყში ჩემი მიზანი იყო ხელი შემეწყო ხალხის ცხოვრების ეკონომიკურად და კულტურულად წინ წაწევას. ამ მიზნით ხელი უნდა შემეწყო კოოპერატივისთვის, კარგი გზები გამეკეთებინა. შკოლები და ბალნიცები. მომესპო ქურდობა და ყაჩაღობა, რომელიც ძლიერ იყო გავრცელებული და ხალხს სულს უხუთავდა“*, – აღნიშნავს თავის ჩანაწერებში კოლა ერისთავი.

ხალხის გაჭირვებულ ცხოვრებაზე შეწუხებული ბოქაულის საქმიანობამ მალევე გამოიღო შედეგი. გაიხსნა ორი საავადმყოფო: მაჩხაანსა და ანაგაში. რაც, ბოქაულის თქმით, პირველი მაგალითი იყო მთელ საქართველოში. კ. ერისთავი იგონებს: *„რაკი საავადმყოფო მოვაწყე, შეუდექი თეატრის აშენებას. მალე მოვაწყეთ კარგი მოზრდილი შენობა და პირველი წარმოდგენისთვის მოვიპატიჟეთ თბილისიდან ნ. გაბუნია, ვ. აბაშიძე, ვ. გუნია და სხვები. ქიზიყში მოვაწყე კოოპერატივი. შკოლები ავაშენე ქვემო მაჩხაანში, მირზაანში, გურჯაანში“.*

გასულ საუკუნეში ხანდაზმულ ახალგორელთაგან ამბად გაიგონებდით, რომ ერისთავების ციხე-სასახლის ყველაზე მაღალ შვიდსართულიან კოშკში მეფის რუსეთის რეაქციას ემალებოდა ცნობილი რევო-

ლუციონერი ფილიპე მახარაძე და რომ ეს ხდებოდა კოლა ერისთავის გულმოწყალებით. მაშინ ეჭვქვეშ დაყენებულ ინფორმაციას ერთობ ამაგრებს ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ჩვენთვის უკვე ცნობილი საბუთი, რომელიც ასახავს კოლას და ფილიპეს კეთილ ურთიერთდამოკიდებულებას XIX საუკუნის ბოლოს, ქიზიყში ყოფნისას.

*„ამ ხანებში ქიზიყში გამოგზავნეს საფილაქსერო კომისია – რათა დაეთვალიერებინათ იქაური ვენახები. ამ კომისიაში იყვნენ: ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე და ფილიპე მახარაძე. მე მივიღე მოწერილობა თვალყური მედევნებინა მათთვის და დაუკითხავათ ნება არ ჰქონდათ სადმე წასვლისა. ეს ყველანი სცხოვრობდნენ მაჩხაანში და რა თქმა უნდა ჩუმ პროპაგანდას ეწეოდნენ. ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ერთად, და იმართებოდა დიდი ბაასი სხვადასხვა საკითხის გამო, რომელშიც ყველაზე მეტ მონაწილეობას იღებდნენ ნ. ჟორდანია და ფ. მახარაძე. გავიდა , როგორც მახსოვს სამი თვე და ეს კომისია დაიღალა და ყველანი წავიდნენ გარდა ფ. მახარაძისა. რომელიც დარჩა მაჩხაანში. უადგილოდ* (უმუშევრად, უხელფასოდ. ვ. ქ.) *დარჩენილი, რა თქმა უნდა გაჭირვებას განიცდიდა, შევედი მის გარემოებაში და ჩემის და დ. მაჩხაანელის შემწეობით იგი არჩეული იყო კოოპერატივის გამგეობის წევრათ. ჯამაგირი დაენიშნა 35 მან...*

*ხშირად დადიოდა ჩემთან, ხშირად გვიხდებოდა ბაასი საჭირბოროტო საკითხებზე და მეტწილად ჩვენი აზრი ვერ უთანხმდებოდა ერთმანეთს...“*

ჩვენთვის უცნობია, თუ რამდენ ხანს დაჰყო ქიზიყში ქსნის ერისთავიანთ წარმომადგენელმა და რამდენ ხანს ემსახურა თავისი ცოდნა-გამოცდილებით კახეთის ამ უბატონო კუთხეს. მისი მოგონებებიდან ვგებულობთ, რომ, იქ ყოფნისას მას ძალზე საჭირო და შრომატევადი სამუშაოები ჩაუტარებია.

**კოლას და ილიას ურთიერთობა**

ნიკოლოზ ერისთავის ცხოვრებიდან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მისი კეთილმეგობრული დამოკიდებულება ქართველი ერის მამასთან ილია ჭავჭავაძესთან. კოლამ თავისი პირველი შვილი გიორგი – გიგუშა, რომელიც, სამწუხაროდ, შვიდი წლის ასაკში გარდაიცვალა, ილიას მოანათვლინა. ძალიან ჰყვარებია დიდ მგოსანს ახალგორში სტუმრობა. კოლას მეუღლის – ტასო ციციშვილის ნახელავ სადილს ხშირად ნატრულობდა თურმე. ილიასი და მისი ნათელ-მირონის ფასი კარგად იცოდნენ ახალგორის ერისთავებმა, ამიტომ იყო რომ ყველა ეთაყვანებოდა მგოსანს. კოლას ქალიშვილებს დიდი სიყვარულით გამოჰყავდათ ცნობილი

აფორიზმები მოქარგულ აბრეშუმზე და ტილოზე. ჩვენამდე მოღწეულ ერთ ძველ ფოტოზე ოჯახის დიასახლისის უკან მოჩანს ჩუქურთმიან შირმაზე გადაჭიმული, ერისთავის ქალების ხელით ამოქარგული სიტყვები:

**„იცოცხლე დიდხანს ჩვენო**
**ილია**
**შენით აქვს ქართველს**
**დიდი გულია“.**

ცნობილია, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ქართლში ერთ-ერთ დიდ დღესასწაულად ითვლებოდა „ილიაობა“ (20 ივლისი), რომელშიც მთელი საქართველო მონაწილეობდა. „ილიაობა“ არც ერთხელ არ ჩატარებულა ისე, რომ იქ კოლა არ ყოფილიყო მიწვეული და თან როგორც სუფრის ხელმძღვანელი. *„სწორედ „ილიაობაზე“ მჟღავნდებოდა მთელი სიცხადით ილიას ნამდვილი ქართველური ბუნება-გულუხვობა, პურადობა, სტუმრის ღირსეული დახვედრა და ხელგაშლილი მასპინძლობა“.*[1] საგურამოში გამართულ ზეიმს, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით სახალხო დღესასწაულად გადაიქცეოდა ხოლმე საინტერესოდ გადმოგვცემს ი. მანსვეტაშვილი.[2]

*„დღეობის მზადებას შეუდგებოდნენ ხოლმე რამდენიმე დღის წინად. მერე რა მზადებას! იკვლებოდა რამდენიმე ძროხა, ცხვარი, ბატი, ინდაური, აუარებელი ქათმები, იჟლიტებოდა უთვალავად ვარია, წიწილა, იდგა მთელი ხროვა სხვადასხვა მწვანილეულობისა, გატენილი ტომრები ბოსტნეულობისა, სავსე გოდრები ხილეულობისა. ცხვებოდა აუარებელი პური, შოთი, ნაზუქი, იხდებოდა ქვევრები საგურამოსი და ყვარლური ღვინოებით სავსენი. მახსოვს, ერთ დღეობას, სამი საპალნე ღვინო დაიხარჯა, ე. ი. 2250 ბოთლი... ცოცხალი ზუთხი მოდიოდა ძღვნად ფოთიდამ, არაგვიდან ცოცხალი ორაგული მოჰქონდათ საგურამოელ გლეხებს. აქაიქ ელაგა ქალაქური ტკბილეულობით და ტკბილი ნამცხვრებით სავსე სინები. სამოცი ხელი ლოგინი იყო დამზადებული იმ სტუმრებისთვის, რომელნიც რამდენიმე დღით დარჩებოდნენ ხოლმე საგურამოში“.*

მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც იმ ხანად წინამძღვრიანთკარის სასწავლებლის მოწაფედ ითვლებოდა, ზედიზედ ოთხგზის მონაწილე ყოფილა „ილიაობისა“. სწორედ ის იგონებს კოლა ერისთავის თამადობას ილიას დღესასწაულზე, იგონებს როგორც ენამჭევრს და ი.

---

1 შარაძე გ., ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 101.
2 იქვე, გვ. 106.

ჭავჭავაძის დიდ მეგობარს: *„...თამადად კოლა ერისთავია. სვამს და სხვებსაც ასმევს, თან ენამჭევრობს, დროგამოშვებით ილიას ლექსებს ამბობს და სხვებსაც ათქმევინებს. ილიას მეუღლის ოლღას სადღეგრძელოს რომ გამოაცხადებდა, უეჭველად „განდეგილის" ნაწყვეტსაც იტყოდა ხოლმე. ილია მასპინძლობს: სუფრას ხშირად ჩაჰყვება, ყველას დახედავს, ულხენს და თვითონაც ილხენს".*[1]

ილიასადმი დიდი მეგობრობისა და სიყვარულის მატარებელ კოლა ერისთავს გადაწყვეტილი ჰქონია დაეწერა მემუარები, რისთვისაც წინასწარ გეგმაც კი შეუდგენია. ცალკე ქაღალდის ფურცელზე დაუწერია „ილია ჭავჭავაძე" და ქვემოთ ჩამოუწერია:

„1. ტეატრი.

2. 1880 წ. საზოგადოება.

ჩემი პირველი შთაბეჭდილება.

ჩემი მისდამი გაცნობა.

მისი საღამოები. ხუთშაბათები.

საღამო ივერიის გამოსვლისა

...............................................................

გრიგოლ ორბელიანის დასაფლავება

სიტყვა ილიასი. სიტყვა აკაკისი.

ყიფიანის დამარხვა.

ერთი შემთხვევა ყიფიანის სასტუმროში....

ილიაობა საგურამოში.

ქიზიყელები ილიობას.

ილიობა ბანკომიადის დროს..."[2]

ჯერჯერობით უცნობია, მოახერხა თუ არა კოლამ მეგობარზე მოგონებების გაკეთება, რაც ძალზე საინტერესო იქნებოდა საზოგადოებისთვის.

**კოლა – იუნკერის მამა**

კოლა ერისთავს ქიზიყში წასვლისას (1897 წელს) ერთადერთი ვაჟი, ილიას ნათლული გიორგი (გიგუშა) დაეღუპა, იმავე წელს მის სახლში ორი ქალიშვილის შემდეგ გაჩნდა ბიჭი სახელად შალვა. მომავალი იუნკერი, თბილისელებისთვის კარგად ცნობილი პირველი ფეხბურთის მოთამაშე და მორბენალი, საქართველოს თავისუფლებისთვის კოჯორ-ტაბახმელასთან გამართული სისხლისმღვრელი ბრძოლების გმირი.

---

[1] შარაძე გ., ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ.105.

[2] ხელნაწერთა ეროვ. ცენტრი -1000.

ახალგორის მამა-პაპეულ ციხე-სასახლეში გაზრდილმა შალვამ, რომლის სახელი მშობლებმა დაუკავშირეს ქსნის ხეობაში, ახალგორის იმავე სასახლეში გაზრდილ ბახტრიონის გმირის – წმინდამოწამე შალვას სახელს, ქართული სამხედრო სკოლის დაარსებისთანავე 1919 წ. ჩააბარა გამოცდები და იუნკერთა ფორმა მოირგო. სკოლას ჯერ გიორგი კვინიტაძე, შემდეგ კი ალექსანდრე ჩხეიძე ხელმძღვანელობდა. სკოლის მოწაფე-იუნკერებს იმ დროის საუკეთესო მეცნიერები ასწავლიდნენ: ისტორიას ივ. ჯავახიშვილი, ქართულს კორნ. კეკელიძე, სამხედრო საქმეს კი იმ დროის გამოჩენილი ოფიცრები. იუნკერებმა პირველი საბრძოლო ნათლობა თბილისში დიდი მთავრის ქუჩაზე (დღევანდელი უზნაძის ქუჩა) მდებარე მათ სასწავლებელზე ბოლშევიკების თავდასხმისას მიიღეს, შემდეგ ლაგოდეხში სამხედრო ამბოხის ჩახშობისას.

1921 წლის 17 თებერვალს იუნკერებს მე-11 წითელი არმიის ნაწილების კოჯორ-ტაბახმელასთან შეკავება დაავალეს. რვა დღე და ღამე შეტაკება არ შეწყვეტილა კოჯრისა და შავნაბადას მონასტერს შორის გაშლილ ფრონტზე. იუნკერთა შეუპოვრობის გამო სერგო ორჯონიკიძემ უფრო ძლიერი და გაწვრთნილი ბაქოს წითელი სამხედრო სასწავლებლის კურსანტები გამოიწვია. ახლა მათ შემოუტიეს იუნკერთა შეთხელებულ რიგებს. ქართული „ვაშა“ და რუსული „ურა“ ერთმანეთში აირია. ბაქოელმა კურსანტებმა ვერ გაუძლეს შემოტევას და უკან დახევა დაიწყეს. ალ. ჩხეიძის თქმით: **„კოჯორ-ტაბახმელასთან ხუთწვერიანი ვარსკვლავის ბრწყინვალება დაჩრდილა თეთრი გიორგის ელვარებამ“.**

24 თებერვალს ბოლო შეტაკება მოხდა ბაქოელ ბოლშევიკ კურსანტებსა და ქართველ იუნკერებს შორის. *„კურსანტებმა ვერ გაუძლეს შემოტევას და უკან დახევა დაიწყეს, ამ დროს მათ ზურგს უკან მაღლობიდან ტყვიამფრქვევი აკაკანდა. წითელარმიელები ღია მინდორზე მყოფ იუნკერებს 120 მეტრიდან ესროდნენ. კაპიტანმა ჩოჩუამ იუნკერთა ერთი გუნდი პირდაპირ ტყვიამფრქვევისაკენ დაძრა. კაპიტანი მალევე ჩაიკეცა ქრილობისგან.*

*ყველასაგან დაწინაურდა მთელ მაშინდელ ტფილისში სახელგანთქმული ფეხბურთელი, მუხლსწრაფი იუნკერი, რომელმაც გორაკზე არბენისთანავე ხიშტზე წამოაგო მემიზნე ოფიცერი და საკუთარი სხეულით ტყვიამფრქვევს გადაეფარა. მეგობრების მიახლოებისთანავე ტყვიამფრქვევით დაგლეჯილი წამოიწია: „დადექ, ვინა ხარ?“ – შესძახა და სული დალია. ეს 22 წლის იუნკერი ქსნის ერისთავთა შთამომავალი შალვა ერისთავი იყო“.*

ამ ამბიდან გადის ორი ათეული წელი და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მომსპობი საბჭოთა რუსეთი გერმანელების წინააღმდეგ მებრძოლ ალექსანდრე მატროსოვის გმირობის – ტყვიამფრქვევზე მკერდით გადაფარვის სცენით თავს იწონებს მთელს მსოფლიოში, ხოლო ბევრად ადრე ჩადენილი შალვა ერისთავის ამ გმირობაზე ლაპარაკი 70 წლის მანძილზე ტაბუდადებული იყო. საერთოდ ამოშალეს ქვეყნის ისტორიიდან იუნკერების და მათ შორის სამშობლოსთვის შალვას თავგანწირვა. 24 რიცხვში შალვა ერისთავის გარდა დაიღუპნენ იუნკრები: ოთარ ლორთქიფანიძე და იოსებ ჯანდიერი. დაიჭრა 15 იუნკერი.

იმავე ღამეს ქართულმა შენაერთებმა პოზიციების დატოვების ბრძანება მიიღეს. დაღუპული იუნკრებისთვის საძმო საფლავები გაითხარა. ერთი დღევანდელი პარლამენტის შენობის ადგილზე მდებარე ტაძრის ეზოში, მეორე დღევანდელი ვაკის სასაფლაოს მიმდებარე და ბაგების ტერიტორიაზე.

შალვა ერისთავის ცხედარი დასთან და საცოლესთან ერთად მეგობრებმა სრულიად საიდუმლოდ ტომრით მოპარეს და დაკრძალეს ვერის სასაფლაოზე დანიელ ჭონქაძის გვერდით. მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ ჭირისუფლებს საფლავზე ქვის დადების ნებართვა არ მისცა. სანამ კოლა ერისთავი ცოცხალი იყო არაერთხელ აკურთხებინა შვილის ძეგლდაუდგმელი საფლავი. ამის მერე აღარც ოჯახს მოუსურვებია საფლავის შეურაცხყოფის შიშით იქ რაიმე ნიშნის გაკეთება.

ამ ტრაგიკული ამბის შემდეგ მრავალი წლის მანძილზე ოჯახის წევრებისა და მეგობრების გარდა შალვას საფლავზე დადიოდა მისი საცოლე ანა ვასილევა, რომელიც დედით სიდამონ-ერისთავის შთამომავალი იყო. ანა სიკვდილამდე ატარებდა შალვა ერისთავის სიყვარულს და ამბობენ, უკვე მოხუცი აგონიაშიც მხოლოდ მის სახელს ახსენებდაო.

2010 წელს შალვა ერისთავის დისშვილის შვილ ქალბატონ თამარ აშხაცავას ინიციატივით და საზოგადოების მოთხოვნით, ქ. თბილისის მერიამ დააფინანსა ვერის ყოფილ სასაფლაოზე მწერალ დ. ჭონქაძის გვერდით დაკრძალული იუნკერის შალვა ერისთავის საფლავის კეთილმოწყობა და მასზე ძეგლის დადება. დღეს მთელი ჩვენი საზოგადოებისაგან ბევრად უფრო მეტი ყურადღებისა და პატივისცემის ღირსია სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული 22 წლის ჭაბუკი, რომელმაც თავის წმინდა, ქართული სისხლით და ხორცით დაადუმა საქართველოს გულის დასაფლეთად მომართული ტყვიამფრქვევი.

ნიკოლოზ დავითის ძე ერისთავს იუნკერი ვაჟის გმირული სიკვდილის შემდეგ დარჩა ორი ქალიშვილი: თამარი (1893-1980) და ნინო (1895-1928). თამარი არ გათხოვილა და შესაბამისად შთამომავალიც არ დარჩენია. ნინო კი ცოლად გაჰყვა აფხაზ აზნაურს სიმონ მიხეილის ძე აშხაცავას, რომლის მიერ ერისთავების გაცნობა და ახალგორში ასვლა ზღაპრის სიუჟეტს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალობას.

ერთხელ კოლა ერისთავს მეტეხის დაღმართზე ეტლით ჩამოუვლია და დაუნახავს მეტეხის ციხიდან ქუჩაში გადმოგდებული მომაკვდავი პატიმარი, ცხენები გაუჩერებია და მეეტლესთვის უთქვამს, – ჩადი, ნახე, იქნებ ცოცხალიაო.

მივიდა მეეტლე, ნახა სულთმობრძავი და ამბავი მიუტანია:

– ჯერ კიდევ სუნთქავს ბატონოო.

კოლა ერისთავს ჩაუსვამს ეტლში უცნობი კავკასიელი და წაუყვანიათ ახალგორში. იქ ერთწლიანი მკურნალობის შემდეგ ყოფილი პატიმარი, რომელიც ქართულად ვერც კი ლაპარაკობდა შეყვარებია უმცროს ქალიშვილს – ნინოს და ჯვარიც დაუწერიათ. შემდგომ აფხაზეთში წასული ერისთავის ასული ჭლექით დაავადდა და 31 წლისა გარდაიცვალა. დარჩა მხოლოდშობილი შვილი შალვა, შინაურებში ბიჭიკო, რომელსაც სახელი ერთადერთი ძმის, 1921 წელს დაღუპული იუნკრის, შალვა ერისთავის პატივსაცემად დაარქვეს. შალვა აშხაცავა გახლდათ კოლა ერისთავის ერთადერთი შვილიშვილი, დაობლებულის აღზრდა დეიდა თამარმა ითავა და ამის გამო აღარც გათხოვილა.

სიმონ აშხაცავას ტარტუს უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული და პირველი მეცნიერი გახლდათ აფხაზებს შორის, იყო საზოგადო მოღვაწე, ენათმეცნიერი და არქეოლოგი. ქართული არ იცოდა, სულითა და მსოფლმხედველობით აფხაზი იყო, ყველაფერს აკეთებდა, რომ აფხაზეთი წინ წასულიყო. სიმონს აფხაზეთში ეროვნული სულის გამოსაცოცხლებლად ორი პიესა დაუწერია – „საფარ-ბეი“ და „ომარ-ბეი“. აშხაცავამ სოხუმში დააარსა ორი ინსტიტუტი – „აპანი“ და „ვნიჩინსკი“, სადაც ბუნებისმეტყველებას და ენათმეცნიერებას სწავლობდნენ. წლების განმავლობაში იყო აფხაზეთის განათლების მინისტრი. 1938 წლის დასაწყისში ის სანაპიროზე გაიყვანეს და ყოველგვარი სასამართლოს გარეშე დახვრიტეს. ამ აქტიდან 60 წლის შემდეგ 1998 წელს სოხუმში ყოფილ მშვიდობის გამზირს სიმონ აშხაცავას სახელი ეწოდა.

## ნიკოლოზ დავითის ძე ერისთავის გენეალოგია

გიორგი რევაზის ძე (ყულარაღასი)
I. თამარ დიმიტრის ას ამილახვარი
II. მარიამ (მაია) ზაზას ას თარხან-მოურავი (1751-1810)

ლუარსაბი (1754-1817)
მარიამ ფარნაოზის ას წულუკიძე

ლევანი (1805-1856)
I. ქეთევან ბაგრატიონი მუხრანბატონის ას (1807-?)
II. თამარ გრიგოლის ას ჩოლოყაშვილი (1818-?)

ანასტასია (1811-1886)
I. დავით თუმანიშვილი
II. გივი ბარძიმის ძე ამილახვარი (1810-1877)

რევაზი (1813-1865)

**დავითი** (1814-1889)
I. სალომე შალვას ას ერისთავი (1826-?)
II. ანა გრიგოლის ას ბებუთოვა (1839-1918)

მარიამი (1816-?)
დავით ივანეს ძე ჯორჯაძე

**ნიკოლოზი** (1865-1933)
ანასტასია გიორგის ას ციციშვილი (1864-?)

გიორგი (ჟორჟიკა)

თამარი ნიკოლაევი

დარია ჯავახიშვილი

მარიამი ამილახვარი

სოფიო ფურცელაძე

**გიორგი** (გიგუშა) (1890-1897)
ი. ჭავჭავაძის ნათლული

**თამარი** (1893-1980)

**ნინო** (1895-1928)
ს. აშხაცავას მეუღლე (1886-1937)

**შალვა** (1898-1921)
იუნკერი

**შალვა**

**თამარი**

**ნინო ფურცელაძისა**

**დეა**

**ნინო** (ნიცა)

## ჟორჟიკა (გიორგი) დავითის ძე ერისთავი

დავით ლუარსაბის ძე ერისთავის უმცროსი ვაჟიშვილი გიორგი, შინაურობაში ჟორჟიკა, დაიბადა 1869 წელს სოფ. ახალგორში. ექვსი წლის ყმაწვილი თავის ოჯახთან ერთად უკვე თბილისშია. იგი ტანმორჩილი, კაფანდარა ახალგაზრდა გახლდათ, რაც ქსნის ერისთავიანთ გვარში იშვიათი შემთხვევა იყო. ჟორჟიკას კერძო მფლობელობაში ჰქონდა მდ. ქსნის ზემო წელზე ყელისტბის მიმდებარე საზაფხულო საძოვრები. ოცდაათი წლის ასაკში ცოლად შეირთო ნინო ჯავახიშვილი, რომელთანაც შეეძინა სამი ვაჟი: დავითი (1901-1942), ილია (1904-1984) და რევაზი (1911-1913) რომელიც ორი წლის ასაკში წითელათი გარდაიცვალა.

ჟორჟიკას (გიორგის) 1928 წელს „9 იანვრის“ ქუჩაზე (დღევანდელი ტერენტი გრანელის ქუჩა) აუგია აგურის დიდი ორსართულიანი სახლი (33 ოთახი) თავისი სარდაფით. როგორც მისი შვილიშვილები ქალბატონი ლეილა დავითის ასული ერისთავი და გიორგი ილიას ძე ერისთავი იგონებენ, ახალაშენებული სახლის ფართო აივანზე ნებივრად მწოლიარე ჟორჟიკა პაპანაქება სიცხეში აბეზარ ბუზებს რომ არ შეეწუხებინათ, მუდამ თავს ადგა ორი ზანგი დიდი „ფარშევანგის“ მარაოთი და აქეთ-იქიდან უნიავებდნენ. ამ სცენის ხშირი მოწმენი, იმდროინდელი თბილისის ცნობილი ქორეოგრაფი – ბალეტმაისტერი დავით (ტუზიკა) მაჭავარიანი და მუსკომედიის მსახიობი ჩოხელი ყოფილ საბჭოს მოედანზე გავლისას, მარაოს მქნეველი ზანგების დანახვისთავე ერთმანეთს ეტყოდნენო – „დიდ კნიაზს სძინავსო“.

59 წლის ჟორჟიკა გულის შეტევით 1928 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა. მისმა მეუღლემ ნინო ჯავახიშვილმა ქმრის სიკვდილის შემდეგ კიდევ 15 წელი იცოცხლა და 1948 წელს გარდაიცვალა.

ჟორჟიკას უფროსი შვილი დავითი XX საუკუნის 20-30-იანი წლების თბილისის აღიარებულ საუკეთესო მოცეკვავეთა სამეულშია: № პირველ მოცეკვავედ ითვლებოდა მიხეილ ბახუტაშვილი, შემდეგ დავით (დათა) ერისთავი და ხეთაგუროვი. ამ სამეულის აღზრდილად თვლიდნენ შემდგომში ქართული ცეკვის ჯადოქრად აღიარებულ ილიკო სუხიშვილს.[1] დავით ერისთავის უდავოდ დიდ დამსახურებად ითვლება ოპერა „დაისის“ პირველად დადგმა ქართულ სცენაზე.

[1] იხ.: კასრაძე ქ., „ტაშით მსოფლიოს გარშემო“.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩამდგარი დავით ერისთავი სხვა მრავალ ქართველთან ერთად ქერჩის ნახევარკუნძულზე 1942 წელს გამართულ ერთ-ერთ გადამწყვეტ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. დავითს ცოლად ჰყავდა აფხაზეთის დიდებული თავადის ნესტორ ინალიფას ასული ლუბა (შემდგომ ინალიშვილი). სამწუხაროდ, მათ მხოლოდ ერთი ქალიშვილი შეეძინათ, ქალბატონი ლეილა, რომელმაც სამი შვილი: დავითი, ლევანი და მაკა გაუზარდა სამშობლოს. ლეილას სიძე, ბატონი გივი ჭიჭინაძე დღეს ანსამბლ „ქართული ხმების" თვალსაჩინო წარმომადგენელია.

ჟორჟიკას უმცროსი ვაჟი ილია დაქორწინებული იყო ელიზავეტა ზიგანის-ნემიკინაზე. მათ 1942 წელს შეეძინათ ვაჟი გიორგი, რომელმაც წარმატებით დაამთავრა თბილისის კონსერვატორია საფორტეპიანოს განხრით და 33 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ქ. რუსთავის მუსიკალურ სასწავლებელს.

გიორგი იგონებს: *„პაპაჩემის, ჟორჟიკას აშენებული სახლის პირველ სართულზე, სადაც ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე მოსამსახურეები და მოურავი ცხოვრობდა. 50-იან წლებში ცხოვრობდა ახალგორის, მაშინდელი ლენინგორის, რაიონის რაიკომის საკმაოდ ცნობილი მდივანი იოსებ უზნაძე. მე მის შვილებთან ვმეგობრობდი. ერთხელაც მისი თხოვნით თავის ბავშვებთან ერთად მამის თანხმობით რაიკომის ვილისით წამიყვანა ახალგორში. მაშინ რაიკომი, აღმასკომი და ზოგიერთი სხვა დაწესებულება განთავსებული იყო ჩემი დიდი პაპის – დავითის საგვარეულო სასახლეში. ბავშვები მის აივანზე ვერთობოდით, ერთ დღეს მხარზე ხელმოხვეულს ღიმილით მითხრა, აქ არის და შენს პაპისეულ სახლში ვცხოვრობ და ვმუშაობ, თბილისშია და პაპაშენის აშენებულ სახლში ვარ, მეზობლობაც ასეთი უნდაო".*

დღეისთვის გიორგის პაპისეული სახლიდან მხოლოდ ორი ოთახი შემორჩა. ძალზე სამწუხარო ფაქტად რჩება, რომ ამაყი და მკაცრი მემამულის დავით ლუარსაბის ძის პირდაპირ შთამომავალთაგან „უკანასკნელ მოჰიკანებად" ქალბატონი ლეილა და ბატონი გიორგი მიიჩნევიან.

## გიორგი (ჟორჟიკა) დავითის ძე ერისთავის გენეალოგია

გიორგი ყულარაღასი

ლუარსაბი

**დავითი**
**ანა ბებუთოვა**

ნიკოლოზი

**გიორგი (ჟორჟიკა)** (1869-1929)
ნინო დავითის ას ჯავახიშვილი (?-1943)

**დავითი (დათა) ქორეოგრაფი**
(1901-1942)
ლუბა ნესტორის ას ინალიფა
რეპრესირებული 1952 წ. (გარდ. 70-იან წ.)

**ლეილა** (დაიბ. 1928 წ.)
სოხაძისა

**დავითი** **ლევანი** **მაკა**
**ჭიჭინაძისა**

**ილია** (1904-1984)
ელიზავეტა ზიგანიდი-ნემიკინა

**გიორგი** (დაიბ. 1942 წ.)

თამარი
ნიკოლაევი

დარია (1873-1962)
ჯავახიშვილი

ნინო ჯაფარიძისა

გულიკო

მარიამი
ამირინდო ამირინდოს ძე
ამილახვარი დაიბ. 1848 წ.

სოფიო (1861-1918)
ფურცელაძე

# თავი IX

## კორინთა

*„პაპაჩემმა დიდებული ქორწილი გადაიხადა.*
*ამ ქორწილში ქართლის მთელმა დიდკაცობამ*
*მოიყარა თავი. აქ იყვნენ ერისთავიანნი, მათ შორის*
*კონა ერისთავი, შესანიშნავი თვალ ტანადი ვაჟკაცი,*
*პოეტი გლუხარიჩი, დიდი და უსახური კაცი, მურივით შავი*
*თვალებით და დიდი ცხვირით...“*

***ივანე გიორგის ძე ციციშვილის მოგონებიდან***

საერთო ტრადიციისამებრ, ერისთავთა მამა-პაპეულ ძველ ფუძეზე საცხოვრებლად რჩებოდა უმცროსი ძე. ერისთავებში მიღებულ ამ ტრადიციას მოწმობს ერთი ისტორიული ცნობაც, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ერისთავები გაყრილან, ქონება გაუნაწილებიათ, ხოლო *„ახალგორის სასახლე შემოგარენით გალავნის შიგნით მოქცეული ბაღით და სახლით, რომელიც შანშე ერისთავმა ააგო და მოედნით – საუნცროსოდ გამოყვეს“*. ე. ი. ახალგორს ტოვებენ უფროსი ვაჟიშვილები და რჩებიან უმცროსები.

კეთილი ზნით, აღმშენებლობით და საქართველოს მეფისადმი ერთგულებით ცნობილ დავით იესეს ძე ქსნის ერისთავს (1753-1774 წწ.) ხუთი ვაჟიდან უფროსს – როსტომს წილში ხვდა სოფელი კორინთა, სადაც მისი სასახლის შემორჩენილ ფრაგმენტებს ბოლო დრომდე ადგილობრივი მცხოვრებნი „როსტომისეულ ნასახლარს“ უწოდებენ.

როსტომს ჰყოლია ორი ვაჟი დავითი და შალვა. დავითი, როგორც უფროსი შვილი, კორინთიდან აყრილა და სამემკვიდრეოდ მიღებულ სოფელ ოძისში დასახლებულა.

- დავითი
  - იასე (კახეთის ყულარაღასი)
    - **დავითი** (1753-1774 წწ.)
      - **როსტომი**
        - **დავითი**
        - შალვა
      - ვარლამი (მიტროპოლიტი)
      - მიხეილი
      - მირმანოზი
      - სოლომონი

სოფელი კორინთა მდებარეობს მთის პატარა მდინარის – ალეურას ქსანთან შეერთებით წარმოქმნილ სამკუთხა კონცხზე, ზღვის დონიდან 1000 მეტრის სიმაღლეზე. აკადემიკოს გ. ჩიტაიას მიერ გაკეთებული დარაიონების მიხედვით, კორინთით მთავრდება ბარის ზოლი და იწყება მთისძირა გარდამავალი ზოლი. ლ. გვრიტიშვილის თქმით, *„სოფელი კორინთა მდებარეობს მაღალ კონცხზე, იქ სადაც ქართლის სამეფოს მნიშვნელოვანი გზები გადიოდა.... იგი ვახუშტისეულ „ვენახოვან, ხილიან, მოსავლიან“ და გ. ჩიტაიას მიერ დადგენილ მთის ძირის სამეურნეო ზონაშია მოქცეული“.*[1]

აღნიშნული სოფლის სახელი – კორინთა, ზეპირი გადმოცემის თანახმად, დაკავშირებული უნდა იყოს საბერძნეთის კორინთოსთან. ადგილობრივ მცხოვრებთა თქმით: *„ეს სოფელი ადრე სხვა სახელის მატარებელი ყოფილა. აქ კორინთოდან მოუვლენიათ მისიონერი ქრისტიანობის გასამტკიცებლად. მოსულა, დასახლებულა, ძალზე მოსწონებია აქაური ზვარი, ბაღი, ბოსტანი და კმაყოფილს უთქვია: ძალიან ჰგავს კორინთოს, სწორედ მეორე კორინთოა. მერე დაერქვა კორინთა“*[2].

მართლაც, ადრექრისტიანული ხანის საქართველოში სარწმუნოების გასამტკიცებლად *„... ჩვენში ერთმორწმუნე საბერძნეთიდან და პალესტინიდან შემოდიოდა არა მარტო საკულტო ნაგებობათა ტიპები, არამედ*

[1] გვრიტიშვილი ლ., ქსნის ხეობის სოფლების ისტორია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIII, გვ. 147.

[2] მთხრობელი ნესტორ ზაქარიას ძე თინიკაშვილი. დაბ. 1925 წ. სოფ. კორინთა; ვესაუბრე 2005 წ. 12 მაისს. ვ. ქ.

*მათი იქაური სახელწოდებანიც. ასე გაჩნდა ქართლში: „ნიქოზი“, „გეთსემანია“, „სიონი“ და სხვა“.*[1]

კორინთას თავისივე მოხერხებულმა სტრატეგიულმა მდებარეობამ მოაპოვებინა ხეობაზე გამავალი მნიშვნელოვანი გზების ჩაკეტვის ფუნქცია, რამაც ხელი შეუწყო მის დაწინაურებას და გაბატონებას ქსნის ხეობის გარდამავალ ზოლში. ამიტომაც იყო, რომ ადრე შუა საუკუნეებში კორინთაში წარმოიშვა და აღზევდა ძლიერი ფეოდალური გვარი – კორინთლები. მათი წარმომადგენელი X საუკუნის შუახანებში პრეტენზიას აცხადებდა და აქტიურად იბრძოდა საქართველოს სამთავროთა შორის პირველობისათვის ატეხილ ბრძოლაში.

კორინთელთა ფეოდალური სახლის თავდაპირველი და ძირითადი სამფლობელო კორინთა უნდა ყოფილიყო, რადგან ელ-სუფიქსიანი საგვარეულო სახელწოდება იწარმოება სამამულე ქვეყნიდან.

X საუკუნიდან XVII საუკუნემდე კორინთის შესახებ ყველა ისტორიული წყარო დუმს. სწორედ ამ პერიოდში ხდება კორინთელ ფეოდალთა დაქვეითება და აზნაურობამდე დამცრობა, რასაც ცხადია მოჰყვებოდა მათი ადგილ-მამულების დაკარგვა და ცხრაზმის ერისთავებისადმი მათი დაქვემდებარება.

შემდგომში, როგორც ქსნის ერისთავების კუთვნილი აზნაურები, XVIII საუკუნეში კორინთიდან გადადიან ლეხურის ხეობაში და ლეკების მიერ მოოხრებულ სოფ. რეხის ადგილზე აარსებენ სოფელ საკორინთლოს, ასევე სოფელ ილტოზას იქ ჩასახლებული კორინთლების გამო აღწერის დავთრებში კორინთლიანთ სოფლადაც მოიხსენიებენ.[2]

სოფ. კორინთის ცენტრში, ამაღლებული კონცხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეზე აგებულია წმ. მარინეს სახელობის ეკლესია, რომლის გვერდით ცოკოლის დონეზე ძველი ეკლესიის გეგმა იკითხება. *„აღნიშნულ ეკლესიას გააჩნია V-VII საუკუნეებისთვის დამახასიათებელი ნიშნებიც. კერძოდ ის, რომ მასში შიდა სივრცე პილასტრებითა და საყრდენი თაღებით არ არის დანაწევრებული. .... კორინთის ძველი ეკლესია მნიშვნელოვნად უფრო მაღალი რანგის მშენებლობაა, ვიდრე მოსაბრუნი, ზომებითაც უფრო დიდია და ნაწილობრივ თლილი ქვითაა მოპირკეთებული“.*[3]

---

1 Бакрадзе Д., Кавкав в древних памятниках христианства, Тб., 1878.

2 იოანე ბატონიშვილი, „ქართლ-კახეთის აღწერა“, თბ., 1986 წ. გვ. 36.

3 გვრიტიშვილი ლ., ქსნის ხეობის სოფლების ისტორია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIII.

იქვე ეზოში საფლავებია, რომლებიც შესაძლოა ერისთავების სახლ-თან დაკავშირებულ გმირებს და წმ. მარინეს ეკლესიის მღვდლებს ეკუთ-ვნოდათ. გადმოცემით, წმ. მარინეში ინახებოდა ალევის წმ. სამების მონ-ასტრის საგანძური.

ასევე ძველი ისტორიის ნიშანწყლად სოფელში შემორჩენილია 25 მეტრის სიგრძის მაღალი გალავანი, რომელიც მთლიანობაში ზღუდედ გარს ეკვროდა ეკლესიას და იქ არსებულ ერისთავების სასახლეს. გალა-ვნის სიმაღლე 5 მეტრია. მასში სათოფეებია შემორჩენილი. მის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში, მდ. ქსნისკენ შემორჩენილია მრგვალი კოშკის ძირი-თი ნაწილი. მასზე დღეს საცხოვრებელი სახლია დაშენებული.

რაც შეეხება როსტომ ერისთავის სასახლეს, რომელიც გალავნით იყო დაცული, მისგან თითქმის აღარაფერია შემორჩენილი. მის ნასახ-ლარზე შემდგომ 3-4 ოჯახი დასახლებულა. რომ წარმოვიდგინოთ, თუ როგორ გამოიყურებოდა როსტომისეული სასახლე 1856 წლის ზაფ-ხულში დაგვეხმარება ელისაბედ ერისთავის ბებიისა და გ. დ. ერისთავის მეუღლის მართა დავით თარხან-მოურავის ასულის მოგონება, რომელიც ინახება საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში. *„მეორე სოფელშიაც* (კორინთაში. ვ. ქ.) *მაქვს სახლი საზაფხულო ადგილი არი-სო. მაშინ იქ წავიდეთ – უთხარი. ავიყრენით და წავედით. ორი საათის სავალი იყო. ავედით ერთ მაღალ გორაზე. დგას ერთი პატარა გალავანი. შიგ სახლებით. მშვენიერი საყურებელია მდინარე ქსანი დასავლეთით და სამხრეთით. სახლის ქვემოთ პატარა ბნელი ოთახები იყო, ზევიდან კი კარგი ოთახები, ექვსი ოთახი, ერთი კარგი ზალა, ზევიდან ამასაც ფი-ცარი* (ყავარი. ვ. ქ.) *ხურვია. სულ ქარს აუგლეჯია და ჩამოდის წვიმა, როგორც გარეთ ისე შინ. გალავანს შიგნით ერთი პატარა ეკლესია იყო საკუთარი ღვდლით. ამ ეკლესიის წინ ერთი ძირი კაკალი ედგა და ერთი ცაცხვის ხე. ამ გალავანში ერთი კომლი ნაყმევები გლეხი კაცი იდგა...“*[1]

სათოფეებით აღჭურვილი „პატარა გალავანი“, რომელიც მართას უნახავს კორინთის ციხე-სასახლის გარშემო, საქართველოში აქტუალო-ბას იძენს XVIII საუკუნის დასაწყისიდან, მას შემდეგ რაც საქართველოს დაუძინებელ მტერთა სიის ჩამონათვალში პირველ ადგილს იკავებენ ლე-კები.

---

[1] გიორგი ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, 19799-300.

კორინთას, როგორც ძველ სამემკვიდრეო ადგილს, ერისთავები ბოლო დროს ველარ აქცევენ საკადრის ყურადღებას. თუმც XX საუკუნის დასაწყისში იქ ე. თაყაიშვილს მოგზაურობისას ეკლესიის სამრეკლოსთან ერთად უნახავს კანკელი, რომელიც ზრუნვით და ყურადღებით მარიამ ერისთავს მოუხატვინებია. *„ქ. შემოგწირე კარისა ჩემისა ეკლესიას კორინთას წმინდის მარინესას კნეინა მარიამ ერისთავისა კანკელი ესე სულთა და ხორცთა ჩემთა საოხად და ძეთა ჩემთა სადღეგრძელოდ და გარდაცვალებულისა მეუღლისა დავით ერისთავის მოსახსენებლად“.*[1]

ჩვენ ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით კორინთას, სადაც გამოჩენილი მწერალი და დრამატურგი გ. ერისთავი სააკაძის შთამომავლის გვერდით ცხოვრობდა და ქმნიდა შედევრებს.

[1] Такаишвили Е., Археологические Экскурсии, Разыскания и заметки, V, стр. 65.

# თავი X

## ოძისი (ზოგადი მიმოხილვა)

*„ერისთავები სოფ. ახალგორიდან აყრილან: ზოგი ისევ ქსნის ხეობაში დარჩენილა, ზოგიც სხვა ხეობაში გადასახლებულა.*

*სოფ. ოძისს დამკვიდრებულა წილობა ქსნის ერისთავების ოჯახისა: დავით როსტომის ძე ერისთავი ცოლითა (მარიამ, ივანე მდივნის ქობულაშვილის ასული, სწორედ ამ მარიამმა მოახატინა კორინთის წმ. მარინეს ეკლესიის კანკელი) და თავის სამი ვაჟით: როსტომით, გიორგით და ივანეთი ანუ ოქროთი და სხვა ერისთავები ოჯახებით“* – წერს თავის მოგონებებში სოფ. კორინთიდან ოძისში ჩასახლებულ ერისთავთა შთამომავალი ელისაბედ დავითის ასული.[1]

XIX საუკუნის დასაწყისში სოფ. ოძისში ჩასულ დავით როსტომის ძე ერისთავს, სადაც ცხოვრობდნენ მისი განაყრებიც, მდინარე ქსნის სიახლოვეს სოფლიდან მოშორებით აუშენებია პატარა ორსართულიანი სახლი, რომლის ქვედა სართული მარანს ჰქონია მთლიანად დათმობილი. ზედა სართული კი ექვს საცხოვრებელ ოთახს უკავია.

როგორც ახალგაზრდა მეცნიერი ნინო ერისთავი თავის სადოქტორო ნაშრომში განიხილავს, აღნიშნული *„სასახლე ეტაპობრივად შენდებოდა. შესაძლოა მასში (მარნის სართულში) უფრო ძველი ნაგებობების ფრაგმენტებიც იყოს ჩართული. მესამე სართული თავისი აივნითურთ გვიანი დაშენებაა. განსხვავებას ვხედავთ კედლის წყობაში, აგრეთვე სარკმელთა მოხაზულობაში. ამიტომაა რომ მისი არქიტექტურულ-მხატვრული სახე არ არის მთლიანობაში გააზრებული“.*[2]

როგორც ცნობილია, მწერალი და დრამატურგი გიორგი ერისთავი 1813 წელს სწორედ დავით როსტომის ძის მიერ აშენებულ სასახლეში დაბადებულა. თუმცა არსებობს საფუძვლიანი ეჭვი რომ იგი დაბადე-

---

[1] ერისთავი ელ., მასალები გ. ერისთავის ბიოგრაფიისათვის; ლიტერატურის მატიანე, წ. V, ნაწ. I, თბ., 1949.

[2] ერისთავი ნ., დასახ. ნაშრ.

ბული უნდა იყოს სოფ. კორინთაში პაპის როსტომ დავითის ძის მიერ აშენებულ სახლში. დრამატურგის შთამომავლ მანანა ერისთავთან ინახება ალ. როინაშვილის მიერ გადაღებული ფოტო, რომელზეც ასახულია ხარაჩოებში ჩამჯდარი ერისთავების სასახლე. ცხადია, როინაშვილი 1813 წლამდე სურათს ვერ გადაიღებდა[1], გამოდის, რომ მდინარის ახლოს არსებული ერისთავების სასახლე ორ ეტაპად აუგიათ. პირველი ეტაპი გლუხარიჩის დაბადებამდე (1813 წ.) და მეორე ალ. რიონაშვილის გარდაცვალებამდე (1898 წ.). ასევე ამ აზრისკენ გვიბიძგებს ელისაბედ ერისთავის მოგონებაში ჩართული სიტყვები: *„მდ. ქსნის მახლობლად იდგა პატარა ორსართულიანი სახლი...“* ასეა თუ ისე, სასახლე-სახლ-მუზეუმი სახეზეა. მეტად დიდი, სამსართულიანი. ბაღებში ჩაფლული და უსახსრობის გამო აწ დანგრევის პირზე მისული. მისი I სართული სამეურნეო დანიშნულების ნახევრად სარდაფია. ორივე ფრთაში მარანია მოწყობილი. მათგან სამხრეთის ფრთაში მდებარე მარანი, სადაც ქვევრებია დაფლული, უფრო ფართე და გრძელია. ჩრდილოეთ ფრთაში საწნახელია. სამხრეთის მარნის სამხრეთ კედლის სისქეში მოწყობილია კიბის შესასვლელი, საიდანაც კიბე მეორე სართულზე ადის. მეორე სართულზე, სადაც ათი ოთახია, მოხვედრა ასევე შესაძლებელია ეზოდან აივანზე მიდგმული ქვის ერთმარშიანი კიბით.

II სართულის გეგმა III სართულის მსგავსია. სართულშუა გადახურვა ბრტყელია, ეყრდნობა ხის კოჭებს. ინტერიერი შელესილი და შეღებილია. I სართულის კარ-ფანჯარა ოთხკუთხაა, II სართულისა – ნახევარწრიულთაღიანი, III სართულის არშიაშემოვლებულ ფანჯრებს ბრტყელი თაღი ხურავს. თავდაპირველად სასახლე კრამიტით ყოფილა გადახურული. სახურავი ამჟამად თუნუქისაა.[2]

ოძისში დასახლებულ დავით როსტომის ძეს და მარიამ ქობულაშვილს შეეძინათ ვაჟები: როსტომი 1808 წ., გიორგი 1813 წ. და ივანე (ოქრო) 1816 წ. შვილებისთვის წერა-კითხვა დედას უსწავლებია. ქსნის მებატონის ოჯახი ერთ დროს შეძლებულ ოჯახს წარმოადგენდა, ხოლო შემდეგ, ისე როგორც მრავალი სხვა ქართველ თავადთა ოჯახები, ისიც გაღარიბებულა. ეს საინტერესო ქართული ტრადიციული ოჯახი, თავისი წარსული ისტორიით და საამაყო მომავლით გვავალდებულებს ვიცოდეთ მათი საოჯახო ამბებიც კი, რის საშუალებასაც მოგვცემს მათზე შემონახული საარქივო წყაროები.

---

[1] ალ. როინაშვილი დაიბადა 1846 წ. დუშეთში. 1865 წლისთვის მას უკვე გააჩნდა თავისი საკუთარი ფოტოლაბორატორია. მთელი საქართველო მოიარა ფეხით და დაგვიტოვა უნიკალური ფოტომასალა. გარდაიცვალა 1898 წ.

[2] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. II, გვ.19.

## დავით როსტომის ძე ერისთავი (1780-1830) და მარიამ (მართა) ივანე მდივნის ასული ქობულაშვილი (1786-1848)

დავით ერისთავი სოფ. კორინთაში უნდა იყოს დაბადებული დაახლოებით XVIII საუკუნის 60-იან წლებში. იგი იყო ქართლის მებატონე, უფროსი წილობა ქსნის ერისთავიანთ ოჯახისა, რომელიც ძველ დროში იქნებოდა „საერისთავოს გამგეთ“. დავითს მამა-პაპეული ადგილი ჰქონია როგორც გორში, ისე დუშეთის მაზრაში. გაყოფის შემდეგ მას წილად რგებია დუშეთის მაზრის სოფ. ოძისში ყმები და მამულები, სადაც XIX ს. დასაწყისში ააგო პატარა ორსართულიანი სახლი და საცხოვრებლად გადასულა კიდეც.

დავით როსტომის ძე ახალგაზრდობაშივე გამხდარა იმ კომისიის წევრი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ოსების გაქრისტიანებისთვის ხელის შეწყობა. მასთან ერთად ამავე კომისიაში მისიონერად უმუშავია დანიელ ჭონქაძის მამას გიორგის. შემდგომ დავითს მონაწილეობა მიუღია დუშეთის მაზრაში აჯანყებულ ოსების დაწყნარებაში.

დავით ერისთავი, როგორც სამხედრო პირი, მონაწილეობდა სხვადასხვა ომში: *„1803 წელს იბრძოდა ერევნის განთავისუფლებისათვის. 1810 და 1826 წლებში მონაწილეობდა საქართველოს სამხედრო საზღვრებთან თურქეთის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. 1827 წელს ირიცხებოდა ქართულ ცხენოსანთა ნაწილში და იბრძოდა სპარსელთა წინააღმდეგ. ..... დავითს ბრძოლაში მამაცობისთვის მიღებული ჰქონდა სხვადასხვა ჯილდო, მათ შორის ორდენიც.*

*ბოლოს იგი გადასულა სამოქალაქო სამსახურში, მიუციათ მისთვის „კოლეჟსკი სეკრეტარის“ ჩინი და ქართულ თავადაზნაურობას აურჩევია სახაზინო ექსპედიციის მრჩევლის თანამდებობაზე, რომელზედაც იგი მუშაობდა სიკვდილამდე. 1830 წლის აგვისტოს დავით ერისთავი ხოლერით გარდაიცვალა თბილისში“.*[1]

მეუღლე დავით როსტომის ძე ერისთავისა (როსტომის, გლუხარიჩის და ივანე – იგივე ოქროსი დედა), იყო ღვთისმოყვარე, წყნარი და კეთილი ადამიანი. ამასთანავე ქართული ენის და მწიგნობრობის ზედმიწევნით მცოდნე, ხელსაქმე – ქარგვა და ქსოვაც კარგად სცოდნია: *„მინახავს მისი ხელით ნაქსოვი ფირუზისფერი დიდი ხალიჩაც, რომელზედაც ბებიაჩემი*

---

[1] გაჩეჩილაძე ა., ნარკვევები XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1952 წ.

(გლუხარიჩის II მეუღლე თარხან-მოურავის ქალი. ვ. ქ.) *იტყოდა ხოლმე: „ესლა დამიხვდა ჩემი დედამთილისაო“, – იგონებდა მხცოვანი ელისაბედ დავითის ასული ერისთავი.*

## როსტომ დავითის ძე ერისთავი (1811-1847)

დავითი. 1753-74 წწ. ქსნის ერისთავი

**როსტომი**

**დავითი**

**როსტომი** | გიორგი | ივანე (ოქრო)

გიორგი: **დავითი** | კონსტანტინე | მარიამი

**ელისაბედი**

**ნინო**

**მანანა**

როსტომი იყო სამხედრო პირი: წოდებით პრაპორშჩიკი. ცოლად ჰყავდა თეიმურაზ ამილახვრის ასული ბარბარე, რომელსაც მასწავლებლად უმუშავია გორის ქალთა გიმნაზიაში. დავითის გარდაცვალების შემდეგ სამი ძმა გაყრილა. უფროს – როსტომს რგებია კორინთა,[1] გლუხარიჩს თბილისის სახლი,[2] ხოლო ივანეს ოძისი.

როსტომ დავითის ძე ერისთავზე ბევრი არაფერია ცნობილი. ვიცით, რომ დაღუპულა 36 წლის ასაკში 1847 წელს. დაკრძალულია სოფ. ოძისის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში. აწ დაკარგულ მისი საფლა-

---

1 ს. კორინთა დავით როსტომის ძის გარდაცვალებამდე (1830 წ.) კვლავ დავითს და მის ოჯახს ეკუთვნოდათ, რადგან დავითის ძმას შალვას იქ მემკვიდრე არ დარჩენია.

2 დავით როსტომის ძეს 1830 წელს ქ. თბილისში გაბაშვილებისაგან უყიდია მიწა პირველ კვარტალში (მაშინ თბილისი დაყოფილი იყო კვარტლებად) და აუგია ორსართულიანი სახლი. საქ. სახელმწიფო არქივში დაცულია ამ სახლის გეგმა. ფონდი 16. საქმე 4 / 44.

ვის მარმარილოს ქვაზე, როგორც ელისაბედ დავითის ასული ერისთავი იგონებს, გაკეთებული ყოფილა ეპიტაფია: *„აქ განისვენებს მტვერი თავადის როსტომ დავითის ძე ერისთავისა. გარდაიცვალა 1847 წ. ოქტომბრის 8-ს, 36 წლისა“*[1] ეს საფლავი ეკლესიის მარჯვენა მხარეს თაღის ქვეშ მდებარეობს.

როსტომს და ბარბარეს დარჩათ ერთი მცირეწლოვანი ვაჟი. მამის სიკვდილის შემდეგ შვილიც მომკვდარა. უშვილძიროდ დარჩენილ, დამწუხრებულ *„ამილახვრის ქალს ქმრის სახლში აღარ მოუსურვებია დარჩენა და მაზლებისთვის – გიორგისთვის და ივანესთვის მოუთხოვია სამკვიდრო – 4000 მანეთი.*[2] *როგორც არქივში დაცული მასალებიდან ირკვევა, გაღარიბებულ ერისთვთა ოჯახს ამ თანხის გადახდის საშუალება არ ჰქონიათ. ბარბარეს საჩივარი აღუძრავს, ბოლოს შეთანხმებულან გარკვეულ თანხაზე და ბარბარე ძმასთან გადასულა საცხოვრებლად კასპში“.*[3]

გარკვეული დროის შემდეგ ბარბარეს მამის წინააღმდეგობის მიუხედავად ძმის სახლიც მიუტოვებია და თავის გაზრდილ მოახლესთან ერთად ქ. პეტერბურგში წასულა, გაჩერებულა პოპოვების სახლში, შეუსწავლია რუსული და დაახლოებია იმ დროის რუსეთის ელიტარულ ოჯახებს. მოგვიანებით ბარბარე პეტერბურგიდან საფრანგეთში წასულა და იქ 14 წელიწადი ქ. ნიცაში გაუტარებია, იქიდან იტალიაში გადასულა, საიდანაც საქართველოში დაავადებული დაბრუნებულა. ცოტა ხანში ამილახვრის ამაყი ქალი კასპიდან იერუსალიმში მიემგზავრება – ამჯერად კი უკვე ფსიქიურად მოშლილი და დაავადებული ბრუნდება სამშობლოში: *„არავის არ ვნებდა, მხოლოდ ჩუმად იჯდა თავის ოთახში და სულ ფრანგულ წიგნებს კითხულობდაო, გარდაიცვალა ჩვენ სახლში სოფ. კასპში“, იგონებს ბარბარეს ძმისშვილის მონათხრობს ელისაბედ ერისთავი“.*[4]

---

[1] ელისაბედ ერისთავი მიიჩნევს, რომ 1811 წელს დაიბადა როსტომი და არა გიორგი. ამიტომაცაა, რომ 1847 წელს გარდაცვლილი 36 წლის იქნებოდა. შესაბამისად მისივე დასკვნით გლუხარიჩი დაბადებულა 1813 წელს.

[2] ელისაბედ ერისთავი თავის მოგონებებში ასახელებს 15 000 მანეთს, რომ მაზლებმა პირნათლად გადაუხადეს აღნიშნული თანხა, რაც ყოვლად დაუჯერებელია. ცხადია, ბარბარე სამემკვიდრეოდ გვარიან თანხას მიიღებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შეძლებდა საზღვარგარეთის 4 ქვეყანაში დიდი ხნით ცხოვრებას და თავისი კაპრიზების შესრულებას.

[3] გაჩეჩილაძე ა., ნარკვევები XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1952 წ.

[4] ერისთავი ელ., მასალები გ. ერისთავის ბიოგრაფიისათვის, ლიტერატურის მატიანე, წ. 5, ნაწ. I, გვ. 117-18.

## ივანე (ოქრო) დავითის ძე ერისთავი 1818-1870-იანი წწ.

ძმის მსგავსად ივანეც სამხედრო პირი იყო „პრაპორშჩიკის“ წოდებით. წერა-კითხვა დედამ და 5 წლით უფროსმა ძმამ გიორგიმ შეასწავლეს. გიორგისავე ზეგავლენით ივანეს მწერლობისთვის მოუკიდია ხელი. დაამთავრა თბილისის გიმნაზია. იცოდა რუსული და ფრანგული ენები. თანამშრომლობდა ახალდაარსებულ ჟურნალ „ცისკარში“, სადაც დაიბეჭდა მისი ორიგინალური ლექსი „იამბოკი“[1] ასევე „ცისკარში“ დაიბეჭდა მისი პროზაული თარგმანები: ბესტუჟევ მარლინსკის მოთხრობა „ამალათბეგ“[2] (ძმასთან გიორგისთან ერთად). ბერნარის – „სიძე ამისთანა უნდა“.[3] მოთხრობა „ქორწილი სახრჩობელაზედ“[4] (ფრანგულიდან) და „ფრანცუზის ხანის ჰარამხანაში“.[5]

ივანემ (ოქრომ) მონაწილეობა მიიღო 1850 წელს გ. ერისთავის ხელმძღვანელობით გამართულ პირველ წარმოდგენებში. კომედია „გაყრაში“ ასრულებდა პავლე დიდებულიძის როლს, ხოლო კომედია „დავაში“ ამირინდოს როლს.

ივანე ძმის – როსტომის მსგავსად ამილახვრებს დაუსიძევდა. ცოლად მიიყვანა ივანე ამილახვრის ასული თაფლო. სიტკბოებაში ცხოვრობდა ახალშექმნილი ოჯახი. შეეძინათ ორი ვაჟი, მაგრამ მათი ბედის ბორბალი მალე უკუღმა დატრიალდა.

ამბავი გრძელია, რომლის ციტირება მოუხდენია ელ. ერისთავს მამამისის – დავითის ხელზე მოსამსახურე ბიჭის ილიკო სუხიშვილის ჩანაწერებიდან.

*„1853 წ. 15 აგვისტოს (სამებობა დღეს) ფოსტას პეტერბურგიდან თბილისში დიდძალი ფული მოჰქონებია. შეუტყობინებია სიძისთვის სიმამრს ივანე ამილახვარს და თავიანთი კაცები დაუხვედრებიათ წილკნის ბოლოს საფოსტო გზაზე. მოუკლავთ ფურგონის შუა ცხენი. დაუწყიათ სროლა და ყვირილი. რუსი გამცილებლები და ჩინოვნიკები დამფრთხალან და მიმალულან. რაკი მძარცველებს ფული ხელთ უგდიათ დაუწყიათ ერთი-მეორის ძებნა. ყველა მოგროვილა მაგრამ მათში კლებიათ გაბრი-*

---

[1] „იამბოკის“ ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებისას 1861 წ. ივანე გადასახლებაშია, ჩანს აღნიშნული ლექსი გიორგიმ გამოაქვეყნა.

[2] ჟურნ., „ცისკარი“, 1852 წ. № 4, 5, 6, 7, 8.

[3] იქვე, № 9, 12.

[4] იქვე, № 10.

[5] იქვე, № 11.

*ელ მორბედაძე. მათ თავიანთი გულუბრყვილობით ხმამაღლა უკითხავთ: „კაცო, გაბრიელ მორბედაძე სადღა არისო?!“. იქვე მახლობლად ბუჩქებში დამალულ რუს ჩინოვნიკს გაუგია გვარი და სახელი. თბილისში ჩასულს პოლიციისთვის უთქვამს, მძარცველებში ვინმე მორბედაძე ურევიაო“.*[1]

გამოძიებამ მალე გამოარკვია, თუ სად ცხოვრობდნენ მორბედაძეები და ვისი ყმები იყვნენ. მიაგნეს სოფ. წირქოლში მცხოვრებ ოქრო ერისთავის კუთვნილ მორბედაძეებს. მალე გაბრიელიც დაიჭირეს, ძალიან ტანჯეს, ბევრი აწვალეს, მაგრამ ვერ ათქმევინეს ვინ იყო მათი მოთავე. ბოლოს დაჰპირდნენ: თუ გინდა რომ შენ და შენი შთამომავლობა სამუდამო ბედნიერებას ეწიოს და გაგანთავისუფლოთ ყოველი ბეგარა-გადასახადისაგან, თუ გინდა შენს კარზე მზე-მთვარისა და წვიმა ქარის გარდა არა მოვიდეს რა და არცარავინ შეგაწუხოს, გვითხარი ვინ იყვნენ მოთავენიო. აი ამ დაპირების შემდეგ გაბრიელს ყველა საიდუმლო ათქმევინეს. რასაკვირველია ყველანი შეიპყრეს, ფულიც წაიღეს და დიამბეგი ოქრო და მისი სიმამრი ივანე ამილახვარი გააციმბირეს. განაჩენის გამოტანისას იმ დროის კავკასიის მთავარმართებელმა ვორონცოვმა ცრემლები გადმოყარა: *„ვინ ქართველი და ვინ ამისთანა უცნაური, უმაგალითო მათში საქმეო“.* ქართველ თავადთა მხრიდან ასეთი სამარცხვინო საქმის ჩადენისთვის XIX ს-ის 50-იანი წლების ქართველ არისტოკრატ მანდილოსნებს შავები ჩაუცვამთ, მათ შორის მანანა ორბელიანს. როგორც იაკობ ბალახაშვილი აღნიშნავს[2] ვორონცოვმა ჰკითხა შავოსან ქართველ ქალებს *„ნუთუ მაგრე დაგენანათ რამდენიმე კაცის ციმბირში გაგზავნაო“ და კნეინა მანანა ორბელიანისამ ეს პასუხი მისცა ქართველი ქალების მაგივრად საზოგადოდ: – ისინი რომ სულაც არ გაეჩინა ღმერთს ჩვენს შესარცხვენად, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ის გვაწუხებს, რომ იმ შეჩვენებულებმა ქართველებს სახელი გაგვიტეხეს და სხვების სჯულზე და კვალზე წავიდნენო!*

*შემდგომ ვორონცოვმა ხელზე აკოცა მანანას და ღიმილით უთხრა: კნეინავ ნუ შეწუხდებით, თითო-ოროლა ცუდი ყველგან ურევია, თვით იესომაც ვერ ამოირჩია თორმეტი ერთგული მოციქული და იუდას ღალატის გამო ქრისტეს ჩირქი არ მოსცხებიაო“.*

ოქროს, მთავრობამ მთელი ქონება გაუყიდა. ოძისში უსახსროდ დარჩენილი თაფლო გორში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მალევე ორივე მცირეწლოვანი ბავშვი გარდაეცვალა. ქმარ-შვილის გარეშე დარჩენი-

---

1 ელ. ერისთავის მოგონებები. საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი: 19799/30.

2 მისივე მანანა ორბელიანი. თბ., 1941, გვ. 40.

ლი ქალი ცოტა ხანში თავისივე ბიძაშვილს კონსტანტინე ამილახვარს მისთხოვდა სოფ. ოთარაშენში.

თორმეტწლიანი გადასახლების შემდეგ 1865 წლის ზაფხულში ოძისში მობრუნებულ ოქროს ოჯახი განადგურებული დახვდა, საყვარელი ძმა – გიორგი გარდაცვლილი. 47 წლის კაცს ცოლი აღარ შეურთავს. ჯავრით და ბოღმით გულგასიებულს, დიდხანს აღარ უცოცხლია და ჩვენთვის დაუდგენელ წელს, გაურკვეველ ასაკში გარდაცვლილა. დაკრძალულია ოძისში ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის დასავლეთ კარის წინ *„რა წამს ერთ ფეხს ჩადგამთ ძირს იქვეა“*. სამწუხაროდ, დღეისთვის დაუდგენელია მისი საფლავის მდებარეობა, რომლის შუა ნაწილში ჩასმულ მარმარილოს პატარა ფილაზე დაბადება-გარდაცვალების თარიღთან ერთად გაკეთებული ყოფილა ჩვენთვის უცნობი წარწერა.

სოფელ ოძისში ივანეს (ოქროს) დარჩა უკანონო შვილი – სალომე. სალომეს დედა ლიზა ცოლად ჰყავდა ერისთავიანთ იმერელ მებაღეს, რომლის უეცარი სიკვდილის შემდეგ მისთხოვებია მათ ახალ მებაღეს – ბასილ მელქაძეს.

ერისთავის ასული *„სალომე ლამაზი და ნაზი ქალი იყო, სოფელში ყველასაგან ირჩეოდა თავისი მიხვრა-მოხვრით. მამას ეძახდა ოქროს (ცხადია, სიცოცხლეში ვერ გაუბედავდა!). მის საფლავზეც ხშირად მიდიოდა და სანთელს უნთებდა. დედამისიც ძალზე ლამაზი და მოხდენილი ქალი იყო“*, იგონებდა ილიკო სუხიშვილი. სალომე გარდაიცვალა 1943 წ.

შუათანა ძმას – გიორგის ძალიან ჰყვარებია უმცროსი ივანე (ოქრო). ამიტომ იყო, რომ ყოველთვის ცდილობდა მის დახმარებას, ცხოვრების სწორ გზაზე დაყენებას, მაგრამ, როგორც გაირკვა, მშობლების იმედი ძმებიდან მხოლოდ გიორგიმ გაამართლა. ოჯახი ივანეს თავიდანვე გვარიშვილობისთვის შესაფერისად ზრდიდა. გიორგი მასზე დიდ იმედებს ამყარებდა და ყოველთვის მოძღვრავდა. ძმისადმი ეს მიდგომა იმ ლექსიდანაც გამოსჭვივის, რომელიც გადასახლებაში მყოფმა გიორგიმ ქ. ბელოსტოკიდან ოძისში 1837 წელს გამოუგზავნა.

ჩემს ძმას ივანეს
ნუ მანუგეშებ, ძმაო, იმედით,
არ ვარ შობილი მე იმა ბედით!
ვითა მეგობრულს ნარნარ შენსა სულს
ჰსურს უფერადოს დაჩაგრულს ჩემს გულს!
იყო დრო სოფელს, ოდეს მეც ვსჭვრეტდი
მლიმარ, უზრუნველ, შორის მეგობართ

ჩანგ მომართულზედ ტკბილად დავმღერდი,
არ ვცნობდი ჭმუნვათ და დღეთ ამა მწართ!
მუზნით პარნასით თვისდა მიწვევდნენ
და გვირგვინ ტურფას დამანახვებდნენ!
სულსა აღმეგზნო ცეცხლი დიდების
და მასთანავე ტრფობის ლამპარი!
ამა გრძნობითა ვინც გადურჩების
ჭაბუკი იგი არის ნეტარი!
გული უდროვოდ ცხოველებული
შექმნა მათ ალთგან განაცრებული.
მაშინ შთავვარდი ბნელსა უფსკრულსა,
ოხვრანი, ცრემლნი ეწვივნენ გულსა,
გარნა მითხარი, სევდა ქოხისა,
ვის არ მალიად მოსწყინდებისა?....
მათგანც შევიქმენ განტევებული
და ვიქმენ სოფელს დაობლებული!....
მაგრამ დავცხრები, ჰსჯობს დუმილება,
მებრალვის შენი მე გრძნობილება.
მე არ გიმისნებ გლახ შენსა წერას,
ვიდრე ბულბულის უსმენ ტკბილ მღერას.
იქნებ აქცილდეს შენ იგი ბედი
რომლის საწამლავს მე გლახ ვათრევდი!
დასტკბი, დაითვერ ყვავილთა სუნით,
ვიდრე იხილავ სოფელსა ხუნით!.....
ოდეს გიხილავ შენ მხიარულსა,
მაშინვე ჟამი ნეტარებისა
წარმოუდგების ჩემსა ბნელ სულსა
და მცირ ხანს ჭმუნვა განქარდებისა![1]

[1] ერისთავი გ., თხზულებანი, თბ., 1936, გვ. 18.

# გიორგი დავითის ძე ერისთავი (გლუხარიჩი) 1813[1]-1864

*„ხედავ ამ გმირს ამ დიდებულს*
*მამულისთვის თავდადებულს*
*ხმლის მაგივრად თავდადებით*
*მას კალამი ეპყრა ხელში*
*და ამ წმინდა იარაღით*
*გზას იკვლევდა წყვდიად ბნელში“.*

***ფ. ცახელი***

გიორგი ერისთავი გახლდათ მრავალმხრივი მოღვაწე, ნიჭიერი შემოქმედი, ნოვატორი, პატრიოტი, საზოგადოების ინტერესების დამცველი მწერალი. მისი შემოქმედებითი ნიჭი სწვდებოდა მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროს, იგი იყო: პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი, ქართული პროფესიული თეატრის ფუძემდებელი და დირექტორი, რეჟისორი, მსახიობი, საქართველოში პირველი სალიტერატურო ჟურნალ „ცისკრის“ დამაარსებელი და რედაქტორი, პირველი ქართველი რეალისტი და პირველი ქართველი კომედიოგრაფი, ახალი ლიტერატურული ჟანრის მამამთავარი.

ოძისის სახლ-მუზეუმში ინახება საწოლი, სადაც 1813 წელს დაბადებულა გ. ერისთავი. სიყმაწვილე 10 წლამდე ოძისში გაუტარებია. ვიდრე ქსნის ერისთავების ამ თვალსაჩინო წარმომადგენლის ბიოგრაფიულ მონაცემებს მოვიტანთ, მინდა მისი დაბადების თარიღთან დაკავშირებულ განსხვავებულ მოსაზრებებს შევეხო.

ცნობილია რომ ზოგიერთი მკვლევარი გ. ერისთავის დაბადების თარიღად 1811 წელს მიიჩნევს. ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება მწერლის შვილიშვილი – ელისაბედ ერისთავი და მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლით დაინტერესებული მკვლევარი დ. გამეზარდაშვილი.[2]

[1] გ. ერისთავის დაბადების თარიღად ყველა ცნობებში მიჩნეულია 1811 წელი, მაგრამ საფლავის ქვაზე ვკითხულობთ, რომ გ. ერისთავი გარდაიცვალა 1864 წელს 51 წლისა. ამიტომ მის დაბადების თარიღად 1813 წ. უნდა მივიჩნიოთ. გარდა ამ ფაქტისა არსებობს მწერლის 1813 წელს დაბადების დამამტკიცებელი სხვა საბუთებიც. 1811 წ. დაბადებულია მისი უფროსი ძმა როსტომ ერისთავი.

[2] მისივე „გიორგი ერისთავი“, თბ., 1949 წ.

ელისაბედ ერისთავი თავის მოგონებებში აღნიშნავს: *„პაპაჩემი გიორგი ერისთავის დაბადების თარიღად ყველა ცნობებში მიჩნეულია 1811 წელი, მაგრამ საფლავის ქვაზე ვკითხულობთ, რომ გ. ერისთავი გარდაიცვალა 1864 წელს 51 წლისა. ამიტომ მისი დაბადების თარიღად 1813 წელი უნდა მივიჩნიოთ“.*[1] ამავე საბუთით, ამ ვერსიის მხარდამჭერად გამოდის დავით გამეზარდაშვილი და მეტი სიცხადისათვის აგრეთვე მოჰყავს თვით გ. ერისთავის მიცემული ჩვენება 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისადმი. მიუხედავად ამ საბუთის არსებობისა თითქოს საეჭვოდ მოჩანს მწერლის დაბადების წლად 1813 წლის მიჩნევა შემდგომ გარემოებათაგან:

**I.** არავინ იცის, თუ საფლავის ქვაზე წარწერის დამწერი რა საბუთებს ეყრდნობოდა. ამავდროულად, იშვიათი არაა შემთხვევები, როდესაც ასეთი წარწერები ტყუიან.

**II.** საგამოძიებო კომისიისადმი გ. ერისთავს შეეძლო სასჯელის შემსუბუქების მიზნით წლოვანება შეგნებულად დაეპატარავებინა. შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ, კომისიისაგან ბრალდებული თავადის გ. ერისთავის საბოლოოდ ცნობა მცირეწლოვანად, რის გამოც მასზე სასჯელის შეფარდებისას გათვალისწინებული იქნა შეღავათები.

**III.** გ. ერისთავი 1827 წელს სამხედრო გუბერნატორ სიპიაგინთან იწყებს სამსახურს განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელის თანამდებობაზე. თუ მწერლის დაბადების თარიღად 1813 წელს მივიჩნევთ გამოდის, რომ გ. ერისთავი 14 წლის ბავშვი დაუნიშნავთ სამხედრო გუბერნატორთან განსაკუთრებულ მოხელეთა თანამდებობაზე.

**IV.** თავადაზნაურთა კომისიაში 1846 წელს წარდგენილ ცნობებში კერძოდ ქსნის ერისთავთა სიაში გარდაცვლილი დავით ერისთავის ოჯახიც არის შეტანილი, მათ შორის გიორგიც, სადაც გარკვევით იკითხება: *„შტაბის კაპიტანი გიორგი დავითის ძე – 35 წლის“.*

ბოლოს, რაც შეეხება მის დაბადების ადგილს, აქაც ერთიანი აზრი არ იკვეთება, კერძოდ, ი. მეუნარგია და მის შემდგომ ყველა სახელმძღვანელოსა და ქრესტომათიის ავტორი წერს, რომ გ. ერისთავი დაიბადა 1811 წელს სოფ. ხიდისთავში. **პროფესორი სოლომონ ხუციშვილი აცხადებს, რომ გ. ერისთავი დაიბადა 1813 წ. სოფ. კორინთაში**[2], ხოლო ელისაბედ ერისთავი პაპის დაბადების ადგილად სოფელ ოძისს მიიჩნევს.

---

[1] ერისთავი ელ., მასალები გ. ერისთავის ბიოგრაფიისათვის, ლიტერატურის მატიანე, წ. 5, ნაწ. I, გვ. 120.

[2] ხუციშვილი ს., გახსენება, დუშეთის გაზეთი „კომუნისტის გზა“, 1973 წ. № 117.

ამჯერად ჩვენი სიმპათია ხუციშვილისადმი იხრება, რადგან სოფ. ხიდისთავის მამულში XIX ს-ის დასაწყისში დავით როსტომის ძეს არ გააჩნდა საცხოვრებელი ნაგებობა,[1] ხოლო ოძისის დაუმთავრებელ პატარა სახლში ნაკლებსავარაუდოა, რომ დავითს ცოლ-შვილით ეცხოვრა. **დავასკვნით, რომ გიორგი ერისთავის დაბადების თარიღად, საზოგადოდ, 1813 წლის მიჩნევისათვის უტყუარ საბუთს წარმოადგენს მისივე ძმის როსტომ დავითის ძე ერისთავის საფლავის ქვის ეპიტაფია,** საიდანაც ირკვევა, რომ 1847 წელს, 36 წლის ასაკში გარდაცვლილი როსტომი არის 1811 წელს დაბადებული. *„აქ განისვენებს მტვერი თავადის როსტომ დავითის ძე ერისთავისა. გარდაიცვალა 1847 წ. ოქტომბრის 8-ს, 36 წლისა“.*

გიორგი დავითის ძე ერისთავი 10 წლამდის მშობლებთან სოფ. ოძისში იზრდებოდა. როგორც ი. მეუნარგიას მიერ შედგენილი ბიოგრაფიიდან ვიცით, გიორგი 10 წლის ჩაუყვანიათ თბილისში (ზოგიერთი წყარო 8 წლისას ასახელებს) და მიუბარებიათ კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც 1804 წელს საგანგებოდ იქნა დაარსებული მაღალი წოდების მქონეთა შვილებისათვის. ოთხწლიანი სწავლების შემდეგ მეხუთე კლასიდან გამოიყვანეს. პატარა გიორგის სწავლის დროს სოფელთან კავშირი არ გაუწყვეტია, ყოველ არდადეგებს ატარებდა სოფ. ოძისში და კორინთაში, სადაც აკვირდებოდა გლეხიკაცის ცხოვრებას, მდინარე ქსნის ჭალებსა თუ ფოთლოვანი ტყის ბინადარ-მგალობელთა ზემოქმედებით უყალიბდებოდა სიყვარული სამშობლოსადმი.

იონა მეუნარგიას ცნობით: *„თორმეტი წლისა იგი უკვე წერდა ლექსებს და უკითხავდა ამხანაგებს, რომელთა შორის ქართული ენის სიყვარული მაშინ ძალიან გავრცელებული იყო“.* სამწუხაროდ, პირველი ხანის ჩანაწერებს ჩვენამდის არ მოუღწევია.

კეთილშობილთა სასწავლებელში ყოფნისას, მოსკოვში მოღვაწეობდა გიორგის პაპის – როსტომის ძმა ვახტანგ ერისთავი (ვარლაამი, 1763-1830 წწ. პირველი ეგზარქოსი საქართველოში.), რომელმაც ძმისშვილს დავითს ოძისში მისწერა წერილი, გაეგზავნათ მისთვის ერთ-ერთი შვილი განათლების მისაღებად. ასეთივე წერილი მიუვიდა მეჯვრისხევში მირმანოზ ერისთავს – ვარლამის ძმას. დავითის შვილებში წილი ხვდა გიორგის, რომელიც ბიძაშვილთან ესტატესთან ერთად გააგზავნეს მოსკოვს

[1] უფრო მეტიც, 1830 წელს დავით როსტომის ძის გარდაცვალებისას ხიდისთავში ერისთავებს ჯერ კიდევ არ უჩანთ ბინა. წინააღმდეგ შემთხვევაში იქ არსებული ბინა ისე როგორც კორინთის, ოძისისა და თბილისისა მითითებული იქნებოდა გაყრილობის დავთარში.

1825 წელს, მოსკოვში ყოვლადსამღვდელო ვარლამმა თავისი ახალგაზ-რდა ნათესავები კერძო პანსიონში მიაბარა.

დაახლოებით 2 წლის სწავლების შემდეგ (თვითონ გიორგი ჩვენებაში წერს 6 თვეს გასაგები მოსაზრებით!) სუსტი ესტატე ავად ხდება და ექ-იმების რჩევით საჭირო ხდება ბავშვის სამშობლოში დაბრუნება. შეშინებ-ულმა ვარლამმა ვეღარც გიორგის დატოვება გაბედა მოსკოვში და 1828 წელს ორივე ყმაწვილს აბრუნებს საქართველოში.

რა შთაბეჭდილება დატოვა მოსკოვის ცხოვრებამ გ. ერისთავზე ან რა გარემოში უხდებოდა მას იქ ყოფნა ჩვენთვის უცნობია. გამორიცხ-ული არაა შესაძლებლობა ყმაწვილის მიერ იქ მცხოვრებ განათლებული ქართველი ბატონიშვილების გაცნობისა. ამავდროულად, მათი ინტერე-სი და სურვილიც იქნებოდა სწავლის მისაღებად მოსკოვში ჩასული ახ-ალგაზრდების შემოკრება, რომლებიც შემდეგ სამშობლოში უნდა დაბ-რუნებულიყვნენ.

რუსეთიდან ჩამოსულ გიორგის სასწავლებელში სწავლა აღარ გაუ-გრძელებია, სამაგიეროდ თვითგანათლებას მიჰყო ხელი და თავისი დროის განვითარებულ ახალგაზრდად ითვლებოდა.

1827 წელს 16 წლის გ. ერისთავი სამსახურში შევიდა სამხედრო გუ-ბერნატორ სიპიაგინთან საგანგებო დავალებათა მოხელედ. შემდეგ იგი კავკასიის მთავარმართებელმა – ბარონ როზენმა ჩარიცხა თავის ამალა-ში. მონაწილეობდა ჩრდ. კავკასიის ხალხების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში, მან 1832 წელს ბრძოლაში წარჩინებისთვის მიიღო ცხენო-სანთა ჯარის „პროპორშჩიკის“ ჩინი.

გიორგი ერისთავი, ისე როგორც მისი დროის სხვა შეგნებული ქა-რთველი ახალგაზრდები, უკმაყოფილონი იყვნენ რუსი მოხელეებისაგან ეროვნული ინტერესების უგულვებელყოფითა და თავგასულობით. ერთი ამგვარი დამამცირებელი ამბავი მომხდარა ახალგაზრდა ერისთავის ცხოვრებაში, საიდანაც ჩანს რუსების მხრიდან ჩვენი ეროვნული ღირე-ბულებების აბუჩად აგდება და ჩვენდა საამებლად თავადიშვილისაგან ჯენტლმენურად ამ ღირებულებების დაცვა.

1828 წელს როდესაც რუსმა მწერალმა გრიბოედოვმა ჯვარი დაიწერა ნინო ჭავჭავაძეზე, მთავარმართებელმა პასკევიჩმა მეჯლისი სასახლეში გადაუხადა (პასკევიჩი ნათესავი იყო გრიბოედოვისა). მიწვეულ თავად-აზნაურთა შორის იყო 17 წლის გიორგიც. იგი სასახლეში ძველ-ქარ-თულად, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მივიდა. შესასვლელში მდგომმა პოლიციის რუსის მოხელემ სტაცა ხელი და არ შეუშვა, ტანსაცმლის გა-

მოცვლა მოსთხოვა, გაბრაზებულმა და შეურაცხყოფილმა თავადიშვილმა იუკადრისა ჩოხის გამოცვლა და წვეულებას აღარ დასწრებია.

ცხადია, გ. ერისთავს ვერ მიიზიდავდა და ერთგულს ვერ გახდიდა მეფის რუსეთის ბიუროკრატიული მმართველობა. ახალგაზრდა პატრიოტს ყოველდღე ულვივდებოდა სიძულვილი დამპყრობლისადმი. მას შეგნებულად სწამდა, რომ ერის მომავალი განათლების გავრცელებასა და გაუმჯობესებაზე იყო დამოკიდებული. მაღალ წოდებაში გაბატონებულ შურისა და უთანხმოების მიზეზებს უწიგნურობასა და გაუნათლებლობაში ხედავდა. ფილადელფოს კიკნაძესთან საუბარში, 1832 წელს, გიორგი ამბობს: *„ვიდრე მთელი ახალგაზრდობა განათლებას არ მიიღებს და არ დამყარდება მათ შორის სიყვარული, იქამდის არავითარი საშუალებით არ შეიძლება ამის მოსპობაო“.*[1]

გიორგი ერისთავი ბევრს კითხულობდა და წერდა ლექსებს. დიმიტრი ყიფიანთან ერთად მან დაიწყო ფრანგული ენის შესწავლა. იგი აქტიური მონაწილეა ს. დოდაშვილის ლიტერატურული წრისა.

გ. ერისთავის ნაწარმოებთაგან ყველაზე ადრეულია პოემა „ოსური მოთხრობა“, რომლის ერთი ნაწილი ს. დოდაშვილმა გამოაქვეყნა „ტფილისის უწყებანის“ სალიტერატურო ნაწილში (1832 წ. № 2-4), სადაც საქართველოს თავისუფლების დაცვის იდეა იყო გამოხატული. მისი სრულად დაბეჭდვა მოხერხდა 1853 წლის „ცისკრის“ მეოთხე ნომერში, სათაურით „ზარე და ყანიმათ“. აღნიშნული პოემა *„თავისებური და მეტად საინტერესო მოვლენაა XIX საუკუნის 30-იანი წლების ქართულ პოეზიაში. პირველყოვლისა იგი საფუძველს უყრის ახალქართულ ეპოსს“* – აღნიშნავენ კრიტიკოსები.

გიორგი დავითის ძე მწვავედ განიცდის თავისი სამშობლოს დამონებულ მდგომარეობას. მან გადაწყვიტა იარაღით ხელში ებრძოლა მეფის რუსეთის წინააღმდეგ. ამ მიზნით სრულიად ახალგაზრდა ჩაერთო 1832 წლის შეთქმულებაში და მასში აქტიურად მონაწილეობდა. გ. ერისთავმა ფილადელფოს კიკნაძისაგან მიიღო შეთქმულების წესდება **„აქტი გონიერი“** და შეთქმულებს შორის გაავრცელა. როდესაც გრ. ორბელიანმა ქართულად გადმოაკეთა დეკაბრისტის კ. რილეევის „ნალივაიკოს აღსარება“, მიმართული მეფის მთავრობის წინააღმდეგ, გიორგი ერისთავს დაავალა მისი დასათაურება, გიორგიმ ამ ლექსს უწოდა „გივი ამილახვრის აღსარება“.

[1] გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, თბ., 1935 წ. გვ. 247.

გ. ერისთავი შეთქმულებაში ჩააბა ელიზბარ ერისთავმა 1830 წელს, როდესაც იგი პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნდა. თავის ერთ-ერთ ჩვენებაში გიორგი ამბობს: *„პირველი შემცდენელი ჩემი იყო ელიზბარი... რომელ ოდეს გადმოვიდა რა რუსეთით გავიცანი იგი, ყოვლად უბედურად თავისა ჩემისა. რადგანაც იყო ბიძაშვილი ჩემი. რომელიცა მხედვიდა მე რაოდენსამე თვესა და უწყოდა მეტყველებითა თვისითა დაბნელება გონებისა ჩემისა ყოველთვის მეცადინეობდა გამოცდასა ჩემსა თუ ვითარ ვიყავი მე მიდრეკილ მართებლობისადმი“.*[1]

1831-32 წლებში გ. ერისთავი შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე მოჩანს. მან ფილადელფოს კიკნაძისაგან მიღებული „აქტი გონიერი“ გაცნობის შემდეგ გადასცა ს. დოდაშვილს. გეგმის მიხედვით შეთქმულება დაინიშნა 20 დეკემბერს თავადაზნაურთა კრების მოწვევის დღეს. მაგრამ, სამწუხაროდ, შეთქმულებმა ვერ მოასწრეს აჯანყების მოწყობა. ისინი გაცემულნი იქნენ ერთ-ერთი თანამონაწილის იასე ფალავანდიშვილის მიერ 1832 წლის 9 დეკემბერს. 10 დეკემბერს მთავარი მონაწილეები უკვე დაპატიმრებულნი იქნენ.

ახალგაზრდა თავადი გაცილებით გვიან დააპატიმრეს, რის გამოც ჭორიც კი გავრცელდა, რომ შეთქმულება გიორგიმ გასცაო. იგი 1832 წლის თებერვალში დააპატიმრეს. გამოძიება კი 1833 წლის სექტემბერში დამთავრდა. კომისიის გადაწყვეტილებით, დამნაშავენი დაყოფილნი იქნენ ათ თანრიგად. გ. ერისთავი მოხვდა დამნაშავეთა მეოთხე თანრიგში დ. ყიფიანთან ერთად. იმპერატორის ბრძანებაში ნათქვამი იყო: *„კავალერიის პრაპორშიკი თ. გიორგი ერისთავი ახალგაზრდობისა და გულწრფელი აღიარების გამო დანიშნული იქნას სამსახურში პირველი ფეხოსანთა კორპუსის ერთ-ერთ პოლკში“.*[2]

ავლაბრის ყაზარმებში პატიმრობის შემდეგ გიორგი ერისთავი 1834 წლის 9 იანვარს საქართველოდან გადაასახლეს. იგი გაამწესეს სამხედრო სამსახურში ქ. ვილნოში მესამე ფეხოსანთა დივიზიაში. მასთან ერთად სამშობლოს მოაშორეს ქართული კულტურის სხვა მოღვაწენი: ა. ჭავჭავაძე, დ. ყიფიანი, ა. ორბელიანი, ფ. კიკნაძე (გარდაიცვალა პატიმრობაში), გ. ორბელიანი, ს. რაზმაძე (გარდაიცვალა გადასახლებაში) და სხვა. ქართული კულტურის მაჯისცემა დროებით მინელდა.

[1] გოზალიშვილი გ., დასახ. ნაშრ., გვ. 241.

[2] იქვე, გვ. 261.

გადასახლებაში მყოფი თავადი ადგილსამყოფელს ხშირად იცვლიდა. იძულებით ხან პოლონეთის და ხანაც ლიტვის ქალაქებში: ვილნოში, ბელოსტოკში, კოვნაში, რიგაში, ვარშავაში უხდებოდა ცხოვრება. მან ადვილად შეისწავლა პოლონური ენა და ლექციებს ისმენდა ვილნოს უნივერსიტეტში (ამ დროს ვილნოს უნივერსიტეტი უკვე დახურულია, აქ იგულისხმება ვილნოს სამხედრო სამედიცინო აკადემია). ირკვევა, რომ პოლონეთში გ. ერისთავი მონაწილეობდა ოჯახებში გამართულ შეკრებებზე. მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ბევრ გამოჩენილ პოლონელ პატრიოტთან, მიუხედავად იმისა რომ პოლონეთის 1830-31 წლების აჯანყების შემდეგ მეფის რუსეთმა მრავალი პოლონელი გადმოასახლა საქართველოში. ცნობილია, რომ 1832 წლის შეთქმულნი დაკავშირებულნი იყვნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ თბილისში გადმოსახლებულ პოლონელებთან.

გიორგი ერისთავი უცხოეთში ყოფნისას გაეცნო პოლონურ კულტურას, დაინტერესდა ლიტერატურით, განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა დიდი პოლონელი პოეტის ადამ მიცკევიჩის შემოქმედებისადმი. გიორგიმ თარგმნა მიცკევიჩის ბევრი ლექსი, ასევე უძღვნა საკუთარი ლექსი, საიდანაც ჩანს, რომ მასთან პირადი ნაცნობობა ჰქონია.

გრიგოლ ორბელიანთან მიწერილი წერილებით ირკვევა, რომ პოლონეთში მყოფი გიორგი ძმას მოუნახულებია. *„ჩემი ძმა დავიბარე, აქ მოვაო,“* – წერს გიორგი და თან წინასწარ სთხოვს: *„შენ რომ ოტპუსკი მოგივიდეს მომწერე ან წინათვე აგება ჩემი ძმა წაიყვანო, უფრო ცოტა დაგეხარჯებათ, სამი იქნებით, სამ ცხენში“.*[1]

რომელ წელს ან რომელი ძმა ჩავიდა გიორგისთან მინიშნებული არ არის, მაგრამ წერილები რომელიც თავის დროზე მისწერა გრ. ორბელიანს, გვაფიქრებინებს, რომ გადასახლებაში მყოფ გიორგის 1836 წლის 25 დეკემბერს (შობა დღეს) უნდა სტუმრებოდა ძმა – ივანე.

ერთგვარი გაუგებრობაა იმაზე, თუ როდის დაბრუნდა გიორგი გადასახლებიდან სამშობლოში. იონა მეუნარგიას მიერ შედგენილ გლუხარიჩის ბიოგრაფიის მიხედვით, გ. ერისთავი გადასახლებიდან დაბრუნდა 1838 წლის აგვისტოში. ეს მოსაზრება შეუმოწმებლად ზოგიერთმა მკვლევარმა გაიმეორა, მაგალითად დ. გამეზარდაშვილი ამბობს: *„1838 წლის აგვისტოში გიორგიმაც მიიღო უფლება სამშობლოში დაბრუნებისა. იგი*

---

[1] გაჩეჩილაძე ამ., ნარკვევები XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1952, გვ. 62.

*მაშინვე გამოემგზავრა საქართველოში. 25 აგვისტოს იგი უკვე სოფ. არცევშია. ამას მოწმობს მისი ლექსი „თ. სვიმონ მაჩაბელს", რომელზეც აწერია „25 აგვისტოს 1838 წელსა, არცევს".*[1]

მკვლევარი ამბერკი გაჩეჩილაძე ამ ცნობას შეცდომად მიიჩნევს და განმარტავს რომ: *„1838 წლის აგვისტოს გ. ერისთავს მისცეს ერთი წლის შვებულება. ნათესავებთან ქონების გაყოფისა და შინაურული საქმეების მოსაგვარებლად. იგი დროებით ჩამოვიდა საქართველოოში (1838 წლის სექტემბრიდან 1839 წლის სექტემბრამდე), შვებულების დამთავრების შემდეგ კი კვლავ გაემგზავრა უკან, თავის სამხედრო ნაწილში".*[2]

გადასახლებიდან გ. ერისთავი დაბრუნდა 1841 წლის ბოლოს „შტაბს-კაპიტნის" ჩინით. 1841 წელს ოჯახური მდგომარეობის გამო თავს ანებებს სამხედრო სამსახურს. 1840-41 წლებში ერისთავი რომ კვლავ გადასახლებაში იმყოფება ამას მოწმობს მისი ზოგიერთი ლექსის დაწერის ადგილი და თარიღი.

გ. ერისთავს და ნიკოლოზ ბარათაშვილს გარდა ახლობლობისა ერთმანეთთან ნათესაური კავშირიც აკავშირებდათ. როგორც ვიცით, გიორგის ბიძაშვილის რევაზ ერისთავის ცოლი იყო ნ. ბარათაშვილის და – ეკატერინე.

გიორგი ერისთავი, რომელიც კარგად ფლობდა პოლონურ ენას, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ თბილისში მყოფ ბევრ პოლონელ მოღვაწეს დაუმეგობრდა. ამ მეგობრობას ტყუილად არ ჩაუვლია. გიორგის ქართული ლიტერატურით დაუინტერესებია პოლონელი ინჟინერი კაზიმირ ლაფჩინსკი, რომელიც იმ დროს თბილისში იმყოფებოდა. გიორგის მასთან ერთად პოლონურ ენაზე 1841-1844 წლებში პროზით უთარგმნია „ვეფხისტყაოსანი" მთლიანად.

1844 წლამდე გიორგი დავითის ძე ცხოვრობდა თბილისში თავის საკუთარ სახლში. შემდეგ გადადის (ელისაბედ ერისთავის თქმით) სოფ. ხიდისთავში, სადაც მას ჰქონდა მამული. მეტწილად იყო გორში, სადაც მუშაობდა სამაზრო მმართველობაში. მალე გიორგიმ შეირთო ცოლი – გორში მცხოვრები მდიდარი სომეხი ვაჭრის იაგორ ალიხანოვის ასული ელისაბედი. ცოლის შერთვამდე მწერლის გულს არაერთხელ დაუფლებია სიყვარული და მანაც საკმარისი ხარკი გადაუხადა ამ გრძნობას. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, თუ ვინ იყო გიორგი ერისთავის „მშვენების

---

[1] გამეზარდაშვილი დ., გიორგი ერისთავი, თბ., 1949 წ., გვ. 29.

[2] გაჩეჩილაძე ა., დასახ. ნაშრ., გვ. 12.

ღმერთი“. 1834 წელს გადასახლებაში მყოფი პოეტი ლექსში „ყაბახისად-მი“ ლაპარაკობს ვილაც ლეილაზე, რომელსაც თურმე ყაბახის მოედანზე სეირნობის დროს ხედავდა. აქვე შევნიშნავთ, რომ გრ. ორბელიანისადმი გაგზავნილ წერილებში გიორგი ლაპარაკობს ვიღაც კატინკაზე, რომ-ლის შერთვაზეც ოცნებობს. წერილში ვკითხულობთ: *„ივანე მუხრანსკის დადიანის ქალი შეურთავს, იმაზედაც ჯავრობენ ნათესავიაო, ღმერთო იქნება კატინკა მე მერგოს, მესამე და მეოთხეები ვართ, რო წახვალ შენ აგებ მომიხერხო“.*

საკითხავია ვინ არის ეს კატინკა? ამ დროს რამდენიმე თავადის ასუ-ლი კატო – ეკატერინე იყო: ორბელიანის, ჭავჭავაძის, ბარათაშვილის, ერისთავის. დაკვირვების საფუძველზე გ. ერისთავის სიტყვები *„იქნება კატინკა მე მერგოს, მესამე და მეოთხეები ვართო...“* გვაფიქრებინებს, რომ მწერლის სატრფო ეკატერინე ერისთავი, თავისი ბიძაშვილი უნდა ყოფილიყო, რომ ეკატერინე და გიორგი ერთი წინაპრის მესამე და მეო-თხე თაობები არიან. სამწუხაროდ, შეყვარებულმა მგოსანმა ეკატერინე-საგან თანაგრძნობა ვერ მიიღო. სწორედ მისადმია მიძღვნილი ლექსები – „გაქსუებული“, „ე ...“, „ე. წ.“, და სხვა.

გიორგი ერისთავმა ბოლოს თავი დააღწია უიმედო სიყვარულს და გადაწყვიტა ცოლად შეერთო ბაბალე (ბარბარე) ორბელიანი, რომელიც განათლებული და ლიტერატურის მოყვარული ქალი იყო. მოღწეული ცნობით გიორგი მასზე დანიშნულიც ყოფილა, მაგრამ მშობელთა მიზეზ-ით მათი დაქორწინება არ მომხდარა, ამის გამო გ. ერისთავს დაუწერია „შეშლილი“.

ბაბალე 1839 წელს ცოლად გაჰყოლია ალ. საგინაშვილს. გიორგის იმავე წელს დაუწერია ლექსი „კ . ბაბ. ორბე...“

გადასახლებიდან განთავისუფლებული გიორგი ერისთავი ძირითა-დად თბილისშია, ამავდროულად არ წყვეტს კავშირს სოფ. ოძისთან და ძველ მამა-პაპეულ კორინთასთან. ის არა მარტო ცხელ ზაფხულს, არ-ამედ ქსნის ხეობისთვის დამახასიათებელ უიშვიათესი ფერებით მორ-თულ შემოდგომის თვეებსაც ატარებს ს. კორინთაში. უიმედო ტრფობით სევდამორეული ერისთავი კორინთაში ქმნის თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსს „მე შენ არ გეტრფი“.

მე შენ არ გეტრფი, არ ძალუძს ტრფობა,[1]
ვინც ფიქრთა ზღვაში დალუპა გრძნობა,

[1] ერისთავი გ., თხზულებანი, გვ. 91.

ვინცა უდროოდ შესვა ყოველი,
რაც არს ჭაბუკის დამაჭკნობელი!
ვინცა დახივა ბედის რვეული,
ვინც იყო ტრფობით გულშემსჭვალული,
ვინც იყო ერთ გზის მოტყუებული,
შეიქმნა უკვე გარდაჩვეული!
ბევრი ვიოხრე, ბევრი ვიტირე,
ახლა კი ტრფობა გამოვიტირე!
მაგრამ რა თვალთა შენ განგიცადეს,
გონების რჩევას არ მოუცადეს,
მთელ ქვეყანაში ვხედავ შენს სახეს,
შენ არ მშორდები, როგორც ჩრდილი ხეს!
სად არის, ვკვირობ, ცივი გონება,
თვალებში თუ გაქვს მიზიდვის გრძნობა,
გული იძახის: ტრფობა არა მსურს,
მაშ შენი ნახვა სულსა რადა ჰსწყურს?

26 ოქტომბერი, 1842 წელსა. ს. კორინთა

მწერალს მშობლიურ კორინთაში ყოფნის, დასვენების და შემოქმედებითი საქმიანობისათვის ყველაზე ხელსაყრელ დროდ სწორედ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ქორწინებამდე 1842-1844 წლები გამოუყენებია.

1841 წლის ბოლოს სამხედრო სამსახურიდან წამოსვლის შემდეგ გ. ერისთავი ცხოვრობს თბილისში. სამი წლის მანძილზე ზაფხულს და შემოდგომას ატარებს ოძისსა და კორინთაში. კორინთაში მას მრავალი ღამე თეთრად გაუთენებია. რითმააწყობილ ლექსთა თხზვისა და დრამატურგიის გარდა იგი მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა. ცნობილია, რომ გ. ერისთავს თარგმნილი აქვს ადამ მიცკევიჩის 6 ლექსი, რომლებიც პირველად თავისავე დაარსებულ ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა 1852 წელს.

გიორგი დავითის ძემ ბოლოს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველგვარი სიყვარულის გარეშე ცოლად შეირთო გორელი ვაჭრის – ალიხანოვის ქალი ელისაბედი. ალიხანოვებს, გარდა გორისა, ხიდისთავშიაც ჰქონდათ ადგილი-მამული, ისინი გ. ერისთავს მატერიალურ დახმარებას უწევდნენ.

ნაწილი მკვლევრებისა მიუთითებს, რომ ს. ხიდისთავში ერისთავებს მამულები არ ჰქონიათ. სახლი, რომელშიც 10 წელი ცხოვრობდა გ. ერისთავი თავის ცოლ-შვილთან ერთად, აუგია მზითვად მიღებულ მამულში (ელ. ერისთავი ამ ცნობას არ ადასტურებს). გადმოცემის თანახმად, ალიხანოვისგან მიცემული მამული ჭაობიანი ყოფილა, რაც შემდგომ გახდა მიზეზი გიორგის დაქვრივებისა. ხიდისთავში მცხოვრებ პაპა-ბებიაზე ამ მხრივ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ელ. ერისთავი:

*„1847 წ. ბებიაჩემს ელისაბედს ეყოლა ტყუპი ვაჟი, რომელთაც თურმე „სანთლის ბავშვებს“ ეძახდნენ. ერთი ბავშვი მალე მოკვდა, მეორე კი მამაჩემი დავითი იყო. ბებია ელისაბედს თავის ყმაწვილობაში სოფიო გურწიშვილი ემსახურებოდა. სოფიოს გადმოცემით, გ. ერისთავს სოფ. ხიდისთავში მეტად ნოტიო სახლი ჰქონია. ელისაბედი ქარებით დაავადმყოფებულა და ლოგინად ჩავარდნილა. მუხლების ტკივილებს ძალიან შეუწუხებია. გარდაიცვალა 1854 წელს. მამაჩემი 7 წლისა ყოფილა..... ბებია დამარხეს ქ. გორში სომხების სასაფლაოზე. ბატონი წაბრძანდა თუ არა, (გ. ერისთავი. ვ. ქ.) მოვიდა მისი სიდედრი ხამფერ ალიხანოვი, დაუარა მთელ ოთახებს და თან გვეუბნებოდა: „აი ეს ნივთიც ჩვენია, ესეცაო!“ ჩაალაგებინა ყველაფერი თავის მსახურებს და წააღებინა თვის სახლში-ო“.*[1]

ბევრს შეიძლება დააინტერესოს, თუ რით იყო გამოწვეული მომაკვდინებელი ჭაობი და სინოტივე ხიდისთავში – ქართლის ამ მადლიან მიწა-წყალზე, რომელიც გლეხებმა „პატარა კახეთად“ მონათლეს. ამასთანავე საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ქსნის ერისთავები ქართლის საუკეთესო ადგილებში იშენებდნენ საუკეთესო სახლებს და ცხოვრობდნენ უზრუნველად.

სწორედ „პატარა კახეთად“ წოდებულ ხიდისთავზე წერდა ილია ჭავჭავაძის გაზეთი *„ქართლში ამ სოფელს* (ხიდისთავს. ვ. ქ.) *ბევრი სოფელი არ შეედრება ამას თითქმის, თუ პირველი არა, მეორე ადგილი მაინც უჭირავს გორის მაზრაში. ხიდისთავი შემკულია ჰაერით, წყლით და მდებარეობითაც კარგი ადგილია. მინდორი და ტყე ახლო აქვს, ჩამოუდის მშვენიერი მდინარე ტანა. ამ მდინარით ირწყვის ის მშვენიერი ვენახები, რომლის ღვინო, შემდეგ მუხრანის, განთქმულია მრთელ ქართლში და ყოველთვის კარგ ფასშიც ისყიდება. სხვა სოფლებში კოკა ტკბილი ოთხს-*

---

[1] ერისთავი ელ., მასალები გ. ერისთავის ბიოგრაფიისათვის, ლიტერატურის მატიანე, წ. 5, ნაწ. I.

*ხუთ მანეთად იყოს – აქ შვიდი-რვა მანეთადაა ხოლმე... მცხოვრებთა რიცხვი აქ ორას და ორასზედ მეტის მოსახლისაგან შესდგება. ზაფხულობით აქ დიდი ხალხი მოდის...“*[1]

ცხადია, გაზეთი ხიდისთავის ძველ დიდებასა და ღირსებას აქვეყნებს, სანამ იქ თბილისი-ფოთის დამაკავშირებელი რკინიგზის ხაზი გაივლიდა. უდავოა, ხიდისთაველების უბედურება აღნიშნულ რკინიგზას გამოუწვევია. დაბლობი ადგილების შემაღლებამ მთელ სიგრძეზე ჭაობის დიდი კერები გააჩინა. სწორედ ერთ-ერთ დაბლობ ადგილზე იდგა ხიდისთავში გ. ერისთავის სასახლე, რომელსაც უფრო უვარგის და გამოუყენებელს გახდიდა XIX საუკუნის 70-იან წლებში დაწყებული რკინიგზის მშენებლობა, თუმცა ამ დროისთვის ალიხანოვების ქალი თითქმის ორი ათეული წლის გარდაცვლილია. ცნობისთვის ვიტყვით, რომ ხიდისთავი კეტავდა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან გორში შესასვლელ გზას. მამულების დიდი ნაწილი ეკუთვნოდათ ბოროდინოს გმირის პეტრე ბაგრატიონის პაპას – ისაყ ბეგს და მამას – ივანეს. მათგან ერთი ერეკლე მეფემ „მარკოზაშვილის დარბაზელობის“ გამო სიკვდილით დასაჯა, მეორე კი მოსკოვში გაიქცა და იმპერატორის სამსახურში შესვლით გადაირჩინა თავი.

გ. ერისთავი სოფ. ხიდისთავში (გიორგიანში, ასეც ეძახდნენ ერისთავები ხიდისთავს) ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა. დროდადრო თბილისშიც ჩნდება და მანანა ორბელიანის სალონში დაიარება, სადაც მოსიარულე ახალგაზრდებისათვის ცნობილი ხდება მისი ყოველი ახალი ნაწარმოები, რაც შემდგომ დიდი წარმატების მომტანიც გახდა. მანანამ ვორონცოვს შეატყობინა გიორგის კომედიების შესახებ და სთხოვა ქართული თეატრის დაარსება. ვორონცოვმა გ. ერისთავი დაიბარა და დაავალა მოემზადებინა წარმოსადგენად კომედია „გაყრა“.

ახალგაზრდა თავადის ნიჭისა და შრომისმოყვარეობის შედეგად 1850 წლის 2 იანვარს (ძვ. სტ.) თბილისის გიმნაზიის შენობაში წარმოდგენილი იქნა კომედია „გაყრა“, რითაც საფუძველი ჩაეყარა პროფესიულ ქართულ თეატრს. პირველ წარმოდგენას დაესწრო მთავარმართებელი ოჯახობით და ამალით. თვით ავტორმა ითამაშა მიკირტუმას როლი. ვაჭართა წრეებთან ურთიერთობამ და ნათესაურმა კავშირმა მწერალი ღრმად ჩაახედა მათ სომხურ ბუნებასა და ხასიათში. აღფთოვანებულმა ვორონცოვმა გ. ერისთავი ქართული თეატრის დირექტორად დანიშნა.

[1] გაზ. „ივერია“, 1886, №39.

გიორგი ერისთავი 1852 წელს სათავეში ჩაუდგა მეორე დიდ წამოწყებას, დააარსა ჟურნალი „ცისკარი“, რომლის მზრუნველი დირექტორიც ორი წლის განმავლობაში თვითონ იყო.[1]

დედაქალაქში გიორგი ერისთავის ნაყოფიერი მოღვაწეობა შეაჩერა ორმა გარემოებამ: ერთი რომ, 1854 წელს გარდაეცვალა მეუღლე. დარჩა მცირეწლოვანი ბავშვი – დავითი და ხიდისთავის სახლი გაუძარცვა სიდედრმა – ხამფერ ალიხანოვამ. მეორე გარემოება კი გახლდათ ის, რომ აღმშენებლობითი საქმიანობით დაინტერესებული მთავარმართებელი ვორონცოვი გაწვეული იქნა საქართველოდან.

მეუღლის გარდაცვალებიდან ორი წლისთავზე გიორგიმ ცოლად შეირთო დავით თარხან-მოურავის ასული, დავით ბარათაშვილის ქვრივი მართა (1824-1908 წწ. 16 აპრილი). ერისთავიანთ მოსამსახურის ივანე სუხიშვილის თქმით, *„მართამ ქართული ენა და წიგნი, როგორც მხედრული, ისე ხუცურიც ზედმიწევნით იცოდა.... „ვეფხისტყაოსნის“ შესანიშნავ სტროფებს ზეპირად ამბობდა“.*

ქორწილი და ჯვრისწერა თარხან-მოურავთან 1856 წლის თებერვალში ოთხ დღეს გაგრძელებულა. შემდეგ ნეფე-დედოფალი ჩამოსულან თბილისში, სადაც მართას საჯინიბო და თონე მოუწყვია. ცხოვრობდნენ შუა სართულზე. ზემო სართული დამატებითი შემოსავლის მიზნით გიორგის ადრევე გაუქირავებია. ორი თვის შემდეგ, 27 მაისს სოფ. ოძისში წასულან.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში ეროვნული ჩაგვრის ფონზე რუსიფიკატორული მძარცველური პოლიტიკა დაუნდობლად ანადგურებდა და სიღარიბისკენ მიაქანებდა თითქმის ყველა თავად-აზნაურულ აგრარულ მეურნეობას. გამონაკლისი ამ შემთხვევაში არც გ. ერისთავის მამულია. მისი მეორე ქორწინებისას, 1856 წელს სოფლად თითქმის გაჩანაგებულია თავადური სამეურნეო ინფრასტრუქტურა. გიორგის უფროსი ძმა მკვდარია, რძლისთვის მიცემული საქვრივოს ვალები ოჯახს ძვირად დაუჯდა. ივანე (ოქრო) გადასახლებაშია, მთავრობამ ზარალის ანაზღაურებისთვის მისი ქონება გაყიდა და ზოგიც „პრიკაზში დაიჭირა“.

[1] ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემისას გ. ერისთავს ხელს უშლიდა ეროვნული თვითშეგნების დაქვეითება საზოგადოებაში და ბევრი ისეთი რამ, რაც დღეს ჩვენთვის ყოვლად წარმოუდგენელია. მაგალითად, ქართველებისაგან ქართული ენის იგნორირება და აბუჩად აგდება „მისი შეტანა კაბინეტში არ იქნებოდა, ბუზებს უტოვებდნენ წასაკითხად“, – წერს 1859 წლის ცისკარი, №2.

დიასახლისის – ალიხანოვის ქალის – ავადმყოფობამ და შემდგომ მისმა სიკვდილმა საქვეყნო საქმეებს გადაყოლილი გიორგის თავადური სახლ-კარი და მეურნეობა სრული გაპარტახების პირას მიიყვანა. ამიტომაცაა რომ დაუფარავად აღგვიწერს თავის მოგონებებში თარხან-მოურავის ქალი ერისთავიანთ კარ-მიდამოს და მისი ნახვით მიღებულ პირველსავე შთაბეჭდილებებს.

*„27 მაისს სოფ. ოძისში მივედით. ჩვენ სახლს რომ შევხედე, ძალიან მეუცხოვა: შესავალთან დანგრეულ კიბეზე მძლივს ავიარე, ზალაში ჭერი ჩამოქცეულიყო, სულ მთლად ლასტებით ყოფილიყო მიკრული, ხოლო მეორე ოთახს კარიც და ფანჯარაც ჰქონდა, მაგრამ თანდათან იქცეოდა და გაჯიც ჩამოდიოდა. სახურავი და ბანი ფიცრით იყო* (ყავარით. ვ. ქ.) *დახურული და შეუღებავი დამპალიყო წვიმისაგან, კარებიც სულ დამტვრეულიყო. სამზარეულოც მოუვლელი იყო. მიწის მეტი არა ეხურა რა და იქაც წვიმა ჩამოდიოდა. ეს რომ დავინახე ჩემს ქმარს ვუთხარი: განა შეიძლება თავადისშვილს და მერე შენისთანას სოფელში სახლი არ ჰქონდეს?! მან მიპასუხა: – ჰე, გული არ არის, ამოდენა ვალების მაყურებელს ძილი აღარ მეკარება!... ამ ძველ სახლში დავრჩით ერთი კვირა და მერე მითხრა: მეორე სოფელშიაც (კორინთაში) მაქვს სახლი, საზაფხულო სახლი არისო. მართლაც ავიყარენით და წავედით“...*[1]

ახალშეუღლებულნი დაახლოებით მაისის დასაწყისიდან აგვისტოს 29-მდე კორინთაში ისვენებდნენ, სადაც გ. ერისთავი შესაშური ენერგიით განაგრძობდა ლიტერატურულ შემოქმედებას. აგვისტოს ბოლოს კვლავ ოძისში მოსულან. სადაც ორსული მართა ავად გამხდარა და ხიდისთავში გადასულან. ზამთარი იქ გაუტარებიათ. 1857 წლის თებერვალში მათ შეეძინათ ქალიშვილი, რომელსაც მარიამი დაარქვეს. ბავშვს დიდხანს არ უცოცხლია, სამწლინახევრის წითელასაგან გარდაიცვალა.

მართა თარხან-მოურავის გერგილიანობისა და შრომისმოყვარეობის წყალობით ვალებში ჩავარდნილი ერისთავების ოჯახი და მათი მოშლილი მეურნეობა თანდათან ეკონომიკურად მომჯობინდა. მართალია, ივანეს გამოისობით მამულის მთელი შემოსავალი „პრიკაზს“ და პირად ვალებს უნდებოდა, მაგრამ 1859 წელს გ. ერისთავისგან ქ. გორის რკინიგზის სადგურის იჯარით აღებას კარგი შემოსავალი მიუცია და ოჯახი ფაქტობრივად მხოლოდ იმით ირჩენდა თავს. ამაზე მართა იგონებს: *„მამულის*

[1] საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი, №134/300.

*შემოსავალი უნდებოდა „პრიკაზს“ და კერძო ვალებს, ხოლო ჩვენ ვცხოვ-რობდით სადგურის შემოსავლით“.*

თავად მართაზე კი სხვათა მოგონებათა დღიურებიდან ვგებულობთ, რომ: *„თამარა ყოჩაღი, ალღოიანი და გერგილიანი ქალი ყოფილა. მან წა-მოაყენა გ. ერისთავის გაპარტახებული სახლ-კარი და მამულები ფეხზე. ოქროს ადგილიც დაიბრუნა, გადასახადები გადაიხადა და ოჯახი წინ წა-მოსწია. თავის იორღა ცხენს კაცივით მოახტებოდა, ძვლისტარიან წკე-პლას შემოარტყავდა იორღას და ჩაფრებთან ერთად დადიოდა თავის მამულებში თუ მთაში. სიბერეში გორში ცხოვრობდა, სადგურის ქუჩაზე პატ. სახლში სადაც მოურავი იდგა ხოლმე. მისი დიდი სურვილი იყო მოე-ლოცა იერუსალიმში პლატონ იოსელიანის ცოლთან ერთად მაგრამ ვერ აისრულა ეს სურვილი. წნევამ დაარტყა და ორ კვირაში გარდაიცვალა. დაკრძალულია იკორთის გარეთ გალავანში, შესასვლელში. ზედ თეთრი მარმარილოს ქვა დაადგეს და პატივით დაკრძალეს“.*[1]

ოძისში გ. ერისთავს ჰყავდა შემდეგი შტატი მოსამსახურეებისა:

1. გამდელი ორი, თავიანთი გოგოებით
2. მოურავი ორი. ერთი ოძისში, მეორე გორში.
3. ჩაფარი
4. მზარეული
5. მემარნე
6. თორმეტი მოჯამაგირე
7. მებაღე – ორი
8. მეჯინიბე
9. ხელზე მოსამსახურე
10. მეწისქვილე ორი. ერთი ოძისში, მეორე თაღორაანთკარში.

გ. ერისთავი, რომლის ეკონომიკური შესაძლებლობა 60-იანი წლე-ბისათვის საკმაოდ გაიზარდა, 1862 წელს ნათესავ ქალთან – მარიამ ჭავ-ჭავაძესთან ერთად 4 თვით საზღვარგარეთ გაემგზავრა, საიდანაც – *„... მშვიდობით დაბრუნდნენ და უცხო ქვეყნის ნახვით კმაყოფილნი იყვნენ. თან ბევრი რამ ძვირფასი ნივთეული ჩამოიტანეს“*, – იგონებს მართა თარხან-მოურავი.

მწერალმა თავისი მოგზაურობა აღწერა დღიურების სახით სათაუ-რით „ჩემი მოგზაურობა ევროპაში 1862 წლის 13 ივნისიდგან“. სამწუხა-როდ, ამ დღიურების ნახევარი ამჟამად დაკარგულია.

[1] ივ. სუხიშვილის მოგონებები, გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერ-ატურის მუზეუმი, № 19799/300.

სიცოცხლის ბოლო პერიოდში გ. ერისთავი თავის ნაწარმოებებს ბეჭდავს არა თავის დაარსებულ და შემდგომ ი. კერესელიძის ხელმძღვანელობით გამოცემულ „ცისკარში“, არამედ „საქართველოს მოამბეში“. ეს მაშინ, როდესაც „ძველსა“ და „ახალ“ თაობას შორის ბრძოლა მიმდინარეობდა და „ცისკარი“ და „საქართველოს მოამბე“ ერთმანეთთან დაპირისპირებულ ჟურნალებს წარმოადგენდა. გიორგი ერისთავის სიმპათიები ახალი თაობის მხარეზე იყო. შემთხვევითი არაა, რომ ილია ჭავჭავაძე გ. ერისთავს თავის წინამორბედად თვლიდა.

1864 წლის 9 სექტემბერს (ძველი სტილით) გიორგი ერისთავი სისხლის მოწამვლის ნიადაგზე გარდაიცვალა ქ. გორში სააკოვების სახლში.

მწერლის შვილიშვილი ელისაბედ ერისთავი მართა ბებიის ნათქვამს იგონებს: *„პაპა შენი 1864 წ. ავად გახდა. მთელ ტანზე მუწუკები დააყარა. მოხარშული მარწყვის ძირებს ვადებდითო, მაგრამ არც ექიმისა და არც შინაურმა წამლებმა ვერ უშველეს, „ანტონის ცეცხლი“ გაუჩნდა და გარდაიცვალა 9 ენკენისთვეს“.*

გ. ერისთავის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებზე დატოვებული მოგონებებიდან აგრეთვე მეტად საგულისხმოა მათი შინამოსამსახურის ივანე სუხიშვილის მოგონებები, რომელიც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ამ ღირსეული ადამიანის დიდბუნებოვნებას, მან ხომ საქართველოში ბატონყმობის ოფიციალურად გაუქმებამდე გაათავისუფლა თავისი ყმები. მოვუსმინოთ ივ. სუხიშვილს: *„...სოფლიდან ჩამოსული გლეხები ტიროდნენ, დედაკაცები ხომ სულ თავებს იხოცავდნენ ტირილით, თურმე პოეტის ნაყმევები იყვნენ...*

*პირველი პიონერი ბატონყმობის გადავარდნისა ჩვენში იგი იყო. მეზობელი თავადები, სახლის კაცები წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ პოეტს, იქნებ გრძნობდა ბატონყმობის გადავარდნას ვერ მოვესწრებიო, წინათვე გაათავისუფლა თავისი ყმანი, რომ დამტკბარიყო მათი თავისუფლებით. ბატონყმობის გადავარდნა გამოცხადდა ქ. გორში 8 ნოემბერს იმავე 1964 წელს. მისი ისევ სველი სამარე გრძნობდა ხალხის შვებას და იგიც სამარეში იშვებდა და იხარებდა“.*

კიდევ ერთი ამონარიდი, ამჯერად სოფ. ოძისში მცხოვრებ ანა ოქროს ასული არჩუაძე-მაჩხიძის მოგონებიდან, რომელიც პოეტის პატიოსნებასა და ღირსებაზე მიგვანიშნებს: *„მე მჭადიჯვარში დავიბადე და გავიზარდე, ჩემმა მშობლებმა ოძისში გამათხოვეს 14 წლისა. იმ დროს ძალიან გავრცელებული იყო წყეული წესი, თუ ყმა მოიყვანდა ცოლს, პირველ ღამეს ბატონისათვის უნდა მიეგვარად ფეხების დასაბანად და იმ ღამეს ბატონთან უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორე დღეს ქმარი წაიყვან-*

*და თავის სახლში. ჩემი მამამთილი და ქმარი ძალიან თავმოყვარეები და ბატონის ერთგულები იყვნენ. თავიანთი ოჯახის პატიოსნება რომ დაე-ცვათ, მათ ბატონისთვის გაემზადებინათ ზღვენი: ბატონს ეზოში შესული ურემი რომ დაენახა, დაეძახა ჩემი მამამთილისათვის: რა არის გიგლო, რა მოგაქვსო, ჩემს მამათლისაც ეთქვა თავისი მდგომარეობა, რომ რძა-ლი მოგვყავს და ზღვენი მოგართვითო: ბატონი ცოტა გაბრაზებულიყო და ეთქვა: – შეგირცხვეს ულვაში გიგლო, ეს რა თავი მომჭერი, როდის გამიკეთებია ასეთი ურცხვი საქმე და რაღა შენ გაგიკეთებო, წაიღე ეს შენი მოტანილი ზღვენი და საღამოზე ჩემი სტუმრებით იქ გეწვევიო. ჩემი ქმრისთვის უჩუქებია ერთი საჩოხე, ხოლო ჩემთვის გამოეგზავნა ერთი საკაბე. ჯვრის წერის შემდეგ ქორწილში ეტლით მოვიდნენ. ხალხმა დიდი ბატონი მობრძანდაო და ყველამ გზა დაუთმეს. ბატონს მიართვეს დიდი ჯიხვის რქა, მან დაგვლოცა და გამრავლება გვისურვა, ასევე დაგვლოცეს სტუმრებმა, დალიეს სასმისები და ვერცხლის ფული გადმოგვაყარეს. ქორწილში არ დამსხდარან და მალე წავიდნენ".*[1]

გ. ერისთავი დასაფლავებულია თავის საგვარეულო საძვალეში XII საუკუნის უმშვენიერეს იკორთის ტაძარში, სადაც განისვენებენ საქართ-ველოს მხსნელები, ბახტრიონის გმირები შალვა და ელიზბარ ქსნის ერი-სთავები. წლისთავზე მამის საფლავზე დავით ერისთავმა დადგა თუჯის დაფა ორენოვანი წარწერით: *„აქ განისვენებს გვამი გიორგი დავითის ძის ქსნის ერისთავისა გარდაცვალებულისა თ-ს სექტემბერს, ჩყͦდ-სა წელსა. ხოლო შობიდგან ნა-სა წლისა. ძემან მისმან კნიაზმან დავით მწუხარებით უქმნა სახსოვარი ესე".*[2]

**თ. გიორგის ერისთავის გარდაცვალებაზედ**

სად ხარ პოეტო? სად არს ნიჭი შენი ძრიელი?
რად დაგვტოვე და რად ჩუ͡ვნზედ აიღე ჴელი,
სად ხარ, სად სუფევ, სად წახვედი, სად მიგვეფარე,
მამულს შემოსწყერ უღალატე გული აჰყარე?
თითქო გიყვარდა საქართველო შენი მამული,
თითქო სიყრმიდგან მაზედ გქონდა სიმტკიცით გული,
მაშ აგრე უცებ შენ ეგ გული რამ შეგიცვალა,
ვინ მიგიზიდა, ჩვენთან ყოფნა აღარ გაცალა,

---

1 ბასილაშვილი გ., „გ. ერისთავი გლეხთა ქომაგი", დუშეთის გაზ. „კომუნიზმის გზა", 1973, № 117.

2 მეგრელიძე ი., წარწერები და სხვა სიძველეები იკორთაში, თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 99, თბ., 1962, გვ. 243.

თუ ჩუჱნ შეგცოდეთ და იმისთვის დაგვსაჯე აგრე,
შენსა შვილს დავითს გული მაინც რად დაუჩაგრე,
გამოუცდელსა ჯერეთ ბავშვსა რომ გაეყარე,
აბა მითხარი, ვის მიანდე, ვის ჩააბარე,
ასე უწყალოთ რათ მოუკალ ყმაწვილსა გული,
ჰყავ შენის გაყრით აოხრებულ, დაობლებული;
რამ ალგაშფოთა, ეს ნეტავი შემატყობინო,
ნუ თუ ახალმა დროს ცვლილებამ შენ შეგაშინა,
ანუ იქნება ამ ცრუ სოფლის შენ მღელვარება,
ვერ აიტანე და მოგწყინდა ჩუჱნში ცხოვრება...
გაგვშორდი, წახველ, მიაშურე სამკვიდრო ადგილს,
სადაცა ჰპოებ სიმყუდროეს და ბინას ნამდვილს.
მაშ თუ ასეა, გევედრები, გიორგი, ამას,
რომ მიწინამძღვრო, შემავედრო ზეციერს მამას.
მიყოს წყალობა, მომივლინოს მე ეს ნუგეში:
შემრიცხოს მეცა როდეს მოვკვდე შენსა კრებაში,
აქ იყავ მწვრთნიდი, მპატრონობდი, როგორც რომ შვილსა.
მაშ მანდაც მომცემ, ნამდვილ ვიცი, შენთან ადგილსა![1]

***გიორგი დვანაძე***
*ჟურნ. „ცისკარი“, 1865, №12 გვ. 2*

იკორთის ტაძარი საბჭოთა ხელისუფლებას პირველად შეუკეთებია 1938 წელს და, წარმოიდგინეთ, გიორგი ერისთავის საფლავი და მისი თუჯის დაფა არავის გახსენებია. დაფა ეგდო იქვე სიახლოვეს ვინმე ბოლოთაშვილის ბაღში.

[1] ჟურნალი „ცისკარი“, 1865, № 12, გვ. 2.

## დავით გიორგის ძე ერისთავი
(1847-1890)

გიორგი ერისთავის – გლუხარიჩის ერთადერთი მემკვიდრე დავითი დაიბადა 1847 წლის 28 აგვისტოს. როგორც მას, ისე მის ტყუპისცალ ძმას კონსტანტინეს სისუსტისა და ფერმკრთალობის გამო „სანთლის ბავშვებს“ ეძახდნენ. კონსტანტინე მალევე გარდაიცვალა, ხოლო დავითი 7 წლამდე დედის მზრუნველობის ქვეშ იზრდებოდა.

1854 წელს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დავითის დედა ელისაბედ ალიხანოვა, რომელიც დაკრძალეს ქ. გორის სომხების სასაფლაოზე.

დედით დაობლებული ბავშვის შესაფერისად მოვლა გიორგის გაუძნელდა, ამიტომ მან ცოლად მალევე შეირთო თარხან-მოურავის ქალი მართა, ქვრივი დავით ბარათაშვილისა, რომელთანაც შეძენილი ვაჟიშვილის სიკვდილის შემდეგ დედობრივი სითბო და მზრუნველობა ცხრა წლის დავითზე გადაიტანა. ამ დროს პატარა დავითი სწავლას დაწაფებული, ზრდილობიანი და მოსიყვარულე შვილია. თბილისში ერისთავების სახლში მისვლის პირველ დღეს და დავითთან შეხვედრას ასე იგონებს მართა, რომელსაც დავითი დედინაცვლად არასდროს მოიხსენიებდა.

*„... სახლის კარებთან მოსამსახურეები გამოვიდნენ, პერედნაში რომ შევედი, ჩემი გერი გამოვიდა, ჯერ მე შემომეხვია და მაკოცა მერე კი მამას; ბოლოს კი პურ-მარილით შეგვეგება ერთი გერმანელი ქალი, რომელიც ცხოვრობდა იქ თავის ქალით და პატარა დავითს გერმანულს ასწავლიდა...“*[1]

დედინაცვალი მეტად კარგი ხასიათის ქალი გამოდგა და დავითი უდედობას ვერ გრძნობდა. გიორგი არაფერს ზოგავდა, რათა თავის ერთადერთ შვილს შესაფერისი სწავლა-განათლება მიეღო. დავითი მამას ჯერ გორში მიუბარებია კერძო მასწავლებლებთან, შემდეგ იქვე შეუყვანია ახლად დაარსებულ პანსიონში, რომელიც გახსნეს დავითის კერძო მასწავლებლებმა ფიდორემ და ნიკიტინმა. დავითთან ერთად სწავლობდა ელიზბარ ერისთავის ვაჟიც – ვანო, რომელიც შემდეგ მწერლობაშიც ცნობილი გახდა.

გორის პანსიონში დავითის პირველი მასწავლებლები იყვნენ:

საღვთო წერილის – ხახანაშვილი.

[1] გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, ფონდი 19800-ბ.

ფრანგული ენის – ფრიდორე.

რუსული ენისა – ტულის პოლკის მწერალი (ეს პოლკი მაშინ გორში იდგა).

და ყველა სხვა საგნებისა – ნიკიტინი.

დავითს ყმაწვილობაში ჰყოლია პატარა ყარაბაღული ცხენი, რომლითაც ძალიან ხშირად დაიარებოდა ნათესავ-მეგობრებში.

1860 წლის 11 სექტემბერს დავითი და ვანო მშობლებმა ოდესაში გააგზავნეს სასწავლებლად. ბავშვები ელიზბარს წაუყვანია და კნერის პანსიონში მიუბარებია. შვილისთვის გიორგის გაუყოლებია მოსამსახურე – ზაქარია რუსიტაშვილი. დავითმა კარგი ნიჭი გამოიჩინა სწავლაში. დავით და ივანე ერისთავები ზაფხულს სამშობლოში ატარებდნენ და შემოდგომით კვლავ მიჰყავდათ სასწავლებლად.

ოდესაში სწავლის დროს 1865-67 წწ. დავითი თხზავდა ლექსებს, თარგმნიდა ქართულ ენაზე ლერმონტოვს, ნეკრასოვს, ვიქტორ ჰიუგოს და სხვებს (ეს თარგმანები დაცულია საქართველოს ლიტ. მუზეუმში, დავით ერისთავის არქივში). 1867 წელს დავითი შევიდა ნოვოროსიის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, საიდანაც შემდეგ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე გადადის. ორი წელი დაჰყო დავითმა უნივერსიტეტში, შემდეგ კი პეტერბურგის სამედიცინო აკადემიაში გადავიდა. არც აკადემიის დამთავრება დასცალდა, ავად გახდა და სამკურნალოდ გაემგზავრა საზღვარგარეთ, საიდანაც თბილისში ბრუნდება. დავითის ავადმყოფობაზე მისივე დედინაცვალი მართა თავის მოგონების ხელნაწერში „სიყრმიდან ბედის მოჩივარი“[1] წერს:

„...... *იმ წინა წელიწადს* (1866 წელს. ვ. ქ.) *ყმები ჩამოგვერთვა და სულზე 25 მანეთი მოგვცეს. ჩემს შვილს ერგო სამი ათასი თუმანი. ამით ზოგიერთი ვალები გადავიხადეთ და ის ფული რაც ვალს გადარჩა, პეტერბურგში გამგზავრებას და სწავლას მოუნდა. ორჯერ საზღვარგარეთ წავიდა: პირველად სანახავად და მეორედ ქ. ემსში ავადმყოფობის გამო (კუჭის კატარა ჰქონდა), მაგრამ ავადმყოფობას ვერ მორჩა, ორი წელიწადი დიდად შეაწუხა, შემდეგ თბილისში მორჩა ერთი ექიმის შემწეობით. 26 წლისა, რომ გახდა, თირკმელები დაუავადდა. რვა თვე იყო დიდი ავად-*

[1] გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, ფონდი 19800-ბ. აღნიშნული ხელნაწერი ერისთავების ყოფილი მოსამსახურისთვის ივანე სუხიშვილისთვის 1913 წელს მიუცია პლატონ იოსელიანის ცოლს, ხოლო ივანეს ელისაბედ დავითის ასულ ერისთავისთვის გადაუცია 1922 წელს.

*მყოფი. ზაფხულზე ფეოდოსიაში გააგზავნეს და იქ სრულებით განიკურნა, გასუქდა კარგად".*[1]

მამისაგან განსხვავებით, დავითს სხვადასხვა ქალებთან რომანტიკული ურთიერთობები არ ჰქონია. მანდილოსნისადმი მისი პირველივე სიმპათია ოჯახის შექმნით და მოსიყვარულე ცოლქმრობით დაგვირგვინდა. 1875 წლის 10 თებერვალს დავით გიორგის ძე ერისთავმა ჯვარი დაიწერა მარიამ ზაქარიას ასულ სარაჯიშვილზე. რადგანაც ერისთავების რძალი ცნობილი ქართველი მეცენატის, ქველმოქმედის, დიდი კაპიტალისტის დავით სარაჯიშვილის და იყო, ამიტომ საჭიროდ ვთვლი მცირე გადახვევას ქსნის ერისთავების მძახლების ოჯახის გასაცნობად.

ოჯახის უფროსი ზაქარია დავითის ძე, როგორც თავისი დროის შვილი, ყოფილა ღვთისმოსავი. ჯერ კიდევ მამამისს დავითს ეკავა „ღუბერსკი სეკრატარის" თანამდებობა. ზაქარიას 1863 წელს სოფ. დიღომში „ერთს მაღლობ ალაგას, გაუკეთებია თლილი ქვით ნაშენი სოფლისთვის ზომიერი ეკლესია, რომელი ეკლესიაც იმავე დროს „თეთრ წმინდა გიორგად წოდებულა". 1863 წელს გარდაცვლილი ზაქარია სწორედ თავისივე აგებულ ეკლესიაშია დაკრძალული. დედა დავით და მარიამ სარაჯიშვილებისა ძველ აზნაურთ გვარის შთამომავალი – ელისაბედ სიმონის ასული სავანელი გახლდათ. „გულმოწყალე და ქმრის მსგავსად ქველმოქმედების სიყვარულით აღვსილი" ეს ამაგდარი დედა დაკრძალული იყო „კალოუბნის" ეკლესიაში, რომელიც კომუნისტებმა დიდი ხალისით დაანგრიეს და ზედ ააშენეს შენობა, რომელშიც ამჟამად კინოთეატრი „რუსთაველია".

ელისაბედს და ზაქარიას სამი შვილი ჰყავდათ, ვაჟი – დავითი და ქალიშვილები – ეკატერინე და მარიამი. უფროსი და ეკატერინე იყო თავად ნიკოლოზ ბიძინას ძე ერისთავზე გათხოვილი, ეს უკანასკნელი – ბიძინა რევაზის ძე (1800-1875) იყო მერი შერვაშიძის მამამთილი. ერთ დროს მსახურობდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად. ნიკოლოზს და ეკატერინეს ჰყავდათ შვილები – ალექსანდრე, გიორგი (გიგუშა), თამარი და ელისაბედი. ელისაბედ ერისთავი ცნობილი ქართველი ოფთალმოლოგის, საქართველოში თვალის სნეულებათა პირველი უფასო საავადმყოფოს დამფუძნებლის (1892 წ.) გიორგი ტარსაიძის (1857-1904 წწ.) მეუღლე იყო. ჰყავდა შვილები – ნიკო, საშა, მიხეილი.

---

[1] ერისთავი ელ., მასალები გ. ერისთავის ბიოგრაფიისათვის, ლიტერატურის მატიანე, წ. 5, ნაწ. I.

დავით სარაჯიშვილი თბილისელი მემამულეების და სოვდაგრების შთამომავალი იყო, მემკვიდრეობით ფლობდა დედაქალაქის საპატიო მოქალაქის ტიტულს, რომელიც შორეულ წარსულში მეფე ვახტანგ VI შემოუღია და ღირსეულ მოქალაქეებს ენიჭებოდათ. დაიბადა 1848 წელს. სწავლობდა პეტერბურგის, მიუნხენის, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში. მიღებული ჰქონდა ქიმიისა და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. 1880 წლიდან დაიწყო სპირტიანი სასმელების: არყის, კონიაკის, ლიქიორის წარმოება, რითაც დიდი ქონება დააგროვა. *„მისი ღირსება ის იყო, რომ სიმდიდრე პირადი ანგარებისა და განცხრომისათვის არ მოუხვეჭია. დიდია მისი ღვაწლი ქართული ეროვნული კულტურის აღორძინებასა და განვითარებაში. მისი დახმარებით 1906 წელს დასრულდა მომავალში უნივერსიტეტისთვის გათვალისწინებული სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობა, მისი სახსრებით აშენდა ქართული კულტურის კერა – საერო მუზეუმი, შეაკეთა მთაწმინდის, დიდუბის და მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრები. ააგო ქაშუეთი. მისმა ოჯახმა ანდერძით სამი მილიონი მანეთი დაუტოვა იმ ქართველ ერს, რომელმაც მას „ქართველი რობერტ ოუენი“ უწოდა. გარდაიცვალა 1911 წლის 20 იანვარს. ქართულმა საზოგადოებამ დიდი პატივით დაკრძალა დიდუბის პანთეონში. კომუნისტებმა დიდუბის ღირსად არ ჩათვალეს სამშობლოს უსაზღვრო პატრიოტი და 1939 წელს ვაკის სასაფლაოზე გადაიტანეს მისი საფლავი. ბოლოს მაინც სანთელსაკმეველმა გზა არ დაკარგა და 1995 წლის 24 ივნისს დავით სარაჯიშვილისა და მისი მეუღლის ეკატერინე ფორაქიშვილის ცხედრები ვაკის სასაფლაოდან ქაშუეთის ეკლესიამდე ზღვა ხალხმა მიაცილა და მათივე აშენებული ეკლესიის ეზოში დაკრძალა“.*[1]

ჩვენთვის საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დავითი სიძეებთან კარგი ურთიერთდამოკიდებულებით გამოირჩეოდა, სამაგალითო მოყვრობას უწევდა ქსნის ერისთავთა წარმომადგენლებს – დავითს და ნიკოლოზს.

სარაჯიშვილების ასული მარიამი განათლებული, კარგი მეუღლე და მეოჯახე ქალი ყოფილა. მასზე შედარებით ძუნწი ცნობებია შემონახული. ჩვენ ხელთ გვაქვს ერისთავების შინამომსამსახურის ივანე სუხიშვილის მოგონება დავითსა და მის ოჯახზე.

*„... თავად დავითს ცოლად ჰყავდა მილიონერი ზაქარია დავითის ძე სარაჯიშვილის ქალი, მეტად ამაყი და მედიდური. დედამთილს არ მო-*

[1] დავით სარაჯიშვილზე იხ.: ჩიმაკაძე გ., ცხოვრება და მოღვაწეობა დავით სარაჯიშვილისა, თბ., 2003.

*სწონდა რძლის ასეთი სიამაყე და იტყოდა ხოლმე: ამ ვაჭრის ქალს ვინ მისცა ასეთი სიამაყე და ამპარტავნებაო?!...*

*... განსვენებული თავადი დავითი იყო დინჯი, გულკეთილი, მშვიდობის მოყვარე და მშვენივრად მოსაუბრე; დილით გვიან დგებოდა, ერთი საათი უნდებოდა ჩაცმას და პირფარეშობას. იცვამდა სუფთად და მოხდენილად ევროპულ ტანსაცმელს, თორმეტ საათზე სვამდა ჩაის, კარგა მოზრდილი ჭიქით, შემდეგ ეწეოდა სიგარას. შემდეგ ან თავის კაბინეტში წერდა და კითხულობდა, ან ფოტოაპარატით დადიოდა ეზოში და იღებდა სურათებს. ოჯახის საქმეში სულ არ ერეოდა, ის მის დედინაცვალს კნ. მართას ჰქონდა მინდობილი. უყვარდა მუსიკა, უკრავდა მშვენივრად ფისგარმონზე. ხანდახან როგორც შინამოსამსახურეებს ისე მოჯამაგირეებსაც მოგვიწვევდა დარბაზში და გვიკითხავდა ილიას და აკაკის ნაწერებს".*[1]

დავით ერისთავი სოფ. ოძისში აწყობდა პატარა თეატრალურ წარმოდგენებს და იღებდნენ სურათებს ისტორიული გმირების მიხედვით. ასეთ წარმოდგენებში, როგორც მსახიობები, ხშირად მონაწილეობდნენ ივანე სუხიშვილი და სოფ. კორინთის დიაკვანი გიორგი ბიბილური. ივანე იგონებს: *„მახსოვს, ერთხელ მე ჩამაცვეს ჩოხა, გამიკეთეს თეთრი წვერი, შემომახვიეს თავზე თეთრი ზეწარი და წამომასხეს ზურგზე ქირმანის შალი, იქით-აქეთ ორი სამხედრო პირი მომისვეს. გაანათეს დარბაზი ფერადი ცეცხლით და გადასწიეს ფარდას, და ტაში დამიკრეს. ეს სურათი აღებული იყო შამილის ცხოვრებიდან, როცა იგი რუსებმა დაატყვევეს და პეტერბურგში გადაასახლეს. იქ ტყვე შამილი თეატრში წაიყვანეს შამილმა რუსული არ იცოდა. მოეწყინა, მთქნარება დააწყებინა. ახლოს რუსის გენერალმა შენიშნა და თარჯიმანს დაცინვით უთხრა. „გადაეცი მაგ მხეცს, რამოდენა პირს აღებს არ გადამყლაპოსო". შამილმა პასუხად მიუგო. გადაეცი ბატონ გენერალს: „მე მუსულმანი ვარ და ღორის ხორცს არ ვჭამო".*[2]

სოფლის თეატრი, როგორც გიორგი ცაგარელი იგონებს, *„ახალისებდა, ცხოვრებისადმი ინტერესს და ძალას მატებდა როგორც ადგილობრივ ისე ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობას".*[3] ცაგარელისავე თქმით,

---

[1] გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, ფონდი 19800-ბ.

[2] იქვე.

[3] მიხეილ ცაგარელი იყო მეზობელი ელისაბედ დავითის ძე ერისთავისა (საბურთალოზე, სპორტის სასახლესთან). ამ ცაგარელის დეიდის ქმარი იყო დიაკვანი გიორგი ბიბილური, სოფ. კორინთაში.

*„დავით ერისთავს თავის მფლობელობაში მყოფ სოფ. კორინთაში, ადგილობრივ ეკლესიაში დიაკვნად მიუვლენია გიორგი ბიბილური, მიუცია მოზრდილი ბაღ-ვენახის ნაკვეთი, სადაც სიკვდილამდე დარჩენილა თავისი ოჯახით. მისი გარდაცვალების მერეც ერისთავების მემკვიდრეთაგან არავინ შესცილებია.*

*კორინთის დიაკვანი ბიბილური კარგი სტუმართმოყვარე ფოკუსნიკი და გართობის მოყვარული კაცი ყოფილა. სტუმრებს ხშირად უმასპინძლდებოდა მდ. ალეურაზე დაჭერილი ცოცხალი თევზით. სრულებით არ აინტერესებდა კარიერა. ლაღი ბუნების ადამიანს უფრო ხალხის ჭირვარამზე ყვარებია საუბარი“.*[1]

დავით ერისთავსა და მარიამ სარაჯიშვილს ჰყავდათ ერთადერთი ქალიშვილი ელისაბედი იგივე ლიზა, რომელსაც მამა მოფერებით „გონგოშას“ ეძახდა. ივანე სუხიშვილის დახასიათებით ელისაბედი იყო – *„ძალიან გულკეთილი, მშვიდი და ადამიანის მოყვარე ბავშვი. მასწავლებლად ყოველთვის ფრანგი ქალი ჰყავდა, რომელიც პატარა ლიზას ფრანგულსა და მოქალაქურ ცხოვრებას ასწავლიდა“.* ელისაბედს გენეტიკურად გადაეცა მწერლობისადმი სიყვარული. ბავშვობიდანვე მწერლური გარემოცვის „ტყვეობაში“ აღზრდილმა ელისაბედმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართული საყმაწვილო ჟურნალის – „ნაკადულის“ რედაქტორობას დაუკავშირა. შეძლებისდაგვარად, მოკრძალებულად ცდილობდა წინაპართა ტრადიციების გაგრძელებას.[2]

ელისაბედმა დაგვიტოვა საინტერესო მოგონებათა ჩანაწერები მამაზე, სადაც გადმოცემულია დავითის მთარგმნელობითი, დრამატურგიული და თეატრალური საქმიანობა, სპექტაკლ „სამშობლოს“ ხმაურიანი პრემიერა, გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორობის პერიოდი, როტშილდის სანავთობო საზოგადოებაში მუშაობა და ბოლოს მამის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები.

ელისაბედის თქმით, დავითს სოფ. ოძისში დაუწერია ცნობილი პიესა „სამშობლო“, ასევე უთარგმნია მრავალი კომედია. თავის საცხოვრებელ სახლში ჰქონდა ფარმაცევტული და ფოტოლაბორატორიები, ადგილზე ამზადებდა ფოტოქაღალდს, ასევე ჰქონია ტექსტების საბეჭდი მოწყობილობა. *„მამას წერის დროს ძირს იატაკზე ედგა ლიტრა* (ცხავატური, ვ. ქ.) *ცივი წყაროს წყლით. ხშირად მიირთმევდა პირდაპირ ლიტრიდან. ოძის-*

1 გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, № 19799-300.

2 გუსევა ე., „ვალმოხდილი მანდილოსანი“, ჟ. „ომეგა“, იანვარი, 2004, გვ. 50.

*ში ქართულ საჭმელებს ამზადებდა მზარეული. კვირაში რამდენჯერმე იკვლებოდა ცხვარი (როცა მუშები გვყავდა იმათთვის ცალკე). კვირაში ორჯელ სოფ. კასპის სადგურიდან ოძისში სპეციალურად მიჩნეული კურიერი ზიდავდა ახალ გაზეთებს".*[1]

ოძისში დავით ერისთავის ოჯახის მომსახურე პერსონალი მრავალრიცხოვანი ყოფილა. ივანე სუხიშვილის მიერ შედგენილი პერსონალის ჩამონათვალი მოკრძალებულია, მაგრამ მისივე თქმით, *„მთელ ოჯახს ჩვენ მოსამსახურენი ვჭამდით. თითქმის მჭამელთა რიცხვი გარდა ბატონებისა ორმოც სულამდე ვიყავით".*

დავით ერისთავი სიცოცხლის ბოლო წლებში გაზეთ „კავკაზის" რედაქტორობის შემდეგ მუშაობდა „როტშილდის სანავთობო საზოგადოებაში" დირექტორად, რის გამოც ხშირად დადიოდა პეტერბურგში, ბაქოში და ბათუმში. 1890 წლის გაზაფხულიდან დავითს დაეწყო მძიმე ავადმყოფობა, ბათუმში ნავთობის საკითხზე ყოფნისას გზაში გაცივდა. ბათუმიდან მომავალმა სოფ. ოძისში გამოიარა დედის სანახავად. იქ ერთი ღამე გაათია (ეს იყო მისი ბოლო ყოფნა თავის მშობლიურ ქსნის ხეობაში), მეორე დღეს დედა და შინამოსამსახურე ივანე თან გაიყოლა. ყმაწვილი ივანე იგონებს: *„გზაში მშვენივრად მუსაიფობდა, ოხუნჯობდა, როცა ტკივილებს იგრძნობდა, იტყოდა ხოლმე „აი დედასა დავით ერისთავოო".*[2] *საზაფხულოდ ექიმებმა მანგლისში წასვლა ურჩიეს. ავადმყოფის სანახავად დაიარებოდნენ მისი ნათესავ-მეგობრები: ალექსანდრე და კოლა ერისთავები. ერთხელ ილია და აკაკიც მობრძანდნენ. დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი და ფორაქიშვილები ხომ ხშირად იქ იყვნენ, როგორც მახლობელი ნათესავები".*

დავით ერისთავი 1890 წლის 11 ოქტომბერს თბილისში თავის სახლში გარდაიცვალა. დასაფლავებული იყო რუსთაველის გამზირის დასაწყისში, მარჯვენა მხარეს, კალოუბნის ეკლესიის გალავანში (დღევანდელი კინოთეატრ „რუსთაველის" ადგილი). მას საფლავზე დავით სარაჯიშვილმა ძეგლი აუგო აკაკის ლექსის ეპიტაფიით:

„ძლვნად და საკურთხად სამარადისოდ,
საიმქვეყნო და საიმსოფლიო,

[1] გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, ფონდი 19800-ბ.

[2] ივანე სუხიშვილმა 3 წელი დაყო ერისთავების სამსახურში, შემდგომ გახდა შიომღვიმის მონასტრის არქიმანდრიტი – მამა ესე. რომელმაც მემუარული ხასიათის ცხრა რვეულისაგან შემდგარი მოგონება „ჩემი თავგადასავალი" დაწერა.

ღირსმა ერის ძემ, თვით ერისთავმა
სამშობლოსათვის დასდგა „სამშობლო“.

1930 წელს დავით ერისთავის ნეშტი გადასვენებულ იქნა მთაწმინდის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. დასასრულს კი თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დავით ერისთავი მთელ თავის ნიჭს ახმარს ქართული თეატრისა და დრამატურგიის აღორძინების საქმეს. დავითის სახით გიორგიმ ნიჭიერი მემკვიდრე დატოვა მის მიერ დაწყებული საქმის გასაგრძელებლად და განსავითარებლად.

დავითს დარჩა შვილი ელისაბედი, რომელიც ცოლად გაჰყვა კარალეთში მცხოვრებ თავისივე ბიძაშვილს შალვა რევაზის ძე ერისთავს. მათ შეეძინათ შვილები: დავითი, ელენე, ნინო, რევაზი, გიორგი. ელისაბედ ერისთავი გარდაიცვალა 86 წლის ასაკში 1962 წლის 22 ივნისს.

1929 წელს სოფ. ოძისში განხორციელდა კოლექტივიზაცია, რის შემდეგაც უპატრონოდ დარჩენილი ერისთავების ბიბლიოთეკის მოსავლელად და საპატრონებლად ელისაბედს მიუმართავს განათლების კომისარიატისთვის. კომისარიატს მომდევნო წელს ორი ურმით ოძისიდან თბილისში ჩამოუტანია განადგურებას გადარჩენილი გიორგი და დავით ერისთავების ბიბლიოთეკა და ეროვნულ არქივში ჩაუბარებიათ. 1930 წელს მოხდა ამ დიდებული ოჯახის განკულაკება, რომლის მფლობელებიც იყვნენ ელისაბედ დავითის ასული, მისი მეუღლე შალვა რევაზის ძე და მათი უფროსი ვაჟი დავით შალვას ძე ერისთავები.

**ერისთავების განკულაკების ოქმი**

*„1930 წელს 4 თებერვალს ჩვენ მუშათა ბრიგადის წევრი ალექსანდრე ნატროშვილი, დუშეთის რაიკომის წარმომადგენელი ვანო კარიაული, სოფ. ოძისის კოლექტივის საბჭოს წევრების მთელმა შემადგენლობამ შევადგინეთ ესე ოქმი შემდეგზე.*

*ჩვენ ზემო აღნიშნულ პირთა თანახმად ადგილობრივი მოსახლეობის გაერთიანებული კრების დადგენილებისა ჩამოვართვით შემდეგი უძრავი და მოძრავი ქონება ამავე სოფლის მცხოვრებს დავით შალვას ძე ერისთავს, როგორც თავადს და დაქირავებული შრომით შეძენილი:*

*1/ ბაღ-ვენახი 3 დეს. 2/ სახნავი მიწა 1 დეს. 3/ ვენახი 1 დეს. 4/ შენობა 3 სართულიანი 18 ოთახით, 5/ თავლა 20 მეტრი სიგრძისა, 6/ კანუშნა 8 მეტრისა სიგრძით, 7/ სარდაფი ღვინის 2 ოთახი, პური 30 ფუთი, 9/ კასრები ცარიელი თაფლის 2 ცალი, 10/ ცენტრაფუგი ერთი ცალი, 11/ ფუტკარი 33 სკა, 12/ რამკა 700 ცალი, 13/ აპარატი 1 ცალი, 14/ ბუსქი*

*1 ცალი, 15/ აგრო პუკარი ერთი ცალი, 16/ შაბიამანი 1 ფუთი, 17/ ქართული ტალიანი თოფი 1 ცალი, 18/ სეპარატორი 1 ცალი, 19/ ცარიელი სკა 42 ცალი, 20/ ფიჭა 5 გირვანქა, 21/ უნაგირი 2 ცალი, 22/ ბიტონი 1 ცალი, 23/ პარტა 1 ცალი (გადაეცა სკოლას), 24/ საქსოვი მანქანა ხის ერთი, 25/ საქაჯავი ერთი, 26/ ხამუთი 2 ცალი, 27/ საკერავი მანქანა 1 ცალი, 28/ ღვინო 15 კოკა (90 ვედრა), 29/ ბოჩკა 8 ცალი, 30/ ჭაჭა ერთი ქვევრი, 31/ ჩანი ხის დიდი ერთი ცალი, 32/ თუნგი 1, 33/ კულტივატორი ერთი ცალი, 34/ ხამუთი 1 ცალი, 35/ ცხენი 4 ცალი, 36/ ხარი 2 სული, 37/ მოზვერი ერთი, 38/ სიმინდის მანქანა, 39/ უნარიგი ერთი ცალი, 40/ ხერხი, 41/ ბარი, 42/ თოხი ორი ცალი, 43/ ვაშლის საფცქვნელი მანქანა ერთი ცალი, 44/ სასწორი 1 ცალი, 45/ გირები, 46/ პატარა სასწორი, 47/ ამბარი, 48/ ჯაჭვი, 49/ კეცი ორი ცალი, 50/ ხის ლახანკა ორი ცალი, 51/ ძაბრი ხისა 1 ცალი, 52/ ტკბილის საზომი, 53/ მაჩალკა ერთი ცალი, 54/ ხმალი, 55/ ფარანი ორი ცალი, 56/ რულეტკა ერთი ცალი, 57/ ვედრო 2 ცალი, 58/ სკამი ორი ცალი, 59/ ბიტონი ნავთის ერთი ცალი, 60/ ხაფანგი, 61/მაგიდა.*

*კომისიის თავმჯდომარე ალექსი შამანაური*

*I / გ. ტიტველაშვილი*

*წევრები:*

*II / ი. გედევანიშვილი*

## მიტროპოლიტი ვარლაამი (ერისთავი)

ქართული კულტურის ისტორიაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია ქსნის ერისთავების – იესე ყულარაღასის შტოს წარმომადგენელს მიტროპოლიტ ვარლაამს. ერისკაცობაში ვახტანგ დავითის ძე დაიბადა 1763 წლის 8 აგვისტოს ქსნის ერისთავების ოჯახში, სოფ. ახალგორში. პირველდაწყებითი განათლება ვახტანგმა მშობლების მეთვალყურეობით ოჯახში მიიღო. შემდეგ სრულფასოვანი აღზრდისა და განათლების მისაღებად თბილისში, ანჩისხატის ტაძართან მოქმედ სასულიერო სემინარიაში მიაბარეს. სემინარიაში ვახტანგმა დიდი ნიჭი გამოავლინა. მას კარგად შეუსწავლია: წმინდა წერილი, გალობა, საეკლესიო ტიპიკონი ანუ საეკლესიო წესების კრებული, სასულიერო და საერო ლიტერატურა, რუსული და ებრაული ენები. კარგად იყო განსწავლული სამეცნიერო და ფი-

ლოსოფიურ საგნებში. მალე იგი კათალიკოსის საყვარელი მოწაფე გახდა (ვახტანგის მამა დავით ერისთავი ენათესავებოდა ერეკლე II-ს). თვრამეტი-ცხრამეტი წლის ვახტანგ ერისთავი საქართველოს კათალიკოსმა ანტონ I-მა ბერად აღკვეცა და სახელად ვარლაამი უწოდა. მალევე დიაკვნად აკურთხა და მღვდლად დაასხა ხელი. მღვდელ-მონაზონი ვარლაამი სამეფო კარზე მსახურობდა და აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საერო და სასულიერო ცხოვრებაში.

1791 წელს ერეკლე მეფის თხოვნით აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსმა ანტონ II-მ არქიმანდრიტი ვარლაამი ეპისკოპოსად აკურთხა და ახტალის ეპარქია ჩააბარა.

ცნობილი მწერალ-მწიგნობარი და მეცნიერი იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“ ასე ახასიათებს მეუფე ვარლაამს: *„ვარლაამ ახტალის ეპისკოპოსი არს აღზრდილი კათოლიკოზის ანტონისაგანვე. საფილოსოფოსოსა სწავლისა და ღმრთის მეტყველებასა შინა მეცნიერი, უცხო რიტორი და მშვენიერი მოქადაგე. ამან ასწავა სხვათა და სხვათა მოწაფეთა საფილოსოფოსო სწავლანი და უკანასკნელ წარმოვიდა როსიად და პავლე იმპერატორმა განაწესა სინოდისა წევრად. ამან ისწავა რუსული ენა კეთილად და ქმნა საუფლოთა და სხვათა დღესასწაულთა ქადაგებისა წიგნი, საამო სასმენი და კარგა დათხზული. და აწ არს აქა თქვენ თანა“.*[1]

ერისთავი ვარლაამი წვრთნიდა და ამზადებდა ხალხისა და ღმერთის სამსახურად ახალ-ახალ თაობებს: *„ამან ასწავა სხვათა და სხვათა მოწაფეთა“*, – ამბობს იოანე და ამასვე გვიდასტურებს ცნობილი დეკანოზი იოანე ქართველიშვილი: *„ვისწავლე აღსნით ვარლამისაგან წიგნი, ღრამატიკა, რიტორიკა, კატიღორია, ლოღიკა და მეტაფისიკა და გადავწერე წიგნნი ესენი კატიღორიისა“.*

1794 წელს ეპოსკოპოსი ვარლაამი, ერეკლე II-ისა და ანტონ II-ის ლოცვა-კურთხევით, რუსეთში გაემგზავრა საეკლესიო განათლების მისაღებად. იგი ფრიად დაახლოებული პირი იყო სამეფო კართან, ამას ადასტურებს მისი მიმოწერა ბატონიშვილებთან.

1801 წლის დამდეგს პეტერბურგის მიტროპოლიტმა ამბროსიმ (პოდობედოვი) მეუფე ვარლაამი თავის მრჩევლად დანიშნა. ამავე წლის 23 იანვარს იგი რუსეთის წმინდა სინოდის წევრად აირჩიეს. მეუფე პეტერბურგის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ლავრაში ცხოვრობდა,

[1] მაჩურიშვილი გ., ტოგონიძე ლ., მიტროპოლიტი ვარლაამი. წიგნიდან XIII-XX სს-ში მოღვაწე სასულიერო პირთა ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 2012, გვ. 393.

მას ურთიერთობა ჰქონდა პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ ბატონიშვილებთან. ამ სიახლოვეზე მეტყველებს მეუფისადმი მირიან ბატონიშვილის მიერ მიძღვნილი იამბიკონი:

„ყოვლადსამღვდელოვ, მღვდელმთავარო ქრისტესო!
ძმავ, მეგობარო და ჩემდა სულის მწყემსო,
გილოცავ ხარსხსა, უაღრესს უაღრესო,
ამ საღმრთო მადლით, შეკვრის გახსნის მაწესო
გევედრი მარჯვენით კურთხევა განმაწესო....
ყოვლად სამღვდელოვ! სიტყვა ჩემი მცირიან
გევედრს წერილი, თქვენი გრძნობა ხშირიან,
არ მაკლოთ, რომლის გზასა თუალნი მზირიან
რადგან სვეთა ჩვენთ ხილვა დაუძვირიან
მით მხიარულ მყოთ, მარად მწირი მირიან...“[1]

მეუფე ვარლაამი რუსეთში ყოფნის პერიოდში აახლებს ქართული სტამბის საქმიანობას. ეს მოხდა დაახლოებით 1803 წელს. ამ საქმეში მას ეხმარება საქართველოდან წასული ცნობილი მესტამბე გიორგი პაიჭაძე. მისი თაოსნობით მოსკოვში 1805-1808 წლებში დაიბეჭდა ორი დიდტანიანი სასულიერო შინაარსის თხზულება: ანტონ I-ის „სადღესასწაულო“ მეუფე ვარლაამის წინასიტყვაობით და მეორე, მეუფე ვარლაამის შედგენილი „განმარტება სახარებისა საუფლობა და ღვთისმშობლის დღესასწაულთა და ჰსწავლანი კეთილჩვეულებათა მასწავლებელი“. ასევე მიტროპოლიტის ღვაწლის შედეგია: მისი ლექსი მირიან ბატონიშვილთან მიწერილი „მილოცვა მეფე ირაკლისადმი“, „გეოგრაფიული ატლასი“, „ქართული ღრამატიკა“, „სახელმძღვანელო არითმეტიკისა“, „ქადაგებანი“ და სხვა. ზოგიერთი მისი თხზულებანი დაბეჭდილია თავისივე სტამბაში, რომელიც მან პეტერბურგში დააარსა.[2]

1808 წელს მეუფე ვარლაამი საქართველოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაება საეკლესიო ცხოვრებაში. საქართველოში დაბრუნებული მღვდელმთავარი ცდილობს თბილისში სტამბის მოწყობას. 1809 წელს იგი რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს კურაკინს საკუთარი სტამბის აღჭურვილობის მოსკოვიდან თბილისში გადატანას სთხოვს, მაგრამ ამის თაობაზე რუსეთის ხელისუფლებას თავი არ შეუწუხებია. მიუხედავად

[1] მაჩურიშვილი გ., ტოგონიძე ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 398.

[2] ვარლამ მიტროპოლიტის მოღვაწეობაზე იხ.: აგრეთვე გაზ. „მწყემსი“, 1884 წ. № 21.

ამისა, 1815 წელს მეუფემ მაინც შესძლო თბილისში სტამბის დაარსება, სადაც დაიბეჭდა დეკანოზ იოანე ქართველიშვილის „ქართული გრამატიკა“.

1810 წლის ნოემბერში, კათოლიკოს ანტონ II-ის საქართველოდან გაწვევის შემდეგ, რუსეთის იმპერიამ საეკლესიო წესების უხეში დარღვევით გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და შემოიღო რუსული მართვა-გამგეობა. 1811 წლის 8 ივლისს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა საქართველოს ეგზარქოსად და მცხეთის მიტროპოლიტად ახტალელი ეპისკოპოსი ვარლაამი დაამტკიცა. 1814 წლის 30 აგვისტოდან დასავლეთ საქართველოს ეპარქიებიც მის განკარგულებაში მოექცა. თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ III ნაწილში დაცულია ერთი საინტერესო საბუთი: *„ჩლი წელსა კათალიკოზი ანტონი, მეფის ირაკლის ძე წაიყვანეს რუსეთს ღვინობისთვის ნოემბრის: თ: ქკს: უჟთ:* და იქვე წერია: *ჩლი წელსა ქსნის ერისთავის შვილსა, ვარლაამს არქიეპისკოპოსს, სრულიად საქართველოს ეკლესიის გამგეობა მიეცა იმპარატორისაგან ენკენისთვის: იბ: ამისვე მეორე წელსა (1812) მიტროპოლიტობა მოუვიდა, მესამე წელსა (1813) თეთრი ბარტყულა, კავალერი, ვარსკვლავი, ჯვარი შუბლზე, ექსარხოსობა სრულიად საქართველოსი და იმერეთისა ქკს: ფ“.*[1]

მეუფე ვარლაამმა რუსეთის ხელისუფლების დავალებით შეადგინა აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი, რომელიც საქართველოს საეგზარქოსოს შექმნას და რუსეთის სინოდისადმი მის დაქვემდებარებას ითვალისწინებდა. 1811 წელს ეს პროექტი მცირე ცვლილებებით დაამტკიცა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა. მეუფე ვარლაამის მმართველობის პერიოდში თბილისში აშენდა ახალი ტაძრები: 1815 წელს ჯვარ-პატიოსანის სახელობის ეკლესია (1856 წელს ეს ეკლესია გააფართოეს და წმინდა ნიკოლოზის სახელზე აკურთხეს), სიონის ახალი სამრეკლო და ქაშვეთის ეკლესიის კარიბჭე, რომელზეც ამის მაუწყებელი წარწერაც დაატანეს: *„სადიდებლად ღუთისა, დროსა სრულიად როსიის იმპერატორის ალექსანდრე პირველისა და ექსარხოსობას საქართველოს და იმერეთის სამღვდელოთა ზედა მცხეთის მიტროპოლიტის და თბილისის ვარლაამ ქსნის ერისთავის დავითის ძისასა აღშენდა კარიბჭე ესე წელსა ქრისტესით ჩყივ (1816), ქორონიკონსა ფდ“.*

მიუხედავად ერთგული და თავდადებული სამსახურისა, რუსეთის ეკლესია მეუფეს, როგორც ქართველ მღვდელმთავარს, მუდმივად ეჭ-

1 მაჩურიშვილი გ., ტოგონიძე ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 396.

ვის თვალით უყურებდა და ხელსაყრელ მომენტს უცდიდა მის რუსეთში გადასაყვანად. მალე მეუფე ვარლაამსა და თელავის მთავარეპისკოპოს დოსითეოსს (ფიცხელაური) შორის უთანხმოებამ იჩინა თავი, ამას დაემატა ისიც, რომ მიტროპოლიტმა ვარლაამმა ვერ დასძლია დასავლეთ საქართველოს ეკლესიის უმაღლესი იერარქებისა და მრევლის წინააღმდეგობა. მან ვერც ახალი საეკლესიო კანონპროექტის გატარება შესძლო. ამით ისარგებლეს რუსებმა და 1817 წლის 14 მაისს მეუფე ვარლაამი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

მიტროპოლიტი ვარლაამი იძულებული გახდა, მოსკოვში გაეგრძელებინა მოღვაწეობა. იგი კვლავინდებურად წმინდა სინოდის წევრად ითვლებოდა. რუსეთში დასახლებული მღვდელმთავარი არ აკლებდა მახლობელთა სწავლა-განათლების საქმესაც. 1825 წელს მისი თხოვნით მოსკოვში სასწავლებლად გაგზავნეს მისი ძმისშვილი – ესტატე და უფროსი ძმისშვილი – გიორგი (შემდგომში – ცნობილი დრამატურგი). მეუფემ ისინი კერძო პანსიონში მიაბარა ცოდნის მისაღებად.

1825 წლის 5 თებერვალს მეუფე ვარლაამი, თავისი თხოვნის საფუძველზე, წმინდა სინოდის შემადგენლობიდან გამოვიდა და ამავე წლის 20 მარტიდან მოსკოვის დანილოვის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა.

მიტროპოლიტი ვარლაამი 1830 წლის 18 დეკემბერს გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია დანილოვის მონასტერში.

დღეს ჩვენთვის ხელმისაწვდომია მოტროპოლიტ ვარლაამის ხუთი ნაბეჭდი თხზულება, მათ შორის, სამი სასულიერო და ორი საერო ხასიათის: 1) „სწავლა და მეცნიერება ქრისტეანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე თქმული წმინდისა პასექისა მწუხრისა ზედა“; 2) „განმარტება სახარებისა საუფლოთა და ღვთისმშობლის დღესასწაულთა და ჰსწავლანი კეთილჩვეულებათა მასწავლებელი“; 3) „სიტყვა თქმული ოქტომბრის 29, 1788 წელს საკათალიკოზო საყდარსა ზედა აღსვლასა და ნიშნების მირთმევასა ანტონ ირაკლი მეფის ძისასა“; 4) „მილოცვა მეფე ირაკლისადმი“ და 5) „სიტყვა პავლე ციციშვილისადმი“.

**მიტროპოლიტ ვარლაამის (ერისთავის) გენეალოგია (1763-1930)**




## გიორგი რომანოზის ძე (ატამანი) და ზაქარია გიორგის ძე ერისთავები

როგორც ელისაბედ დავითის ასული ერისთავი თავის მოგონებებში აღნიშნავს, გარდა ქსნის ერისთავების „უფროსი წილობისა“ (იგულისხმება დავით როსტომის ძე ერისთავის ოჯახი) სოფ. ოძისში ცხოვრობდნენ ქსნის ერისთავთა სხვა შტოებიც (გიორგი ყულაღარასის შთამომავლები. ვ. ქ.), კერძოდ: გიორგი რომანოზის ძე ერისთავი და შალვა რევაზის ძე ერისთავი. უფრო ადრე XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე კი ოძისიდან ილტოზას გადასულები ჩანან ბიძინა რომანოზის ძე ერისთავი. ასევე ოძისიდან კარალეთში XIX ს-ის 30-იან წლებში საცხოვრებლად გადასულა რევაზ შალვას ძე ერისთავი, მისი ვაჟის შალვას მეუღლე იყო ელისაბედ დავითის (გლუხარიჩის შვილის) ასული ერისთავი, რომლის თქმით: *„შალვა რევაზის ძის* (ე. ი. ელისაბედის მამამთილის მამის. ვ. ქ.) *ოჯახი, რომ ოძისში ცხოვრობდა ეს თვითონ მისმა ასულმა ელენემ მიამბო და კიდეც მიჩვენა იმათი ნასახლარი. მათი სახლი იდგა ზაქარია ერისთავის ზემოთ იქ აუზის ნაშენი და პატარა ნიში იყო კიდევ. აქედან როცა გავიყარენით სოფ. კარალეთში დავსახლდით. ბრძანებდა მამიდა ელენე“*. ზემოაღნიშნულ არგუმენტთან ერთად ელისაბედი დასძენს: *„ეს შენიშვნა ჩაწერილი*

*მაქვს ჩემი მულისგან ანასტასია რევაზის ასულ ერისთავ-ამილახვრისგან და ჩემი ქმრის მამიდაშვილის ნინო ელიზბარ ერისთავის ასულ ქობულაშვილის გადმოცემით".*[1]

როგორც ელისაბედის მოგონებებიდან ირკვევა, გიორგი ყულარაღასის შვილის რევაზის, იგივე რომანის შვილებს: გიორგის, ბიძინას და შალვას თავდაპირველი საბუდარი სოფ. ოძისში უკვე განადგურებულია, სადაც მხოლოდ „აუზის ნაშენი და პატარა ნიში იყო" შემორჩენილი. რომანის სამი ვაჟიდან შალვა კარალეთში გადადის საცხოვრებლად, გიორგი (ატამანი) თავბრუდამხვევი სამხედრო კარიერის წყალობით დიდებულ სასახლეს იშენებს სოფ. ოძისში, ხოლო ბიძინა სოფლიდან მოშორებით, სამხრეთით ილტოზაში ჩანს დასახლებული, რაზეც მიგვანიშნებს ნიკოლოზ ბარათაშვილის ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილი ერთ-ერთი წერილი, სადაც თავისი დის კატოს (ეკატერინეს) საქორწინო მსვლელობას ასახავს თბილისიდან ახალგორამდე.[2]

სოფ. ოძისის სიახლოვეს მცხოვრებ ერისთავებზე არაფერს ამბობს XVIII საუკუნის გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი. ქსნის ხეობის ამ პატარა სოფელს მოგზაური ნაოხარ სოფლად მოიხსენიებს, ხოლო მისგან 4 ვერსის[3] მოშორებით მდებარე ილტოზას განადგურებულ სოფლად.[4]

აღნიშნული სოფლები „სალეკო გზის" სიახლოვის გამო მართლაც გაპარტახებულ-გაველანებულნი იყო ქურდბაცაცა დაღესტნელებისაგან, მხოლოდ მშვიდობის დამყარების შემდეგ, XIX საუკუნის დასაწყისიდან, მომძლავრდნენ და ერისთავებმაც კომპაქტური დასახლებებიდან ფართო, თავისუფალ ადგილებში დაიწყეს მდიდრული სასახლეების აგება. რაც შეეხება ს. ოძისის მჭიდროდ დასახლებულ ძველ უბანში შემორჩენილ ერისთავების ერთი ადრინდელი სასახლის ნაშთებს და შემდგომ მასზე მათი ყოფილი მოურავების – ფარნიშვილებისაგან დაშენებულ სახლს, დღეისთვის ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულების თვალსაზრისით ნაკლებ საყურადღებოა, რასაც ვერ ვიტყვით გიორგი რომანოზის ძე ერისთავის – ატამანის სასახლეზე, რომელიც დგას სოფლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ახალგორისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, ფერდობზე. აგებულია XIX საუკუნის I ნახევარში.

---

1 გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, № 19799/300.

2 ბარათაშვილი ნ., პოეზია, წერილები ტ. I, თბ., 2012, გვ. 89.

3 1 ვერსი = 1კმ. 668 მეტრს.

4 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962, გვ. 51.

საქმე ისაა, რომ სოფ. ოძისში არსებულ, ამჯერად ძლიერ დაზიანებულ სასახლეს ზოგიერთი მკვლევარი პოეტისა და მთარგმნელის რევაზ შალვას ძე ერისთავის (1828-1899 წწ.) სასახლედ მიიჩნევს, რაც დიდი შეცდომაა.

სიმართლის გასარკვევად საკმარისია ქალბატონ ელისაბედ დავითის ასულ ერისთავის მოგონებები როგორც თავის უშუალო წინაპრებზე, ისე ოძისში მცხოვრებ დანარჩენ ერისთავებზე. ამასვე ამბობენ ამჟამინდელი სოფლის უხუცესები. სოფ. ოძისიდან პოეტისა და მთარგმნელის მშობლები შალვა რომანის ძე და დედა ეკატერინე ორბელიანი ჯერ კიდევ რევაზის მცირეწლოვანებისას (XIX ს. 30-იან წლებში) უნდა გადასულიყვნენ ოძისიდან კარალეთში საცხოვრებლად. სწორედ შემდგომ პერიოდში უნდა დაწყებულიყო მშენებლობა იმ სასახლისა, რომელშიც XX ს-ის. დასაწყისში მამა-შვილმა გიორგი „რომანიჩმა“ და ზაქარია ერისთავებმა გახსნეს სასოფლო-სამეურნეო სკოლა და დღემდე შეცდომით მიჩნეულია რევაზ შალვას ძე ერისთავის სასახლედ.

აღნიშნულ ნაგებობას XX ს-ის 20-იანი წლებიდან 1991 წლამდე სხვადასხვა დანიშნულებისათვის იყენებდნენ. დიდი ხნის მანძილზე მასში ფუნქციონირებდა საშუალო სკოლა, რის გამოც რამდენჯერმეა გადაკეთებული და თავდაპირველი სახე მნიშვნელოვნად შეიცვალა. სასახლეს აღარ აქვს თავდაპირველი სახურავი, ჩამოშლილია მთავარი ფასადის ხისსვეტებიანი, აჟურული თაღებითა და მოაჯირით შემკული აივანი, მონგრეულია პარაპეტი, ეზოს მხარეს მდებარე მეორე აივანი, სარკმელთა თავსართები და სხვა.

შენობა ორსართულიანია, ნაგებია აგურით. პირველი სართულის გეგმა სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით წაგრძელებული სწორკუთხედია (48,5X12,5 მ.). შენობას შუა ნაწილში, ფასადის მხარეს სამწახნაგა შვერილი აქვს მოწყობილი. I სართული სამეურნეო დანიშნულებისაა, სართულის შუა ნაწილში მარანია. იგი ოთხ მოზრდილ ოთახს მოიცავს, მათ შორის წინა შვერილიან ოთახში საწნახელია.

სასახლის II სართული ორი ფრთისგან შედგება. ძირითად ფრთაში საცხოვრებელი ოთახების განლაგება ანფილადისებრია. დამხმარე სადგომების ფრთაში ერთმანეთთან დაკავშირებული ოთხი მოზრდილი ოთახია. სართულის მთავარი შესასვლელი ეზოს მხარეს აივნიდანაა. ოთახებში ფართო, მაღალი სარკმლები და კედლის ღუმელებია. სართულშუა გადახურვა ბრტყელია, ეყრდნობა წიწვოვანი ხის კოჭებს, რომ-

ლებიც ადგილობრივი, აწ უკვე გამქრალი წიწვოვანი ტყის სარტყელშია მოჭრილ-დამზადებული.

განსხვავებული გადახურვა აქვს I სართულის ჩრდილო ნაწილში მდებარე განაპირა ოთახს, როგორც ჩანს ადრე ამ ადგილას რაღაც ნაგებობა მდგარა, რომელიც შემდგომ სასახლის კორპუსში ჩაურთავთ.

სასახლის ფასადები ძლიერ შეცვლილია. შედარებით უკეთ მთავარი, დასავლეთის, ფასადი ყოფილა მორთული, რომლის ღერძზეც ორივე სართულის სიმაღლეზე სამწახნაგა შვერილია, რომელსაც ხის დაკიდებული გადახურული აივანი ჰქონია. I სართულზე შვერილის გვერდებზე, ასიმეტრიულად ექვს-ექვსი მცირე ზომის სწორკუთხა სარკმელი და თითო კარია განლაგებული. II სართულზე ექვს-ექვსი ფართო და მაღალი სარკმელია. სასახლე გადახურული ყოფილა კრამიტით. ამჟამად გადახურულია ნახევრად თუნუქით.[1]

გიორგი და ზაქარია ერისთავების სასახლეზე და მის მხატვრულ-არქიტექტურულ ღირებულებებზე საინტერესო დასკვნებს აკეთებს ხელოვნებათმცოდნე, ქსნის ერისთავების შთამომავალი ნინო ერისთავი „... ერისთავების სასახლე თავისი გამოხატული ეკლექტიზმის მიუხედავად, მაინც ფრიად გამთლიანებული, თუმცა სიმბიოზური ნაგებობაა. თვალსაჩინოა მშენებლის მიერ გააზრებული ერთიანი მხატვრული კომპოზიცია, რომელშიც გამოყენებულია სხვადასხვა არქიტექტურული მოტივები, განსხვავებული ფორმისა და მოხაზულობის სარკმელები, კედლის დანაწევრების ნაირფეროვანი საშუალებები: „ერკერი“, შეკიდული აივანი, ხოლო ინტერიერში თაღოვანი და ბრტყელი გადახურვები“.[2]

რაც შეეხება ამ მე-19 საუკუნის დიდებული სასახლის მეპატრონეს გიორგი რომანოზის ძე ერისთავს, იგი გახლდათ ქსნის უკანასკნელი ერისთავის გიორგი ყულარაღასის უფროსი ვაჟის – რომანოზის შვილი. რომანოზი საბუთებში რევაზის, ზოგჯერ კი რომანის სახელით იხსენიება. ამის გამო გიორგის რუსები „რომანიჩსაც“ ეძახდნენ. ასევე ცნობილია „ატამანის“ სახელით. დაამთავრა ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელი. შემდეგ პოდპრაპორშჩიკთა სკოლა. 1842 წლიდან მსახურობდა კავკასიაში. 1849 წლიდან კავკასიის ხაზის ცენტრის უფროსია. გენერალ-მაიორობა მიიღო 1850 წელს. 1852 წლიდან დაინიშნა კავკასიის კაზაკთა სახალხო კორპუსის ატამანად. 1858 წლიდან დაინიშნა ქუთაისის გენერ-

1 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. II, თბ., 2004, გვ. 20-21.

2 ერისთავი ნ., დასახ. ნაშრ.

ალ-გუბერნატორად და მიიღო გენერალ-ადიუტანტის წოდება. 1861-62 წლებში მსახურობდა კავკასიის მეფისნაცვალთან, ხოლო შემდეგ იყო კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი.

გიორგი ერისთავმა (ატამანმა) 1844 წელს იქორწინა ანა ივანეს ასულ არგუტინსკაიაზე (არღუთაშვილი-მხარგრძელი). იმავე წელს შეეძინათ ერთადერთი ვაჟი ზაქარია.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲧᲣᲚᲐᲠᲐᲦᲐᲡᲘ (ᲩᲐᲜᲡ 1758-1799 ᲬᲬ.)

რევაზი იგივე
რომანოზი, რომანი (გარდ. 1813 წ.)

ბიძინა — შალვა — **გიორგი** (ატამანი, რომანიჩი) 1812-1891

**ზაქარია** 1844-1912
სოფიო მელიქიშვილი 1859-1912

გიორგი რომანის ძე ერისთავი თავისი დროის ცნობილი სამხედრო პიროვნება გახლდათ, იგი თავისი ქვეყნის დიდ მოამაგე და პატრიოტი იყო. მას ქართველების დაცემა-დაკნინების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად საზოგადოების უსწავლელობა და უმეცრება მიაჩნდა. სწორედ ამ ნაკლოვანების აღმოფხვრის და ხალხის კეთილდღეობისთვის ერჩოდა გული. უსწავლელობის დასამარცხებლად მან მიზნად დაისახა მშობლიური ქსნის ხეობის სოფელ ოძისში თავისივე მამულში დაეარსებინა სასოფლო-სამეურნეო სკოლა, რისთვისაც მზად იყო ნებისმიერ დროს გადაეცა მის ხელთ არსებული უძრავ-მოძრავი ქონების დიდ ნაწილი. თავის ერთადერთ ვაჟს ზაქარიასაც ქვეყნის მოსიყვარულე და მოჭირნახულე თავდადებულ მამულიშვილად ზრდიდა. ზაქარია თბილისში საფუძვლიანი განათლების მიღების შემდეგ ოდესაში იღებს იურიდიულ განათლებას. ოდესის უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მოემართება სამშობლოში და მომრიგებელი შუამავლის თანამდებობაზე იწყებს მუშაობას, 10 წლის განმავლობაში მედგრად იცავს ბატონყმობისაგან განთავისუფლებულ დროებით ვალდებული გლეხების უფლებებს.

საქართველოში ბატონყმობის გაუქმების გამოცხადებისთანავე ზაქარიამ მიწიანად გაათავისუფლა თავისი ყმები ისე, რომ მას ზოგიერთი მებატონის მსგავსად არ ჰყოლია „დროებითი ვალდებული“ გლეხი და ამის სანაცვლოდ არ მიუღია მთავრობისაგან არანაირი კომპენსაცია. ზაქარია

ერისთავის „პორტრეტისთვის“ საინტერესო შტრიხებს გვიხატავს მე-19 საუკუნის 90-იან წლებში გამომავალი გაზეთი „კვალი“, სადაც ვკითხულობთ: *„ვისაც ჰსურს თ. ზ. ერისთავის პიროვნების გაცნობა, მისთვის სრულებით საკმარისი იქნება ვაცნობოთ, რომ თ. ზ. ერისთავი არის გაზრდილი სახელგანთქმულის ქართულის ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძისა და დიდსულოვანის თ. გიორგი რომანის ძე ერისთავისა...... საქართულის წარსულის დიდებით და კულტურით გატაცებული ისტორიკოსი დღე-ნიადაგ უღვივებდა ზაქარია ერისთავს სამშობლოსადმი სიყვარულს და აგონებდა, რომ დაჩაგრულ მამულს უნდა მსხვერპლი და შემწეობა. ასეთ წვრთნას კვალდაუმჩნევლად არ ჩაუვლია, ფაქტია ღრმად უნდა ჩარჩენოდა მას გულში დიმიტრის დაუღალავი შრომა სამშობლოსადმი და მამის წაქეზება საქველმოქმედო ასპარეზზედ. მან შესწირა ქართველ თავადაზნაურობას მისი მამის ადგილ-სადგომი მამული ოძისის სამეურნეო სკოლის გასამართავად. ბევრ სხვა კეთილ საქმესაც უნდა მოველოდეთ მისგან“.*[1]

მომდევნო წლებში მართლაც შვილივით შეზრდილი ზაქარია ქართული კულტურის მოამაგეს დავით ბაქრაძეს უშურველად ეხმარება ჩვენი ქვეყნის ისტორიაზე შექმნილი ნაშრომების წიგნად გამოცემაში. ჯერ კიდევ 30 წლის ახალგაზრდა, 1874 წელს სოფ. ოძისში ხსნის სასოფლო ბანკს, რომლის მიზანი იყო დახმარება გაეწია გლეხებისათვის კრედიტის სახით. რისთვისაც ზ. გ. ერისთავმა დიდი თანხა გაიღო. რუსეთში მიღებული განათლებით შეიარაღებულმა ზაქარიამ საკმაოდ წარმატებით გაართვა თავი ახალი ცხოვრების მიერ წამოჭრილ მთელ რიგ საკითხებს. ეს მაშინ, როდესაც ქართველ თავადაზნაურთა უმეტესობას დროსტარებაში გაფლანგული ჰქონდათ ყმა-გლეხების განთავისუფლების სანაცვლოდ სახელმწიფოსაგან მიღებული კომპესაცია და სიღარიბეში ცხოვრობდნენ.

საქართველოში ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ გლეხობისათვის შეიქმნა ცხოვრების სრულიად ახალი პირობები. გლეხობა განთავისუფლდა ბატონობისაგან, თუმცა მიწა ვერ მიიღო, ამიტომ იძულებული იყო მიეცა ბატონისათვის იჯარისთვის ღალა, რაც თავდაპირველად ნატურის სახით ხდებოდა, მაგრამ მას შემდეგ რაც მემამულეს ფული დასჭირდა, გლეხს იჯარა ფულით უნდა გადაეხადა. ამიტომ გლეხს ფული უნდა ეშოვა. ამის ერთადერთი საშუალება კი თავისი ნაშრომის ნაღდ ფულზე

[1] გაზ. „კვალი“, 1898 წ. №87.

გაყიდვა გახლდათ, თანხა კი ჭირნახულის რეალიზაციამდე იყო საჭირო, სესხებაც ძალზე ძნელი და წამგებიანი იყო გლეხისთვის. მას უჩნდება ახალი ბატონი – ჩარჩ-ვაჭარი, რომელიც სარგებლობს მისი გაჭირვებით და აჩანაგებს მის მეურნეობას. ასეთ არასახარბიელო მდგომარეობაში ჩავარდნილი გლეხობისათვის ძალზე სასარგებლო იყო საკრედიტო კოოპერატივები ანუ სასოფლო ბანკები, რომელთაც პირველ ხანებში საქართველოში ჰქონდა საქველმოქმედო ხასიათი. ხშირად სასოფლო ბანკის მეთაურები კოოპერატივისთვის საჭირო საწყის თანხას თვითონვე შოულობდნენ.

*„1868 წელს დუშეთის მაზრის უფროსმა ზუბალოვმა წარუდგინა დასამტკიცებლად უმაღლეს მთავრობას სასოფლო ბანკის დამუშავებული წესდება და 1871 წლისთვის ბანკის ასამუშავებლად შეაგროვა ორი ათას ორმოცდათორმეტი მანეთი, რომელიც იყო მოგროვილი შეშის ბეგარისაგან“.*[1]

დაჩაგრული და გაღატაკებული გლეხების დახმარების დიდმა სურვილმა გადააწყვეტინა ზ. ერისთავს ქართლში პირველს გაეხსნა სასოფლო ბანკი, რომელმაც მნიშვნელოვნად შეანელა გაჭირვებულ გლეხთა მდგომარეობა. გულანთებული მამულიშვილის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო მამისეული ფიქრით ნასაზრდოები დიდი სურვილი სოფ. ოძისში სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსებისა. მთავრობისგან თითქმის დავიწყებული, ჯერ კიდევ წლების წინ გიორგი „რომანიჩის“ მიერ საქვეყნოდ გაკეთებული განცხადება შვილმა – ზაქარიამ 1893 წლის ხელახალი მიმართვით შეახსენა როგორც ხელისუფლებას, ისე საზოგადოებას, მაგრამ ამაოდ. ქართველობისთვის ამ ძალზე საშურ საქმეს გულშემატკივრობს და უთანაგრძნობს ქართული პრესა. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898 წელი.: *„როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, თავად გიორგი ერისთავმა საჩუქრად მიართვა ხაზინას თავისის მამული იმ პირობით, რომ ამ მამულში დაარსებულიყო ქვეყნისათვის სასარგებლო სამეურნეო სასწავლებელი“.*[2]

გაზ. „ივერია“ 1899 წელი: *„4 ოქტომბერს მიწად მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ა. ს. ერმოლოვი ტფილისიდან გაემგზავრა ოძისის მამულში, რომელიც თავად ერისთავმა შესწირა სამეურნეო სკოლის ასაგებად. ერმოლოვმა გულმოდგინედ დაათვალიერა მამული,*

---

1 ჟურნ. „კოოპერაციის განვითარების გზები“, 1927, №4, გვ. 204-205.

2 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898, №456, გვ. 3.

*მახლობელი ყანები და ვენახები, რის შემდეგ თავადმა მინისტრი და მისი მხლებლები სადილად მიიწვია თავისას".*[1]

გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებულ ზემოაღნიშნულ წერილამდე თითქმის 6 წლით ადრე გაზეთი „კვალი" აქვეყნებს პატარა ცნობარ წერილს – ოძისელ *„თ. ზ. ერისთავს ოფიციალური წერილი მიუწერია გუბერნიის წინამძღოლის ლუარსაბ მაღალაშვილისათვის, რომლითაც აცნობებს, რომ ის სწირავს ს. ოძისში დუშეთის მაზრაში მდებარე თავის მამულს თავადაზნაურობას სამეურნეო სასწავლებლისათვის... ამ მამულში 1000 დესეტინამდეა. მშვენიერი ქვიტკირის ორსართულიანი სახლები თავისი მოწყობილობით, ვენახი 30 დღისა, ხოლო ბაღი 10 დღისა, 100 დღის მეტი სარწყავი მინდორი, ტყე და საძოვარი".*[2]

ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი აღფრთოვანებული შეხვდა ზ. გ. ერისთავის ქველმოქმედებას, მაგრამ მეორე ნაწილი ეწინააღმდეგებოდა ასეთ წამოწყებებს, ზოგიერთნი დასცინოდნენ კიდეც და ხელსაც უშლიდნენ ჩანაფიქრის განხორციელებაში. ამგვარი უარყოფითი მუხტის მქონე წერილი დაბეჭდა 1896 წლის გაზეთმა „კვალმა" (რედ. გ. წერეთელი): *„... სულ სხვა მხრით უყურებს ახალ ცხოვრებას ჩვენი ცნობილი მამულიშვილი თ. ზ. ერისთავი, რომელმაც ოძისის მამული შესწირა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას, იმ პირობით, რომ თავად-აზნაურობამ სამეურნეო სკოლა გამართოს, აღზარდოს თავისი შვილები ტექნიკებად და მეურნეებად, რომ უფრო მაგრად ჩასჭიდონ ხელი მიწათმოქმედებას, ჩვენი ფიქრით ერისთავი დიდად შემცდარია... ოძისის სკოლის გახსნისათვის მეცადინეობას ის ერჩია რომ თავისი მშვენიერი მამული არ გაეყიდა, არამედ უმამულო ქართველი აზნაურების შვილებით დაესახლებინა, თვითონაც ესარგებლა და იმათთვისაც შეეწყო ხელი".*[3]

ზაქარია ერისთავისგან იმდენად დიდი იყო სურვილი და მცდელობა სკოლის გახსნისა, რომ მან საშუალო სასოფლო-სამეურნეო სკოლის გასაძღოლად ოძისში ჩამოსვლაზე დაითანხმა რუსეთში საკმაოდ ცნობილი მეცნიერი, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიკოსი ვასილ პეტრიაშვილი.

მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების მინისტრის ერმოლოვის ოძისში ჩამობრძანებამდე მისივე წინა წლის გაცემული პროექტი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ დაარსებულიყო ოძისში საშუალო სამეურ-

---

[1] გაზ. „ივერია", 1899, №214, გვ. 2.

[2] გაზ. „კვალი", 1893, №16, გვ. 7.

[3] გაზ. „კვალი", 1896, №45.

ნეო სასწავლებელი, რისთვისაც 1899 წელს გამოიყო კომისია, რომელმაც ადგილზე შეისწავლა მომავალი სკოლის მდებარეობა და მის განკარგულებაში გადასაცემი მამული.

კომისიამ თავის ოქმში აღნიშნა, რომ მამული სკოლისათვის დამაკმაყოფილებელია. სკოლის განკარგულებაში იქნებოდა სულ 390 დესეტინა მიწის ნაკვეთი, საიდანაც 80 დესეტინა საუკეთესო მიწა იყო დასამუშავებლად, ხოლო დანარჩენი ეკავა საძოვრებს და ტყეს. კომისიამ შეიმუშავა ხარჯთაღრიცხვა, სადაც გათვალისწინებული იყო მამულის შემოსავალ-გასავალი. წარდგენილი ოქმის შედეგად მიწათმოქმედების სამინისტრომ განსაზღვრა, გახსნილიყო ს. ოძისში ჯერ „ოლგინსკის" ტიპის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, ხოლო შემდეგ გაითვალისწინა ადგილმდებარეობა და ღირსეულად მიიჩნიეს გახსნილიყო ირკუტსკის ტიპის სასწავლებელი. მაგრამ მალევე სამინისტრომ შეცვალა აზრი, რადგან კავკასიის ბიუჯეტში სკოლას ვერ ექნებოდა რეგულარული სახსრები და ამიტომაც გაცემულ პასუხში შავით თეთრზე დაწერეს: როდესაც ამის საშუალება იქნება, მაშინ გაიხსნას დაპროექტებული სკოლა, ხოლო მანამდის დაინიშნოს პასუხისმგებელი პირი გამგებლად ამ მამულისა, რომელიც სათანადოდ შეისწავლის მამულის მდგომარეობას და შექმნის პირობებს სკოლის გასახსნელად.

სამწუხაროდ, XX საუკუნის დასაწყისამდე ვერ მოხერხდა სასწავლებლის გახსნა, ვინაიდან მეფის რუსეთი არ იყო დაინტერესებული კავკასიაში და კერძოდ საქართველოში ახალი საგანმანათლებლო კერების შექმნით.

როგორც იქნა, 1900 წელს მრავალი მიწერ-მოწერის შედეგად ნება დაერთო ზ. ერისთავს თავის მამულში გაეხსნა სკოლა. სკოლის მოსაწყობად დაინიშნა აგრონომი ლებედევი. მან მამულის შემოსავლის ხარჯზე შეიძინა სკოლისთვის საჭირო ინვენტარი,[1] მოაწყო სახელოსნოებისა და სათბურებისთვის საჭირო ოთახები, უზრუნველყო სკოლის მამულის შემოღობვა და წარადგინა ოქმი ზემდგომ ორგანოებში, სადაც აღნიშნული იყო სკოლის გახსნისთვის შექმნილი ყველა პირობა.

[1] ზაქარია ერისთავზე და მის მამულში არსებულ სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნასთან დაკავშირებული გარკვეული მასალა მომაწოდა სოფ. ოძისის გიორგი და დავით ერისთავების მუზეუმის ფონდების მცველმა ქალბატონმა ნარგიზ ბოჭორმელმა, რომელიც თავის დროზე შეკრიბა ამავე მუზეუმის ყოფილმა დირექტორმა, აწ განსვენებულმა გიორგი ბასილაშვილმა. აღნიშნული დახმარებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ ქალბატონ ნ. ბოჭორმელს.

1902 წელს სამეურნეო სკოლის გამგედ დაინიშნა აგრონომი შულჟენკო, რომლის დროსაც პირველად მოხდა სასოფლო-სამეურნეო სკოლის მოსწავლეების მიღება.

უნდა აღინიშნოს, რომ ზ. ერისთავის თხოვნა ნაწილობრივ იქნა შესრულებული, კერძოდ ის, რომ სკოლა კი გაიხსნა, მაგრამ მისი და მისი მამის სურვილები არ იქნა გათვალისწინებული.

მამა-შვილნი გიორგი და ზაქარია ერისთავები მოითხოვდნენ:

1. გახსნილიყო საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი და მასთან საცდელი სამეურნეო სადგური;

2. სწავლა ყოფილიყო ქართულ ენაზე;

3. სასწავლებელი ყოფილიყო გიორგი რომანოზის ძე ერისთავის სახელობისა და მოწინავე მოწაფეებს დანიშვნოდათ გ. ერისთავის სახელობის სტიპენდია;

4. სკოლის მზრუნველად დანიშნულიყო თავადი ზ. გ. ერისთავი;

5. სკოლას პირველად უნდა მიეღო 10 მოწაფე როგორც აზნაურთა, ისე გლეხების შვილები;

6. გახსნილიყო მოსამზადებელი კლასები და მიეღოთ ყველა მსურველი;

7. სხვადასხვა რეგიონიდან მოსული მოწაფეებისთვის მოეწყოთ დროებითი საცხოვრებელი ინტერნატი;

8. მოწაფეებს უნდა მისცემოდათ სამუშაო ფასი 3-დან 7 მანეთამდე და კურსდამთავრებულებს *„ათი თუმანი, რათა შეეძლოთ პირველ ხანებშივე, ოდეს თავის მამულს დაუბრუნდება, შეიძინოს ყველა ის იარაღი რაც საჭიროა მამულის შესამუშავებლად“.*

ზემოაღნიშნულ 8 პუნქტიან მოთხოვნიდან ხელისუფლებამ შესრულა I, V, და VII პუნქტები, ხოლო 1908 წლიდან უგულველყო I პუნქტიც.

სამეურნეო სასწავლებელში მისაღებ მოწაფეებს უნდა სცოდნოდათ წერა-კითხვა ქართულ და რუსულ ენებზე. შემსვლელთათვის იყო აგრეთვე სხვადასხვა მძიმე პირობები რომელთა გადალახვა სოფლის უცოდინარი გლეხის შვილებს უჭირდათ. რუსული ენის დაუფლებისთვის უქონელი გლეხი ფულს ვერ შოულობდა. ამიტომ დირექცია იძულებული იყო, მიეღო რუსულენოვანი მოწაფეები შორი რეგიონებიდან, თანაც სხვადასხვა სასწავლებლებიდან გამორიცხულები. ფაქტობრივად ქსნის ხეობის მოსახლეობისთვის მოჭრილი იყო გზა მიეღო ცოდნა ოძისის სამეურნეო სასწავლებელში, მაგრამ შემდგომ, ღვთის წყალობით, სამეურნეო სკოლაში ადგილობრივი მცხოვრებნიც ხვდებოდნენ.

მალე ოძისის სამეურნეო სკოლამ ფართო მუშაობა გააჩაღა ვაზის მოვლა-პატრონობის საქმეში. 1902 წ. ვაზზე დაკვირვებამ უჩვენა, რომ ვაზი დაავადებული იყო ფილოქსერით, რისთვისაც შემოიტანეს პირველი ამერიკული მწარე და დაიწყო მისი მყნობა-მოშენება.

1905 წლის მოვლენებთან დაკავშირებით დაპატიმრებული იქნა სასწავლებლის გამგე შულჟენკო, როგორც რევოლუციის მხარდამჭერი, ხოლო მოწაფეები დაითხოვეს.

სასწავლებლის ახალ გამგედ დაინიშნა მებაღე-აგრონომი კავკასიის ფილოქსერის კომიტეტიდან გ. იოსელიანი, რომლის დროსაც კვლავ მოხდა მოწაფეების მღელვარება. მალე მოწაფეები დაითხოვეს, გამგე კი გაანთავისუფლეს და 1908 წლიდან საშუალო – სამეურნეო სკოლა გადაკეთდა ორწლიან სკოლად, რომლის გამგედ დაინიშნა სოლომონ ჩოლოყაშვილი.

სოლომონ მიხეილის ძე ჩოლოყაშვილი დაიბადა 1883 წ. ს. ბაკურციხეში. ბავშვობაში სოლომონი ყვავილით ცალი თვალიდან დაბრმავდა. მამამ ის 12 წლის ასაკში იალტაში ნიკიტის მებაღეობა-მევენახეობის სასწავლებელში მიაბარა, სადაც დაჰყო 4 წელი. შემდეგ მიემგზავრება საზღვარგარეთ და ვენის მებაღეობა-მეხილეობისა და დეკორატიული მებაღეობის უმაღლეს სკოლაში მოეწყო. დაამთავრა 1907 წელს და სამეცნიერო მუშაობის სტაჟისთვის დარჩა იმავე სასწავლებელში. 1908 წელს ბრუნდება საქართველოში. მიუხედავად მრავალი პრესტიჟული მიწვევებისა, მან არჩევანი ოძისზე გააკეთა. მის არჩევანში დიდი როლი შეასრულა ზაქარია ერისთავისადმი დიდმა პატივისცემამ და სიყვარულმა, რომლის სურათი მას სიკვდილამდე ჰქონდა თავის სამუშაო ოთახში.

1910 წელს სოლომონმა ზაქარიას სურვილით გახსნა მებაღეობის სკოლა-ინტერნატი, რომელსაც ერთგულებით ემსახურებოდა 1918 წლამდე.

1920 წელს ს. ჩოლოყაშვილი არჩეულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე მევენახეობის კურსის ხელმძღვანელად.

1926 წელს მიენიჭა პროფესორის ხარისხი. 40-იანი წლების დასაწყისში არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად. გარდაიცვალა 1944 წელს 61 წლის ასაკში.[1]

[1] იხ.: ქანთარია ვ., აკადემიკოსი სოლომონ ჩოლოყაშვილი, თბ., 1965.

იგი იყო პრინციპული, შრომისმოყვარე, ნიჭიერი ადამიანი. არ იცოდა საქმეში უკან დახევა. პატიოსნებით გაზავებული ამგვარი თვისებებით თავის მოწინააღმდეგეთაც კეთილად განაწყობდა საქმისადმი. საინტერესოა მის ცხოვრებაში ლავრენტი ბერიასთან დაპირისპირების ეპიზოდი. ყველას გასაოცრად, ქართველი ერის ინტელიგენციის გამანადგურებელმაც კი უკან დაიხია ამ დიდი მეცნიერის წინაშე.

1936 წელს რესპუბლიკის პირველ მდივანს ლავრენტი ბერიას „საინტერესო" იდეა დაებადა. საქართველოს რესპუბლიკამ საკუთარი თავი თავისივე მიწაზე მოყვანილი ხორბლით უნდა დაიკმაყოფილოსო... ამ „ბრწყინვალე" იდეის განსახორციელებლად დაისახა ვენახისა და ხეხილის ბაღების ამოძირკვა და მათ ნაცვლად ხორბლის დათესვა.

თათბირზე, რომელსაც თავად ლ. ბერია უძღვებოდა, გამომსვლელები აღტაცებით უჭერდნენ მხარს მომხსენებელს, რადგან იცოდნენ, რომ იდეა ბერიას ეკუთვნოდა. და უცებ, ამ ხოტბა-აღტაცების ერთიან ქოროში დარბაზიდან გაისმა: „ყველაფერი ეს სისულელეა, მტკნარი სისულელე!". დარბაზი გაირინდა. ბერიამ რისხვით მოავლო თვალი დამსწრეთა რიგებს, ავისმომასწავლებლად გაიელვა მისმა პენსნემ. „Кто сказал?!" – წამოდგა ხმელ-ხმელი საშუალო ტანის, ევროპულ ყაიდაზე ჩაცმული მამაკაცი. ის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობა-მეღვინეობის კათედრის გამგე პროფესორი სოლომონ ჩოლოყაშვილი გახლდათ, რომელმაც იქვე დაუმტკიცა ბერიას ამ პროექტის გაუმართაობა. სოლომონს ხსენებულ თათბირზე მხარი დაუჭირა მეღვინეობის მთავარმა სპეციალისტმა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მემცენარეობის კათედრის გამგემ – ლომოურმა. რის შემდეგაც გაბრაზებულ ბერიას თათბირი შეუწყვიტავს იმ საბაბით, რომ საკითხი სათანადოდ არ იყო მომზადებული.

როგორც თათბირის ყველა მონაწილე, ისე ს. ჩოლოყაშვილი, ლომოური და მათი კიდევ ერთი მხარდამჭერი გ. რცხილაძე იმავე ღამით და შემდგომაც ელოდებოდნენ დაპატიმრებას და თითოეულ მათგანს მცირე ბარგიც ჰქონდა შეკრული... თუმცა ისინი პატიმრობას გადაურჩნენ.

ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა სოლომონ მიხეილის ძე ჩოლოყაშვილის მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათი, რომლის თანახმად, ოძისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში ისწავლებოდა შემდეგი საგნები:

1. საღვთო სჯული ........................................................ 1 საათი
2. რუსული წერა-კითხვა ................................................ 5 საათი
3. ანგარიში .................................................................. 1 საათი
4. ბუნებათმცოდნეობა .................................................. 1 საათი

5. მებაღეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა, მეღვინეობა .... 2 საათი
6. სასწავლო პრაქტიკული მეცადინეობა .............................. 6 საათი
7. სახელოსნო ...................................................................... 12 საათი
8. ბაღში მუშაობა და ექსკურსია ........................................... 31 საათი

სასწავლებელში მოწაფეთა მიღება და გამოშვება ხდებოდა ყოველწლიურად. სწავლის ხანგრძლივობა 1908 წლიდან იყო 2 წელი. მოწაფეები სწავლა-განათლებას უფასოდ იღებდნენ, ჩაცმა და ჭამა ასევე უფასო იყო.

ოძისის სამეურნეო სასწავლებელზე საინტერესო ცნობების შემცველია ამავე სასწავლებელის კურსდამთავრებულის იასონ ივანეს ძე კორინთელის (დაიბადა 1889 წ.) მოგონებათა პატარა რვეული, რომელიც 2012 წლის 4 აპრილს მოგვაწოდა ოძისიდან მუზეუმის თანამშრომელმა ქალბატონმა ნარგიზა ბოჭორმელმა. იასონი თავის მოგონებებში აღნიშნავს: *„1908 წელს მივედი ოძისის სამეურნეო სკოლაში. მაშინ სკოლის გამგე იყო სოლომონ ჩოლოყაშვილი. სკოლა გახსნილი იყო ადრე, ჩემამდე ორ გამოშვებას გაევლო. ჩვენი მასწავლებლები იყვნენ: გამგე სოლომონ ჩოლოყაშვილი, მისი და ნატაშა ჩოლოყაშვილი და პრაქტიკის მასწავლებელი, ფრანგი – ფელექსი. თითოეულ კურსზე ვსწავლობდით 14 კაცი. ჩვენ უნდა მიგვეღო მეღვინე-მევენახის სპეციალობა, რომელიც ეხლა უტოლდება მთავარ აგრონომს. ჩვენ შუადღემდე გვქონდა სწავლა, შუადღის შემდეგ პრაქტიკა. ჩვენ ვმუშაობდით საცდელ ნაკვეთზე „ტეტიანთკრებში“. სამუშაო ნაკვეთად გვქონდა ზაქარია ერისთავის გადმოცემული ბაღ-ვენახი 14 ჰექტარი.*

*მყნობისთვის შემოდგომითვე ვჭრიდით ლერწს ე. ი. ლერწამს ვთლიდათ და გვასწავლიდნენ მასზე მყნობას, ხოლო გაზაფხულზე წესიერად ვამყნობდით. ჩემთან ერთად სწავლობდნენ:*

*1. ნესტორ საჩალელი მცხოვრები ქვემო ჭალაში*

*2. ლექსო შამანაური ს. ოძისიდან*

*3. ტ. მელაძე*

*4. ვასო თიგიშვილი*

*5. ნ. ილურიძე*

*6. პეტრე გაბარაშვილი სოფ. პატარა ლილოდან (შემდეგ ბუღალტერი გახდა)*

*7. ვ. ზაალიშვილი სოფ. იგოეთიდან“.*

ზ. გ. ერისთავის მიერ დაარსებულმა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელმა მრავალი გლეხის შვილს მიაწოდა ძირითადი ცოდნა სოფლის მეურნეობის დარგში, რომელთაც თავის მხრივ გარკვეული როლი ითამაშეს იმდროინდელი საქართველოს სწავლა-განათლების გაუმჯობესების საქმეში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ზაქარია ერისთავის სასახლეში დიდი ხნის მანძილზე განთავსებული იყო საშუალო სკოლა, რომელიც, ჩვენდა გულსსატკენად, ვერა და ვერ გახდა გიორგი რომანოზის ძე ერისთავის სახელობისა.

აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ სოფ. ოძისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლისთვის ბავშვების მოსამზადებლად იქვე ვინმე დიმიტრი ივანეს ძე ვარდუაშვილის ნაქირავებ სახლში გაიხსნა სამრევლო სკოლა. სკოლის ქირას ოთხი წლის განმავლობაში იხდიდა ელისაბედ დავითის ასული ერისთავი. 1904 წელს სკოლა გადადის ნიკო დიმიტრის ძე ფარნიშვილის ბინაში. 1906 წელს ოძისის საზოგადოებამ სკოლის საჭიროებისთვის ააგო ოროთახიანი ბინა, სადაც სამრევლო სკოლა განთავსდა. 1918 წელს სკოლაში პირველი მოწვეული მასწავლებელი იყო ს. ხუციშვილი, რომელიც ასწავლიდა ქართულ ენას და არითმეტიკას, ხოლო რუსულ ენას – ელისაბედ ერისთავი, საღვთო სჯულს კი – მღვდელი მანჯავიძე. პირველ ხანებში სკოლა ორკლასიანი ყოფილა, ხოლო 1908 წლიდან – ოთხკლასიანი. მის გამგე-მასწავლებლად ინიშნება იორდანიშვილი და მასწავლებლად კანდელაკი. 1918 წელს სამეურნეო სასწავლებლის გაუქმების შემდეგ სამრევლო სკოლა გადავიდა ზ. გ. ერისთავის სასახლეში. არ არის ცნობილი, თუ როდემდე იარსება სამრევლო სკოლამ და როდის შეეცვალა სახელი – რომელიც 1932 წელს გადაკეთდა არასრულ საშუალო სკოლად, ხოლო 1939 წლიდან – საშუალო სკოლად, რომელმაც იარსება 1949 წლამდე, შემდგომ – 8 წლიანად და 1966 წლიდან კვლავ საშუალო სკოლად.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გიორგი „ატამანის“ წვლილი პირველი ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის დაარსების საქმეში. რომლის საჭიროებისთვის წამოწყებული ბრძოლა გახდა ემბრიონი ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა.

მრავალწლიანი ფიქრისა და დაკვირვების შემდეგ გიორგი „ატამანი“ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო საქართველოს დედაქალაქში ძლიერი ბაზის მქონე საგანმანათლებლო კერის შექმნა, სადაც სწავლას შესძლებდნენ როგორც თავადაზნაურთა, ისე დაბალი ფენის

შვილები. აღნიშნული ინიციატივით გავლენიანმა ქართველმა თავადმა 1875 წლის 27 მაისს წერილით მიმართა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების წინამძღოლს რევაზ ანდრონიკაშვილს, სადაც ის ითხოვდა, დაესვათ საკითხი ქართული გიმნაზიის გახსნის შესახებ და დასძენდა, რომ მოსამზადებელ კლასებში ისწავლიან „ჩვენ ხარჯზეო". სამწლიანმა მცდელობამ შედეგი გამოიღო. 1878 წელს თბილისში დაარსდა „ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოება", რომელმაც აირჩია გამგე კომიტეტი:

*თავმჯდომარედ .................................... გიორგი ერისთავი*
*თავმჯდომარის ამხანაგად .................. კონსტანტინე მამაცაშვილი*
*წევრებად ..............................................თულაშვილი*
*ნიკოლოზ ცხვედაძე*
*იაკობ გოგებაშვილი*
*დიმიტრი ერისთავი*
*ლ. მაღალაშვილი*
*ნ. ქანანოვი*

კომიტეტმა საზოგადოების წესდების საფუძველზე 1879 წელს გახსნა ვაჟთა პირველი ქართული სათავადაზნაურო დაწყებითი სკოლა. 1885-1887 წლებში გაიხსნა პირველი პროგიმნაზიული კლასები. 1899/1900 სასწავლო წლიდან სასწავლებელი 8 კლასიანი გიმნაზია გახდა. ამავე წლიდან დაიწყო გიმნაზიისთვის ახალი შენობის მშენებლობა ვაკეში. კომიტეტი ითვალისწინებდა ისეთი შენობის აგებას, რომელშიც შემდგომ ქართული უნივერსიტეტი განთავსდებოდა.

ისე როგორც ყველა მდიდარ ქართველ თავადს, ზაქარია ერისთავსაც ადგილ-მამულები და სახლები ჰქონდა ქართლის სხვადასხვა სოფელში. კერძოდ, სოფ. კასპში, სადაც ის 1890-იანი წლებიდან ჩანს. ოძისში მცხოვრებ მემამულეს უთუოდ მჭიდრო კავშირი ექნებოდა დამყარებული სოფ. კასპთან და იქაურ მოსახლეობასთან. ამიტომ ჩვენ მოკრძალებულ ცალკე თავად განვიხილავთ – კასპს, როგორც ქსნის ერისთავიანთ სამოსახლოს.

რაც შეეხება შუა ქართლში ქსნის ხეობის ულამაზეს პატარა სოფელ ოძისს, რომლის ბაღ-ვენახები კავკასიონის მზით გარუჯულ სამხრეთის კალთებზეა გაფენილი, შესაშური ჰავისა და წყლების გამოისობით ჭირნახულიც შესაშური იცის. უთუოდ ამ ყველაფერმა განაპირობა მამებისა და შვილების: გიორგისა და დავითის, გიორგისა და ზაქარიას შეხმატკ-

ბილებული, გულმოდგინებით ცხოვრება-მოღვაწეობა, ფიქრი და ზრუნვა თავიანთი ქვეყნის ასაღორძინებლად.

ქსნის ერისთავიანთ თვალსაჩინო წარმომადგენლებს, ოძისში მცხოვრებ მამა-შვილის გიორგი და დავით ერისთავების სათანადო დაფასებისთვის მათი გარდაცვალებისთანავე გაჩნდა საზოგადოებაში აზრი, მაგრამ უსახსრობითა და ცხოვრების დონის სიმდაბლით, რუსიფიკატორული პოლიტიკის წყალობით ქართველ მამულიშვილებს არ ეძლეოდათ საშუალება მათი ამაგის დაფასებისა. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ერისთავიანთ მეორე შტოს წარმომადგენელი მამა-შვილი გიორგი და ზაქარია, რომელთა ვალი ნაწილობრივადაც არ შეუფასებია ქართველ ხალხს.

რაც შეეხება გიორგი და დავით ერისთავებს, მათი საოჯახო მუზეუმი დაარსდა 1961 წელს სოფ. ოძისში[1]. მუზეუმს წლების მანძილზე საკმაოდ ენერგიული და საქმის მოსიყვარულე კაცი გიორგი ბასილაშვილი უძღვებოდა. მისი დამსახურებაა, რომ მუზეუმი 600-ზე მეტ ექსპონატს ინახავს და უვლის. თუმც, მოვლის თვალსაზრისით, მუზეუმის შენობა დიდად შეჭირვებულ მდგომარეობაშია. ასეთი მდგომარეობით დიდად წუხს მისი ამჟამინდელი დირექტორი ბატონი დიმიტრი რუსია. იგი იმედოვნებს, რომ სათანადო ყურადღებას მიაქცევენ საჩინო მამულიშვილთა სახლ-მუზეუმს.

სახლ-მუზეუმის გახსნიდან თერთმეტი წლის შემდეგ, 1972 წელს სოფ. ოძისში დაწესდა სახალხო დღესასწაული „ოძისობა“, რომლის ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი სოლომონ ხუციშვილი. სახალხო ზეიმი იმართებოდა სექტემბრის ბოლო შაბათ დღეს, მიახლოებული გ. ერისთავის გარდაცვალების დღესთან, 23 სექტემბერთან, ვინაიდან დაბადების დღე უცნობია. ზეიმის ორგანიზატორად და ფინანსურ მხარდამჭერად გამოდიოდა დუშეთის რაიონული გამგეობა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან (პარადოქსია, მაგრამ ფაქტია) დღემდე ველარ მოხერხდა სახალხო ზეიმის „ოძისობის“ ჩატარება, რომელიც ერისთავიანთ კარ-მიდამოში ასწლოვანი მუხისა და კაკლის ქვეშ იმართებოდა.[2]

---

1 გაზ. „კომუნიზმის გზა“, 1973, № 117, გვ. 3 (დუშეთის რაიონული გაზეთი).

2 გაზ. „კომუნიზმის გზა“, 1972, № 117, 28 სექტემბერი (დუშეთის რაიონული გაზეთი).

[illegible]

1879 წლის სექტემბრის 26 დღესა, ჩვენ ქვემო ხე-
ლის მომწერნი [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] 600 [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible]



# თავი XI

## ილტოზა

ძველი ილტოზა, რომელიც ისტორიულ საბუთებში „ირტოზად“ იხსენიება, მდებარეობდა სოფლების – ქსოვრისსა და ოძისს შორის. ლამისყანის მოპირდაპირედ მდ. ქსნის მარცხენა მხარეს, ახალგორი-თბილისის გზიდან 1500 მეტრში აღმოსავლეთით.

მთათაშუა ჩავარდნილ ადგილზე მდებარე ძვ. ილტოზა მე-18 საუკუნეში ლეკთა თარეშის გამო იქცა ნასოფლარად, სადაც, გადმოცემის თანახმად, უცხოვრია ვინმე ილო ტოზელს, რომლის სიკვდილის შემდეგ მის პატივსაცემად ამ ადგილს დასახლებასთან ერთად უწოდეს ილტოზა.[1]

სოფლის გაპარტახება დააჩქარა მასზე გამავალმა „სალეკო გზამ“, რასაც მოგზაური ი. ა. გიულდენშტედტიც ადასტურებს თავის წერილებში. გზა აქედან ლამისყანის გავლით შიდა ქართლში მიემართებოდა ცხინვალამდე. სწორედ ძვ. ილტოზაზე გამავალი გზა ითვლებოდა სამხრეთის მხრიდან ყველაზე მოხერხებულ პირველ გადასასვლელად ლომის-ალევის ქედზე ქსნიდან არაგვის ხეობაში. ამავე გზით გაუტაცნიათ ლეკებს ლამისყანიდან ქეთევან გარაყანიძეზე შეყვარებული დავით გურამიშვილი.

ახალი ილტოზა, რომელიც ახალგორი-თბილისის გზის მარჯვენა მხარესაა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგაა გაშენებული. ამ დასახლებას და მის გვერდზე გამავალ გზას კვეთს ძვ. ილტოზიდან მომდინარე „ნასიმინდლარის“ ხევი. კვეთის ადგილიდან მარჯვნივ მდებარე პატარა მინდორი, რომელიც მდ. ქსნის მხარეს მცირე ციცაბო ფერდობით ემიჯნება „ლუარსაბის ჭალას“ (ამ ტოპონიმს მხოლოდ ქსოვრისის მცხოვრებნი ასახელებენ), ძალზე საინტერესო წარსულის მატარებელია. ამ ადგილებში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე

---

[1] მთხრ. კოლა მარტიაშვილი. დაბ. 1923 წ. მცხოვრები სოფ. ილტოზაში. ჩაწერილია 3. III. 2013 წ.

უცხოვრიათ ვინოგრადოვებისა და მარკოვების შეძლებულ გვარებს. დაწვრილებით, თუ ვინ იყვნენ, საიდან მოვიდნენ ან სად წავიდნენ ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. რესპოდენტთა თქმით (ტრისტან ოდიშვილი, ჯემალ გაბარაშვილი), მათი ძირითადი საქმიანობა მეხილეობა-მევენახეობა და მეღვინეობა ყოფილა, მარან-მაცივარში 48 საფეხურიანი კიბით ჩადიოდნენ. სარდაფი «Гуревич»-ის დამღიანი ძვირფასი და ლამაზი ფილებით ჰქონიათ მოპირკეთებული. სოფლის ტოპონიმზეც კი მოუხდენია გავლენა მათ იქ ცხოვრებას. დღესაც ილტოზის ერთ-ერთ მიმდებარე მუხნარ მზვარეს ადგილობრივები „მარკოვის ქედის" სახელით მოიხსენიებენ, ხოლო მათ ნასახლარ ნანგრევებს, ე. წ. პატარა მინდორს – „მარკოვიანთ ადგილად".

ზოგიერთ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ქსნის ერისთავების ოძისის განშტოება დღევანდელი ილტოზის ადგილზე XIX ს. I ნახევარში უნდა დასახლებულიყო. ჩვენი ვარაუდით, ვინოგრადოვებისა და მარკოვების მდიდრული საცხოვრებელი მთელი მისი ინფრასტრუქტურით ერისთავების კუთვნილება უნდა ყოფილიყო, რომელიც XIX ს-ის მეორე ნახევრიდან რუსი ბურჟუაზიის ხელში აღმოჩნდა.

გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში (19799/300) დაცულ მოგონებებში ელისაბედ ერისთავი ადასტურებს ოძისიდან ილტოზაში ერისთავების გადასვლას. ამ ცნობას ამაგრებს ნ. ბარათაშვილის წერილი ზაქარიასადმი მიწერილი, რომ თავისი დის – კატოს ქორწილის დღეს (1844 წ. 19 ივლისი) ტფილისიდან ახალგორს მიმავალ მოზეიმე მექორწილეებს მუხრანში ქაიხოსროსთან სადილის შემდეგ ოძისს მიახლოებულთ – **„სადაც ბიძინა ერისთავი დგას,** *ლევან ერისთავი* (კატოს მაზლი. ვ. ქ.) *თავადებით, აზნაურებით და იმერეთის მგალობლებით..."* დახვედრიან.[1]

ნ. ბარათაშვილი თავის წერილში არ მიუთითებს თავადაზნაურთა და იმერეთის მგალობლების დახვედრის ადგილის სახელწოდებას, გამომდინარე იქიდან, რომ მაშინ, როგორც ცალკე გეოგრაფიული სახელის მატარებელი ერთეული არ არსებობდა, ოძისთან ახლოს ბიძინა ერისთავის მაშინდელი სადგომ-საცხოვრისი. ხოლო ელისაბედის მოგონებათა წერისას (ელისაბედი გარდაიცვალა 1963 წ.) ახალი ილტოზა უკვე საკმაოდ ცნობილი სოფელია. ძველ ილტოზაში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ ერისთავიანთ აზნაურები, გვარად კორინთელები

[1] ბარათაშვილი ნ., ტ. I, თბ., 2012, გვ. 89.

ცხოვრობდნენ, რაც მათმა შთამომავალმა, ამჟამად ახალ ილტოზაში მცხოვრებმა თეიმურაზ კორინთელმაც დაგვიდასტურა. მათივე პირდაპირი შთამომავალია ცნობილი მომღერალი ზაზა კორინთელი (ზუმბა).

გიორგი ყულარაღასის გენეტიკური ხაზის წარმომადგენელს, კერძოდ მის შვილიშვილს ბიძინა რევაზის ძე ერისთავს ოძისიდან ილტოზაში გადასვლისთანავე (დაახლოებით 30-იან წლებში) უნდა ჰქონოდა დღეს „მარკოვების" სახელით ცნობილი სასახლე, რომელიც შემდეგ ხსენებული რუსების ხელში გადავიდა.

ბიძინას ცოლად ჰყავდა თამარ მელიქიშვილი, რომელმაც 13 შვილი გაუჩინა. ჯერ კიდევ პრაპორშჩიკი თავადი 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო 8 თვეს ციხეში ატარებს, მანამდე, როგორც მასალებიდან ირკვევა, ცხოვრობდა პეტერბურგში. 1831 წელს ქ. პეტერბურგშია დაბადებული მისი ვაჟი ნიკოლოზი. შემდგომში მერი შერვაშიძის მამამთილი და ქუთაისის სამხედრო გენერალ-გუბერნატორი. სავარაუდოდ, პატიმრობის შემდეგ რუსეთიდან დაბრუნებული ბიძინა უნდა დასახლებულიყო დღევანდელ ილტოზაში. მისი 13 შვილიდან ვაჟები (9) გადადიან საცხოვრებლად შიდა ქართლის სხვადასხვა სოფლებში. მათგან სამი: კონსტანტინე, ნიკოლოზი და მიხეილი რუსეთის არმიის გენერლები, ხოლო უფროსი ლუარსაბი შტაბს-კაპიტანი ხდება.

ბიძინას შვილებიდან ცხოვრობდნენ:

მეჯვრისხევში – გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზი.

დოესში – ცოლის მზითვის მამულში – იასონი.

ფლავში – გენერალ-მაიორი კონსტანტინე.

რეხაში – ალექსანდრე (ასიკო).

ასევე, კარალეთსა და ტყვიავში ჩანან მისი ვაჟები, რომელთაც სახლები აქვთ გორსა და თბილისშიც. ბიძინას გარდა სხვა ერისთავსაც უნდა ეცხოვრა ილტოზაში, კერძოდ – რევაზ (ცრუ) ნიკოლოზის ძე ერისთავს.

ვადასტურებთ კიდევ ერთხელ ჩვენს მოსაზრებას, რომ XIX ს-ის მეორე ნახევარში ბიძინა ერისთავის სახლ-კარს და ილტოზას ყმა-მამულებს აზნაურ კორინთლების მითვლით, ეუფლებიან მარკოვები. მათ, როგორც კერძო მფლობელებმა, ამ საკუთრებაზე უფლება, ყმების დაკარგვის მიუხედავად, შეინარჩუნეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, XX ს-ის 20-იან წლებამდე.

ზეპირი გადმოცემის თანახმად ერთხანს მათ სახლ-კარში აპირებდნენ, რაიმე სახის სასწავლებელის გახსნას, რაც შემდგომ შენობის დან-

გრევით დამთავრდა. მისი მეორადი სამშენებლო მასალები მჭადიჯვრისა და კასპის რაიონის სასოფლო სკოლების მშენებლობისთვის გამოიყენეს.

## ბიძინა რევაზის ძე ერისთავის გენეალოგია

რევაზ დავითის ძე

გიორგი (ყულარაღასი)

რევაზი (1753-1814)

**ბიძინა** (1800-1876)
**თამარ მელიქიშვილი** (1812-1880)

- **მარიამი** 1822-1869 ალექსანდრე თარხან-მოურავი
- **ლუარსაბი** 1824-?
- **დავითი** 1826-?
- **მიხეილი** 1827-1894
- **ილია** 1829-?
- **დარია** 1830-?
- **ნიკოლოზი** 1831-1912 ეკატერინე სარაჯიშვილი
- **სოფიო** 1832-1896
- **იოსები** 1833-?
- **კონსტანტინე** 1836-1897
- **იასონი** 1939-?
- **ბარბარე** 1844-?
- **ალექსანდრე** 1851-1920 ნინო მაჩაბელი

# თავი XII

## კასპი

ძირითად საცხოვრებელთან ერთად ოძისში მცხოვრები ზაქარია გიორგის ძე ერისთავი დამატებით საცხოვრებელ კარ-მიდამოს ფლობდა სოფ. კასპში.

როგორც ცნობილია, ქსნის ერისთავთა შთამომავლები – უფლისწულები – ქართლის საუკეთესო ადგილებზე აშენებდნენ დიდებულ სასახლეებს, სადაც სახლდებოდნენ და მრავლდებოდნენ.

დღეს შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, კასპი საუკეთესო ადგილად რომ მიუჩნევია ქსნის მემამულეს. მაგრამ გაკვირვება უმალ გაქრება, თუ მოუსმენთ და გაიაზრებთ XIX საუკუნის 60-იანი წლების გაზეთ „დროების“ ერთი წერილის შინაარსს: *„ერთ დროს ქალაქად მყოფი კასპი ეხლა პატარა სოფლად-ღა არის დროისგან ნაქცევი. თუ კაცი ძალიან დააცქერდა, იქნებ ნასახლარებზე კიდევ შეატყოს, რომ იქ ქალაქი როდესმე ყოფილა. საუცხოვო ადგილი არის კასპი, ბუნებას შეუმკვია ის კარგი მდებარეობით, ჰავით, წყლით, აგრეთვე მოსავლით. წინ დაბლა ჩამოუდის მდ. ლეხურა, გარს სასიამოვნოდ შემორტყმული აქვს ვენახები. ამ სოფლის გარშემო ადგილებს შეადგენენ მთები, ტურფა ველები, სადაც არიან ვენახები, ჭალები, საძოვარი მინდვრები. კასპში მოდის კარგი ყურძენი და ღვინო მთელს ქართლში ნაქები. აგრეთვე მოდის კარგი პური, ქერი, სიმინდი, სხვადასხვა სამარხო და ბაღეული. კასპის მცხოვრები არიან ქართველები და სომხები რიცხვით ოთხმოცდა ათ კომლამდე...“*[1]

საუკუნე-ნახევრის წინანდელი ცნობების თანახმად, კასპი მართლაც ფრიად სასურველი ადგილი უნდა ყოფილიყო. თანაც მან შემდგომ საკვანძო პუნქტის მნიშვნელობაც შეიძინა, როდესაც იქ გაიარა თბილისი-ფოთის სარკინიგზო მაგისტრალმა.

[1] გაზ. „დროება“, 1869 წ. № 112.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ზაქარია 1867 წლამდე, როგორც კასპში მცხოვრები მემამულე, არ ჩანს. რადგან ზემოაღნიშნულ წერილში ავტორი დაწვრილებით აღწერს გეოგრაფიულ მდებარეობასთან ერთად კასპის მოსახლეობას. ღარიბებთან ერთად ასახელებს ამილახვრიანთ ოჯახებს და აზნაურებს, ერისთავები კი არსად ჩანან.

ერთი რამ ცხადია, ქვეყნისა და ხალხის უბედობით გულშეწუხებული ოძისის მემამულე კასპშიც ღარიბების მფარველი და ქომაგია. ილიას 1890 წლის გაზეთი „ივერია“ აქვეყნებს კასპის საერო სკოლის მასწავლებლის ი. ნებაძის მადლობის წერილს: *„ნება გვიბოძეთ დიდი მადლობა მოვახსენოთ ჩვენდამი რწმუნებული სკოლის სახელით აქაურს მემამულეს თავად ზაქარია გიორგის ძე ერისთავს, რომელმაც მუქთად დაგვითმო სკოლის საჭიროებისათვის 20 ხე და საწვავი შეშა თავისი ტყიდამ და რომელიც სხვაფრივაც ბევრ შემწეობას აძლევს ამ სკოლას“.*[1]

ქველმოქმედი თავადის ერთ-ერთი შემდგომი შემწეობის მაგალითს აფიქსირებს იგივე გაზეთი: კასპის 120 კომლიან გლეხობას მიუმართავს დახმარებოდნენ სკოლის შენახვაში, რომელიც მძიმე ტვირთად აწვათ მათ. თავადი ზ. ერისთავი ხუთი თუმნით დახმარებია, ამილახვრები ერთი თუმნით, მეორე – 5 მანეთით.[2]

ზაქარია გიორგის ძე ერისთავი დიდი მეგობარი ყოფილა დავით გიორგის ძე ერისთავისა, ამავდროულად, გახლდათ ნათლია ელისაბედ დავითის ასულისა.

---

[1] გაზ. „ივერია“, 1890 წ. №249.

[2] გაზ. „ივერია“, 1890 წ. №122.

ᲗᲐᲕᲘ XIII

# ᲡᲐᲑᲐᲟᲝ

ერთადერთი განაყარი ქსნის ერისთავიანთ საგვარეულოდან, რომელიც ცხოვრობდა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ მდ. რიონის პირად, ოდიშის დაბლობზე (ხობის რ-ნი) გიორგი ყულარაღასის შთამომავალი (შვილთაშვილი) კონსტანტინე დიმიტრის ძე ერისთავი ჩასიძებული იყო ნიჟარაძეების ქალზე. კონსტანტინეს ჰყავდა ქალ-ვაჟი ნინო და დიმიტრი. დიმიტრი 10 წლის ასაკში გარდაეცვალა. ნინოს ჰყავდა ექვსი შვილი.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲧᲣᲚᲐᲠᲐᲦᲐᲡᲘ

ელიზბარი (მელექსე) 1775-1826
მარიამ სოლომონ I-ის ას ბაგრატიონი
1769-1843

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ 1797-1841
მარიამ ივანეს ას ჩოლოყაშვილი

**კონსტანტინე** 1833-1889
ნიჟარაძე

**ნინო** 1876-1935
გიორგი ამილახვარი

დიმიტრი 1878-1888

**კონსტანტინე** **ელენე** **ოთარი** **დიმიტრი** **დავითი** **ნატალია (დოდო)**

# თავი XIV

## ფლავი

გორის რაიონის სოფელი ფლავი დაახლოებით 1 საუკუნის წინ მდებარეობდა დღევანდელი ოტრევის ადგილზე. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ტირიფონას სარწყავმა არხმა გადაკვეთა და ორად გაყო აღნიშნული სოფელი, არხის მარცხნივ დარჩენილ უბანს, რადგანაც პატარა მდინარე ოტრეულასთან ახლოს იყო, სახელად ოტრევი შემორჩა, ხოლო არხის მარჯვენა მხარე ფლავად იწოდა და აღმოსავლეთით ბაღ-ვენახებში გაიფანტა. გასაბჭოებიდან მალე კომუნისტების წყალობით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრად მიჩნეული იქნა ტირიფონის არხი. აღნიშნული არხის მარცხნივ ანუ დღევანდელ ოტრევში ცხოვრობდა ბიძინა რომანოზის ძე ერისთავის მრავალ შვილთაგან ერთ-ერთი ვაჟი – კონსტანტინე, მას ცოლად ჰყავდა სოფიო ალექსანდრეს ასული ბებუთოვი. კონსტანტინეს და სოფიოს შეეძინათ ხუთი შვილი. 4 ქალი და 1 ვაჟი – გიორგი ანუ გრიგოლი, რომელსაც თანასოფლელები „გიგო ბატონს" ეძახდნენ.

სოფელ ფლავში და ფლავისმანში დღესაც ცხოვრობენ მოხუცები (ვასილ ფოსური, მარგო მეტრეველი, ნუგზარ ჯოჯიშვილი და სხვები), რომელთაც ახსოვთ პაპა-ბებიების მოყოლილი ამბები სოფლის გულღრძო, ხარბ და მკაცრ ბატონზე.

გიორგი – გიგო ბატონი იშვიათი გამონაკლისია ერისთავიანთ განაყრებისა, რომელიც ავკაცობაზე იყო შემდგარი და მხოლოდ ცუდი საქმეებით დაამახსოვრა თავი შთამომავლობას.

სამხედრო ჩინით შტაბს-როტმისტრი იყო „გიგო ბატონი", რომელსაც 1905 წელს მატარებელში შეურაცყოფის მიყენებისთვის მოუკლავს აზნაური ნიკოლოზ მარძინევიჩი, მიესაჯა ორი თვით ჰაუპტვახტი უფლებების ჩამორთმევის გარეშე. 1899 წელს იქორწინა ნინო ივანეს ასულ რუსიშვილზე. ეყოლათ 5 შვილი – 4 ვაჟი და ერთი ქალი.

გიგო ერისთავი ძალზე მკაცრი და შეუბრალებელი ყოფილა. რესპონდენტთა გადმოცემით, ერთხელ უდანაშაულო გლეხი დიდი მუქარით თავისთან დაუბარებია, გლეხი შიშით და კანკალით ეახლა თურმე კალოზე მყოფ ბატონს. მისვლისთანავე გიგო დახრილა, ბზე აუღია და წკიპურტით გლეხისთვის უსვრია, შეშინებულ გლეხს გული გახეთქვია და კალოზევე მომკვდარა.

სიმკაცრესთან ერთად ბატონის სიხარბეზეც ყვებიან ფლაველები. დედისერთა ბატონი უამრავ ბაღ-ვენახსა და საძოვრებს ფლობდა. მარტო ანტონოვკა ვაშლი 9 ჰექტარზე ჰქონია გაშენებული, ოტრეულას აყოლებაზე კი 200-მდე კაკლის ხე დგმია. მიუხედავად დიდი სიმდიდრისა გერის წმინდა გიორგის სალოცავში მიმავალ ხალხს გზაზე ოსებს ახვედრებდა და აყაჩაღებდა.

ერთი თავისი აზნაურის – უთნელიშვილის ქვრივ მარიამისთვის დაუდგამს თვალი გიგო ბატონს. ქალს ახლო არ გაუკარებია ავხორცი ბატონი, სამაგიეროს გადახდის მიზნით დაუჭერია ქვრივის კამეჩები, თავისთან დაუბია და თავისად გამოუცხადებია. ქვრივს სასამართლოში უჩივლია და მეზობლის – გვარად მამისბედაშვილის დამოწმებით უკან დაუბრუნებია. მოთმინებადაკარგულ რევოლუციურად განწყობილ სოფლის გლეხობას 1910 წლის 3 აპრილს[1] თავისივე ვენახში ვაზის მყნობისას მოუკლავთ გიგო. ჩამუხლულისთვის უსვრიათ თოფი. კვირცხლივ წამომხტარს, მაუზერი ამოუღია, მაგრამ მალევე ჩაკეცილა. მოკლულს ოჯახობა თბილისში ჰყოლია. გულმოსული ხალხი დასცემია მის სასახლეს და აუწიოკებიათ. რესპონდენტები ყვებიან, რომ ერთი ოთახი მარტო გერითობას[2] ნაძარცვი საქონლით: ნაბდებით, თექა-ფარდაგებით, სპილენძის ქვაბებით, ჩოხა-ახალუხებით, უნაგირებით, ქამარ-ხანჯლებით ჰქონია გამოჭედილი. ბევრს ამოუცვნია და უკან დაუბრუნებია ბატონისგან ადრე ნაძარცვი საქონელი.

ფლაველებს წაუღიათ ქვის საქაჯავი და რკინის ხრახნილიანი სიმინდის საფხვნელი. როგორც სოფელში გვითხრეს, საფხვნელი იმ დროებაზე ძალზე იშვიათობა ყოფილა და თანაც საჭირო. ამიტომაც ის ჩაუბარე-

---

[1] ზოგიერთი ცნობის მიხედვით, გ. კ. ერისთავი სოფლელებმა მოკლეს და სახლკარი გადაუწვეს 1905 წლის გაზაფხულზე. რისთვისაც მთავრობამ სოფელში ჩააყენა ეგზეკუცია. იხ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, გვ. 111.

[2] გერის წმ. გიორგის მოძრავ დღესასწაულს ქართლში სექტემბრის თვეში სამჯერ ზეიმობდნენ: I. თავგერითობა, II. შუა გერითობა და III ბოლო გერითობა.

ბიათ ჯოჯიშვილებისთვის და მთელი სოფელი იმით სარგებლობდა. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ჯოჯიშვილებს უარი უთქვამთ ნივთის საერთო სარგებლობაზე და კერძო საკუთრებაში დაუტოვებიათ.

საინტერესო ამბავს მოგვიყვა სოფლის უხუცესი ლენა ეცადაშვილი. ბატონის ხელზე მოსამსახურე ყოფილა ეცადაანთ გვარის მრავალშვილიანი, ღარიბი ქალი. გიგოს სიკვდილის შემდეგ მეუღლეს უთქვამს მისთვის, შენ ძალიან უყვარდი ჩვენ ბატონს და მის პატივსაცემად რა გინდა რომ გაჩუქოვო. ქალს უთქვამს: „ცხონებულს ჩემ შეკერილ მუთაქაზე უყვარდა წამოგორებაო და თუ გაიმეტებ მოსაგონებლად ის გამატანეო.

ეგ რა არის, შე ქალოდა მაგის თხოვნა, აჰა ბარემ ხალიჩაც წაიღე ერთმანეთს ძალიან უხდებიანო“ და წამოუღია ეცადაშვილის ქალს ბატონისგან მალულად ნაქუჩები ფულით სავსე მუთაქა. მას მერე გამდიდრდნენ ფლავში ეცადაშვილები. უყიდიათ სახნავ-სათესი ადგილები, ვენახები, წისქვილები და კარგი სახლებიც აუშენებიათ. ბატონი კი სოფელშივე სახლთან ახლოს დაუკრძალავთ.[1]




1 მთხრობელი გიმზერ ვახტანგის ძე ფინდიშვილი, დაბ. 1960 წ. სოფ. ფლავისმანი.

# თავი XV

## იკოთი

ქსნის ერისთავებმა ხეობის ლანდშაფტთან ლამაზად შერწყმული ამაღლებული ადგილები ადრიდანვე აითვისეს საცხოვრებლად, სადაც მათ მიერ აგებული სასახლეები მფლობელთა სურვილების პირდაპირი გამოხატულებაა – ხეობაზე გაბატონებისა.

ამგვარ შთაბეჭდილებას უქმნის მნახველს ახალგორიდან ჩრდილოეთით 5 კილომეტრის დაშორებით სოფ. იკოთში მდებარე ერისთავიანთ სასახლე, რომლის ბოლოდროინდელი მფლობელი გახლდათ მუხრანბატონი და შესაბამისად ადგილობრივი მოსახლეობა მის სასახლედ მოიხსენიებს.

იკოთის სასახლე შორეულ წარსულს არ წარმოადგენს, ხელოვნებათმცოდნე ნინო ერისთავის დასკვნით, ის ერთბაშად არ აშენებულა. ერთი ცნობის მიხედვით, რომელიც ბოლო დროს მოგვაწოდეს სოფ. იკოთიდან, სასახლე აგებული ჩანს 1840 წელს ახალგორიდან წეროვანში იძულებით წამოსული გურამ ადიკოს ძე ზანგურაშვილის თქმით, იკოთის სკოლაში დაცულია 1844 წელს შედგენილი სკოლის პასპორტი, სადაც გარკვევითაა მითითებული აღნიშნული სასახლის აგების წლად 1840 წ. (გ. ზანგურაშვილის მითითებით სასახლეზე წერილობითი ინფორმაცია მოგვაწოდა იკოთის სკოლის ამჟამინდელმა დირექტორმა ქ-ნმა მზია ფსუტურმა).

ჩვენთვის უცნობია, თუ რომელმა ერისთავმა წამოიწყო იკოთში პირველად სასახლის მშენებლობა, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ერთ-ერთი პირველი მფლობელი გახლდათ გიორგი იესეს ძე ქსნის ერისთავი.

იკოთის ბოლო მფლობელის მიხეილ მუხრანბატონის დიდი მცდელობის შედეგად იკოთში 1922 წელს გაიხსნა ერთკლასიანი პირველი სკოლა, რომელიც თავიდან მოთავსებული ყოფილა ლექსო მაწიაშვილის სახლში (ამჟამად ვალიკო ნაროზაშვილის). მალევე სკოლა განთავსებულა მიხეილის სასახლეში, სადაც პირველი მასწავლებელი ყოფილა მისივე ქა-

ლიშვილი – ლიზა. შემდგომ კი პელაგია მელაშვილი. დაწყებითი სკოლა რამდენიმე წლის შემდეგ ჯერ რვაკლასიანად გადაკეთდა, შემდეგ კი საშუალოდ, რომლის პირველი სრულფასოვანი გამოშვება 1937 წლის კურსდამთავრებულები იყვნენ. იკოთის სკოლის ერთ-ერთი წარმატებული და ამაგდარი პედაგოგი გახლავთ გურამ ზანგურაშვილი. იგი სკოლაში მასწავლებლად 1949 წლიდან 2011 წლამდე მოღვაწეობდა (1985 წლიდან დირექტორად).

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ყოფილ ერისთავების სასახლეში დედათა მონასტერი დაფუძნდა, რომელმაც ითავა შენობის მოვლა-პატრონობა.

მკვლევარ ნ. ერისთავის აღწერილობის მიხედვით, სასახლეში *„ორ რიგად განთავსებული რვაოთახიანი ანფილადაა. ორ დამხმარე ფლიგელში კიდევ ოთხ-ოთხი სადგომია ეზოსკენ გახსნილი კარებით. სამხრეთიდან მარცხენა კედელს ამჟამად დედათა მონასტრისთვის განკუთვნილი მცირე სამლოცველო აქვს მიშენებული.*

*... ციხე-სასახლე, მიუხედავად ერთიანი კლდოვანი რელიეფისა, გალავნით უნდა ყოფილიყო შემოზღუდული.*

*აღმოსავლეთის ფასადი ღიობებით არათანაბრადაა დანაწევრებული. თავდაპირველი სახით მხოლოდ ორქანობა სახურავის ქვეშ მოთავსებული სამი ფანჯარაა სამკუთხა კლასიცისტური ყაიდის თავსართებით, რომლებშიც ძველად ჩასმული ჯვრის პატარა გამოსახულებებია. ფასადის მეორე ნაწილზე, რაც ალბათ, სკოლის დროინდელი გადაკეთებაა, აივნის კვალიც ატყვია.*

*დასავლეთის ფასადის მხატვრულ გადაწყვეტას მნიშვნელოვნად განაპირობებს აგურით წყობილ ექვს სწორკუთხა სვეტზე დაყრდნობილი ვრცელი აივანი.*

*თავდაპირველი აივანი სკოლის დროს შუშაბანდით შეიცვალა. მას მუხრანბატონის საცხოვრებელშიც საგანგებო დატვირთვა ენიჭება, რადგან სწორედ აქედან იშლება თვალწარმტაცი ხედები ქსნის ხეობისა. აივანს სამივე მხრიდან განსხვავებული ფართო პანორამები აქვს: მარცხნივ გაშლილი სოფელი ჩანს, შუა ნაწილიდან – ქსნის ვრცელი ჭალები, ხოლო მარჯვნივ – მდინარის მიხვეულ-მოხვეული, მთებში ჩაკარგული ულამაზესი ხეობა.*

*საცხოვრებელი სახლის შიდა კედლები შერეული წყობით არის ამოყვანილი. ყველა ოთახში აგურის ბუხარია. „... სართულშუა გადახურვაში ჩაყოლებულია თხილის წნულები“.*[1]

[1] ერისთავი ნ., სადოქტორო დისერტაცია „XIX ს. ქართულ სასახლეთა ხუროთმოძღვრების ისტორიიდან“, 2009.

ახალგაზრდა მკვლევარი იკოთის სასახლეში გამოყოფს ორ ძირითად სამშენებლო ფენას, სადაც პირველი „შესაძლოა, ქვედა, სარდაფისა და ძირითადი სართულის გარკვეული ფრაგმენტები XVIII საუკუნეს ეკუთვნოდეს, ხოლო XIX საუკუნის პირველ ნახევარს კი ნაგებობის დანარჩენი ნაწილი“.[1]

**იკოთის პირველი მფლობელი.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფელ იკოთში არსებული XIX საუკუნის ერისთავების პომპეზური სასახლე ეკუთვნოდა ცნობილ ქსნისხეობელ ქართველ დიდ თავადს, ინფანტერიის გენერალს სენატორს, თავრიზის გმირს „დიდ კნიაზს“ გიორგი იესეს ძე ერისთავს.

გ. ი. ერისთავი გახლდათ ქსნის ერისთავების გენეალოგიაში ყურადსაღები ფიგურის იესე-აღაბაბას შვილი. იგი დაიბადა ახალგორში 1760 წელს. თავის დროისთვის რიგიანი პოეტი ყოფილა, მისი ერთი თხზულება ს. დოდაშვილმა გამოაქვეყნა. ასევე თავადის ნაწარმოებები ჟურნალ „ცისკარშიც“ იბეჭდებოდა.

თვალშისაცემია გ. ერისთავის მეტსახელები დაკავშირებული მის ცხოვრებისეულ მომენტებთან: „თავრიზელი“ – რუსები „Таврический“-ს ეძახდნენ. „სენატორი“; „დიდი კნიაზი“ და „ჰერი-ჰა“.

მეფის რუსეთის არმიის თვალსაჩინო ოფიცერმა გენერალ-მაიორის წოდება 1813 წელს მიიღო, 1826 წლიდან კი – გენერალ-ლეიტენანტობა. რუსეთ-სპარსეთის 1826-1828 წლების ომამდე ქართველი გენერალი მეთაურობდა 21-ე ქვეით დივიზიას და კავკასიის მეფისნაცვლის ივან პასკევიჩის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. 1827 წელს ერევნისკენ დაძრულმა პასკევიჩმა ქართველ გენერალს დაავალა ნახჭევანის დაცვა და იცოდა რა მისი შეუპოვარი სიმამაცის ამბავი, კატეგორიულად აუკრძალა სხვა მნიშვნელოვან ოპერაციებში ჩაბმა. მიუხედავად ასეთი მკაცრი მითითებებისა, 2 ოქტომბერს ერისთავის რაზმი დარგინის ხეობით სპარსეთის საზღვრებისკენ დაიძრა და თავრიზის ახლოს ქ. მარანდი დაიკავა. ორი დღის ფიქრის შემდეგ მთელი პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო და პასკევიჩის ნებართვის გარეშე თავრიზი დაიკავა, სადაც სრულად ამოწყვიტა გაუხიზნავი მოსახლეობა, არ დაუნდვია არც ბავშვები, არც ქალები და არც მოხუცები. ეს მან ჩაიდინა სამაგიეროს გადასახდელად აღა-მაჰმად-ხანის თბილისის გადაწვის გამო. ერისთავმა არ იცოდა, აპირებდნენ თუ არა სპარსელები თავრიზის ციხესიმაგრის დაცვას, იგი ელოდებოდა ვითარების გარკვევას. უცებ ციხესიმაგრის კარები გაიხსნა

[1] ერისთავი ნ., დასახ. ნაშრ.

და ქალაქის თავმა მას გასაღები გადასცა, მანაც 13 ოქტომბერს მუსიკითა და გაშლილი დროშებით სიმაგრე დაიკავა.

გენერალ ერისთავის რაზმის ხელში აღმოჩნდა სპარსეთის არმიის მთელი სურსათი და მდიდარი სამხედრო არსენალი, ყველა საწყობი და, რაც მთავარია, თოფისწამლისა და იარაღის ჩამოსასხმელი ქარხნები. სამხედრო ნადავლს წარმოადგენდა აგრეთვე აბას მირზას ტახტი, საბრძანებელი კვერთხი, ორმოცი ქვემეხი და ორი დროშა. ტყვეთა რიცხვი ძლიერ მცირე იყო, მაგრამ მათ შორის იმყოფებოდა ალაიარ-ხანი, რომელსაც ევალებოდა თავრიზის დაცვა. გენერალ ერისთავის გამარჯვება და თავრიზის დაცემა სპარსეთის უდიდეს პოლიტიკურ მარცხს წარმოადგენდა.

პასკევიჩი მთელი მრისხანებით და საყვედურებით თავს დაესხა ერისთავს, მან წყნარად მოისმინა ყველაფერი. ხოლო როდესაც პასკევიჩმა სიტყვა დაამთავრა, იგი გამარჯვებულ გენერალს გადაეხვია და თავრიზის აღება მიულოცა.

თავრიზის მცხოვრებთა ამოწყვეტის ფაქტს ყურადღება მიაქციეს სპარსეთში აკრედიტირებულმა ევროპელმა დიპლომატებმა. მაშინდელმა სამხედრო მინისტრმა – ჩერნიშევმა ვერ გაბედა თვითონ დაესაჯა გიორგი ერისთავი და მიმართა წერილობითი მოხსენების ბარათით რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ I. ქვეყნის პირველმა პირმა წაიკითხა მოხსენებითი ბარათი და დაადო რეზოლუცია: *„სრულიად მესმის თავად ერისთავის – დაისაჯოს საეკლესიო მონანიებით“.* მოგვიანებით თავრიზის აღებისათვის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა გიორგის უბოძა „წმ. ალექსანდრე ნეველის“ ორდენი. ამ ამბების შემდეგ ქსნისხეობელ გენერალსა და იკოთის მფლობელ თავადს შეარქვეს „Таврический“.

1830 წელს ხანდაზმული გენერალი გადადგა სამხედრო სამსახურიდან და იგი აირჩიეს სენატორად. სწორედ მას მერე შეერქვა „სენატორი“, ხოლო თავისი სიდინჯის, მჭევრმეტყველებისა და დამსახურებების გამო – „დიდი კნიაზი“. რაც შეეხება მის მეოთხე შერქმეულ სახელს – „ჰერი-ჰა“, მისი ღრმა მოხუცებულობის დროიდან უნდა მომდინარეობდეს. მან ხშირად იცოდა თქმა „ჰერი-ჰა“, როდესაც ეკითხებოდნენ წლოვანებას. ასევე მას სიბერეში უდარდელი და უშფოთველი ცხოვრების გამო დაუმსახურებია ეს სახელი. გიორგი ევსეევიჩის (როგორც რუსები ეძახდნენ) დაბადება-გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. ერთი მოსაზრებით, ის დაბადებულია 1760 წელს და გარდაიცვალა 1863 წელს 103 წლისა. მეორე მოსაზრებით, დაიბადა

1759 წელს და გარდაიცვალა 1864 წელს 106 წლის ასაკში.[1] მკვლევართა უმრავლესობა და მათ შორის პლატონ იოსელიანი და იოსებ მეგრელიძე „სენატორის“ დაბადება-გარდაცვალების თარიღად მიიჩნევენ 1760-1863 წლებს. ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ იკორთის სავანეში ქსნის თავადის დიდ მარმარილოს ქვაზე ამოკვეთილ ეპიტაფიაში აღნიშნულია მხოლოდ გარდაცვალების თარიღი – 4 ნოემბერი 1864 წელი და ასაკი – 103 წელი.

როგორც ირკვევა, გიორგი იესეს ძეს აღზრდა-განათლება საქართველოში მიუღია. მისი მასწავლებლები იყვნენ: ტრიფილი – არქიმანდრიტი და კათოლიკოს-პატრიარქ ანტონის მდივანი გაიი, რომელიც შემდგომ ასტრახანის არქიეპისკოპოსი გამხდარა. XIX ს-ის ცნობილი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის თქმით, „სენატორის“ – *„თანამედროვენი იყვნენ განსწავლულობით ცნობილნი: საქართველოს ეგზარქოსი ვარლაამი; დავით ალექსანდრეს ძე – რექტორი თელავის სემინარიისა (1784-1799 წწ.); იესე ამბროსის ძე – თბილისის სიონის ტაძრის პროტოპრესვიტერი; ეგნატე იოსელიანი – კარის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის დიაკონი; დიმიტრი ალექსანდრეს ძე – ანჩისხატის დიაკონი; არქიმანდრიტი ნიკოლოზ ხელაშვილი და სხვა. ეს ხალხი, როგორც გასული საუკუნის განათლებულობის კორიფეები, იყვნენ ხალხის თვალში განსაცვიფრებელნი, ჩინებულნი. ისინი ბრწყინავდნენ, ანათებდნენ, მაგრამ არ ათბობდნენ მასებს*“.

გიორგი ერისთავი თავისი პიროვნული თვისებებით, შემოქმედებითი ნიჭით და განვლილი ცხოვრებით მძიმეწონიანი ფიგურაა ქსნის ერისთავების გვარში. მასთან კარგი მამა-შვილური ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ნიჭიერ ისტორიკოსს და ფილოსოფოსს პლატონ იოსელიანს. ეწყობოდა მათ შორის შეხვედრები და სჯა-ბაასი სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე. განსაკუთრებით თბილისის სემინარიაში პლატონის ფილოსოფიის პედაგოგად მუშაობის (1835-1843) წლებში. პლატონს მასთან შეხვედრების შემდეგ თავის ვალდებულებად მიუჩნევია გაეკეთებინა წერილობითი *„მითითებები ზოგიერთ მის შეხედულებასა და სამეცნიერო ნააზრევზე“*, რამეთუ *„ის როგორც მეცნიერი, საქართველოში დასაბამიდან დამკვიდრებული განათლებით აღზრდილი, როგორც უკანასკნელი წარმომადგენელი ფილოსოფიური სკოლისა შეიძლება დარჩეს აუხსნელი შთამომავლობისთვის...“* ამ მიზნით შთაგონებული პლატონ იოსელიანი ცდილობს მეტი თქვას და დაწეროს ღვაწლმოსილ ღრმად მოაზროვნე მოხუცზე, რომელიც პლატონისავე თქმით. *„დარჩა მარტოდ უდაბნო-*

[1] Эсадзе Б. Летопись Грузии. Тфл., 1913. с. 286.

*ში, რომელსაც აღარ ქონდა თავისი ფილოსოფიური იდეების გამომჟღავნების საშუალება.... მისი სახით თითქოს გარდაიცვალა და მასთან ერთად დაიმარხა ის რითაც ცხოვრობდნენ ძველი თანამემამულე დიდი მოაზროვნენი.... ძველ ფილოსოფიურ იდეებში ღრმად განსწავლული სამაგალითოდ სწორი, დახვეწილი ქართულით აყალიბებდა და გადმოსცემდა თავის აზრებს მეტად მომხიბლავად და დამაჯერებლად.*

*პლატონის იდეები მას ესმოდა ფრიად სწორად, პლატონისავე სულისკვეთებით. ზეპირად იცოდა „არისტოტელეს კატეგორიების შესავალი", სამყაროს დასაწყისს ხსნიდა სამყაროს შემქმნელი ღმერთის იდეით „მიზეზი მიზეზისა არს მიზეზი მიზეზოვანისა". საყურადღებო იყო მისთვის პლატონის მითი პარალელიზმისა ადამიანსა და სამყაროს შორის თუნდაც მიკროკოსმოსი და მაკროკოსმოსი. უყვარდა განსჯა საკამათო რელიგიურ საკითხებზე, რომელიც აღელვებდა აღმოსავლეთს და დასავლეთს. მეტაფიზიკური სინატიფით, დახვეწილობით და სხვ...*[1]

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ქსნის ერისთავები მიეკუთვნებიან განსაკუთრებული ნიჭის მატარებელ გენეტიკურ ხაზს. მათ წრეში ტრიალებდნენ მწერლები, პოეტები, მთარგმნელ-გადამწერები, ფილოსოფოსები, მუსიკოსები, რეჟისორები, სელექციონერები, ნიჭიერი გენერლები, სასულიერო და საერო მოღვაწენი. თვით გიორგი იესეს ძე ერისთავი არის ავტორი თეოლოგიური ნაშრომისა: „მამისაგან შვილის დარიგება", რომელიც ჟურნალ „ცისკარშია" დაბეჭდილი (1862 წ. №10, გვ. 67). ნაწარმოების სათაური ასეთია „ღენერალ ოტ-ინფანტერს გიორგი ერისთავს თავისი შვილი ზაქარია კითხავს: მამაო, რით უნდა მოიგოს ამ სოფელს ბედნიერება, რომ საუკუნოდ დიდებაც იმისთვის მზად იყოს?"

გენერლის პასუხი შვილისადმი ვრცელია და ნაწილობრივ დიდაქტიკური, რომელსაც ქრისტიანული რელიგიის დოგმები უდევს საფუძვლად.[2]

ერისთავების სახელოვან გენერალს ხოტბა-დიდებას არ აკლებენ ნაცნობ-მეგობრები და ნათესავები. მისი პიროვნების დიდი პატივისმცემელია სოფ. ქვეშში მცხოვრები ივანე ელიზბარის ძე ერისთავი (ფილოსოფოსი), რომლის ოჯახიც უგანათლებულეს ოჯახად ითვლებოდა იმ დროინდელ საქართველოში. გიორგი იესეს ძისადმი ივანესგან მიძღვნილი იამბოკი 1861 წლის ჟურნალ „ცისკარმა" გამოაქვეყნა (№ 1), სადაც ავტორი პლატონ იოსელიანის, დიმიტრი ბერიევის და სხვათა და სხვათა მსგავსად ევსეის ძეს ოვდიუსს და დიონისეს ადარებს.

---

1 Иоселиани Платон, «Икортский монастыр в Карталинии», с. 36.

2 გაჩეჩილაძე ა., „ბრძოლა რეალიზმის დამკვიდრებისთვის XIX ს-ის ქართ. ლიტ-ში".

## იამბოკი

ინახით პირუელ, გორს სამსჯავროს მჯდომარე
ოვდიუსის მსგავს მშვენიერ მხმობარე,
სიბრძნე სიმხნითა, მსჯავრთა შემამკობარე
ესრეთ წესსზე, ბუნებითა მდგომარე,
ბრწყინავს, ჰფშვის სნეულს, ვით გაზაფხულის ჰარე.
სამსაჯულოსა, ჰსჯა მსგავს არიოპაგელს,
ვით დიონოსის, მის შორის მსჯავრთა განმგეს
არ თვალაღებითა, მოჩივართ ჰხედავს ბაგეს
ჰქუხს მსჯავრთა სამღრთოდ უქრთამობისადამარგეს
ებან-ტკბილ ხმა სცემს, გამგონთა ფრიად მარგეს.
ირისებრ ქების, გარდამრთხმელ ვიქმენ მისდა,
ორბებ მფრინველის, სათნოებათა ცისდა
აწ კიდულით ჰსცობს, ვინ ვუბნობ ამას ვისდა,
ნებავს თუ სჯის, არ საკრიტიკოდ თქმისდა,
ეთნოს მაშინღა, წართქმა მადლობის ხმისდა
უკეთო ითნოთ, ეს შესხმა ჩემგან თქმული,
მაშინ სიუხვე, ჰქმენით ჩემ-კერძ განსმული,
უტევეთ ჩემთა სნელესისგან ქმნული,
фილოსოфია, არ-სწორ-გარდმოთარგმნული
სახსოვრად ჰქმენით, ეს ჩემს გულს ღრმად დარგული![1]

გასული საუკუნის 50-იან წლებში იკორთასთან ახლოს ქ. ცხინვალის უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებელში მოღვაწეობისას მეცნიერი ი. მეგრელიძე იკვლევდა ლიახვის ხეობებს და მათ შორის იკორთის წარწერებს. ერთ თავის წერილში იგონებს ექვთიმე თაყაიშვილის ნაამბობს სენატორ ერისთავზე: *„გიორგი ერისთავი იყო მრავალ ომში გამარჯვებული გენერალი, მისი დროის რუსეთში არ დარჩენილა არც ერთი სამხედრო ორდენი, რომელიც მას არ დაემსახურებინოს. იგი რომ პენსიაში უნდა გასულიყო ყირგიზეთი იყო აჯანყებული. ვერ ჩააქრეს. გაგზავნეს გ. ერისთავი, მან იქაც მალე გაიმარჯვა და დააჯილდოეს რუსეთში მანამდე არ არსებული ორდენით* «Атаман казачеcких воиск».

*გავიდა პენსიაში, იმპერატორმა ჰკითხა: რით დაგაჯილდოოვო, რას ისურვებო.*

*გიორგიმ უპასუხა: რასაც თქვენი აღმატებულება ინებებს, თანახმა ვარო.*

[1] ჟურნ. „ცისკარი“, 1861, № 1.

*– იმპერატორმა უთხრა: გაემგზავრეთ კავკასიაში, იქ მიიღებთ ჯილდოსო.*

*პეტერბურგიდან გიორგი ერისთავის თბილისში ჩამოსვლამდე მოვიდა ხმა, იგი მეფისნაცვლად დანიშნეს კავკასიაშიო. დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ამას ქართული საზოგადოებრიობა, ჩამოვიდა გიორგი და ზეიმით მიიღეს, მაგრამ ოფიციალური ცნობა კი არ ჩანდა!... გ. ერისთავი ცხოვრობდა საკუთარ სახლში მუშტაიდის ბაღის მახლობლად. გავიდა ხანი; ერთ დღეს რკინიგზის სადგურიდან ეტლით გიორგის ეწვია მისი ყოფილი ადიუტანტი ა. ი. ბარიატინსკი და უთხრა მას „მისმა საიმპერატორო უდიდებულესობამ კეთილ ინება დავენიშნე მეფისნაცვლად, მაგრამ თქვენს გარეშე მე არაფერს არ გადავწყვეტ, ასე რომ მართავთ თქვენ, მიმიღეთ მე!.“. გ. ერისთავმა უპასუხა ამაზე ქართველებს შესანიშნავი ანდაზა გვაქვს: – ხან ისაა გრძელი და ხან ისაო, – დაგნიშნეს, შენვე მართე მე ნურაფერს მეკითხებიო“.*[1]

**იკოთის მეორე მფლობელი.** „დიდ კნიაზს“ ალექსანდრე ნეველის ორდენის გარდა მიღებული ჰქონდა რუსეთის უმაღლესი ორდენები: წმ. გიორგის მე-4 ხარისხის (1803 წ.); წმინდა ანდრია პირველწოდებულის (1861 წ.); წმ. ვლადიმირის მე-3 ხარისხის (1813 წ.); მე-2 ხარისხისა (1830 წ.); I-ელი ხარისხისა (1856 წ.); წმინდა ანას მე-2 ხარისხის (1808 წ.); I-ელი ხარისხის (1822 წ.); I-ელი (მეორედ 1827 წ.) ბრილიანტის ნიშნებით და 1-ელი (1849 წ.) ალმასისი ნიშნებით.

გიორგი ერისთავს მინიჭებული ჰქონდა შემდეგი წოდებები: გენერალ-მაიორი (1813 წ.); გენერალ-ლეიტენანტი (1826 წ.); ინფანტერიის გენერალი (1846 წ.).[2]

„დიდი კნიაზის“ მეუღლე გახლდათ გაიანე ბატონიშვილი, გიორგი XII-ის ასული (1780-1820 წწ.). მათ ჰყავდათ ოთხი შვილი:

1. ქეთევანი 1808-1897 წწ. მამუკა (მაკარ) ორბელიანის (1800-1871 წწ.) მეუღლე. იკოთის მამულის მფლობელი.

2. ანა (თუთა) 1811-1846 წწ. ზაზა ციციშვილის (1791-1840 წწ.) მეუღლე.

3. ზაქარია 1814-1850 წწ. პოლკოვნიკი, დაიღუპა ლეკებთან ბრძოლაში. მისი მეუღლე იყო ელენე ლუარსაბის ასული ორბელიანი (1815-1888 წწ.).

4. მარიამი 1818-1882 წწ. გრიგოლ ივანეს ძე ერისთავის (ქსნისა) 1821-1876 წწ. მეუღლე, ატენის მამულის მფლობელი.

---

[1] ელიზბარ ერისთავი, თბ., 1997, გვ. 236.

[2] „სენატორზე“ იხ. ჟურნალი „ისტორიანი“, 2011 წ. X, გვ. 59.


ႨႤႱႨ ႣႠႥႨႧႨႱ ႻႤ ႷႳႪႠႰႠႶႠႱႨ
ქეთევან ჩოლოყაშვილი
იესე (აღაბაბა)
მარიამ ამილახვარი
გიორგი (სენატორი) იკოთის I მფლობელი
გაიანე ბატონიშვილი
ანა
ზაქარია
მარიამი ატენის მფლობელი
გრიგოლ ივანეს ძე ერისთავი (ქსნის)
ზაქარია
დარეჯანი
ივანე
ქეთევანი (1818-1897) იკოთის II მფლობელები
მამუკა ორბელიანი (1800-1871, გენერალ-მაიორი)
თამაზი
დ.1828
სოფიო
1831-33
მიხეილი
1933-37
დავითი
1838-75
ნიკოლოზი
1841-80
სოფიო
დ. 1843
კონსტანტინე
1846-1912
გაიანე
დ. 1830
ნინა
1832-37
ალექსანდრე
1834-35
ლიდია
დ. 1839
ანა
დ. 1848
ბარბარე
1842-1913
იოსებ
თარხან-მოურავი
1819-1978
ალექსანდრა (საშა)
1835-1915
ლევან მელიქიშვილი
1818-1892
ივანე
გიორგი
სოფიო
მარიამი
მიხეილი
პეტრე
მაკრინე
ესტატე
გაიანე
ნინო
ივანე
მარიამ სტავროპოლსკაია-მირსკაია
(ორბელიანი)
მამუკა
სოფიო
დიმიტრი

გიორგის და გაიანეს ერთადერთი ვაჟის ზაქარიას ზაქათალაში დაღუპვის შემდეგ[1] უმემკვიდროდ დარჩენილი მათი ოჯახის ქონება ორ ქალიშვილზე გადანაწილდა. უფროსი შვილი ქეთევანი 1827 წელს ცოლად გაჰყვა მამუკა თამაზის ძე ჯამბაკურ-ორბელიანს. ერისთავების ასულის მდიდრულ მზითვს ამშვენებდა ახალგორის სიახლოვეს მდებარე იკოთის მომცრო, მაგრამ მოხდენილი სახლი. 1840 წლიდან ორბელიანების სიმდიდრის ბრწყინვალება გახდა სწორედ ამ შესანიშნავ ადგილზე აგებულ სახლზე დაშენებული იკოთის პომპეზური სასახლე. თვით ახალშექმნილი ოჯახიც ამაყ, შეძლებულ და ბედნიერ ოჯახად ითვლებოდა ქართველ თავადთა ელიტურ წრეში. ქეთევანსა და მამუკას 15 შვილი გაუჩნდათ. შვილების კარიერაზე დიდად იმოქმედა ოჯახის სიმდიდრემ, ნიჭიერებამ და სრულფასოვანმა განათლებამ. მათი ერთი ქალიშვილი – ალექსანდრა (საშა) ცოლად გაჰყვა ლევან მელიქიშვილს, ნიკოლოზ ბარათაშვილის უპირველეს მეგობარს, რომელმაც ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილიკო ორბელიანს შორის გამართულ დუელში დიდი როლი შეასრულა ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად. შემდგომ საშა გახდა სიდედრი ოძისის სამეურნეო სკოლისა და ბანკის დამაარსებლის ზაქარია გიორგის ძე ერისთავისა. ხოლო ქეთევანის ერთი ვაჟი ვანო ორბელიანი გახლდათ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი.

ქეთევან ერისთავი-ორბელიანისა პირველი სცენისმოყვარე ქალია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო გიორგი ერისთავის მიერ აღდგენილ ქართული თეატრის პირველ წარმოდგენებში. 1850 წლის 2 იანვარს (ძვ. სტ.) ქეთევანმა კომედია „გაყრაში" შეასრულა მიკირტუმ გასპარიჩის ცოლის თათელას როლი, ხოლო 3 მაისს „დავაში" ითამაშა გამდელის – ლომისეულის როლი. ჟურნალ „კავკასიის კრებულში" (1897 წ. № 4) ა. წერეთელი „სამძიმარში" წერს: *„განსვენებულმა ქეთევანმა რომ თეატრი არ დაივიწყა და ის მცირე წვლილი დაუტოვა, კარგი ქმნა და აქაც გონივრულად მოიქცა. ადრე ისე სასირცხვილოდ მიაჩნდათ ჩვენში თეატრში სცენაზე გამოსვლა, რომ თავის მოჭრა ეგონათ. ვორონცოვის დროს, რომ „გაყრა" ითამაშეს, პირველი მაგალითი კნეინა ქეთევანმა უჩვენა ყველას; ითამაშა და მით აგრძნობინა სხვებსაც, რომ აქ სასირცხო არა არის რაო".*

ახალგორის უკანასკნელი ერისთავის ნიკოლოზ (კოლა) დავითის ძე ერისთავის ჩანაწერების მიხედვით, ქეთევან ერისთავი ბოლო დროს სიღარიბეში ცხოვრობდა და აღარაფერი გააჩნდა. მოვალეები წარამარა

[1] ზაქარიაზე ეპიტაფია დაწერა მარიამ ივანეს ასულმა ერისთავმა, რომელიც არსად არ გამოქვეყნებულა.

აწუხებდნენ და საქმე სასამართლომდე მისულა. მართლმსაჯულებას ერთ დროს მდიდარი კნეინა შეუძლებელ მოვალედ უცვნია და ოპეკა დაუნიშნავს. მანამდე კი რუსეთის ხელმწიფემ ალექსანდრე II-მ მისდამი დიდი პატივისცემის გამოხატვით უბოძა ხარისხი „კავალერსტვეინნაია დამა". საქართველოში სულ ორი ქალბატონი იყო ამ საპატიო ხარისხის მატარებელი. ერთი იკოთის სასახლეში მჯდომი კნეინა ქეთევანი და მეორე მისივე ასული ალექსანდრა (საშა), ლევან მელიქიშვილის მეუღლე.

*„ხელმწიფე ალექსანდრე II რომ ჩამოვიდა საქართველოში* (იგონებს კოლა ერისთავი ვ. ქ.), *თავადაზნაურობამ, რა თქმა უნდა გაუმართა ნადიმი (ბალი), ამ ნადიმზე პირველი ცეკვა უნდა დაეწყო ხელმწიფეს (ეს ცეკვა იყო პოლონური) რომელიც იმაში გამოიხატებოდა რომ ქალს და კაცს ხელჩაკიდებულებს რამდენჯერმე უნდა შემოევლოთ დარბაზში, რასაკვირველია მუსიკით... როდესაც ნადიმზე პოლონეზი დაუკრა მუსიკამ – ხელმწიფე მივიდა ჯერ ორბელიანთან და სთხოვა მასთან ეცეკვა პოლონეზი – ქეთევანი მაშინ იქნებოდა თითქმის 73 წლისა, ბრძანდებოდა დეკოლტეთი და გულზე ქონდა გადაკიდებული დიდი ლენტი – ნიშანი მისი ხარისხისა. ერთხელ შემოუარეს დარბაზს სიჩუმით, მეორეთ ქეთევანმა მიმართა ხელმწიფეს და უთხრა: „თქვენო საიმპერატორო აღმატებულებავ თქვენ ცეკვავთ შეუძლებელ მოვალესთან".*

*ხელმწიფემ ყური თურმე მოიყრუა, მაგრამ როდესაც რამდენჯერმე გაიმეორა უპასუხა: „თქვენ არ შეიძლება იყოთ შეუძლებელი მოვალე, თქვენ 10 დესეტინა ნავთობიანი მიწა გაქვთ ბაქოში".*

*ქეთევანი მიხვდა რასაც ეუბნებოდა და რა თქმა უნდა მადლობა გადაუხადა საჩუქრისთვის".*[1]

როგორც ირკვევა, თავადის ასულს ძლევამოსილი რუსეთის იმპერატორის დახმარებით დაუძლევია სიღარიბე და არამცთუ გაუსტუმრებია ვალები, არამედ საქვეყნო საქმისთვისაც შეუწირავს გარკვეული თანხა. *„განსვენებულს დიდძალი შეძლება დარჩა და გონივრულადაც გაუნაწილა მემკვიდრეებს. არც საზოგადო საქმე დავიწყებია და ასი თუმანი უანდერძებია „ქართული დრამატიული საზოგადოებისათვის." ეს შესაწირი მის ქონებასთან იგივეა, რაც ზღვაში ერთი წვეთი, მაგრამ ეს ერთი წვეთიც – კი დღევანდელ დღეს დიდ-მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადო ცხოვრებისათვის".*[2]

---

1 საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი -1000.

2 „აკაკის კრებული", 1897, №4, განყ. I, გვ. 49.

„დიდი კნიაზის“ ასული 1897 წლის 16 ნოემბერს გარდაიცვალა, დაკრძალულია სიონის ტაძარში მეუღლის გვერდით. აკაკი წერეთლის თქმით: *„სიცოცხლეში ხშირად ინატრებდა ხოლმე განსვენებული, რომ ნეტავი იკორთაში დამმარხავდნენო!“*. ჩვენს სასიქადულო პოეტს აკაკი წერეთელს კარგი ურთიერთობა ჰქონია ქეთევანთან. მისი გარდაცვალებით დანაღვლიანებული მგოსანი გულისტკივილით იგონებს: *„ის ეკუთვნოდა იმ ქართველების გუნდს, რომელთაც თავის ცნებათა აქვთ აღსარებული რუსეთთან საქართველოს სიყვარულით შეკავშირება და ოქროს ჯაჭვითა და არა ჩინოვნიკური გრეხილით გადაბმა. მთავრობისაგან პატივცემული, ხალხის სიყვარულიც იყო და ის სიყვარული იხატებოდა იმის უბრალო, უტიტულოდ სახელწოდებაშივე: „კნეინა ქეთევანო“ რომ ახსენებდნენ მთელმა აღმოსავლეთ ქართველობამ იცოდა, თუ ვინ იყო ის „ქეთევანი“... ეს იყო მხოლოდ უკანასკნელი ნაშთთაგანი იმ ძველი დიდებისა, რომელთაც დღეს ველარა ვხედავთ და რომელთა თვისებას შეადგენდა მახვილი და გამჭრიახი გრძნობა-გონება, ხასიათის სიმტკიცით დაგვირგვინებული“.*[1]

**იკოთის მესამე მფლობელი:** ჯამბაკურ-ორბელანებმა მზითვში მიყოლილი იკოთის სასახლე და 7 ჰექტარი ბაღ-ვენახი 1906-1907 წლებში მიჰყიდეს თავის ნათესავს მიხეილ ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-მუხრანბატონს,[2] რომლის მეუღლე გახლდათ 1832 წლის შეთქმულების მეთაურის ელიზბარ შანშეს ძე ერისთავის შვილიშვილი – დარია გენოს ასული ქობულაშვილი. ალექსანდრე მიხეილის ძე (დარიას მამამთილი) იყო ძმისშვილი დიდი ივანე მუხრან-ბატონისა და ნიკო ბურისა. ივანე ჩინით გენერალ-მაიორი, 1889 წლიდან თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლია. მუხრანში მან განავითარა მეღვინეობა და 1,2 მილიონი ლიტრი ტევადობის ღვინის ქარხნის მშენებლობა დაიწყო. მისმა ღვინოებმა რუსეთის და პარიზის გამოფენაზე სახელმწიფო გერბი და პირველი პრემია დაიმსახურეს.

იკოთის ახალი მფლობელი, სავარაუდოდ, 1902-1903 წლებიდან იყო გროდნოს ჰუსართა პოლკის პოლკოვნიკი, რომელიც 1921 წლის რევოლუციის შემდეგ ცხოვრობდა ქართლში თავის მამულში, სოფ. იკოთში. იგი ხალხში დიდი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკებმა ის დუშეთის მაზრის სამხ-

---

1 „აკაკის კრებული“, გვ. 46.

2 ახალგორის მხარეში მიხეილ ალექსანდრეს ძეს იცნობდნენ და მიმართავდნენ „მუხრანსკის“ სახელით. მთხრობელი შალვა ვასილის ძე ზანგურაშვილი დაბა 1916 წ. მცხ. წეროვნის ლტოლვილთა დასახლებაში.

ედრო კომისრად დანიშნეს. თუმცა კომუნისტებმა უნდობლობის გამო დაახლოებით 1925 წელს აღნიშნული თანამდებობიდან გაათავისუფლეს და ჩააბარეს ახალგორის ბანკი, სადაც ორი წლისთავზე მიუგზავნეს მასთან კარგ ურთიერთობაში მყოფი ვინმე ყიფიანი (ერთი ვერსიით, თბილისში მცხოვრები კოწია ერისთავი) და კრედიტის სახით ბანკიდან 3000 მანეთი გამოატანინეს. შემდგომ კრედიტორმა შეგნებულად ვალი არ დაფარა, რაც გახდა მიზეზი ბანკის მმართველის დაპატიმრებისა. საოლქო სასამართლოს მოთხოვნით, ქ. ცხინვალში ბადრაგის თანხლებით გადაყვანისას მიხეილ ბაგრატიონი ყანჩაეთის დასავლეთით სოფ. არმაზთან მოკლეს, რაც თავის დროზე მილიციელებმა გაქცევის მცდელობის აღკვეთით ახსნეს.

სამწუხაროდ ქსნის ხეობაში მომხდარ ამ ფაქტთან დაკავშირებით გავრცელებულია მცდარი ინფორმაცია, თითქოს გაქცევის ინსცენირებით საბჭოთა მილიციის ხელით მოკლული იქნა ახალგორში მცხოვრები ქსნის უკანასკნელი ერისთავი, ბანკის მმართველი ნიკოლოზ (კოლა) ერისთავი.

მიხეილის ლიკვიდაციის შემდეგ მისი ოჯახი ქსნის ხეობიდან აიყარა და თბილისში დასახლდა. მათ საარსებო მინიმუმიც არ დაუტოვეს იმ უზარმაზარი ქონებიდან, რასაც ერქვა გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე დიდი სასახლე, სადაც შემდგომ განთავსდა სამხედრო აკადემია. ასევე მათი კუთვნილება იყო რუსთაველზე ძველი იუსტიციის სახლი და მადათოვის კუნძულზე სხვადასხვა ფართი. ახალგორიდან თბილისში ლტოლვილი ბაგრატიონები, კერძოდ ალექსანდრე მიხეილის ძე, როგორც ინჟინერი, ოჯახთან ერთად სამუშაოდ გადაჰყავთ ჯერ კასპის ცემენტის ქარხანაში, შემდეგ კი ქალაქ რუსთავის ცემენტის ქარხანაში. პაპის მოსახელე ალექსანდრეს ვაჟი მიხეილი (დაიბადა 1938 წ.) დღეს ცხოვრობს მეუღლესთან ალბინა საფრონოვასთან ერთად ქ. რუსთავის მე-12 მიკრორაიონში, ჰყავთ ორი ვაჟი ალექსანდრე და ირაკლი. ალექსანდრე ზრდის პატარა მიხეილს, რომელიც ითვლება პრეტენდენტად საქართველოს სამეფო ტახტისა.

ბატონმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ ჩემთან პირად საუბარში აღნიშნა, რომ: *„გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივით ბაგრატიონთა იკოთური შტო ვეწვიეთ ახალგორს, სადაც მოვინახულეთ იკოთის პაპისეული სახლი. იქ ერთ-ერთმა სამღვდელო პირმა ჩემთან კერძო საუბრისას თქვა „თქვენი სახელოვანი პაპის მკვლელი მილიციელი იმავე ხანებში შეუპყრიათ მიხეილის შურისძიებით გამსჭვალულ მეგობრებს და წამებით მოუკლავთ. შემდგომ „ვალმოხდილთ“ საქართველო დაუტოვებიათ და თურქეთის გავლით ირანში წასულან“.*

75 წლის მიხეილ ბაგრატიონი თავისთან სახლში სათუთად ინახავს დიდი და ძველი ოჯახის ნაქონ, რელიკვიებად ქცეულ ნივთებს. პეტრე I-ის ბრძანებით დამზადებულ სამეფო ღირსების ბეჭედს, რომელიც რუსეთიდან საქართველოში გამოუგზავნა ვახტანგ VI-ს – მუხრანელ ბაგრატიონს. ასევე ინახავს მუხრანელ ბაგრატიონთა ლოგოს ნიშნულით ლამაზად გაფორმებული ფაიფურის ჭურჭლის მცირე ეგზემპლარს და ქობულაშვილების (ქვაბულიძეების) გვარის გენეალოგიას შედგენილს დავით ქობულაშვილისგან.

**კონსტანტინე იოანეს ძე მუხრანბატონი** (ბაგრატიონი) (1782-1842)
ხორეშან ზაალის ასული გურამიშვილი (1786-1831)

ივანე (დიდი) (1812-1895)
ნინო ლევან V-ისას დადიანი

ალექსანდრე

ირაკლი

გიორგი

ეკატერინე

მარიამი

კონსტანტინე

მიხეილი (1831-1907)
ელიზავეტა დიმიტრის ას. ივინსკაია (1833-1856)

ალექსანდრე (1856-1935)
ნინო იოსების ას თარხან-მოურავი (1860-1934)

ელისაბედი (1880-1915)
ფრანგი მხატვარი ფაბერჟე

მარიამი (მართა) (1882-1893)

ანასტასია (1885-1972)

გიორგი (1886-1922)

ივანე (1887-88)

კირილე (1887-1898)

დარია

კონსტანტინე (1889-1915)

თეიმურაზი

**მიხეილი** (1883-1926)
***იკოთის მესამე მფლობელი***
დარია ევგენის ას. ქობულაშვილი (1885-1939)

**ირინა** (1908-1918)

**ალექსანდრე** (1909-1978)
ნინა ალექსანდრეს ას. რიჩკოვა (1914-1981)

**ნინო** (1910-1930)

**ელისაბედი** (1919-2000)

**მიხეილი** (დაიბ. 1938)
ალბინა საფრონოვა

**ირინა** (დაიბ. 1942)
კვაჭაძისა

**ალექსანდრე** (დაიბ. 1973)

**ირაკლი** (დაიბ. 1977)

**გიორგი**

**ლევანი**

# თავი XVI

## ატენი

ქსნის ერისთავიანთ თვალსაჩინო წარმომადგენელი გიორგი იესეს ძე ერისთავი, რომელსაც ეკუთვნოდა ახალგორის ზემოთ სოფელი იკოთი და მის მაღლობზე ამაყად მდგარი XIX საუკუნის დიდებული სასახლე 1817 წლისთვის ამიერკავკასიის მთავარმართებელს ერმოლოვს სთხოვს გადასცენ მფლობელობაში ატენის ხეობა. სანამ გავიგებდეთ, თუ რით და რატომ დააინტერესა შიდა ქართლის ამ ცნობილმა რეგიონმა 48 წლის მდიდარი თავადი და გენერალი, მანამდე მოკლე ექსკურსი ერისთავის ამორჩეულ ატენის ხეობის ისტორიულ გეოგრაფიაზე.

საქართველოს ისტორიაში ატენი ფეოდალურ ქალაქად მოიხსენიება, იგი ააშენა მეფე ბაგრატ IV-მ XI საუკუნის შუაწლებში. გორიდან ატენის ხეობა 3 კილომეტრში მდებარეობს (ატენის სიონი 10 კმ-ში). XIII-XVII საუკუნეებში ის მნიშვნელოვანი ქალაქი იყო, მაგრამ დაღესტნელ ფეოდალთა განუწყვეტელი თავდასხმებით XVIII საუკუნისთვის დაკნინდა და სოფლად იქცა.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ატენის ხეობა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილია. ატენის (ტანის) ხეობით შიდა ქართლიდან გადადის გზები: მანგლის-თრიალეთში, მესხეთ-ჯავახეთსა და ტაო-კლარჯეთში.

ატენის ხეობა მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, მისი მაღალი მთები დაფარულია ფიჭვის, ნაძვისა და წიფლის ტყეებით, კალთები კი – საძოვრებითა და ბაღ-ვენახებით. ვახუშტი ბაგრატიონი საციციანოს აღწერისას ამბობს: *„ღვინო აქაური უმჯობესი ყოვლისა ქართლისა და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთაო“*.[1]

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1941 წ. გვ. 59.

ერთი პერიოდი ატენის ხეობა კლდეკარის ერისთავებსაც ეკუთვნოდათ. ამ პატარა, სიგრძით 30 კილომეტრიან ხეობაში არის 50-მდე ძველი ეკლესია, რომელთაგან ბევრი დაუნგრევია გორის 1920 წლის ცნობილ მიწისძვრას. ხეობის მჭიდრო მოსახლეობას გამოკვებაში ეხმარებოდა იქ გამავალი სავაჭრო გზა. ისტორიულ-არქიტექტურული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ატენის დიდი სიონი, ფერესა, წედისისა და ატენის ციხე. ამ ციხეებმა თავის დროზე თავდაცვის საქმეში დიდი როლი ითამაშეს, თუმცა აბრაგ-ლეკების გამანადგურებელი რაზმები ახალციხის ფაშას ხელშეწყობით ტანას ხეობით შუა ქართლში მაინც გადმოდიოდნენ და მოსახლეობას აწიოკებდნენ, რის გამოც მტერს გადარჩენილი მოსახლეობა მამა-პაპეული ადგილებიდან იყრებოდა და ხეობა ცარიელდებოდა. XIX საუკუნის დასაწყისისთვის ატენის ხეობაში ხალხი თითქმის აღარ ყოფილა და ერთ დროს ხალხმრავალი მადლიანი კუთხე ყაჩაღ-მძარცველთა საბუდრად ქცეულა.

აი, ასეთ გავერანებულ, ხალხისგან დაცლილ ხეობას ითხოვდა ქსნის ერისთავების ალღოიანი წარმომადგენელი, რომელსაც ეჭვგარეშეა, იზიდავდა მდიდარი ბუნებრივი რესურსები, რომელთაც შემდგომ უცხოელმა კაპიტალისტებმაც დაადგეს თვალი და თავისი ამბიციებიც დაიკმაყოფილეს ფლორისა და ფაუნის განადგურების ხარჯზე.

თბილისში მჯდომი კავკასიის მთავარმართებელი – ერმოლოვი პეტერბურგში გაგზავნილ მოხსენებით ბარათში რუსეთის ფინანსთა მინისტრს ატყობინებს: *„1817 წლის 8 მარტი. გრენადერის სარეზერვო ბრიგადის სარდალმა გენერალ-მაიორმა თავადმა ერისთავმა მომმართა თხოვნით, რომ მას გადავსცე სამუდამო სამემკვიდრეო მფლობელობაში ატენის ხეობა, რომელიც იმყოფება გორის მაზრაში. იმ პირობით, რომ ამ უკაცრიელ ადგილებზე დაასახლებს 50 კომლ თავის საკუთარ გლეხებს და მათგან იყოლიებს მუდმივ ყარაულებს მოთარეშე ლეკების წინააღმდეგ, რომლებიც გადმოდიან ახალციხის საფაშოდან და ატენის ხეობით აწყობენ ქართლის დარბევას.*

*ამ ადგილობრივი მნიშვნელობის მოსაზრებით საჭიროდ დავინახე დავაკმაყოფილო გენერალ-მაიორ ერისთავის თხოვნა და გადავსცე მას სამუდამო მფლობელობაში როგორც ატენის სახაზინო ბაღი, აგრეთვე ამ ხეობის ყველა სახაზინო მიწები. მხოლოდ მას ჩამოვართვი შემდეგი წერილობითი ვალდებულება:*

*1. რომ მან ეხლავე იქ დაასახლოს თავისი გლეხები არა ნაკლებ 50 კომლისა.*

*2. იყოლიოს თავისი გლეხებისაგან მუდმივი ყარაული ამ ხეობის დასაცავად მძარცველთა თარეშებისაგან.*

*ამიტომ გთხოვთ მის იმპერატორობით უდიდებულესობასთან შუამდგომლობას დაუმტკიცდეს სამუდამო და სამემკვიდრეო მფლობელობაში გენერალ ერისთავს ატენის ხეობის ყველა სახაზინო მიწები".*[1]

მეფის მთავრობას ვერ მოუხერხებია საკუთარი ძალებით ამ ხეობის დაცვა-გამაგრება და მიზანშეწონილად მიუჩნევია იგი გადაეცა თავად გიორგი იესეს ძე ერისთავისათვის თანახმად მისი თხოვნისა.

ამ მხრივ საინტერესოა 1819 წლის 15 აპრილით დათარიღებული ერმოლოვის მეორე წერილიც რუსეთის ფინანსთა მინისტრისადმი. მთავარმართებელი წერს, რომ *„მხარის დაცვის ინტერესი ჩემგან მოითხოვდა ფიცხელ განკარგულებას ატენის ხეობა გადამეცა გენერალ ერისთავისთვის... ჩემი ეს მოსაზრება გამართლდა, ვინაიდან გენერალ ერისთავის მიერ 50 მეკომურის ატენის ხეობაში გაგზავნის შემდეგ უკვე მეათე თვეა, რაც აქ არ მომხდარა ყაჩაღური თავდასხმები და დარბევები".*[2]

ამგვარად, გიორგი იესეს ძე ერისთავი გახდა ატენის ხეობის მებატონე და თანახმად ერმოლოვთან დადებული პირობისა, მან დაიწყო ქსნის ხეობის მთის რეგიონიდან, ძირითადად **ქარჩოხის**, **ჭურთის** და **ცხრაზმის** მცირემიწიან ხეობათაგან, ყმა-გლეხების ატენის, იგივე ტანას ხეობის ზემო ნაწილში ჩასახლება. კერძოდ, ბოშურში, რომელიც უშუალოდ ემიჯნება მთებზე გადამავალ გადმოსასვლელებს. მთის მოსახლეობის **პირველი დაგეგმილი გადასახლება ბოშურში უნდა მომხდარიყო 1818 წლის ზაფხულში**, რომელიც ცხადია შემდგომ წლებშიც გაგრძელდებოდა ჭარბი მოსახლეობის ხარჯზე.

ტანას ხეობის ერთი მხარე, დინებიდან მარჯვენა, ეჭირა მებატონე ერისთავს, მარცხენა კი – ორბელიანს, რომელმაც XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს თავისი სამფლობელოს გარკვეული ნაწილი მიჰყიდა ფინელ მეწარმეს ავგუსტ იაგორის ძე ზეზემანს. ერისთავსა და ორბელიანს ატენში ჰქონიათ დიდი ვენახები, აყენებდნენ კარგ ღვინოს, ჰქონდათ სარდაფები და უზარმაზარი ქვევრები.

აღნიშვნის ღირსია ატენის ციხესთან ჩამომდინარე ხევთა თვისება და მნიშვნელობა. ერთს ეწოდება საცივისხევი, საიდანაც გამოდის გრილი ნიავი. ამის გამო ამ ხევის კლდეში გამართული ყოფილა ღვინისა და

---

[1] მაკალათია ს., ატენის ხეობა, თბ., 1957, გვ. 8-9.

[2] იქვე, გვ. 12.

ხორცეულის საცივარი თარო-თახჩებით, სადაც როგორც ადგილობრივი ფეოდალები, ისე ქართლის მეფეები სასმელებს და სურსათს ინახავდნენ. დღეს საცივარი დაშლილია, თახჩები კი ჩანგრეული.

მეორე ხევი, რომელიც ასევე ატენის ციხეს ჩამოუდის, არის აბანოს ხევი, რომელსაც ვახუშტი უწოდებს თბილ წყალსა, მკურნალს ბუგრისას.

რაც შეეხება ატენის ხეობაში გიორგი ერისთავის ფინელ მეზობელს ზეზემანს, მან მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ტანას ხეობაში გაიყვანა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა, რომელიც გორიდან ატენის ხეობით გადადიოდა ბორჯომის ხეობამდე. ამ რკინიგზით ხე-ტყე გამოჰქონდათ და ამუშავებდნენ შინდისისა და პატარა ატენის ქარხნებში. ამზადებდნენ რკინიგზის საჭიროებისათვის შპალებს. ზეზემანის რკინიგზას უმუშავია 1918 წლამდე.[1]

გიორგი ერისთავის (სენატორის) გარდაცვალების შემდეგ ატენის ხეობა გადაეცა მის შვილს მარიამს, რომელიც გათხოვილი იყო გრიგოლ ივანეს ძე ერისთავზე. მარიამსა და გრიგოლს ჰყავდათ ერთი ქალიშვილი და ორი ვაჟი: ზაქარია და ივანე, რომლებიც იყვნენ მემკვიდრეები ატენის ხეობისა. „დიდმა კნიაზმა“ სიცოცხლის ბოლო წლები გორის სასახლეში გაატარა, მაგრამ მისი საპენსიო ასაკი ატენის ხეობასთან არის დაკავშირებული. იქ მას ხშირად სტუმრობდნენ ნათესავ-მეგობრები, მისი მჭევრმეტყველებით, ნიჭიერებითა და სტუმართმოყვარეობით ყველა გაკვირვებული და კმაყოფილი იყო. პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა გორიდან ატენში „დიდ კნიაზთან“ გადასვლას და მეგობრებთან ერთად მოლხენას. *„... იქიდან ატენში გადავედით. კნიაზი ძალიან კარგად დაგვიხვდა; სულ შუშურეები გვასვა, ერთის ლექსით, კარგად გავატარეთ დროება“.*[2]

მუდამ მხნე და ხალისიანი კნიაზი ბოლოს ერთადერთი ვაჟის ზაქარიას სიკვდილმა მოტეხა, რასაც მისი ხშირი სტუმარი პლატონ იოსელიანიც აღნიშნავდა. გიორგი ერისთავი 103 წლის ასაკში 1863 წლის 4 ნოემბერს გარდაიცვალა. დაკრძალულია იკორთაში. გარდაცვლილ სახელოვან თავადს დიმიტრი ბერიშვილმა ლექსი მიუძღვნა, რომელიც ჟურნალმა „ცისკარმა“ გამოაქვეყნა 1865 წელს (№4. გვ. 47-50). მიუხედავად ლექსის სიდიდისა, საჭიროდ ჩავთვალეთ მისი სრულად დაბეჭდვა:

[1] იქვე, გვ. 14.
[2] ბარათაშვილი ნ., ტ. I, თბ., 2012, გვ. 90.

# ღენერალ ოტინფანტერს, თავადს გიორგი ერისთავზე.[1]

მხნეო მამაცო ძალ-გულოვანო,
სიბრძნით შემკულო ტან-ახოვანო,
გიგლოვს შენ ბრძენო მრთლად საქართველო,
კეთილო სულო, შვებაო ჩვენო!
სიყრმითგან იყავ შენ განსწავლული,
ღვთის სიყვარულზედ მიგეპყრა გული;
შენ გონიერო ყოვლად ქებულო,
სწავლით შემკულო, განათლებულო.
ვითა ლამპარი შენ გვინათებდი,
სრულს სიყვარულსა შენ გვიჩვენებდი,
შენი განზრახვა და შენი სული,
ჩვენთვისა გქონდა შენ შეწირული!
ქართველთ მეფეთა შესხმას ჰკადრებდი,
და იმ დროს შენა მშვენივრად სწერდი;
შენსა ენასა, შენსა მამულსა –
შენ შესწირავდი გულსა და სულსა:
ოდეს მიჰმართე რუსთ ხელმწიფესა,
დიდს იმპერატორს და ჩვენსა მხსნელსა,
რა მისს სამსახურს გული უძლვენი –
უმეტეს იქმენ მნათობი ჩვენი!
მთავრათ თავს მდგომი პირუწლ პოლკისა –
და შემდგომშია დივიზიისა,
სამაგალითოდ შენ განაგებდი
და მტერს უშიშრად შენ ამარცხებდი!
ლეკი, ჩაჩანი, ოსი, ჩექეზი,
შენს ვაჟკაცობას ერიდებოდა,
და ოდეს ჰპოვი მათზე მიზეზი
მნახავი შენი შიშითა ძრწოდა!
იმამ მხარესა, სადაც განვლიდი,
და შენს სახელსა მუნ ახსენებდნენ,
ყმაწვილს მტირალსა, ძუძუს მაგიერ
შენის სახელით დააჩუმებდნენ!
ცხად იყო შენი ვაჟკაცობის ხმა –

[1] ჟურნ. „ცისკარი“, №4, გვ. 47-50.

და მოგიწოდა შენ პასკევიჩმა;
იგი შენ ვალსა დიდსა დაგდებდა –
რომელიც სხვათა ეძნელებოდა!
პერსიის დასჯა იყო საჭირო,
შენ აღგირჩია ქართველთა გმირო;
რამდენისამე პოლკის ჯარითა
თავრიზს შაჰღებდი სისხლის ღვარითა!
და მათი ჯარი მრთელი კორპუსი,
მყის განიდევნა რა დაინახეს,
როს თან მოგდევდა უშიშრად რუსი.
   გასაღებები წინ მოგაგებეს!
ხრმალი ხელს გეპყრა ჯარს მიუძღოდი,
უკამანდებდი გამარჯვებული,
დიდსა ქალაქსა შენ შაუძღოდი
ვერ-რამ შეგიკრთო მამაცი გული!
რაც ღირსებასა ეფერებოდა,
ამ სოფელშია ყველა შენ გქონდა;
ვით კეთილს გუამსა ღმერთი გწყალობდა
და თვით ფორტუნაც ზედ დაგგალობდა!
და ოდეს ბედმა მოხუცებულსა
ლახვარი სტყორცნა მაგ შენსა გულსა,
მაშინ სულითა აღშფოთებული,
სწყევდი სოფელსა შეძრწუნებული;
მარამ დიდ სულო, ჰმადლობდი ღმერთსა,
და ადიდებდი იმპერატორსა;
მსხვერპლად შესწირე მას პირმშო შვილი,
შენებრ მამაცი და შენებრ გმირი!
როს ზაქარია შინ მოგისვენეს,
წინ მიეგებე ვით პოლკოვნიკსა
და რა მიწაში ის ჩაასვენეს –
შენ გარდუხდიდი მამობრივს რიგსა!
საყვარელს შვილსა როს დასტიროდი,
მაშინ სახალხოდ ასე ამბობდი:
ეს ისე მოკვდა, ვითა ვაჟკაცი
და მიწად იქცა ვითარცა კაცი!
მამისგან შვილის დარიგებასა,
ცისკრის ჟურნალში ჩვენ ვკითხულობდით,
ვინ არ აქებდა შენსა შრომასა –

ყოველი სული ერთობ ვამბობდით:
აღსძრა კალამი, მოხუცების დროს,
კვალად გვიჩვენებს, საგანს საამოს;
საღმრთო და ბრძნული ის დარიგება, –
ყოველს ქართველსა დაეხსომება!
ქუთაისს მიხველ შენ ასის წლისა, –
ხილვა ისურვე კვალად მეფისა;
სთხოვდი ახსოვდეს მას ივერია,
რათგანც ერთგული მისი ერია.
დიდმა ხელმწიფემ მადლობა გითხრა –
დავითა ღირსი მან მოგიკითხა;
ჯილდო გიბოძა შესაფერია,
წმინდის ანდრიის კავალერია!
დიდება შენი, ამ სოფლიური,
დასრულდა და აწ შენც ისე მიხვალ –
ვითარცა კაცი შენც ქვეყნიერი,
შემდეგ შრომისა, ხარ თავისუფალ!
მაგრამ ჩვენგანა ხარ საგლოველი,
ქართველთა გმირო, მამულის შვილო,
აწ განისვენე ვაჟკაცო დიდო,
დროა რომ სული აწ დაიმშვიდო!
საისტორიოდ შენი სახელი,
საუკუნოთა არს ხსენებული;
ერთგულთა შორის კეთილმსახურთა –
იფ. ღენერალო, ხარ დიდებული!

1908 წელს ჩვენთვის გაურკვეველ ვითარებაში ქართველ თავადაზნაურობას დარჩა ნაწილი ატენის მამულისა, რომელიც ეკუთვნოდათ თავად ზაქარია და ივანე გიორგის (გრიგოლის) ძე ერისთავებს. შემდგომ აღნიშნული მამული საგამგებლოდ გადაეცა „ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას“, რაიმე კულტურული ღონისძიების მოსაწყობად.

ერისთავების აღნიშნულ მამულზე 1912 წელს საყურადღებო წერილს აქვეყნებს ჟურნალი „მოსავალი“,[1] სადაც დაწვრილებითაა აღწერილი მამულის მდგომარეობა.

[1] ჟურნ. „მოსავალი“, 1912, №6, გვ. 10-15.

*„ამგვარად საქველმოქმედო საზოგადოებას წილად ხვდა მხოლოდ ორი დესეტინა ძველი ხილის ბაღი და 30 დესეტინა ხრიოკი ფერდა ადგილი, სადაც ძეძვისა და ჯაგ-რცხილის მეტი არა იზრდებოდა რა. აქაურობას ამშვენებდა მარტო ერთადერთი ძველი მაგრამ მშვენიერი სასახლე. თუმცა ესეც მოუვლელობის გამო მოსპობის გზაზე იყო დამდგარი. კიდევ ერთი წელიწადი უპატრონობა, რომ მამული სრულიად გაოხრებულიყო. რკინის სახურავი იყო ჟანგისგან შეჭმული, თითქმის ყველა ოთახში წვეთი ჩამოდიოდა, რის გამოც ბევრი ოთახის ჭერი ჩამოქცეული და დამპალი იყო. ჩამოწოლილი იყო აგრეთვე შენობის ორი უზარმაზარი დერეფანი. ამნაირად ერთ დროს სიცოცხლით სავსე სასახლე ახლა მხოლოდ მერცხლების სადგურად იყო გადაქცეული.*

*რაც შეეხება ხილის ბაღს, სახლზე ეს უფრო საბრალო სურათს წარმოადგენდა. სავსე იყო ნიაღვრებისგან შემოტანილი ქვა-ღორღით, რის ქვეშაც მრავალი ხე იყო დატანილი.*

*მთელი წლობით უპატრონოდ დატოვებულ ხილის ბაღს ღობე ირგვლივ შემოცერცლილი ჰქონდა და ამისათვის სოფლის ნახირი დაიარებოდა. რა თქმა უნდა ასეთ პირობებში კულტურულ მცენარეებს კარგი დღე არ დაადგებოდათ. ასეთი ჰქონდა მამულს სანახაობა....*

*... საზოგადოებამ თავისი განზრახვის განსახორციელებლად მიიწვია სპეციალისტი გრიგოლ ნახუცრიშვილი, რომელიც პირველად შენობის შეკეთებას შეუდგა. გამგემ საზოგადოების ხარჯით მთელი შენობის სახურავი ორპირად შეაღებინა, ახალი მასალით შეაკეთა ორივე დერეფანი, მთელ შენობას გარედან ბათქაში წაუსო. შეაკეთეს ჩამოქცეული კედლები და ჭერი შეღებეს კარ-ფანჯრები შეაკეთეს და სხვა.*

*არანაკლები სამუშაო იყო აგრეთვე ხილის ბაღშიაც. სულ რომ ცოტა 200 ურემი ლამი იქნა გატანილი, რის შემდეგაც გამგემ მთელი ბაღი პირაღებით დააბარვინა. ყოველივე ამ ღონისძიებამ 300 ძირამდე ნაყოფის მომცემი ხეხილი გადაარჩინა გახმობას.*

*საქველმოქმედო საზოგადოებამ 1908 წლის შემოდგომით მიიღო 7 ახალგაზრდა ვაჟი 16-17 წლისანი. კურსი ითვალისწინებდა 2 წელს. ბინით იყვნენ ადგილობრივ მამულში. თვეში ეძლეოდათ 6 მანეთი. ამ ყმაწვილების ხელით კეთდებოდა, სწავლის პარალელურად, ამ კარმიდამოზე აღდგენითი სამუშაოები.*

*1909 წელს სხვების გაქეზებით ყმაწვილებმა პროტესტის ნიშნად (მოითხოვდნენ 10 მანეთამდე ხელფასის გაზრდას) დატოვეს აღნიშნული მებაღეობის შემსწავლელი სასწავლო კულტურული ცენტრი. შემდგომ*

*საქველმოქმედო საზოგადოების ამ კულტურულ ცენტრის გამგემ თვეში 15 მანეთად იქირავა მუშები, რომლებიც თანადროულად სწავლობდნენ კიდეც.*

*ხრიოკ ფერდაზე 1909 წლისთვის გაკეთდა ბაქნები (5 არშინიX$^{1}/_{2}$ ვერსი) სადაც გაშენდა 300 ძირი ხეხილი და 2500 ძირი ნამყენი ვაზი. ხილის ბაღშიაც 1000 ძირი ნამყენი ვაზი და 700 ძირი ამერიკული ვაზი".*[1]

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ატენში მემამულეებს ჩამოერთვათ მამულები. ერისთავის, ორბელიანის და ზეზემანის მამულები დაყვეს ნაკვეთებად და მოსახლეობას გადაუნაწილეს საკარმიდამოდ. სწორედ მათ მამულებზე გაშენდა ახალი უბნები: ჯებირი, ვანიაანთუბანი, გარდატენი, პატარა ატენი, დეგეულა და ჭეჭელაანთუბანი.

**ქსნის ერისთავიანთ ატენური შტო**




[1] ჟურნ. „მოსავალი", 1912, №6, გვ. 10-15.

# თავი XVII

## დოესი

სოფელი დოესი მტკვრის შუა ხეობის ვაკის საუკეთესო ადგილზე მდებარეობს. კასპიდან 25 კილომეტრში. ქსნის ხეობის სოფ. ილტოზაში მცხოვრებ ბიძინა რევაზის ძე ერისთავის მრავალშვილიანი ოჯახიდან მისი ერთ-ერთი ვაჟის იასონ (იასე) ერისთავის გადასვლა დოესში უნდა მომხდარიყო XIX ს-ის 70-იან წლებში, ვინაიდან სოფ. დოესი წარმოადგენდა მისი ცოლის სამზითვოს.

სოფ. დოესში იასე ბიძინას ძე ერისთავმა იქორწინა ნინო ალექსანდრეს ასულ ციციშვილზე, სადაც მათ შეეძინათ სამი შვილი: ელისაბედი, რევაზი და იასონი.

ქსნის ერისთავების შთამომავალთა უმრავლესობისთვის როგორც თანდაყოლილ დადებით კეთილ თვისებებს ხშირად ემატებოდა შეძენილი სიქველე, კაცთმოყვარეობა და სწავლა-განათლებისადმი სწრაფვა. ამგვარ პიროვნებას წარმოადგენდა „დოესის ბატონი" რევაზ იასონის ძე ერისთავი. როგორც ყველგან ისე დოესში, მიუხედავად იმისა, რომ იქ მკვიდრი მოსახლენი ციციშვილები ცხოვრობდნენ, ერისთავიანთ წარმომადგენლები ცდილობდნენ გლეხობის დახმარებას, მათი შვილებისთვის სკოლების მოწყობას და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. „დოესის ბატონის" გასაცნობად საყურადღებოა გაზეთ „ამირანში" დაბეჭდილი ერთი პატარა წერილი.

*„სოფელ დოესის მცხოვრებმა თავადს რევაზ იესეს ძე ერისთავმა თხოვნა შეიტანა წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობაში, სოფ. დოესში პირველი დაწყებითი სკოლის დაარსების შესახებ. ბ-ნი ერისთავი წერს, ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერ დავარწმუნე სოფელი, რომ სკოლა დაეარსებინაო. ამიტომ ერისთავი სთხოვს გამგეობას წ. კ. საზოგადოებამ თავისი ხარჯით მოაწყოს სკოლა და იკისროს მასწავლე-*

*ბლის შენახვა. თავის მხრივ ბ-ნი ერისთავი ჰპირდება პირველ ხანებში სამ ოთახიან სახლის დათმობას, ხოლო შემდეგ სასკოლო შენობისთვის 4 დღიურ მიწას. ვიდრე სოფლის საზოგადოება ამ ადგილზე შენობას ააგებდეს მიწის მოსავალი სკოლის სასარგებლოდ გადაიდებაო. გამგეობამ დაადგინა, მადლობა გამოუცხადოს ბ-ნ ერისთავს და დაავალოს სკოლის სექციას, რევაზ ერისთავთან ერთად გამოარკვიოს როდის შეიძლება დოესში სკოლის გახსნა".*[1]

**გიორგი ყულარაღასი**

რევაზი, რომანოზი, რომანი 1753-1814

ბიძინა 1800-1876

**იასონი იგივე იასე 1839-1878**
ნინო ალექსანდრეს ას. ციციშვილი 1857-1902

**ელისაბედი**
დაიბ. 1872 წ.

**იასონი**
დაიბ. 1878 წ.

**რევაზი 1874-1924**
მარიამ გიორგის ას. თარხან-მოურავი 1874-1939

**თამარი**
გარდ. ჩვილი

**ბარბარე**
1898-1983
გიორგი ბაქრაძე
(1900-1966)

**ნინო (ნინუცა)**
1902-1991
ალ. კაფიანი
(1902-1985)

**იასონი**
დაიბ. 1906

**ქეთევანი**
1907-1924

**ელენე (ელო)** 1900-1971
გრიგოლ კოსტავა (1903-1985)

**გიორგი** 1905-1937
ეკატერინე სოლომონის ას. ჩოლოყაშვილი (1912-2002)

**ნინო (ნუციკო)** დაიბ. 1935 წ.

**თეიმურაზ კუხიანიძე** 1934-1961

**ირაკლი კუხიანიძე**

**ნუცა კუხიანიძე**
კინომსახიობი

1 გაზ. „ამირანი", 1908, № 156, გვ. 3.

ქსნის ხეობაში, სოფ. ლარგვისის ზემოთ, ჩრდილო-დასავლეთით, მდინარე ქსანთან ცხრაზმის ხევის შესართავამდე, დინების მარცხენა მხარეს „ბატონისწყაროს“ ვეძახით. რამდენიმე ათეული წლის წინ აღნიშნული ადგილი დაიმეწყრა – სადაც ყოფილა ძალზე ცივი და საამო წყარო, რომელიც ჰყვარებიათ დოესის ბატონებს, მამა-შვილს იასე და რევაზ ერისთავებს. ისინი ხშირად დაიარებოდნენ თავიანთ საბატონო სოფელ ხარბალაში და ყოველ გავლა-გამოვლისას დიდი სიამოვნებით სვამდნენ გზაზე მოჩუხჩუხე წყაროს წყალს.

ამ წყაროსადმი მათი დიდი მოწონების გამო ხალხმა „ბატონის“ წყარო უწოდა. კარგი იქნება ადგილობრივ მცხოვრებთ ახსოვდეთ და არ დაივიწყონ ზნეკეთილიან ბატონთა სახელები, რომელთაც უკავშირდება ნამეწყრალ გზაზე დღეს ძლივს შესამჩნევი „ბატონის“ წყარო.

# თავი XVIII

## რეხა

ქართლის ნაყოფიერ ველზე (გორის მაზრა) გაშენებულ სოფლებს შორის რეხა ერთ-ერთ საუკეთესო დასახლებას წარმოადგენდა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ბიძინა რომანოზის ძე ერისთავის ვაჟები საცხოვრებელ ადგილებს ირჩევდნენ მამის სამფლობელოებში, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სოფელ რეხაში უცხოვრიათ ბიძინას 2 ვაჟს, რომელთაგან ერთი უცნობია. მეორეა ალექსანდრე (ასიკო). ასევე ცნობილია, რომ ალექსანდრემ, იგივე ასიკომ, იქორწინა ნინო რევაზის ასულ მაჩაბელზე. მათ ეყოლათ ერთი ვაჟი ირაკლი.

რეხაში მცხოვრებ ერისთავების ოჯახზე მოკრძალებულ ინფორმაციას გვაწვდის 1884 წლის გაზეთი:[1]

*„ამასობაში ჩვენ დავუპირისპირდით პატარა სოფელ რეხას, სადაც მოსახლეობენ ორი კომლი თ. ერისთავები. რეხაში შესანიშნავი წისქვილებია, რომლებიც საკუთრივ თავიანთის შრომით, თავიანთის ხელით აუგიათ თ. ერისთავების შვილებს. ამ გარემოებას ვიხსენებ იმიტომ კი არა, რომ გასაოცარ გარემოებად მიმაჩნია ქვეყანაზე, არამედ იმიტომ, რომ მარტოდ-მარტო ჩვენშია იგი ყურად-ღების ღირსი.*

*სასიამოვნოდ რჩება მოგზაურის თვალს, როცა იგი ხედავს, რომ თავადაზნაურობას განცხრომილობისთვის თავი უნებებია და ევროპიელი განათლებული კაცივით თავისი ხელით დაუწყია შრომა და ჯაფა. ძმანი ერისთავები (რეხელები) შესანიშნავნი არიან თავიანთ თანდაყოლილი ნიჭით მეხანიკაში. არსად არ მიუღიათ სპეციალური სწავლა, მაგრამ თვით ბუნებას დაუნათლებია მათთვის ისეთი ნიჭი, რომლითაც ისინი სარგებლობას აძლევენ თავის-თავსაც. გაუკეთებიათ წისქვილები, ფრინველთ საჩეკი მოწყობილობა, სხვადასხვა ნაირი მახეები და სხვა. გაუჩე-*

[1] გაზ. „დროება", 1884, № 148, გვ. 3.

*ნიათ ბლომად შინაური ფრინველი, საქონელი. მუდამ ტრიალებენ თავის მამულში, უვლიან მას".*

ასიკო ბიძინას ძეს მეუღლე რევაზ მაჩაბლის ქალი ნინო 1879 წელს გარდაეცვალა. მათი თანაცხოვრებით დაიბადა ირაკლი. მეუღლის გარდაცვალებიდან მეოთხე წელს ასიკომ მეორედ იქორწინა ანა ზაქარიას ასულ შანშიევაზე. მათ ერთობლივი შვილი არ ჰყოლიათ. ასიკო და ანა ერთდროულად 1920 წელს გარდაიცვალნენ.

ირაკლი ასიკოს ძემ 1901 წელს იქორწინა ნინო ალექსანდრეს ასულ აბაშიძეზე (1866-1920). სავარაუდოდ, უშვილობის გამო მათ შორის გაჩენილი კონფლიქტი 1909 წელს განქორწინებით დამთავრდა. მეორე ქორწინებით ირაკლიმ შეირთო ოლღა ალექსანდრეს ასული კასჩენკო (1894-1967), სამწუხაროდ, არც ოლღასთან ჰყოლია შვილი ირაკლი ერისთავს.

რევაზი იგივე რომანოზი 17??-1813

|

ბიძინა 1800-1920
თამარ მელიქიშვილი 1812-1880

|

**ალექსანდრე (ასიკო) 1853-1919**
ნინო რევაზის ას. მაჩაბელი 1855-1879

|

**ირაკლი 1876-1950**
I ნინო ალექსის ას. აბაშიძე 1866-1920
II ოლღა კასჩენკო 1894-1950

# თავი XIX

## კარალეთი (ზოგადი მიმოხილვა)

*„მიყვარს მე გორი*
*მიყვარს ღვარები*
*მიყვარს მე კასპი*
*და კარალეთი“.*

***ელისაბედ ელიზბარის ასულ ერისთავის დღიურიდან***

შიდა ქართლის ვაკეზე, გორიდან ჩრდილო-დასავლეთით მე-8 კილომეტრზე მდებარეობს ბარის სოფელი კარალეთი – ძველი ნაჭარმაგევი. სადაც მიკვლეულია გვიანდელი ბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამოსახლო გორა.

სოფელმა თავისი კარგი მდებარეობით იმთავითვე მიიქცია ქართველ მეფეთა ყურადღება. ვახუშტი ბატონიშვილი შემდეგნაირად აგვიწერს ქართლის ამ ცნობილ დასახლებულ პუნქტს: *„ნაჭარმაგევი იყო სადგური მეფეთა და კეთილ სანადირო, და აწ კარალეთად წოდვილი, ადგილი ტურფა, ჭალიან-მინდვრიანი, ნადირიანი, ფრინველიანი“.*

მე-19 საუკუნის ადგილობრივი ქართველი გლეხი კი ასე ახასიათებს კარალეთს – *„მოგეცა ღვთის წყალობა, მამულიც კარგია და მოსავალიც დოვლათიანი იცის. კაცი არ არის რომ ნახნავ-ნათესი არ ჰქონდეს. აქაურები ბოსტნეულობასაც ძლიერ მისდევენ. უფრო კართოფილი მოჰყავთ, ბოსტნეულობაში ამას უფრო დიდი გასავალი აქვს. მაინც ჩვენი გორი ზედ გვაკრავს და გამორჩენა გვაქვს რაც კი ხელიდამ გამოგვივა, ყველაფერს ვყიდით...“*[1]

XI-XII საუკუნეებში ნაჭარმაგევი შიდა ქართლის პოლიტიკური ცენტრი იყო. 1110 წელს დავით აღმაშენებელი თავისი ტაძრეულით იდგა

---

[1] გაზ. „დროება“, 1884, № 148, გვ. 3.

ნაჭარმაგევს და აქედან აწარმოებდა ბრძოლებს თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ. ქართული წერილობითი წყაროების ცნობით, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თქმით, ნაჭარმაგევი ცნობილი იყო როგორც ირემზე და ტახზე სანადირო ადგილი. მრავალი წლის განმავლობაში ასევე რჩებოდა საქართველოს მეფეთა საზაფხულო რეზიდენციად.

ძველი ნაჭარმაგევის გაგებისა და გააზრებისთვის ბევრის მთქმელია არსენ იყალთოელის ეპიტაფია დავით აღმაშენებელზე:

> „როს ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად დამესხნეს
> თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა გარეთ გამეხსნეს,
> თევზნი იმერთა წყალთაგან ამერთა წყალში შთამესხნეს
> აწი ამისა მომქმედსა, ხელები გულზე დამესხნეს“.

თამარის ისტორიკოსის ცნობით, ნაჭარმაგევი იყო მეფე გიორგი III-ის „სახლი სათამაშო“. ძველ ქართულში არსებობდა სიტყვა – ჭარმაგი, რომელიც „თეთრზე შავით დაწინწკლულს ნიშნავს“, (საბა).

ფოლკლორული მასალების მიხედვით, თამარ მეფის თეთრ ცხენსაც „ნაჭარმაგევი“ რქმევია. გადმოცემით, ყოფილი ნაციხარის ადგილზე, სადაც დღესაც ნაკარვებს ეძახიან, ჭადრის დიდ ხეებთან არის დასაფლავებული თამარის საყვარელი ცხენი.

ჩვენთვის უცნობია, თუ როდის დაიდეს ბინა კარალეთში ქსნის ერისთავებმა, მაგრამ ერთი ისტორიული საბუთის – სიგელის მიხედვით, მე-14 საუკუნის 40-იანი წლებისთვის საქართველოს „პროვინციის მეფე“ ანდრონიკე დავით VIII-ის ძე, ცხრაზმის, იგივე ქსნის საერისთავოს წინამძღვარს წითლოსანს, რომელიც 1335-1344 წლებში სრულიად კანონიერად – მემკვიდრის მცირეწლოვნობის გამო დროებით განაგებდა საერისთავოს, გადასცემს მემკვიდრეობით შიდა ქართლის ტერიტორიაზე სოფლებს – კარბს და გარეჯვარ ბაკურის უბანს.[1] სავარაუდოდ, ამ წყალობის მიღებამდე, კარალეთი მოქცეული არ უნდა ყოფილიყო ერისთავების სამფლობელოს სამანებში. თუმცა მათი საერისთავოს საზღვარი ალბათ კარალეთის ნაკარავალზე გაივლიდა.

სოფ. კარალეთის ცენტრში, პატარა გორაზე, რომლის ფუძის გარშემოწერილობა 500 მეტრზე მეტი არ იქნება, მდებარეობს კარალეთის სასახლე, რომელიც ქსნის ერისთავიანთა ორ შტოს ეკუთვნოდა. ხალხური გადმოცემით, გორაზე მიწა თამარ მეფის ბრძანებით ხარ-ურმით უზიდი-

[1] ღუნაშვილი ვ., ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია, თბ., 2005, გვ. 74.

ათ, ხოლო თამარსაც იქ მიწის ზიდვისას თორმეტი წყვილი ოქროს ქოში გაუცვეთია.[1]

სასახლეს საპატიო შესასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთით აქვს. მრავალსაფეხურიან განიერ კიბეთა წყება სასახლის წინ მთავრდება, წრიული განიკვეთის მქონე ოთხ სვეტზე დაყრდნობილი ორფერდა არქიტრავით, რაც შთამბეჭდავ შენობას თვალსაჩინოდ უკავშირებს გარემოს. სასახლე ნაგებია ძველი ქართული აგურით, რომელიც რესპოდენტთა თქმით, კარალეთის დღევანდელ სპორტულ სტადიონთან გამართულ ერისთავისავე აგურხანაში ყოფილა მოჭრილი, მფლობელის ზედ დატანილი ინიციალებით.

თვით ერისთავების წარმომადგენლის ელისაბედ ელიზბარის ასულ ერისთავის გადმოცემით, ამ გორაზე *„თამარისაგან აგებული ციხე-სასახლე, ირგვლივ ოთხი ბურჯით დაჰყურებს მთელ მიდამოს, მშვენიერი ჯეჯილით შემკულ მინდვრებს გორამდინ“.* მისივე თქმით, *„დიდი სასახლე იყო კარალეთში, თოთხმეტი დიდი ოთახი რომელსაც ერტყა გარშემო გალავანი... მაღალი კიბე ასავალი და პერედნია სადაც დგას დიდი შკაპი დიდძალი ჭურჭლეულით და მინეულობით. დგას დიდი სავარძელი რომელზედაც მომსვლელნი აწყობენ თავიანთ გახდილ პალტოებს. მერე შეხვალთ დიდ ზალაში სადაც თავსა და ბოლოს ფეჩებია ფანჯრებთან სტოლები და სარკეები, მაგიდაზე ვერცხლის კანდელაპრები და იქავ ყანწები დიდი ვერცხლში შეჭედილი ჯაჭვებით შემკული ვარაყიანი. ზედ აწერია, რომ სოლომონ მეორის ნაქონია. თავით და ბოლოს დიდი ქართული ტახტები ხალიჩებით მორთული. შუაში დიდი სტოლი, დიდი შუშაბანდი, სადაც დილ-დილობით ყმაწვილები ვსვავთ ჩაის. თვალსაჩინოდაა მორთული სასტუმრო ოთახიც, სადაც ჰკიდია მშვენიერი სურათი დიდი თამარისა, მეორე კედელზე უკვდავი რუსთაველის სურათი. ზემოთ ხატები ასვენია 2 ფანჯარასთან. კანკელი სადაც ანთია მუდამ სანთელი. იქვეა დიდი, მშვენიერი ღვთაების ხატი* ***ანასტასია ბატონიშვილისგან*** *პეტერბურგიდან გამოგზავნილი, აგრეთვე ნაწილები ვერცხლის ბუდეში და ხავერდში ჩასმული რომელიც ნაკერია თვალმარგალიტით“.*[2]

მოგვიანებით სასახლეში განთავსდა სოფლის სკოლა, ბოლოს კი – კლუბ-ბიბლიოთეკა. ეს ისტორიული ადგილი ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული, ალმაშენებლიდან, თამარიდან და დამთავრებული ქსნის ნიჭიერი

---

1 მთხრობელი გიმზერ ვახტანგის ძე ფინდიშვილი. სოფ. ფლავისმანი.

2 საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, ფ. 19800-ბ.

და გერგლიანი ერისთავებით წარმოადგენდა ქართლის პოლიტიკურ და კულტურულ კერას. ამჟამად კი გაცოდვილებულ ადამიანთა ხელით პარტახად ქცეულ ნახანძრალ სასახლეს ნაცვლად ანგელოზებისა ღამურები დაპატრონებიან.

სოფ. კარალეთი და მისი უზარმაზარი მასივი სახნავ-სათესები, ბაღვენახები თუ ჭალა-მინდვრები მე-18 საუკუნის დასაწყისში დავით (დათუნა) ქსნის ერისთავის ვაჟებს რევაზს და იესეს გაყრის შემდეგ წილში ერგოთ. სწორედ რევაზის და იესეს შვილებიდან – გიორგი ყულარაღასიდან და იესე აღაბაბადან იღებს სათავეს ერისთავების ორი შტო. ამ უკანასკნელი შტოს წარმომადგენელია კარალეთში მცხოვრები შანშე იესეს (აღაბაბას) ძე ქსნის ერისთავი. შანშეს რუსები პავლესაც ეძახდნენ, ხოლო შანშეს მამას იესეს – ევსეის.




შანშე დაიბადა 1765 წელს ახალგორში. თავის დროზე ყოფილა ეშიკაღაბაში – საპოლიციო აპარატის ხელმძღვანელი, შულავერის მოურავი, ჩინით – პოლკოვნიკი. მისი პირველი ცოლი ყოფილა ელენე, ივანე სარდლის ჯამბაკურ-ორბელიანის ასული (1785-1817 წწ.), ერეკლე II-ის შვილთაშვილი. მეორე ცოლი კი მარიამ ზაქარიას ასული აბაშიძე.

ახალგორიდან შანშე ახალგაზრდობაშივე გადასულა და დასახლებულა კარალეთში. პირველ ცოლ ელენესთან ჰყოლია 6 შვილი. მეორე უშვილო ჩანს.

I. იესე 1806-1845 წწ. მისი მეუღლე იყო ანა (ნინო) ივანეს ას. მელიქიშვილი. ამათ ჰყოლიათ ერთი შვილი.

II. მელანია 1808-1836 წწ. – მეუღლე ანდრეი მელნიკოვი. ეს უკანასკნელი დიდად ეხმარებოდა 1832 წლის შეთქმულების განხორციელებაში სიძეს.

III. ელიზბარი 1810-1872 წწ. – ჩვენი ეროვნული გმირი, რომელზეც ცალკე და დაწვრილებით ვილაპარაკებთ.

IV. დიმიტრი 1811-1854 წწ. უცოლო.

V. ალექსანდრე 1812-1883 წწ. მეუღლე მართა სოლოღაშვილი. ჰყავდათ 6 შვილი.

VI. გრიგოლი-გიორგი 1813-1888 წწ. მეუღლე ალექსანდრა ვოლსკაია. ჰყავდათ 3 შვილი.

რაც შეეხება ძმებს – შანშეს ჰყოლია სამი ძმა.

1. ელიზბარი (1767-1806), რომელიც მოკლეს განჯაში პავლე ციციანოვთან ერთად. მემკვიდრე არ დარჩენია.

2. გიორგი („სენატორი“, „თავრიზელი“, „ჰერი-ჰა“), რუსეთის არმიის თვალსაჩინო გენერალი. გიორგი XII-ის სიძე.

3. ალექსანდრე (თორნიკე) 1779-1860 წწ. მისი მეუღლეა ბარბარე ივანეს ასული მუხრანბატონი (1786-1843).

შანშეს მამას იესე ალაბაბას უზარმაზარი მამულები ჰქონია გორის მხარეში. მის სამ შვილს, შანშეს, თორნიკეს ანუ ალექსანდრეს და გიორგის (სენატორს) წილში რგებიათ კარალეთი. შანშე პირველი ჩამოსახლებულა კარალეთში, შემდეგ თორნიკე და ბოლოს, იკოთში მცხოვრები გიორგიც კარალეთს დამკვიდრებულა, საიდანაც ჯერ ატენში და შემდეგ გორში გადასულა საცხოვრებლად.

# ელიზბარ შანშეს (პავლეს) ძე ერისთავი და 1832 წლის შეთქმულება

ფიქრი ელიზბარ ერისთავისა, – გზად – შინდისიდან შინ რომ ბრუნდებოდა, ეტლით.

*„აღარც საბაა,*
*აღარც ბესიკი,*
*აღარც ვახტანგი,*
*აღარც არჩილი, –*
*არადა ისევ დგას დღის წესრიგში*
*ბედი ქართლისა*
*და ქართლის ჭირი“.*

***მ. მაჭავარიანი***
*(ციკლიდან „1832“)*

ელიზბარი დაიბადა 1810 წელს შვიდი წლის განმავლობაში (1823-1830 წლებში) პეტერბურგში სწავლობდა. ჯერ კერძო პანსიონში, ხოლო უკანასკნელი 5 წელი – საარტილერიო სკოლაში. რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში 20-23 წლის ჭაბუკი იყო.

შანშეს შვილებიდან გაყრის შემდეგ, როგორც ელისაბედ ელიზბარის ასული იგონებს, *„მამაჩემს (ელიზბარს) ერგო გორში სახლები, ღვარები, დიდ და პატარა ლიახვზე, კარალეთში, ტყვიავში, ვარიანში ბაღები ერთი სიტყვით 10 000 დესეტინა“.*[1] (1 დესეტინა = 10, 092 კვ. მეტრს. ე. ი. 10 000 = 100, 920 კვად. მეტრს. ასევე 1 დ. = 2 დღიურ სახნავ მიწას).

1830 წლიდან ელიზბარი საქართველოშია და ხდება ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი დაგეგმილი შეთქმულებისა. რაც უფრო ახლოვდებოდა შეთქმულების დრო, მით უფრო აქტიურ და ერთპიროვნულ ლიდერად გვევლინება ალ. ორბელიანთან და ს. დოდაშვილთან ერთად. სამწუხაროდ, შეთქმულები გასცეს. ელიზბარი 1934 წლის თებერვალში გაასამართლეს. ის ავლაბრის ყაზარმაში გამოამწყვდიეს, შემდეგ კი ეტაპით ჯერ კრონშტადტში, მერე ჰელსინკში გაამწესეს. სასჯელის მოხდის შემდეგ საქართველოში დაბრუნებული ელიზბარი 1845 წლის 18 მაისს ჯვარს იწერს ქეთევან შალვას ასულ ერისთავზე (1819-1907 წწ.). ეს ქეთევანი არის კოზლოვის „შეშლილის“ მთარგმნელი რევაზის და.

[1] გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი. ფონდი 13260-ბ.

როგორც ნინო ქობულაშვილისა იგონებს: *„დედას არ ნდომებია მამა ჩვენის, ელიზბარ ერისთავის შერთვა, მაგრამ მდიდარი კაცი ყოფილა და მშობლებს ძალად გაუტანებიათ. გიორგი ერისთავსაც უნდოდა დედა ჩემის შერთვა, მაგრამ როგორც ნათესავს ჩამოცილებია. გიორგი ერისთავმა, სხვათაშორის, ლექსი მიუძღვნა ქეთევანის დას სოფიოს“.*[1]

ქეთევან შალვას ასული ლამაზი ქალი ყოფილა. იგი ჩვენი სათაყვანო პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის გატაცება და პირველი სიყვარული გამხდარა. გრძნობამორეული ნიკოლოზი თავის პირველ სიყვარულს უძღვნის ლექსს „ქეთევან“.

ზვირთები მოდუდუნებენ,
ჭალები ბუჩქნარეობენ,
ხშირნი ლამაზთა კიდეთა
მჩქეფრად მდინარის ქსნისათა.

მიმქრქალებული მთოვარე მოწყენით ჰნათობს მუნ ქალსა;
მდინარის პირზედ ზის იგი, ხელთა ჩონგურის მპყრობელი;
გიშრისა თმანი ნაშალნი ჰშვენიან სპეტაკს საცმელსა,
და დამღერს იგი საკვდავად, ცხარეთა ცრემლთა მდენელი:

„ავ-ენანნო, ოდეს დასცხრეთ,
მოასვენოთ ესდენ სული?
რა გარგოთ, რომ შეიშურეთ
უბიწოო სიყვარული?“

„გულის-სწორო, ერთის ცილით
აგრე როგორ შეიცვალე,
რომე ტრფობა ჩვენიო ამ ხნით
მას აგრე მსწრაფლ ანაცვალე?“

„თუ ვერ მცნობდი, რად მეტყოდი:
მე შენი ვარ საუკუნოდ?
სიყმაწვილეს რად მილხენდი,
თუ მოჰკლავდი ასე უდროდ?“

---

[1] აბზიანიძე გ. ნ., ბარათაშვილის ერთი ლექსის გენეზისი, წიგნიდან ელიზბარ ერისთავი, კრებული. თბ., 1997, გვ. 210.

„რად შემიპყარ მე გლახგული,
უმანკო და უზრუნველი?
რად დამიჭკნე მე ყვავილი
ყმაწვილობის, ჯერ უშლელი?“

„ეს ნუგეშს მცემს, საყვარელო,
რომე არის სხვა სოფელი;
ოდეს სცნა, რომ ვარ უბრალო,
მოვედ, მოვედ, მუნ მოგელი!“

სდუმდა – და მეცა ვიცანი
ქეთევან ჰაეროვანი,
ქეთევან, ნაქები გულით,
ნაქები მშვენიერებით![1]

ნეტა რა ქარმან დააზრო მისი სიცოცხლის ყვავილი?
მეც ამატირა მის მხვედრმან, მაგრამ ვერ ვეცი ნუგეში:
ქეთევან შუა ქსანშია მარად შეერთო ღელვილი;
მხოლოდ ისმოდა სახელი ამილბარისა ზვირთები!

*1835 წ. [1843]*

*„დედა ჩემი ხშირად ჩამოდიოდა ტფილისში თავის ბიძასთან, ყაფლან-თან, ევრეთწოდებულ ორბელიანთა აულში. აქ იყო ხოლმე ქართული შექცევა და დროს ტარება... დედა დიდი მეგობარი იყო ნიკოლოზ ბარა-თაშვილისა, იგი მოიგონებდა ხოლმე: „ტატო ძალიან მხიარული იყოვო“... როგორც სჩანს ნ. ბარათაშვილი გატაცებული იყო დედაჩემით. დედა გვიკითხავდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს და გვეტყოდა, რომ ლე-ქსი „ქეთევან“ მე მომიძღვნაო“.*[2]

ლექსი დაწერილია 1835 წელს ხოლო დამუშავებულია 1842-1843 წლებში. ნ. ბარათაშვილის რომ უყვარდა ქეთევანი, არ სჯერა ცნობილ ლიტერატორს პროფ. ივანე ლოლაშვილს, – იგი დასძენს: *„ეს დაუჯერე-ბელია, რადგან ისინი ნათესავები იყვნენ* (ქეთევანი არის ყაფლან ორ-ბელიანის დისწული) *ის კი ფაქტია, რომ მათ ძლიერ ახლო მეგობრობა ჰქონიათ. პოეტს ქეთევანისათვის უსახსოვრებია თავისი ლექსების ხელ-*

[1] ბარათაშვილი ნ., ტ. I, თბ., 2012, გვ. 99.
[2] იქვე, გვ. 211.

*ნაწერი და საკუთარი ხელით გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. ეს ორივე ხელნაწერი 1876 წელს ელიზბარ ერისთავის სახლში დამწვარა“.*[1]

აქვე აღნიშვნის ღირსია ის, რომ ელიზბარი ერეკლე II-ის ქალიშვილის – თამარის შვილთაშვილია, ხოლო მისი მეუღლე ქეთევან ერისთავი ერეკლე II-ის ქალიშვილის – ანასტასიას შვილიშვილი. ელიზბარ და ქეთევან ერისთავებს შეეძინათ ხუთი შვილი:

1. ივანე (პოსრედნიკი) ანუ შუამავალი, მომრიგებელი. 1846-1919 წწ. იგი იყო გულითადი მეგობარი დავით გიორგის ძე ერისთავისა, რომელმაც შექმნა პიესა „სამშობლო“. ივანეს ცოლად ჰყავდა ოლღა ბუსლავსკაია. როგორც თვითონ, ისე მისი მეუღლე გახლდათ ლიტერატურული და თეატრალური ინტერესების მატარებელნი. ივანე მსახურობდა მომრიგებელ-მოსამართლედ. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე.

2. ზაქარია (შაქრო), ეძახდნენ მარშალსაც. მისი მეგობარი იყო წარმოშობით ლეკი – კაზანალიპოვი. ეს უკანასკნელი გვერდიდან მოუშორებელი თანაშემწე იყო მეფისნაცვალ ვორონცოვისა. ერისთავი სწორედ ამ ლეკის საშუალებით ხშირად აცვლევინებდა მეფისნაცვალს მკაცრ და ქართველებისთვის დამთრგუნავ კანონებსა თუ სხვადასხვა გადაწყვეტილებას. როგორც კავკასიელი – კაზანალიპოვი უთანაგრძნობდა ქართველებს და ჩრ. კავკასიელთა გათავისუფლება უქართველებოდ ვერ წარმოედგინა.

3. მარია, შინაურობაში მაიკო, ცოლად გაჰყვა სიზიგმუნდ ზოლოტნიცკს. მათ შეეძინათ ქალიშვილი ელენე, იგი გახდა თავად გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელის მეუღლე. ვისთანაც შეეძინა ლეონიდა ბაგრატიონი, ლეონიდას ესპანეთში დიდ მთავარ ვლადიმერ რომანოვთან ქორწინებით გაუჩნდა რუსეთის ტახტის მემკვიდრე მარია რომანოვა. დღეს ეს ტიტული ეკუთვნის მარიას ვაჟიშვილს, გიორგი რომანოვს – ბაგრატიონთა და ელიზბარ ერისთავის შთამომავალს.

4. ნინო. გენო ქობულაშვილის ცოლი, რომლის ქალიშვილი დარია გახლდათ მეუღლე იკოთის ბოლო მფლობელ მიხეილ ალექსანდრეს ძე ბაგრატიონისა.

5. ელისაბედი რომელიც არ გათხოვილა. ელისაბედმა და ნინომ დაგვიტოვეს მეტად საინტერესო მოგონებები როგორც თავიანთ მშობლებსა და წინაპრებზე, ისე სხვა ცნობილ პიროვნებებზე. ეს მოგონებები

[1] ლოლაშვილი ივ., კომენტარი ლექსისა „ქეთევან“. წიგნიდან ელიზბარ ერისთავი, კრებული, თბ., 1997, გვ. 209.

ამჟამად ინახება გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში.

დაუზუსტებელი ვერსიით, ელიზბარს და ქეთევანს ზემოთ მოხსენიებული შვილების გარდა კიდევ ჰყოლიათ სამი ქალიშვილი: ანა, ნინო და ანასტასია. ანას, როგორც ჩანს, უცხოვრია 1898 წლამდე, დაღუპულა 52 წლისა.

XIX ს-ის დამდეგს საქართველოში რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა 1832 წლის ქართველ თავად-აზნაურთა შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა მეფის რუსეთისაგან თავის დაღწევას, სახელმწიფოებრიობის აღდგენას და დამოუკიდებლობის დაბრუნებას.

ბუნებრივია, ქართველებში იმ დღიდან უნდა გაჩენილიყო თავისუფლების დაბრუნების სურვილი, რა დღიდანაც ის დაკარგეს. ძველი ქართული ანტირუსული მისწრაფებების მატარებელი თაობა XIX ს-ის 20-იან წლებში ასპარეზზე გამოსულმა ახალმა არისტოკრატიულმა თაობამ შეცვალა. ეს თაობა, წინა თაობისაგან განსხვავებით, გაცილებით უფრო ლოიალურად იყო განწყობილი რუსეთის ბატონობისადმი. სწორედ ამიტომ უხსნიდა მას მეფის რუსეთი გზას სასწავლებლებში, სამოქალაქო და სამხედრო სამსახურებში. მათი ასეთი დამოკიდებულების გამო იყო, რომ გულისტკივილით წერდა ივანე აფხაზი: *„აწინდელი ჩვენი საზოგადოება არს მკვდარი მამულისათვის. ცხოვრობენ უსაგნოდ, დაეხეტებიან უგზოუკვლოდ, ვითარცა ბნელსა ღამესა შინა; ყოველი ფიქრობს საკუთარისა თვისისა სარგებლობისათვის, რომლისა მისაღებად არა მიხედვენ არცა სირცხვილსა და არცა უპატიურსა გზასა, რომელსაც ზედა ვლენ. ანგარება არს მათთვის თაყვანსაცემი კერპი, რომლითაცა გვეკარგება პატიოსნება; ნუ გგონიათ, რომ ეს იყოს ბუნებრივი თვისება ქართველთა; არა, ეს არს მხოლოდ ნაყოფი ოცდაათი წლის მორჩილებისა“.*

ასეთ ვითარებაში ეროვნული მოძრაობის გამოცოცხლება და გაღვივება რუსეთის ქალაქებში – პეტერბურგსა და მოსკოვში იწყება. იმ ახალ არისტოკრატიულ თაობაში, სადაც საკმაოდ იყვნენ რუსეთისადმი დაუმორჩილებლობის იდეით გამსჭვალული ქართველი თავადაზნაური ახალგაზრდები, რომლებიც გამუდმებით ტრიალებდნენ რუსეთში მცხოვრებ ბატონიშვილთა წრეში. ამიტომ 1825 წელს პეტერბურგში დიმიტრი ბატონიშვილის ხელმძღვანელობით ყალიბდება პირველი საიდუმლო წრე, რომლის წევრებია: ფარნაოზ ბატონიშვილი, დიმიტრი ერისთავი, გიორგი ერისთავი, ელიზბარ ერისთავი, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანები, დავით ჯორჯაძე, სოლომონ რაზმაძე და სხვები. პეტერ-

ბურგის წრის წევრები მსჯელობდნენ, თუ როგორ უნდა ეშველათ სამშობლოსათვის.

1826 წელს მოსკოვში ოქროპირ ბატონიშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა მეორე საიდუმლო წრე, რომლის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო სოლომონ დოდაშვილი.

მალე თბილისში იქმნება შეთქმულთა ძლიერი ორგანიზაცია. 1827-1829 წლებში რუსეთიდან შეთქმულების ცენტრის თბილისში გადმოტანაში დიდი როლი შეასრულეს: ელიზბარ ერისთავმა, სოლომონ დოდაშვილმა და თამარ ბატონიშვილმა. თბილისის ორგანიზაციაში 1830-1832 წწ-ში ხელმძღვანელ როლს ასრულებდა ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი და სოლომონ დოდაშვილი. შეთქმულებს თანაუგრძნობდა სამეგრელოს მთავრის მემკვიდრე დავით დადიანი, ასევე აფხაზეთის მთავრის მემკვიდრე კონსტანტინე შერვაშიძე.

შეთქმულების ორგანიზატორები ცდილობდნენ, დაეცვათ კონსპირაცია. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ფილადელფოს კიკნაძის მიერ შექმნილი საიდუმლო ანბანი, რომლითაც ის აწარმოებდა შეთქმულებთან მიმოწერას. აღნიშნული საიდუმლო ანბანი სცოდნიათ დიმიტრი ყიფიანს და დავით ერისთავს. საიდუმლო აზრების ერთმანეთთან გასაზიარებლად შეთქმულთ ჰქონდათ აგრეთვე პირობითი გამოთქმები.

1830 წელს ფილადელფოს კიკნაძემ შეადგინა შეთქმულთა ორგანიზაციის წესდება „აქტი გონიერი", რომლის ერთგულებაზეც დაფიცება მოხდა ორგანიზაციის ყველა წევრისა. წესდებას, ცხადია, ჰქონდა ნაკლი. ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლი კი ის იყო, რომ შეთქმულების შესახებ ძალიან ბევრმა ადამიანმა იცოდა, რაც ზრდიდა ჩავარდნის საფრთხეს. ორგანიზაციას ჰქონია „1832 წლის შეთქმულთა ხატი", რომლის უკანა კედელზე ალექსანდრე ორბელიანს გაუკეთებია წარწერა.

1832 წლის შეთქმულების უმთავრესი საპროგრამო მოთხოვნა იყო – „საქართველო ქართველებისათვის". ანუ საქართველოს განთავისუფლება. შეთქმულებს ხანგრძლივი მსჯელობა ჰქონდათ რუსეთის ბატონობისაგან საქართველოს განთავისუფლების გზების შესახებ. მათი ერთი ნაწილი, რომელთა აზრს გამოხატავდა გენერალი ივანე აფხაზი, თვლიდა, რომ ას წელზე ადრე არ შეიძლებოდა რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფის საკითხის დასმა. ასი წლის მანძილზე საქართველო გაძლიერდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ დადგებოდა დამოუკიდებლობის აღდგენის დრო. სხვანაირად საქართველო იქცეოდა სპარსეთისა და ოსმალეთის აგრესიის ობიექტად.

შეთქმულთა მეორე ნაწილი, რომელთა აზრს ელიზბარ ერისთავი და ალექსანდრე ორბელიანი გამოხატავდნენ, შესაძლებლად მიიჩნევდა რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებას და როგორც დამოუკიდებლობის მოპოვებას, ისე მის შენარჩუნებას.

შეთქმულთა მესამე ნაწილი მიიჩნევდა, რომ რუსეთის იმპერატორი უნდა დაერწმუნებინათ, რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიური სამეფოს შექმნის კანონიერებასა და სარგებლობაში.

საქართველოს მომავალი სახელმწიფო წყობილების შესახებ 1831 წელს საინტერესო აზრი გამოუთქვამს ელიზბარ ერისთავს. მას საქართველოსათვის სანიმუშოდ მიუჩნევია შვეიცარიაში არსებული სახელმწიფო სისტემა. თუმცა იქვე დაუსახელებია ამ სისტემის საქართველოში ვერგანხორციელების მიზეზებიც. სახელმწიფო წყობილების შესახებ უთანხმოების მიუხედავად, სავარაუდოდ, შეთქმულთა უმრავლესობა 1832 წლის დასასრულისათვის კონსტიტუციურ მონარქიას უჭერდა მხარს. შეთქმულები მეფედ ალექსანდრე ბატონიშვილის მოწვევას გეგმავდნენ. შერჩეული იყო მინისტრთა კანდიდატები: ალ. ჭავჭავაძე – სამხედრო მინისტრი; ნიკოლოზ ფალავანდიშვილი – ფინანსთა მინისტრი; კონსტანტინე მუხრანბატონი – იუსტიციის მინისტრი; იაგორ ჭილაშვილი – შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრი და სხვა. 1832 წლის ნოემბერში შეთქმულებმა შეიმუშავეს ახალი გეგმა „პირველი განკარგულება“, რომელიც ისახავდა შემდეგ მოქმედებებს: მიემხროთ ქართველ გრენადერთა პოლკი და მისი საშუალებით ხელთ ეგდოთ ხაზინა. შეთქმულების მონაწილე ყველა თავადს თავისი ლაშქარი უნდა გამოეყვანა. ეს ლაშქარი ორ ნაწილად უნდა გაეყოთ და არსენალი და ციხე დაეკავებინათ თბილისში.

წარმატების შემდეგ მთელ საქართველოში უნდა დაწყებულიყო აჯანყება. აჯანყებულებს ხელთ უნდა ეგდოთ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები და განეიარაღებინათ რუსეთის ჯარები. მათვე უნდა დაეკავებინათ სურსათისა და ტანსაცმლის საწყობები. შეთქმულებს განზრახული ჰქონდათ საქართველოშო დაახლოებით 500 პოლონელის გამოყენება. ასევე ტფილისის ხელოსნების ჩაბმა აჯანყებაში.

შეთქმულთა გეგმით, განზრახული იყო აჯანყების დაწყება 1832 წლის 20 ნოემბერს. ამ დღეს ლუარსაბ ორბელიანის სახლში უნდა გამართულიყო მეჯლისი, რომლის დროსაც დააპატიმრებდნენ იქ მიწვეულ მთავარმართებელს, მაღალი რანგის სამხედრო და სამოქალაქო პირებს. სამწუხაროდ, აჯანყება ჯერ 6 დეკემბრამდე გადაიდო, შემდეგ 20 დეკემბრამდე, რაც აღარ დასცალდათ.

1832 წლის 9 დეკემბერს შეთქმულების ერთ-ერთმა აქტიურმა მონაწილემ თავადმა იესე ფალავანდიშვილმა[1] ძმის – ნიკოლოზ ფალავანდიშვილის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ გასცა (წინააღმდეგ შემთხვევაში ნიკოლოზი იესეს თვითმკვლელობით ემუქრებოდა) შეთქმულება.

შეთქმულების მონაწილეთა დაპატიმრება 11 დეკემბერს დაიწყო. სხვადასხვა დროს დააპატიმრეს: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, ელიზბარ ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ რაზმაძე, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი, იესე ფალავანდიშვილი და სხვები. გამოძიების შემდეგ გაასამართლეს 38 კაცი. სულ კი გამოძიება 145 კაცით დაინტერესდა[2] საგამოძიებო კომისიამ „დამნაშავენი" დანაშაულის სიმძიმის მიხედვით დაყო ათ ჯგუფად:

I ჯგუფში მოხვდნენ: ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილები – „რომლებმაც თავისი შთაგონებით ბოროტგანზრახულობას დასაბამი მისცეს".

II ჯგუფში მოხვდა ოთხი კაცი: ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი, იასე ფალავანდიშვილი და სოლომონ დოდაშვილი როგორც შეთქმულების წამქეზებლები.

III ჯგუფში მოხვდა 8 ადამიანი: თამარ ბატონიშვილი, დიმიტრი ერისთავი, ლუარსაბ და ვახტანგ ორბელიანები, გიორგი ერისთავი რომანოზის ძე, მოლა ზამანი, ალექსანდრე ბატონიშვილი და მოლა მაჰმადა – ვინც შეთქმულებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა და აჯანყების მოხდენას ეთანხმებოდა.

IV ჯგუფში მოხვდა 12 კაცი, მათ შორის ფილადელფოს კიკნაძე. ესენია „ვინც განზრახულის თანახმა იყვნენ, მაგრამ მასში აქტიური მონაწილეობა არ მიუღიათ, ან იღებდნენ მონაწილეობას შეთქმულებაში მისი არსებობის ერთ-ერთ წელში და აჯანყების მოწყობის განზრახვა კი ნაწილობრივ იცოდნენ".

V ჯგუფში მოხვდა 6 კაცი – „ვინც განზრახულს ეთანხმებოდნენ და სხვა არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ".

VI ჯგუფში მოხვდა 7 კაცი – „ვინც იცოდნენ შეთქმულების ამბავი და რომლებზედაც შეიძლება დიდი ეჭვის მიტანა, რომ მას კიდეც ეთანხმებოდნენ".

---

[1] იასე და მისი ძმა ნიკო ფალავანდიშვილები – 1832 წლის შეთქმულების გამცემები – ფალავანდიშვილები არ იყვნენ. მათი პაპა ვინმე იესე მიქაძე იყო, მისი შვილები, ერთი ბარათაშვილებს ჩაესიძა, მეორე – ფალავანდიშვილებს. ასეთ ჩასიძებას ერეკლე მეფეც დიდად უწყობდა ხელს, რათა დაშრეტილი სისხლი განახლებულიყო. მიქაძის ვაჟს – ფალავანდიშვილებზე ზედსიძედ მისულს, ეყოლა ორი ვაჟი ნიკო და იასე.

[2] გოზალიშვილი გ., 1832 წლის შეთქმულება.

VII ჯგუფში მოხვდა 17 კაცი – „ვინც იცოდა შეთქმულება, მაგრამ არ ეთანხმებოდა“.

VIII ჯგუფში მოხვდა 11 კაცი – „ვიზედაც შეიძლება ეჭვის მიტანა, რომ მათ ან იცოდნენ შეთქმულების ამბავი, ან მას თანაუგრძნობდნენ“.

IX ჯგუფში მოხვდა 31 კაცი – „ვიზედაც შეიძლება ეჭვის მიტანა მონაწილეობაში, ამ ბოროტგანზრახული საუბრის მოსმენაში“.

და ბოლოს, X ჯგუფში მოხვდა 47 კაცი – „ის პირნი რომლებზედაც არავითარი ეჭვის მიტანა არ შეიძლება“.

შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ელიზბარ ერისთავს და სხვა რამდენიმე პირს სიკვდილით დასჯა (ოთხად განკვეთა) გადაუწყვიტეს, მაგრამ მერე ჰელსინგფორში, დღევანდელ ჰელსინკში, ფინეთში მდგარი ერთ-ერთი პოლკის რიგით ჯარისკაცებად განამწესეს.

1832 წლის შეთქმულებამ ღრმა კვალი დატოვა ეროვნული მოძრაობისა და მთლიანად საქართველოს ისტორიაში. შეთქმულება იყო იმის დამადასტურებელი, რომ ქართველი ერის ასიმილაციის, საქართველოს რუსეთის განუყოფელ ნაწილად გადაქცევის მისწრაფებას განხორციელება არ ეწერა. ამავე დროს, 1832 წლის შეთქმულება გახდა სტიმულის მიმცემი შემდგომი დიდ ეროვნული მოძრაობისა.

## ღვარები

1832 წლის შეთქმულების გამო ათი წლით გადასახლებული ელიზბარ ერისთავი სამშობლოში დაბრუნებისთანავე ებმება ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. ის 1842 წელს დიმიტრი ყიფიანის დაარსებულ „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელი წევრია. 1844 წლის უკვე გორშია და იწყებს სახელმწიფო სამსახურს. ამავდროულად წევრი ხდება იმ ჯგუფისა, რომელსაც ჟურნალ „სინათლის“ გამოცემა აქვს გადაწყვეტილი. ე. ერისთავი ასევე ზრუნავს ივანე კერესელიძის ჟურნალ „ცისკარზე“. მან გორის მაზრაში გასავრცელებლად გამოიწერა ცისკრის 20 ეგზემპლარი, მზრუნველობას იჩენს აგრეთვე ქართლში მევენახეობისა და მებაღეობის განვითარებისთვის.

1842 წლიდან ელიზბარ ერისთავი თავის ძმა დიმიტრისთან ერთად სოფ. ღვარებში იწყებს შუშის ქარხნის მშენებლობას. მას შუშის ქარხნის მაგივრად ჯერ იარაღის ქარხანა ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ რუსეთის იმპერიალისტური გეგმები მის გეგმებს არ ემთხვეოდა. კავკასიის რეგიონში იარაღის ქარხნის შექმნას რუსები თავისი ინტერესებისა და

მდგომარეობის საწინააღმდეგოდ აღიქვამდნენ და ამიტომაც ეთქვა უარი ამ საქმეზე ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს.

არჩევანის გაკეთება – მინის (შუშის) წარმოების დაწყებაზე დიდად განსაზღვრა საქართველოში მეღვინეობის დაწინაურებამ. ქართული ღვინით კი დიდად იყო დაინტერესებული რუსეთი. იმდროინდელი რუსეთის იმპერიის ცენტრალურ გუბერნიებში ქართული ღვინის შეტანას ხელს უშლიდა ცუდი სამიმოსვლო გზები და სატრანსპორტო ჭურჭლის უქონლობა. რუსეთიდან საქართველოში შუშის ნაწარმის შემოტანა მისი მსხვრევადი თვისებებისა და სიძვირის გამო რთულდებოდა. ადგილობრივი ტიკები და რუმბები რუსეთში ღვინის ტრანსპორტირებისათვის უვარგისი იყო, რადგან გადატანისას ფუჭდებოდა ღვინის ხარისხი და ღირსება ეკარგებოდა, ამიტომ მთავრობა დაინტერესებული იყო საქართველოში მინის ჭურჭლის წარმოებით. აგრეთვე ამიერკავკასიაში მასზე დიდ მოთხოვნილებას აცხოველებდა არმია და სახაზინო აფთიაქები. ჯერ კიდევ 1818 წელს ჩვენთვის კარგად ცნობილმა ქართველმა გენერალმა გიორგი იესეს ძე ერისთავმა ქსნის ხეობაში წამოიწყო მინის ქარხნის მშენებლობა, რისი საჭიროებისთვისაც მან საზღვარგარეთიდან გამოიწერა სპეციალური დანადგარები და მოიწვია სპეციალისტები, მაგრამ მისი ყოველივე ცდა სამწუხაროდ მარცხით დამთავრდა.

ამ ამბიდან დაახლოებით 10 წლის შემდეგ, 1828 წელს მთავრობის თხოვნით პეტერბურგიდან ბორჯომში ჩამოსულმა ი. ლევაშოვმა შუშის ქარხნის გასამართად მოითხოვა 28 850 მანეთი, რაზეც უარი ეთქვა. 1830 წელს ი. ლევაშოვის დახმარებით საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი ზავილეისკი აწყობს კერძო მინის ქარხანას. მოგვიანებით ქარხანა აწყურში გადაიტანეს. ლევაშოვის გარდაცვალებიდან ქარხანაც მალევე – 1840 წელს დაიხურა.

1841 წელს „სოვეტნიცა" – იშხნელი თბილისში აწყობს მინის ქარხანას, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო ქარხანა მალევე ჩერდება.

საქართველოში მინის წარმატებით წარმოება შესძლო მხოლოდ ქსნის ერისთავების წარმომადგენელმა თავადმა ელიზბარ ერისთავმა, რომლის უშუალო თანაშემწე იყო მისივე ძმა დიმიტრი. ერისთავებმა კარგად გაითვალისწინეს წინამორბედთა შეცდომები და დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ აღნიშნული საქმისადმი.[1]

---

1 ღვარების შუშის ქარხანაზე მასალები იხ.: ქართველი და უცხოელი მეწარმეები და მათი საქმიანობა საქართველოში (XIX-XX სს-ის I ოცეული), თბ., 2009. ასევე ხანანაშვილი მ., „მინის წარმოება საქართველოში", მეცნიერება და ტექნიკა, 1952, № 6, გვ. 36. ასევე ელიზბარ ერისთავი: კრებული, თბ., 1997 წ.

სოფელ ღვარების (ატენის ხეობა, გორიდან 12 კილომეტრში, მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე) მინის ქარხანა „პეტროვსკის“ სახელს ატარებდა. ქარხანამ მუშაობა დაიწყო 1842 წელს. იგი აწარმოებდა მწვანე ბოთლებს ღვინისა და სააფთიაქო საჭიროებისათვის. პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად მოიწვიეს ოსტატები, გამოიწერეს 1000 ფუთი ცეცხლგამძლე თიხა ტულის გუბერნიიდან. იმავე 1842 წელს საინჟინრო უწყებამ ქარხანას შეუკვეთა – 2 514 მან. პროდუქცია.

1843 წელს – 1 130 მან. პროდუქცია.

1844 წელს – 4 047 მან. პროდუქცია.

1844 წლიდან ელიზბარ ერისთავს ხელისუფლებამ მიანიჭა თბილისის სათადარიგო აფთიაქის მინის ჭურჭლით მომარაგების პრივილეგია (აფთიაქს მანამდე მოსკოვიდან ამარაგებდნენ). იმავე წელს მან მთავრობისგან მიიღო 3 000 მანეთი კრედიტი, რითაც ქარხანა მოდერნიზებული იქნა. ქარხანა სახაზინო აფთიაქს წლების განმავლობაში აწვდიდა სხვადასხვა სახის და ხარისხის ჭურჭელს: თეთრ და მწვანე ცილინდრულ ქილებს, ძაბრებს, კოლბებს, როდინებს და სხვა მრავალს.

ყოველწლიურად იზრდებოდა ქარხნის წარმადობა, ხარისხი, ავტორიტეტი, რის გამოც – 1847 წელს მთავრობამ სთხოვა ერისთავებს მინის ჭურჭლეული დაემზადებინათ სტავროპოლის სახაზინო აფთიაქისთვისაც, მრეწველებმა თანხმობა განაცხადეს, მაგრამ მოითხოვეს შეკვეთის თანხის – 3 750 მანეთის წინასწარ გადახდა. ვორონცოვმა თავის მოხელეები გაგზავნა ქარხნის შესამოწმებლად. ქარხანა იმდენად კარგ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ მთავრობას დიდხანს აღარ უყოყმანია, მეწარმეებს აღნიშნული თანხა გადასცეს და სტავროპოლის სახაზინო აფთიაქის მომარაგებაც ერისთავების მინის ქარხანამ დაიწყო.

ქარხნის წარმატებებით წახალისებულმა მეწარმეებმა განიზრახეს ფაიფურის ფაბრიკის მოწყობაც. 1846 წელს დ. ერისთავმა ამ საქმისთვის მთავრობისაგან მოითხოვა 10 წლიანი პრივილეგია. მთავრობამ ნება კი დართო მოეწყოთ ფაიფურის ფაბრიკა, მაგრამ პრივილეგიების მიცემაზე უარი განაცხადა. მეწარმეებმა პრივილეგიების გარეშე ვერ გაბედეს ამ საქმიანობის წამოწყება.

1848 წლიდან ელიზბარ ერისთავმა ვორონცოვის დახმარებით თიხის შემოტანა დაიწყო ყუბანის ნაპირებიდან. ეს პროცესი მას უჯდებოდა 1 ფუტი მხოლოდ 80 კაპიკი, რაც ძალზე იაფი იყო. მეწარმემ ასევე მოიწვია ინჟინერ-ტექნოლოგი ბიხოლდტი. მეპატრონისა და ინჟინრის მიერ წარმოებული მრავალრიცხოვანი ცდების შემდეგ პოტასიუმის, ადგილობრივი სოდისა და გლაუბერის მარილის გამოყენებით მიიღეს ძალიან მაღალი ხარისხის საფანჯრე მინა. ქარხანაში დამზადებული არშინა მინა ღირდა 1

მან. 40 კაპ. ხოლო ბოთლები და სხვადასხვა სიდიდის ჭურჭელი ბაზარზე იყიდებოდა 10 კაპიკიდან 2 მანეთამდე. ამ პერიოდში საწარმო ამზადებ-და 50 000-მდე ცალ მინის ნაკეთობას, რომლის ღირებულება საშუალოდ 7 500 მანეთამდე აღწევდა. ქარხანაში მუშაობდა 21 კაცი.

ელიზბარ ერისთავმა მრავალრიცხოვანი ცდები ჩაატარა უფრო ხარისხიანი თეთრი საფანჯრე მინის მისაღებად. შედეგმაც არ დააყოვ-ნა და 1853 წელს ძალიან კარგი საფანჯრე მინის ნიმუშები წარუდგინეს ვორონცოვს. მეწარმე აღფრთოვანებული იყო წარმატებებით და სურდა ხელი მოეკიდა საფანჯრე მინის ფართო წარმოებისათვის, მაგრამ ამ დროს დაიწყო ყირიმის ომი (1853-1856). ელიზბარ ერისთავი, როგორც სამხედრო პირი, ომში გაიწვიეს, რამაც იგი მოსწყვიტა საყვარელ საქმეს. ომის პერიოდში ქარხანა აწარმოებდა მხოლოდ მინის ჭურჭლეულს.

1855 წელს, გაურკვეველი მიზეზით, ღვარების მინის ქარხანა დაიწვა. ხანძარმა გაანადგურა არა მხოლოდ ქარხანა, არამედ 3 000 მანეთის ღი-რებულების მზა ნაწარმიც. მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ყირიმის ომი-დან თავის მამულში დაბრუნებულმა ელიზბარ ერისთავმა ხელი მოკიდა და კვლავ აღადგინა მინის ქარხანა.

1856 წელს საწარმომ გამოუშვა 9 500 მანეთის პროდუქცია.

1857 წელს ------------------------------ 9 750 მანეთის პროდუქცია.

1858 წელს ----------------------------- 10 000 მანეთის პროდუქცია.

ღვარების მინის ქარხანა აღდგენის შემდეგაც ამარაგებდა თბილი-სის, სტავროპოლის და მთელი კავკასიის სახაზინო აფთიაქებს. ხარჯების გამოკლებით, წელიწადში მეწარმის მოგება შეადგენდა 4 000 მანეთს.

საქართველოს საარქივო ფონდებში დაცულია ინჟინერ ბიხოლდტის მიერ 1864 წელს ჩატარებული ღვარების მინის ქარხნის დეტალური აღ-წერა, რომელსაც წარმოგიდგენთ მცირე შემოკლებით:

საქარხნო შენობები, მდინარე ღვარების მარჯვენა ნაპირას, გაკეთე-ბული იყო მთლიანად ფიჭვის და ნაძვის ძელებისაგან.

– ქარხანას ჰქონდა 600 დესეტინამდე ტყე, რითაც უზრუნველყოფილი იყო საწვავი მასალით 25 წლის განმავლობაში.

– ქარხნის მთავარ შენობაში (სიგრძე – 11, სიგანე – 9 საჟენი) იყო მინის სადნობი 6 ტიგელიანი (დერგიანი) ღუმელი. მინის გამოდნობა გრძელდებოდა 36 საათი, ხოლო დამუშავება 12 სთ. ასე რომ, ორი კვირის განმავლობაში მზადდებოდა 600 ბოთლი (წუნის გამოკლებით), თითოეუ-ლი წონით 2,5 გირვანქა. სადნობ ღუმელთანვე იყო შეერთებული მასა-ლის საშრობი ღუმელი.

– ქარხანას ჰქონდა სათუნე განყოფილება, სადაც ცეცხლგამძლე თიხისაგან კეთდებოდა ტიგელი, აგური და სხვადასხვა ნაწილები შუშის

სადნობი ღუმელისათვის. შენობის სიგრძე იყო 11, სიგანე 3 საჟენი. შენობაში იყო საშრობი ღუმელი, თიხის შესანახი და სარევი ხის ყუთები (როფები). შენობის გარეთ დამონტაჟებული იყო წყლის თვალი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავდა 3 სანაყველი, რაც საჭირო იყო თიხისა და სხვა მასალათა დასაფხვნელად.

ქარხნის ტერიტორიაზე იყო აგრეთვე: წისქვილი და სამჭედლო, ძველი შენობა საფანჯრე მინების დასამზადებლად, სიგრძით 9, სიგანით 7 საჟენი, 2 სახლი (ერთი ბაღჩით), რომელშიაც ცხოვრობდა 3 ოსტატის ოჯახი, სამზარეულო და საფურნე მუშებისათვის, ბეღელი მასალათა შესანახად, სააფთიაქო ჭურჭლეულისათვის მინის თავსაცავთა საჩარხავი სახელოსნო, სადაც ცხოვრობდა 1 ოსტატი, 2 ძველი სახლი შავ მუშათა საცხოვრებლად და 1 სახლი ზედამხედველის ბინისა და კანტორის სახით, 1 გომური კამეჩებისათვის, 1 საბძელი, 2 ბეღელი, ქვედა საქარხნე შენობა მინის სადნობი ღუმელით.

ყოველგვარი ნაგებობანი, რომლებიც ქარხნის შემადგენლობაში შედიოდა, შეფასდა 10 000 მანეთად, მიწის და ტყის ჩაუთვლელად. საქარხნო ნაგებობანი არ იყო დაზღვეული, რადგან მთლიანად ხისგან იყო აშენებული.

ქარხნის ფინანსური მაჩვენებლები დამაკმაყოფილებელ სურათს იძლეოდა. სრული დატვირთვით მუშაობის შემთხვევაში ქარხანას შეეძლო თვეში 9-10 ათასი ბოთლი გამოეშვა. ბაზარზე 1 ბოთლი 10 კაპიკად ფასობდა, წარმოების პროცესი არ გრძელდებოდა ერთ წელიწადს, იგი მოიცავდა არა უმეტეს 6-7 თვეს. წლის დანარჩენი დროის განმავლობაში მზადდებოდა სააფთიაქო ჭურჭელი კავკასიის „სათადარიგო აფთიაქისათვის" ღირებულებით 6-8 ათას მანეთამდე. ასე რომ, ქარხნის მთელი წლიური შემოსავალი შეადგენდა 12-14 ათას მანეთს.

1864 წელს ელიზბარ ერისთავი თხოვნით მიმართავს მეფისნაცვალს 25 000 მან. სესხის უპროცენტო გამოყოფის თაობაზე, რომელიც მოხმარდებოდა ქარხნის რეკონსტრუქციასა და გაფართოებას. ბარათში მეწარმე აღნიშნავდა ქარხნის უდიდეს მნიშვნელობას ხაზინისათვის და ასაბუთებდა, რომ მას სურდა თავისი საწარმოს გაუმჯობესება და საზღვარგარეთული ქარხნების დონეზე აყვანა. მისი განცხადებით, იგი დაინტერესებული იყო კახეთში მინის დიდი რაოდენობით გასაღებით, განსაკუთრებით თელავში, რადგან ღვინოს იქ დიდი რაოდენობით აყენებდნენ. 1865 წლის თებერვალში მისი თხოვნა დააკმაყოფილეს, მისცეს 25 000 მან. სესხი 18 წლით. ელიზბარ ერისთავმა დიდი ენერგიით მოკიდა ხელი საქმეს, დაიწყო ახალი ნაგებობების მშენებლობა, ოსტატების გამოწერა და საერთოდ, საწარმოს გაფართოება.

1871 წელს ელიზბარ ერისთავი გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრეებმა ველარ შეძლეს მამის დაწყებული საქმის გაგრძელება და იმავე წელს ღვარების მინის ქარხანა იჯარით გადასცეს უცხოელ მეწარმეს ეპშტეინს, რომელსაც მინის წარმოება ბოჰემიაში (ჩეხეთში) ჰქონია შესწავლილი. ამგვარად, მოიჯარე გამოცდილი და დახელოვნებული იყო მინის წარმოების საქმეში. ეპშტეინმა გააგრძელა ადგილობრივი ნიადაგის კვლევა და თვით სოფ. ღვარებში, ქარხნიდან სამასი ნაბიჯის მანძილზე, აღმოაჩინა ბოთლების საწარმოებლად აუცილებელი საუცხოო სილა, მაღალი ხარისხის თიხაკირი. ყუბანის ნაცვლად, შესაფერისი თიხა ასევე გამოიწერა უცხოეთიდან, რითაც თავიდან აიცილა წინანდელი წარმოების რამდენიმე ნაკლოვანება. საქმე ის იყო, რომ ელ. ერისთავის მიერ დამზადებულ ბოთლებში ჩასხმული ღვინო დიდხანს შენახვის შემთხვევაში ძმარდებოდა, რაც ეპშტეინის აზრით, შესაძლოა გამოეწვია სამინე შენაერთის ცუდ თვისებას. ეპშტეინმა გააუმჯობესა და გააფართოვა წარმოება, მაგრამ ფოთი-თბილისს შორის სარკინიგზო მიმოსვლის გახსნამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა ქარხანას. პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯების გაიაფებამ გააიოლა როგორც რუსეთიდან, ასევე უცხოეთიდან მინის სხვადასხვა ნაწარმის შემოტანა. დროის მოკლე პერიოდში ღვარების მინის ქარხანა დაიხურა.[1]

ელიზბარ ერისთავის ფუძის ანგელოზმა ჯერ კარალეთში დაიდო ბინა, შემდეგ სოფ. ღვარებში და გორში, სადაც წარმატებული მრეწველობის წყალობით ელიზბარმა ევროპული ყაიდის სახლი ააგო.[2] ერისთავიანთ სახლი გორის ინტელიგენციის თავშეყრისა და კულტურის მნიშვნელოვანი კერა იყო – აქ იმართებოდა ლიტერატურული შეკრებები, თეატრალური წარმოდგენები. ელიზბარის ეს ტრადიცია შემდეგ მისმა შვილმა – ივანემ „პოსრედნიკმა“ გააგრძელა.

---

1 ძირითადი მასალები ღვარების მინის ქარხანაზე მოძიებულია წიგნიდან: ლიპარტელიანი ნ., ჯოლბორდი მ., ქართველი და უცხოელი მეწარმეები და მათი საქმიანობა საქართველოში (XIX-XX სს-ის I ოცეულში), თბ., 2009.

2 ელიზბარ ერისთავის ქალიშვილი – ელისაბედი შემდეგნაირად აღგვიწერს გორში მამისეულ სახლს: „ჩვენ ვიდექით მამის ჩემის აშენებულში, ქ. გორში, ელიზმ. ქუჩაში. მოწყობილი ევროპულად ჰქონდა: მამაჩემს კაბინეტი „პერედნიდან“ დიდ დარბაზში შესავალი, ორი „გასტინა“, წითელი და მწვანე მორთულობით, დედაჩემის საწოლი ოთახი, ჩვენი მასწავლებლის ოთახი, საყმაწვილო ოთახი, ჩვენი გამდლის ოთახი და დიდი შუშაბანდი ვენეციანური შუშებით იატაკამდე. შუშაბანდში მშვენიერი ლიმონის ხეები, ალოე, აპელსინი, კაკტუსები. მებაღე გვყავდა ფრანცუზი – ანრი რომელიც უვლიდა გორში იმ ხეებსაც და ს. კარალეთშიც გაგვიჩინა ევროპული ჯიშების ახალი ბაღი“.

ელიზბარმა სახელმწიფო სამსახური გორის მაზრის უფროსობით დაასრულა პოლკოვნიკის ჩინით. სამსახურიდან გასულს გენერალ-მაიორის ხარისხი ებოძა.

ელიზბარი გარდაიცვალა 1871 წლის 11 იანვარს (სხვა ცნობით, 11 ივნისს) ქ. გორში, დაკრძალეს გორის საკრებულოს ტაძრის – „სობოროს" გალავანში. ელიზბარის უმცროსი ქალიშვილი ელისაბედი თავის ერთ-ერთ გვიანდელ მოგონებაში იხსენებს 7 წლის ასაკში ნანახ ტრაგედიას:

*„ერთ დღეს ჩემმა გამზრდელმა იასამანამ მითხრა: წამოდიო, დიდ ბატონი, მამაშენი ავათ არისო. საღამო იყო, დედაჩემი, ჩემი დები, პატარა ძმა და, აღარ მახსომს, მახლობლები ისხდნენ მამაჩემის კაბინეთში. კარი, რომ შევაღეთ მამაჩემი გადაბრუნებული იყო კედლისაკენ და ჩვენ ხმაურობაზე გადმობრუნდა და ცრემლები მოერია. ისევ მალე კედლისაკენ გადაბრუნდა. ჩემმა გამზრდელმა ცრემლები მოიწმინდა, მე ხელი მომავლო და მითხრა: შენი ძილის დროაო. მესამე დღეს რაღაც ჩოჩქოლი იყო ჩვენ სახლში. „გასტინიდან" „მებელი" გამოიტანეს და ხალიჩებით მოფინეს. ყველას შავები ეცვათ".*[1]

ასე დასრულდა პატარა ქსნის ხეობაში დაბადებული და გაზრდილი დიდი ქართველის, ეროვნული გმირის ხანმოკლე სიცოცხლე, რომელსაც შაყის კვრით სიკვდილი ჰქონდა მისჯილი საქართველოს თავისუფლების ძიებისთვის. დაინგრა სასახლე კარალეთში, გორში, აღიგავა პირისაგან მიწისა შუშის ქარხანა ღვარებში და, რაც ყველაზე გულსატკენია, გაქრა საფლავი წამებული წმინდანი წინაპრის ელიზბარ ქსნის ერისთავის ღირსეული შთამომავლისა ქსნის ერისთავიანთ ელიზბარისა, რომელსაც მრავალგზის უთქვამს მეგობრებისთვის გულში ნადები: *„ისე არ წავალ ცხოვრების ასპარეზიდან, დამოუკიდებელი საქართველო თუ არ დავტოვეო"*. სამწუხაროდ, ირონიით იღიმებოდა 61 წლის ელიზბარის ცხედართან შავი სიკვდილი. ბედის ირონიაა ქართლის გულში მდებარე ქალაქის ცენტრში საკრებულოს ეკლესიის დანგრეული შენობა, ამოყრილი და დაკარგული საფლავები, მათ შორის ჩვენი ეროვნული გმირისა ელიზბარ ერისთავისა. გადის წლები და ერისთავის სახელმა პერსონაჟად გაიელვა მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელში" და ფრაგმენტულად ორ ბიოგრაფიულ რომანში ესენია: ალექსანდრე კალანდაძის „სოლომონ დოდაშვილი" და როსტომ ჩხეიძის „ალექსანდრე ორბელიანი".

გასული საუკუნეების 90-იან წლებში შეიქმნა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, რომლის დიდი სურვილია სათანადოდ იქნეს გაცნობილი ქართველი საზოგადოებისთვის თავდადებული მამულიშვილის ღვაწ-

[1] ერისთავი ელ., მოგონება მამაზე, წიგნიდან ელიზბარ ერისთავი, გვ. 141.

ლი და ამაგი. სწორედ აღნიშნული საზოგადოების მოწოდებით გორის მერიის კოლეგიის გადაწყვეტილებით გორის ერთ-ერთ ქუჩას (კერძოდ დარიალის ქუჩას) გადაერქვა სახელი და ეწოდა ელიზბარ ერისთავის ქუჩა. ასევე გორსა და სოფ. ღვარებში დაიდგა ელ. ერისთავის მემორიალური ქანდაკებები.

„ისტორიის პარადოქსები: რას წარმოიდგენდა შანშე იესეს ძე ერისთავი, როდესაც აჯანყებულ მთიულებს ფინდიხს უშენდა და რუსის ჩექმას სამხრეთით გზას უკვალავდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ გაუჩნდებოდა ვაჟი, რომელიც ფარულ ორგანიზაციას შექმნიდა და მოამზადებდა აჯანყებას რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ.

შემდგომ ისტორიის ბორბალი უფრო გასაოცრად დატრიალდა: რას წარმოიდგენდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი ელიზბარ ერისთავი, რომ ერთი საუკუნის შემდეგ გაჩნდებოდა მისი შთამომავალი, რომელიც რუსეთის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრე იქნებოდა“.[1]

**ელიზბარ შანშეს ძე ერისთავის გენეალოგია**

შანშე (პავლე)

იესე | დიმიტრი | **ელიზბარი** (1810-1872) | ალექსანდრე | გრიგოლი

ქეთევან შალვას ას. ერისთავი 1819-1907

**ივანე** „პოსრედნიკი“ (უშვილო) 1846-1919 ოლღა ბუსლავსკაია

**ზაქარია** (მარშალი) 1862-1914 უცოლო

**მარიამი** სიგიზმუნდ ზოლოტნიცკი 1849-1902

**ნინო** 1860-1935 გ. ქობულაშვილი 1859-1915

**ელისაბედი** 1864-1949

**ელენე** (დაკრძალულია სვეტიცხოველში) ბაგრატიონ-მუხრანელი

დარია ქობულაშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი (მუხრანსკი)

**ლეონიდა** (დაკრძალულია სვეტიცხოველში) ვლადიმერ კირილეს ძე რომანოვი – დიდი მთავარი

**მარია რომანოვა** რუსეთის ტახტის მემკვიდრე

**გიორგი რომანოვი** რუსეთის ტახტის მემკვიდრე

ელიზბარ ერისთავის ხუთი შვილიდან ერთ-ერთის ნათლია იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი.

---

[1] ხომერიკი მ., ისტორიის პარადოქსები, წიგნიდან ელიზბარ ერისთავი, გვ. 178-79.

# რევაზ შალვას ძე (მთარგმნელი) და შალვა რევაზის ძე ერისთავები

## „საღამო კარალეთის გორადგან“

როს მზის დასვლის დროს, გაზაფხულისა
ნელი ნიავი იწყებს სუნთქვასა
და საამოთა ყვავილთა სუნსა,
მოჰფენს უხვადა არესა ჩვენსა.
მაშინ მდუმარედ ვზი ჩრდილოს მხარეს
და სიამოვნით ვსჭვრეტ თოვლიანს მთებს.
მშვენიერ არის რა ბრუდ-საბძელსა
შუქი მიადგეს დამსვლელის მზისა
იგი ამაყად იწყებს ლაპლაპსა
და ემუქრების ყინვითა ქართლსა!
როდესაც მისის ჭვრეტით დავსტკბები
მაშინ დასავლეთს მოუბრუნდები.–
შევხედავ, ვნახამ მის გორიზონტი
ვით წითელ ატლას ზედ გადაკრული:
ელავს ბრწყინვალებს მინაზებული
და მე მას შევრტფი – ვით ვარდს ბულბული
მუნით ლიახვიც ოქრომკედივით
კამკამით მოჩანს თეთრი სიმივით!
დიდხნს ვსჭვრეტ ხოლმე აღტაცებული
სოფლის შვენებით აზრთა მღელვილი:
ნუ თუ ამაო არის ყოველი,
აღარ დარჩების არცა აჩრდილი?

რევაზ შალვას ძე ერისთავი
1849 წელსა მარტის 25-სა[1]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქსნის ერისთავების ერთ-ერთი ცნობილი საგვარეულო შტო დათუნადან მომდინარე გიორგი ყულარაღასის შტოა, რომლის წარმომადგენელიცაა რევაზ იგივე რომანოზ გიორგის ძე ერისთავის ვაჟი – შალვა. ის კარალეთში აღაბაბას შტოს წარმომად-

[1] „ცისკარი“, 1858, №6, გვ. 59.

გენლებთან გვერდიგვერდ ცხოვრობდა. მისი უმცროსი ძმებიდან ბიძინა ცხოვრობდა ოძისში, შემდეგ ილტოზაში, გიორგი (სენატორი) კი იკოთიდან გადავიდა კარალეთში, შემდეგ ატენში და გორში.

შალვა რომანოზის ძის მფლობელობაში ჩანს აგრეთვე ქსნის ერისთავების თავდაპირველი რეზიდენცია – მთებში მომწყვდეული ძველი ქვენიფნევი, რომელიც შემდგომ მემკვიდრეობით გადადის მის შვილიშვილზე შალვა რევაზის ძე ერისთავზე. დავიწყოთ ამ საგვარეულო შტოს მამამთავრით...

გიორგი ყულარაღასს ჰყავდა ორი ორი ცოლი: I. თამარ დიმიტრის ასული ამილახვარი, II. მარიამ (მაია) ზაზას ასული თარხან-მოურავი. ყულარაღასს ჰყავდა 7 შვილი:

1. ქრისტეფორე
2. ბესარიონი
3. ზურაბი
4. რევაზი (რომანოზი)
5. ლუარსაბი
6. ელიზბარი
7. ანა

ერისთავის შვილები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და საეკლესიო ცხოვრებაში. ისინი დაახლოებული პირები იყვნენ სამეფო ოჯახთან. თავად გიორგის უფროსი ვაჟი რევაზ ერისთავი „კოლეგიის მრჩეველი“ გახლდათ. დაჯილდოებული იყო წმინდა ეკატერინეს ორდენით, ცოლად ჰყავდა მეფე ერეკლე II-ის ქალიშვილი – ანასტასია ბატონიშვილი. თავად რევაზის ძმა ელიზბარ ერისთავი დიდი პოლიტიკური ფიგურა იყო. იგი ერეკლე II-ის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდა, რის გამოც ქართლიდან გააძევეს. იმერეთში დასახლებულმა ქსნის ერისთავმა დიდი პატივისცემა და გავლენა მოიპოვა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის კარზე. მან ცოლად შეირთო მეფის ქალიშვილი მარიამ ბატონიშვილი, მაგრამ სოლომონ II-ის გამეფების შემდეგ მას იმერეთის დატოვებაც მოუხდა. იგი ჩინით პოდპოლკოვნიკი გახლდათ. ლუარსაბ ერისთავიც სახელმწიფო სამსახურში იყო და მასაც პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდება ჰქონდა. მათი უმცროსი ძმა არქიმანდრიტი ბესარიონი ალავერდის ტაძრის წინამძღვარი იყო. თავად გიორგი ყულარაღასის ერთადერთი ქალიშვილი – ანა კი მეფე ერეკლე II-ის რძალი გახლდათ. 1795 წელს ანა ერისთავი ცოლად გაჰყვა მეფის ვაჟს – ფარნაოზ ბატონიშვილს.

ყულარაღასის შვილიშვილს შალვა რომანოზის ძეს (1802-1877 წწ.) ცოლად ჰყავდა ეკატერინე ასლანის ასული ორბელიანი (ყაფლან ორბელიანის დისწული), მათ შეეძინათ 7 შვილი: თამარი, ქეთევანი (ელიზბარ ერისთავის მეუღლე), რევაზი, სოფიო, ელენე, ნინო და ზაქარია.

შალვა რომანოზის ძე ერისთავი 1850 წელს რუსეთის იმპერიის მიერ აღიარებულ თავადთა სიაშია. ის ჯერ კიდევ „კოლეგიის მდივანი", ხოლო მოგვიანებით „ტიტულარული მრჩეველი" გახლდათ, რაც მე-9 საფეხურის მოხელის თანამდებობას ითვალისწინებდა რუსულ სახელმწიფო მმართველობაში. შალვა ერისთავის მფლობელობაში შედიოდა დუშეთისა და გორის მაზრის დაახლოებით 400 კომლი გლეხი და აზნაური.

მისი ვაჟი რევაზ შალვას ძე ერისთავი პოეტი და მთარგმნელი იყო. განათლება თბილისის რაევსკის პანსიონში მიიღო. მთავარმართებლის ბარიატინსკის დროს შევიდა სამხედრო სამსახურში. ახალციხის ომში დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის ჯვრით. შემდეგ გადავიდა სამოქალაქო სამსახურში. XIX საუკუნის 50-60-იან წლებში თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკარში". პოპულარობით სარგებლობდა მისი ლექსები „ბიძაჩემს ყაფლანს" და „ყაფლან ორბელიანს". რევაზმა თარგმნა პუშკინის, ლერმონტოვის და ჟუკოვსკის ნაწარმოებები, კოზლოვის პოემის „შეშლილის" მისეული თარგმანი მკაცრად გააკრიტიკა ი. ჭავჭავაძემ ჟურნალ „ცისკარში". *„წირპლიანი კაზლოვის ლექსი არ იყო ღირსი თარგმნისა"* და სხვა. რევაზ ერისთავს გამოესარჩლნენ სხვა მწერლები, მათ შორის ბარბარე ჯორჯაძე, რომელიც უქებდა რევაზ ერისთავს ენას. სწორედ ეს გახდა საფუძველი მამათა და შვილთა ბრძოლის დაწყებისა 60-იან წლებში.

რევაზ ერისთავმა ცისკრის მომდევნო ნომერში საპასუხო წერილი დაბეჭდა „პასუხი თავად ი. ჭავჭავაძის კრიტიკისა", რასაც ისევე დიდი ილიას პასუხი მოჰყვა.

რევაზი გარკვეული დროით მეთაურობდა გორის მაზრას. მას ცოლად ჰყავდა ნინო ესტატეს ასული ერისთავი (1836-1971, მანანა ორბელიანის ძმისშვილი). ქსნის ერისთავებს თანაცხოვრებით შეეძინათ თორმეტი შვილი:

1. ალექსანდრე – 1858-1906, პოლიციის როტმისტრი. უცოლო.
2. მარიამი – 1859-1861.
3. გიორგი – 1860-1861.
4. მიხეილი – 1861-1924, ქარალეთის უკანასკნელი ერისთავი.
5. ანასტასია – 1862-1942, დიმიტრი ამილახვარის მეუღლე.

6. დავითი – 1863-1865.

7. ნიკოლოზი – 1865-1871.

8. ივანე – 1866-1868.

9. ეკატერინე –1867-1940.

10. ელისაბედი – 1867-1942, ვახტანგ (ვასილ) გიორგის ძე ბარათაშვილის მეუღლე.

11. შალვა – 1868-1936 (მეუღლე ელისაბედ დავითის ას. ერისთავისა) **ბოლო მფლობელი ქვენიფნევისა**.

12. მარიამი – დაიბ. 1870 წ.

რევაზის ქალიშვილი ანასტასია (1862-1942 წწ.) – ამილახვრის მეუღლე, მამაზე წერს: *„ზამთარ-ზაფხულ სცხოვრობდა თავის მამულში – კარალეთში და იქიდან დაიარებოდა სამსახურში, მამაჩემი რევაზი იყო თავდაჭერილი, დიდი მოთმინების კაცი. მისი მიმართულება საერთოდ უფრო ლიბერალური იყო. ოჯახში ის ძალიან მოსიყვარულე იყო. შვილებს დიდი ყურადღებით გვექცეოდა და გვზრდიდა. ყველა ჩვენგანს სათანადო სწავლა მოგვცა. ჩვენ ვიყავით ექვსნი* (ხუთი შვილი გარდაცვლია მცირე ასაკისანი. ვ. ქ.) *ვაჟებმა მიიღეს უმაღლესი სამეურნეო განათლება ქალები ვსწავლობდით სახლში. ვიცოდით ფრანგული, ნემცური და რუსული.... მამაჩემი იყო შვილის შვილი მეფე ერეკლე მეორის ასულის ანასტასიასი. დედაჩემი იყო ნინო ესტატე მირმანოზის ძე ერისთავის ასული. იმას ჰქონდა დამთავრებული თბილისში წმინდა ნინოს სასწავლებელი“.*[1]

კარალეთის ცნობილ ერისთავთა სასახლეში ჩვეული ქართული თავადური სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა შალვა (შალიკო) რევაზის ძე ერისთავი (1868-1936 წწ.). იგი უმცროსი ვაჟი იყო თერთმეტ და-ძმას შორის. მსახურობდა ოფიცრად ტვერის ცხენოსანთა პოლკში. 1896 წელს შალვა თავს ანებებს სამხედრო სამსახურს და ბრუნდება კარალეთში, თავის მამულში, მოგვიანებით საცხოვრებლად გადადის სოფ. ოძისში დავით და გიორგი ერისთავების სახლში, ვინაიდან მისი მეუღლე ელისაბედი მშობლების ერთადერთი შვილი და მემკვიდრე იყო. ნუ დაგვავიწყდება, რომ შალვას პაპა შალვა (1802-1877 წწ.) რევაზის ძე ერისთავი თავის დროზე კარალეთში გადასული ჩანს ოძისიდან. როგორც ელისაბედ ელიზბარის ას. ერისთავი იგონებს *„შანშე* (პაპა ელისაბედისა. ვ. ქ.) *მისი ძმა თორნიკე და გიორგი „დიდი კნიაზი“, „ტავრიჩესკი“ (თავრიზელი) კარალეთში იყვნენ ბინადრად. მაგრამ ესეც კი ვიცი დედაჩემისგან, რომ გაიყარნენ ოძისიდამ, რომ გადმოსახლდნენ შალვა დაბინავდა*

[1] გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, ფონდი 13213-ბ.

*კარალეთში წყაროს ახლო ბურჯში. .... ასე რომ ვგონებ ბიძა ჩემმა ანუ პაპა ჩემმა შალვამ მერე შეისყიდა პაპაჩემ შანშესგან იმიტომ, რომ ეხლაც არის ერთი დოკუმენტი რომლისგანაც ჩანს რომ წისქვილი ბიძაჩემ გრიგოლმა მამაჩემის ძმამ მიჰყიდა ბიძაჩემს რევაზს... ეტყობა რომ ძალიან ერთობა ექნებოდათ პაპა ჩემ შანშეს ოჯახს და პაპაჩემ შალვას ოჯახობას".*[1]

სახელოვანი ქსნის ერისთავების შთამომავალი შალვა რევაზის ძე ჯერ კიდევ სამხედრო სამსახურში ყოფნისას ქორწინდება ელისაბედ დავითის ასულ ერისთავზე. ჯვრისწერას, რომელიც გაიმართა 1893 წლის 12 სექტემბერს გორის სობოროს ეკლესიაში, აგვიწერს ელისაბედ ელიზბარის ასული ერისთავი. რაც ძალზე საინტერესოა XIX საუკუნის 90-იანი წლების ქართველ თავადთა ქორწილის გასააზრებლად. გორის სობოროში (იქ, სადაც დაკრძალული იყო 1832 წლის შეთქმულების მოთავე ე. შ. ერისთავი) ჯვრისწერაზე მისულნი კარალეთში საქორწინო სუფრაზე ეტლებით მიდიან და იმართება თავდავიწყებული უდარდელი ქეიფი და ლხინი, რაც იმ დროის ქართველთა ერთ-ერთი თვალშისაცემი თვისება იყო: *„დიდი მზადება, მოძრაობა და ხმაურობაა კარალეთში, მისთვის, რომ თავადი რევაზ შალვას ძე აქორწილებს თავის უნცროს შვილს შალვას. ჩვენი დიდი დრამატურგის გიორგი ერისთავის შვილიშვილზე დავითის ქალზე ელიზავეტა დავითის ასულ ერისთავზე. ეს ქორწინება ორი ოჯახის სანატრელი იყო და დავითის ანდერძიც. რადგან ამ ერთი ქალის მეტი ვაჟიშვილი არ ჰყავდა... ბიძაჩემმა რევაზმა შეიყვანა თავისი შვილი სასტუმრო ოთახში სადაც ესვენა დიდი ღვთაების ხატი და ამით დალოცა და დაარიგა... შემდეგ შალიკო გავისტუმრეთ კარეტით გორში სადაც საცოლე უნდა მოეყვანათ, ნათესაობაც იქ უნდა დახვედროდათ და გორის დიდ სობოროში უნდა მომხდარიყო ჯვრის წერა. მართლაც დიდძალი ხალხი დაესწრო ჯვრის წერას. თბილისიდან მოვიდნენ ყველა ნათესაობა: ამილახვრიანი, ერისთავიანი, ორბელიანი, ბაგრატიონ-გრუზინსკები, ჭავჭავაძეები. რასაკვირველია ქალის მხრიდან დედა და დეიდა, ნიკოლოზ ბიძინას ძე ერისთავი და მისი სახლობა. ბიძა დავით სარაჯიშვილი. ლევან მელიქიშვილის უფროსი ქალი რომელმაც წამოიყვანა პარიკმახერი გარეგუარი, თბილისში განთქმული თავის ხელოვნებაზე. ვინც თბილისიდან მოვიდა ან იბარებდნენ დასავარცხნად ან თვითონ მიდიოდნენ. ბევრი ანეტა ჩემს ბიძაშვილთან ესეივი ამილახვრისას ჩამოხტნენ საყ-*

[1] ლიტ. მუზეუმის ფ. 13260-ბ.

დარში წასასვლელად იქ იცვავდნენ და პრიჩოსკებს იკეთებდნენ. მოვიდა თბილისიდან კონა ერისთავის ელენე გიგო თარხან-მოურავის ცოლი თავისი მშვენიერი ქალებით. მოვიდნენ წარჩინებული ოჯახობა ალიხანაანთი. ჯვრისწერის შემდგომ ყველანი ეტლებით გაემგზავრნენ კარალეთისაკენ. გორიც აქა-იქ მაშხალებით იყო განათებული აგრეთვე ამილახვრიანთ ხიდი. გორს რომ გასცილდნენ და კარალეთს მიუახლოვდნენ დაიწყეს მაშხალების სროლა.

კარალეთს რომ შევედით მთელი გორა რაზედაც დგას სასახლე განათებული იყო ჭრაქებით, ფარნებით და მაშხლებით... დიდი სასახლე იყო კარალეთში. თოთხმეტ დიდ ოთახამდე ასე რომ თავისუფლად მოთავსდებოდა სამასი კაცი. დიდ ეზოში რომელსაც ერტყა გარშემო გალავანი და ორივე მხრივ ეზოში იყო სამზარეულო, სახაბაზო, სხვადასხვა სასურსათო ოთახები. ყველგან გაისმოდა მოძრაობა და ხმაურობა. გუგუშვილი მაშინდელი გორის პრისტავი ძალზე მოხერხებული კაცი იყო ამისთანა დროს. ზოგან საკლავს ჰკლავდნენ და ფრინველს, ზოგან კარაქი იდღვიბებოდა, თაფლს იღებდნენ, ხილს და ღვინოებს ამზადებდნენ. თბილისიდან ორთქმავლით მოვიდა იაშჩიკებით შამპანსკი და სხვადასხვა ღვინოები და ტკბილეულობა. გუგუშვილმა შუა ეზოში მტევნებ მოსხმული ვაზების ფანჩატური გააკეთა და ხილის ლუსტრა ჩამოჰკიდა. ხალიჩებით შეიმკო და მოიფინა მთელი ფანჩატური მშვენიერი საზანდრის ხმა გაისმოდა..... ავედით თუ არა ტვერსკოი პოლკის მუზიკამ დაუკრა. იქ დიდძალი ხალხი დაგვიხვდა. შალიკოს (ნეფესი. ვ. ქ.) დედმამა იყვნენ, გუბერნატორი გიორგი შერვაშიძე და შალიკოს დეიდაშვილი მანია ჭავჭავაძის მეუღლე ვუკოლ იასანაპოლსკისა. დაუხვდნენ ხატებით და დალოცეს აგრეთვე ელისაბედის დედ-მამა. მაშინათვე მოსამსახურეებმა შემოარბევინეს შამპანსკები და ტკბილეული და დაიწყეს მილოცვა. რის შემდეგაც დაიწყეს ტანცაობა დიდ ზალაში, ფანჩატურში. ასევე ლეკურები და კინტაური. დიდი სიამოვნება იყო საზანდრის სიმღერაში. მერე გაიშალა ვახშამი და დილამდინ გაუთავებელი ლხინი იყო. მართლად გითხრათ საუცხოო საჭმელები იყო. რასაკვირველია თბილისიდან იყვნენ მოსული საუკეთესო პოვრები. მასალა ბლომათ იყო. ........... ბევრმა დილა გაათენა და ორთქმავლით დაბრუნდნენ თბილისში ბევრნი კიდევ დარჩნენ მეორე დღეს. სადილზე მეორე დღეს ბევრი სიმღერები იყო და ლექსების თქმა. ნიკოლოზ დავითის ძე ერისთავი ჩვენი თეატრალი მშვენივრად ამბობდა ლექსებს.

*ქორწილში გლეხკაცობისთვისაც რასაკვირველია ორი დღე სადილი და საუზმე კეთდებოდა...“*[1]

საინტერესოა ასეთი მდიდრული თავადური სუფრის პარალელურად როგორ ტარდებოდა საქორწილო სუფრა გლეხი კაცისა. შემორჩენილი პატარა ფრაგმენტი XX საუკუნის დასაწყისიდან. *„..... ლეკურები გაჩაღებულია ჩვენც მივედით. მთელს სოფელში გარმონიკა ორის მეტს არავის აქვს. დაირა კი თითქმის ყველას. დაირას პირით აყოლებენ:*

ტარილაკრუე ბუკნაჭო და,
სად გათხოვდი ბუკნაჭო და,
ვარიანში ბუკნაჭო და,
ვის მისთხოვდი ბუკნაჭო და,
ვანუასა ბუკნაჭო და,
ტარილაკრუ ბუკნაჭო და.
სხვაგან სხვები მღერობენ: „ვაი, ვაი ვართაპეტო
კუხნის კარი არ დაკეტო
გასაღები არ წაიღო
ვაი, ვაი ვართაპეტო...“
იქავ კიდევ: პაწაწინა ნიგვზის ტოტი
პაწაწინა ნიფხვის ტოტი და ასე შემდეგ...“[2]

როგორც ირკვევა, შალვას და ელისაბედის შეუღლება ადრიდანვე განზრახული ჰქონია დავითს. ასევე ვაჟის მშობლების დიდი ხნის სურვილიც ყოფილა. მათ შეეძინათ ხუთი შვილი: დავითი (1894-1979), ნინო (1895-1975), ელენე (1897-1990), რევაზი (დაიბ. 1902), გიორგი (1906-1967), მისი მეუღლე იყო ტატიანა ზაგიუ.

შალვას ქალიშვილი ნინო შესანიშნავი თერაპევტი და რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი იყო (სავარაუდოდ, „არამიანცის“ საავადმყოფოში), ხოლო მისი და ელენე – დოცენტი, პირველი სელექციონერი ქალი საქართველოში, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული ატმის „ერისთავის ვარდისფერის“ ჯიში. იგი გამოყვანილია გორის მეხილეობა-მებოსტნეობის სასელექციო სადგურში. ხიდისთაური ვარდისფერისა და ოქროს იუბილეს შეჯვარებით. უხვმოსავლიანია, ნაყოფი მსხვილია, სახრავი. კანი მოყვითალო-მოთეთრო ვარდისფრად შეფერილი, წვნიანი

[1] ლიტ. მუზეუმის ფ. 13261-ბ.
[2] იქვე, ფ. 13260-ბ.

მომჟაო-მოტკბო, საადრეო ჯიშია. ფართოდაა გავრცელებული აღმ. საქართველოში.

მწერალთა და დრამატურგთა შთამომავლის ელისაბედის სახელი უკავშირდება საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ გამოცემას. რაც შეეხება მის მეუღლეს – შალვას, სამწუხაროდ, მასზე მცირე ინფორმაციას ვფლობთ.

*„შალიკომ მონაწილეობა მიიღო თურქეთის ომში და დაჯილდოებული დაბრუნდა სახლში. შემდგომ დააპატიმრეს და წაიყვანეს დუშეთში. მისი იქ ყოფნისას დაიძახეს ქაქუცა მოვიდაო და ყველა ციხეები გააღეს, მაგრამ შალიკო არ გამოვიდა სატუსაღოდან. ბოლოს კი მაინც გაანთავისუფლეს. დაბრუნდა სახლში და გულის შეტევით გარდაიცვალა...“*[1] – ეს იყო 1936 წელს.

**ოძისში მცხოვრებ[2] ქვენიფნევის ბოლო მფლობელ ერისთავთა გენეალოგია**

გიორგი ყულარაღასი

|

რევაზი (რომანოზი) გ. 1813

|

შალვა 1802-1877

|

რევაზი 1828-1899

|

**შალვა** 1868-1936 ბოლო მფლობელი
ელისაბედ დავითის ას. ერისთავი 1875-1962

| **დავითი** | **ნინო** | **ელენე** | **რევაზი** | **გიორგი** 1906-1967 |
|---|---|---|---|---|
| 1894-1979 | 1895-1975 | 1897-1990 | 1902-1968 | ტატიანა ზაგიუ (ფრანგი) |
| უცოლო | მანანა ერისთავი დაბ. 1936 წ. გაუთხოვარი | გაუთხოვარი | უცოლო | 1913-1997 უშვილოები |

1 ლიტ. მუზეუმის ფ. 13261-ბ.

2 შალვა და ელისაბედი შეუღლების შემდეგ კარალეთიდან საცხოვრებლად გადავიდნენ სოფელ ოძისში, შემდეგ კი თბილისში.

## მიხეილ რევაზის ძე ერისთავი
### (კარალეთში მცხოვრები უკანასკნელი ერისთავი)

**გიორგი ყულარაღასი**

რევაზი (რომანოზი) – გარდ. 1753-1814 წწ.

შალვა (1798-1854)
ეკატერინე ორბელიანი

რევაზი (მთარგმნელი, 1828-1899)
ნინო ესტატეს ას. ერისთავი – ქსნის 1836-1871

- ალექსანდრე 1858-1906 — მარიამი
- გიორგი
- **მიხეილი** 1861-1924 — ელენე ივანეს ას საგინაშვილი
- ანასტასია ამილახვრისა 1863-1942
- ნიკოლოზი (1865-?) — დავითი
- შალვა 1868-1936 — ივანე
- მარიამი
- ეკატერინე 1867-1940
- ელისაბედი ბარათაშვილისა 1866-1942

**მიხეილი** 1861-1924 — ელენე ივანეს ას საგინაშვილი:

- **ეკატერინე** 1898-1961 გაუთხოვარი
- **ნინო** 1900-1974 ივანე ვლადიმერის ძე მაყაშვილი
  - **რევაზი**
    - **გიორგი**
- **რუსუდანი** 1902-1939 გაუთხოვარი
- **რევაზი** (რომანი) მოკლეს მამასთან ერთად 1924 წ. ტირიფონის ვაკეზე

რევაზის (მთარგმნელის) და ნინო ერისთავების ვაჟი მიხეილი კარალეთში, ერისთავების საგვარეულო სასახლეში დაიბადა 1861 წელს (ზოგი მონაცემით, 1862 წ.). დაწყებითი განათლება კერძო პანსიონატში მიიღო, შემდეგ კი უკრაინაში იმ დროისთვის ცნობილ და პრესტიჟულ უმანის სასწავლებელში განაგრძო სწავლა, რომელიც 1884 წელს დაამთავრა და პირველი თანრიგის ატესტატიც მიიღო. სამშობლოში დაბრუნებისას სოფელ კარალეთში თავად ერისთავების მამულში დაიწყო სოფლის მეურნეობისა და წარმოების განვითარება. მას საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებთან, რის შედეგადაც მისი უშუალო ხელმძღვანელობით გამოყვანილი იქნა ხეხილისა და ვაზის ახალი ჯიშები. *„მიხეილ ერისთავი იყო პირველი, რომელმაც გორის მაზრაში ამერიკული ჯიშის ვაზის საძირეთა სადედე შექმნა და სანერგე მეურნეობაც მოაწყო. კარალეთში სუფრის ყურძნის ქართული და უცხოური სახე-*

*ობები გააშენა და ვაზის ჯიშების მრავალფეროვანი კოლექცია შექმნა. მიხეილ ერისთავმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი საქართველოში დიდი პომოლოგიური ბაღის შექმნას. თოთხმეტ დესეტინა ფართობზე გააშენა ხეხილის ყველა ინტროდუცირებული ჯიშის სახეობა. ნერგები და სანამყენე მასალა მიხეილს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოქონდა და ამ საშვილიშვილო საქმით ხელს უწყობდა ჩვენში გავრცელებული ხეხილის კულტურათა გამდიდრებას. საკოლექციო ხეხილი წარმოდგენილი იყო ისეთი მრავალჯერი ჯიშებით, როგორიცაა – ვაშლის: კალვილი თეთრი, კალვილი წითელი, შემოდგომის, კალვილი სააღდგომო, რენტი რუხი ფრანგული, რენტი შამპანური, რენტი ანანასური, პარმენი ზამთრის ოქროსფერი, სარი-სინაპი, კალდილი-სინაპი, როზმარი თეთრი.*

*მსხლის: ბურე-ბოსკი, მიკადო, დეჰანი ზამთრის, ბერე-ჰარდი, ქართული გულაბი და სხვ.*

*ბლის: დროგანის ყვითელი, ნაპოლეონი, ქართული შავი.*

*ქლიავის: რენკლოტი მწვანე, რენკლოტი ალტანის, იტალიური უნგრულა, ჩვეულებრივი უნგრულა, ჭანჭური და სხვა. პომოლოგიურ ბაღში ყვაოდა ვარდის, იასამნის, ქრიზანთემის, გიორგინის იშვიათი ჯიშებიც“.*[1]

უკრაინიდან დაბრუნებისთანავე მიხეილ რევაზის ძემ კარალეთში მოაწყო წყალზე მომუშავე სალეწი მანქანა და საფუტკრეები – კარალეთსა და ღვარებში, რაზეც კონსულტაციებს აძლევდა რუსი მეფუტკრე ტიხომიროვი. ევროპული ცოდნით შეიარაღებულმა ახალგაზრდა აგრონომმა კარალეთში მოაშენა შვეიცარიული ჯიშის ძროხები. შესაბამისად, რძე გადაჰქონდათ გორში და მუშავდებოდა სათანადოდ. ასევე სოფლად მოაშენა ტამბოვის საბეკონე ჯიშის ღორები. მისდევდა მეფრინველეობას. შეიძინა და გაამრავლა ოთხი სხვადასხვა ჯიშის ქათამი, ხოლმოგორული ბატები, ბრინჯაოს ინდაურები.

მიხეილის შვილიშვილის რევაზ მაყაშვილის თქმით, *„ერისთავი იყო მრავალი სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე. წარდგენილი ექსპონატებისთვის 1913 წლის 9 მაისს ქ. გორში რუსეთის საზოგადოსაოჯახო მეურნეობის მიერ ორგანიზებულ გამოფენაზე მიიღო ოქროს მედალი ე. წ. ბრინჯაოს ინდაურის წარდგენისათვის“.*[2] თავად მიხეილ ერისთავს გუბერნიის მდივნის თანამდებობა ეკავა. მისი მეუღლე იყო გენერალ-მაიორის ივანე საგინაშვილის ქალიშვილი ელენე. იგი ფრიად

[1] თხევადი მზის ქვეყანა, თბ., 2012.

[2] მაყაშვილი რ., „მამა-შვილ ერისთავების ტრაგედია“, გაზ. „ახალი საქართველო“, 1998, აგვისტო, სექტემბერი-ოქტომბერი.

განათლებული ქალბატონი გახლდათ. კარალეთში ერისთავებს ჰქონდათ მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელსაც ელენე მუდმივად ავსებდა უცხოეთიდან გამოწერილი ლიტერატურით. იმ დროისთვის ერისთავების ბიბლიოთეკით ქართველი არისტოკრატია სარგებლობდა. ელენე ერისთავი ევროპიდან იწვევდა მასწავლებლებს შვილების აღსაზრდელად. კარალეთსა და გორში ხშირად იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, რომელთაც ელენე საგინაშვილი ედგა სათავეში. დროთა განმავლობაში ამ შეხვედრებმა სალონური ხასიათი მიიღო. თბილისიდან ჩადიოდნენ ცნობილი პოეტები, მწერლები, მხატვრები და მომღერლები. თავად ელენე კარგი მუსიკოსი იყო. აღნიშნულ საღამოებზე უკრავდა ბახის, მოცარტისა და ბეთჰოვენის ნაწარმოებებს. კარალეთელი ერისთავები თავიანთი შემოქმედებით, ქველმოქმედებითა და კაცთმოყვარეობით მოსახლეობაში დიდ პატივისცემასა და მადლიერებას იმსახურებდნენ. ერთი ადგილობრივი გლეხის თქმით, *„ისეთი მოწყალე ბატონი გვყავს, აი სახლები იმისია, გორაზე რომ დგას, რომა შეწუხებული კაცი რომ ნახოს პირიქით თავისას დააყრის და მოგცემს. მერე ეხლა რაც ბატონიშვილი მოვიდა სწავლიდამ* (მიხეილი. ვ. ქ.) ... *აბა შენ თქვი! ისეთი კართოფილი მოჰყავს რო შენი მოწონებული. რას არა მუშაობს. თავის ხელით ჰყიდის ხოლმე გორის სასწორზე ყველაფერსა. ღმერთო ასეთი ღვთისნიერი ადამიანია! ჩვენ მაგის ხელში სულ არა გვიშავს-რა. ისე ტკბილად, ძმურად გვექცევა, ისე ყველაფერი ემეტება ჩვენთვინა, რომ ძმა ძმისთვინ არ გაიმეტებს და მამა შვილისთვინა...“*[1]

ერისთავის ამ დახასიათებიდან გადის ოც წელზე მეტი. კარალეთში ისევ მიხეილ რევაზის ძეა მებატონე. საინტერესოა, 1905 წლისთვის ბატონზე რა აზრისანი არიან ადგილობრივი გლეხები: *„... 23 მარტს შუა სოფელში ცეცხლი გაჩნდა მაშინვე ასტყდა განუწყვეტელი ზარის რეკვა. ხალხის წივილ-კივილი ბღავილი და ყეფა ოთხფეხთა. მომეტებული ნაწილი ხალხისა ბეგარაზე იმყოფებოდა. დანარჩენი ბაღ-ვენახებს იყო მოდებული. საბედნიეროდ მშველელად მოევლინა სოფელს თავადი მ. რ. ერისთავი, რომელიც სასწრაფოდ მიიჭრა თავის მოსამსახურეებით. მამასახლისი ილია ბუხრაძე გაშმაგებით ებრძოდა ცეცხლს. თორმეტი კომლი ამოიბუგნენ თავიანთ სარჩო საბადებელით, რომელთაც თავადმა მ. რ. ერისთავმა სხვა დახმარების გარდა, აღმოუჩინა შემწეობა ჭირნახულით, თქვენი მტერი, რომ ერისთავი და მამასახლისი არ შესწრებოდნენ იმ განწირულებს“.*[2]

---

1 გაზ. „დროება“, 1884, № 148, გვ. 3.

2 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2772.

დღევანდელი კარალეთის ხანდაზმულ მოსახლეობას კიდევ ახსოვთ თავისი პაპა-ბიძების მონაყოლი ქსნის ერისთავიანთ ბატონზე – მიხეილზე. ჩვენი ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, გორზე მხცოვრები *„ბატონი ხშირად ეტყოდა ხოლმე თავის მოურავს, საღამოს გახედე, რომელ სახლიდანაც სინათლე არ გამოდის ნავთი მიუტანეო".*[1]

საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, XX საუკუნის დასაწყისიდან აშკარად დაიწყო რევოლუციურად განწყობილ საეჭვო ელემენტებისაგან პრივილეგირებულ ქართველ თავად-აზნაურობაზე თავდასხმები, მკვლელობები, ქონების ტაცება, სახლ-კარის გადაწვა და სხვა ქმედებები.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ერისთავების ნიჭიერ, სამშობლოს ერთგულ თავადთა გარკვეული ნაწილი ემიგრაციაში გაემგზავრა. სამშობლოში დარჩენილთა ნაწილი კი, რომელიც ცდილობდა ადამიანთმოძულე საბჭოთა ხელისუფლებასთან შეგუებას გაჭირვებით, ძალზე შეურაცხმყოფელ ვითარებაში ახერხებდა ცხოვრებას. თუმცა საქართველოს ოკუპაციის შემდგომმა დრომ აჩვენა, რომ ერისთავიანთ ეს ნიჭიერი, ევროპულად განათლებული, უცხო ენების მცოდნე ინტელიგენციის თვალსაჩინო ნაწილიც ნელ-ნელა განადგურებულ იქნა სპეცრაზმელებისაგან. 1900-20-იან წწ-ში ქართლში და კერძოდ კარალეთში ძალზე დაძაბულია სიტუაცია. წითლების რიგებში „წმენდის" შემდეგ დარჩენილი აქტივისტები დღედაღამ ცხენზე ამხედრებულები მიდი-მოდიან და იცავენ საბჭოთა ხელისუფლებას და ხალხის მონაპოვარს.

კარალეთში მცხოვრები ერისთავი, რომელიც მამასავით ზრუნავდა სოფლის გაჭირვებულ გლეხებზე, ძლიერ შეწუხებულია. ეგრეთ წოდებულ წითელრაზმელებისაგან გრძნობს მოახლოებულ ხიფათს. მადლიერი გლეხებიც აფრთხილებდნენ, დახმარებასაც სთავაზობდნენ, ბოლოს, კეთილმოსურნეთა თხოვნით, მიხეილი თავისი ცოლ-შვილით დროებით ტოვებს კარალეთს და მიემგზავრება ძმასთან – შალვასთან, რომელიც ცხოვრობდა სოფ. ოძისში მეუღლესთან ელისაბედ დავითის ასულ ერისთავთან. სწორედ თავიანთი ქალიშვილის ნინოს გაბედნიერებაც უნდა აღენიშნათ. იგი ცოლად გაჰყვა ივანე მაყაშვილს. სახეშეშლილი „წითელრაზმელები", კარალეთიდან წამოსულ ერისთავს კვალდაკვალ გამოყოლიან, ოძისში თავს დასდგომიან და საქმის გასარკვევად თავისივე ეტლით ისევ კარალეთში წაუყვანიათ. მიხეილს სიმართლის დასადგენად თან გაჰყვა თავისი ოცი წლის ვაჟი – რევაზი (რომანი), რომელიც

---

[1] მთხრობელი ვაზაგაშვილი ვახტანგ მიხეილის ძე, დაბ. 1933 წ. ჩაწერილი 2008 წლის 25 ივლისს სოფ. კარალეთში.

აგრონომიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი იყო. გზად ტირიფონის ვაკეზე, კოდისწყაროსთან ახლოს, წითელრაზმელებმა ავაზაკურად დახოცეს მამა-შვილი მიხეილი და რევაზი.

კარალეთელი გლეხების თქმით, *„საცოდავი ბატონი შეხვეწნია რაზმელებს ოღონდ ჩემი შვილის სიკვდილს ნუ მაყურებინებთ ჯერ მე მომკალითო“*. მაგრამ ამ კეთილბუნებოვან ძირძველ ქართველ თავადს ერთი უკანასკნელი თხოვნაც კი არ შეუსრულეს იმ არაქართული წარმოშობის ვიგინდარებმა, ძალზე გულსატკენია ის ფაქტი, რომ მამას ძალით აყურებინეს შვილის წამება და სიკვდილი, შემდეგ მასაც ტყვიით გაუხვრიტეს შუბლი.

ეს „ახალი საქართველოს მაშენებელი“ წითლები გახლდნენ, კარალეთის მკვიდრნი: 1. ბაზანდარიშვილი, 2. ტერტერაშვილი, 3. ხარბეგაშვილი ბერუა.

ამ ტრაგედიის შემდეგ მიხეილის ოჯახი – მეუღლე ელენე საგინაშვილი და შვილები ეკატერინე, ნინო და რუსუდანი კარალეთიდან თბილისში გადავიდნენ საცხოვრებლად. ამ დროს განადგურდა დიდი ტრადიციული ოჯახის არქივი და ბიბლიოთეკა. ერისთავების ოჯახი შეიკედლა ელენეს დამ – ბარბარე საგინაშვილ-მაყაშვილისამ. მათი ოჯახი ვერაზე, მელიქიშვილის (ძველი წყნეთის ქ. № 13) ქუჩაზე ცხოვრობდა.

ალბათ ყველასთვის საინტერესოა, რა ბედი ეწიათ კარალეთში მცხოვრებ იმ ცოდვის შვილებს, რომლებმაც გზაში არაადამიანურად, დაუმსახურებლად დახოცეს მამა-შვილი ერისთავები. კარალეთში ხალხს დღესაც ახსოვთ, თუ რა მიზეზით „გადაქარდნენ“ ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში ქრისტეს მაწყევარნი.

ბაზანდარაშვილს – როგორც გვითხრეს, სხვენზე შემოდებულ თავისსავე ბავშვობის დროინდელ აკვანზე ჩამობმულ თოკით თავი ჩამოუხრჩვია.

ტერტერაშვილმა – იმ უბედურებიდან კარგახანს იცოცხლა. ჯერ გააციმბირეს, მოგვიანებით კი კლინიკური სიკვდილის შემდეგ შეშლილი ქუჩა-ქუჩა ხეტიალში უპატრონოდ გარდაიცვალა. მალევე რაღაც ხიფათით მომკვდარა.

ხარბეგაშვილი ბერუკა კი, რომელიც ძალზე აგრესიული და დაუნდობელი კაცი ყოფილა, კომუნისტებს თავისი რიგების წმენდისას დაუხვრეტიათ. გადმოცემით, ამ ამბის შემდეგ ამ გვარის კაცები ვეღარ ბედავდნენ თბილისის „არამიანცის“ საავადმყოფოში მისვლას და მკურნალობას, რადგან იქ ექიმად უმუშავია ნინო შალვას ასულ ერისთავს, რომელიც შესაძლებელია მართლაც არ მორიდებოდა შურისძიებას.

თბილისში, მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ელენე საგინაშვილმა თავისი მუსიკალური ნიჭი გამოიყენა და მუშაობა კინოთე-

ატრში დაიწყო. საღამოობით მისი აკომპანიმენტის ქვეშ მიმდინარეობდა მუნჯი ფილმების ჩვენება, რაშიც მცირე გასამრჯელოს იღებდა და ამით ირჩენდა თავს. ქმრისა და შვილის დახვრეტის შემდეგ მის თვალზე ცრემლი არავის უნახავს. იგი ძლიერი პიროვნება იყო, თავისი თავდაჭერით ოჯახს ამხნევებდა და მომავლის იმედს უნერგავდა.[1] არსებობს ვალერიან გაფრინდაშვილის მოგონება. მას ქალბატონი ელენე კოჯრის გზაზე უნახავს, რომელიც ტირილით იოხებდა გულს.

მიხეილისა და ელენეს უფროს ქალიშვილ ეკატერინეს ოჯახი არ შეუქმნია. იგი გახლდათ ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ფილოპათოლოგიის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოში. ეკატერინე თავისი დის, ნინოს რეპრესირებულ ოჯახს ეხმარებოდა შვილების ივდითისა და რევაზის აღზრდაში.

ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, გალაკტიონმა თავისი ლექსი „გაგონდება თუ არა კარალეთის დღეები" ეკატერინე ერისთავს მიუძღვნა.

„გაგონდება თუ არა
კარალეთის დღეები,
მთების ლურჯი კამარა
უცხო სამოთხეები?
კიდევ შეგრჩა თუ არა
მხიარული თვალები?
თუ დრომ გადაუარა
და ჩაუქრო ალები?
მივდიოდით მხარდამხარ
და დრო გვეუარესა
აწ არ ვიცი, სადა ხარ
და რომელსა მხარესა."

*1918*

ეკატერინე გარდაიცვალა 1961 წელს. შუათანა და ნინო – 1974 წ., ხოლო უმცროსი და რუსუდანი, რომელიც სპეციალობით არქიტექტორ-მხატვარი იყო, მუშაობდა გ. ჩუბინაშვილთან ძეგლების აღდგენაზე. რუსუდანმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე 1938 წელს. მისი ნახატები მისივე ოჯახის წევრებმა გაანადგურეს რეპრესიების დროს კომუნისტების შიშით. მაყაშვილების ოჯახს შემორჩა რუსუდანის მხოლოდ ორი ნამუშევარი.

[1] „მოგონებები ქსნის ერისთავებზე", იხ.: გაზ. „ახალი თაობა", 2001 წ. 18 თებერვალი.

# თავი XX

## ტყვიავი

*„სოფელი ტყვიავი შემკობილია მამულ-ადგილით; მაგრამ საძოვარი ნაკლებად არის; ამის გამო პირუტყვი გამხდარია; საღამოზე ისრე უნდება ჭმევა როგორც ზამთარში. ხალხიც ძალიან ღარიბად ცხოვრობს (მე ვამბობ გლეხობაზე), რადგან მამული მეტის წყლისაგან გარეცხილია, დედამიწას გამოლევია ძალა, რომელიც თხოულობს შევსებას, მაგრამ გლეხობას ულონობის გამო ვერ გააქვს მინდვრად სასუქი. წყლის სიუხვის გამო აქ მრავლად მოჰყავთ სიმინდი. რომელიც ძრიელ კარგი მოდის....“.* ასეთ ინფორმაციას გვაწვდის 1884 წლის (№154) გაზეთი „დროება“ ქართლის ერთ-ერთ უმშვენიერეს სოფელზე, სადაც გლეხ-აზნაურებთან ერთად ცხოვრობდნენ ქსნის ერისთავები. კერძოდ, ლევან ლუარსაბის ძე ერისთავის ვაჟები: ლუარსაბი და მიხეილი.

ლუარსაბ ერისთავი 1890 წელს 27 წლის ასაკში დაიღუპა ლეკებთან ბრძოლაში. უმცროსი ვაჟი მიხეილი (შინაურობაში სიფთა) ფიცხი და ემოციური კაცი ყოფილა.

მის გაუგონარ სიფიცხეზე მიგვანიშნებს ხალხში შემორჩენილი ერთი ზეპირი გადმოცემა: ქსნის ერისთავებიდან ბევრ მათგანს მთებში მემკვიდრეობით, ნასყიდობით ან იჯარით მფლობელობაში ჰქონდა ზაფხულის საძოვრები, მათ დასახედად და საპატრონოდ ხშირად დაიარებოდნენ ბატონები. ერთ-ერთი მორიგი გასვლა მოაწყვეს ტყვიაველმა მიხეილ ერისთავმა და ახალგორელმა გიორგი (ჟორჟიკა) ერისთავმა. მათი მიზანი იყო ყელის ტბის მიდამოებში საძოვრების საკითხის მოგვარება, მიჯნების დადგენა და საბალახეს აღება ჟამურლებისაგან. სხედან ცხენებზე, მიდიან და მისაუბრობენ. მივიდნენ თუ არა ქარჩოხში, „ფოცხვერაანთ მინდორზე“, ტყვიაველი ერისთავი ეკითხება ახალგორელს:

– გიორგი, ახლა რომ შენ ათასი თუმანი იპოვო გზაზე, რას იზამ?

– რას ვიზამ, ჩამოვხტები ცხენიდან, ავიღებ და ჩავიდებ უბეში.

– მერე?

– მერე და გამოვბრუნდები შინისაკენ, აბა, ამოდენა ფულს თან ხომ არ ვატარებ?

– მე არას მომცემ?

– შენ რაში უნდა მოგცე, ფული ხომ მე ვიპოვე....

ამის გამგონე მიხეილმა არც აცია, არც აცხელა, მოაბრუნა ცხენი და გამობრუნდა უკან.

– მიხეილ საით, რას ჩადი?

– შენც შეგარცხვინე და ისიც, ვინც ამის მერე შენთან გაიაროს, ფული არ გიპოვია, არ მაძლევ, რომ გეპოვა, მაშინ ხომ სულ არ მომცემდი და დაბრუნდა შინ. როგორ, იმ ათას თუმნიდან ნახევარი მე არ მეკუთვნოდაო, – ჯავრობდა თურმე.

ტყვიავში ცხოვრობდა აგრეთვე ლუარსაბ და მიხეილ ერისთავების ძმისშვილი ლუარსაბ ალექსანდრეს ძე.

**გიორგი ყულარაღასი**



# თავი XXI

## გორი

შიდა ქართლის გულში მდებარე ქალაქ გორის ისტორიული მნიშვნელობა ძველთაგანვე მეტად დიდია. საუკუნეთა განმავლობაში იგი იყო საქარავნო გზის ერთ-ერთი სატრანზაციო პუნქტი და საბაჟო.

ქართლის ამ მნიშვნელოვანი პუნქტიდან ჩრდილოეთით, კარალეთიდან მთელი გვერდისძირის ჩათვლით, ადრე შუა საუკუნეებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე ეპატრონებოდნენ და ხელს დებდნენ ამაყი ქსნის ერისთავები და მათი შთამომავალნი. მათდამი ქართლის ამ დიდი რეგიონის ფლობის უპირატესობის გამოხატულებაა გორიდან 25 კმ-ზე მდებარე საგვარეულო საძვალე იკორთა, ამბიონი მათი კულტურულ-რელიგიური ყოფიერებისა, აისი და დაისი მათი საგვარეულო შარავანდედისა.

ძნელი სათქმელია, როდის დასახლდა ქსნის ერისთავების პირველი წარმომადგენელი ქალაქ გორში. ერთი კი ცხადია, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებიდან თითქმის მთელი ქართლის თავად-აზნაურობა გორშია თავმოყრილი. მანამდეც მრავლად ცხოვრობდნენ იქ ერისთავები, რადგანაც ზოგი სამხედრო და ზოგიც სამოქალაქო სამსახურით იყო დაკავებული. ერისთავების გვერდით დიდებულ სასახლეში ცხოვრობდნენ სხვა ქართველი თავადებიც. მათგან აღსანიშნავია გენერალ-ადიუტანტი ივანე გივის ძე ამილახვარი. ცნობილია, რომ მათი გვარიდან საუკუნეების მანძილზე გორის მრისხანე მოურავებიც იყვნენ. მათ ევროპული ყაიდის სახლი საკუთარი მინიელექტროსადგურით ჰქონიათ განათებული, რომელიც ბაღთან, მდინარე ლიახვის ფშანზე წმინდა წყლიდან გადმოყვანილ არხზე იყო მოწყობილი.

გორში, როგორც ვიცით, XIX ს-ის 40-იანი წლების ბოლოდან ცხოვრობდა ელიზბარ შანშეს ძე ერისთავი. მათთან ახლოს სახლობდნენ მისივე ნათესავ-მეგობარი ერისთავები, რომლებსაც ასევე სასახლეები ედგათ

სოფლად – ტყვიავში, მეჯვრისხევში, კარალეთში, ქვეშში, ღვარებში, ატენში და სხვაგან. ქსნის ერისთავები ისე როგორც მთელი თავად-აზნაურობა, შეადგენდა იმდროინდელ გორის ინტელიგენციას, რომელთაც განათლების მისაღებად მოიარეს საზღვარგარეთის ხშირად რამდენიმე ქვეყნის რამდენიმე სასწავლებელი, ფლობდნენ 2-3 უცხო ენას და ევროპულ კულტურას იყვნენ გაცნობილნი.

ივანე ელიზბარის ძე ერისთავის სახლი პირველი კულტურული კერა იყო 70-იანი წლების გორში. თვითონ ოჯახის უფროსი ხელმძღვანელობდა ლიტერატურულ საღამოებს თავის ბინაზე.

*„ივანე ერისთავის ბინა ნამდვილი სალონი იყო, სადაც თავს იყრიდა მთელი გორის ლიტერატურული საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით თავს იჩენდა ეს სალონი ლიტერატურული საღამოების მოწყობით, ხშირად ეს საღამოები ფასიანი იყო, საქველმოქმედო დანიშნულება ჰქონდა.*

*1872 წლის რვა მარტს ივანე ერისთავის სალონში გაიმართა ქართველ ღარიბ სტუდენტთა დასახმარებელი ქართულ-რუსული ფასიანი ლიტერატურული საღამო, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ივანე ელიზბარის ძე ერისთავმა, დავით გიორგის ძე ერისთავმა, ვასილ სოლომონის ძე ერისთავმა და ვლადიმერ ივანეს ძე ვიშნევსკიმ“.*[1]

ლიტერატურული საღამოების მართვის ტრადიცია ივანე ერისთავის სალონს რამდენიმე წლის განმავლობაში შერჩა, ხოლო შემდეგ მის სახლში საქალაქო სკოლა გაიხსნა.

ერისთავებიდან ცნობილი პოეტი და მთარგმნელი რევაზ შალვას ძე ერისთავი გორის მაზრის უფროსობის დროს ბევრ კარგ საგანმანათლებლო-კულტურულ საქმიანობას უწყობდა ხელს. XIX საუკუნის 70-იან წლებში მისი წინადადებით და ინიციატივით მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს აშენდა „საზოგადო საკრებულოსთვის“ ე. წ. ხის დიდი როტონდა, რომელსაც *„სამ კუთხივ განიერი ბალკონები ჰქონდა. შედგებოდა ერთი დიდი დარბაზისა და სამი პატარა ოთახისაგან. მდიდრულად მორთული დარბაზი განკუთვნილი იყო საცეკვაოდ, ორი ოთახი ბანქოს სათამაშოდ, ერთიც ქალების მოსართავად.*

*სამშაბათობით და პარასკეობით როტონდაში, ვიდრე საზოგადოება გაიწვრთნებოდა, ცეკვას ასწავლიდნენ ხოლმე. აქვე ეწყობოდა ნადიმები და ბალები“.*[2]

---

[1] ბალახაშვილი ი., ლიტერატურული და რევოლუციური წრეები გორში, თბ., 1940, გვ. 8.

[2] იქვე, გვ. 14.

1874 წლიდან აღნიშნულ როტონდაში ბალებისა და კონცერტების გარდა სცენის მოყვარულთა წრემ თავიანთი მომზადებული წარმოდგენების გამართვაც დაიწყო. კერძოდ, როტონდას სცენაზე გორის სცენის მოყვარულთა დასის მიერ წარმოდგენილი იქნა გიორგი ერისთავის კომედია „ძუნწი“. წარმოდგენებზე შემოსული თანხა ეგზავნებოდათ საზღვარგარეთ მყოფ ღარიბ სტუდენტებს.

1873 წელს გორში იქმნება ხალხოსანთა „ამხანაგობისა და მეგობრობის“ წრე. მისი მიზანი იყო გაეცნოთ ხალხისთვის მთავრობის მავნე წეს-წყობილება, გლეხები დაერწმუნებინა, რომ უმამულოდ მისი განთავისუფლება ძველ ბატონყმობაზე უარესი იქნებოდა. ამ საიდუმლო წრის წევრთა შორის არიან ერისთავიანთ წარმომადგენლები ლუარსაბი, მიხეილი და კოტე ერისთავები. მათი დახმარებით სოფ. ტყვიავში ადგილობრივმა მღვდელმა სამადაშვილმა საიდუმლოდ გახსნა პატარა სტამბა. გარკვეული დროის შემდეგ ხელისუფლების მძიმე წნეხის გამო ტყვიავის სტამბა და გორის ხალხოსანთა ორგანიზაცია დაიშალა.

რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ (1877-1878 წწ.) გორში რევაზ ერისთავი თავის აგებულ როტონდას კვლავ აახლებს, რომელსაც ხელმძღვანელობს გორის ქალაქის სამმართველოს წევრი აღალო თუთაევი. როტონდას სცენაზე გამართულ თეატრალურ წარმოდგენებზე შემოსული ფული ეგზავნებათ რუსეთში მყოფ ღარიბ ქართველ სტუდენტებს.

90-იან წლებში გორში მცხოვრებმა მარიამ ერისთავმა შეძლო „მკვდრით აღდგენა“ თეატრალური წარმოდგენებისა, ეს მაშინ, როდესაც გორში თეატრი აღარავის ახსოვდა. მარიამის დასში ირიცხებოდნენ ნიჭიერი მსახიობები: ანასტასია და ელენე გიორგის ასული ერისთავები, ნიკოლოზ და დათა ერისთავები.

როტონდას გარდა მარიამ ერისთავი ქართულ-რუსულ თეატრალურ წარმოდგენებს აწყობდა გორის „სამხედრო სობრანიის“ დარბაზში.

1893 წლის 16 თებერვალს დაიდგა „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, ხოლო შესაშური არტისტიზმით უთამაშია ერთ-ერთი როლი ელენე გიორგის ასულ ერისთავს. 1893 წელს მარიამ ერისთავმა კიდევ ორი თეატრალური წარმოდგენა დადგა გორში. შემოსული ფულის ნაწილი კიევში მყოფ ღარიბ სტუდენტს შიო ჩიტაძეს გაეგზავნა, ნაწილი კი მოსკოვის უნივერსიტეტის ღარიბ სტუდენტს ლ. ჯავახიშვილს.

მრავალმხრივი შემოქმედებით და ღვაწლით ქვეყნის გამოღვიძებისა და აყვავების დიდი სურვილით იყო ნაკარნახები ყველა ის მოქმედება ერისთავიანთ წარმომადგენლებისა, რასაც კი ისინი ქვეყნის შიგნით თუ გარეთ აკეთებდნენ.

# თავი XXII

## მეჯვრისხევი

საქართველოს სოფლებს შორის ძველი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების სიუხვით თვალში საცემია გორის რ-ნის სოფელი მეჯვრისხევი, რომელიც შიდა ქართლის ერთ-ერთ საუკეთესო ნაყოფიერ ადგილზეა გაშენებული. მეჯვრისხევი ხალხმრავალ კულტურის კერად ჩამოყალიბდა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, რაშიც ხელი შეუწყო იქ მცხოვრებმა შეძლებულმა და განათლებულმა თავადობამ – ქსნის ერისთავების შთამომავლებმა.

აღნიშნულ პერიოდში მეჯვრისხევში ცხოვრობდნენ ქსნის უკანასკნელი ერისთავის გიორგი ყულარაღასის შთამომავალთა დაახლოებით ათამდე ოჯახი, რომლებიც ასევე საცხოვრებელ ბინებს ფლობდნენ გორში, კასპსა და თბილისში.

არასრული ჩამონათვალი მეჯვრისხევში მცხოვრები ერისთავებისა (XIX საუკუნე).

1. მირმანოზ (17??-1828) დავითის ძე ერისთავი. მანანა ორბელიანის მამა – 3 შვილი.

მეუღლე – ნინო ანდრონიკაშვილი

2. კონა მირმანოზის ძე ერისთავი

მეუღლე – დარია დიმიტრის ას ერისთავი – 5 შვილი

3. ესტატე მირმანოზის ძე ერისთავი

მეუღლე – ეკატერინე სუმბათაშვილი – 4 შვილი

4. ნიკოლოზ ბიძინას ძე ერისთავი – გიგუშას მამა

მეუღლე – ეკატერინე ზაქარიას ას. სარაჯიშვილი – 4 შვილი

5. გიორგი დიმიტრის ძე ერისთავი (რუსეთუმე, 1832-1905)

მეუღლე – ელისაბედ ბაგრატიონ-დავითაშვილი – 6 შვილი, მათ შორის ანასტასია ერისთავი-ხოშტარია.

6. სოლომონ (სწავლული) ზურაბის ძე ერისთავი (1816-1880). ელიზბარის (მელექსეს) შვილიშვილი

მეუღლე – ეკატერინე ამილახვარი (1833-?) – 8 შვილი

7. ალექსანდრე ზურაბის ძე ერისთავი (1815-1863) ანუ ბაბახანი

მეუღლე – მანანა შალვას ას ერისთავი (1830-1878) – 4 შვილი, მათ შორის ვლადიმერი იგივე შალვა (1863-1923)

8. კოტე და შალვა (1863-1923) ალექსანდრეს ძე[1] ერისთავები. კოტეს მეუღლე ალექსანდრა წერეთელი

9. ანასტასია გიორგის ას ერისთავი-ხოშტარია (1868-1951)

მეუღლე – პოეტი დიმიტრი ხოშტარია – დუტუ მეგრელი

10. დავით და მიხეილ გიორგის ძე ერისთავები

დრო-ჟამის ავბედითობას დაუნგრევია და შეუმუსრავს მეჯვრისხევის ერისთავების სრა-სასახლეები, რაშიც ლეკებს ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვით. მთელი XVIII საუკუნის მანძილზე, თუ რამე აშენებულა ჩვენში, აშენებულა ლეკთაგან თავდასაცავად და მოსაგერიებლად. მეჯვრისხევის ციხე-სასახლეებიდან ჩვენამდე სულ სამმა-ოთხმა თუ მოაღწია, იმათაც ჩვენი უგუნურების და ბედოვლათობის წყალობით გაპარტახებულთ ვხედავთ.

დღეისთვის მოკლე აღწერა-დახასიათება შეგვიძლია სოფ. მეჯვრისხევში მირმანოზ ერისთავის ერთ დროს თავმომწონედ მდგომ ციხე-სასახლისა, რომლისაგანაც თითქმის აღარაფერია დარჩენილი, ხოლო რაც ამჟამად არის და რისი ნახვაც შეიძლება, ნაყოფია 1980-იან წლების უგუნური რეკონსტრუქციისა, რომელიც ითვალისწინებდა მანანა ორბელიანის სახლ-მუზეუმისა და საქორწინო სახლის გახსნას. 1990-იან წლებში სარეკონსტრუქციო სამუშაოების შეჩერების შემდეგ შენობა ავარიულ მდგომარეობაშია.

რამდენიმე წლის წინ მეჯვრისხევის ერისთავთა სასახლეები მეცნიერულად შეისწავლა და აღწერა ხელოვნებათმცოდნემ ქალბატონმა ნინო ერისთავმა. ასევე განხილული აქვს თავის ნაშრომში მკვლევარ ბადრი რაზმაძეს.[2]

მირმანოზ დავითის ძე ერისთავის ციხე-სასახლეს საკმაოდ ძლიერი რიყის ქვით ნაგები მეტრ-ნახევრის სიგრძის მაღალი გალავანი ჰქონია შემოვლებული. გალავანი ოთხივე კუთხეში ცილინდრული ფორმის მაღა-

---

1 1855-1905, მოკლეს არეულობის დროს.

2 სოფ. მეჯვრისხევი, თბ., 2001.

ლი კოშკებით ყოფილა გამაგრებული. სასახლის შემომზღუდავ ციხე-გალავნიდან დღეისთვის შემორჩენილია სამხრეთ-აღმოსავლეთის ცილინდრული კოშკის ერთი სართული. სართულშუა გადახურვა გუმბათოვანია, სართულის სიმაღლე 4 მეტრამდეა, სადაც ორი თაღოვანი პატარა სარკმელია. იქვეა კედელში გამოყვანილი ოთხი ნიში სათოფურებით. სინათლის დამატებით წყაროს კოშკის მოცემულ ფართში ქმნის კუთხეში დატანილი საკვამლე მილი. სასახლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ასევე შემორჩენილია კოშკის და გალავნის ფრაგმენტები, რაც სამწუხაროდ, წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლის ეზოს. რაც შეეხება სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის კოშკებს, ისინი მდინარის პირას უნდა მდგარიყო რაც ერთობ ძლიერ საიმედოდ გამაგრებული პუნქტის არსებობას გვაფიქრებინებს.

ნ. ერისთავისეული განხილვით, სასახლე *„გეგმით წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენდა – ექვსი სხვადასხვა ზომის საცხოვრებელი ოთახით. ერთ-ერთი მოზრდილი დარბაზის ცენტრში შემაღლებული სვეტებიანი სცენა იყო მოწყობილი სადაც საშინაო წარმოდგენები იმართებოდა. ამავე სართულს აღმოსავლეთის მხრიდან ქვის კიბე ჰქონდა, რომლითაც მყუდრო შიდა აივანზე ხვდებოდნენ. სწორედ ამ აივნით სასახლე კოშკის მეორე სართულს უკავშირდებოდა. მირმანოზ ერისთავს საგანგებოდ უზრუნია ცენტრალური, სამხრეთის ფასადის წარმოჩენაზე. მან ძველი სასახლის ღიობები გაადიდა და მათი წირთხლები აგურით ამოიყვანა. კედლის წინ, აგურის ექვსღიობიანი თაღნარი ააგო, რომელზეც ხის სვეტებიანი ვრცელი აივანი მოაწყო“.*[1]

მირმანოზის ციხე-სასახლე, რომელიც ყველაზე დიდი მოცულობის საფორტიფიკაციო შენობაა მეჯვრისხევში, წარმოადგენს ძირითადად სამი პერიოდის ნაგებობას.

I. გალავანი კარიბჭითა და ოთხი კოშკით მიეკუთვნება XVII-XVIII საუკუნეებს.

II. გალავნის სამხრეთის კედლის ნაწილზე ეზოს მხრიდან მიშენებული ორსართულიანი სასახლე მიეკუთვნება XVIII ს-ის შუა წლებს.

III. აღნიშნული სასახლის გაფართოება და მისი ევროპულ სტილში გადაკეთება – XIX საუკუნის პირველ ნახევარს.

მირმანოზის სასახლემ საკმაო სახეცვლილება განიცადა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. საბაზო-ადმინისტრაციულ შენობათა

[1] ერისთავი ნ., დასახ. ნაშრ.

უქონლობის გამო იქ სხვადასხვა დროს განთავსებული იყო: სასოფლო საბჭო, კოლმეურნეობის კანტორა და ფოსტა.

მეჯვრისხევის მთავარი ციტადელის მოშორებით – მირმანოზის უფროსი ვაჟის – ესტატეს ორსართულიანი სასახლეა, რომლის მშენებლობაც ერისთავებს XVII საუკუნეში უნდა დაეწყოთ და ცხოვრების დონის და სტილის ცვლილებასთან ერთად სასახლეც ნელ-ნელა იცვლებოდა. სხვადასხვა ეპოქის სიახლეები სასახლეში შესანიშნავადაა ჩართული და როგორც საინჟინრო, ისე მხატვრული თვალსაზრისით უნიკალურია. მისი ზომებია 10,4X15,5 მ. მთლიანად სასახლის ზომები კი არის 17,5X15 მ. მთავარი შესასვლელი აღმოსავლეთითაა. მარნის კედლებში მრავლადაა თაღოვანი და სწორკუთხა ნიშები. რამდენიმე ნიშში სათოფურია, რაც მის თავდაცვით ფუნქციაზეც მიგვანიშნებს. *„მარანი აგურის რვაწახნაგა ლამაზი სვეტებით ორ ნაწილადაა გაყოფილი, სვეტების გასწვრივ კედლებზე პილასტრებია, მარნის დასავლეთი ნაწილი, თავის მხრივ, ორი სვეტითა და მათზე გადაყვანილი თაღებით ორ ნაწილადაა გაყოფილი. დასავლეთის ყრუ კედელს მთელ სიგრძეზე გასდევს ქვით ნაშენი საწნახელი. შენობის უდიდესი ნაწილი დანგრეულია, სახურავი, კარ-ფანჯრები და სხვა აღარაა, მეორე სართულის იატაკის მუხის კოჭებიც ამოღებულია, დასავლეთის მხარეს, მეორე სართულს ჰქონდა ქართული აივანი, რომელიც, ჯერ ერთი, შენობას ამკობდა და, მეორე, დღის მეორე ნახევარში, მზის სხივები უხვად შემოდიოდა. დღეისთვის აივანი გაუქმებულია.*

*დეკორატიულად ყველაზე მდიდარია შენობის აღმოსავლეთი ნაწილი. აქ არის ფართო ვესტიბული, რომელიც მეორე სართულთან დაკავშირებული ყოფილა ორი მასიური, აგურით ნაშენი, კიბით. მეორე სართულზე, ვესტიბულის თავზე ყოფილა ხისსვეტებიანი, შესანიშნავად მოჩუქურთმებული ღია ლოჯია და კუთხის ოთახები. ამავე სართულზე იყო რამდენიმე საცხოვრებელი ოთახი.*

*პირველი სართულის ცენტრალურ ნაწილში ჩასმული იყო ჭიშკარი, რომლის ორივე მხარეს აგურით ნაშენი ნახევარწრიული თაღოვანი ნიშებია, რომელთა სიმაღლეა 2 მ, ხოლო სიგანე 80 სმ. ფასადის კედლებში ფრონტონით დამშვენებული ექვსი სარკმელია.*

*ეს მასიურკედლებიანი მონუმენტური ნაგებობა იყო არა მარტო ერისთავების საცხოვრებელი ბინა, არამედ ძლიერი ციხესიმაგრეც. მისი კედლების მაქსიმალური სისქეა 1,10 სმ. ხოლო მინიმალური – 70 სმ.*

*დღეს შენობა სავალალო მდგომარეობაშია. 1986-1987 წლებში შენობას მოხსნეს სახურავი, რასაც მოჰყვა ნაგებობის ხე-მასალის ძარცვა და ქართული აგურის დატაცება. მთელი შენობა ნაგებია ქართული აგურისა და რიყის ქვის მონაცვლეობით. სვეტები, თაღები, ნიშები და პილასტრები კი მხოლოდ აგურითაა ნაშენი".*[1]

მეჯვრისხევის ისტორიული ხასიათის კიდევ ერთ საცხოვრებელ ნაგებობას წარმოადგენს XIX საუკუნით დათარიღებული ანასტასია გიორგის ასული ერისთავი-ხოშტარიას სახლი.

არქიტექტურული თვალსაზრისით, საცხოვრებელი საჩინო და თავმოსაწონ ნაგებობას არ წარმოადგენს. მისი კარ-ფანჯრის ღიობები ქართული აგურითაა ამოყვანილი. ფანჯრის თავებიდან ერთი მეტრის ზემოთ სახლს (ზომები 21X15 მ.) შემოვლებული აქვს მუხის ხის სარტყელი. ამ ერთსართულიან შენობას აქვს საშუალო ზომის სარდაფი.

შენობაში 1964 წელს გაიხსნა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფილიალი, სადაც გამოფენილი იყო ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატები. ამავე შენობაში მოთავსებულია სოფლის მდიდარი ბიბლიოთეკა. 1990 წელს მუზეუმი და ბიბლიოთეკა გაუქმდა. შენობა ამჟამად ნახევრად დანგრეულია.

მეჯვრისხევში ჯერჯერობით შემორჩენილია კიდევ ერთი შენობა კოტე და შალვა ერისთავებისა, ე. წ. როტონდიანი სასახლე, რომელიც ძალზე დაზიანებულია. საბჭოთა პერიოდში მას საშუალო სკოლა მიაშენეს. გასული 90-იანი წლებიდან ადგილობრივმა მოსახლეობამ დაიწყო მისი აგურ-აგურ ნგრევა და გაყიდვა.

ერისთავების სასახლეზე მათივე შთამომავლებს ელიოზიშვილებს ულვაწიათ და შეუდგენიათ წინაპართა საცხოვრებელი სახლის მაკეტი-გეგმა. რომელიც ფოტოებთან ერთად მოაწოდეს ხელოვნებათმცოდნე ნინო ერისთავს, მან კი გამოქვეყნებამდე დამრთო ნება მესარგებლა აღნიშნულით, რისთვისაც კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი. მოგვიანებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შევხვდით მეჯვრისხევში მცხოვრებ კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ერისთავის შთამომავალს ქალბატონ მარინე ელიოზიშვილს, რომელიც მოღვაწეობს უნივერსიტეტის სამხატვრო განყოფილებაში. ქალბატონმა სათუთად გადმოგვცა მთელი რიგი მასალები თავის წინაპრებზე. მათ შორის ფოტომასალა, რისთვისაც ულრმეს მადლობას ვუხდით დახმარებისთვის.

---

[1] რაზმაძე ბ., სოფელი მეჯვრისხევი, თბ., 2001.

ერთსართულიანი სასახლე რიყის ქვითა და ძველი აგურით იყო ნაგები (ზომები: 25,50X30,70 მ-ზე, კედლების საშუალო სისქე 1 მეტრი). მას ოთხივე მხრიდან ჰქონია შესასვლელი. მთავარი, სადარბაზო შესასვლელი სამხრეთის ფასადის მარჯვენა ნაწილში იყო. შესასვლელი კარის წინ ერთგვარი მარტივი მოყვანილობის პორტიკია მოწყობილი, რომელიც უფრო დიდი ზომის წინფრას მოგვაგონებს. სადად დეკორირებულ ფასადზე განირჩევა მაღალი ცოკოლი და რუსტირებულ კედლის ზედაპირზე დიდი ზომის კლასიცისტური მოყვანილობის სარკმლები. შენობა დასრულებულია მაღალი ლავგარდანით. შესასვლელის თავზე სამერცხლულს ვხედავთ.

განსაკუთრებითაა აღსანიშნავი სასახლის აღმოსავლეთი ფასადი, რომელიც ნაგებობის მთავარ არქიტექტურულ-მხატვრულ აქცენტს წარმოადგენდა. ამ ნაწილში მდებარეობდა ოთახი-როტონდა, რომლის შვერილი აფსიდი გვირგვინდებოდა მეზონინით (ვახტ. ელიოზიშვილის მაკეტის მიხედვით). ჩრდილოეთის ფასადის ნაწილს მიუყვებოდა სამთაღოვანი გალერეა, საიდანაც შესაძლებელი იყო საცხოვრებლის სამეურნეო ნაწილში მოხვედრა.

ვახტანგ ელიოზიშვილი-ერისთავის გეგმის მიხედვით, შენობის ცენტრალური და მნიშვნელოვანი ადგილი მარნის სივრცეს ეთმობა. ის ასევე ნაგებობის ყველაზე ძველი ნაწილიცაა (სავარაუდოდ, XVIII ს.). მარნის ზომები შთამბეჭდავია: სიგანე 7 მეტრი, სიგრძე 20, ხოლო სიმაღლე 7 მეტრი. მარნის უზარმაზარი კამარა ძველი აგურითაა ამოყვანილი. გადმოცემით, აქ ორი მთლიანი წაბლის ხისგან მოჭრილი საწნახელი და უზარმაზარი ქვევრები იყო. მათში ერთი ას კოკიანი ქვევრიც ყოფილა. ზეპირი გადმოცემით (აღნიშნავს ვ. ბერიძე) ცნობილია, რომ ხანდაზმულობაში იოსებ სტალინს მეგობრებთან საუბარში ერისთავების ეს საუცხოვო მარანი მოუკითხავს.

მარნის საწნახელში ყურძნის დასაწურად გამზადებულ 12 კუნთმაგარ ვაჟკაცს ჯერ ვერცხლის ტაშტში ფეხებს დაბანდნენ, შემდეგ კი ორი კაცი მათ ხელში აყვანით საწნახელამდე მიიყვანდა და იწყებდნენ ყურძნის წურვას.

დღეს რთულია ამ უნიკალური მარნის დეტალური აღწერა, რადგან გასაბჭოების შემდეგ მნიშვნელოვნად გადააკეთეს (ერთხანს სკოლის სპორტდარბაზადაც იყენებდნენ). XX საუკუნის დასაწყისისთვის სასახლეში 9 საცხოვრებელი ოთახი იყო. შენობის სამხრეთი ნაწილი და ჩრდილო-დასავლეთი კუთხე ექვს საძინებელს ეთმობოდა, ცენტრი – მარანს, ჩრდილოეთი მხარე – ძირითადად სამეურნეო დანიშნულების სათავსებს

(საკუჭნაო, სამზარეულო, საიარაღო), ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი – რეპრეზენტაციული დანიშნულების ოთახებს: სასტუმრო დარბაზს, სამეჯლისო დარბაზ-როტონდას და სასადილოს. სასახლე ხუთი ბუხრითა და ორი კედლის ღუმლით იყო აღჭურვილი.

ს. მეჯვრისხევში მკვიდრ მოსახლედ ითვლებოდა იესეს შტოს წარმომადგენელი მირმანოზ დავითის ძე ერისთავი. სწორედ მისი პაპაა (გარდ. 1745 წ.) ერისთავების იესეანთ შტოს მამამთავარი.

მირმანოზს პირველ ცოლად ჰყავდა თამარ დავითის ას აბაშიშვილი (ბარათაშვილი), ხოლო მეორე ცოლად ნინო სოლომონის ასული ანდრონიკაშვილი. როგორც აღვნიშნეთ ქსნის თავადი ცხოვრობდა მეჯვრისხევის დიდ ციხე-სასახლეში. ჰყავდა ექვსი შვილი, ორი ვაჟი ესტატე და იაკობი იგივე კონა და ოთხი ქალიშვილი მანანა (პირველი მეუღლისგან), ელენე, ქეთევანი და სოფიო.

მირმანოზ დავითის ძე ერისთავის გენეალოგია

დათუნა (ქსნის ერისთავი 1675-1696 წწ. 1700-1716)

იესე ყულარაღასი გარდ. 1745 წ.
ქეთევან ედიშერის ას. ჩოლოყაშვილი

დავითი გარდ. 1774 წ.
თინათინ მაჩაბელი

მიხეილი | ვარლაამი (მიტროპოლიტი) | სოლომონი | როსტომი (გლუხარიჩის პაპა)

**მირმანოზი**
I. თამარ აბაშიშვილი (ბარათაშვილი 1790-1809)
II. ნინო ანდრონიკაშვილი გარდ. 1836 წ.

**მანანა** 1808-1870 დავით ორბელიანი | **ესტატე** 1810-1882 | **ელენე** 1812-1846 | **ქეთევანი** დაიბ. 1815 | **იაკობი** (კონა) 1817-1896 | **სოფიო** 1819-1880

მირმანოზის შვილებიდან საყოველთაოდ ცნობილია მანანა ერისთავი-ორბელიანისა, რომელსაც საზოგადოება სილამაზით და ზნეკეთილობით გამორჩეულ მანანა ორბელიანად იცნობს. იგი აღიზარდა მამის სასახლეში მეჯვრისხევში, სადაც მიიღო ბრწყინვალე არისტოკრატიული განათლება. ბავშვობიდანვე დააინტერესა ქართულმა მწერლობამ და ხელოვნებამ, რომლის სიყვარული სიკვდილამდე შერჩა.

მანანა მირმანოზის ასული დედის გარდაცვალებისას ერთი წლის თუ იქნებოდა. უდედოდ გაზრდილი მანანა მამამ 15 წლის ასაკში მიათხოვა დავით ივანეს ძე ორბელიანს – „სოვეტნიკს“. 16 წლისა, თვითონაც ჯერ კიდევ ბავშვი, დედა გახდა ივანე ორბელიანისა.

**დავით ორბელიანის გენეალოგია**

რევაზი

დავითი 1739-1796
თამარ ბატონიშვილი (ერეკლე II-ის ასული)

ივანე (1765-1808)
ანასტასია ჩოლოყაშვილისა (1774-1819)

| | | | |
|---|---|---|---|
| ელენე<br>შანშე ერისთავი | ლუარსაბი | სალომე<br>ალ. ჭავჭავაძე | **დავითი 1801-18?**<br>მანანა მირმანოზის ას ერისთავი<br>1808-1870 |

მანანას და დავითს შეეძინათ 6 შვილი: 1. ივანე, 2. ანასტასია – მეუღლე გაგარინისა, 3. თამარი, 4. მიხეილი, 5. ალექსანდრე და 6. დავითი.

მანანამ ქმრის გვარი მიიღო და საზოგადოებამაც მანანა ორბელიანად გაიცნო და ასე შევიდა ისტორიაში ქსნის ერისთავების ულამაზესი ასული.

მანანა ორბელიანის პიროვნება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით. 1831 წლის გაზაფხულზე ორბელიანი შეთქმულთა ფარული ორგანიზაციის წევრი გახდა. დავით და მანანა ორბელიანების ბინა იყო შერჩეული წვეულების ადგილად, სადაც უნდა დაწყებულიყო „პირველი ღამის განკარგულების“ მიხედვით რუსი სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელეების დაპატიმრება და საჭიროების შემთხვევაში – სიკვდილით დასჯა.

ერისთავების უმშვენიერესი ასული და ორბელიანების რძალი უპირველესი იყო იმ ქალთა შორის, ვინც თავისუფლების ბაირაღებს კერავდა 1832 წელს და ვინც დაიფიცა – კაცურად ჩავიცვამთ და უკანასკნელ სისხლს დავღვრით მამულისთვისო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ *„მანანა ორბელიანი ითვლებოდა ქარგულობის სახელგანთქმულ ოსტატად. არაერთი გულისპირი, სარტყელი, თავსაკრავი, შეიდიში, ლეჩაქი,*

*ქისა, წინდა გამოსულა მის ხელიდან. მისი მოქარგული ქისები საამაყოდ დაჰქონდათ გრ. ორბელიანს და ნიკოლოზ ბარათაშვილს".*[1]

მანანას სიფაქიზით და სილამაზით შთაგონებული ლადო ასათიანი თავის ქალიშვილს – მანანას უძღვნის ლექსს და ამბობს:

„მინდა შენებრ ელავდეს
და იყოს შენისთანა,
სამშობლოსთვის ღელავდეს
სანამ ხედავდეს – მანამ,
მინდა, რომ შენებრ კერავდეს
ის საქართველოს ალამს".

შეთქმულთა შორის სულ სამი ქალი იყო: თეკლა ბატონიშვილი, თამარ იულონის ას. ბაგრატიონი და მანანა ორბელიანი. შეთქმულების გამოაშკარავების შემდეგ უმძიმესი რეპრესიები დაიწყო. მანანა ორბელიანმა აღიარა დანაშაული. შეთქმულთა მიმართ უმკაცრესი ზომები გატარდა. პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იგი თბილისში დატოვეს.

ოპტიმიზმით გამსჭვალული მანანა თბილისში, საკუთარ სახლში აარსებს სალონს, რომელიც გადაიქცა ქართველი და უცხოელი პოეტებისა და მწერლების შეხვედრის ადგილად.

პირველად მანანას სალონში იკითხებოდა ლექსები, თარგმანები, ახალი წიგნები. აქ წაიკითხა პირველად გ. ერისთავმა თავისი შესანიშნავი პიესა „გაყრა". პირველად მანანას სალონში დაბადებულა აზრი ჟურნალ „ცისკრის" გამოცემისა და ქართული თეატრის დაარსების შესახებ. ცარიზმით უკმაყოფილო რუსი ინტელიგენცია: პოეტები, მოგზაურები, ხელოვანები სწორედ ამ სალონში პოულობდნენ სულის სიმშვიდეს. ცნობილია, რომ ლერმონტოვმა აქ გაიცნო მაიკო ორბელიანი.

იმ დროის საქართველოში ჟურნალ-გაზეთები არ გამოდიოდა, მხოლოდ ასეთ სალონში თუ შეიძლებოდა ქართული და უცხოური ლიტერატურის გაცნობა, საკუთარი აზრის გამოთქმა, უცხო ქვეყნებში განვითარებული მოვლენების გაგება. გარდა ამისა, როგორც მანანას სალონი, ისე სხვა სალონები, რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევრისთვის გაჩნდა საქართველოში, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო იმდროინდელი საქართველოს კულტურის გასაცნობად და რუსეთთან და ევროპასთან დასაახლოებლად.

---

[1] საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, ფ. 16277-ბ.

მანანას სალონში ეცნობოდნენ ერთმანეთს საზღვარგარეთის საუკეთესო მწერლები, პოეტები და კავკასიით დაინტერესებული სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. ქართველ საზოგადოებას ისინი ყოველთვის აღტაცებაში მოჰყავდათ თავისი ბანოვანებით, სტუმართმოყვარეობით, ნიჭიერებით, ხასიათებით, კულტურით.[1]

ნ. ბარათაშვილს პირადი მეგობრობა ჰქონდა მანანასთან. ისინი ბარათებსაც სწერდნენ ერთმანეთს, თუმც, სამწუხაროდ, მიმოწერის არცერთ ეპისტოლეს ჩვენამდე არ მოუღწევია.

XX საუკუნის დასაწყისის ქართული მწერლობაში შეიქმნა შტრიხები, რომლითაც მკითხველს თვალწინ წარმოუდგებოდა ნ. ბარათაშვილის პორტრეტი.

„გასული საუკუნის ორმოციან წლებში მანანა ორბელიანის სალონში მუდმივად დადიოდა საშუალო სიმაღლის და მოთეთრო პირსხმული სახის, ერთმანეთთან გადაღობილი წარბებით, მიმზიდველ შავთვალებიანი, ყოველთვის წვერულვაშმოპარსული, ევროპულად ჩაცმული „ექსპედიცია სუდა ი რასპრავას“, კოჭლი „სტოლნაჩალნიკი“, შინაურები ტატოს რომ ეძახდნენ. აი ამ ტატოს ახლო ურთიერთობა ჰქონდა სალონის მფლობელ ორბელიანების რძალთან. ნიკოლოზის დის ეკატერინეს ქორწილს ახალგორში მანანაც დასწრებია. მეორედ მანანა ახალგორში სამებობის დღესასწაულზე 1844 წლის 15 აგვისტოსაც ყოფილა ღამისთევით ნიკოლოზთან და ერისთავებთან ერთად.

მანანას სათნოებას, სიქველეს, გონიერებასა და სილამაზეს ყველა ეთაყვანებოდა, ყველა თავს უხრიდა და ცდილობდა მასთან სიახლოვეს. ხელოვნების მუზეუმში, რომელიც XIX საუკუნეში მეტეხის მუზეუმის სახელით იყო ცნობილი, ეკატერინე ივანეს ასულ ერისთავს უნახავს **„ქართველ ქალთა მარაქას“** მანანა ორბელიანის პორტრეტი, რომლის სილამაზის ხილვით მოხიბლულმა ერისთავების პოეტმა ქალმა ლექსი მიუძღვნა თავის სისხლით ნათესავს:[2]

სატრფოს პორტრეტსა,
ვჭვრეტ ვითა მზესა
მჭმუნვარეს გულის განმანათლებლად
მხატვრობა ისე
მშვენებით სავსე
მსგავსნი თუ ოდენ ყოფილარს ძველად

[1] დადიანები, თბ., 2011, გვ. 382.
[2] ჟურნ. „ცისკარი“, 1871, იანვარი.

ოდესცა ვნახე,
მის ტურფა სახე
მყის განკვირვებით ვიქმენ მოცული
დავით მშვენიერს
პლანეტსა ციერს
ვსჭვრეტდი, შევიქენ აღტაცებული!
იზიდავს გულსა
მსხვერპლად გიძღვნი სულსა,
ნუ თუ მაღნიტნი გქონან თვალებში!
და მისთვის მარად
მყავ მონად მყარად
მაღალ გონებით მჯობმა ქალებში.
უმანკო გული
კეთილით სრული,
აღატრფოს ყოველ შენდა საქებრად.
გაქვს შესაფერი
ეგ ნაზი ფერი
მოგნიჭებიეს განსაშვენებლად.
ხარ სრული გრძნობით
განსჯით და ცნობით
სამაგალითოდ წარმოდგენილი,
ქცევა ქებული
გაქვს დიდებული
გშვენის ქალთ მეფედ გყონ დადგენილი.

1850 წლის დასაწყისში გ. ერისთავის აღდგენილ თეატრის სცენაზე სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში წარმოდგენილ კომედია „გაყრაში“ ორბელიანების რძალი თამაშობს ყარდაშვერდის როლს. აღნიშვნის ღირსია ის, რომ დიმიტრი ყიფიანს მანანა ორბელიანის შეკვეთით უთარგმნია შექსპირის ტრაგედია „რომეო და ჯულიეტა“, რაზეც თარგმანის თავფურცელზე მინაწერიც გვამცნობს: *„კნეინა მანანა ორბელიანისათვის ქართულსა ენაზედ გადმოღებული ყიფიანის მიერ“.*

1846 წლის თებერვალში გრიგოლ ორბელიანი მანანას თემირხნშურიდან წერდა: *„თქვენი გაბრწყინებული სალონი სავსეა ანგლიჩანებით, ფრანცუზებით, ჰინდოელებით. ჭეშმარიტად მშურს მათი ბედნიერება და ვამბობ, ნეტავი მათ რიცხვში მეც ვიყო“.*[1]

[1] დადიანები, თბ., 2011, გვ. 383.

გრიგოლ ორბელიანი ადრე დაქვრივებულ მანანას მთელი სიცოცხლე ეტრფოდა[1], მაგრამ მანანამ ქმრის საფლავთან ერთგულების ძალზე მტკიცე ფიცი დადო.

1832 წლის შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენის იმედდაკარგული, უდროოდ დაქვრივებული, ურვით ავსილი მომხიბვლელი მანანა ორბელიანი ატარებდა ვერცხლის მძიმე ბეჭედს წარწერით: *„უდროთ მზის დასვლით მაბნელა / სოფელმან ანაზდეულად“.*

ბეჭდის რომანტიკული წარწერით და პატრონის ეშხით მოხიბლული გრ. ორბელიანი წლების განმავლობაში თხოვდა მანანას გადაეცა მისთვის თითის ძვირფასი სამკაული, ქვრივი მარადის უარით ხვდებოდა პოეტის წინადადებას. ბეჭედი მაინც გაუჩუქებია მანანას. დასაჩუქრებული გახლდათ თავისივე ვაჟის – ივანეს მასწავლებელი და ეს ყველაფერი რომ არ სწყენოდა გრიგოლს, 1835 წლის 28 ოქტომბერს მანანა სანუგეშო წერილს სწერს გადასახლებაში მყოფ გრიგოლს.

*„ჩემი ბეჭედი ივანეს ოსტატს გადავეცი. ნუ დამემდურები შენმა გაზრდამ შენ უფრო კარგს ბეჭედს გამოგიგზავნი თუ მალე არ მოხვალ აქ. ნეტავი შენი ნახვა მეღირსოს თორემ ბეჭედისა ადვილია...“*

მანანა ორბელიანი მშვენიერებას აღწერენ ქართველი და უცხოელი მოღვაწეები. თვითმხილველთა თქმით, *„მანანას მიბნედილი ჟღალი თვალები სულ ანათებენ აუმღვრეველი სიმშვიდის დამათრობელი სხივებით“.* მანანათი მოხიბლული ალ. დიუმა წერდა: *„მე არასოდეს არ მინახავს არისტოკრატი ქალი ასეთი მბრძანებელი გარეგნობით. როცა ის ქუჩაზე ფეხით მოდის, თქვენდაუნებლიეთ უნდა მოიხადოთ ქუდი“.*

„მანანა იყო მეფედ ქართული ზნეობისა და გემოვნებისა XIX ს. 30-იან-60-იან წლებში“.

მანანა ორბელიანს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ ნიჭიერ რუს პოლიტიკოსთან, კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვთან[2], რომელიც დიდად სწყალობდა ყველასთვის პატივსაცემ მანდილოსანს.

ვორონცოვის მეუღლემ ელისაბედ ქსავერიევას ასულმა ქართველ წარჩინებულთათვის სალონი გახსნა თბილისში, სადაც იმართებოდა „ვორონცოვის სადილები“. სალონის დამფინანსებელმა ვორონცოვმა 1846 წლის 28 ივლისს ყირიმში, თავის მამულში „ალუპკაში“ მოაწყო „ელისაბედის სალონის“ წევრებისათვის და უპირველესად ქართველ მანდილოს-

---

[1] ბალახაშვილი ი., „მანანა ორბელიანი“, თბ., 1941, გვ. 10.

[2] მანანა ორბელიანი ურთიერთობა ვორონცოვებთან აღწერილი აქვს ლევ ტოლსტოის „ჰაჯი მურატ“-ში.

ნების პატივსაცემად სპეციალური გემით ყირიმში გასეირნება. მეფისნაცვლის მიერ დაფასებულ ქალთა შორის იყო ულამაზესი მანანა ორბელიანი. *„მეტად კმაყოფილი იყო გრაფი ვორონცოვი, თუ მას გვერდს უსხდნენ მანანა ორბელიანი, ან ელენე ერისთავი. თავადის ქალს მანანას, თუმცა უკვე ხანდაზმულობაში შეედგა ფეხი, იქნებოდა არა ნაკლებ 45 წლისა, მაინც ერთი ულამაზესი ქალთაგანი იყო და ზოგიერთები ოხუნჯობდნენ – თავის ქალიშვილს ვერასოდეს გაათხოვებსო. ქალი ყველგან* (ანასტასია. ვ. ქ.) *დაჰყვებოდა დედას, მაგრამ იმას ყურადღებას არავინ აქცევდა“.*[1]

ზაფხულობით ყოველთვის მეჯვრისხევში მიემგზავრებოდა და მამისეულ სახლში ატარებდა დროს.

ერისთავების ასულის ერთი შეხედვით ულამაზესი და უბედნიერესი ცხოვრება დიდ ტკივილს იტევდა. ახალგაზრდამ დაკარგა მეუღლე. ახალგაზრდა დაქვრივდა მისი ქალიშვილი ანასტასია[2] და ასევე ახალგაზრდა გარდაეცვალა ვაჟი ალექსანდრეც. შვილის გარდაცვალებამ გამანადგურებლად იმოქმედა მასზე და ცოტა ხანში – 1870 წლის 1 ივნისს[3] გარდაიცვალა. გონიერებით განთქმული ქართველი მანდილოსანი, თანამედროვეთა და შემდგომი თაობის პოეტთა მუზა და მფარველი ანგელოზი დაკრძალულია სოფელ კუმისში, სამების ეკლესიის სასაფლაოზე მეუღლისა და ვაჟის გვერდით.

### მანანა მირმანოზ ასულ ერისთავ-ორბელიანის გენეალოგია

იესე ყულარაღასი
|
დავითი
|
მირმანოზი
|
**მანანა**
დავით ჯამბაკურ-ორბელიანი
|

**ივანე** (მანანიჩი) 1824-1893
სოფიო შალვას ას ერისთავი (მთარგმნელის და) 1832-1887

**ანასტასია** 1825-1907
გაგარინი (ქუთაისის გუბერნატორი)

**თამარი**
1827-1828

**მიხეილი**
1828-1830

**ალექსანდრე** 1829-1830
ევდოკია სომოვა

**დავითი**
1829-1869

---

[1] ბალახაშვილი ი., დასახ. ნაშრ., გვ. 39.

[2] ანასტასიას ქმარი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ა. გაგარინი 1858 წ. 22 ოქტომბერს მოკლა სვანეთის უკანასკნელმა მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა.

[3] დადიანები, თბ., 2011, გვ. 382.

მეჯვრისხევში მირმანოზ ერისთავის ციხე-სასახლის შემდეგ მნიშვნელოვან ნაგებობად ითვლებოდა მისი უფროსი ვაჟის ესტატე ერისთავის სასახლე, რომელშიც ესტატეს გარდა ცხოვრობდა მისი მეუღლე ეკატერინე სუმბათაშვილის ქალი (1820-1847 წწ.). ესტატე ერთი პერიოდი სამხედრო პირი იყო და „პრაპორშჩიკ"-ის ჩინს ატარებდა. ეკატერინესთან მას შეეძინა 9 შვილი.

1. ივანე 1833-1909 წწ. მეუღლე რუაძის ქალი. ცხოვრობდნენ ჯერ პეტერბურგში, შემდეგ თბილისში. მათ ჰყავდათ ვაჟი ალექსანდრე და ქალიშვილები: ელენე და ეკატერინე.

2. ზაქარია 1835-1846 წწ. გარდაიცვალა 11 წლისა.

3. ნინო 1836-1871 წწ. დაამთავრა თბილისის წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელი, ცოლად გაჰყვა ოძისიდან კარალეთში ჩასახლებულ რევაზ შალვას ძე (მთარგმნელი) ერისთავს.

4. ქეთევანი 1838-1896 წწ.

5. ალექსანდრე 1839-? წწ. უცოლო. ცხოვრობდა პეტერბურგში. იქიდან წავიდა მოხალისედ ამერიკაში ინგლისელი ინტერვენტების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამერიკიდან საფრანგეთის რევოლუციაში მიიღო მონაწილეობა როგორც მოხალისემ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ „ამერიკანეცი" შეარქვეს.

6. ეკატერინე 1841-? წწ.

7. დავითი 1843-1910 წწ. ჰუსარი. მეუღლე უცნობია. მისი ქალიშვილია სალომე. იყო ვარშავაში. მას ჰყავდა 3 ქალიშვილი.

8. ანასტასია 1844-1920 წწ.

9. ელისაბედი 1845-1846 წწ.

ესტატეს მსგავსად უმცროს ძმას იაკობს – კონას, არ ჰქონია გამორჩეული სასახლე სოფ. მეჯვრისხევში, სამხედრო წოდებით კი ძმაზე მაღალ „პოდპოლკოვნიკ"-ის საფეხურზე იდგა. ცოლად ჰყავდა თავისი მოგვარე დარია დიმიტრის ასული ერისთავი (1824-1904). შეეძინათ 13 შვილი. 9 ვაჟი და 4 ქალი.

1. დავითი 1840-? წწ.

2. მიხეილი 1842-1902 წწ. მეუღლე რუსი ეროვნების. ჰყავდა 3 შვილი, ორი ვაჟი: ვლადიმერი და სერგეი და ქალიშვილი ნატალია (გოცირიძის მეუღლე).

3. ალექსანდრე 1846-1915 წწ. მეუღლე ფრანგი ჟანა. ჰყავდათ ერთი ქალიშვილი.

4. მარიამი 1847-1864 წწ.

5. მირმანოზი 1848-1906 წწ.

6. ზაქარია 1850-1853 წწ.

7. ელენე 1852-1922 წწ.

8. ივანე 1854-? წწ.

9. ნინო 1855-1908 წწ.

10. იასონი 1856-1867 წწ.

11. ნიკოლოზი 1858-1915 წწ.

12. დიმიტრი 1860-1908 წწ. მისი მეუღლე იყო ფრანგი მხატვარი მერი ეტლინგერი, განუყრელი მეგობარი უნგრელი მიხაი ზიჩისა (როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელმა დაასურათა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი"). დიმიტრიმ და მერიმ ერთმანეთი პირველად საქართველოში გაიცნეს. რამდენიმე წლის შემდეგ პეტერბურგში მყოფი დიმიტრი ცოლად ირთავს მერი ეტლინგერს და ჩამოდიან საქართველოში. სახლდებიან იკორთაში. ქართველებისთვის კარგად ცნობილი ზიჩი „დაკარგული" მეგობრის დასაბრუნებლად 1888 წელს მეორედ ეწვია საქართველოს. იკორთაში მოინახულა მერი და იქვე დახატა ცნობილი სურათი „იკორთა". ზიჩის შემოქმედების მკვლევარის ბენო გორდეზიანის თქმით: *„ამ შეხვედრის შემდეგ მერი ეტლინგერი მალე დასცილდა თავის ქმარს და დიდ საზოგადოებას მოწყურებული მხატვარი ქალი პეტერბურგში გაემგზავრა...*

*მერი ნაყოფიერ მხატვრულ შემოქმედებას ეწეოდა საქართველოში. ხშირად იბეჭდებოდა მისი ნამუშევრები. მათგან გამოირჩევა მისი მამამთილის, კონა ერისთავის პორტრეტი, რომლის დედანი დაკარგულია და ჩვენ მხოლოდ მისი ფოტოპირი მოგვეპოვება".*[1]

მერიმ აგრეთვე შექმნა მეჯვრისხევში მცხოვრები თამარ კონსტანტინეს ასულ ერისთავის „შავი ბრილიანტად" წოდებულის, პორტრეტი.

13. ბარბარე 1861-? წწ.

მეჯვრისხევში მცხოვრები ცნობილი მოასპარეზე და განთქმული მეთოფური კონა მირმანოზის ძე ერისთავი გარდაიცვალა 79 წლის ასაკში 1896 წელს.

გიორგი ყულარაღასის შთამომავლობიდან მეჯვრისხევში ცხოვრობდა ქსნის ხეობის სოფ. ილტოზიდან გადასული ნიკოლოზ ბიძინას ძე ერისთავი. ბიძინას 13 შვილთაგან ერთ-ერთი, მემკვიდრე ნიკოლოზი დასახლდა მეჯვრისხევში. მას ცოლად ჰყავდა ცნობილი ქართველი მილიონერი

[1] გორდეზიანი ბ., „ზიჩი საქართველოში", თბ., 1966.

მეწარმისა და დიდი ქველმოქმედის დავით სარაჯიშვილის და ეკატერინე ზაქარიას ასული სარაჯიშვილი (1850-1929 წწ.).

ნიკოლოზ ბიძინას ძე დაიბადა პეტერბურგში 1831 წელს. მსახურობდა მეფის რუსეთის არმიაში, წოდებით გენერალ-მაიორი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ნიკოლოზი ჯერ ბათუმის კომენდანტი იყო, შემდეგ კი ქუთაისის გუბერნატორის თანაშემწე. მისი ქვისლი გახლდათ აღაბაბას შთამომავალი, ყველასათვის კარგად ცნობილი დრამატურგი დავით გიორგის ძე ერისთავი – გახმაურებული პიესის „სამშობლოს“ ავტორი. ნიკოლოზს ეკატერინე სარაჯიშვილთან შეეძინა ოთხი შვილი.

1. თამარი 1872-1952 წწ. მეუღლე ნიკოლოზ პავლეს ძე პლემიანიკოვისა.

2. ალექსანდრე 1873-1955 წწ. მეუღლე ვერა მალამა.

3. ელისაბედი 1874-1926 წწ.[1]

4. გიორგი – გიგუშა 1875-1947 წწ. სამხედრო ჩინით გენერალ-მაიორი. მისი მეუღლე იყო მერი შერვაშიძე.

ნიკოლოზისა და ეკატერინეს შვილებიდან გამორჩეულად საინტერესო პიროვნებაა გიორგი ერისთავი, შინაურობაში გიგუშა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, მისი მეუღლე იყო ცნობილი მერი პროკოფის ასული შერვაშიძე-ჩაჩბა.

გიგუშა ერისთავმა 1885 წელს დაამთავრა თბილისის კადეტთა სასწავლებელი და გაგზავნილ იქნა ვარშავის ლეიბ-გვარდიის პოლკში. აქ წარმატებული სამსახურისთვის მას პოდპოლკოვნიკის, შემდეგ კი პოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს და იმავე წელს ამავე პოლკის მეთაურად დანიშნეს. მან 1914 წელს პირველ მსოფლიო ომში მიიღო მონაწილეობა და დაიჭრა კიდეც. ფრონტზე საპასუხისმგებლო ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის, როგორც იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი, დაჯილდოებული იყო უმაღლესი ხარისხის ორდენებით. 1917 წელს დაინიშნა ცხენოსანთა ბრიგადის მეთაურად.[2]

1918-1921 წლებში ქართულ ჯარშია და თავისი წინაპრების მსგავსად ემსახურება საქართველოს. კერძოდ, თვრამეტში დაიწყო რეგულარული ქართული სამხედრო კორპუსის შექმნა, რომლის მეთაურად დაინიშნა

---

1 მისი პირველი მეუღლე იყო გიორგი ალექსანდრეს ძე ტარსაიძე (1857-1904 წწ.), ხოლო დაქვრივების შემდეგ ცოლად გაჰყვა პლატონ მიხეილის ძე დომერშჩიკოვს (?-1937 წ. რეპრესირებული).

2 დოლიძე ლ., გენერლები საქართველოდან, თბ., 2003., ასევე გოგიტიძე მ., რუსეთის იმპერიის სამეფო არმიის ქართველი გენერლები, თბ., 1999.

გენერალი გიორგი რატიშვილი. გენერალ-მაიორის წოდების მიღებისთანავე გიგუშა ინიშნება ახლად შექმნილ ცხენოსანთა ბრიგადის ხელმძღვანელად.

გიგუშამ და მერი შერვაშიძემ 1918 წელს ჯვარი დაიწერეს ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიაში.

საქართველოში შემოჭრილ რუსეთის მე-11 წითელი არმიის ნაწილებთან მარცხის შემდეგ ქართველ მებრძოლებთან ერთად იგი იძულებული იყო ბათუმისკენ დაეხია, იქიდან კი თურქეთში და შემდეგ საფრანგეთში წავიდა.

მოგვიანებით, 1921 წელს მერიც მიემგზავრება ემიგრაციაში თურქეთის გავლით. მას კონსტანტინეპოლში ხვდება გიგუშა ერისთავი, ჩერდებიან იქ რამდენიმე დღე, მერი მონაწილეობდა იმ დროებაზე გამართულ მსოფლიო სილამაზის კონკურსში და გაიმარჯვა კიდეც.

საბოლოოდ გიგუშა და მერი სახლდებიან საფრანგეთში, პარიზში, ბულონის ტყესთან ახლოს. თავდაპირველად ოჯახს ძალიან გაუჭირდა. მერის დედა ნინო მხეიძე და ტყუპი დები ელენე და თამარი მერისთან ერთად ცხოვრობდნენ. ნინომ მალე იპოვა სამუშაო ცნობილ სამკერვალო სახელოსნოში. რამდენიმე ხნის შემდეგ მათ მოახერხეს საკუთარი სახელოსნოს გახსნა. სწორედ ამ დროს ხდება მერი კოკო შანელის მოდელი. ხანდაზმული მერი პარიზში ლატურის ქუჩაზე ცხოვრობდა. იშვიათად ხვდებოდა ქართველ ემიგრანტებს, ქართულ ეკლესიაშიც იშვიათად შედიოდა.

გემოვნებიან პარიზელებს ძალიან მოსწონდათ ქართველი ქალების მერი შერვაშიძისა და ლამისყანელ რიმა ერისთავის ჩაცმა-დახურვის სტილი. ულამაზესი არისტოკრატი ქალები პარიზში ცნობილი კოკო შანელის მოდელები გახდნენ.

მერი შერვაშიძე იყო აფხაზეთის მთავართა შთამომავალი, რუსეთის დედოფლის ფრეილინა, ევროპულად განსწავლული უმშვენიერესი ქალბატონი. მისი ხილვით გაოგნებულ იმპერატორ ნიკოლოზ II-ს ხმამაღლა უთქვამს: *„მკრეხელობაა, იყო ასეთი ლამაზი“.*

როგორც ცნობილია, და ზემოთაც აღვნიშნეთ მერი შერვაშიძეს და გიგუშა ერისთავს 1918 წელს ჯვარი დაუწერიათ ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიაში. ჩვენში საკმაოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ თავადის ამ ულამაზეს ქალს გალაკტიონ ტაბიძე ეტრფოდა და ქართული პოეზიის შედევრი „მერი“ პოეტმა სწორედ მერი შერვაშიძეს მიუძღვნა. უფრო მეტიც, ერთი ცნობილი პიროვნება იმასაც წერს, თითქოს „გალ-

აკტიონმა აღიარა, რომ ჩემი ლექსი „მერი“ მის ქორწილამდე სამი დღით ადრე დავწერე და გავუგზავნეო“.[1]

არსებობს სრულიად საპირისპირო თვალსაზრისი, რომელსაც ირეალურობიდან რეალურობამდე მივყავართ. ირკვევა, რომ მერი შერვაშიძე საერთოდ არ იცნობდა გალაკტიონს. აფხაზეთის მთავრის შთამომავალი, მართალია, ერთხანს ქუთაისში ცხოვრობდა და შესაძლებელია გალაკტიონსაც ენახა და სცნობიყო, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. მერი ქუთაისში კი ცხოვრობდა, მაგრამ ცხოვრობდა არისტოკრატიული მედიდურობით, განკერძოებითა და შებურვილობით. ამიტომ თქვა კოლაუ ნადირაძემ *„ვინ მიუშვებდა მასთან გალაკტიონს ან მე“.*

ძალზე საგულისხმოა პოეტის ძმისშვილის, ბატონ ნოდარ ტაბიძისთვის მსახიობ მედეა ჯაფარიძის ნაამბობი 1980 წლის აგვისტოში:

*„– პარიზში ყოფნისას გადავწყვიტე მენახა მერი შერვაშიძე – თავდაპირველად ეს არ მოხერხდა. მითხრეს გაციებულიაო და ვერ მიგიღებთო. საფრანგეთში მეორედ ყოფნისას სურვილი ამისრულდა. ქართულ რესტორანში „ოქროს საწმისი“ ვართ, მახლობელ მაგიდას მოხუცი ქალი უზის – ფრიად ნატიფი და შთამბეჭდავი.*

*– ვინ არის?*

*– მერი შერვაშიძე.*

*– წარმადგინეს, იგი 90 წელს გადაცილებულია, მაგრამ არ ეტყობა. მთელს მის არსებას შინაგანი ცეცხლი და საკუთარი ღირსების შეცნობა ანათებს.*

*– ჩვენი საუბარი საკმაოდ თავშეკავებული, ზეარისტოკრატიული გამოდგა. ცხადია რუსულად ვმეტყველებდით.*

*მან ბრძანა:*

*– ამბობენ, თითქოს გალაკტიონ ტაბიძემ „მერი“ მე მომიძღვნაო, არ არის ეს მართალი. მე საერთოდ არ ვიცნობდი ტაბიძეს. არავითარი კავშირი არ მქონდა მასთან.*

*უნდა გვახსოვდეს, რომ მერი ლიტერატურული სახელია. იგი გვხვდება ბაირონთან, შელისთან, ლერმონტოვთან, ბლოკთან და ასე შემდეგ. შემთხვევით არ არის, რომ ლექსის სათაური ლათინური ტრანსკრიფციით დაიბეჭდა „MERI“.*[2]

---

[1] ტაბიძე ნ., „გალაკტიონი“, თბ., 2000, გვ. 405.

[2] მერაბიშვილი ი., „MERI“, თბ., 2012.

*ამრიგად, ლექსი მერი არ არის კონკრეტული პიროვნება, არამედ პოეტის ფანტაზიით შექმნილი სახეა, მისი იდეალი და ხატებაა. გალაკტიონს არ დაუტოვებია დოკუმენტი, რომლითაც მისი და მერი შერვაშიძის რომანი ცნაურდებოდეს. როგორც მტკიცებულება საერთოდ მსგავსი რამ არ ყოფილა“.*[1]

ლექსი „მერი“ პირველად 1915 წელს გამოქვეყნდა „თეატრსა და ცხოვრებაში“ (№ 36), მეორედ კი წიგნში „არტისტული ყვავილები“. ეს ლექსი გამოქვეყნებისთანავე აიტაცა და შეიყვარა ფართო საზოგადოებამ. სწორედ საზოგადოების მსგავსად გალაკტიონისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობისა ხდება აღნიშნული ნაწარმოები. ოთხი წლის მანძილზე უტრიალა და ცვალა სტროფები, სტრიქონები და მეორედ პუბლიკაციისთვის კი ავტორმა „მერი“ უკვე საფუძვლიანად გადამუშავებული და შეცვლილი წარუდგინა საზოგადოებას.

მერი შერვაშიძის მეუღლე გიორგი – გიგუშა ერისთავი 72 წლის ასაკში 1947 წელს გარდაიცვალა. მერიმ ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა და ისე გარდაიცვალა სახეზე ღრმა ნაოჭები არ გასჩენია. შეკითხვაზე, თუ რით და როგორ მოახერხა ეს უპასუხა: არ ვიცინოდი.

მერი გარდაიცვალა 1986 წელს, მოხუცთა თავშესაფარში, სადაც მას მუდამ გვერდით ახლდა თავისი  მოსამსახურე. დაკრძალულია მეუღლის გვერდით, საფრანგეთში სენტ-ჟუვიე-ბუას სასაფლაოზე. მემკვიდრე არ დარჩენიათ.

გიორგი (გიგუშა) ნიკოლოზის ძე ერისთავის გენეალოგია

გიორგი ყულარაღასი
თამარ ამილახვარი

რევაზი (რომანოზი) გარდ. 1813 წ.
ანასტასია ბატონიშვილი

ბიძინა 1800-1876
მელიქიშვილი

**ნიკოლოზი** 1831-1912
ეკატერინე სარაჯიშვილი

| | | | |
|---|---|---|---|
| თამარი<br>1872-1952 | ალექსანდრე<br>1873-1955 | ელისაბედი<br>1874-1926 | **გიორგი** (გიგუშა)<br>1875-1947<br>მერი შერვაშიძე |

[1] ტაბიძე ნ., „გალაკტიონი“, თბ., 2000, გვ. 407.

შიდა ქართლის ნაყოფიერ ველზე გაშენებულ სოფელ მეჯვრისხევის მცხოვრებთა შორის სახლობდა პრორუსული ორიენტაციის ქართველი თავადი გიორგი დიმიტრის ძე ერისთავი 1832-1905, თიკუნი სახელით „რუსეთუმე“. ცოლად ჰყავდა ელისაბედ ზაალის ასული ბაგრატიონ-დავითაშვილისა (1836-1922 წწ.) გიორგის და ელისაბედს შეეძინათ 14 შვილი. 5 ვაჟი და 9 ქალი. მათი ქალიშვილებიდან შუათანა ანასტასია ერისთავი მთელმა ქართველმა საზოგადოებამ გაიცნო როგორც პირველი რომანისტი ქალი. იგი დაიბადა 1868 წლის 3 თებერვალს ქ. გორში. ბავშვობის წლები გაატარა სოფ. მეჯვრისხევში და სოფ. ფცაში (ამჟამად ქარელის რ-ნი), სადაც კარგად შეისწავლა უბრალო ხალხის ცხოვრება და შემდეგ იქ ნანახი და გაგონილი გამოიყენა თავის შემოქმედებაში. რაც კი დაწერა – ორი რომანი და თოთხმეტი მოთხრობა თითქმის ყველა სოფლის თემას მიუძღვნა.

1881 წელს 13 წლის ანასტასია, რომელსაც პირველდაწყებითი განათლება უკვე მიღებული ჰქონდა, გორის პროგიმნაზიაში შეუყვანიათ, რომლის დამთავრების შემდეგ, 1886 წლიდან სოფ. მეჯვრისხევში უქონელ გლეხკაცთა ტიტველ-შიშველი ბავშვებისთვის დაუარსებია უფასო სკოლა. *„უფრო რომ მიეზიდა ბავშვები, წერა-კითხვის სწავლების შემდეგ მათ უტარებდა ცეკვა-თამაშობას და სიმღერას და განა მარტო ბავშვებს? ხშირად მშობლებსაც კი აიყოლიებდა წერა-კითხვის სწავლაში“*[1] – წერს ანასტასიას შესახებ ფუცუ დგებუაძე-ფულარია.

1887 წელს 19 წლის ანასტასია ბიძის ელიზბარ ერისთავის სახლში შეხვედრია ა. წერეთელს, რომელსაც უნახავს ანასტასიას ნაწერები და რჩევა მიუცია – ლექსებს თავი დაანებე და პროზას გაჰყევიო. მართლაც, მას მერე წერეთლისგან დალოცვილმა სამწერლო გზაზე ღირსეულად იარა მთელი სამოცი წელი.

ანასტასიას განსაკუთრებით მოუხვეჭა სახელი ცალკე წიგნად დაბეჭდილმა რომანმა „მოლიპულ გზაზე“, რომელიც ამასთანავე მისი გაბედნიერების მიზეზიც გახდა. მის მომავალ მეუღლეს პოეტ დუტუ მეგრელს (დიმიტრი ხოშტარია) წაუკითხავს ანასტასიას რომანი და, ავტორის ვინაობით დაინტერესებულს, მალევე გაუცვნია და წერილიც მიუწერია, რომლითაც ხელს სთხოვდა. ანასტასიას წაუკითხავს ბარათი, დაფიქრებულა, მიმხვდარა, რომ ეს „ის“ იყო და თანხმობა მასაც წერილობით განუცხადებია.[2]

---

[1] დგებუაძე-ფულარია ფ., „ქართველი მოღვაწე ქალები“, თბ., 1965, გვ. 778.

[2] საყმაწვილო ენციკლოპედია, ქართული მწერლობა, თბ., 2008, გვ. 27.

1897 წელს სოფ. მეჯვრისხევში მომხდარა ანასტასიას და დუტუ მეგრელის ჯვრისწერა, რომელსაც დასწრებიან ჩვენი ცნობილი მწერლები აკაკი და გიორგი წერეთლები, კიტა აბაშიძე და მიხეილ ნასიძე. წყვილს ჯვარი უსანეთის ეკლესიაში დაუწერია. ქორწინების შემდეგ სამსახურის მიხედვით, ცხოვრება უხდებოდათ ყარსის ოლქში, ერევნის გუბერნიასა და აზერბაიჯანში.

1913 წელს ანასტასიამ გორში დააარსა ქართველ ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი", ხოლო თავის მშობლიურ სოფელში – ამ საზოგადოების ფილიალი. საზოგადოების აქტივისტი წევრები დადიოდნენ ქართლის სოფლებში და ატარებდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ხასიათის ლექცია-სემინარებს.

1924 წელს ანასტასიას გადაუხადეს სამწერლო მოღვაწეობის 35 წლის იუბილე, ხოლო 1945 წელს დაჯილდოებული იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით. მომდევნო წელს კი 80 წლის ანასტასიას დიდი ზეიმით გადაუხადეს 60 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის იუბილე. ღვაწლმოსილი მწერალი გარდაიცვალა 1951 წლის 1 მაისს. დაკრძალეს თბილისში, ვაკის სასაფლაოზე.

1968 წელს რესპუბლიკის მასშტაბით აღინიშნა ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას დაბადებიდან 100 წლისთავი, რამაც სახალხო ზეიმის სახე მიიღო. ამავე წელს ნეშტი ქმართან ერთად გადმოასვენეს დიდუბის პანთეონში.

მწერლის ნაწარმოებებიდან დიდ ყურადღებას იმსახურებს მისი რომანები: „მოლიპულ გზაზე" და „ბედის ტრიალი", რომლებშიც ასახულია ბატონყმობის გაუქმების შემდეგ კიდევ უფრო მძიმე პერიოდი დაბალი ფენებისა. ასევე მკითხველმა იმთავითვე შეიყვარა და გაითავისა მისი მოთხრობები: „ლუკმა პურისათვის", „მიწა", „განთიადი", „ეკლესიის გარშემო", „ლაზარემ დაიგვიანა" და სხვა.

მეჯვრისხეველმა პატრიოტმა ქალმა ვერა გოგიაშვილმა, სოფლის თანადგომით, 1964 წელს მოახერხა გაეხსნა ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას სახლ-მუზეუმი, სადაც თავი მოიყარა და აღიწერა 392 ექსპონატი. სამწუხაროდ, 1991 წლიდან უსახსრობის გამო სახლ-მუზეუმი დაიხურა. „ამჟამად მუზეუმი გაცამტვერებულია, მისგან ცარიელი კედლებიღაა დარჩენილი". ექსპონატების მცირე ნაწილი გადანახულია ერთ-ერთი მეჯვრისხეველის სახლში.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲧᲣᲚᲐᲠᲐᲦᲐᲡᲘ

ელიზბარი (მელექსე) 1751-1826
მარიამ ბატონიშვილი (სოლომონ I ას.)

დიმიტრი (1797-1841)
მარიამ (მარინე) ივანეს ას. ჩოლოყაშვილი

**გიორგი** 1832-1905
ელისაბედ ზაალის ას. ბაგრატიონ-დავითაშვილი
(1836-1922)

- ნიკოლოზი 1858-?
- მარიამი 1860-1921
- დიმიტრი 1862-?
- ანა (ანეტა) 1864-1934
- ალექსანდრე 1865-1866
- ნინო 1866-1904
- სოფიო 1868-?
- **ანასტასია** (1868-1951) დუტუ მეგრელი
- ალექსანდრა 1870-1877
- დავითი 1871-1946
- მიხეილი 1876-1940
- ლიუბოვი 1876-?
- თამარი 1880-?
- ალექსანდრა 1882-?

მეჯვრისხევში, სადაც ანასტასიამ ბავშვობა და თავისი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა, პერიოდულად ცხოვრობდნენ მისი ძმები დავით და მიხეილ გიორგის ძე ერისთავები. სამწუხაროდ, მათ ღრმა კვალი ვერ დატოვეს მეჯვრისხევის ისტორიაში.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ

გიორგი

დავითი (1871-1946)
აგრაფინა ნიჟარაძე

- ეკატერინე 1898-1976
- ელენე 1900-1982
- მაგდალინა 1901-?
- დარეჯანი 1907-?

მიხეილი (1876-1940)
თამარ ლევანის ას. უზნაძე

- გიორგი
- ლევანი
- ნინო 1906-1983

მეჯვრისხევში მცხოვრებ ერისთავების ძლიერ წრეს ჰკრავდა ყულარ-აღასთა შთამომავალი ძმები სოლომონ და ალექსანდრე თავიანთი ორ-ორი ვაჟით.

უფროს ძმას ალექსანდრე ზურაბის ძე ერისთავს იგივე ბაბახანს ცოლად ჰყავდა მანანა შალვას ას ერისთავი. მათ შეეძინათ შვიდი შვილი, მათგან სამი მცირეწლოვანი გარდაეცვალათ.

უმცროს ძმას სოლომონ ზურაბის ძე ერისთავს – მეფის არმიის პრაპორშჩიკს, ცოლად ჰყავდა ამილახვრის ქალი ეკატერინე. მათ შეეძინათ რვა შვილი, ოთხი ბიჭი და ოთხიც გოგო. ზრდასრულ ასაკამდე ოთხმა მიაღწია.

გიორგი ყულარაღასი

- ელიზბარი (მელექსე) 1751-1826
  მარიამ ბატონიშვილი (სოლომონ I ას.)
  - ზურაბი (სწავლული) 1788-1838
    ეფემია ოთარის ას. ამილახვარი
    - **ალექსანდრე** (ბაბახანი) 1815-1863
      მანანა შალვას ას ერისთავი (1830-1878)
      - ანა 1847-?
      - დარია 1850-?
      - თამარი 1852-1853
      - კონსტანტინე 1855-1905
        ალექსანდრა წერეთელი 1854-19?
        - დავითი 1878-1936
        - ალექსანდრე (საშა) 1880-1950
        - მარიამი 1883-1978
          კონსტანტინე ელიოზიშვილი
          - გიორგი
          - ვახტანგი
        - თამარი (შავი ბრილიანტი) 1885-1975
      - ივანე 1859-?
      - შალვა (ვლადიმერი) 1863-1923
      - ნინო 1861-1878
    - **სოლომონი** (1816-1880)
      ეკ. ამილახვარი
      - ნინო 1847-?
      - ვასილი 1848-1908
      - კონსტანტინე 1850-1852
      - მარიამი 1852-1921
      - მიხეილი 1854-1859
      - სოფიო 1856-1857
      - ალექსანდრა 1857-?
      - გრიგოლი გიგუცა 1858

ერისთავიანთ აღმასვლის ერთ-ერთ ნაშთს სოფ. მეჯვრისხევში წარმოადგენს ჩვენ მიერ უკვე აღწერილი საცხოვრებელი სახლი კონსტანტინე და შალვა ერისთავებისა, რომელიც 1990-იან წლებში დაუბრუნდა მის ძველ მეპატრონე ერისთავთა შთამომავლებს.

ალექსანდრე ერისთავის უფროსი ვაჟი კონსტანტინე დაიბადა 1855 წელს სოფ. მეჯვრისხევში. საშუალო განათლება საფრანგეთში მიიღო, უმაღლეს აგრონომიულ განათლებას დაეუფლა გერმანიაში. მეჯვრისხევში დაბრუნების შემდეგ მანამდე უცნობი ხეხილის ჯიშები გაახარა. იგი იყო დიდი ქველმოქმედი და უკეთილშობილესი ადამიანი. მისი ინიციატივით 1900 წელს სოფელში გაიხსნა საავადმყოფო. მან იყიდა დილიჟანსი, დაიქირავა მეეტლე და გახსნა ყოველდღიური მიმოსვლა გორსა და მეჯვრისხევს შორის. მოაწყო თავისი ხარჯებით ფოსტა. დიდი დახმარება გაუწია დუხობორებს, რომელთაც ასახლებდნენ კანადაში. მოწყალე ბუნების გამო ერისთავი ყველას უყვარდა, მიუხედავად ამისა, ის 1905 წელს მოტყუებით გაიყვანეს სახლიდან და სიცოცხლეს გამოასალმეს. დაკრძალულია მეჯვრისხევში, ღვთისმშობლის სახ. ეკლესიის ეზოში.

კონსტანტინეს ცოლად ჰყავდა ალექსანდრა დავითის ასული წერეთელი (დაიბ. 1854 წ.). მათ შეეძინათ ოთხი შვილი: დავითი, ალექსანდრე – საშა, მარიამი და თამარი.

მარიამი ცოლად გაჰყვა კონსტანტინე ელიოზიშვილს. ცხოვრობდნენ გორში, ჰყავდათ 2 ვაჟი. უფროსი ვაჟი – გიორგი საფრანგეთში გარდაიცვალა 22 წლის. უმცროსი – ვახტანგი კი 1999 წელს, 90 წელს მიღწეული. სწორედ მან დაიბრუნა მეჯვრისხევში პაპის უკანონოდ ჩამორთმეული კარ-მიდამო.

ვახტანგი ნიჭიერი პიროვნება გახლდათ. მან ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა მეჯვრისხეველთათვის და იქ მცხოვრებ თავის წინაპართა სახელების არდასავიწყებლად.

მარიამის უფროსი ძმა დავითი – დათა სამხედრო პირი იყო კაპიტნის ჩინით. მსახურობდა მეფის არმიაში, შემდეგ ცხოვრობდა მეჯვრისხევში. იყო ნამდვილი მემამულე, მშვიდი და წყნარი, უყვარდა შრომა და შინ ყოფნა. გარდაიცვალა თბილისში 1936 წელს. შვილი არ დარჩენია, საფლავი უცნობია.

ასევე უმცროსი ძმა ალექსანდრე – საშა რუსეთის არმიის ოფიცერი და ნიკოლოზ II-ის ძმის, მიხეილის პირადი ადიუტანტი, ცხოვრობდა პე-

ტერბურგში. რევოლუციის დასაწყისში თბილისში ჩამოვიდა, საიდანაც 1921 წელს წავიდა პარიზში. იგი უცოლშვილო გარდაიცვალა 1950 წელს. დაკრძალულია ლევილში.

კონსტანტინეს და ალექსანდრას უმცროსი ქალიშვილი თამარი, როგორც ვიცით, ცოლად გაჰყვა თავისსავე ბიძაშვილს, ლამისყანელ მემამულეს ნიკოლოზ დავითის ძე ერისთავს.

ნიკოლოზის სიკვდილის შემდეგ თამარი თავის ერთადერთ ქალიშვილ რიმასთან ერთად ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში, საიდანაც აღარ დაბრუნებულან.

# თავი XXIII

## ლამისყანა

ლამისყანა ქსნის ხეობის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია შემკული ბაღ-ვენახებით, სახნავ-სათესით, სათიბ-საძოვრებით და ჭალებით. იგი აღმოსავლეთი კიდეა შინდავაკისა, რომელიც ტირიფონას ველის ნაწილია შიდა ქართლში.

ქსნის ხეობის ჩამკეტ, ამ მოხერხებულ ადგილს ერისთავებმა ხეობაში გაბატონებისთანავე მიაქციეს ყურადღება. ძნელი სათქმელია, როდის ააგეს მათ იქ პირველი საფორტიფიკაციო და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ლამისყანის გვიანი შუა საუკუნეების დროინდელი ციხე-სასახლე დასტურია გარეშე მტერთა გამუდმებული თავდასხმებისა და სისხლის კალოზე ცეცხლის კევრის დაბრუნებისა.

ქსნის ერისთავებიდან იესეანთ შთამომავლები მამულებით მდიდარ თავმოსაწონ სოფელ ლამისყანაში, განაპირას მდგარ სტრატეგიულად მეტად მოხერხებულ გორაზე, რომელიც ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში იყო დასახლებული, XVIII საუკუნეში აგებენ დიდებულ ციხე-სასახლეს, საიდანაც კარგად ჩანს ქსნის ხეობის ბარის სივრცე და რომლიდანაც შეიძლება გაკონტროლება ქსოვრის-მუხრანისა და დამპალოს ციხეებისა, სარკინეთის მთის ჩრდილო კალთისა ქსნის ციხემდე. აღმოსავლეთით – ილტოზის ციხის მჭადიჯვრის გადასასვლელით იგივე სალეკო გზისა. ჩრდილო-აღმოსავლეთით კი ოძისისა და ახმაჯის ციხეთა ახალგორამდე.

მდ. ქსნის მარჯვენა მხარეს, თითქმის იკოთის ქვემოთ, ასეთი ლანდშაფტთან შეხამებული ადგილი მეორე არ მოიძებნება. სამი მხრიდან კონუსური ფორმის გორაზე მდებარე ქსნის ერისთავების კუთვნილი ლამისყანის ციხე-სასახლე, რომელიც თავიანთ ლამაზ ასულს ნინოს 1845 წელს მზითევში მისცეს, შედგება: ორიარუსიანი გალავნის და მასში

მოქცეული ოთხი მრგვალი კოშკის, გალავნის გარეთ, იქვე ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე წმ. გიორგის სახელობის კარის ეკლესიის, მარნის და სხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა ნაშთებისა და ორსართულიანი ქვითკირით ნაგები სასახლისაგან.

ციხე-გალავანი, სავარაუდოდ, XVIII საუკუნეშია აშენებული, დღევანდელი სასახლე კი – XIX საუკუნის პირველ ნახევარში. მის ახალმფლობელ ორბელიანებს გაფართოების მიზნით ძველ სასახლეზე და სამხრეთის გალავანზე დაუშენებიათ, ამიტომ მოშლილია გალავნის ნაწილი – სათოფურების ზედა რიგის დონეზე – საბრძოლო ბილიკამდე.

დარჩენილი 165 მეტრის სიგრძის გალავნით უშუალოდ შემოსაზღვრულია ციხე-სასახლის ეზო, რომელშიც, როგორც უკვე ვთქვით, ოთხი კოშკი ყოფილა. სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ნახევრად შემორჩენილ კოშკებზე XIX საუკუნის დასაწყისში სასახლის მშენებლობისას ოთხკუთხა ოთახები დაუშენებიათ. შედარებით კარგადაა შემორჩენილი ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის კოშკები. ამ კოშკებს შორის, ჩრდილოეთ გალავნის კედელში დატანებულია მთავარი შესასვლელი კარიბჭე. ოთხივე კოშკს თითო შესასვლელი ეზოდან პირველ სართულზე აქვთ, დანარჩენი შესასვლელები საბრძოლო ბილიკებზე გამოდის. ბილიკების დონეზე შემორჩენილია საპირფარეშოს ფრაგმენტები გარეთ გაყვანილი ხვრელით. კოშკებში სართულშუა გადახურვა ხისა ყოფილა. ყველა სართულზე თითო ბუხარი და რამდენიმე სათოფურია! რაც შეეხება სასახლეს (ზომებია 12,5X26 მ) ის ციხე-კომპლექსის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს, ნაგებია მდ. ქსნის ჭალებიდან ატანილი რიყის ქვით და ძველი ქართული აგურით. *„სასახლე ორსართულიანია. პირველ რიგში ორივე სართულზე ხუთ-ხუთი პატარა ოთახია, მეორე რიგში სამ-სამი. (შუაში დიდი დარბაზია) ყველა ოთახი ერთმანეთთან კარითა დაკავშირებული. მეორე სართული პირველის ანალოგიურია, მხოლოდ მას ოთხივე მხრიდან ხის დიდი აივნები ეკვრის. შენობის გასათბობად იყენებდნენ ბუხრებსა და კედლის ღუმელებს. ინტერიერი მთლიანად შელესილია.*

*ფასადებიდან აღსანიშნავია ქსნის ხეობისკენ მიქცეული გრძივი ფასადი სადაც მეორე სართულზე, მსგავსად დანარჩენი ფასადებისა, ხის ბოძებიანი წინწამოწეული რიკულებიანი აივანია. სასახლე გადახურულია კრამიტის ოთხფერდა სახურავით“.*[1]

[1] საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, გვ. 175.

ამ დიდებული სასახლის მფლობელი ქსნის ერისთავებიდან იყო ალექსანდრე იგივე თორნიკე იესეს ძე ერისთავი (1779-1860). მას ცოლად ჰყავდა ბარბარე ივანეს ასული მუხრანბატონი, ერეკლე II-ის შვილიშვილი. თორნიკე უმცროსი ძმა იყო ცნობილი „სენატორის“ და შანშე-ელიზბარისა. უმცროს ძმას ატენშიც დიდი მამულები ერგო ძმებთან გაყრისას.

რადგან ვაჟი არ ჰყავდა თორნიკემ ლამისყანის სასახლე თავის უმცროს ქალიშვილს – ნინოს, 1845 წელს ივანე თამაზის ძე ჯამბაკურ-ორბელიანთან ჯვრისწერის შემდეგ მზითვში გადაულოცა, ხოლო უფროსმა ქალიშვილმა – ელენემ, რომელიც ცოლად გაჰყვა ყირიმელ თავადს გენერალ-მაიორ პოპოვს, მშობლებისაგან მამულების ნაცვლად ფულადი თანხა მიიღო.

*„თორნიკე ერისთავმა 1845 წლის ივნისში თავის უფროს ასულთან მაშინ უკვე ქვრივ ელენე პოპოვასთან ერთად შეადგინა ანდერძი, რომლითაც თავის მემკვიდრედ დაასახელა უმცროსი ასული ნინო და თავისი კუთვნილი ქონება, იესე იესეს ძე ერისთავისაგან (სხვათაშორის თორნიკე ერისთავის პაპა იესე შალვა წამებულის შვილიშვილი იყო) წილად ნარგები მას უბოძა“.*[1]

შეუღლებულ წყვილთა მფლობელობაში მოექცა გორისა და დუშეთის მაზრის 26 სოფელში მოსახლე 790 სული გლეხი. გაგვიჭირდება სიმართლის დადგენა იმის თაობაზე, თუ ვისი აგებულია ჩვენამდე მოღწეული ლამისყანის სასახლე. შესაძლებელია სიძე-სიმამრის თორნიკესი და ივანეს ერთობლივი მოქმედების შედეგია. ჯამბაკურ-ორბელიანების ორი თაობა 80 წლის მანძილზე სარგებლობდა ერისთავების ციხე-სასახლით და ამიტომაც ისტორიაში შევიდა როგორც ორბელიანების სასახლე. საფიქრებელია, ამ გარემოებას ხელი შეუწყო ჩვენმა დიდმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა და მის მიერ დამკვიდრებულმა ტერმინოლოგიამ. ამ სასახლეში მცხოვრები ორბელიანთა მეორე თაობის წარმომადგენელი მარიამი – მამიდა გახლდათ დიდი ივანეს მეუღლისა – ანასტასია ორბელიანისა.

ერისთავის ასულმა ნინომ ივანე ჯამბაკურ-ორბელიანს ორი ვაჟი ალექსანდრე და გიორგი გაუჩინა. სამწუხაროდ, უმცროსი ვაჟი ექვსი წლის ასაკში გარდაეცვალათ და ეს უმდიდრესი ოჯახი ერთი ვაჟის – ალექსანდრეს იმედად დარჩა.

---

[1] ცუცუნაშვილი-ფავლენიშვილი ს., „ორბელიანები ლამისყანაში“, გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1997 წ. 24-31 ოქტომბერი.

დედისერთა თავადიშვილმა ალექსანდრემ ჩინებული არისტოკრატიული განათლება მიიღო. მშობლების ხელშეწყობით 25 წლის ასაკში ცოლად შეირთო თავისივე მოგვარე მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანი. პატარძალს ჯვრისწერისას დედამთილმა ნინო ერისთავმა ატენის მამული აჩუქა, სადაც ედგათ კლდეში ნაკვეთი მშვენიერი სახლი, რომლის არქიტექტორიც თავის დროზე თორნიკე ქსნის ერისთავი ყოფილა. სასახლე ედგათ აგრეთვე თბილისში ნიკოლოზის ქუჩაზე (საბჭოთა პერიოდში კალინინის ქუჩა), ამჟამად ივ. ჯავახიშვილის ქუჩა № 66. ამ დროისთვის ალექსანდრეს უკვე დაემთავრებინა პაჟების კორპუსი და ჩრდილოეთ კავკასიაში თავად ლევან მელიქიშვილთან ადიუტანტად მსახურობდა. შემდეგ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვმა თავის სამსახურში აიყვანა. სამხედრო კარიერა პოლკოვნიკის ჩინით დაასრულა. შემდგომ გახდა თბილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლი.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი უაღრესად განათლებული და დიდსულოვანი ადამიანი გახლდათ. მისი როლი ქართული საზოგადოების აღზრდა-განათლებასა და ერის კულტურულ ცხოვრებაში ძალზე დიდია. მამამისი ვახტანგ ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანი გახლდათ ერეკლე II-ის შვილთაშვილი. მარიამის მამის ძმა ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანი გახლდათ საზოგადო მოღვაწე, მწერალი და 1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორი ელიზბარ ერისთავთან და სოლომონ დოდაშვილთან ერთად.

მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი აქტიური წევრი იყო საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა. ის სამ ათეულ წელზე მეტი ხელმძღვანელობდა სათავადაზნაურო სკოლის კომიტეტს. 1906 წელს მისი დიდი მცდელობით და მისი მოგროვილი თანხით გაიხსნა მშობლიურ ენაზე პირველი ქალთა სკოლა. მან აგრეთვე დიდი დახმარება გაუწია ილია წინამძღვრიშვილს საგურამოში სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნაში. მარიამმა სოფელ ატენში დედამთილისაგან ნაჩუქარ მამულში გაახსნევინა სამეურნეო სასწავლებელი, რომელზეც ჩვენ წინა ერთ-ერთ თავში უკვე ვილაპარაკეთ. ატენის სკოლის ხარჯის ნახევარზე მეტი თვითონ გაიღო. მას ჰყავდა სტიპენდიანტები ქართულ ვაჟთა სკოლასა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში, იყო სამუსიკო სასწავლებლის კომიტეტის წევრი. 1876 წელს მოაწყო ლამისყანის პირველი დაწყებითი სკოლა, რომლის ერთადერთი მასწავლებელი თავად იყო. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი თავგამოდებით გვერდში ედგა ივანე ჯავახიშვილს ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. მომავალი უნივერსიტეტის შენობის გეგმა შვეციიდან სწორედ მარიამმა ჩამოიტანა.

სამწუხაროდ, ალექსანდრეს და მარიამს მემკვიდრე არ გაუჩნდათ, მაგრამ მათ სახლს არ აკლდა არც ბავშვების ჟრიამული და არც ნათესავ-ახლობელთა და მოწინავე მოღვაწეთა სტუმრობა. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ცნობილი იყო ორბელიანთა სასახლის სალონი, სადაც თავს იყრიდნენ ცნობილი მოღვაწენი. ორბელიანებთან დაიარებოდნენ და დროდადრო ცხოვრობდნენ ვახტანგ ორბელიანი, ივანე ჯავახიშვილი, რომელსაც ცოლად ჰყავდა მარიამის ძმისშილი ანასტასია ნიკოლოზის ასული ორბელიანი, ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე ივანე ჯავახიშვილის ქვისლი და სხვა. ამ სახლში იყო ორბელიანების მდიდარი ბიბლიოთეკა, სადაც 1913 წელს მათმა სიძემ ივ. ჯავახიშვილმა მიაკვლია „ქართლის ცხოვრების" ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა შორის უძველესს, რომელიც გადაწერილია ალექსანდრე კახთა მეფის მეუღლის დედოფალ ანას ბრძანებით XV ს-ის II ნახევარში. იგი ცნობილია „ანასეული ქართლის ცხოვრებით".

ნინო თორნიკეს ასულ ერისთავის დაკვალიანებულ და ცხოვრების გზაზე დაყენებულ უშვილო, მაგრამ წინაპართა ტრადიციების გამგრძელებელმა ალექსანდრე და მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანებმა ერისთავებისეული სასახლე სიკეთის, სამშობლოზე ზრუნვის და კულტურულ-საგანმანათლებლო კერად აქციეს. მათი დევიზი იყო: „სოფლის გლეხობა მემამულემ კი არ უნდა შეავიწროვოს, არამედ უნდა იცავდეს და მათზე ზრუნავდეს". რუსეთის კოლონიად ქცეულ საქართველოში არ ყოფილა რაიმე საჭირბოროტო ეროვნული, მამულის გასახარისი საკითხი, რომლის გადაჭრაში მარიამს, მეუღლის ხელშეწყობით, არ მიეღოს მონაწილეობა. ამიტომაც ითქვა და დაიწერა მასზე: *„ეროვნული საქმის კეთება მისი ცხოვრების წესი იყოო".*

ლამისყანაში მალარიის მოსპობა, „ტოლონაურის" წყაროს წყლით სოფლის უზრუნველყოფა, ფოსტის და სკოლის გახსნა, ნათესავთა მუდმივი დახმარების გაწევა. თბილისის ბინაში მათთან დიდი სანათესაო ცხოვრობდა (ორბელიანები ზაფხულს ლამისყანაში ატარებდნენ, ზამთარს თბილისში). მარიამის ძმისშვილები თავისი ოჯახებით და თავისი შვილიშვილებითაც კი. ჯამბაკურ-ორბელიანებთან (ამჟამინდელი ი. ჯავახიშვილის ქუჩა № 66) ცხოვრობდა მიხეილ რჩეულიშვილი. სწორედ მათ სახლში დაიბადა ყველასათვის საყვარელი მწერალი გურამ რჩეულიშვილი. იგი იყო მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის ძმისშვილის მულის შვილიშვილი. ამდენად, გამორჩეულად ხაზგასასმელია სიკეთე ორბელიანებისა, რომელიც ასე შორს გასულ შტოებსაც სწვდებოდა.

მიუხედავად ასეთი დამსახურებისა 89 წლის მოხუცის თხოვნას პერსონალური პენსია მიეცათ, უარი უთხრეს. ასევე უარი უთხრეს მას

უკანასკნელ თხოვნაზე – დაეკრძალათ სიონის ტაძარში თავისი მამისა და ქმრის ოჯახის აკლდამაში. სამშობლოს ერთგული ღვაწლმოსილი ქართველი თავადის ქალი, შთამომავალი შალვა და ელიზბარისა და ბაგრატიონებისა გარდაიცვალა 1941 წლის 23 აგვისტოს, ქართველობისაგან დაუფასებელი და პატივმიუგებელი დაკრძალულია კუკიაზე.

ორბელიანების სასახლეში მისი ბოლო მფლობელი მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი ცხოვრობდა 1924 წლამდე. მისი იქ ბოლო ორი წლის ყოფნის პარალელურად მათ სასახლეში მოთავსებული იყო სახალხო კომუნა, შემდეგ სოფლის აღმასრულებელი კომიტეტი, კოლმეურნეობის გამგეობა და სხვადასხვა დროს სხვადასხვა საბჭოური სამსახურები. გასული საუკუნის 80-იან წლებიდან სასახლეში მოეწყო ჯამბაკურ-ორბელიანების სახლ-მუზეუმი, სწორედ მუზეუმის და მისი ხელმძღვანელის სოფიკო ცუცნაშვილი-ფავლენიშვილის დამსახურებაა ციხე-სასახლისა და მისი ისტორიის შენახვა-შენარჩუნება მომავალი საქართველოსთვის.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ-ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲘᲔᲡᲔᲡ ᲫᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲐᲚᲝᲒᲘᲐ
(ლამისყანის სასახლის ბოლო მფლობელისა)
შალვა ერისთავი, წამებული

|

დავითი (დათუნა)

|

იესე (ყულარაღასი)
ქეთევან ჩოლოყაშვილი

|

იესე (აღაბაბა)
მარიამ (მაია) იესეს ას. ამილახვარი

|

**ალექსანდრე-თორნიკე** (1779-1860)
ბარბარე ივანეს ას. მუხრანბატონი (ერეკლე II შვილიშვილი)
(1786-1843)

|

**ელენე** (1808-1862)
მეუღლე: პოპოვი

**ნინო** (1814-1887) მზითევში ერგო ლამისყანა
ივანე თამაზის ძე ჯამბაკურ-ორბელიანი
(1809-1866)

|

**ალექსანდრე-საშა** 1847-1919
მარიამ ვახტანგის ას. ჯამბაკურ-ორბელიანი (1852-1941)

|

უშვილოები

**გიორგი** 1850-1856

ქართლის მშვენიერ სოფელ ლამისყანაში ყულარაღასის შთამომავალ ერისთავების მეზობლად ცხოვრობდა იესეს შთამომავალთაგან ერთ-ერთი უმდიდრესი თავადი დავით ივანეს ძე ერისთავი (1835-1899). მეექვსე თაობა შალვა და ელიზბარ წამებულებისა. დავითს ცოლად ჰყავდა ალექსანდრა დიმიტრის ასული მაღალაშვილი (1836-1894).

ობლობაში გაზრდილი დავითი მშვიდი და კეთილი კაცი ყოფილა. თითო და-ძმის პატრონი ცხრა შვილის მამა გამხდარა. მისი შვილებიდან ლამისყანას დარჩენილა უმცროსი ვაჟი ნიკოლოზი. ამ უკანასკნელის სასახლე ქსნის ხეობას მარჯვენა მხრიდან გადაჰყურებს. სავარაუდოდ, XIX საუკუნის არქიტექტურული ძეგლია, თუმცა რატომღაც „საქართველოს ისტორიისა და არქიტექტურული ძეგლების" მე-5 ტომში არ არის შეტანილი, რაც უთუოდ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. სასახლე ორსართულიანია. პირველი სართული ნახევრად მიწაშია და ერთი შეხედვით მნახველი ერთსართულიანად აღიქვამს. სასახლეში თითქმის ნახევარი საუკუნე განთავსებული იყო სოფლის სკოლა. ამჟამად იგი გაძარცული და გაპარტახებულია, დარჩენილია მხოლოდ კედლები.

ნიკოლოზ (კოლა) ერისთავმა 1901 წელს ჯვარი დაიწერა 15 წლის თამარ კონსტანტინეს ასულ ერისთავზე. მეჯვრისხეველი მემამულის ქალიშვილზე, რომელიც 20 წლით უმცროსი იყო მეუღლეზე. ექვსწლიანი თანაცხოვრების შემდეგ თამარი დაქვრივდა და დარჩა ერთადერთი ქალი – რიმა, რომელსაც სახელი ოჯახის მეგობრისა და მომავალი ნათლიის – ბალტიის სამხედრო ფლოტის ადმირალის გლაზენაპის მეუღლის რიმას პატივსაცემად დაარქვეს. ლამისყანელთა თქმით, 42 წლის „კოლა ბატონის" სიკვდილი მისივე ავკაცობას უკავშირდება. გულამღვრეული ბატონი სოფლიდან თბილისში იმ გლეხის პირტიტველა ბიჭის – ნიკა რამაზაშვილის შურისძიების შიშით გაქცეულა, რომელიც რამდენიმე კვირის წინ ერისთავმა გააციმბირებინა და შემდგომ ბადრაგს გზიდან გამოექცა. 1907 წელი ილეოდა, ერისთავი საახალწლოდ სოფლის საქმეების მოსაგვარებლად ლამისყანაში წასულა მოსამსახურე ბელსკაიას ქალთან ერთად.

რესპონდენტის თქმით... (მთხრობელი გოგი ვასილის ძე თოთოსაშვილი. დაბ. 1925 წ. მცხ. სოფ. ლამისყანაში, ვესაუბრე 2010 წ. თებერვალს) *„კოლა ერისთავზე ყველაფერი მამაჩემისაგან ვიცი. ბატონს სხვებიც ბევრნი ემუქრებოდნენ. თბილისიდან კასპამდე მატარებლით მოსულა დეკემბრის ნიკოლოზობა დღეს, თან რუსი მოსამსახურე ქალი ხლებია. კასპში ეტლზე უარი უთქვია, ურმით ჩვენ ჩასვლას არავინ იფიქრებსო. დაუბარებია თავისი მეურმე ცუცუნაშვილი გულოს პაპა, სახელი აღარ*

*მაგონდება. ჭილობში გახვეული წამოწოლილა ურემზე, ესე ვერ შემ-ნიშნავენო, მაგრამ რა, ცუცუნაშვილი ყაჩაღებთან ყოფილა შეკრული. შიდა ვაკეზე ეხლა რომ შვინდა ვაკეს ეძახიან არ არის სწორი. აღმართის ამოსასვლელში, ნაქალაქევის ხევში დახვედრია ორი ნიკა – რამაზაშვილი და ქოქოსაშვილი. მეურმისთვის უთქვიათ სად არის ბატონიო. ქალაქში დარჩაო უთქვია მეურმეს და თან თვალით ჭილობზე უნიშნებია. მაშინ გადახადეს ჭილობი ბატონს და ხანჯლით თავი მოაჭრეს. სიკვდილამდე კოლას ყაჩაღის სახელი ნიკა უხსენებია, შეშინებული რუსის ქალი ფეხით გამოქცეულა, ნიქა-ნიქას ძახილით ლამისყანაში მივარდნილა და მოურავისთვის უთქვია ყაჩაღის სახელი".*

ნიკოლოზ ერისთავის მკვლელობას თბილისში გამომავალი ბევრი გაზეთი გამოეხმაურა, მათ შორის გაზეთი „ისარი": *„ერისთავი მკვლელობის დღეს ტფილისიდან კასპამდე მატარებლით წასულა, თან წაუყვანია ბელსკაიას ქალი. სადგურ კასპში ერისთავს ეტლი ვერ უშოვნია და ამიტომ ურმით გამგზავრებულა. მეურმე ცუცუნაშვილთან ერთად ყოფილა გლეხი შიო ბიბინაური, შორი ახლო მგზავრებს დასდევნებიან ლამისყანელი ნიკოლოზ ქოქოსაშვილი და ყაჩაღად გავარდნილი ნიკოლოზ რამაზაშვილი. როდესაც გამხიტაშვილის დუქანს განშორებიან უცნობნი დასცემიან, შემდეგ მკვლელებს ხანჯლებიც დაუშენიათ.......".*[1]

ისე კი ბედის ირონიაა, ორმა ნიკოლოზმა ნიკოლოზ ერისთავს თავის დაბადების დღეს – წმ. ნიკოლოზობას თავი მოაჭრა. ამ მკვლელობას მოჰყვა ლამისყანის გაპარტახება. მაზრის უფროსმა ეგზეკუცია ჩააყენა სოფელში, რაზეც პრესაც იუწყებოდა: *„მოგეხსენებათ, რომ ამას წინათ ამ სოფლის* (ლამისყანის. ვ. ქ.) *მახლობლად მოჰკლეს მემამულე კოლა ერისთავი. ეჭვი მიტანილია ვიღაც ლამისყანელებზე. ამათ დასაჭერად სოფელში ჩაუყენებიათ სტრაჟნიკები, რომელთაც გაუგზავნია სოფლიდან ყველა ვაჟკაცი მკვლელის საძებნად, დაურჩენიათ სოფელში მხოლოდ თოთხმეტი კაცი, ამასთან აუკრძალიათ სოფლისთვის ყოველივეს ყიდვა-გაყიდვა თუ მუშაობა იმ დრომდე ვიდრე მკვლელებს იპოვნიან. შევიწროვება იქამდე მისულა, რომ შეწუხებულ ჯალაბობას გადაუწყვეტია ტფილისში ჩამოსვლა და ნამესტნიკთან შეხვედრა. შესაჩივლად უკვე ჩამოვიდა ტფილისში 19 დედაკაცი".*[2]

---

[1] გაზ. „ისარი", 1907, XII.

[2] გაზ. „ისარი", 1908, № 34.

ნიკოლოზ ერისთავის მკვლელობასთან დაკავშირებით ასევე ინფორმაციას ავრცელებს გაზ. „ცხოვრების სარკე“ (1908 წ.)

I. *„კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოში მიცემულ იქნა სოფ. ლამისყანის მცხოვრები ნიკა რამაზაშვილი 17 წლისა. რომელსაც ნ. ერისთავის მკვლელობა ბრალდება“.*

II. *„21 აპრილს სამხედრო საოლქო სასამართლომ განიხილა საქმე ნიკოლოზ მიხეილის ძე რამაზაშვილისა... დამნაშავედ იცნო და ყოველივე უფლების აყრა და ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს“.*

III. *„თბილისის გენერალ-გუბერნატორმა სიკვდილით დასჯა უვადო კატორღით შეუცვალა გლეხს ნ. რამაზაშვილს, რომელსაც ნ. ერისთავის მოკვლისათვის ჩამოხრჩობა ჰქონდა მისჯილი“.*

იმავე 1908 წლის შემოდგომით ნიკა რამაზაშვილის მეგობარი და თანამეინახე ნიკა სუხაშვილი (ქოქოსაშვილი) ქსოვრისში კლავს ადგილობრივ ბატონს, ქსნის ერისთავების ძველ განაყარ რატიშვილს, რის გამოც ქსოვრისსა და ლამისყანაში მთავრობამ ეგზეკუცია ჩააყენა.[1]

XX საუკუნის დასაწყისი და მისი თანამდევი 1905 წლის რევოლუცია ნოყიერი ნიადაგი გამოდგა ქვეყანაში შემდგომი განუკითხაობისა და ქაოსისა. სიტუაცია ძალზე რთულად ვითარდებოდა. დანაშაულს ერთი შეხედვით ეძლეოდა კვალიფიკაცია – გლეხთა თავზეხელაღებული შვილები თავზეხელაღებული ბატონების წინააღმდეგ. თუმცა ზოგიერთი ბატონი თავზეხელაღებულობის საპირისპიროდ ძალზე ლმობიერი და გლეხკაცის მოწყალე გამოდიოდა.[2] სწორედ ასეთი გახლდათ სიძისაგან განსხვავებით მისი მეჯვრისხეველი სიმამრი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ერისთავი, რომელიც სიძეზე „კოლა ბატონზე“ ორი წლით ადრე გამოასალმეს სიცოცხლეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ლამისყანაში ნიკოლზ დავითის ძეს დარჩა მეუღლე თამარი და პატარა ქალიშვილი რიმა ერისთავი.

თამარ კონსტანტინეს ასული ერისთავი დაიბადა 1885 წელს, სოფელ მეჯვრისხევში. იგი არაჩვეულებრივი მიმზიდველობით გამოირჩეოდაო, წერდნენ იმ დროის გაზეთები თამარზე, რომელსაც თანამედროვეებმა „შავი ბრილიანტი“ შეარქვეს.

თამარისთვის სილამაზე გენეტიკური ჯილდო ყოფილა. დედამისი, ალექსანდრა დავითის ასული წერეთელი, იმერეთის მეფის სოლომონ

---

[1] ქენქაძე ვ., „ყაჩაღები“, გაზ. „ახალგორი“, 2012, №3.

[2] ქსნის ხეობაში გავარდნილ ყაჩაღებზე იხილეთ ჩემი სტატიები – გაზ. „ახალგორი“, 2012, იანვარი-თებერვალი-მარტი.

მეორის შვილიშვილი იყო. აქ უნდა შევჩერდეთ თამარ ერისთავის დეიდა ნინოზე, რომელიც თავისი სილამაზით განთქმული იყო XIX ს-ის საქართველოს ულამაზეს მანდილოსნებში. მისი მეუღლე გახლდათ ქუთაისის გუბერნატორი გენერალი ბიძინა ჩოლოყაშვილი. ნინოს ერთ-ერთმა იმედგაცრუებულმა თაყვანისმცემელმა გუბერნატორს დაანატრა: „ძმაო ბიძინა, ღმერმა გიცინა, ლამაზი ნინო გვერდს მოგიწვინა".

ნინო წერეთელი კი არამიწიერი სილამაზით ხიბლავდა მნახველს. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი ვერ დაფარა პეტერბურგში და კითხვაზე „ყველაზე მეტად რა მოგეწონათ საქართველოშიო", მოსწრებულად გასცა პასუხი: „კახეთის ღვინო და წერეთლის ნინო". ლეგენდად ქცეული წერეთლის ნინო 1922 წელს გარდაიცვალა, დაკრძალულია ქაშუეთის ეკლესიაში. მისი დისშვილი თამარი – კოლას მეუღლე, არანაკლები სილამაზისა, დაქვრივების შემდეგ თბილისში, სოლოლაკში დასახლდა. სიმდიდრით და სიდარბაისლით გაბრწყინებულ სახლში უმშვენიერესი მასპინძელი სისტემატურად აწყობდა პოეტურ და მუსიკალურ საღამოებს. 1919 წელს, იგრძნო რა ბოლშევიზმის მოახლოების სუსხი, თამარ ერისთავი ემიგრაციაში, პარიზში მიდის. იქ ჯერ კიდევ ახალგაზრდამ შესაშური წარმატებით გაშალა სამეწარმეო საქმიანობა, ჩადო ფული საფრანგეთის რენტაბელურ საწარმოებში.

შორეულ საფრანგეთში თამარის სახლი საკვირველ სალონად იქცა. პარიზში ჩასული ყველა გამორჩეული პერსონა თავს მოვალედ მიიჩნევდა სწვეოდა „შავ ბრილიანტს". მასთან ყოფილან რომანოვები და ბაგრატიონ-მუხრანსკები, მარიამ ბაგრატიონი, ლეონიდა ბაგრატიონი, ესპანეთის ტახტის მემკვიდრენი, ელჩები, კონსულები და რაც აღნიშვნის ღირსია გიგუშა ერისთავი მეუღლით – მერი შერვაშიძით. თითოეული სტუმარი ტოვებდა ფოტოს წარწერით. დღეს ეს ფოტოარქივი საქართველოში ელიოზიშვილების საოჯახო არქივში ინახება.[1]

ემიგრაციაში წელიწად-ნახევრის ყოფნის შემდეგ, თამარის მოთხოვნით, საქართველოში დარჩენილი რიმა, დეიდამ მარიამ ერისთავმა ემიგრანტების ბოლო ნაკადთან ერთად, კონსტანტინოპოლის გავლით, გაამგზავრა პარიზში. მათთან ერთად მიემგზავრებოდა ქსნის ერისთავების რძალი (გიგუშა ერისთავის მეუღლე) და ქუთაისის გუბერნატორის ქალ-

[1] ლამისყანაში მცხოვრებ კ. დ. ერისთავის და მეჯვრისხევში მცხოვრებ კ. ა. ერისთავის ოჯახებზე მასალები მოგვაწოდა თბილისში მცხოვრებმა მარინა ვახტანგის ასულ ელიოზიშვილმა და ნინო ერისთავმა.

იშვილი მერი შერვაშიძე. კონსტანტინოპოლში რიმას და მერის დახვდა ქართული სამხედრო კორპუსის გენერალი გიგუშა ქსნის ერისთავი, რომელიც მანამდე, რუსეთის მე-11 არმიასთან ბრძოლის დროს კოჯორ-ტაბახმელასთან მარცხის შემდეგ, გადადის თურქეთში, საიდანაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველანი მიემგზავრებიან პარიზში.

პარიზის საზოგადოებისთვის რიმა ცნობილი იყო როგორც „პრინცესა რიმა ერისთავი". იგი გამოირჩეოდა დახვეწილი გარეგნობით, მომხიბვლელობით, გემოვნებით და მუსიკალური ნიჭით. სარგებლობდა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ემიგრაციაში მყოფ ქართველ და არაქართველ დიდგვაროვნებში. როგორც ლამაზი გარეგნობისა, ასევე წარმომავლობისა და პარიზის მაღალი საზოგადოების წრეების წევრობის გამო მასთან თანამშრომლობდა თითქმის ყველა ცნობილი და წამყვანი სამოდელო სახლი. მათ შორის გამორჩევით ფირმა „შანელი". თანამშრომლობა გამოიხატებოდა იმაში, რომ სამოდელო სახლები რიმას გადასცემდნენ საკუთრებაში მათ მიერ შექმნილ მოდელს, რათა მას ჩაეცვა და გამოეჩინა ეს მოდელი მაღალ საზოგადოებაში.[1]

რიმა და დედამისი საქართველოში აღარ დაბრუნებულან. დედა, თამარ ერისთავი გარდაიცვალა 1975 წელს. დაკრძალულია ლევილში, ქართველთა სასაფლაოზე, ხოლო რიმა არ გათხოვილა, იგი გარდაიცვალა პარიზში 1982 წელს. დაკრძალულია ლევილში, დედის გვერდით.

ასე ტკბილ-მწარედ დასრულდა ერთი ქართველი ქსნის თავადის ოჯახის ისტორია. იმ თავადისა, რომელმაც თავაშვებულობის გამო დაკარგა ესოდენ ძვირფასი „შავი ბრილიანტი".

---

[1] ქენქაძე ვ., „შავი ბრილიანტი", გაზ. „ახალგორი", 2012, №5-6.

## ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲔ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲐᲚᲝᲒᲘᲐ (ᲚᲐᲛᲘᲡᲧᲐᲜᲐ)

იესე ყულარაღასი (გარდ. 1745 წ.)
ქეთევან ჩოლოყაშვილი

დავითი (გარდ. 1774 წ.)
თინათინ მაჩაბელი

მიხეილი (მიქელი) გარდ. 1828 წ.

ივანე 1800-1838
ნინო თამაზის ას. ორბელიანი 1808-1827
მარიამ ივანეს ას. აფხაზი (გარდ. 1839)

ელიზბარი
გარდ. 1832

მიხეილი
1833-?

**დავითი** (მარიამ აფხაზისგან) 1835-1899
ალექსანდრა მაღალაშვილი (1836-1894)

მარიამი

ელისაბედი

ივანე
1859-1861

მიხეილი

ნინო
1862-1942

**ნიკოლოზი** (კოლა)1865-1907
თამარ კონსტანტინეს ას. ერისთავი
(1885-1980 წწ. პარიზი)

**რიმა** (1902-1982 წწ. პარიზი)

ელენე

ნატალია

ივანე
1869-?

# თავი XXIV

## ბელოთი – ქვეში

შუა საუკუნეების დროიდან, ქსნის ერისთავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საცხოვრის-რეზიდენციას წარმოადგენდა პატარა ლიახვის ვიწრო ხეობის მარჯვენა სანაპიროზე განთავსებული ციხე-სასახლე. იგი არის მაგალითი იმისა, თუ როგორ ირჩევდნენ აღზევებული ერისთავები რეზიდენციებს.

ბელოთი – ერისთავების ოდინდელი სამკვიდრო – მდებარეობდა ისტორიულ მაღრან-დვალეთის გზაზე. მისი ციხე-კომპლექსი რთული ნაგებობაა, იგი შედგება სხვადასხვა დროს აგებული ბევრი ნაგებობისგან. ამ ანსამბლიდან ყველაზე ძველ ნაგებობას წარმოადგენს ერთნავიანი ბაზილიკა, რომლის გარშემოც იგება დანარჩენი სხვა ნაგებობები. XVIII საუკუნეში აქვე აიგო სამსართულიანი დიდი სასახლე. გალავანი კი, რომლითაც შემოზღუდული იყო კუთხეებში ოთხი კოშკით გაძლიერებული კომპლექსით XVII საუკუნით თარიღდებოდა. თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ მასზე ბევრად ადრე, ჯერ კიდევ ქვენიფნეველთა დროს, იქ იყო მეტნაკლებად გამაგრებული თავდაცვითი საცხოვრებელი ნაგებობები.

ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ, 1777 წლიდან პატარა ლიახვის ერთი ნაწილი გადავიდა იულონ ბატონიშვილის მფლობელობაში. თუმცა ერისთავების უმცროსი შტო და მათთან ერთად ორბელიანებიც ბელოთის თემში ინარჩუნებდნენ ყმა-მამულებს.

მოგვიანებით ერისთავების ნაქონ ციხე-სასახლეს იულონ ბატონიშვილი აფართოებს. მას აღმოსავლეთის მხრიდან დაემატა ზღუდე და საცხოვრებელი ნაგებობანი. ბელოთის ციხესიმაგრე XVIII საუკუნეში საქართველოს მნიშვნელოვან საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა. XIX ს-ის დასაწყისში იქ საარტილერიო დანადგარებიც ყოფილა გამართული.

კომპლექსის ვერც ერთმა ნაგებობამ ჩვენამდე პირვანდელი სახით ვერ მოაღწია. დიდი წარსულისა და სტრატეგიის მქონე ბელოთზე, სამწუხაროდ, ძალზე მწირი მასალაა შემორჩენილი. XIX ს-ის. პრესის ფურცლებმა შემოგვინახა მოკრძალებული მიმოხილვა ამ ისტორიულ სოფელზე: *„ბელოთი მდებარებს პატ. ლიახვის ხეობაზე, ცხინვალიდგან 13-15 ვერსის მოშორებით. ბელოთი საბატონო მამულია, ეკუთვნით თავად ერისთავებს და ალექსანდრე ორბელიანს. .... ეხლა კი მიტოვებულია და ისტორიულ ნაშთს წარმოადგენს. აქ უცხოვრია იულონ ბატონიშვილს, რომლის ციხეშიც ყოფილა აგებული სამსართულიანი მშვენიერი სახლი და რომლიდგანაც ეხლა მარტო ნანგრევებიღაა დარჩენილი. შიგ გალავანში კარგი მოზრდილი ეკლესია არის აგებული, სიგრძით 20 და სიგანით 9 არშინი. ეკლესიაში მხატვრობა აღარ არის, კანკელზე ხატები დაძველებულია, მხოლოდ ერთი მაცხოვრის ხატი იზიდავს კაცის ყურადღებას, რომელიც მთლიანად ვერცხლისა არის და რომელსაც ხუცური წარწერა აქვს. საკურთხევლის წინ გვაჩვენეს ადგილი სადაც დაკრძალულია იულონ ბატონიშვილი. საფლავი და საფლავის ქვა არ ჩანან. საფლავს ძირს დაუწევია და ზევიდგან აგური დაუდგიათ. ასე, რომ საფლავის ქვაც დაფარულია. ამ ეკლესიას ხუთი წელია მღვდელი არ ჰყოლია. ეხლა კი დაუნიშნავთ მ. ოქროპირიძე...“*[1]

ბელოთი ადრინდანვე იყო ცნობილი როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო კერა. მე-18 საუკუნის 70-იან წლებში აქ მოღვაწეობდნენ თბილისელი მწიგნობრები იესე ბარათაშვილი (1728-1786) და სოლომონ მესხიშვილი (1742-1807). ხოლო იმავე საუკუნის დამლევს იოვანე ქართველიშვილი (1772-1816)[2]. ამ ცნობილ მწიგნობართა გარემოცვაში ბელოთში ცხოვრობდა გიორგი ყულარაღასის შვილი ელიზბარი, რომელსაც „მელექსესაც“ ეძახდნენ. აკადემიკოს მარი ბროსეს ცნობით, ელიზბარი გარდაცვლილია 75 წლის ასაკში 1813 წელს, ამდენად, იგი დაბადებული ყოფილა 1738 წელს.

ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერისა და ერისთავთა გენეალოგიური ნუსხის მიხედვით, ელიზბარი იყო X საუკუნეში მოღვაწე თორნიკე ერისთავის შთამომავალი.[3]

---

1 გაზ. „ივერია“, 1876, № 168, გვ. 3.

2 მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, წიგნ. I, თბ., 1962, გვ. 265.

3 საქართველოს მუზეუმის საისტორიო ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. III, (კ. კეკელიძის რედაქტორობით), გვ. 353.

ელიზბარ ერისთავმა XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ქართული ლიტერატურის ისტორიაში როგორც პოეტმა ისე დაიმკვიდრა სახელი, რასაც დავით რექტორი და ბევრი მისი თანამედროვე იზიარებდა. ელიზბარ ერისთავის შემოქმედება ჟანრობრივად ბესიკის სკოლასთანაა დაკავშირებული და ამგვარად, ადრინდელ რომანტიზმს ეკუთვნის. მის ლექსებს რაღაც გაუგებრობის გამო ბესიკის ლექსებიდან ვერ არჩევდნენ. დავას იწვევდა ორი ლექსი: „ვაი ეს დრონი" და „ვემონე მასა". პროფ. ალექსანდრე ბარამიძე წერს: *„ვაი ეს დრონი" ეკუთვნის „გარდამავალი პერიოდის" ერთს უცნობსა და თვალსაჩინო პოეტს ელისბარ ერისთავს (რომელსაც სრულიად დაუმსახურებლად ჯერ ყურადღება არ მიქცევია) და არა ბესარიონ გაბაშვილს".*[1]

ელიზბარ ერისთავის შემოქმედებაში ერთ-ერთი უძველესი ქართული რომანტიკული ძეგლია „ვაი ეს დრონი". როდესაც ამ ლექსს ვეცნობით, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ალექსანდრე ჭავჭავაძის რომანტიკული ლექსი „ვაჰ დრონი, დრონი", რომლის წინამორბედად ელიზბარ ერისთავის ლექსი გვევლინება. ქსნის ერისთავების შთამომავალ პოეტს რუსთველური მანერის ლექსებიც შეუქმნია:

„თქმულა მოყვარე საყვარელსა დაუძაბუნდეს,
მას იგონებდეს და მონებდეს სტრფობდეს და უნდეს..."

ელიზბარ ერისთავი იმერთა მეფის სოლომონ I-ის სიძე იყო. მას ცოლად ჰყოლია მეფის ასული მარიამი. რომლის მული ანა კი მეუღლე იყო ფარნაოზ ბატონიშვილისა. ელიზბარის აზრით, საქართველოს შეერთება რუსეთთან დადებითი მოვლენა ყოფილა. ერთი ცნობით, ელიზბარი 1806 წელს მოუკლავთ ბაქოსთან, როდესაც პ. ციციანოვის ჯარები აზერბაიჯანს წმენდნენ თურქ-სპარსელებისაგან. თუმცა ამ მოსაზრებას, როგორც აღვნიშნეთ, ეწინააღმდეგება მარი ბროსე.

ბელოთში მცხოვრებ ქსნის ერისთავებზე ბევრი სხვა არაფერია ცნობილი. ვიცით, რომ იქ ცხოვრობდა ელიზბარის ვაჟი ივანე – ნინია ერისთავი, რომელიც შემდეგ გადასულა საცხოვრებლად კარალეთის მახლობლად სოფელ ქვეშში. მის ვაჟებს კი ბოლოს გორშიც უცხოვრიათ.

სოფ. ქვეშში მცხოვრებ ივანეს პოეტურ ოჯახზე სხვადასხვა წყაროში შედარებით მეტი ცნობებია შემონახული. მათზე საინტერესო ნარკვევები აქვს გამოქვეყნებული 1967 წელს ლეილა ნატროშვილს წიგნში „ჟურნალ

[1] ბესიკი, თხზულებანი, თბ., 1932, გვ. 175.

„ცისკრის“ პოეტები“. სწორედ მისი ნარკვევიდანაა მოხმობილი ძირითადი ცნობები ივანეს შვილებზე.

ქართულ მჭევრმეტყველებაში ყველასათვის ნაცნობი სახელი „დიდი ივანე“, რომელიც გვახსენებს მართლაც დიდ ივანე ჯავახიშვილს, გამეორებაა იმ „დიდი ივანესი“. რომლითაც აკაკი წერეთელი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მიმართავდა და მოიხსენიებდა ივანე ერისთავს. ხოლო მისი ნიჭისა და გონების მასშტაბურობის გამოსახატავად ნაცნობმეგობრები მას „ფილოსოფოსს“ უწოდებდნენ. იგი ცნობილი ბიბლიოფილი და თავისი დროისათვის დიდად განსწავლული პიროვნება ყოფილა. ივანეს მამა ელიზბარი გახლდათ „ტომობით დიდ გვარის პოლკოვნიკი და კავალერიის თავადი“, პოეზიასთან ნაზიარებს „მელექსის“ ეპითეტით ამკობდნენ თანამედროვენი და ისტორიაშიც ამ სახელით შევიდა. პაპა დედის, მარიამ ბატონიშვილის ხაზით, გახლდათ იმერეთის მეფე სოლომონ I.

ივანე ერისთავი თანამოაზრე და თანამონაწილე იყო იმ ეროვნული შეთქმულებისა, რომელიც, 1832 წელს მიზნად ისახავდა ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაბრუნებას. თავის ბიოგრაფიულ ცნობებს ივ. ერისთავი გვაწვდის შეთქმულების მასალებში, რომელიც 1935 წელს გამოსცა გიორგი გოზალიშვილმა.[1]

*„სახელი ჩემი არის იოანე, მამისა ჩემისა ელიზბარ, ჩინი მაქვს მეთოთხმეტე კლასისა.*

*ორმოცდათერთმეტი წლისა ვარ, მეთორმეტეში ვდგევარ. ცოლიანი ვარ. პოდპოლკოვნიკის თ. გიორგი ამილახვრის ასულზე კონიაზე ვარ ჯვარდაწერილი, რვა შვილი მყავს, ორი ვაჟი და ექვსი ქალი. პირველი ვაჟი არის თხუთმეტის წლისა და უკანასკნელი ქალი ცხრის თვისა. მთელი სახლეულობა ჩემი არის ჩემგან გამოზრდილი ოცდათხუთმეტი სული.*

*ყმა და მამული მაქვს გორის, დუშეთის და შორაპნის უეზდში ჩემს ძმებს – ზურაბ და დიმიტრისთან... სამი წლის ლიახვის სამსახურისათვის გრაფ პასკევიჩმა მომიტანა მეთოთხმეტე კლასის ჩინიო...“*[2]

---

[1] გოზალიშვილი გ., „1832 წლის შეთქმულება“.

[2] იქვე, გვ. 118.

## ყულარაღასიანთ მუზის გენეალოგია

**შალვა წამებული (-1661)**

**დავითი (-1715)**

**იესე ყულარაღასი**

პოლიტიკური მოღვაწე, ძმა მეამბოხე შანშე ერისთავისა, სიძე ქართლის მეფის ერეკლე I-ისა (1688-1703), „კარგი შაირთა შემთხზველი“. ავტორი ჰიმნოგრაფიისა „შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებისა და ბიძინა ჩოლოყაშვილისა“, ასევე აკროსტიხული შესხმისა ისე წილკნელისა. გამლექსავი საბას ლექსიკონის თავსართი ასოებისა. დავით გარეჯის ლიტ. სკოლის მიმდევარი. იესეს დაკვეთით გამოიცა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა შემცველი დიდი ხელნაწერი, ასევე მისი და მისი ძმის დიდი ხელშეწყობით ახალგორში ლიტ. საქმიანობას ეწეოდა გარეჯელი მწიგნობარი ექვთიმე ბარათაშვილი. იესე 1745 წ. მაშათის ციხიდან განთავისუფლებული გზაში გარდაიცვალა.

**ელიზბარ გიორგის (ყულარაღასის) ძე (მელექსე) 1738-1813**
(იესე ყულარაღასის ძმის რევაზის შვილიშვილი)

სიძე იმერეთის მეფის სოლომონ I-ისა, ბესიკის პოეტური სკოლის წარმომადგენელი. მისი ლექსები გარკვეულ პერიოდში მიჩნეული იყო ბესიკის ლექსებად და ბესიკისავე სახელით იბეჭდებოდა. ამჟამად მისი ხელნაწერი ლექსები დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ელიზბარი იყო შვილიშვილი ქართლის მეფის გიორგი XI-ის ქალიშვილის მარიამისა.

**ივანე ელიზბარის ძე (ფილოსოფოსი) 1781-1841**

სწერდა ლექსებს. იამბოკებს უძღვნიდა გამოჩენილ ადამიანებს. ცნობილია მისი კუთვნილი ხელნაწერები დაცული ეროვნულ ცენტრში. იგი დაახლოებული იყო დავით ბატონიშვილთან. ფილოსოფიაში ღრმა განსწავლულობის გამო ნათესავ-მეგობრები „ფილოსოფოსად“ მოიხსენიებდნენ. აკაკი წერეთელი კი „დიდ ივანე ერისთავად“. იყო ღრმად განსწავლული მდიდარი ბიბლიოფილი. შვილიშვილი იმერეთის მეფის სოლომონ I-ისა. „იყო ქართველ მემამულეთა შორის უპირველესი ბრძენი და განმმარტებელი საღმრთოისა წერილისა და ფილოსოფურთა საგანთა“. დაკრძალულია იკორთაში.

დიმიტრი

გიორგი

**ანასტასია ერისთავი-ხოშტარია 1868-1951**

**მარიამი 1834-1859**

პოეტი, მწერალი „აღსავსე ყოვლის კეთილგონიერებითა და სიმართლითა, რაოდენსაც დაიტევს ბუნება მდედრისა“. ავტორი გახმაურებული ლექსისა „იკორთა“. გარდაიცვალა 25 წლის ასაკში. უშთამომავლოდ. დაკრძალულია იკორთაში.

**ეკატერინე 1818-1870**

„პოეტების“ ღირსეული ოჯახის წარმომადგენელი. ხალხში კარგად ცნობილი პოეტი. მას ჟურნალი „ცისკარი“ აყენებდა პოეტი ქალების ბარბარე ჯორჯაძისა და ნინო ორბელიანის გვერდით. მოგვიანებით ა. წერეთელი აღნიშნავდა:

„დიდი ივანე ერისთავის ქალები მშვენივრად გამოზრდილნი არიან, საღვთო-საეროში გაწაფულნი და ზედმიწევნითაც იციან პლატონის ფილოსოფია, რიტორება, არისტოტელეს კათეგორია და სხვანი და სხვანი“. გარდაიცვალა უშთამომავლოდ. დაკრძალულია იკორთაში.

სოფ. ქვეშში ივანეს ოჯახთან მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ იმდროინდელი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: გიორგი ერისთავი, სვიმონ მაჩაბელი, ალ. ჭავჭავაძე, იარალი შანშიაშვილი, გიორგი იესეს ძე და ზაქარია ერისთავები, ისაკ თუმანიშვილი და სხვები.

ივანე – „ფილოსოფოსი" პოეზიის მოყვარული და მისი დიდი მიმდევარი ყოფილა. იგი ავტორია რამდენიმე ლექსისა. გიორგი ერისთავს ახალდაარსებულ სალიტერატურო ჟურნალ „ცისკარში" დაუბეჭდავს ერთი იამბოკი. ჩვენამდე მოღწეულია მის მიერ ალ. ჭავჭავაძისადმი მუნასიბად (ექსპრომტად) ნათქვამი ლექსი:

შანშიათ შენ იარალო,
მოფრინდი აქ რა გახარო,
დაუკარ შენ საზანდარო,
უთხარ ესტი, ერი არალო.
ვარდზედ ჰყეფს ბულბულ პოეტი,
ჭავჭავაძე ფრანცუც მეტი,
პოემის ტკბილ გვირგვინ სვეტი,
მოწმობს ტფილისის სოვეტი.
..............................................................
მე არა ვარ თავმოხრილი,
არც ბულბულსავით გულგრილი,
ვარდი ვარ, კოკობი, ზრდილი,
მისთვის ვერ მოგხედავ ბრთხილი.[1]
და სხვა.

მეუღლე ივანე ერისთავისა თინათინი (კონია) გიორგი ამილახვრის ასული „დიდი მოყვარული და დამფასებელი იყო ქართული მწერლობისა. ეს უკანასკნელი ცნობილია როგორც გადამწერი და უკვე მხცოვანიც გატაცებული იყო მწიგნობრობით".

ნახევარ საუკუნეს გადაცილებული ქალბატონი კვლავ დაუზარელად მოღვაწეობს სოფ. ქვეშში. ზოგიერთი თავადის ქალივით მხოლოდ ბალ-მასკარადებზე არ დადიოდა და არც ნათესავებში მომაბეზრებელი წვეულებების გამო „ლაფი-ტოპიაობს" როგორც აკაკი წერეთელი ამბობდა ზოგიერთ უსაქმურად მოარულ თავადებზე. კონია ერისთავს 1875 წელს გადაუწერია 477 გვერდიანი წიგნი, ანუ კრებული „წმინდისა და

[1] ნანიტაშვილი ლ., „ჟურნალ ცისკრის პოეტები", თბ., 1967, გვ. 47.

ნეტარისა მამისა ჩვენისა მაქსიმეს ცხოვრება და მოქალაქეობა“. წიგნს ბოლოში ერთვის ანდერძი: *„სრულ იქმნა შეწევნითა ღვთისათა წიგნი ესე წელსა ჩყნე-სა კნეინა კონია ერისთავისაგან, რომელიც ვიყავ ამ წიგნის წერაში ხნისა ორმოცდამეთხუთმეტეში და მყვანდა სამნი ძენი და ექვსი ასული და ერთიც შვილიშვილი“.*[1]

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია თეიმურაზ ბატონიშვილის საქართველოს ისტორია შემდეგი მინაწერით: *„აღწერილ არს წიგნი ესე ქართლის ცხოვრება ხელითა კნეინა კონია ერისთავისაგან, ამილახვრის ასულისაგან. ქართლის ცხოვრება ესე ვინც წაიკითხოთ, შენდობა უბრძანეთ და, თუ რაიმე შეცდომა ნახოთ, ნუ მწყევთ, ამისთვის რომ ვიყავ წლისა სამოცდა მესამისა და თვალთაც მაკლდა და ამისთვის მომიტევეთ. წელსა ჩყაბ-სა ოკდომბრის კდ-სა დღესა ქვეშისა სოფელსა“.*

ცხადია, გენეტიკური მემკვიდრეობა და ოჯახური გარემო დიდ გავლენას მოახდენდა ივანე და კონია ერისთავების შვილების აღზრდა-განვითარებაზე. „შეიძლება ითქვას, რომ ერისთავების ოჯახი პოეტების ოჯახი იყო“. მრავალრიცხოვანი შვილებიდან ორი ქალიშვილი – მარიამი და ეკატერინე ცნობილი პოეტები გახდნენ.

გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ერთი წერილი ნათელს ფენს ივანე „ფილოსოფოსის“ შვილების აღზრდა-განათლებას. *„გუშინ 8 დეკემბერს საეკლესიო მუზეუმი დაათვალიერა არაგვის ერისთავის სახლობამ დიდად პატივცემულ კნეინა ანნას, ქსნის ერისთავის იოანნეს ასულის, მოთავეობით. კნეინა ანამ გასინჯა მუზეუმის ძველი და წმინდა ნივთები, სასოებით ემთხვია წმინდა ნაწილებიანს ხატებს, წიგნებს დავით დიდის კურაპალატის (1001 წ.) ჯვარს, წაიკითხა ზოგიერთი ძველისძველის, მე-IX-X სს. გადაწერილი წიგნები და მუზეუმს შემოსწირა ორი ხელნაწერი – დავითიანი მე-XIV საუკუნის და ტყავზე ნაწერი სვინაქსარი. დამსწრენი გააკვირვა კნეინა ანნას მრავალგვარმა ცოდნამ. პატივცემული თავადის იოანეს ასულს ანნას ზედმიწევნით სცოდნია ქართული ძველი ქსოვა-კერვის ხელოვნება, ყოველგვარი ხუცურის კითხვა, ქორონიკონ-კინკლოსის გამოთვლა, ქართული ძველი მწერლობა. კნეინა ანნას ქონია ბევრი ძველი ხელნაწერი“.*[2]

პოეტების ოჯახის უფროსი ივანე ერისთავი გარდაიცვალა 1851 წლის 15 დეკემბერს. დაკრძალულია საგვარეულო სასაფლაოზე – იკორ-

---

[1] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H 208.

[2] გაზ. „ივერია“, 1902, №264.

თაში. მისი საფლავის ქვას ამშვენებს მეგობრის სვიმონ მაჩაბლისეული (მთარგმენლ ივანე მაჩაბლის პაპა) ეპიტაფია: *იყო მანათობელი კერძოისა ამისა ქართველთა მემამულეთა შორის უპირველესი ბრძენი და განმარტებელ საღმრთოისა წერილისა და ფილოსოფურთა საგანთა, მტკიცედი მცველსა საღმრთოთა მცნებათა და მოყვარულ მოყვასთა თავისთა უკანასკნელ ჟამამდე მყუდროდ გამატარებელ დროისა სახლსა შინა თავისსა ნუგეში და სასოება საყვარელს მეუღლისა, სამთა ძეთა და შვიდთა ასულთ, რომელთაცა ქრისტიანებრივის სწავლით აღზრდიდა და უტევა ესენი დაულევნელსა ვაებასა შინა".*[1]

ივანე და კონია ერისთავების ცამეტ შვილთაგან სამი მცირეწლოვანი გარდაიცვალა, დარჩენილი ათი შვილიდან ორმა ქალიშვილმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ პოეტობას მიჰყვეს ხელი. სწორედ ივანეს ქალიშვილებზე მარიამზე და ეკატერინეზე წერდა აკაკი წერეთელი:[2] *„ამ ორმოცდაათი წლის წინათ გავრცელდა ხმა საქართველოში, რომ დიდი ივანე ერისთავის ქალები მშვენივრად გამოზრდილნი არიან, საღვთო-საეროში გაწაფულნი და ზედმიწევნით იციან პლატონის ფილოსოფია, რიტორება, არისტოტელეს კათეგორია და სხვანი და სხვანი".*[3]

პოეტი ქალებიდან მარიამმა, რომელმაც ორი წელი უსინათლომ გაატარა, 1859 წელს გარდაიცვალა, თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთი ლექსის დაბეჭდვა მოასწრო 1857 წლის ჟურნალ „ცისკარში" (№ 9), ხოლო მისი მომდევნო ლექსი „იკორთა", რომელშიც წინაპართა ნათელი ხსოვნისადმი თაყვანისცემა ჩააქსოვა, დაიბეჭდა მისი სიკვდილიდან ორი წლის მერე.[4]

მარიამ ერისთავი დაკრძალულია საგვარეულო საძვალე – იკორთაში, მამის – ივანე ერისთავის გვერდით. საფლავის ქვაზე შესრულებულია ვრცელი ეპიტაფია, რომელსაც ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით. ახალგაზრდა პოეტის მარიამ ერისთავის დაკრძალვაზე სიტყვა წარმოსთქვა ქსნის ერისთავთა კარის მოძღვარმა სოლომონ ხახანაშვილმა. თამარ მეფისეულ იკორთის თაღებქვეშ მოძღვრის წარმოთქმული სიტყვა ნიმუშია ქართული მჭევრმეტყველებისა, რომელიც ნიკოლოზ კანდელაკს მოცემული აქვს როგორც ქართული სამგლოვიარო მჭევრმეტყველების ნიმუში. *„ნეტარად ხსენებული იყო აღსავსე ყოვლის კეთილგონიერებითა და*

---

1 ქართული პოეზია, ტ. 10, თბ., 1978, გვ. 477.

2 ჟურნ. „კვალი", 1891, № 14.

3 ქართული პოეზია, ტ. 10, თბ., 1978, გვ. 176.

4 ჟურნ. „ცისკარი", 1861, № 9.

*სიმართლითა, რაოდენსაცა დაიტევს ბუნება მდედრისა. ესე იგი უყუარ-და მას ღმერთი, ვითარცა დაჰსწერს, მახარებელი: ყოვლითა სულითა და ყოვლითა გონებითა, ამასთანავე უყუარდა ძმანი და მოყვასნი, ვითარცა თავი თვისი, მაშასადამე ამით აღასრულა მან მცნებანი ღვთისანი. კვა-ლად ვიტყვი; ესე იყო ფრიად კეთილი, გონიერი, მომთმინო, უზაკველი, უბიწოებისა დამცუელი, იყო წმინდა გულითა.*

*ესე მცირე წლოვანებითგანვე განსწავლულ და წვრთილ იყო მამისა მიერ თვისისა, სიბრძნის მოყვარის თავადის იოანე ერისთავისა მიერ ყოვლის კეთილის სწავლითა.*

*განუშორებელ იყო ხელთაგან მისთა კითხუა ფსალმუნთა, სულისა დამატკბობელთა. დღე და ღამე იწვრთიდა და შესძინებდა ახალ-ახალთა ჰსწავლათა საღმრთოთა წიგნთაგან".*

როგორც აღვნიშნეთ მარიამ ერისთავის სიცოცხლეში დაბეჭდილი ლექსი, როგორც ირკვევა, მიძღვნილია პოეტ ქალის მკურნალ ექიმისად-მი, რომლის ხელნაწერიც ინახება გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერ-ატურის მუზეუმში.[1]

„უვერცხლოდ ნებით ნიჭი ეგე გაქვს მკურნალობის,
რომლით გამსგავსე წმინდას კოსმას სულით განბრძნობილს,
აწ წამის ყოფის მეც კურნება ორის წლის ბრმობილს
მომფინე ძალი სოფლის ხილვის ვით ახლად შობილს".

მარიამ ერისთავს დაუბეჭდავი დარჩა შესხმანი. მათ შორის საყურ-ადღებოა შესხმა: მიტროპოლიტ ისიდორეზე, არქიმანდრიტ გრიგოლ და-დიანის რძალზე, თამარ მიხეილ შარვაშიძის ქალზე, აგრეთვე ეპიტაფია ზაქარია ერისთავზე, რომელიც გახლდათ შვილი გიორგი იესეს ძე ერი-სთავის – სენატორისა.

„იმდროინდელმა ქართველმა პოეტებმა შეძლებისდაგვარად აღნიშნეს პოეზიის ცაზე ახალი ვარსკვლავის გამოჩენა". ერისთავის დებიუტს გამოეხმაურნენ პოეტები და მოგვიანებით გაზეთმა „ბახტრიონმაც" და-ბეჭდა მისი პათეტიკური ლექსი „იკორთა".

ეკატერინე ივანეს ასული ერისთავი – და მარიამისა, ცნობილი გახ-და თავისი ერთი ლექსის „ზამთარი ჩაგრულნის" დაწერისთანავე. ლექსი ფართოდ გავრცელდა ხალხში და სიმღერად იქცა. „თუმცა ხალხი სია-მოვნებით იმღერიდა ამ ლექსს, მაგრამ როგორც ქალს, ქების ტაშს მაინც არავინ უკრავდა", – წერდა აკაკი წერეთელი.

---

[1] საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, ხელნაწერი № 7980.

ეკატერინეს პოეტური ნიჭით დიდად იყო მოხიბლული მამა – ივანე ფილოსოფოსი. იგი შვილისადმი მიძღვნილ იამბოკში (საქებარ ლექსში) წერდა:

„ეკატერინევ, ჩემო სატრფო ასულო
სიბრძნის მწვერვალთა ზარისამებრ ასულო
უმანკო, ტრედო, უბიწო წმინდა სულო,
სათნოების მზევ, კრძალვის ცის აღმოსულო.
მე ესრეთ გიცნობ, გიყვარს ლექსთა თქმულება
გრძნობის სიმკვეთრე, გამოხატვის თხზულება,
ხოლო მეორე – პოეზიის დაცულება.[1]

არც ეკატერინეს პირადი ცხოვრება წარიმართა სახარბიელოდ. ის ცოლად გაჰყვა ცნობილი ბიბლიოფილის, იმერეთის თავადის, გრიგოლ წერეთლის ვაჟს ალექსანდრეს. პოეტის მამამთილი გრიგოლ წერეთელი – *„იყო ფრიად მეცნიერ და ყოვლითურთ სიკეთითა განშვენებულ, ჭაბუკ ახოან გუამითა, ხოლო აზრამიან* (ტკბილი. ვ. ქ.) *ქცევითა“*. მეუღლე ალექსანდრე კი, მოკლედ რომ ვთქვათ – უხასიათო. მას არაფრად ეჭაშნიკებოდა მეუღლის პოეტობა, *„თურმე წერეთლები მოელოდნენ დედოფლურად გამოზრდილს ოჯახის ასულს, ყოველს შემთხვევაში, თავდაჭერილს, მაგრამ წარმოიდგინეთ მათი გაკვირვება, როდესაც ხელში დარჩათ პოეტური გრძნობით აღვსილი ახალგაზრდა ცქრიალა ქალი, რომელიც თავს არ იჭერდა, ყველაფერს შეფრქვევით მიეხაფიფებოდა, ცუდს ზიზღით ზურგს უჩვენებდა და შორდებოდა. ამგვარი პირდაპირობა, თავდაუჭერელობა და ზედ დართული მოლექსეობაც არ ესიამოვნა ქმარს და ცოლქმარს შუა ცხოვრება გამწარდა“.*[2]

აუტანელი ხასიათის მქონე ალექსანდრემ ერისთავების ასული ცალკე სადგომში დაამწყვდია და დააპატიმრა. პოეტი ქალის უზომო მწუხარებასა და უსასოებას გვიხატავს ლიტერატურის მუზეუმში დაცული ეკატერინეს უცნობი ლექსი შემდეგი მინაწერით: *„ეკატერინე რომ დაატუსაღა თავისმა ქმარმა ალექსანდრე გრიგოლის ძემ წერეთელმა“.*

ვაი ველარა ვიხილავ, განქრა ჩემთვის გაზაფხული,
საუკუნოდ მომიმზადეს სამყოფი ბნელი, დახშული,
ნაცვლად ლხენის, მქონან ცრემლნი და ჭმუნვით მაქვს სავსე გული
ველარ ვსუნთქამ ტკბილს ჰაერსა, შვებას სრულად მოკლებული...“[3]

ცნობილი მწერალი და დრამატურგი გიორგი ერისთავი ახალგაზრდობაში მოხიბლული ყოფილა ეკატერინეთი, რისი დამადასტურებელი-

---

[1] ნანიტაშვილი ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 58.

[2] წერეთელი აკ., თხზულებები, ტ. XIII, გვ. 56.

[3] იქვე, გვ. 60.

ცაა მისდამი დიდი გრძნობით მიძღვნილი ლექსები. იმერეთის თავადის ტყვეობაში მყოფ ერისთავიანთ ასულს გლუხარიჩი თანაგრძნობის სიტყვებით ეხმაურება:

„იქნებ, შენს მაღალს გონებასა სამშობლო მხარე
უკვე მოსწყინდა და ამისთვის შორს განიგარე?
მართლად მუნ ნახავ უცხო ადგილთ ბუნებას ტურფას,
მაგრამ მუნ კაცნი ვერა ჰცნობენ გონების შენ ფასს,
შენსა შვენებას, შენს სინაზეს და შენ ზრდილობას
აწყენს ქაჯური მათი ქცევა ვარდის შლილობას.
..................................................................................................“.[1]

ვიდრე გ. ერისთავი ამ ლექსს „ე. წ“. მიუძღვნიდა ეკატერინე ერისთავს, მანამდე თვით ეკატერინე, აღტაცებული გიორგი ერისთავის ნიჭით და განათლებით, უძღვნის ლექსს – „უსტარი თ. გ. ერისთავს“, სადაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს პოეტს:

„დიდ ღენიანი შენის ჭვრეტით განკვირდებიან,
და ვით უხმონი შენს წინაშე დადუმდებიან
გიხილვენ იშვითს ფენომენსა სრულს ორატორსა,
ამ საუკუნეს ვერ ჰპოვებენ შენს თანასწორსა“.[2]

ასევე ქების და მომავლის დიდი იმედით ეხმიანება ეკატერინე შექსპირის მთარგმნელს ივანე მაჩაბელს საპასუხო ლექსში, იმ ლექსის პასუხში, რომელიც პატარა ივანეს ეკატერინე ერისთავისთვის მიუძღვნია.

„თეთრო, სპეტაკო, ლამაზო, საქებო ზომაზედ მეტო,
მადლობას გიძღვნი ლექსისთვის, ჩემო პატარა პოეტო,
ჯერ ამის მეტი არა სჯობს, მოგწერო ან ვთქვა ენითა,
რაგვარის ნიჭით შობილხარ, ან რას ვიმედობ შენითა?“

ერისთავების ასულმა, გარდა გიორგი დავითის ძისა და ივანე მაჩაბლისა, ლექსები მიუძღვნია სილამაზით და გონებით დიდად ცნობილ მანანა ორბელიანს – მირმანოზ ერისთავის ქალიშვილს და კავკასიის მთავარმართებელს მიხეილ ვორონცოვს.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები პოეტმა ქალმა მშობლიურ სოფელში – ქვეშში გაატარა. გარდაიცვალა 1870 წელს. დაკრძალულია იკორთაში, მამისა და დის გვერდით.

ეკატერინე ერისთავის საფლავის ქვას ამშვენებს შვილის სიკვდილით გულდათუთქული დედის გაკეთებული ეპიტაფია:

1 გ. ერისთავი, თხზულებანი, 1936, გვ. 45.
2 ჟურნ. „ცისკარი“, 1852, №4.

„ამა ლოდსა ზედა წარვწერ გლოვის ხმასა,
ეპიტაფიებს ცრემლ სადენ საწუხ ხმასა,
თუმცა ვერ შევამზადებ ღირს შენდა ქების თქმასა,
ვით დებს მატებდი მარადღე დიდებასა,
დედა ვგოდებ ასულის მოკლებასა.

Под сим камнем покоится дшерь князя Ивана Еристова Екатерина княгиня Церетели, скончавшаяся 1870 г. декабря 4 дня.

ვით დავითმინო მწუხარებანი,
ეკატერინას მოშორებანი
მათმან დედამან მოგონებანი
და ვაებისა დამონებანი".

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ივანე ფილოსოფოსის 13 შვილიდან სრულწლოვანებას ათმა მიაღწია. მათგან სამი ვაჟია.



ბელოთის ციხე-სასახლე. რეკონსტრუქციის პროექტი.

1. გიორგი ანუ მამამზე – იყო ლეიბგვარდიის კაზაკთა პოლკის პოლკოვნიკი. მას ცოლად ჰყავდა ივლიტა აბაშიძე (1820-1882), რომელმაც გაუჩინა 16 შვილი, 8 ვაჟი და 8 ქალი. მამამზე, როგორც მას ეძახდნენ, გარდაიცვალა ქ. გორში 1882 წელს. სიცოცხლის ბოლოდრომდე ცხოვრობდა სოფ. ქვეშში.

2. გრიგოლი, რომლის მეუღლეც გახლდათ გიორგი იესეს ძე (სენატორი) ერისთავის ასული მარიამი (1818-1882). უძეოდ დარჩენილმა სენატორმა (ვაჟი, როგორც ვიცით, ზაქათალაში მოუკლეს ლეკებმა) ატენის მამული მზითვში სწორედ გრიგოლს უბოძა. აღნიშნული მამულის ნაწილი გრიგოლის და მარიამის ვაჟებმა ზაქარიამ და ივანემ გადასცეს საქველმოქმედო საზოგადოებას სამეურნეო სკოლის გასახსნელად.

3. მესამე ვაჟი გახლდათ ნიკოლოზი, იგივე დედამზე. მას „ალხიმიკოსსაც" ეძახდნენ. ცოლად ჰყავდა ნატალია ნაკაშიძე (1841-1910). ნიკოლოზს და ნატალიას შეეძინათ ერთი ვაჟი ვლადიმერი (ლადო) და 3 ქალი: ეკატერინე – მამიდის მოსახელე და მასავით მწიგნობარი; ბარბარე – წიგნის დიდი მოყვარული; ანიკო – ქართული ენის კარგი სპეციალისტი.

ნიკოლოზ ერისთავი 1905 წელს საეჭვო წარსულის მქონე „რევოლუციონერებმა" მოკლეს 69 წლის ასაკში.

## ივანე (ნინია) „ფილოსოფოსი“ ელიზბარის ძე ერისთავის გენეალოგია

გიორგი ყულარაღასი

- **ელიზბარი** („მელექსე“) 1751-1826
  მარიამ ბატონიშვილი (სოლომონ I-ის ას.)
  - ზურაბი
  - **ივანე (ნინია)** 1786-1851
    თინათინ (კონია) გიორგის ას. ამილახვარი
    - **ეკატერინე** 1818-1870
      ალ. წერეთელი 1816-1873
    - **გიორგი** (მამამზე) 1820-1882
      ივლიტა აბაშიძე
      - **ნინო** 1858-?
      - **მარიამი** 1859-1862
      - **დავითი** 1860-?
      - **თამარი** (თალალა) 1863-1920
        დავით ნაცვლიშვილი
      - **სოფიო** 1865-68
      - **პეტრე** 1866-1872
      - **პავლე** 1868-72
      - **ელენე** 1871-1930
        ნუჯევსკი
      - **ალექსანდრე** 1873-1942
      - **კონსტანტინე** 1874-1882
      - **ანა** 1876-1932
      - **ივანე** 1877-?
      - **მართა** 1878-?
      - **მარიამი** 1880-1880
      - **გიორგი** 1881-?
      - **კონსტანტინე** 1882-?
    - **ანა** 1822-?
    - **გრიგოლი** 1821-1876 (ატენის მფლობელი)
      მარიამ გიორგის ას. ერისთავი (ქსნის) 1818-1882
      - **ზაქარია** 1854-?
      - **დარეჯანი** 1855-1908
      - **ივანე** 1858-1918
    - **ანასტასია** 1834-1857
    - **ბარბარე** 1828-1889
    - **ვასილი** 1830-?
    - **ელენე** 1833-?
    - **მარიამი** 1834-1859
    - **ნიკოლოზი** (დედამზე) 1836-1905
      ნატალია ნაკაშიძე 1841-1910
      - **ანიკო**
      - **ვლადიმერი** 1882-1955
      - **ეკატერინე**
      - **ბარბარე**
    - **დარია** 1841-?
    - **ოლღა** 1843-1879
      I. ხიმშიაშვილი
      II. დ. ჩერქეზიშვილი
    - **ნინო** 1845-?
  - დიმიტრი

# თავი XXV

## აწრისხევი

აწრისხევი ქართლის მთიანეთის იმ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა, რომელიც ქსნის ერისთავებმა ქართლის ველებზე დაშვებამდე დიდი ხნით ადრე დაიკავეს და გადააქციეს საგვარეულო რეზიდენციად. იმთავიდანვე ყველასათვის თვალშისაცემი გახდა მისი სტრატეგიული მნიშვნელობა და ჯანსაღი გარემო. აწრისხევს ისტორიაში პირველად მოიხსენიებს ქსნის ერისთავების საგვარეულო მატიანის – „ძეგლი ერისთავთას" ავტორი გრიგოლ ბანდაისძე. სავარაუდოდ, აწ ერისხევი – როგორც ძეგლშია მოხსენიებული, დიდი ალბათობით შესაძლოა ერისხევი, ერისთავების ხელში, მათ გამგებლობაში მოქცევის შემდეგ დარქმეოდა – აწ – ე. ი. უკვე. ტოპონიმის ამ ვერსიას ამყარებს ვახუშტის აღწერილობაც, სადაც აწრისხევი ჩაწერილი აქვს ასე: აწერის-ხევი. XIV საუკუნეში ქვენიფნეველთა იგივე ერისთავების „აწ ერისხევი"-ის მფლობელობა იურიდიულად გაფორმებულია მათივე საგვარეულო მატიანით. მოგვიანებით ამას ხაზგასმით აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი: *„არს აწერის ხევი. აქ აღაშენა შანშემ ციხე-სიმაგრედ თჳსად, არამედ ექმნა გალიად, რამეთუ გამოიყვანეს ცოლი და დედაწული მისი მუნიდამ".*

იმთავიდანვე აწრისხევის, როგორც გეოგრაფიული პუნქტის, უპირატესობა იყო სტრატეგიული მდებარეობა და ჰავა. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ყურადღების მიზეზი ერისთავების წინამორბედ ქვენიფნეველთათვის.

ციხე მდებარეობს მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე მაღალი ქედის ფერდობზე. მას საკმაოდ მოზრდილი ფართობი უჭირავს. ციხის გალავანი განადგურებულია გარდა სამხრეთის კედლისა, სადაც შემორჩენილია სამი გოდოლი. ციხის შიდა ტერიტორიაზე მრავალი ნაგებობის

ნაშთია. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით არ არის მოკვლეული რაიმე ისტორიული წყარო, რომელიც ნათელს მოჰფენდა აწრისხევის რეზიდენციაში ერისთავების ცხოვრების დეტალებს.

პატარა ლიახვის ხეობაზე მდებარე აწრისხევის განსაკუთრებით ჯანსაღი ბუნების უპირატესობაზე გვატყობინებს კორესპონდენტი შიდა ქართლიდან: *„აქაური მცხოვრებლების ჯანმრთელობა განთქმულია. ადგილობრივი მღვდელი მიამბობდა, რომ თორმეტი წელიწადია აქ ვარ მღვდლათო და ამოდენა სოფელში ოთხის მეტი არ დამიმარხნიაო. ერთი მადგანი მოკლესო, მეორე რაღაც სნეულებით გარდაიცვალა, რომელიც მოჰყვა ყარსიდანო და ორს კი ლოთობის შემდეგ ფილტვების ანთება მოსვლოდათო. მართლაც განსაკვირველია, შედარებით არსად არ მინახავს ამდენი სიბერით დახავსებული ბებრები როგორც აქა“.*[1]

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898, №696.

## თავი XXVI

# ქსოვრისი. ქსნის ერისთავთერისთავის სახლის ძენი – რატიშვილები

ქართულ ისტორიოგრაფიაში შეჯერებული და განმტკიცებულია აზრი იმაზე, რომ ქართლის თავადები გვარად რატიშვილები არიან ქსნის ერისთავების განაყრები, კერძოდ, რატი ქვენიფნეველის შტო. აღნიშნული შტოდან რატიშვილების თანდათან გამოყოფა და ცალკე გვარად ჩამოყალიბება სავარაუდოდ უნდა მომხდარიყო იმ ე. წ. გარდამავალ XVI საუკუნეში, როდესაც ერისთავის თანამდებობა გადაიქცა ამ თანამდებობის მატარებელი ქვენიფნეველთა დინასტიის „კანონიერ" გვარად, რასაც უნდა მოჰყოლოდა ცხრაზმის საერისთავოს ტიტულატურის შეცვლა და მისი „ქსნის საერისთავოს" სახელით დამკვიდრება და ამის თანადროულად ქვენიფნევიდან ახალგორში რეზიდენციის გადატანა.

რატიშვილების გვარის მამამთავარი ქვენიფნეველთა რიგებში ჯერ კიდევ 1557 წლით დათარიღებულ მცხეთის ერთ ტყავის სიგელში ჩანს: *„ქ. ესე სიგელი მოგახსენეთ ჩუენ ქუენიფნეველმან რატისშვილმან შიაოშ, ძმამან ჩუემან მანუჩარ მას ჟამსა როდეს ძმა შემოგუაკუდა კათალიკოზსა დომენტის მოვახსენეთ მცირე ესე შემოსაწირავი ტფილის ქალაქს ჩემი მკვიდრი ყმა დემურაშვილი დავიგულა მისითა მამულითა სახლ-კარითა, ჭურ-მამულითა; ქულბაქითა. დაიწერა ქ ~კს: სმე: †".*[1]

ჩვენამდე მოღწეულია აგრეთვე ამ სიგელზე თითქმის 100 წლით ძველი, 1460 წლით დათარიღებული, სიგელი მეფე გიორგი VIII-ისა (1446-1466) და დედოფალ ნესტან-დარეჯანის მიერ ბოძებული შალვა ქვენიფნეველ ერისთავისადმი და მისი ოთხი ძმის: წინამძღვარ გიორგის – ლარგველის, ავგაროზის და რატისადმი. ვფიქრობთ, რატიშვილები ცალკე გვარად ამ

[1] კაკაბაძე ს., ისტორიული საბუთები, წ. III, ტფ., 1913, გვ. 64.

პერიოდისთვის ჯერ არ უნდა ყოფილიყვნენ გამოყოფილნი, თუმცა ცნობილი მეცნიერი მარი ბროსე ამ სიგელს მიიჩნევს და ასათაურებს როგორც რატიშვილების სიგელს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ნაადრევადაა მისგან აღქმული რატიშვილების ქვენიფნეველთაგან გამოყოფა.[1]

როგორც ცნობილია, რატიშვილები, რომლებიც ძირითადად ცხოვრობდნენ ქსნის ხეობის სოფ. ქსოვრისში და მჭიდრო კავშირი ჰქონდათ მის მეზობლად მდგარ სოფ. თელოვანთან, თავიანთ თავს აცხადებდნენ ქსნის ერისთავების განაყარ შტოდ. ამ მხრივ საინტერესოა XVII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე სასულიერო პირი ევდემოზ რატიშვილი, რომელიც თავის თავს შემდეგნაირად მოიხსენიებს: *„ქსნის ერისთავთ სახლის ძე ურბნელ მთავარ-ეპისკოპოზი ევდემოზ“.*

ასევე ქსნის ერისთავებთან რატიშვილების ერთობისა და ნათესაობის ზეგავლენით უნდა იყოს ნაკარნახები რატის შთამომავალთა საგვარეულო გერბის ზოგიერთი დეტალი. ჩვენთვის ცნობილ წყაროებში რატიშვილების გერბის ორი ვარიანტია ცნობილი. ერთი დაფიქსირებული აქვს ვადბოლსკის, მეორე ვ. ციხინსკის.[2]

თავად რატიშვილების საგვარეულო გერბი ვადბოლსკისეული ვარიანტით[3] შემდეგნაირად გამოიყურება: გაკვეთილ-გადაკვეთილი ფრანგული ფარი, ცენტრში მცირე ზომის ფრანგულივე ფარით ზედ წმ. გიორგის გამოსახულებით, ფარის ზედა მარჯვენა ნაწილში, მთის ფონზე, საგვარეულო სამლოცველო, რომელსაც შეაბჯრული ფარიანი მკლავი იფარავს, ზედა მარცხენაში ციხესიმაგრე, ქვედა მარჯვენაში – ლომთან შებმული სამსონი, ქვედა მარცხენაში ლტოლვილი ირემი.

გერბის ქვედა ორ ნაწილში, ვადბოლსკისეული განმარტებით, რუსეთში გადახვეწილ რატიშვილებთან დამოყვრებული ორი რუსული გვარის – ტელეპნევებისა და ობოლენსკების გერბების ელემენტებია ჩართული. ხოლო ფარის ზედა მეოთხედებში ჩასმული ფარიანი მკლავი და ციხე-კოშკი ნასესხებია ქსნის ერისთავთა გერბიდან, ნიშნად მათი ისტორიულ-გენეტიკური ერთობისა. XVIII-XIX საუკუნეების ცნობილი მეცნიერი და მწიგნობარი იოანე ბატონიშვილი ეჭვგარეშე მიიჩნევდა რატიშვილების ქსნის ერისთავებიდან მომდინარეობას.

ქსნის ხეობის მთებიდან წამოსული ქვენიფნეველთა ერთი შტო იმავე ქსნის ხეობის ბარში, ლომის-ალევის ქედის სამხრეთ-დასავლეთით

---

1 ჟორდანია თ., დასახ. ნაშრ., გვ. 280.

2 ასათიანი თ., ქართული გერბთმცოდნეობა (ჰერალდიკა), თბ., 2002.

3 ვადბოლსკი მიხ., საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა, თბ., 1980, გვ. 135.

ქსოვრის-თელოვანის მიდამოებში სახლდებიან და იღებენ რატიშვილის თავადურ გვარს. მფლობელობაში იტოვებენ ახალგორის ახლომახლო მდებარე ზოგიერთი სოფლის გარკვეულ ყმა-მამულს და მათ შორის გან-საკუთრებულ კავშირ-ურთიერთობებს ინარჩუნებენ სამკვიდრო სოფ. ყანჩაეთზე, სადაც დგას VIII-IX საუკუნეების კაბენის ღვთისმშობლის სახელობის შესანიშნავი ტაძარი, რომელიც ასევე ცნობილია გეთსემანი-ის სახელით. იგი საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა რატიშვილების საგვარეულო საძვალე-სალოცავს. ცხადია, ახალმოსახლე თავადთა III ხარისხში აყვანილი რატიშვილები ყურადღებას არ მოაკლებდნენ კაბე-ნის ღვთისმშობლის სამონასტრო კომპლექსის გაძლიერებას. ძეგლი მდე-ბარეობს ახალგორის ჩრდილო-დასავლეთით 7 კილომეტრზე, სადაც ამ-ჟამად საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით: *„წირქვლის ზეით, ჩრდილოთ, არს მონასტერი კაბენი, გუმბათიანი, ყანჩაეთის, კეთილად ნაშენი, შუენიერს ადგილს და აწ ხუცის სამარ“.*

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთის კედელზე შემორჩენილია ასომ-თავრული წარწერის ფრაგმენტი: *„ნეტა(რ) ად (არნასეს ასულს) ლატავ(რს) თო ეს (წმინდაი ეკლესიაი)“.* ამ ფრაგმენტულ წარწერაში მოხსენიებულ ლატავრას თუ მივიჩნევთ პირველი ბაგრატიონი მეფის ადარნასეს ქალ-იშვილად, მაშინ ტაძრის მშენებლობის თარიღი შესაძლებელია იყოს IX საუკუნის დასაწყისი.

ექვთიმე თაყაიშვილს აღნიშნული ძეგლი ცხრაასიანი წლების და-საწყისში მოუნახულებია და გულისტკივილით ჩაუწერია თავის მოგზაუ-რის უბის წიგნაკში: *„მისი გეგმა ამჟამად დამახინჯებულია გვიანდელი მინაშენებით და გადაკეთებებით, მაგრამ როგორც ჩანს თავდაპირველად იგი იყო ოთხკუთხა, აღმოსავლეთის მხრიდან საკურთხევლის ოთხკუთხა შვერილით. ჩრდილო-დასავლეთით ორმაგი მიშენებაა რომელიც იყო მა-რანი და მის ზემოთ საცხოვრებელი ოთახები. ტაძრის გუმბათის ყელი არ არის მაღალი რვაკუთხაა, მორთულია უბრალო თაღებით. გუმბათი ასევე არ არის მაღალი შეესაბამება ყელს. შიგნიდან მას აქვს სფეროსე-ბური ფორმა და შუაშია მოჩუქურთმებული ჯვრით. ყელში ოთხი სარკმე-ლია. შიგნით არ არის სვეტები. ყელი ეყრდნობა პილასტრებს რომლებიც თლილი ქვისაგან არის გაკეთებული. გარედან ტაძარი მოპირკეთებულია მოყვითალო თლილი ქვით. ამჟამად მთავარი შესასვლელი აქვს მხოლოდ დასავლეთიდან. მთავარი სარკმელი ოთხია. ერთი სარკმელი თითო ფასა-დში. კარები და სარკმელები მორთულია ნატიფად შესრულებული ქარ-*

*თული ჩუქურთმებით. აღმოსავლეთის ფასადის მორთულობა ისეთივე მდიდარია როგორიცაა სამთავისის, იკორთის, ახტალის, გუდარეხის და მრავალი სხვა XI-XIII საუკუნეების ტაძრებისა საქართველოში. აღმ. ფასადის შუაში მოთავსებულია მდიდრულად ორნამენტირებული სარკმელი. მის ზემოთ ასევე მოჩუქურთმებული ჯვარი, სარკმლის ქვემოთ კი ჩუქურთმიანი რომბები. მთავარი სარკმლის ქვეშ არის ეპისკოპოსის სკამი, სამსხვერპლო და სადიაკვნე ოთახები. სადიაკვნოს მცირე ნაწილში ამჟამად არის ბერის ბასილ რატიშვილის სამარხი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა წმინდანად მიიჩნევს. ეკლესიას ჰქონია დაბალი კანკელი, რომელიც მთლიანად იყო დაფარული უნატიფესი ჩუქურთმით, მაგრამ ეს კანკელი განადგურებული იქნა. შემდგომში ძველი ნატეხებისაგან და რიყის კენჭებისაგან ააგეს ახალი კანკელი, რომელიც შელესეს და შეათეთრეს.*

*საკურთხევლის შუაში იდგა ტახტრევანი, იგი აწყობილი იყო მოჩუქურთმებული ქვებისაგან, მაგრამ როგორც ჩანს მრავალჯერს გაანადგურეს, მაგრამ ამჯერად ძალზე უხეიროდ არის აღდგენილი.*

*ტაძარი მოხატული იყო ფრესკებით, გუმბათის ყელში თაღებზე ფრესკები შემორჩენილია ქართული წარწერებით. მაგრამ წმინდანების ქარტიებზე ბეძნული წარწერებია“.*[1]

ე. თაყაიშვილამდე ბევრად ადრე, 1848 წელს ყანჩაეთი მოუნახულებია მარი ბროსეს, სადაც უნახავს ბევრად მეტი ფრესკები და კიდობანი პერგამენტის – ტყავის წიგნებით სავსე, რომელზეც ბროსე ამბობდა: *„სამწუხარო არაა, რომ ეს უდარდელობა ღუპავს და ანადგურებს ნელნელა ლიტერატურის ძველ ძეგლებს, რომლებსაც თვლიან უმნიშვნელოდ რადგან მის შინაარს არ იცნობენ“.*

რაიმე ცნობას კაბენის აგების შესახებ ჩვენამდე არ მოუღწევია. ერთადერთი ისტორიული წყარო – ქსნის ერისთავების საგვარეულო მატიანე – „ძეგლი ერისთავთა“ გვაუწყებს XIV ს-ის II ნახევარში მიწისძვრით დანგრეულ ყანჩაეთის კაბენის მონასტრის მეორედ აშენებას ცხრაზმის ერისთავის იოანესაგან. ყანჩაეთის ამ შესანიშნავ არქიტექტურულ ძეგლზე, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ლარგვისთან და ახალგორთან ერთად ქართული კულტურის კერას წარმოადგენდა, სწერდნენ *„ქსნის ხეობაზედ არის სოფელი რომელსაც სახელით ეწოდების ყანჩაეთი, რომელიც გახლავთ თავად რატიანთი“.*

---

[1] თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსკურსია ქსნის ხეობაში, ტფ., 1915, გვ. 108.

*ამ სოფელში გაღმა ყოფილა ძველთაგანვე მონასტერი კაბენის ღვთისმშობლისა. ეკლესია გახლავთ ერთის გუმბათით, სიგრძე იქნება ოთხი საჟენი და სიგანე ექვსი. სამის სამწირველოთი და კელიებით. მხატვრობა კარგად აღარ ეტყობა...*

*ამავე ეკლესიაში მარჯვნივ ბოლოს არის სამი მღვიმე ერთი-ერთმანეთზე მიბმული რკინის კარებით. მღვიმე არის ბნელი და თუ არ წინა დგომით არ შეისვლება და სანთლით ინახება.*

*ერთს მღვიმეში ასვენია ბერი. მარჯვენა ხელი ისევ შეუშლელი, თითები ჯვარის სახეთ გაკეთებული, საბუხრეც ისევ ზედვე აქვს, თავზედ ცოტ-ცოტა თმები. მუცელი მარცხენა მხარეს ამოგლეჯილი, ნაწლავები შემხმარი და წელქვემოთ ჭილობი აქვს შემოხვეული, გეგონებათ ახალი არისო. ფეხები პატრუქით გაბმული. იმ სოფლის მოხუცებულებმა სთქვეს მომსწრენი არავინ ვართო ამ ბერების დახოცვისაო და აქ აღარც არავინ ყოფილაო. ამ მონასტრის ორი ხატი ერთის წმინდის გიორგისა და ერთი ღვთის-მშობლისა, ძვირფასად შეჭედილი ასვენია ამ სოფლის შტატის ეკლესიაში.*

*ერთმა მოხუცებულმა დედაკაცმა მითხრა, რომ ამ მონასტერს ერთი ძვირფასი თვალი აქვსო და იმან უნდა განაახლოს მონასტერიო და ის თვალი თურმე ორ კაცს აქვს დამალული იმავე ეკლესიაში. ეკლესიის ერთი დიდი ვენახია, იქნება სამი დესეტინა,* (ექვსი დღის სახნავი. ვ. ქ.) *მებაღე დგას და უვლის ვენახს. ღვინოს სოფელი იყოფს და დღეობას სმენო“.*[1]

კაბენის ეკლესია ჯერ 1991 წლის მიწისძვრამ სერიოზულად დააზიანა, შემდეგ კი 2000 წლის ერთ მშვენიერ დღეს გუმბათი ჩაიქცა. 2008 წელს კი ქსნის ხეობის მნიშვნელოვან ნაწილთან ერთად ჩამოშორდა დედა საქართველოს. ასე გაგვიქრა თვალსა და ხელს შუა IX საუკუნის უბრწყინვალესი ძეგლი, ქართული კულტურისა და მწერლობის მნიშვნელოვანი კერა, ქართული ხელოვნების ერთ-ერთი ქვაკუთხედი VIII ს-ის წირქვლის, 864 წლის არმაზის და XIII ს-ის ხოფის უმშვენიერეს ძეგლებთან ერთად. დადუმდა საქართველოს ძალუმად მფეთქავი ის ძარღვი, რომელსაც ჰქვია ქსნის ხეობა და რომელიც ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე დიდ როლს ასრულებდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ არსებობაში.

თავად რატიშვილების სადგომ-საცხოვრისი სოფელი ქსოვრისი იყო. ეს სოფელი, როგორც ივ. ჯავახიშვილი ამბობს, ნახსენები უნდა იყოს

---

[1] გაზ. „დროება“, 1879, № 190.

არაბთა ისტორიკოსის ბელაძორის ცნობაში, სადაც მოყვანილია საქართველოს იმ ნაწილთა სია, რომელნიც დაიმორჩილეს არაბებმა პირველი ლაშქრობის დროს. ბატონიშვილი ვახუშტი კი ქსოვრისზე ცნობის სახით გვაწვდის, რომ: *„ამის ჩრდილოთ ქსოვრისი. მუნ არს აღებული რუ, და რწყავს ორთა ამათ მთათა შორისსა, და ნაყოფიერებს მით ფრიად“.*

1772 წელს ქსოვრისს ეწვია და ღამე გაათია გერმანელმა მოგზაურმა ი. ა. გიულდენშტედტმა. მან ორი სიტყვით მოიხსენია იქ მცხოვრები რატიშვილები და მათზე უფრო მეტად ფლორა-ფაუნაზე გაამახვილა ყურადღება: *„4 ვერსის შემდეგ იყო აოხრებული სოფელი ილტოზა და შემდეგ 4 ვერსზე თავად რატიშვილის კუთვნილი გალავანშემორტყმული სოფ. ქსოვრისი, სადაც ჩვენ გავჩერდით“.*[1]

სოფ. ქსოვრისში ძველი ნაგებობები არ ჩანს. ყველაზე უხნესი სოფლის სამხრეთით მდებარე ცილინდრული კოშკი (სათვალთვალო) და რატიშვილების ციხე-სასახლეა ეკლესიით, რომელიც, წარწერის მიხედვით, აუგია ზურაბ რატიშვილს და მის თანამეცხედრეს სოლოღაშვილის ასულ ანნას...

ქსოვრისში რატიშვილების ეკლესიას ორი სამშენებლო წარწერა აქვს, ერთი მათგანი მოთავსებულია აღმოსავლეთ სარკმლის ზემოთ, მეორე – დასავლეთის კარის თავზე, წარწერისათვის სპეციალურად ჩატანებულ ოთხკუთხა ქვაზე. ორივე წარწერა მხედრულია, შესრულებული ქვაზე ამოკოდვით. წარწერებიდან ვგებულობთ, რომ ეკლესია აიგო „მეფობასა ქართლისა ვახტანგისასა“.[2]

საგვარეულო სამლოცველოს ამგები ზურაბ რატიშვილი 1724 წელს რუსეთში გამგზავრებულ ვახტანგ VI-ის ამალაშია და როგორც შტაბმეისტერი, შვილით დავითით და რვა მოსამსახურით რუსეთში მიემგზავრება. რამდენიმე წლის შემდეგ ზურაბი დაბრუნდა საქართველოში, მისი ოჯახი მირგოროდსა და სანჟაროვოში დარჩენილა, ხოლო შვილთაშვილი და მისი შთამომავლები დღესაც ბულგარეთში ცხოვრობენ.

თვით ეკლესია ერთნავიანი დარბაზული ნაგებობაა, გეგმით მარტივი. თავდაპირველად სამი კარი დაუტანებიათ, რაც მეტად უცნაურად გვეჩვენება. როგორც ჩანს, ეს შეუსაბამობა აგებისთანავე შეუმჩნევიათ, ორი კარი მაშინვე ამოუქოლავთ და ღრმა ნიშებად გადაუქცევიათ. ინტერიერის ელემენტები კონქი, კამარა და თაღი ისრული ფორმისაა. ფასა-

---

[1] გულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1962, გვ. 51.

[2] ზაქარაია პ., არქიტექტურული ძეგლები სოფ. ქსოვრისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. X, ნაკ. № 10, 1949, გვ. 635.

დები ნაგებია აგურით და რიყისქვით.[1] ისტორიული საბუთების მიხედვით, რატიშვილების „ახალმა ბუდემ" ქსოვრისში მშენებლობები ამ მცირე საყდრით დაიწყო და მთელი მე-18 საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. კერძოდ, 1712 წლის შემდეგ რატიშვილები ეკლესიის ჩართვით აშენებენ გალავანს. მალე ამას ემატება საცხოვრებელი სახლები და კოშკი.

ციხის კედლებიდან მცირე ნაწილია შემორჩენილი, რომლის საშუალებითაც ირკვევა, რომ იგი სამიარუსიანი ყოფილა. პირველი იარუსი ყრუა, ხოლო მეორეზე და მესამეზე მარტივი და რთული სათოფეებია მოწყობილი. ციხის ერთადერთი ოთხსართულიანი კოშკი ნაწილობრივ გალავნის კედლებზეა დაშენებული. აღჭურვილია სალოდეებით. მისი პირველი სართული დათმობილი აქვს ჭას. წყალი აქედან გაჰქონდათ ციხის გარეთ, ზედა სართულებში კი კამარებში დატანილი ხვრელების საშუალებით აწვდიდნენ. ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ პირველ სართულს წყალმომარაგების ფუნქცია ენიჭებოდა, მეოთხეს თავდაცვის, მეორე და მესამე სართულები კი საცხოვრებლად გამოიყენებოდა.[2] როგორც აღვნიშნეთ ქსოვრისში დამკვიდრებული რატიშვილების მამაპაპეულ საძვალეს წარმოადგენდა ქსნის მარჯვენა მხარეს მდებარე სოფ. ყანჩაეთის ღვთისმშობლის სახელობის კაბენის მონასტერი. ამავდროულად, ბარის ზოლში მათ საძვალედ მოიაზრებოდა სოფელი თელოვანი, რომელმაც არსებობა ლეკიანობის გამო მე-18 საუკუნის დასაწყისშივე შეწყვიტა. თელოვანში დაკრძალულთათვის წილკნის ეპისკოპოსს უხდიდნენ ფულად გადასახადს, ყანჩავეთში დაკრძალვისას – სამთავნელს.

როგორც მთავარ და მნიშვნელოვან კულტურულ-რელიგიურ ცენტრს, კაბენს დიდი ადგილ-მამულები გააჩნდა შეწირულობის ხარჯზე, მიწათმოქმედების, მევენახეობისა და მესაქონლეობის გზით ეკლესიის სახელზე გვარიანი შემოსავალი გროვდებოდა, რომლის დიდი ნაწილი იქ მოღვაწე ბერებსა და მათ შემოქმედებით საქმიანობას ხმარდებოდა.

ჩვენამდე მოაღწია ყანჩაეთის კაბენში შექმნილმა რამდენიმე ხელნაწერმა, რომელთა მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რა მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია ამ მონასტერს. იმ უძველესი ბიბლიოთეკიდან საყურადღებოა ყანჩაეთის ოთხთავი, რომელიც XII-XIII საუკუნეებით თარიღდება[3] და აგრეთვე საკმაოდ ცნობილი ყანჩაეთის ჟამგულანი. ხელნაწერი შესრულებულია შავი მელნით, გასანთლულ ფურცლებზე,

---

[1] ზაქარაია პ., დასახ. ნაშრ.

[2] ქსოვრისზე იხ.: ზაქარაია პ., საქართველოს ციხე-სიმაგრეები, თბ., 1988.

[3] ზაქარაია პ., არქიტექტურული ძეგლები სოფ. ქსოვრისში, გვ. 635.

ხუცური დამწერლობით, ჩასმულია ხის ყდაში, შემოკრული აქვს შავი ტყავი. იგი საკმად დიდი ნაშრომია. სულ არის 68 რვეული და თითოეულ რვეულში 8 ფურცელია. ხელნაწერში მოცემულია ფერადი საღებავებით შესრულებული მრავალი მინიატურა, ზოგიერთი მათგანი ამოჭრილია. ამჟამად არის 60 მინიატურა, თითოეულს დაფარებული აქვს თხელი, ფერადი აბრეშუმის ქსოვილი. ეს გვიჩვენებს, რამდენად ძვირფასი იყო მფლობელისთვის ხელნაწერი, რომელიც შეიქმნა 1674 წელს ურბნისის ეპისკოპოსის ევდემოზ რატიშვილის დაკვეთით და მანვე შესწირა თავის-სავე საძვალეს *„კაბენის მონასტერსა გესამანიისაჲ ღ ~თისმშობელსა“.*[1]

ყანჩაეთის „ჟამგულანი“ იმით არის შესანიშნავი, რომ იგი შეიცავს ისტორიული ხასიათის მინაწერებს. სულ 48 მინაწერია შეტანილი, რომელიც მოიცავს 310 წლის ისტორიულ ამბებს – 1444 წლიდან 1754 წლის ჩათვლით. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგდროინდელი ამბები თვითმხილველთაგანაა შეტანილი, ადრინდელი კი ალბათ სხვა ორიგინალიდანაა გადაწერილი.[2]

ხელნაწერის ერთ-ერთ გვერდზე შესრულებული გამოსახულება გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის თვით ევდემოზზე. სურათზე მღვდელმთავრის კუბასტაში გამოწყობილი ეპისკოპოსი საზოძვარითაა წარმოდგენილი – ჩვილით ტახტზე მჯდომი ღვთისმშობელი „ჟამგულანით“. აღნიშნულ სცენაში გამოსახულია ღრმად მორწმუნე ქრისტიანი – მოდრეკილი და უმწიკვლო ევდემოზი.

„ჟამგულანში“ მოთავსებულია ევდემოზის ლექსებიც. ე. თაყაიშვილის აზრით, ეს ლექსები უთუოდ მოწმობს ავტორის პოეტურ ნიჭს. შემოქმედი ეპისკოპოსი თავის თავს „ჟამგულანის“ მამკობელსაც უწოდებს. როგორც ჩანს, მინიატურების შესრულებაშიც მიუღია მონაწილეობა. ღვთისმოშიშსა და მოყვარულ ეპისკოპოსს, რომელიც ყოფილა ჯერ *„ურბნელი, მერმე მანგლელი და მერმე მთავარეპისკოპოზი ქართლისა“.* ერთი უბედური შემთხვევის შემდეგ გადაუწყვიტავს „ჟამგულანის“ შექმნა და შეწირვა ღვთისმშობლის სახელობის საგვარეულო სალოცავისათვის.

*„ქკ-ს: ტპა:* (1693 წ.) *უფალო, შეიწყალე ცოდვილი ზაქარია, რომელმან ესე ჟამ-გულანი რაიცა უძლურებასა ეძლო მოვიჭირვე კარგად გაკეთება ბრძანებითა მთავარეპისკოპოსისა რატიშვილის ევდემოსისათა, რომლისა კეთილმცა არს სახსენებელი რომელ იყო ტკბილ სიტყუთა,*

---

[1] ყანჩაეთის ჟამგულანზე იხ.: Такаишвили Э., «Канчаетский жам-гулан и исторические приписки его кинклоса»,Тфл., 1901.

[2] გაზ. „ლენინელი“ (ლენინგორის რ-ნის გამოცემა), 1987, VIII.

*მშვიდი გულითა და ასე საკვირველ იქმნა: ... მას ღამესა, ჟამსა ცისკრისასა მეძინა სენაკსა მცირესა, გოდოლსა მასთანა იყო ზღუდე გალავნისა სიმაღლე წყრთა: აკ:* (წყრთა მანძილი იდაყვიდან შუათითის წვერამდე. ვ. ქ.) *გამოველ სახმარად ხორცთასა, გარდასცდა ფეხი და ძირსა დავარდი მის გალავნისა და კიდევ უვნოდ მოვრჩი ღვთისა შეწევნითა... ქ-ე შ-ე ურბნელი მთავარეპისკოზი ევდემოზ. ქ-ე ადიდე გლონისთავიძე... ქსნის ერისთავთ ერისთავის სახლის ძე ურბნელ მთავარ-ეპისკოპოზი ევდემოზ".*

XVII საუკუნის ბევრი ჩვენთვის უცნობი ქარტეხილის გამო ევდემოზისავე სიცოცხლეში დაკარგულა „ჟამგულანი". იგი არაგვის ერისთავს გრიგოლ პაპუასძეს უპოვნია და ევდემოზისთვის დაუბრუნებია ფეშქაშისა და აღთქმის სანაცვლოდ, მას კი ხელახლა შეუწირავს კაბენისთვის. თუ რა ფეშქაში მიართვა მთავარეპისკოპოსმა გრიგოლს, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მიცემული აღთქმა კი შემდეგნაირი ყოფილა: *„ხარებობა დღეს კაბენს წინამძღვარი ვინც იქნებოდეს და დეკანოზი ჟამსა სწირავდენ... გრიგოლის მამას, პაპას მის მეუღლეს დარეჯანს, მათ შვილთა ზურაბს და ვამიყს და გრიგოლი ხარჭაშნელს მოიხსენიებდეს. თუ ეს დააკლონ სასუფეველმსაც დააკლდებიან.... ღმერთო შეიწყალე ცოდვილი მთავარ ეპისკოპოსი, რომლის ბრძანებითა აღიწერა ჟამნ-გულანი ესე: პირველად ვიყავ ურბნელი, მერე მანგლელი და მერმე მთავარეპისკოპოს ქართლისა..."*

ევდემოზ რატიშვილის ქვენიფნეველთაგან მომდინარეობაზე არაფერს ამბობს ცნობილი მკვლევარი ლევან მენაბდე, რომელიც ეპისკოპოსის ქსნის ერისთავთა სახლის ძედ მოხსენიებას დედის ხაზით ერისთავთა ფეოდალურ სახლთან მის ნათესაობას უკავშირებს, რაც ჩვენი აზრით, არასწორია[1]. 1710 წელს სამთავროში დაკრძალულ ევდემოზ რატიშვილის საფლავის ქვის ეპიტაფიიდან ვგებულობთ, რომ იგი გარდაცვლილა 87 წლის ასაკში, ე. ი. დაბადებულა 1623 წელს.

ქსნის ერისთავთა განაყარ რატიშვილების თავადურმა გვარმა საქართველოს ძველ მწერლობას მისცა ორი ცნობილი ისტორიული პიროვნება, ერთი ჩვენგან ზემოთ მოხსენიებული ქართლის მთავარეპისკოპოსი ევდემოზი და მეორე გაბრიელ ბეჟანის ძე რატიშვილი.[2]

---

[1] მენაბდე ლ., დასახ. ნაშრ.

[2] რუხაძე ტ., გაბრიელ რატიშვილი, „მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა", ლიტერატურული ძიებანი, II, 1944, გვ. 287.

გაბრიელის მამა ბეჟანია, ის რომელიც 1755 წელს ნურსალბეგის ჯარებით ალყაშემორტყმულ ყვარლის ციხის მისახმარებლად ერეკლე მეფის წინადადებით შეკრებილ ას სამოც მეომარს შორის იხსენიება. თვითონ გაბრიელი კი აქტიური მონაწილეა და თავიც უსახელებია ნიახურას ველზე ომარ-ხანის წინააღმდეგ 1800 წლის 7 ნოემბრის ბრძოლაში.

გაბრიელ ბეჟანის ძე რატიშვილს (1770-1842) 1801-1802 წწ. დაუწერია „მცირედი რაიმე მოთხრობა როსიისა“, რომელშიც თანამედროვე ქართველი მწერლის თვალით პირველადაა ასახული XVIII ს-ის რუსეთი. მიუხედავად ამისა, ჩვენ მას მაინც ძვ. ქართულ მწერლობაში მოღვაწედ მივიჩნევთ გამომდინარე ილია ჭავჭავაძის დასკვნიდან: *„გაბრიელ რატიშვილის სახით ჩვენ საქმე გვაქვს 1800-იან წლების ქართველ მწერალთან, რომელმაც, მართალია, XIX საუკუნეშიც გადმოაბიჯა, მაგრამ ახალი საუკუნის ვერაფერი გაეგო, იგი მთლიანად ძველ ქართულ მწერლობის ტრადიციაზე იყო დამოკიდებული“.*[1]

გაბრიელი ყოფილა იოანე ბატონიშვილის მრჩეველი და ეშიკაღაბაში. საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველსავე წლებში პავლე იმპერატორს მოენება, ამბობს გაბრიელი თავის თხზულების ბიოგრაფიულ ნაწილში, საკუთარი თვალით ეხილა ქართველი უფლისწულები. პირველად მან თავისთან დაიბარა იოანე, ბაგრატ და მიხეილი. ისინიც მაშინვე გაემგზავრნენ. მათ ამალაში ირიცხებოდა გაბრიელი, როგორც იოანეს ადიუტანტი. ბატონიშვილები თბილისიდან მცხეთამდე დიდძალ ქართველობას გაუცილებიათ. მარტში წასული ქართველი მხედრობა მაისში ჩასულა პეტერბურგს, გზად გაუვლიათ მუხრანი, ახალგორი, იკოთი, ქაისხევით ანანური, სტეფანწმინდა, ლარსი, მოზდოკი და ჩასულან რუსეთის სატახტო ქალაქში. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გაბრიელს გულის მოსაგებად კოლეჟსკის ასესორის ჩინი და საჩუქრად სამი ბრილიანტის ბეჭედი გადასცა. 1802 წელს საქართველოში დატოვებული მოხუცი მშობლების გამო გაბრიელი ტოვებს იოანეს და ბრუნდება საქართველოში.

სამშობლოში ატარებს ცხოვრების მეორე ნახევარს ასესორი თავადი. თავის მამულში – ქსოვრისში ცხოვრობს და ეწევა ლიტერატურულ მოღვაწეობას. სოფ. ყანჩაეთში ყმა-მამულების მქონებელი გაბრიელი თავის საგვარეულო საძვალეს ყანჩაეთის კაბენს 1821 წელს სწირავს ღვთისმშობლის ხატს, რომელიც 1915 წელს აღწერა ექ. თაყაიშვილმა: *„ღვთისმშობელი ყრმით, ფერწერული ხატი, ვერცხლის ჩარჩოში 49X39*

[1] ჟურნ. „საქართველოს მოამბე“, 1863, №11, გვ. 14; №12; გვ. 17.

*სანტ. ნიმბა ასევე მოოქროვილი ვერცხლისაა, ძვირფასი ქვებით ლალებითა და ფირუზებით მორთული. მხედრულით შესრულებული წარწერა გვამცნობს, რომ ხატი შეწირა მაიორმა გაბრიელ რატიევმა 1821 წელს.*

*„ყანჩაეთის გესამანიის, ღ~ის მშობელო. მიიღე კნინი ესე. ნაშრომი მონისა შენისა სოვეტნიკის და მაიორის თავადის გაბრიელ რატიევის მიერი. რომლისა ვიშრომე საფასითავე შენითა. რათა მეოხ მეყო მეუღლითურთ ჩემით ჯიმითის მოურავის ასულით თამარით და მწე ექმნე ძეთა. ჩემთა, ჩყკა“.*[1]

ყანჩაეთის გეთსემანიაში, როგორც ხშირად კაბენის ღვთისმშობელს უწოდებენ, თავის დროზე დაცულ კიდევ ორი ხატის აღწერას გვაწვდის ე. თაყაიშვილი. ერთია ღვთისმშობელი ყრმით – დახატული კაკლის ხეზე ვერცხლის პერანგით (48X38 სმ.). წარწერიდან ირკვევა, რომ აღნიშნული ხატი ტაძრისთვის 1830 წელს შეუწირავს დილმის მოურავს სოლომონ რატიშვილს. მეორე – წმინდა გიორგის ხატი (37X30,5 სმ.) დამზადებული კაბენის ეკლესიის თანხებით კვლავ გაბრიელ რატიშვილისაგანაა 1821 წელს შეწირული.

როგორც ცნობილია, რატიშვილების საგვარეულოს ერთი შტო გაემგზავრა რუსეთში,[2] 1724 წელს ვახტანგ VI-სთან ერთად, სადაც რატიევებმა ქართლში ნაქონი საგვარეულო გერბისაგან განსხვავებით შექმნეს ჩვენგან უკვე აღწერილი „ვადბოლსკისეული“ ე. წ. რუსული ვარიანტის გერბი, რომელიც რუსეთში იმპერატორისგან დამტკიცებული არ ყოფილა. რაც შეეხება თავადობის ხარისხს, რუსული შტოს წარმომადგენლები შეყვანილნი არიან პოლტავისა და კიევის გუბერნიების საგვარეულოთა წიგნის V ნაწილში.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ დაკანონდა ქართველთათვის შთამომავლობით მიღებული თავადაზნაურობის წოდების ხელახალი აღიარება-დამტკიცება მეფისაგან, ამ შემთხვევაში რუსი იმპერატორისაგან. ამ მხრივ რაიმე გართულება არ ჰქონიათ არც საქართველოში დარჩენილ რატიშვილებს და არც რუსეთიდან დაბრუნებულ გაბრიელ რატიშვილს. მისი უმაღლესობის და სახელმწიფო სათათბიროს გადაწყვეტილებით, 1825 წლის 16 თებერვალს თავადად იქნენ აღიარებულნი და საქართველოს ტფილისის გუბერნიის საგვარეულოთა წიგნის

[1] Такаишвили Е., Арх. экскурсии, т. 5, с. 116.

[2] ირინა მუცოვა, „პორტრეტებზე აღბეჭდილი ისტორია“, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1986, №9, გვ. 93.

V ნაწილში იქნენ შეყვანილნი თავადი გაბრიელ ბეჟანის ძე რატიშვილი შვილებთან გიორგისთან, იოსებთან, ბეჟანთან და სიმონთან ერთად.

საქართველოში დიდად ცნობილმა ფრანგმა მკვლევარმა მარი ბროსემ საქართველოში მოგზაურობის დროს 1848 წელს მოინახულა იოსებ გაბრიელის ძე რატიშვილის სახლი სოფ. ქსოვრისში. მოგზაურს თავის დღიურში ბევრი საინტერესო ჩანაწერი გაუკეთებია რატიშვილების ევროპულობასა და მათ სიმდიდრეზე, მათივე საოჯახო არქივში ბროსეს მიუკვლევია ისტორიული ღირებულებების მქონე ექსპონატებისთვის. აი რას წერს ფრანგი მკვლევარი რატიშვილებზე: *„ჩვენ გზა ქსოვრისის თავად იოსებ რატიშვილის მამულის მიმართულებით განვაგრძეთ. სახლი ევროპულ ყაიდაზეა ნაგები და შიგ სანიმუშო კომფორტია. წარმოუდგენლად ძვირი ჯდება ეს საქართველოში, ფუფუნების საგნებად მიჩნეული ევროპული კომოდი, დივანი, დიდი სარკე ზღაპრული ფასისაა. მოწნულძირიანი სკამების შეძენა, ჩვენ რომ ვხმარობთ და არაფრად ვაგდებთ ხომ სულ დამაქცევარია“.*

მოგვიანებით ქსოვრისში ოლღა ივანეს ასულ რატიშვილის (1902-1987) ბინაში მიკვლეულ იქნა ზურაბ გიორგის ძე რატიშვილის სახლის ჩანახატი და გეგმა. თვითონ ზურაბი გახლდათ ქართული ცხენოსანი მილიციის უფროსი, რომლის სურათთან ერთად მოძიებული იქნა მისი ძმის გაბრიელის (1825-1851) პორტრეტული მინიატურა (სქელი ქაღალდი, აკვარელი). გაბრიელი ყოფილა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ოფიცერი, რომლის სიცოცხლეც ტრაგიკულად დასრულებულა 1851 წლის აპრილში, როდესაც ის მონაწილეობდა ჰაჯი-მურატისა და მისი თანამებრძოლების წინააღმდეგ ბრძოლებში.

რატიშვილების ბუდიდან – ქსოვრისიდან აყრილი და რუსეთში გადასული თავადური ოჯახის თვალსაჩინო წარმომადგენელია გაბრიელ ბეჟანის ძე რატიშვილის შვილთაშვილი (რუსული შტო) ივანე დიმიტრის ძე რატიშვილი (1868-1958). როგორც ცნობილია, ივანე ზამთრის სასახლის მმართველის თანაშემწედ მუშაობდა. დაამთავრა ორლოვის კადეტთა კორპუსი და ნიკოლაევის კავალერიის სასწავლებელი. 1890 წლიდან მსახურობდა ნიჟეგოროდის 44-ე დრაგუნთა პოლკში, რომელიც განლაგებული იყო თბილისში. 1907 წელს ცხენზე ჯირითისას მიღებული ტრავმის გამო გადადგა სამხედრო სამსახურიდან, შემდგომ დაამთავრა პარიზის ხელოვნების აკადემია. სამსახური დაიწყო მეფის სასახლის უწყებაში როტმისტრის ჩინით. მსახურობდა ზამთრის სასახლის კავალერიაში. შემდეგ,

უმაღლესის ბრძანებით, დაინიშნა გვარდიის კავალერიის უფროსად და მიენიჭა „პოდპოლკოვნიკის“ ჩინი.

1917 წლიდან ზამთრის სასახლის მმართველის მოადგილეა. ოქტომბრის რევოლუციის დროს ყველა ზომა მიიღო, რომ სასახლე გადაერჩინა გაძარცვისაგან, თუმცა საკუთარი ქონება და მეფე ერეკლე II-ის რელიკვიები დაკარგა. ივანე რატიშვილს რუსეთის ეროვნული საგანძურის გადარჩენისათვის ვ. ი. ლენინის პირადი მადლობა მიუღია.

იმავე 1917 წლის ნოემბერში იგი დაინიშნა ზამთრის სასახლისა და პეტროგრადის რაიონის ყველა სახელმწიფო სასახლისა და მუზეუმის მთავარ კომენდანტად. საბჭოთა მთავრობის პეტროგრადიდან მოსკოვში გადასვლის პერიოდში ხელმძღვანელობდა ერმიტაჟის „ბრილიანტის ოთახის“ და სახელმწიფო ბანკის ოქროს ფონდის დაცვას და ტრანსპორტირებას. 1920-1930 წლებში მუშაობდა თარჯიმნად მოსკოვის სხვადასხვა უწყებაში. 1931 წელს გადმოსახლდა თბილისში. გარდაიცვალა ღრმად მოხუცი, 1958 წელს. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე. ცოლად ჰყავდა უბრწყინვალესი ეკატერინე ირაკლის ასული ბაგრატიონ-გრუზინსკაია. ერეკლე II-ის შვილთაშვილი. სამწუხაროდ, ეკატერინე ადრე, 1917 წელს გარდაიცვალა. ბაგრატიონების ასულს განათლება პარიზში ჰქონდა მიღებული და ფლობდა შვიდ უცხო ენას. დაკრძალულია მოსკოვის დონის მონასტერში.

ჩვენთვის უცნობია რატიშვილების რამდენი ოჯახი ან რომელ წლამდე ცხოვრობდა ქსოვრისში, ამჟამად კი მათ „ციხე-ქავზე“ სხვა გვარები სახლობენ. 1898 წელს თბილისში გამომავალი გაზეთი იუწყება სოფ. ქსოვრისში გამართულ მომღერალთა გუნდზე, რომელიც რატიშვილებისგან ყოფილა შედგენილი: *„ჩვენს სოფელში, ერთის ყმაწვილ-კაცის ხელმძღვანელობით შემდგარია პატარა ხორო ქალებისა და ყმაწვილებისა (რატიშვილების საგვარეულოდან) რომლის ტკბილი და მწყობრი გალობა არა ერთხელ მოუსმენია აქაურ საზოგადოებას. ჰგალობენ კარბელოვის კილოზე“.*[1]

[1] გაზ. „ივერია“, 1898, №39.

# ᲗᲐᲕᲐᲓ ᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲐᲚᲝᲒᲘᲐ

**გაბრიელ ბეჟანის ძე რატიშვილი**

- გიორგი 1794-1861
  - ზურაბი 1819-?
    - ალექსანდრე 1855-?
  - გაბრიელი (ტატო) 1825-1851
  - მიხეილი 1840-?
- დიმიტრი 1796-?
- იოსები 1802-?
  - სალომე 1834-1858
  - ბეჟანი 1837-?
  - დიმიტრი 1840-1914
    - მიხეილი 1867-1930
    - **ივანე** (ზამთრის სასახლის კომენდანტი) 1868-1968
      - დიმიტრი 1899-1926
      - ოლგა 1902-1987
    - სოფიო 1880-1949
    - ანა
    - მარია
  - ნიკოლოზი 1844-?
  - ნინო 1849-?
  - გაბრიელი 1853-?
- ბეჟანი 1804-1828
- სიმონი 1815-დაახ. 1860
  - გიორგი 1859-?
  - იოსები 1862-1934

## თავი XXVII

# იკორთა

### კნეინა მარიამ ერისთავის ლექსებითგან

ტაძარო, ვრცელო, რავდენთ საგანთ ხარ დამსახველი,
რავდენთა სპეკალთ უძურფასესთ თჳის შორის მცველი,
შენში ცხოველობს ქსნის ერისთავთ დროები ძველი,
მათი სიწმინდე და სიმდიდრე ნიჭი ყოველი!
მაგრამ ეგ შენი თვალთ საამო ძველ-სახეობა,
და აწინდელი სავალალო მდგომარეობა,
წარსულთა დროთა მოგონება სიზმრებ მსვლელობა,
აღმავსებს ჭმუნვით და მაკლდება სულის მხნეობა.
რომლით, ტაძარო შენი ჭვრეტა შენი ყურება,
თუმც თვალთა ჩემთა განუწყვეტლად არ მოსწყინდება
მაგრამ რას ვხედავ? აწ დარღვევა გემუქარება,
და მისთჳს ნისლი მჭუნვარების აღარ მშორდება.
თუმც დრომან თჳსის ჩვეულებით გყო მიძველებულ,
გარნა შენ იმა ხელოვნებით ქმნილხარ აღგებულ,
იმ სიმმეტრიით და ჩუქურთმით დანაკვეთებულ,
რომ ნაქცევნიცა იქმნებიან შემდგომში ქებულ.
მაშინც ტაძარო მაგა შენსა სახეს დიდებულს,
იოანესგან ძველად შემკულს და განახლებულს,
ივერთ ერისთავთ, ერისთავად გვარ სახელდებულს,
ნგრეულთა შენთა ნაშთთა ზედან ჰყოფ გარდაღებულს.
მაშინ იქნების მხილველთაგან მწარ დაცრემლილი,
შენთა დახავსილთ ქვათა ზედან კვლავ დაშთენილი,
სახელი ესე წარსაკითხად გამოწერილი,
რომლისაც მტვერი შენს კალთებში არს მოფენილი.

მათგან მრავალნი შენებრ სხვანიც აღშენებულან,
სახელოვანის მამაცობით როს ყვავებულან,
დიდებისათჳს მამულისა მრავლად ვნებულან.
შენში ტაძარო ვითა ძეგლის აღმართულება
სად წარიკითხვის მათ მამაცნი დიდებულება,
რომელთ გენიის ელვარებდა დატჳრთულება,
და ბუნებისგან ჩამოსირვით ნიჭებულება.
ესრეთ სჩანს შენში თჳთოეულნი მათნი სახენი,
რომელთ მსგავსებას ძლივ შეადგენს საუკუნენი,
გონება ვრცელნი აღსარიცხნი ვით ფენომენნი,
უბრყვლოდა მქცევნი სიბრძნის სხივის მზეებრ გამფენნი.
ცნობილან ყოვლგან გოლიათად იმავ დაწყებით,
სახით შვენიერ მიმზიდველნი მორთჳ შედგმულებით,
არვინ შობილა მათს დროებში მათის მსგავსებით
უდიდებია თჳთ განგებას ამ განსხვავებით.
ყოფილან ჩერქეზთ მეფეთ შჳლნი ძველად მოსულნი,
მეფეთა შემწე და კეისართ მარად ერთგულნი,
მათ მდინარებენ მათის სისხლის ის ნაკადულნი.
მათგან მორწყულნი მათნი მტვერნი აწცა ჰყვავიან,
საყნოსად თჳსთა შთამომავალთ სუნნელთა ფშჳან,
მათ განმაცხოვლად აღფრინვებით ჰაერთ ერთვიან,
ყოვლადი მათი კეთილობა მით გარდეთხმიან.
მათთა მუსკულთა მათი სისხლი სძგერს განწმენდილი,
და მით აქუსთ სულის ეს სიმაღლე გარდმოფენილი,
ამით მნათობენ და სიბნელე აქუსთ გადევნილი,
არიან აწცა, დიდებულად აღმოჩენილი.
ტაძარო! შენში ჩაწყობილნიც გვითხრობენ ქუანი,
რომ იყვნენ ჩუენნი წინაპარნი მტკიცე მოსავნი,
და შენთა ამა იატაკთა თვალით მნახავნი
ჰსცნობენ აქ ბრწყინვენ მოწამენი ქსნის ერისთავნი.
ვით ორნი მზენი ცის საბყაროს სხივ მოებარენი,
ეგრეთა კრთიან და ანთიან აქ მდებარენი,
შალვა, ელისბარ, მისთჳს ერთად მოელვარენი
განფინონ მადლი განანათლონ ივერთ მხარენი.
ან ვითა რტონი ედემს რგულნი მშუენიერებით,
ვარდებ შლილობენ, ყვავილობენ ყოვლის დიდებით,

მსგავსად მეუფის მოყვასთათჳს სულის დადებით
კურნების ნექტართ ჩუენდა მომართ აღმოდინებით.
მესამეც მათთან არს ბიძინა აქა მწოლარე,
იაკობისებრ აღკუწვილი ნათელ მკრთოლვარე,
გვერდსა ლახვრითა განღებული სისხლ მომჩქეფარე,
მირონ უხვებით ჩუენდა მომართ აღმომდინარე.
მრავლობენ ღვაწლნი ვით ვარსკვლავნი ძნელ აღსაწერად
მათ სისხლთა წვეთნი ციმციმებენ შენს ატმოსფერად
ელვენ, ნათობენ, ირისობენ სხუა და სხუა ფერად,
რომლისა სრულის ტრფიალებით მოვსულვარ მზერად.
მათდამი ჩემი გამოხატვა ესრეთ მფრინვალებს,
დიდების საყდარს თითქოს ვხედავ მათ წარდგომილებს,
ანგელოზთ ფრთითა მიტანილებს მათსა გვირგვინებს,
მეოხად ჩვენდა სამთავ ერთად ხელ გაპყრობილებს.
გჭვრეტ შენ ტაძარო ვით მეორეს ცად შეცვალებულს,
გრძნობათა ჩემთა შენ ამით ჰყოფ აწ მიტაცებულს,
სამთა დიდ მზეთა თვალთ უჩვენებ აღმობრწყინვებულს
და სხუათ ვით ვარსკვლავთ მანათობლად აქ ჩარიგებულს.
ნუ თუ ჩემისა სიცოცხლისაც მზედ აღმოსული,
შენ მოიზიდე აქ ტაძარი და ჰყავ დასული?
რომლისგან მქონდა ცხოველობა, სიტფო და სული,
რომლის მოკლებას მის უბედო მოსთქვამს ასული.
ნუ თუ სრულიად ცხოვრებისგან მყავ განსვებულად,
და მისსა ჭვრეტას საუკუნოდ მყავ მოკლებულად!
და შენცა მისთვის იხილვები ნისლ მოდებულად,
რომ ჩემს საკვდავად იგიც აქ ჰყავ დამიწებულად!
თვალნო! რას უმზერთ? სავალალოდ თქვენ ამა მხარეს,
რად ამა ლოდთა უწინარეს მე არ დამფარეს,
ვინემ მშობლისას გიხილავდი მე აქ სამარეს,
და ვინემ გული გამოსცდიდა ესრეთ სიმწარეს.
ვაი, ვით ვსჭვრეტდე მშობლისა ხელთ გულზე დაწყობას,
რომლით ველოდი საუკუნოდ ჩემს მფარველობას,
რად გყავ ჩვეულნი შენს მამობრივს ტკბილს ალერსობას
თუ ესრეთ შენვე შეგვმოსავდი მწარეს ობლობას.
რად არ გვცემ სიტყვას შენ გარემო აქა მდგომარეთ,
შენსა უბედოთ სატრფო ასულთ გულით მკვნესარეთ,
უნუგეშოსა, ვაებითა მომთქმელთა მწარეთ,

შენსა საფლავზედ დამხობილთა ბაგეთ მწრწოლარეთ.
ვაი, თვითცა არს მრისხანებით ჩვენდა მქუხარი,
ველარ განვაფრთხო რა გინდ ღვაროთ ცრემლი მდუღარი,
ველარც ისმინოთ მისი ტკბილი ბრძნულ საუბარი,
თქუენ დასამხობლად საუკუნოდ იქმნა მდუმარი.
ჰოი გვირგვინო და დიდებავ შენის სახლობის,
სად მიგვეფარე მაგალითო კაცობრიობის,
ხატო და მსგავსო შენის წმინდის შთამომავლობის,
რად დახშე ტკბილი ეგ წიაღი მამობრიობის.
ამაოდ თვალთა ცრემლთ ნაკადი გარდმოსკდებიან,
უბრალოდ ჩემს გულს ვითა ნამი ეპკურებიან
ჩემში ეს ცეცხლი დაგზნებული მაშინ ჰქრებიან
როს მის საფლავთა დროვა მტვერთა დამეყრებიან.

მარიამ ერისთავი[1]

## იკორთის ზოგადი მიმოხილვა

*„იკორთა უნიკუმია. მისი აშენება*
*ნამდვილად ღირდა თავმოწონებად“*

***ე. თაყაიშვილი***

სოფელი იკორთა და იკორთის ტაძარი მდებარეობს გორიდან ჩრდილოეთით 25 კილომეტრში, ცხინვალიდან 35 კილომეტრში, ზღვის დონიდან 1000 მეტრ სიმაღლეზე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1922 წლიდან სოფლები ზემო და ქვემო იკორთა შევიდა არცევის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში, ეს უკანასკნელი კი ადმინისტრაციულად დაუქვემდებარეს ქ. ცხინვალს, რომელიც იქცა კომუნისტებისაგან ახლად შექმნილ „სამხრეთ ოსეთის“ ადმინისტრაციულ ცენტრად.

იკორთის მთავარანგელოზთა მიქაელისა და გაბრიელის სახელობის ტაძარი ამავე სახელწოდების სოფელთან ერთად (ამჟამად სოფელი აღარ არსებობს) მდებარეობს კავკასიონის ერთ-ერთი განშტოების – ორბოძა-

---

[1] ჟურნ. „ცისკარი“, 1861, №1.

ლის მთის სამხრეთი კალთის პატარა პლატოზე. ფეოდალურ ხანაში ად-მინისტრაციულად შედიოდა ქსნის საერისთავოში ანუ ძველ ცხრაზმისხ-ევის საერისთავოში. პლატონ იოსელიანის ერთი ცნობით, იკორთას და მის მიმდებარე ტერიტორიას ვირშა ეწოდებოდა, რომელიც გახდა XIII ს-დან ცხრაზმისხევის ერისთავების შტოთა განმსაზღვრელი, ქვენიფნევე-ლის და ლარგველის მსგავსად. ვახუშტი ბატონიშვილი თავის ისტორიულ გეოგრაფიაში მიუთითებს: *„ორბოძლის მთის სამხრით, არს, მთის კალთა-სა შინა იკორთას მონასტერი, დიდი გუმბათიანი, კეთილად ნაშენი, კარგს ადგილს, ზის არქიმანდრიტი“.*[1]

ჩვენი მოსაზრებით, იკორთა ვირშას ნაწილი უნდა გამხდარიყო XIII საუკუნის პირველ მეოთხედში, მანამდე იგი კუთვნილება უნდა ყოფილ-იყო იმ კოლონკელი მძლავრი ფეოდალებისა, რომლებიც ცხოვრობდნენ შიდა ქართლის მთებში ვახუშტის რუკაზე დატანილ კოლონკეთში და რომლებმაც ააგეს იკორთის ტაძარი. კოლონკელიძეები, კერძოდ, საღირ კოლონკელიძე 1191 წელს კარგავს ჰერეთის ერისთავთერისთავობას. მას ეს თანამდებობა ასათ გრიგოლის ძემ „მისტაცა მძლავრობით და მორევ-ით“ და გადასცა საკუთარ შვილს გრიგოლს. ამ მოვლენების შემდეგ თამარ მეფემ საბოლოოდ ჩამოიცილა მოღალატე, თავნება ფეოდალები და მას შემდეგ ისტორიის ასპარეზზე აღარც გამოჩენილან. დაკნინებული ფეო-დალების სამფლობელოს იერთებენ გვერდისძირში შემავალი ვირშელები რომლებიც შემდგომ XIII ს-ის მეორე ნახევრიდან ხდებიან ქსნის ხეობაში ცხრაზმისხევის ერისთავები, სადაც აერთიანებენ აწ გამქრალ ტოპონიმს კოლონკეთსა და ვირშას მთელ გვერდისძირთან ერთად.

ვახუშტის ცნობით, *„ჯარიაშენიდან ვანათამდე უწოდებენ გვერდის-ძირს და არს ადგილი ესე ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ბრინჯ-ბამ-ბის გარდა ყოველნი სცენდებიან ნაყოფიერად“.*[2]

გვერდისძირი შეტანილია VII საუკუნის სომხურ ანონიმურ გეოგრა-ფიაში როგორც ქართლის ერთ-ერთი თემი. სწორედ ამ თემის ერთი პატა-რა ნაწილია კოლონკეთი იკორთის შემოგარენთან ერთად, შესაძლებელია ვირშასთან ერთად, რომელიც, როგორც ვთქვით, დაკარგეს კოლონკელ-იძეებმა.

იკორთის ქართული წარმოშობის ტოპონიმი საბას ლექსიკონში გან-მარტებულია როგორც ფიცრის თარო. მსჯელობამ მის წარმოშობაზე სავსებით შესაძლებელია გვაფიქრებინოს, ხომ არ არის დაკავშირებული

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 361.

[2] იქვე, გვ. 362.

მისი ეტიმოლოგია ქართლის მთიანეთში გავრცელებულ „თაროს ანგელოზობასთან“, რაც იგივე „ქათმის ანგელოზობას“ ნიშნავს, თანაც IX-X საუკუნეებში ქართლში სამონასტრო მეურნეობის ერთ-ერთი ატრიბუტი ქათამია, რომლის კულტი წინაქრისტიანული ხანიდან უნდა გადმოყოლოდა ბერულ ცხოვრებას. გარდა სასულიერო პირთა კვების რაციონისა და სარიტუალო სუფრისა, ქათმის დიდი რაოდენობით მსხვერპლშეწირვა ხდებოდა სათემო და საგვარეულო სალოცავებში. „ქართლში ქათამს წიწილობიდანვე ასუქებდნენ ხორციელის ხუთშაბათამდის ანუ სახლთ-ანგელოზობამდის. დასაკლავ ფრინველს 3 დღის წიწილობაში ადებდნენ ნიშანს (აჭრიდნენ შუა ბწკალს), განსაკუთრებული მზრუნველობით კვებავდნენ გოდრის ქვეშ დამწყვდეულს, ისე გასუქდებოდა ყვერული, რომ მძლივს მოძრაობდა“.[1]

გვერდისძირისა და კერძოდ იკორთის მოსახლეობა ოდითგანვე ქართული იყო. ვახუშტისა და გიულდენშტედტის მონაცემებით, იკორთა XVIII საუკუნეშიც ქართველებით იყო დასახლებული. 1781 წლის „ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა“ გვამცნობს, რომ იკორთის ტაძრის გარშემო ყოფილა ამავე სახელწოდების დიდი სოფელი, სადაც ცხოვრობდნენ როგორც ძველი მკვიდრი მოსახლეობა, ისე ერისთავებისაგან სხვადასხვა დროს ქსნის ხეობის სოფლებიდან გადმოსახლებული გვარები: გვრიტიშვილები, გიგაურები, მაწიაშვილები, ურჯუკაშვილები, თათრიშვილები, ინაურები, ხუციშვილები. აქვე ცხოვრობდნენ აზნაური ფიცხელაურები, რომლებიც ბაჟს კრეფდნენ. აღწერილობის დავთარი საინტერესოა ისტორიული, ფილოლოგიური, ეკონომიკური და სხვა მასალებით.[2] ი. ა. გიულდენშტედტის ცნობით, 1772 წელს იკორთა ცნობილი მონასტერია და საგანმანათლებლო ცენტრი.

1804 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, იკორთაში ქართველებთან ერთად ოსებიც ცხოვრობდნენ. 1873 წლის ცნობით, იკორთაში 22 ქართული ოჯახი სახლებულა, 1957 წელს კი ოსის 15 ოჯახი დარჩენილა. იკორთაში მცხოვრებ ერისთავებზე და იქ არსებულ მათ რეზიდენციაზე არაფერია ცნობილი. ვიცით, რომ XIX ს-ის 80-იან წლების ბოლოს იქ უცხოვრიათ, მეჯვრისხევში დაბადებულ დიმიტრი კონას ძე ერისთავს (მირმანოზ ერისთავის შვილიშვილს) და „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების შემქმნელ მიხაი ზიჩის ნიჭიერ მოწაფეს მერი ეტლინგერს,

1 „ცნობის ფურცელი“, 1899, №803. ასევე ქათმის კულტზე იხ.: აბაკელია ნ., „ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი“, 1991, გვ. 35, 55.

2 ოთინაშვილი ნ., „იკორთა ჩვენი სიამაყე“, გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1987, 1/XII.

რომელსაც მეჯვრისხევში ყოფნისას „შავ ბრილიანტად“ წოდებული თამარ კონსტანტინეს ასულ ერისთავის პორტრეტი და თავისი მამამთილი კონა დაუხატავს.

იკორთის კარგად გამაგრებულ ციხე-სასახლეში აღნიშნულ ბასტიონს ადგილობრივები წოწოლას ციხით მოიხსენიებენ, რომელიც ტაძრიდან დასავლეთით ასიოდე მეტრში ოდნავ ამაღლებულ ადგილზე, იკორთის ხევის მარცხნივ, ქარაფის პირზე დგას, სადაც ცხოვრობდა ქსნის ერისთავების რამდენიმე ოჯახი. მისი წინა ნაწილი, რომელიც ეზოში გადიოდა, ორიარუსიანია. ქვედა იარუსი ეზოს დონეზეა, ჩანს, აქ გრძელი შენობა მდგარა, რომლისგანაც მხოლოდ ნაშთებია დარჩენილი. თვით ციტადელს გრძელი ეზო აქვს. მის კედლებს ეტყობა არაერთი გადაკეთება. ეზოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში დგას ოთხკუთხა კოშკი, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში კი – ცილინდრული. ეს კოშკები სხვადასხვა დროისაა. ოთხკუთხა კოშკი სანახევროდ დანგრეულია და შემორჩენილია მხოლოდ სამი სართული. შესასვლელი სამხრეთითაა. სხვა კედლებში და ზედა სართულებზე სათოფურები და სარკმელებია.[1]

მეორე კოშკი ორფენიანია. მას დასავლეთიდან იკორთის პატარა ხევმა ნიადაგი გამოაცალა და ნახევარი ხევში ჩაიშალა. მის ნანგრევებში ჩანს ღრმა ნიშები სათოფურებით, ბუხარი და სხვა.

მთავარანგელოზთა ტაძარი ოთხკუთხა ფორმის გალავნით დაცული და ჩართული ყოფილა ციხე-სასახლესთან, რომლის ფრაგმენტები აქა-იქაა შემორჩენილი. არსად არ ემჩნევა კვალი იესე ქსნის ერისთავისა და მისი დედის ინიციატივით აგებული შენობებისა: *„... ოთხი სამხრო გავაკეთეთ, შიგნით სახლები დავდგით, როგორც იმ დიდებულს მონასტერს ეკადრებოდა; სამრეკლო საძირკვლით გავასრულეთ“.*

სხვადასხვა ცნობაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ იკორთის მონასტერთან დაარსებული ყოფილა „მღვდელ-მონაზონთა სავანე, სასულიერო სასწავლებლით, რომელშიაც საერონი სასულიერო განათლებას იღებდნენ თანახმად მართლმადიდებელის სარწმუნოებისა“.[2]

იკორთის ტაძარს და ერისთავების ციხე-სასახლეს მატიანეთა ცნობების მიხედვით, მრავალი ბრძოლა გადაუხდია გვერდისძირის ძლიერ კულბითისა და ვანათის ციხეების მსგავსად. ცნობილი ქართველი მემატიანის სეხნია ჩხეიძის ცნობით, 1732 წელს ქართლში შემოჭრილი მრავალრიცხოვანი ლეკთა ჯარი იკორთიდან გაუბრუნებიათ. 1736 წელს ირა-

---

[1] შიდა ქართლი, თბ., 2004, გვ. 96.

[2] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899, №777.

ნის შაჰს განუდგა ქსნის ერისთავი შანშე და იკორთის ციხეში გამაგრდა. ნადირ-შაჰის გამოგზავნილი ჯარი ციხეს მოადგა, მაგრამ დამარცხდა. ერთი წლის შემდეგ იგივე სარდალი სეფი-ხანი დიდი ჯარით დაბრუნდა. უთანასწორო ბრძოლაში იკორთა დაეცა. მაშინ საკმაოდ დაზიანდა ციხეც და გალავანიც. XVIII საუკუნის ბოლოს საკმაოდ შესაკეთებელი რომ ყოფილა გალავანი, ამას ვიგებთ მეფე გიორგი XII-ის მიერ შვილისადმი მიწერილი ბარათიდან: *„წინამძღვარი იკორთისა მონასტრისა ჩვის მეზობლებზედ ეკლესიის მამულებსა არ გვანებებენო... გალავანიც დაქცეულა, უბძანე სახასო გლეხთა შენობაზედ გაისარჯნენ, რადგან მათი სალოცავი არის...“*

ირანელებზე მეტად ლეკი აბრაგები აოხრებდნენ და აჩანაგებდნენ ქვეყანას. მთელი XVIII საუკუნე არ შეწყვეტილა მათი თავდასხმები ქართლზე და მათ შორის იკორთაზეც. ხალხის და პირუტყვის ტაცებით ეს მხარეც დააკნინეს გადამთიელებმა. სწორედ ამ უბედურებაზე მიგვანიშნებს ერეკლე მეფის მოწყალების ოქმი 1792 წელს მიწერილი წილკნელისადმი, რომელსაც მანამდე იკორთის მონასტერში უმოღვაწია. ეს უკანასკნელი მეფეს თავისთან დაუბარებია და თან შეუთვლია: ცისკრის ალილო აღარავის ახსოვს, ჩამოდი და გვასწავლე და იშოვნი რასმეო. მას პასუხად არზა მიურთმევია და შაირად მოუხსენებია:

„რა თქვენი ოქმი მებოძა,
აღარ მივეც თავი ძილსა,
უდაბნოში წინამძღვარსა
გამომახვეს სიტყვა ტკბილსა
იქ იკორთა დაუტევე
ვერც იქ ვენდე ლეკის კბილსა
წილკანს უარესი მიყვეს
ვერც აქ ვუძლებ გუთნის თხრილსა“.[1]

XVIII საუკუნეში ტაძარი და ციხე მიწისძვრასაც დაუზიანებია. მონასტერს თანდათან შემოეცალა ერთ დროს საკმაოდ ვრცელი მამულები ყმა-გლეხებით. კათოლიკოს-პატრიარქის ინსტიტუტის და საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ საქართველოს ეგზარქოსმა და წმინდა სინოდმა 1811 წლიდან იკორთის მონასტერი გააუქმა და გამოაცხადა სოფლის რიგით ეკლესიად. ამ პერიოდშივე უნდა მომხდარიყო მონასტერთან არსებული სასულიერო სასწავლებლის დახურვა, რომლის შესახებ ჯერჯერობით ვერავითარ საბუთს ვერ მივაკვლიეთ.

---

[1] ჟორდანია თ., „ქრონიკები“, II, გვ. 423.

## ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲔᲑᲘ

იკორთის ტაძარს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ხუროთმოძღვრების ევოლუციაში. ასევე უზომოდ დიდია მისი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა და, აქედან გამომდინარე, ინტერესიც დიდია მისდამი.

საქართველოს ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლთა მკვლევრისა და ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის ძიების ერთ-ერთი საგანი იყო იკორთა, რომელზეც აღნიშნავდა, რომ: *„... ძველი (XVII ს-ის) დოკუმენტი, რომელიც დღემდე არის შემორჩენილი ქსნის ერისთავების საგვარეულოში ჩანს, რომ ტაძარი აგებულია იუსტინიანეს იმპერატორობის დროს ქსნის ერისთავების მიერ...“* თუმც შემდეგ მეცნიერი თავის ნათქვამის ერთგვარ განმარტებას იძლევა და დასძენს: *„რაც შეეხება იმას, რომ ტაძარი აგებულია ერისთავების მიერ ადვილად დასაშვებია, რადგან წოდება „ერისთავი“ რასაკვირველია არა ქსნის არამედ ქართლის საქართველოს ისტორიაში ქრისტეს შობამდე არსებობდა“.*

ღვაწლმოსილი მეცნიერი რატომღაც თავიდან მიიჩნევდა, რომ XII საუკუნის იკორთის ხელთუქმნელი ძეგლი იუსტინიანეს მიერ VI საუკუნეში იყო აგებული, ხოლო ტაძრის დასავლეთის ფასადზე შესრულებული წარწერები მიუთითებდა 1172 წელს მიშენებული კარიბჭის თარიღს. პ. იოსელიანის ამ ნაუცბათევად გაკეთებულ დასკვნას ცნობილი მკვლევარი იოსებ მეგრელიძეც აღნიშნავს[1] აქ ერთი რამ ცხადია და კერძოდ ის, რომ ისტორიულ ვირშაში იკორთის ტაძრის აგებამდე აუცილებლად იარსებებდა რაიმე წარმართული საკულტო ხასიათის სალოცავი (შესაძლოა ფრინველის), რომლის ადგილზე VI საუკუნეში საქართველოზე ბიზანტიის იმპერიის გავლენის მოპოვებისას და ქართლში სტეფანოზ II-ის მეფობისას აიგო ქრისტიანული სალოცავი, ისე როგორც დიდი ალბათობით, ლარგვისში იუსტინიანეს ხელშეწყობით აგებულიყო პირველი ქრისტიანული სალოცავი თავდაცვითი დანიშნულების ნაგებობასთან ერთად. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბიზანტიას *„ბერძნული კოლონიები ქონდა არა მარტო შავი ზღვის სანაპიროზე, არამედ: შორაპანში, სურამში, ქ. გორში მტკვრის გაყოლებაზე არა მხოლოდ სავაჭროდ აღმოსავ-*

---

[1] ელიზბარ ერისთავი, თბ., 1997, გვ. 334.

*ლეთთან არამედ სპარსელებისაგან დასაცავად, რომლებიც ებრძოდნენ ბერძნებს საქართველოსა და მთელი კავკასიის ფლობის უფლებისთვის“.*[1]

მეცნიერთა შემდგომი კვლევა-ძიების საფუძველზე მალევე უდავო გახდა, რომ იკორთის მთავარანგელოზის, მიქაელის სახელზე ტაძრის აგება ემთხვევა თამარ მეფის ქალიშვილობის ხანას. იკორთა იმ იშვიათ ძეგლთა რიცხვს განეკუთვნება, რომელიც თავისი წარწერების მიხედვით ცხადლივ არის დათარიღებული 1172 წლით.

იკორთის ტაძრის აგების შესახებ ისტორიამ თვით ძეგლის ლაპიდარული წარწერების გარდა სხვა რაიმე წყარო არ შემოგვინახა. ტაძარს 3 ასომთავრული წარწერა აქვს. ერთი აღმოსავლეთის ფასადის ცენტრში, დიდი დეკორატიული ჯვრის განივ მკლავთან, ორი კი დასავლეთის ფასადის ფანჯრების ქვეშ, კარიბჭის სახურავთან.

აღმოსავლეთის ფასადზე შესრულებული სამშენებლო წარწერა კარგად არის შემორჩენილი, დასავლეთისა კი ორივე ძლიერ დაზიანებულია. ირჩევა მხოლოდ რამდენიმე სიტყვა და ცალკეული ასო-ნიშები, რომელთაგან სწორი აზრის გამოტანა შეუძლებელია. სავარაუდოდ, აღნიშნული წარწერები XIX ს-ის 80-იან წლებამდე ასე თუ ისე ნორმალურად იკითხება, რასაც გვაფიქრებინებს მარი ბროსეს, თ. ჟორდანიას და პლატონ იოსელიანის მიერ ძეგლიდან წარწერების, დღევანდელ შესაძლებლობასთან შედარებით, იოლად გადაღება-გადაწერა. თუმცა ჯერ კიდევ 1848 წელს მარი ბროსე ამბობს: *„ძლივს ავძვერი სახურავზე და წარწერების წაკითხვის დროს ჩემი მდგომარეობა საკმაოდ სახიფათო იყო“.*[2]

ცნობილია, რომ ტაძარს სამხრეთიდან და დასავლეთიდან ამშვენებდა ლამაზად ნაშენი ნატიფი კარიბჭენი, რომლებიც მტერს გაუნადგურებია. შემდგომ დასავლეთ ფასადზე მიუშენებიათ არსებულთან შედარებით მაღალი და ტლანქი კარიბჭე, რამაც დაჩრდილა როგორც ძველი წარწერები, ისე მთლიანად ფასადის სილამაზე. წარწერების ნაწილი დაფარულია ტაძრის აღნიშნული კარიბჭის სახურავით, ნაწილი კი, თითქოს სპეციალურად, რკინის იარაღით არის დაკორტნილი და შემდეგ მზისგან და ყინვა-წვიმისგან გამოქარული. ბროსეს ინფორმაციით, მისთვის წარწერების სრულად გადმოცემაში ხელი მაინცდამაინც არ შეუშლია კარიბჭეს. წარწერებს ასევე მთლიანად კითხულობენ პლატონ იოსელიანი და თ. ჟორდანიაც. მაშასადამე, კარიბჭის სახურავის კიდევ ერთხელ ამა-

---

1 Иоселиани П., Икортский монастыр в Карталинии, 1865.

2 ბროსე მ., არქეოლოგიური ჩანაწერები, რაპორტი, VI, 1851, გვ. 65 (ფრანგული გამოცემა, გვ. 66).

ღლება და წარწერების ხელყოფა შემდგომ მომხდარა. ალბათ უფრო 1891 ან 1916 წლებში, როდესაც ზედიზედ ორჯერ ჩატარდა ტაძრის სერიოზული რემონტი. ტაძრის განახლებაზე შემდგომ ცალკე გვექნება საუბარი.

ყველაზე მნიშვნელოვანი წარწერა, რომელიც ტაძრის აგების თარიღს გვაუწყებს, დასავლეთის ფასადზე, ჭიშკრის მაღლა, მარჯვენა მხარეს არის ამოკვეთილი. ამჟამად ამ წარწერიდან მხოლოდ რამდენიმე ასოს გარჩევა ძლივს ხერხდება.

აღნიშნული წარწერა პირველად შეისწავლა და გაშიფრა მარი ბროსემ 1848 წელს.

*„ქ. სამებაო, ერთობაო, ადიდენ ორსავე შინა ცხოვრებათა ე გ დ ნ, სუ... და ბეშქენ... ბწესა ვარდა ჰერისთავსა ესტატეს მხლ... თ. და ლოცვა ჰყავთ, აქვს ტჟბ“.*

მარი ბროსეს შემდეგ, რამდენიმე ათეული წელის ინტერვალით იკორთის ტაძარი და მისი წარწერები მოუნახულებია თ. ჟორდანიას. სამწუხაროდ, იგი მხოლოდ წარწერის მიახლოებით გაშიფვრას იძლევა.

*„ქ. სამებაო: ერთარსებაო: ადიდე: ორთავე: შა მ ცხოვრებათა ეე* (ერისთავთ ერისთავნი). *სუ(ლა).... რ... და ბეშქენ... ბჭესა: ვრდ:... ლეიარსა (?) ეეს* (ერისთავთ ერისთავს) *მ ხ ლ* (მიხაილ?) *.... თ: და: ლოცვა ყავთ: ქ.... ტჟბ:“*[1]

ორივე მკვლევრისგან მოცემულ ტექსტში თარიღი (ტჟბ) უცვლელია, ხოლო ზოგიერთ სახელში განსხვავებაა. რაც შეეხება პლატონ იოსელიანისეულ ვარიანტს, თითქოს შედარებით გამართული და გამართლებული მოჩანს:

*„სამებაო ერთობაო, ადიდენ ორთავე შინა ცხოვრებათა ეგურდან, სოლომონ და ბეშკენ....*

*ბჭესა ვარდან ერისთავთ ერისთავი..., ლოცუა-ყავთ ქორონიკონსა ტჟმ“.*[2]

ვინაიდან წარწერის ამ სამი ვერსიის გარდა რეალურად ცოტა რამ გაგვაჩნია, მათი ურთიერთშეჯერებით უნდა ვეცადოთ მისი რეკონსტრუქცია.

ჩვენთვის კარგად ცნობილი მკვლევარი პ. ზაქარაია თავის სოლიდურ ნაშრომში „ქართული ხუროთმოძღვრება XI-XVIII სს.“ საპატიო ადგილს უთმობს იკორთის ტაძრის განხილვას, სადაც მ. ბროსესა და თ. ჟორდა-

---

1 ჟორდანია თ., დასახ. ნაშრ., გვ. 259.

2 Иоселиани П., დასახ. ნაშრ., გვ. 73.

ნიას მიერ გაშიფრული ტექსტების კომენტარზე თავს იკავებს მათი არაიდენტურობის გამო. სამაგიეროდ კარგად გათვლილ და უფრო რეალურ ვარიანტს გვთავაზობს გ. ჩუბინაშვილის სახ. ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დოცენტი თამაზ სანიკიძე. ხელოვნებათმცოდნე წარწერას ასე კითხულობს:

ქ. სამებაო: ერთ (არსე)ბაო: ა(დი)დენ:
ორთავე შ(ინ)ა: ცხოვრ(ე)ბ(ა)თა:
ე(რისთავთ) – ე(რისთავი): დ(ემ)ნ(ა)
სუ(ლა): და ბ(ე)შქ(ე)ნ: (მაშენებელნი):
(ამა): ბჭისა: ვ(ა)რდა(ნ): ჰერ(ე)თისა
ე(რისთავთ) – ე(რისთავი): მ(ომს)ხ(მე)ლ(ი)
(კეთილ)თ(ა): და: ლ(ო)ც(ვა): ყ(ა)ვთ: ქ: ტჳბ:[1]

სანიკიძე აქვე იძლევა განმარტებას ვარდანზე: *„...კონკრეტული პირი, კარგად ცნობილი ისტორიული წყაროებიდან – ვარდან ჰერეთის ერისთავი, რომელიც სხვა არავინ შეიძლება იყოს, გარდა ვარდან კოლონკელისძისა. სწორედ ვარდან კოლონკელისძეს გიორგი III-ის დროს „ერისთაობაცა ეპყრა ჰერეთს“, იყო „კაცი დღითა მომწვისებული და ბრძოლათა შინა ძლიერი და გამოცდილი“. ერთ დროს მეფის კარზე დიდი პატივით სარგებლობდა. შემდეგ „შურმან და მტრობამან“ დაისადგურა მათ შორის, მაგრამ ამის გამო ერისთაობა არ დაუკარგავს.“* ამ შემთხვევაში, იკორთის ტაძართან მიმართებაში, ვარდანი ყოფილა „მომსხმელი“, ე. ი. მომრთველი, გამამშვენიერებელი მომპირკეთებელი და მისთანანი. წარწერის ბოლო სტრიქონში კი ნათქვამი ლოცვა ეკუთვნის მასში დასახელებულ ყველა პიროვნებას, ანუ ორ ერისთავთერისთავს და ასევე ოთხ სხვა დასახელებულ პიროვნებას, რომლებიც სანიკიძისეული მოსაზრებით, *„ერთი ფეოდალური სახლის, უთუოდ, კოლონკელისძეთა ოჯახის წევრები არიან და აშენებენ საკუთარ საგვარეულო სალოცავს, რადგანაც ამგვარი მიზნით სხვადასხვა წარმომავლობის ადამიანთა თავშეყრა ფეოდალურ საზოგადოებაში სრულიად შეუძლებელი იქნებოდა“.*[2]

ტაძრის ასევე დასავლეთის ფასადის გვიან მიშენებული კარიბჭის თავზე, ჩრდილოეთ ნაწილში ყოფილა ოთხსტრიქონიანი ვრცელი წარწერა, რომელთაგან შემორჩენილია ქვედა ორის ფრაგმენტები *„ესაა*

[1] სანიკიძის თ., ნაშრომი „იკორთის ტაძრის სამშენებლო წარწერები“ 1988 წელს წაკითხული იქნა საქ. ხელოვნების მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე. ასევე გამოქვეყნდა ჟურნალ „საქართველოს სიძველენში“, 2003, №5.

[2] იქვე.

*ქვაში ღრმად ჩაკვეთილი, ძარღვიანი, სწორი ვერტიკალებისა და მოქნილი, აქა-იქ ლამაზად შეწიაღებული, „ელეგანტური“* (მ. ბროსე) *ასოები, რომლებიც მოწითალო საღებავით ყოფილა გაძლიერებული“.*

ამიტომ ჩვენ ისღა დაგვრჩენია რომ დავენდოთ მარი ბროსეს ამოწერილ წარწერას და პლატონ იოსელიანის გაკეთებულ ჩანაწერებს.

ბროსემ სამშენებლო წარწერა ასე წაიკითხა:

*„ქ. მაიდგი ქმნული ელთა შენთა, მეუფეო რომელმან*
*ბესელიელსა ასწავე სიბრძნით ქმნასა ვერცხლისა და კვალად*
*გაწმენდილსა. არქიპოსს თ თ ბრ (ძანე) გება ტაძრისა. მეცა*
*უღირსი პერებელი შეიწყალე“.*

პ. იოსელიანი კი შემდეგნაირად კითხულობს:

*„... სადგური ქმნილი ხელთა ჩუენთა, რომელმან სოლომონს*
*... ასწავე სიბრძნითა ქმნა...*
*... შენდა მოსავსა კეთილ-განწმენდილსა არქიპოზ გება*
*... ტაძრისა, მეცა უღირსი ბასილი შემიწყალე“.*

ზემოთ მოტანილი მსჯელობის საფუძველზე სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს წარწერის სანიკიძისეული წაკითხვა:

*„ქ. სადგ(ური) ქმნ(ი)ლი ჴ(ე)ლ(ი)თა შენ(ი)თა მ(ეუფე)ო,*
*რ(ომელმა)ნ ბესელიე(ლ)სა (ა)სწ(ა)ვე ს(ი)ბრძნით ქმნ(აჲ)*
*ვ(ერცხლი)სა და კ(ეთილ) გ(ა)ნწმ(ე)დილსა არქიპოს თვით (უ)ბრ(ძანე)*
*გ(ე)ბაჲ ტ(ა)ძრ(ი)სა. მეცა (უ)ღირსი პრ ბ(ასი)ლ(ი) შ(ემიწყალ)ე“.*

ხელოვნებათმცოდნე თამაზ სანიკიძისეული განმარტებით, „წარწერის დამასრულებელ, მოკლე ფრაზაში ნახსენები ბასილი უთუოდ *„უნდა იყოს არა მარტო ხუროთმოძღვარი, რაც არ იკმარებდა მისი ამგვარად წარმოჩინებისთვის, არამედ ქტიტორიც და უთუოდ მთავარი ქტიტორი ... ისიც კოლონკელისძეთა ოჯახის წევრია თანაც სასულიერო პირი. ის უღირსია, მაგრამ იგულისხმება, რომ ზეციური ინსპირაციით მოქმედებს. მის ხელსა და გონს უფალი წარმართავს, მასაც უფალმა ასწავა ხელობა, ვითარცა ბესელიელს, უფალმა უბრძანა გება ტაძრისა, ვითარცა არქიპოს... ჩვენი ეს ვარაუდები* (ამბობს სანიკიძე) *მეტ დამაჯერებლობას შეიძენს, თუ გავითვალისწინებთ, რომ შუა საუკუნეების საქართველოში მშენებლობის მცოდნე სასულიერო პირთა შორის, უბრალო ხუცის გვერდით, საკმაოდ მაღალი რანგის, ზოგჯერ მაღალი სოციალური წრიდან*

*გამოსული პირებიც იყვნენ. ასეთად ჩანს იკორთის ამ წარწერის ავტორ-იც – შემონაზვნებული დიდგვაროვანი ხუროთმოძღვარი და ქტიტორი".*[1]

ზემოთ განხილულ თ. სანიკიძისეულ ვარაუდებზე დაყრდნობით შეიძლება ძალზე ფრთხილი და მოკრძალებული დასკვნის გამოტანა, რომ იკორთის ტაძრის ხუროთმოძღვარი და მთავარი არქიტექტორი გახლავთ ფეოდალთა წრიდან გამოსული საკმაოდ განათლებული და თავმდაბალი სასულიერო პირი ბასილ კოლონკელიძე.

ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, კედლის მორთულობის ძირითადი ელემენტის – დეკორატიული ჯვრის ჰორიზონტალური მკლავების ქვეშ შესრულებულია ქტიტორთა სახელების შემცველი კარგად შემონახული წარწერა. დეკორატიული ჯვრის მარცხენა მკლავის ქვეშ ტექსტის შედარებით მცირე ნაწილი ორი სტრიქონისაგან შედგება, ასოები დიდია და გაშლილი, მაშინ როდესაც მარჯვენა ნაწილი ჩრდილოეთით ერთსტრიქონიანია. ჩანს, ოსტატს წარწერების წინასწარი ესკიზი არ ჰქონია, არ გაუთვალისწინებია ქვების ზომები. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ წარწერა ტაძრის მშენებლობის დამთავრების შემდეგ პირდაპირ კედელზეა ამოკვეთილი. წარწერა შემდეგნაირად იკითხება:

*„ძელო ცხ(ო)ვ(ე)ლო!*
*შე(იწყალე)ნ ს(უ)ლითა ე(რისთავთ)–ე(რისთავი)*
*ვ(ა)რდ(ა)ნ, არს(ე)ნი, ჭ(იაბერი)*
*ბ(ა)ს(ი)ლი და თ(უა)ლ(ი)სგ(უ)გ(ა)".*

თ. სანიკიძე ტექსტში დასახელებულ ჭიაბერის ადგილზე ჭყონდიდელს მიიჩნევს, თვალისგუგას ნაცვლად კი თუალოის და გიორგის, რაც ჩვენთვის ნაკლებ სარწმუნოა. ასევე ჩვენში ეჭვს იწვევს დასავლეთის ფასადზე გაკეთებული წარწერის ბოლო სტრიქონში გაუშიფრავი, უფუნქციოდ დარჩენილი „პრ", რაც პასუხგაუცემელ კითხვებს ბადებს. თავის მხრივ ჭიაბერის, თუ ასო „ჭ"-ს გახსნას მივიღებთ ჭიაბერად, მართლაც XII საუკუნის მოღვაწეა, გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) აღზრდილი, მისი მეფობის დროს მეჯინიბეთუხუცესი ყოფილა. თამარმა კი მას მანდატურთუხუცესის სახელო უბოძა.

ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე, სარკმლის ქვეშ კიდევ ერთი წარწერაა, რომელიც პ. ზაქარაიას თქმით, ადრე არ ყოფილა გამოცემული: *„ქრისტე შეიწყალე ეგნატი სულით, ამინ".*

---

[1] სანიკიძის თ., დასახ. ნაშრ., გვ. 174.

ეს წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით განსხვავდება იკორთის დანარჩენი წარწერებისგან, თანაც იგი შემთხვევით ადგილზეა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს წარწერა გვიანაა შესრულებული. აქ ნახსენები პირიც უცნობია ისტორიაში.[1]

ამ თავმოსაწონი ტაძრის კიდევ ერთი, ყველაზე გვიანი, სამშენებლო წარწერა შესრულებულია დასავლეთის ფასადზე, პორტალის დიდ ქვაზე, რომელიც ნაწილობრივ დაუფარავს მე-19 საუკუნის ბოლოს აგებულ კარიბჭეს და საკმაოდ დაზიანებულა. წარწერის მიხედვით, იესე ქსნის ერისთავს საკმაოდ დიდი სამშენებლო სამუშაოები ჩაუტარებია. როგორც ირკვევა, მისი ხელი ტაძარსაც შეხებია და სამონასტრო ნაგებობებითაც გაუმდიდრებია ანსამბლი. ამ ნაგებობებიდან დღემდე არცერთს არ მოუღწევია. სამრეკლო 1739 წელს დაუქცევია საერისთავოში შეჭრილ მტრის ჯარს, XVIII საუკუნის ბოლოს ტაძრის გალავანიც დაქცეული ყოფილა. ტაძრის აღნიშნული წარწერა თარიღდება 1673 წლით, რომელიც თ. ჟორდანიას თავის ქრონიკებშიც შეუტანია: *„ქ. ჩვენ დედოფალთა დედოფალმან როდამ, დიდისა მეფეთ-მეფისა შაჰნავაზის ცოლ-ყოფილმან და ერისთავთ ერისთავმან იესემ ვიგულისმოდგინეთ ღვთაებისაგან ეს მთავა-ანგელოზის ტაძარი ხელახლად ხელვყავით, ვითაც დიმ.... ოთხი სამხრო გავაკეთეთ, შიგნით სახლები დავდგით, როგორიც ამ დიდებულს მონასტერს ეკადრებოდა, სამრეკლო საძირკვლით გავასრულეთ.... თა აღვაშენეთ სულისა ჩ-ნისა საოხად, ძეთა ჩვენთა სასულიეროდ და ხორციელად სადღეგრძელოდ. შეიწირეთ წ-ნო მთავარანგელოზნო მეორე ესე მსახურება, რათა მეოხ გვეყვენით... ამასვე ქკსა :ტდა, შანაოზის მეფობასა ინდიკტიონსა :იე:“*[2]

[1] ზაქარაია პ., ქართული ხუროთმოძღვრება XI-XVIII საუკუნეებში, თბ., 1990, გვ. 41.

[2] ჟორდანია თ., ქრონიკები, ტ. I, გვ. 488.

## ძეგლის აღწერა

*„იკორთა“ ერთი იმ ძველ ტაძრებ-მონასტერთაგანის ნაშთია, სადაც არ თუ მარტო ერისთავთა გვარეულობის ისტორია, თვით მთელი საქართველოსიც – კი დაკრძალულია. აქ არის გმირთა სავანე და მათში ურევია წმინდა ნაწილები, მაგრამ ჩვენ დღეს აღარც-კი ვიცით რა არის „იკორთა“ და ან სად რა საუნჯე – სამკაულია ჩვენი?! მაგიერ შესწავლილი გვაქვს ტროტუარის პირზე, მაღაზიები, ვიცით რა აწყვია ჩარახჩიანის მაღაზიაში და რა მოუტანია ბერლემონს!*[1]

**აკაკი წერეთელი**

იკორთის ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი ტიპისაა და ხასიათდება დახვეწილი პროპორციებით. გეგმა კვადრატს უახლოვდება, კვადრატის გადასვლა გუმბათზე კი სფერული აფრებით არის განხორციელებული. ტაძრის გუმბათი საუკეთესო ნაწარმოებად შეიძლება ჩაითვალოს. იგი ძალიან მოხდენილად აგვირგვინებს ტაძრის მასებს და ეყრდნობა თორმეტწახნაგა ყელს. თორმეტივე სარკმლის საპირე მდიდარი დეკორით არის გაფორმებული. ქართულ ხუროთმოძღვრებაში ეს ტაძარი სწორედ თავისი დეკორით გამოირჩევა და მნახველში განსაკუთრებულ ემოციებს იწვევს. ტაძრის ორნამენტული გაფორმება ნათლად მეტყველებს ოსტატის დახვეწილ გემოვნებაზე. იკორთის გუმბათის ყელის მორთულობის ანალოგებზე თუ გავამახვილებთ ყურადღებას ადრეული პერიოდის ტაძრების უმრავლესობას თავდაპირველი გუმბათი არ შერჩენია. არც იკორთის მშვენიერებას აპატია დრომ და 1991 წლის 29 აპრილს მიწისძვრამ მოუნგრია რვაასწლოვანი გუმბათი, რაც მალევე აღსდგა, მაგრამ საქმე მაინც ვერ იქნა ბოლომდე მიყვანილი ოსებთან ცნობილი კონფლიქტის გამო.[2]

ტაძრის ოთხივე ფასადის მორთულობის ძირითად ელემენტს თაღოვანი სისტემა წარმოადგენს. სხვა ფასადებთან შედარებით აღმოსავლეთისა უკეთაა შემკული, რომლის ფასადზე ორი მოზრდილი ნიშია ცენტრალურ ღერძზე განლაგებული, დეკორიც თაღოვან სისტემასთანაა დაკავშირებული: ზემოთ ჯვარია, შემდეგ ჩუქურთმიანი დიდი კოპი, ქვემოთ სარკმელი განიერი არშიით, ბოლოს ორი რომბით და ქვემოთ

[1] აკაკი წერეთელი („აკაკის კრებული“, №4, 1897).

[2] ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, 1992, №1.

ცოკოლზე დაყრდნობილი ბაზა. ფასადზე მრავალი სარკმელია, თითო სარკმელი საკურთხეველს ანათებს, განაპირა თაღებში ორ-ორი სარკმელია, მაგრამ მათი მორთულობა ისეა გადაწყვეტილი, რომ ერთიანად იკითხება. ჯვარი, სარკმელი და რომბები ერთმანეთიდან გამომდინარეა.

*„იკორთის ოსტატი ახალი და ორიგინალური ფორმების გამოგონებაში ტოლს სხვებს არ უდებს. მის ხელთქმნილ აღმოსავლეთის ფასადის ანალიზისას კიდევ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება, ესაა ოსტატის მიერ შექმნილი პოლიქრომია. ფასადები თავდაპირველად ქვიშაქვით ყოფილა შემოსილი, სადაც სხვადასხვა ტონის ქვებია გამოყენებული. ამას გარდა ჩუქურთმიანი კოპები ცისფერი ქვისაა, ყველაფერი ეს ოდნავ შესამჩნევ სასიამოვნო მრავალფეროვნებას ქმნის, რაც ესოდენ დამახასიათებელია XI საუკუნის ქართული არქიტექტურისათვის“.*[1]

იკორთის ტაძრის დასავლეთის ძველი კარიბჭის მტერთაგან დანგრევის შემდეგ ახალი კარიბჭე XIX ს-ის ბოლოს აუგიათ, რაც „თავისი ზომებითა და ფორმებით სავსებით შეუფერებელია ამ ფასადისათვის. გვიანი დროის მშენებელმა ჩაახშო ტაძრის დასავლეთის ხედი“. თავდაპირველი კარიბჭე პატარა და მოხდენილი ყოფილა და ამდენად, ფასადის მორთულობას არ ფარავდა. პირიქით, მისი არსებობით იყო ნაკარნახევი ფასადის თაღედის ფორმა.

აღმოსავლეთის ფასადთან შედარებით ეს ფასადი ფორმითაც და მორთულობითაც მარტივია, მისი მორთულობის მთავარ ელემენტს პარალელურად მოთავსებული ორი სარკმელი წარმოადგენს. ორივე სარკმელი ერთი სისტემითაა მდიდრულად მორთული. როგორც ირკვევა, ასეთი კომპოზიციის შემქმნელად, ამ ტიპის ტაძრებში, იკორთის ავტორი გვევლინება.

ტაძრის ჩრდილოეთის ფასადის მორთულობის ელემენტებია დაბალი თაღედის ცენტრებში ძვირფასი თვლებივით ჩასმული წრიული სარკმლები. ჩრდილო ფასადზე ასეთი სარკმელი ოთხივე თაღში იყო, ხოლო სამხრეთისაზე – მარჯვენა მხარეს. ამ ექვსი სარკმლიდან შერჩენილია მხოლოდ ორი – ისიც ჩრდილოეთით. ერთ მათგანს წრიულად შემოუყვება ფართო არშია, ხოლო მეორის ჩუქურთმა კვადრატულ ქვაზეა განლაგებული. როგორც პარმენ ზაქარაია აღნიშნავს, ჩანს ეს მოტივი ძალიან მოსწონს იკორთის ოსტატს, რადგან მას ოთხივე ფასადზე ვხვდებით.

---

1 ზაქარაია პ., დასახ. ნაშრ., გვ. 45.

სამხრეთის ფასადზე გამოსახულია მზის საათი, იგი დახვეწილად არის ამოტვიფრული მოზრდილი ზომის ქვაზე და მიწიდან სამი მეტრის სიმაღლეზეა. საათის დანაყოფებს ახლავთ ასომთავრული ასოები „ა“ და „ზ“, ანუ 1 და 7. არ არის ცნობილი, თუ რისი თქმა უნდოდათ ხუროთმოძღვრებს ამ ციფრებით შთამომავლებისთვის. აღნიშნული ასომთავრულები ამჟამად აღარ იკითხება, წვიმისა და ჟამთასვლისაგან არის დაზიანებული. საათზე გაკეთებულ რიცხვებს თავისი მნიშვნელობა ჰქონდათ, დროის განსაზღვრაც მზის ამოსვლის შემდეგ ამ რიცხვების მიხედვით ხდებოდა.[1] სამხრეთის ფასადი დეკორაციებით ძალზე ღარიბია, რადგან ეს მხარე მზის საათისთვის და კარიბჭისთვის იყო განკუთვნილი. პ. ზაქარაია არ გამორიცხავს ტაძრის სამხრეთის შესასვლელთან დასავლეთის მსგავსად კარიბჭეც ყოფილიყო და პორტალიც. *„ერთიც და მეორეც, თუ ორივე ერთად, სულ სხვა იერს მისცემდა ტაძრის ამ მხარეს, დღეს განახლებული შიშველი კედელი და უსახო შესასვლელი ტაძრის ამ მონაკვეთს ულიმღამოს ხდის“, – აღნიშნავს მკვლევარი.*

იმ ეპოქის სტილისთვის, როდესაც იკორთაა აგებული, დამახასიათებელია ფორმათა და ფერთა თამაში, ცხოველხატულობა. ყოველივე ამას ვხვდებით ტაძრის ინტერიერსა და ექსტერიერში, რომლის შიდა ფორმები მწყობრია. აქ კომპოზიცია ისეა გაანგარიშებული, რომ ყველა დეტალი გუმბათისკენ მიისწრაფვის.

საკურთხეველი შესამჩნევად ღრმაა. მის გვერდით სათავსები საკმაოდ გრძელია და აფსიდებით მთავრდება, ნათდება აღმოსავლეთის მხარეს განლაგებული თითო სარკმლით. სამკვეთლო და სადიაკვნო დატვირთულია ნიშებით, რომელთა ზემოთ სამალავებია. სამალავებში სარკმლის ფორმის, ზომისა და ადგილის მოძებნისას ხუროთმოძღვარი ეყრდნობა ფასადების დაკორატიულ გადაწყვეტას. საკურთხევლის გვერდით ნაწილებში იკორთის ავტორს ერთი სიახლე აქვს შეტანილი – სადიაკვნე და სამკვეთლო დარბაზის მხარეს ღიაა და უკარო. არადა სადიაკვნე თავისი ფუნქციით დახურული სათავსოა, რადგან მასში მღვდელმსახურთა ტანსაცმლის გარდა ინახება ტაძრის მთელი ძვირფასეულობა. სამკვეთლოშიც რიტუალი სრულდება და აქაც საჭიროა კარი. იკორთის სახით კი იშვიათ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რაც გარკვეულ ინტერესს იწვევს.

---

[1] ოთინაშვილი ნ., „მზის საათები იკორთასა და თილვაში“, გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1979, 20 ივნისი.

ეკლესიის შიდა სივრცის განათებას, გუმბათის თორმეტი სარკმლის გარდა ემსახურება ჯვრის მკლავებში განლაგებული სარკმლები.

ცნობილი მკვლევრის პ. ზაქარაიას განმარტებით: *„ტაძრის შიდა კედლები მოსახატავად ყოფილა განკუთვნილი, ამიტომ თლილი ქვა მხოლოდ საპასუხისმგებლო ადგილებშია გამოყენებული ხოლო კედლების ძირითადი მასა ფლეთილი ქვითა და აგურითაა ნაგები. კედლები თავის დროზე ფრესკებით ყოფილა დაფარული, მაგრამ დროთა განმავლობაში ძალიან დაზიანებულა, რესტავრირებული ნაწილიც კი ფრაგმენტებადაა მოღწეული“.*[1] იკორთის ტაძრის ფასადების ძირითად მორთულობას თაღოვანი სისტემა წარმოადგენს. მათთან სასიამოვნოდ შერწყმულ მცენარეულ მოტივებს ორნამენტების ორ მესამედზე მეტი უჭირავს. ტაძრის მორთულობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს გეომეტრიული ორნამენტიც, რომლის ათამდე მოტივს ვხვდებით, მათგან რამდენიმე XI საუკუნეში გაჩნდა და შემდეგ ასეული წლების მანძილზე გასდევდა ქართულ ხუროთმოძღვრებას.

ჩვენი ეროვნული სიამაყის, უბრწყინვალესი ძეგლის – იკორთის გაცნობა-შესწავლისათვის დიდი ამაგი აქვს გაწეული ჩვენი ერის დიდ მეჭურჭლეთუხუცესს ექ. თაყაიშვილს, რომელიც მრავალი ათეული წელი იკვლევდა და აანალიზებდა იკორთის ამოუცნობ, ძნელად გასაგებ დაქარაგმებულ წარწერებს. ჯერ კიდევ ემიგრაციაში წასვლამდე, 1917 წლის ზაფხულში, ექ. თაყაიშვილმა და ივ. ჯავახიშვილმა უკვე მერამდენედ დაათვალიერეს იკორთის ანსამბლი. პარიზიდან დაბრუნებულმა, ღრმად მოხუცებულმა მეცნიერმა, კვლავ იკორთის ბედით შეწუხებულმა, შემდეგი ჩანაწერები გააკეთა თავის უბის წიგნაკში: *„საერთოდ კი, ძალიან თავისებური წარწერებია: „ბესელიელი“, ერთი და მეორე ბიბლიური ანალოგიების მოშველიებით საკმაოდ დაწვრილებით აღნიშნავს თავის ღვაწლს ამშენებელი. ამგვარი სამშენებლო წარწერა კი ჩვენში ძალიან იშვიათია, ისე რომ ამ შემთხვევაში მადლობელი უნდა ვიყოთ იკორთის ამშენებლის მრავალსიტყვაობისა და თუნდაც კვეხნისა, თორემ სხვა ჩვენი ძველი მშენებლები ნაკლებად თუ იჩენდნენ ხოლმე თავს და ამიტომ სამუდამოდაა ჩვენთვის დაკარგული მათი ვინაობა. სომხურ ძეგლებზე, პირიქით, ხშირად ძალიან დაწვრილებითაა აღნიშნული მშენებელთა ვინაობაც და დამსახურებაც და ეს რა თქმა უნდა ძალიან ხელსაყრელია მათი კულტურის შემოქმედთა ისტორიისათვის. ჩვენ კი ისიც არ ვიცით*

[1] ზაქარაია პ., დასახ. ნაშრ., გვ. 43.

*და ალბათ ვერც ვერასოდეს გავიგებთ, თუ ვინ აგვიშენა და დაგვიტოვა ჯვრის ტაძარი, ბაგრატის ტაძარი, სამთავრო და ბევრიც სხვა.*

*იკორთის ტაძრის აშენება ნამდვილად ღირდა თავმოწონებად! ისეთი მშვენიერი ნეგებობა, თამარის დროისა, ჩვენ მეტი არა გვაქვს. რა შესანიშნავი დეკორი აქვს?.... მისი ტოლებია ბეთანიაც, კაბენიც, მაგრამ მასთან ვერც ერთი ვერ მოვა. დეკორით თითქოს XI საუკუნის ძეგლებს ჩამოგავს, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდნენ ასე მრავალფეროვანი დეკორი. სამთავისიც კი ვერ შეედრება ამ მხრივ იკორთას.* **იკორთა უნიკუმია და ასეთი ძეგლები განსაკუთრებით კარგად უნდა შევინახოთ".**[1]

## ქსნის ერისთავების საგვარეულო საძვალე

*„გმირთა სამარეს როგორც ხატს,*
*სამთხვევლად დაველირები."*

**ვაჟა**

ისტორიიდან არ არის ცნობილი, თუ როდიდან გახდა იკორთის ტაძარი ქსნის ერისთავების ჯერ კუთვნილება და მერე საგვარეულო საძვალე. ჩვენი ვარაუდით, იკორთა ქსნის ხეობაზე არსებულ ცხრაზმისხევის საერისთავოს შემადგენელი ნაწილი ხდება, როდესაც აღნიშნული ხევის ერისთავებად ჩნდებიან ვირშელები. ეს დაახლოებით XIII საუკუნის მეორე მეოთხედია. ქვენიფნევში დასახლების გამო ქვენიფნეველებად წოდებული ცხრაზმისხევის ერისთავები ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო, იწოდებიან ხან ვირშელებად და ხანაც ლარგველებად, რომლებიც მათივე შედგენილ საგვარეულო მატიანეს მიხედვით, გეოგრაფიული ერთეულის „ბობალეთაის" ერთ დროს ფლობის გამო ბიბილურებად სახელდებულ ოს მეფეთა შთამომავალებია.

XIV საუკუნით დათარიღებულ ცხრაზმისხევის ერისთავების მატიანეს ცნობით: *„მოშლილ იყო დიდი იგი საყდარი იკორთას, მთავარანგელოზისა მიქელისი, და იწყეს შენებად..."* სავარაუდოდ, მიწისძვრით დაზიანებულ იკორთისა და ყანჩაეთის ტაძრებს აღადგენს ცხრაზმისხევის საერისთავოს პირველი პირი – იოანე, გამომდინარე იქიდან, რომ

[1] თაყაიშვილი ე., მოგონებები, ჟურნ. „მნათობი", 1959, №1-3.

ერისთავები ეკლესია-მონასტრებს და იქ მოწყობილ პანთეონებს თავიანთი ძლევამოსილების, სიმდიდრისა და სახელოს-ერისთავთერისთავის შესაფერის გამომხატველ ძეგლად აღიქვამდნენ. აქვე ვიტყვით, რომ ქართლის ერისთავობის გაუქმების შემდეგ „ერისთავთერისთავის" ტიტულს მხოლოდ ქსნის ერისთავი ატარებდა და სხვა არავინ.

*„წარმართულ ხანაში, საქართველოში პანთეონები არ არსებობდა. დიდგვაროვანთა ნეშთებს მათ სამფლობელოებსა და სამართავ ქალაქებში სპეციალურად აკლდამებს უშენებდნენ და თან უამრავ ძვირფას ნივთს ატანდნენ. მოგვიანებით ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ეს ტრადიცია შეიცვალა. აკლდამების ადგილი სხვადასხვა გამოსახულებიანმა ქვებმა დაიკავა. უამრავი მემორიალური ძეგლია შემორჩენილი მცენარეების, გეომეტრიული, ზოომორფული, საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და სხვა საგნების გამოსახულებით, რომლებსაც გარკვეული სიმბოლური დატვირთვა აქვთ".*[1]

თითოეული სიმბოლო გარკვეულ ისტორიულ პერიოდს უკავშირდება და მათი მნიშვნელობაც ისტორიული კონტექსტით აიხსნება. ამ მხრივ იკორთის როგორც ტაძრის შიგნით, ისე მის გარეთ გალავანში მოქცეულ საფლავის ქვების გაფორმების ძირითადი სიმბოლიკაა ქსნის ერისთავების საგვარეულო გერბი და ქრისტიანობის სიმბოლო – ჯვარი. მათ გარდა საფლავის ქვებზე ჩუქურთმების სახითაა წარმოდგენილი დროშა, ფარი, ხმალი, კვერთხი, ანგელოზები, წყვილი ლომი, ვაზი ფოთლებითა და მტევნებით, მტრედები, ყვავილები და ქართული სამეფო გვირგვინი კარავთან და სამოსელთან ერთად. რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ არ არსებობს იკორთის ტაძარში დასვენებული ბახტრიონის გმირების შალვა და ელიზბარ ერისთავებისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის საფლავის ქვები ან ერთი მთლიანი ქვა. რა შეუდარებელი რელიკვია იქნებოდა დღეს ისინი ჩვენთვის. სამწუხაროდ, არავის შეუძლია დაბეჯითებით მიუთითოს იმ ადგილზე, სადაც განისვენებენ სამშობლოსათვის წამებული გმირების წმინდა ნაწილები.

ქართველი მეცნიერი სოლომონ ხუციშვილი გულისტკივილით აღნიშნავს თავის ერთ ნაშრომში, რომ *„ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები იკორთის ტაძარში არიან დამარხულნი, მაგრამ მათი ადგილსამყოფელი არსადაა აღნიშნული. ნაწილობრივ საპირისპირო არგუმენტად გვეჩვენება მინიშნებით ცნობილი ადგილი წმინდანთა*

---

[1] არაბული ა. და თათარაიძე ე., „შენდობით მომიხსენიეთ".

*ნაწილებისა კერძოდ საკურთხევლის მარჯვნივ ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მაგრამ კონკრეტულად სად, უცნობია".*

საქართველოს ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია მოგონებები ელისაბედ დავითის ასულ ერისთავისა, სადაც ლაპარაკია იკორთის ტაძარზე და იქ არსებულ საფლავზე. ელისაბედს იკორთა დაუთვალიერებია სამჯერ: 1893 წ. 1919 წ. და 1940 წელს. *„ყოველ მისვლაზე დიდი ცვლილებები მხვდებოდა. ინგრეოდა და პარტახდებოდა მონასტერი, სოფლის საბძლები სულ მიუახლოვდნენ ტაძარს. პაპა გიორგის* (ლაპარაკია გლუხარიჩზე. ვ. ქ.) *საფლავი სულ გაპარტახებული დამხვდა. სულ ჩეჩქი და ნაგავი ეყარა... საფლავი წმინდანების შალვა, ელიზბარ ერისთავებისა და ბიძინა ჩოლოყაშვილისა ღირსეულად არ იყო მოვლილი, მხოლოდ მოვლებული ქვით, მიწაზე არაფერი არ ედო და არც წარწერა სჩანდა მხოლოდ შენახული იყო ტაძარში იმ წმინდანების ხატი: თავები სამთავეს გვერდზე ჰქონდათ ნახატი, ალბათ იმის ნიშნად, რომ სარწმუნოების გულისთვის თავები მოჰკვეთეს სპარსეთში"...*[1]

სათქმელი და დასაწერი ძალიან ბევრია სამშობლოს გადასარჩენად „სამთა გმირთა" თავგანწირვაზე, რის მოკრძალებულად თქმასაც ჩვენ მცირე ინტერვალით შევეცდებით. ახლა კვლავ იკორთის ნეკროპოლისი – საძვალე გოროზი ფეოდალებისა ერისთავთერისთავებისა და მათი შთამომავლებისა.

რუსეთთან 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ შეუძლებელი შეიქმნა იკორთის ტაძრის მონახულება, რამაც შეაფერხა ჩვენი საველე სამუშაოები, კერძოდ, ვერ მოხერხდა ნეკროპოლის სრულფასოვანი შესწავლა-ანალიზი. აღნიშნული ხარვეზის შესავსებად ჩვენგან გამოყენებული იქნა „იკორთის ტაძარში არსებული" საფლავის ქვის ეპიტაფიები მოპოვებული იოსებ მეგრელიძის ნაშრომიდან „წარწერები და სხვა სიძველეები იკორთაში".[2] უცვლელად გთავაზობთ ამ ეპიტაფიებს:

იკორთის ეკლესიის ეზოში მარმარილოს ეკვტერის (საფლავის ძეგლის) ნაწილი ძევს. სურათი აღარაა შიგ, მაგრამ სათანადო ამოჭრილი აქვს.

ქვის პირველ მხარეს ახატია სამეფო გაშლილი სამოსელი გვირგვინით და აქვს წარწერა:

„აჰა ესა ღმერთი შემწე ჩემდა და
უფალი შემწყნარებელ(ი) სულისა ჩემისა(.)

---

[1] საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, ფ. 19799/300. ფურც. 12.

[2] საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, 1963.

აქა განისუჱნ(ებს გ) ვამი
კნიაჟნა (სო)ფიასი.
თავადის ბიძინა ერისთავის ასულისა (.)
დაბადებულისა ჩყლე-ს წელსა აპრილის დ-სა (.)
(გარ)დაცუალებულისა ჩყპვ-ს წელსა
ნოემბრის ვ-სა დღესა“.

ასოებით აღნიშნული რიცხვები ციფრით იხ. ქვემოთ რუსულ ტექსტ-ში.

„Княжна София Бидзиновна Эристова
родилась 4-го апреля 1835 г. (.)
скончалась 16-го апреля 1886 г“.

აგრეთვე, მარმარილოს მაღალი ძეგლის შუაში ჩრდილოეთ მხარეზე იკითხება:

„იდუმალ ქველის მომქმედი (.)
მამაცი (.) ზრდილი ქართველი (.)
ჭირ-გადახდილი ამ ქვეყნად (.)
ყველასთვის კარგის მძრახველი
ბიძინა ერისთავის შვილი (.)
მიხაილ სახელდებული (.)
აწ მოიხსენიე (,) უფალი (.)
შენდამი მოწოდებული (.)
დაიბადა 12 თებერვალს 1828 წელსა (.)
მიიცვალა 7 მაის 1894 წელსა.:

ამავე ქვის სამხრეთ მხარეზე:

„Генераль Леитенантъ
Князь Михаил Бидзинович Эристовъ
родился 12 февраля 1828 года,
скончался 7 мая 1894 года“.

ისევ ტაძრის ეზოში უბრალო ქვაზე წერია:

„ესე საფლავი გოცაძე გოგი (-)
სია (.) ვინცა წაიკითხო (-)
თ (.) შენდობა მიბრძანეთ (ქკს ჩყ) ჟ“.
(1890 წ.)

იკორთის ეკლესიის აღმოსავლეთით, კედელთან თუჯის დაფა ძევს, 1,42 მ-ია, განი – 70 სმ. იწყება გვირგვინის გამოსახულებით და შემდეგ ამ თუჯის დაფაზე მხედრული ამობურცული ასოებით წერია:

„სოფლისა გამხრწნელი
სიკვდილი (.) მოპოვებული
პირველისა მამისა ჩვე(-)
ნისა ადამის მიერ შური(-)
თა ეშმაკისათა (.) მეწია
მეცა და დამდვა ქვეშე
ამა ეპიტაფიისა, რტო ჩი-
ნებულთა, გვამი კნეინა
ერისთავისა თამარ პა(-)
ატა აბაშიძის ასული(.) შო(-)
ბიდგან ოცის წლისა (.) ალმ(-)
ომკითხველთაგან ვითხ(-)
ოვ შენდობასა (.)
ჩყპგ-სა წე-
ლსა ივნისის ბ დღესა“.

სამხრეთის კარის ქვემოთ, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში თუჯის დაფაზე მხედრული ასოებით:

„აქა განისვენებს გვა[მი]...
დავითის ძის ქსნის ერისთავისა (.) გარდაცვალე
ბულისა თ-სა სექდემბერს ჩყǫდ-სა წელსა (.)
ხოლო შობიდგან ნა-ის წლისა.
ძემან მისმან ვ. დავით მწუხარებით უქმნა
სახსოვარი ესე“.

„Здесь покоится тело
князя Георгия Давидова
сына Эристова, скончавшегося 9 сентября 1864 года
на 51 году отъ рожденья.
Скорбящий сынъ его князь
Давидъ посвящаетъ сей памятник“.

გიორგი ერისთავის საფლავის გვერდით შავ ქვაში ჩასმულ თეთრ მარმარილოზე წერია:

(1) „ქ. მოსახსენებელსა ლოდსა ამასა ქვეშე მდებარე არს გვამი გარდაცვა

(2) ლებულის პოდპორუჩიკის და კავალერიის თავადის იესე შანშეს

(3) ძის ქსნის ერისთავისა (.) რომელი საზოგადოჲს ვალისა მიმცემი

(4) მიეფარა მღელვარესა სოფელსა ამას შობიდგან თვისით ლთ-სა წელსა (39 წ.)

(5) და დაუტევა მოწყლული მტკივნეულებითა საყვარელი მეუღლე

(6) თვისი ნინა მელიქოვის ასული და ჩჩვილი ძე თვისი ვლადიმირ.

(7) აღმომკითხველთა ამისათა გთხოვთ შენდობასა ჰყოფდეთ სულისა

(8) ამა ლოდსა ქვეშე მდებარესათვის (.) ოკდომბრის კდ-სა დღესა ჩყმე-სა წელსა“.

(1845 წ. 24 ოქტ.)

სამხრეთ კარის წინ შიგნიდან შავ ქვაში ჩასმულ მარმარილოს ქვაზე (სიგრძე – 1,28 მ, განი – 060 მ) ლამაზი მხედრული ასოებით წერია:

„ამა სახსოვარსა ქვეშე
განისვენებს (პო)ლკოვნიკის
თავადის გრიგოლ ერისთავის
მეუღლე: კნეინა მა(რ)იამი,
გენერალ ოტინფანტერიის
გიორგი ერისთავის ასული (.)
შობილი 1-სა ივლისსა 1818 წელსა
და გარდაცვალებული 6-სა იანვარსა
1882 წელსა“.

მარიამ ერისთავის საფლავის გვერდით, შავ ქვაში ჩასმული პატარა მარმარილოს დაფაზე ჯერ ყვავილებია გამოსახული და აქეთ-იქიდან მათზე ნისკარტმიდებული პირისპირ მდგარი ორი მტრედია გამოსახული, შემდეგ წერია:

„სახელ სოლომონ ლუბერსკის სეკრეტარი
ივანე დავითის ძე (.) გვარად ქსნის ერ(ის) თავი (.)
დედით თინათინ მაჩაბელთ ქალებით,
აპრილის შვიდსა სიკუდილსა შევწირეთ თავი (.)
ვითხოვ შენდობას, ვით ერთი მონართავი

(ფოთლოვანი ჩუქურთმა და შემდეგ – )
დავეფალ აქა მონასტერ იკორთასა.
მშობელ მოყვასთა ვესუმრე (.) ძმათა და დასა (.)
მშვიდობით მოველ ანგელოზთ ძალთა დასსა (.)
ნუ სტირთ (.) მოყვასნი (.) ცრემლს ნუ შევურთავთ ზღუასა (.)
ჩემს მეუღლესა გაბარებ (.) ძმაო (.) და დასა (.)
ჩყკბ-სა".

(1822)

მონასტრის დასავლეთ ნაწილის სვეტთან დიდ მთლიან მარმარილოს ქვაზე გვირგვინიანი სამოსელი ხატია და მის ქვეშ წერია:

„აქა მდებარებს გუამი ღენერალ-ოტინფა(-)
ნტერის ქსნის ერისთავის გიორ(-)
ისა, როსსიის ორდენთა მქონე(-)
ბელის, ანდრია პირბელწოდებული(-)
სა 4 ნოემბერსა 1863 წ. 103 წლისა; რო(-)
მელსა უქმნეს სახსოვარი ძეგლი
ესე ასულთა მისთა კნეინა ქეთ(-)
ევან ორბელიასაგან და კნეინა მა(-)
რიამ ერისთავისამან მხილველთაგან
წარსათქმელად: წმიდათა თანა გა(-)
ნუსვენე(.) უფალო(.) სულსა მონისა ამის შენისასა".

ეს გიორგი ერისთავი ქსნის ერისთავთა შთამომავალი და თავისი დროის სახელოვანი და პოპულარული პიროვნება იყო. წარწერაში აღნიშნულია, რომ ის 1863 წელს 103 წლის გარდაიცვალა. ერთგან წერია, რომ მან 106 წელი (1859-1864) იცხოვრა. უფრო სანდო პირველი რიცხვია.

გ. ერისთავის გვერდით ქართული სამეფო გვირგვინის ნიშნის გამოსახულების შემდეგ იკითხება:

«Здесь покоится прахъ ея светлости
царевны Гайяны дщери царя Всея Грузии
Георгія 13-го стъсея временныя жизни къ не(-)
утешному прискорбию трех малолетътныхъ
своих детей и супруга преселившейся въ в(-)
чность 22-го іюля 1820-го года на 35-мъ году от рожденія.
Благочестивой сей царевни памятник сей соорудилъ супругъея
командиръ Кавказской резервной гр(-)

енадрской бригады генералъ майоръ и разныхъ
орденовъ кавалеръ Егор Евсеевичъ К(-)
санский Еристовъб оплакивая чувствительнй(-)
шую и горестнйшую потерiю незабвенной супруги
своей(.)»

(1) უ(ფალო(,) საზღუარსა დაუსაბამოსა არსთა მიზეზისა მიერ
განდევნილი ზეცაით სატანა ბნელსა უფ(-)
(2) სკრულსა, რომელი იქმნა ადამ მამისა ჩუენისა მ~რ მთიებდა
და დამთავრდა ამის სოფლისა, მან შური მიძია მაცდურებ(-)
(3) ითა თჳსითა და მიმცა საშინელსა სიკვდილსა,
რო~ლი ვიყავ ასული ს~დ საქართუჱლოს
მეფის გიორგი მეათცამეტისა გაია(-)
(4) ნია, რნ~ცა დაუტევენ ფ~დსა მწუხარებასა შ~ა
ჩჩჳლნი: ძე და ასულნი და მეუღლე
ჩემი ღენერალმაიორი და კა(-)
(5) ვალერი კნიაზი გიორგი ერისთავი(.) გვედრი,
აღმომკითხუჱლთა, რათა ევედრნეთ
ყ~ისა შემძლებელსა
(6) ღ~თსა, რათა საბავთო ესე მწუხარება, ესე ჩ~ნი
შეჴსცუალოს საუკუნოდ შვებად და სიხარულად.
(7) აღვესრულე შობითგან წლისა 35-სა
ქე~ს აქეთ 1820-სა წელსა თთუჱსა
იულისსა 22 დღესა“.

ამის გვერდით, უბრალო, მაგრამ კიდეებში ირგვლივ ფოთლოვანი ჩუქურთმის ოთხკუთხედში წერია:

„1815 წელსა ნოე(-)
ენბერსა კნეინა
შანშე ერისთავი(-)
სა ელენე წლისა
30 განვეშორე
საყუარელსა ჩემ(-)
სა ხუთთა ძეთა
ჩემთა და ასულსა.
მხილველთ შენდობა
მითხოეთ“.

აღნიშნულის გასწვრივ, ტაძრის დასავლეთ მეორე ნახევარში, დიდ ქვაში ჩასმულ დიდ მარმარილოზე ჯერ მეფის გვირგვინი უჭირავთ ხელთ ორ ანგელოზს და შემდეგ წერია:

„თავადი ალექსანდრე ლევანის ძე ქსნის
ერისთავი გარდაიცვალა ჩყ⍳ა წელსა ივლისის
იბ-სა დღესა(.) შობიდგან ლგ-ის წლისა“.
– : –
„აღმომკითხველნო(.) გთხოვთ შეავედროთ
ღმერთსა და სთქუათ: განისუენე(.) ქ~ე ღმერ-
თო(.) სულსა მონისა ამისა შენისასა, სადაცა
მართალნი განისვენებენ“.
«Князь Александръ Левановичъ
Эристовъ скончался 12-го іюля 1861-го
года, имевший от роду 33 года».

წინა საფლავიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით დიდ შავ ქვაში ჩასმულ პატარა მარმარილოს დაფაზე იკითხება:

„... აჰა(.) აქა ქუჵშე ლოდისა ამის დაიდვა სხეული
სპარსთა ზედა ნადირშასაგან ყულარ აღასად(.) ხოლო
ზემოსა ივერისა მეფობისაგან ირაკლი მეორისა ქსნის ერისთავად
წოდებულისა გიორგის ძისა პოდპოლკოვნიკისა და კავალე(-)
რიის ელიზბარისი, სალმობიერად დამტევებელი
საყვარელის ტან-ფეხ ახალის თჳსის ქვემო⍳სა ივე(-)
რიისა მეფის სოლომონ.... ასულის მარიამ(-)
ისა და სამთა ძეთა და ერთისა ასულისა შობიდგან თვი(-)
სით წლისა ო. ე. ისჟსა დაცა ნიშნად დაუვიწყარებისა
დასდვა ეპიტაფია ესე მეუღლემან მისმან იტ.....
წარუბღალველად ხსენებად მისდა ჩყ. ჵ. იგ. კვ“.

(1826. 13. VIII).

პირდაპირ ამის გვერდით, ქვაში ჩასმულ დიდ მარმარილოზე გამოსახულია მისი სამოსი გვირგვინითურთ; ტანსაცმელზეა გამოსახული ხელში დროშიანი კაცი (მარცხენა ხელი დოინჯზე აქვს შემოდგმული). ქვაზე წერია:

«Здесь покоится тело
полковника гвардіи кня(-)

зя Григорія Ивановича Эристова (.)
имевшего от роду
57 летъ и скончавшего-ся 23 іюла 1876 года».

ამის გასწვრივ კედელში ჩასმულ მარმარილოს ქვაზეც წერია:

«Здесь покоится полковника гвардіи князя
Григорія Ивановича Эристова (.) имевшего от роду
(5)7 летъ и скончавшегося 23 іюла 1876 года.»
„მწუხარებასა შინა მყოფმა გენერალ(-)
ოტინფანტერის გიორგი ერისთავის
(ა)სულმა მარიამმა დავსდევ რა მცირე(-)
დი ძეგლი ესე საყვარელსა მეუღ(-)
ლესა ჩემსა, ღვარდიის პოლკოვნიკსა
გრიგორი ივანეს ძე ერისთავსა. შობიდ(-)
გან 57-ის წლისა მექონსა და აღსრულებ(-)
ულსა 23-სა ივლისსა 1876 წელსა. გთხოვთ(.)
ეპიტაფიისა ამის აღმომკითხველ(-)
თა(.) ჰყოფდეთ წმიდისა ეკკლესიისა
ლოცვასა ამას. განუსვენე(.) მხსნელო(.)
მონასა შენსა თავადს გრიგორის და(-)
უსრულებელსა ამას ნეტარებასა შინა შენსა“.

აღსავლის კარების წინ, მარჯვნივ ძალიან დიდ მარმარილოს დაფაზე ქართული სამეფო გვირგვინია (ორი ლომი უკანა ფეხებზე მდგომარე, მათ გვერდით ცალკე ოთხკუთხედში კაცს მარჯვენა ხელში დროშა და მარცხენაში კვერთხი უჭირავს. დროშის ტარის გვერდით ხმალია დარჭობილი). შემდეგ წერია:

„სოფლის მოვალეობა გარდვიხადე და საფლავად
მივეცი სარდალ სალთხუცის მუხრანის ბატონის იოა
ნეს, და მეუღლესა მისისა მეფის ირაკლის ასულის ქეთა-
ვანის, ასული ბარბარე თავადის თორნიკე ერისთავის მემ-
ცხედრე, დაუტევე მეუღლე და ორნი ასულნი(,) ელენე და
ნინო(,) წელსა 1843-სა ივლისის 24-სა(,) შობითგან 53-ს წლისა.
წარმოვგზავნე ქუა ესე რუსეთით ნიშნად სამარადისოდ
ხსოვისა უძვირფასესისა მშობლისა ჩემისა, საყუარელმან
ასულმან მისმან, ქურივად მყოფმან ელენე პოპოვისამ,

უმდაბლესად მთხოვნელმან წამკითხუჩლთაგან ამი(-)
სთა, რათა იტყოდეთ მისთვის შენდობასა და ცოდ(-)
უათა მიტევებასა, რომელი მოელოდეს აღდგომასა
მკუდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა.
ამინ.
«Кнагиня Варвара Иваговна Эристова (.)
урожденная Багратион(-) Мухранская,
родилась 1790-го года октября 4-го дня,
скончалась 1843-го года іюля 24-го дня.
Память останется до гроба
в сердце вашй дочери Елены Поповой.»

ამის გვერდით შავ ქვაში ჩასმულ მარმარილოს მხატვრულ დაფაზე თავის კუთხეებში 2 ანგელოზი ახატია. შემდეგ თაღისებრ არეში კიდევ ორ დაჩოქილ ანგელოზს მეფის გვირგვინი უჭირავს ხელში; წარწერა იკითხება:

„აქა დაფლული მართა, მეუღლე თავადის ალექსანდრე შანშეს ძის
ერისთავისა და ასული თავადის სოლაოვისა, მყოფი ჯერეთცა
ყუავი(-)
ლოვანსა ოცდაათსა წელსა შ~ა(,)ველოდი რა დატკბობასა
სატრფოსა
მეუღლესა და მცირეწლოვანთა შვილთა თანა(,) მაშინ შეძრწუნებ(-)
ელი იგი ჴმა საღმრთოჲსა მსჯავრისა: ძველთა მშობელთა ჩვენთა
ცდომისა გამო განსაზღურებული მოიწია ჩემზედა და მიმაქ(-)
ცია მიწაჲ მიწადვე 7-ს მარტს 1856-სა წელსა და დაუტე-
ვენ დედაჲ მოუწყვედელ ცრემლ მდინარე, შვილნი ო(-)
ბლადა(,) მეუღლე ღრმად მგლოვიარე, რომელმანცა სახსოვრად
სიყვარულისათვისა დასდვა ლოდი ესე მტვერსა ჩემსა ზედა(.) ან
თქვენ(,)
წამკითხველნო(,) მხედავთ რა თქვენთანა ყოფისაგან
მოკლებულსა
შენდობა ჯყავთ ჩემთვის“.

მის გვერდით, შავს ქვაში ჩასმულ მარმარილოს დიდ დაფაზე ჯვარი ხატია და შემდეგ აწერია:

„მოიხსენე უფალო სასუფეველსა
შენსა ამა ლოდსა ქვეშე მდებარე მო(-)

ნა შენი თავადი გიორგი ალექსანდრეს ძე
ერისთავი, აღსრულებული ქალაქს
პარიჟსა შინა 12 სეკდენბერსა 1878 წელსა,
ხოლო აქა დასაფლავებული 26 ოკდო(-)
ნერსა ამავე წელსა, რომელმანცა 28 წლი-
სა ახალგაზრდამ დაუტევა მწარეთ მგლო(-)
ვარენი და მტირალნი: მამაჲ და მოხ(უ)ცე(-)
ბული დიდი-დედაჲ თვისი“.

ამის გვერდით ისევ ქვაში ჩასმულ კარგ მარმარილოზე, რომელზეც თავში მეფის გვირგვინს ქვეშ მეომარი დგას დროშითა და ხმლით, მარმარილოს ქვის კიდეებს ვაზის ღერო მტევნებითა და ფოთლებით აქვს გამოკვეთილი.

ქვაზე წერია:

„თ~ა რევაზ გიორგის ძე
ქსნის ერისთავ მეუღ(-)
ლე(,) მეფეს ირაკლის
ასულის ანასტასიასი.
გარდაიცვალა 1814-ს
წელსა მარტში 61-ის
წლისა“.

მარმარილოს დიდი დაფა, ამოკვეთილი ვითომც ჩარჩოში მდებარე, იწყება სამეფო გვირგვინისა და ტანსაცმლის გულზე გამოსახულ დროშოსან-ხმლოსან მეომრით.

შემდეგ წერია ერთ დასადგამ მარმარილოს ქვაზე:

„აქა მდებარებს თ~დ
დავით თარხნიშვილის ასული
კნეინა
მართა (.) თავად გიორგი
ერისთავის მეუღლე(.)
დაიბადა 1824 წელსა,
გარდ. 16 აპრილს 1908 წელს“.

ტაძრის ცენტრში ისევ მარმარილოს ქვაზე, მეფის გვირგვინის ქვეშ გაშლილ მოსასხამზე, ამოკვეთილია დროშა, ფარი, ხმალი და სხვა იარაღები.

იკითხება წარწერა:

«здесь покоится прахъ
Александра Павловича Эристова
Флигель-адъютанта и полковника
бывшего предводителя дворянства
Горийского уезда тридцать три года
Род. 1811-го года, Скон. 1883-го года 20-го апреля(.)»

„აქა განისვენებს გვამი
ფლიგელ-ადიუტანტისა პოლკოვნიკისა თავადი
ალექსანდრე შანშეს ძისა ერისთავისა.
რომელიც ოცდაცამეტი წელიწადი განაგებდა გორის
მაზრისა თავად-აზნაურობის წინამძღრობასა.
დაიბადა 1811-სა წელსა
და აღსრულდა 1883-სა წელსა აპრილის 20 დღესა.
შენსას სასუფლის შვებასა“.
მარმარილოს დაფაზე იკითხება:
«Здесь покоится тело полковника князя Захарія Георгі(-)
ева сына Эристова (.) убитого лезгинами в Закаталах 4-го Ав(-)
густа 1851-го на 35-м г. от рождения:
Безутешный отецъ Генералъ
Отинфантеріи князь Георгій
Јесеевичъ со слезами полагает
камень сей надъ могилою един-
ственного своего сына.»
„აჰა (.) ჩემდაცა მოიწია ბრძანებამან შე(-)
მოქმედისამან და დამდვეს მე მიწა
მიწასა შინა თავადის ბიძინა ერისთ(-)
თვის კნეინა თამარ, თავადის იოსებ
მელიქოვის ასული დაუტევე რა
კარგი ქმარი და შვილნი და განვეშორე
მათ საუკუნოდ (.) ხოლო ნიშნად
დაუვიწყარს სიყვარულსა შვი
ლთა ჩემთა დამდეს ლოდი ესე
გულსა ჩემსა: სულმან მისმან
კეთილთა შ~ა განისვენოს და ნათე
სავმან მასმან დაიმკვიდროს ქვეყა(-)

ნა: აღვესრულე 18670ს წელსა
აპრილს 7-ს დღესა“.

გვერდით მარმარილოს ქვას თავში ჯვარი ახატია და განდაგან აწერია:

„ყოველთა კაცთა თანა წარუხდომელმან ვალმან
სიკვდილისამან მეცა მისტუმრა და მიმაქცია მიწადვე.
თავადი ბიძინა რევაზისა და მეფის ირაკლის ასულის
ანასტასის ძე ერისთვიშვილი. შობიდგან ოვ წლისა, რომელსა(-)
ცა 6-თა ძეთა ჩემთა აღმიჭურვენ სახსოვარი ესე(.)
აღვსრულდი სეკდემბრის 17-სა დღესა 1876-სა წელსა“.

ამის გვერდზე მარმარილოზე ვაზის ფოთლებისა და ყურძნის მტევნების გამოსახულებით იწყება ძირქორბუდა დიდი ჯვარი და შემდეგ წერია:

„საფლავსა ამას მდებარე არს
მონა ღვთისა თავადის ქსნის
ერისთავის რევაზის და ბატონის(-)
შვილის ანასტასიას ძე შალვა,
რომელიცა გარდაიცვალა 1894
წელსა აგვისტოს 13-სა დღესა.
მხილველთ გვედრით შნ(-)
დობასა“.

ამის გვერდით მხატვრულ მარმარილოს დაფაზე განდაგან წერია:

(1) “ამა საფლავსა შინა მდებარე ვარ კნეინა თავადის იოანე ერისთავისა
თინათინ(.) თავადის გიორგი
(2) ამილახვრის ასული, ხოლო ლოდი ესე დაუვიწყარის
სიყვარულისათვის დამდვა გულსა ჩემსა ასუ(-)
(3) ლმან ჩემმან კნიაჟნა ანნამ(.)
აღმომკითხველთაგან ვითხოვ შენდობასა (.)
ჩყოგ-სა წელსა მაისის იე-სა“.
«Подъ симъ камнемъ покоится княгиня
Иванв Эристова Тинатина (,) скончавшаяся
1873
года мая 15 дня.»

ამავე ხაზზე (ჩრდილოეთი კედლისაკენ) მარმარილოს ქვაზე ჯერ ორ პირს დიდი ჯვარი უჭერია და შემდეგ იკითხება:

(1) „საფლავსა ამას მდებარე არს ტომიბით დიდ გვარის პოლკოვ-
ნიკის და კავალერიის თავადის ელიზ(-)

(2) ბარ ქსნის ერისთავისა და იმერთა მეფის დიდის სოლომონის ასუ-
ლის მარიამის ძეი

(3) იოანე(,) შობიდგან 70 წლისა აღესრულა დეკენბერს 15 1841 წელ-
სა(.) იყო

(4) მანათობელი კერძოისა ამის ქართველთა მემამულეთა შორის პირ(-)

(5) ველესი ბრძენი და განმარტებელ საღმრთოისა წერილისა და
ფილო-სოფურთა

(6) საგანთა, მტკიცეთ მცველსა საღმრთოთა მცნებათა და მოყვა-
რულ მოყვასთა თვისთა უკ(-)

(7) ანასკნელ ჟამამდე, მყუდროდ განმატარებელ დროისა სახლსა შინა თვისსა

(8) ნუგეში და სასუება საყვარელის მეუღლისა(,) სამთა ძეთა და შვიდთა ასულთ(,)

(9) რომელთაცა ქრისტიანებრივის სწავლით აღზრდიდა(,) დაუ-
ტევა ესენი დაულევნელსა

(10) ვნებასა შ~ა(.) ჰეპიტაფია ესე შეადგინა მეგობარმან მისმან
თავადმან

(11) სვიმონ მაჩაბელმა“. (ივანე მაჩაბლის პაპამ. ვ. ქ.)

შემდეგ ეგევე წერია რუსულად.

საკურთხევლის გვერდით ჩარჩოში ჩასმულისებრ მარმარილოს დიდ დაფაზე („ჩარჩო“ ვაზის ლერწით შემოვლებული ყურძნითა და ფოთლე-
ბით) იწყება ჯვრით. შემდეგ – წარწერა:

(1) „მოიხსენე(,) უფალო(,) ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა, აქა მდე-
ბარე

(2) თავადის იოანე ერისთავის ასული მარიამ, რომელი სიყრმის(-)

(3) გან ჭეშმარიტისა სიბრძნის მოყვარებითა თჳსითა შეგეტკბო შენ

(4) ნაგევად შემრაცხუმლი საწუთოისა ამის ცხოვრებისა და
შენთა მო(-)

(5) ისწრაფა მტკიცითა (sic) სასოებითა მინიჭებასა
ზედა მისდა შენ ტკბი(-)

(6) ლსა იესოსგან უოხჭნოჲსა ცხოვრებისა(,) თუმცა მოკლებამან

მისმან

(7) მოსწყლა მწუხარებითა მშობელი ამისი(,) გარდაიცვალა შობით(-)
(8) გან კე-ს წლისა ჩყნთ-სა წელსა სეკტემბრის
იბ-სა დღესა“.

ეგევე, რუსულად – 1859 წ. 12 სექტემბერისავე თარიღით.

იქვე ჩადგმულ მარმარილოს ქვაზეა:

„საფლავსა ამას მდებარე ვარ
ერისთავის ასული,
სახელწოდებით დარია(.) საღმრთო
ს(ა) წილად ასული.
ვერ უძლე მშობლის სიკვდილსა(,)
უმსხვერპლე თავი და სული(.)
ამისთვის ვიქმენ ამ სოფლით თექვსმე(-)
ტის წლისა გასული.
ესე არს უმანკოების გვირგვინი. ნაცვლად
დიდების(,)
მეკმარვის(,) რადგან სხეული ახლოს მშობლისა იდების.
სასურველთ და-ძმათ შეტკბობილთ
ესრეთ ვაებით სცილდების(.)
ვიცი, ჩემთაცა ნათესავთ თვალთ ცრ(-)
ემლი დაედინების“.

ამის უკან მოკლე მარმარილოზეა:

„ვგოდებ ტკბილს ასულს(,) ამიე გასულს(,)
ეპიტაფიებრ ცრემლ მჩქეფრად დასხმულს
ანასტასიას(,) ჩემს გულსა და სულს.
ვითა მშობელსა და მზეებრ დასულს
ვითხ(ოვ)(.) ავედრებდეთ მარადის
მის სულს“.

«Подъ симъ камнемъ покоится дев(-)
еръ князя Ивана Еристова княжня
Анастасія (,) скончавшаяся 1870 г.
апреля 19 дня.»

საკურთხევლის სამხრეთ მხარეში მარმარილოს ქვაა, დასაწყისში ღრმად ამობურცული დასადგმელი ჯვრით, რომელიც 2 ანგელოზს უჭირავს, ჯვრის ფეხზე ქუდივით მოგრძო ფოთლებია, ხოლო ჯვრის თავზე მეფის

გვირგვინია მასზე ჯვრით, ჯვრის ქვევით აკეცილი ფარდებით. ტექსტი ძალიან ძნელად საკითხავია (კიდე დაცემენტებულია).

ირჩევა:

„მნახველმან შენმან...

ასულმან თავადის თამაზ ჯამბაკურ-ორბელიანისა

და მეუღლემან თავადის...... აღვასრულე ვალი ჩემი.......

ოცისა წლისა ჩყვზ-სა წელს".

**(1826)**

შემდეგ იკითხება:

(1)"აჰა(,)ესერა ხმა უფლისა მოიწია ჩემზედაცა(.)

მიწა ხარ და მიწადვე მიიქეც(!)

(2) შვილი ჩემო(,) საყვარელო(,) სიამოვნევ(ა,) რისთვის

დამგმე მე შენა(.)

(3) მწუხარების მძიმე ლოდნი, მტკიცედ(,)

მყარად გულსა ჩემსა მეშენა(.)

(4) ცრემლნი ცხელნი(,) მომდინარე წამწამთაგან(,)

ისრის მსგავსად მეშენა(.)

(5) მსურის ჩავსწვდე ბნელს საფლავსა გვერდით შენსა(,)

მსწრაფლ

მელოდე მე შენა.

(6) თვალთა ნათელო, დათა დიდებავ, მამის გვირგვინო(,)

ესე ყოველი

(7) სრულად მიგველო(,)

(8) მზე მიგვეფარა, ბნელმან დაგვფარა(,)

შვება განქარვდა,

უბე(-)

(9) დობისა კარი განგველო(,)

(10) მე მამა შენი ვფუცავ, მზესთ ძალსა უძლოსა,

დაჭკნება შვების

(11) ყვავილი, ვით წალკოტსა უწყლოსა,

(12) მე მაშინ მივიწიო სიხარულსა უცხოსა(,)

როს ვიხილავ მე

(13) შენსა სასუფლის შვებასა".

## „ტაძრის მეორედ კურთხევა და აღორძინება“

*ღვაწლით შემოსილნო უფლისანო, ნეტარ*
*არს მიწა რომელი განიპოხა სისხლითა თქვენითა*
*და წმინდა სამარხი იგი, რომელთა შეიწყნარეს*
*გვამნი თქვენნი, რამეთუ სტადიონთა*
*მას შინა მტერი მოაძლურეთ, და ქრისტე ღმერთი*
*იქადაგეთ, მას ვითარცა სახიერსა ევედრენით*
*შეწყალებად სულთა ჩვენთა*
*(ტროპარი 18-ს სექტემბერს)*[1]

წიგნზე მუშაობისას იკორთის ტაძრის და იქ არსებული ერისთავების საგვარეულო საძვალის ადგილზე გასაცნობად 2008 წლის ივლისში ორ სხვა პირთან ერთად მოვინახულე ნასოფლარი – ქვემო იკორთა. მონასტრის ანსამბლში აღარც კი შეიმჩნეოდა, თუ სად იდგა სამრეკლო. გალავანი გამქრალი, დანგრეული ციხე კი ღრმა ხევში გადასავარდნათ განწირულიყო. ტაძრის რესტავრაცია ბოლომდე არ იყო მიყვანილი. იქ ჩვენთვის ყველაზე დიდი გულისტკივილი გაძარცულ-შეურაცხყოფილმა საფლავებმა გამოიწვია. სიმდიდრის მაძიებელთ სწორედ იმ ადგილებში ეთხარათ, სადაც მეტი ალბათობით, ჩვენი წმინდანების შალვა, ელიზბარ და ბიძინას საფლავები უნდა იყოს.

*„დიდი ცოდვაა საფლავის შერყვნა და შელახვა. საფლავი როგორც წარსულთა ხსოვნის ნივთიერი ნიშანი, ისეთი რიგის სიწმინდედ მიიჩნევა, მუდმივ მოვლას, რომ მოითხოვს ჭირისუფალთა მხრიდან...*

*მიცვალებულს ღირსების პიროვნული თავისთავადობის, საამქვეყნო ღვაწლისა და დამსახურების ერთგვარ გასაგნებად აღიქმება და მისი დაზიანება, ჩამოგდება ან სხვაგან გადატანა მიუტევებელ დანაშაულად განიხილება...*

*წინაპართა სამარის კარზე იმგვარივე რიდით და მოწიწებით გვმართებს მისვლა, როგორც სამლოცველოში“.*[2] და თუ სამლოცველოცაა და სამარეც, ამ შემთხვევაში, როგორც იკორთა, მაშინ ათმაგი მოწიწებით და კრძალვით გვმართებს არამცთუ მისვლა, არამედ შორიახლოს გავლაც კი.

---

[1] საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882, გვ. 599.

[2] არაბული ა., თათარაიძე ე., „შენდობით მომიხსენიეთ“.

ერთ-ერთი თავდაპირველი სამარხი იკორთის ტაძარში ბახტრიონის გმირებისაა, რომელთა ბედ-იღბალი ძალიან ჰგავს მათივე ქვეყნის ბედს. ბახტრიონის ეპოპეამ შვა სამი წმინდამოწამე, ხოლო თვით ბახტრიონის ეპოპეა – ქართველმა ხალხმა, მისმა ეროვნულმა ხასიათმა და თავისუფლებისაკენ სწაფვის სურვილმა.

XVII საუკუნის I-მა ნახევარმა საქართველოს ისტორიაში ღრმა კვალი დატოვა. ქართველობამ სწორუპოვარი მხედართმთავრის გიორგი სააკაძის ნიჭის წყალობით გმირულად გადაიხადა ტაშისკარი, მარტყოფი, მარაბდა, ქსანი. დიდმა მოურავმა გაანეიტრალა მრისხანე შაჰ-აბაზ I, დღის წესრიგიდან მოხსნა საქართველოს გათათრება და სახანოდ გადაქცევის საფრთხე. საქართველოზე გადმონთხეული ბოროტების გამო ქართულ სისხლთან თანაზიარი შაჰ-აბაზი ღმერთმა დასაჯა: „*და შეედო სენი მუცლისა შააბაზს ესრეთ, რომელ ნაწლევი გამოსდიოდენ განსავალიდგან და იტანჯებოდა შვიდ წელს ამ სენითა, და მერე წავიდა ჯოჯოხეთს შინა და მისცა სული თვისა ეშმაკთა“.*[1] ირანელთა შემოსევებით ყველაზე მეტად დანგრეული და გადაბუგული იქნა კახეთი, რომელმაც როსტომ ხანის მეფობისას ოდნავ ამოისუნთქა და მშვიდობიანად შეხვდა შახნავაზის მეფობას.

ირანში 1642 წელს გამეფდა შაჰ-აბაზ I-ის შვილთაშვილი შაჰ-აბაზ II მცირედ წოდებული, რომელმაც მიზნად დაისახა თავისი დიდი პაპის გეგმების განხორციელება – საქართველოს საბოლოოდ მოსპობა და სრული გათათრება, რისთვისაც მან კახეთის ბარაქიან მიწაზე ყიზილბაშებისა და ელთურქმანების ანუ ულუსების ნახევრად ველური, მომთაბარე 80 000 სული, დაახლოებით 12 ათასი ოჯახი ჩაასახლა. 1657 წლიდან კახეთის მმართველად დაინიშნა განჯის ბეგლარბეგი სელიმ-ხანი „კაცი სასტიკი, უდიერი, მტარვალი“. მის შემდეგ მალევე კახეთის მმართველებად დაინიშნენ ალი-ყული-ხანი და მურთუზ-ყული-ხანი. მათ მოადგილედ კი ზაალ არაგვის ერისთავი, მაგრამ სპარსელები მას არაფერს ჰკითხავდნენ. პოზიციების გასამყარებლად და მომავალი სახანოს ბაზის შესაქმნელად შაჰმა ალავერდ ხანს კახეთში სამი ციხე ააშენებინა: ბახტრიონს,[2] ალავერდს და ყარაღაჯს. ქვეყანა თანდათან უცხო ტომის ხალხით ივსებოდა. მომთაბარე უკულტურო ტომები ერთიანად სპობდნენ ყველაფერს.

---

[1] იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“, ტ. II, თბ., 1948, გვ. 108.

[2] სოფელი ბახტრიონი ანუ ბახტრონი, როგორც მას ვახუშტი უწოდებს, ზემო კახეთში მდებარეობს, ალაზნის მარცხენა მხარეს, ახმეტის გასწვრივ. 1835, იქ 4-5 კომლს უცხოვრია.

*„მათმან მოსახლეობამ განაბნივა დანაშთნი ერნი კახეთისანი და ააოხრეს ეკლესიანი და წმ. გიორგის ეკკლესია, ალავერდად წოდებული, ესეგვარ ოხერ იქმნა, რომელ კარიპჭეთა შინა მისთა აღმოცენდეს ველური ხენი“.*

ყიზილბაშები იკავებდნენ ციხესიმაგრეებს, ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს, დევნიდნენ და ხოცავდნენ ქრისტიან მოსახლეობას. არ ინდობდნენ „ქალსა და რძალს“. მოზარდ ბავშვებსაც კი რჰყვნიდნენ და აუპატიურებდნენ. როგორც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, *„აღარა სადა იხსენებოდა სახელი ქრისტესი თვინიერ მცირეთა ოდენ მთით კერძო თუშთა, ფშავთა და ხევსურთა შორის“.*

კახეთის მოსახლეობა ცერზე იდგა, მთის თავისუფლებისმოყვარე ქართველობასაც გული სავსე ჰქონდათ მუსლიმთა ზიზღით. მოგვიანებით მკვლევარი ლ. ბოჭორიშვილი აღნიშნავდა: *„ელების ჩამონერგვის ნაცვლად, რომ კახეთში თურქმანული ვარდები დაერგოთ, თავისუფლების მოტრფიალე ხალხის გული მათ მაინც ვერ მიიღებდა. გულამაყი ქართველი მათ გარეგნულ ბატონობასაც ვერ შეეგუებოდა“.*[1]

და აი, ქართველთა მოთმინებას, როგორც მეტ-ნაკლებად ცნობილია, ზღვარად დაედო ერთი ყოვლად უმსგავსობა. მანამდე მამაკაცის მიმართ გაუგონარი ცოდვა: *„.... დღესა ერთსა ხუცესი ვინმე მომავალი გზასა ზედა საშუალ ახმეტისა და ალავერდისა მოულოდნელად დაესხნენ სპარსნი იგი, გაძარცვეს მღვდელი და განაშიშვლეს, ვითარცა დედის მუცლითგან ნაშობი, და ინებეს სხვებაცა შეურაცხყოფაი მისი. ამა უწესოსა საქმესა ზედან განწყრა მღვდელი და მივიდა ბიძინა მთავრისადმი და ყოველივე შეურაცხყოფაი თვისი აუწყა მას.....“.*[2] მღვდლის ნათქვამით შეძრწუნებულმა ბიძინა ჩოლოყაშვილმა ირწმუნა, რომ მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა და რომ თუ ეხლა არა, მერე უკვე გვიანი იქნებოდა და სამშობლოც დაიღუპებოდა. ამიტომაც დაიწყო „სუფრაჯმა“ ქვეყნის გადასარჩენად აქტიური მოქმედება. პირველ რიგში ჯერ თავის მოყვრებთან საარაგვოზე ზაალს ერისთავს და მის ვაჟებს ზურაბსა და ნაბერალას გაანდო განაზრახი, შემდეგ ქსნის ერისთავებს ელიზბარსა და შალვას.[3]

---

[1] ბახტრიონის გმირები, თბ., 1943.

[2] იოანე ბატონიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 110.

[3] ზოგიერთი ცნობით, მაგალითად, სვინაქსარული ცხოვრების მიხედვით, ელიზბარი და შალვა ძმები იყვნენ. ბესარიონ ორბელის მიხედვით, შალვა ელიზბარის ძმისწულია, რომელიც იშვილა ელიზბარმა, ე. ი. „ძეობილია“. „ელიზბარ მოხუცი იყო და უშვილი და არა ჰყუანდა მემკვიდრე, ამისათვის ელიზბარმან დაიშვილობარა წმ. მოწამე შალვა ნათესავი თვისი“.

„ელიზბარი იყო მოხუცებული და რადგან შვილი არ ჰყავდა შვილად აიყვანა შალვა და ამიტომაც ერთად ცხოვრობდნენ. მათ უამბო ბიძინამ ისევე რაც ზაალ ერისთავს და მასთან დასძინა, რომ დიდი ჭირი და უბედურება გვეწვია ჩვენ, კახელებსო. გარდა იმისა, რომ მთლად კახეთი მოაოხრეს და გაანადგურეს, ლამის ქრისტიანობა სრულიად მოსპონო; მამა-პაპათა სალოცავები, ხატები წამურდლეს და შეგვიგინესო. საფლავებიდან მკვდრები ამოიღეს და ძაღლებს ათრევინებენო, ქალწული ქალები წაბილწეს, ნამუსი ახადესო და ასრეთ გასინჯეთ უსუსურ ბავშვთაც კი ძნად შლიან და ისე ლეწენო. ვაებისა და ტირილის მეტი აღარა ისმისრაო. მთლათ კახეთს ცეცხლი უკიდიაო, დაიწვა ქალაქები, სოფლები და ციხეებიო. მთელი კახეთი სისხლით მოირწყოვო. მკვდრები დაუმარხავადაა დაყრილნი და პირუტყვთა საჭმელად გადაიქცნენო. დგას მძორის სუნი. საზარელი სანახავია მთლად კახეთიო. თუ დღეს ჩვენს თავსაა ეს უბედურება, ხვალ თქვენც გეწვევათ ეს განსაცდელიო, იქნებ ღმერთმა ინებოს ერთმა ჩვენმა მრავალი წარიქციოსო“.[1]

როგორც ირკვევა, ქსნის ერისთავებს ყიზილბაშების წინააღმდეგ ბიძინასაგან აჯანყების მოწყობის უწყებისას დავა ჰქონიათ მეზობელ ფეოდალ გივი ამილახვართან.

საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ 1659 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ საბუთში (კოლ. №H-B 2113) ნათქვამია, რომ ქართლის მეფე შაჰნავაზმა, ზაალ არაგვის ერისთავის, მთავარეპისკოპოსის, მდივანბეგის, ბოქაულთუხუცესის და სხვათა თანხლებით „კერნაკის სამძღურები“ მოინახულა, რათა ელიზბარ ქსნის ერისთავსა და გივი ამილახვარს შორის „სამელაშე და სახნავი“ მიწების გამო ჩამოვარდნილი უთანხმოება მოეგვარებინა. სასამართლო განჩინებით გადაწყდა: ქსნის ერისთავებს ხევგალმა მიწებზე ხელი უნდა აეღოთ. დროიდან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია დავა მიწის თუნდაც პატარა ნაჭერზე ერისთავებსა და ამილახვრებს შორის.

აღნიშნულ საბუთში აჯანყების სამი ხელმძღვანელია მოხსენიებული: ზაალი, ელიზბარი და შალვა. ჩვეულებრივი ფეოდალური დავისა და უთანხმოების მაგალითია მათი ეს ურთიერთდამოკიდებულება, მაგრამ დადგება თუ არა ჟამი განსაცდელისა და სამშობლოს ყოფნა-არყოფნისა, ზვიადი ფეოდალები მაშინვე უკუაგდებენ პირადულ და არამცთუ სამ-

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899, №771.

ლაშესა და სახნავ მიწებს – საკუთარ სიცოცხლესაც ანაცვალებენ დიდ მიწას – საქართველოს.

ქართველთაგან დათმენა აღარ შეიძლებოდა. არც უფიქრიათ ქსნის ერისთავებს. ფიცით შეეკრნენ ბიძინას და აჯანყების დღეც დანიშნეს.

მართალია, ზაალ არაგვის ერისთავი აჯანყებაში პირდაპირ მონაწილეობას მოერიდა, მაგრამ თავისი საომარ ძალთა რესურსით გვერდში დაუდგა მამულიშვილებს.

კახეთის მთებიდან წამოსული მთიელები ნაქერალას მთაზე შეიკრიბნენ და აქედან აპირებდნენ დაცემას ბახტრიონის ციხეზე, სადაც ირანელთა ჯარის მნიშვნელოვანი ძალა იყო თავმოყრილი. იკორთასთან მოგროვებული გვერდისძირის ჯარები ილტოზასთან შეუერთდნენ ქსნის ხეობის ძირითად ძალებს, ხოლო მათი „პაემანი“ სხვა აჯანყებულებთან თიანეთს შედგა. ქსნელთა ჯარს შალვა და ელიზბარი სარდლობდნენ, არაგველთ ზურაბ ერისთავი ჩასდგომოდა სათავეში. თუშებს სარდლობდა ზეზვა გაფრინდაული, ხევსურებს ნადირა ხოშარაული, ფშაველთ გურგენ ჭინჭარაული და გოგოლაური, წოვა თუშებს შველაიძე და საღირაშვილი და სხვა გმირები. ბრძოლის წინ ჯარი ეპისკოპოსმა არსენ ალავერდელმა (ავალიშვილმა) დალოცა. 1659 წლის (დღე უცნობია) ერთ უმთვარო ღამეს ბიძინა ჩოლოყაშვილი ბარელთა ლაშქრით ალავერდს დაეცა და მუსრი გაავლო, ბახტრიონის ციხის კედლებს კი მთიელთა გუნდით ზეზვა გაფრინდაული თავს გადაევლო, ყარაულები ამოხოცეს და გარშემომდგარ ქართულ ლაშქარს ციხის კარი გაუღეს, გზა გაეხსნათ ქსნელებს და არაგველებს. შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებმა და ზურაბ არაგვის ერისთავმა თითქმის მთლიანად გაანადგურეს ბახტრიონში მყოფი ყიზილბაშები, ხოლო ვინც სიკვდილს გადაურჩა, ალავერდის ციხისაკენ გაიქცნენ. კახელთა ხმალს გადარჩენილი „ალავერდელებიც“ საშველად ბახტრიონისაკენ მორბოდნენ და ეს ორი მხრიდან ბლავილით ლტოლვილი ყიზილბაშობა ალვანის ველზე გადაეყარნენ ერთმანეთს (ამ ადგილს შემდეგ ხალხმა „გაწყვეტილა“ შეარქვა). ორივე მხრიდან წამოეწივნენ შურისმაძიებელი ქართველები ერთად შეყრილ ქრისტეს მაწყევართ და ისე ამოწყვიტეს, მოამბეც არ დარჩენილა მათგან. *„როგორც კარგი მთიბავის ხელით „ლესურად“ მოთიბული ბალახი ისევ ცერზე დადგება ხოლმე, ისე ფეხზე შეყენებულ ძნებად ეყარა დახოცილი ყიზილბაშთა გროვანი“.*[1]

---

[1] სანიკიძე ლ., დედა ისტორია, II, თბ., 1986, გვ. 27.

იოანე ბატონიშვილისა და ბესარიონ ორბელის თქმით, ქართველებს მრავალრიცხოვან ყიზილბაშებთან ხელჩართულ ბრძოლაში ეხმარებოდა წმ. გიორგი, *„და ამ კვეთებასა შინა იხილეს მშვენიერი ჭაბუკი მხედარი თეთრს ცხენს ზედა მჯდომარე, რომელი წინაუძღოდა მხედრობათა ჩვენთა, ჰაერთა ზედა მსრბოლი ჭურვილითა, რომელ იხილეს მრავალ ქრისტიანეთა, რომელ იყო იგი წმინდა გიორგი“.*[1]

გაერთიანებულ ქართველთა ხმალმა იხსნა კახეთი გათათრებისა და გადაშენებისაგან. იმდენად დიდი მნიშვნელობისა და დიდი ეროვნული მუხტის მომცემი გახლდათ ბახტრიონის ბრძოლა, რომ შთაგონებით აავსო მთელი საქართველო. შეიქმნა უბრწყინვალესი ხალხური ლექსები, ხოლო მწერლობაში საკმარისია დავასახელოთ ვაჟას „ბახტრიონი“ და აკაკის „ბაში-აჩუკი“.

მკაცრად იძია შური ქართველებზე შაჰმა. ამ მარცხის გამო ზაალ არაგვის ერისთავის ლიკვიდაციის შემდეგ აჯანყების მთავარ მოთავეთა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სპარსეთში ხლება მოითხოვა. იმის შიშით, რომ კახეთი ისევ არ აეოხრებინათ, ისინი ნებაყოფლობით ჩაბარდნენ ტყვედ. ზოგიერთნი გამოთქვავენ აზრს იმაზე, რომ თითქოს ძალის გამოყენებით შეიპყრეს და ასე ხელ-ფეხ შეკრულნი მიჰგვარეს შაჰს, რაც, წინასწარ ვაცხადებ – მტკნარი ტყუილია, უფრო მეტიც, ბახტრიონის აჯანყების მოთავეებზე ამ ბოლო ათწლეულში გაკეთდა „სენსაციის“ შემცველი განაცხადი, რომლის აზრობრივ დასკვნას გამოხატავს ერთი ქართული ანდაზა „სამართალმა პური ჭამა“, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოიკვეთა ბახტრიონის აჯანყების ნამდვილი გმირი – ქართლის მეფე ვახტანგ V, ხოლო აქამდე გმირებად მიჩნეული ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები არაფერ კავშირში არ ყოფილან შეთქმულებასთან. ისინი, როგორც ანტიირანული ძალები და ვახტანგ V-ის ოპოზიციონერები, თვითონ მეფისგან იქნენ თავიდან მოშორებულნი.

ამგვარ აზრს ავითარებს ბატონი ვ. ღუნაშვილი თავის ნაშრომში „ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია“ (თბ., 2005, გვ. 179-185). აზრის განვითარების საფუძვლად სახელდება ირანელი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის ცნობები და ქსნის საერისთავოს სამწერლობო კერებში მოღვაწეთა დუმილი. ბახტრიონის მოვლენებთან დაკავშირებით ავტორისთვის ამ მოსაზრებას მეტ დამაჯერებლობას სძენს თედო ჟორდანიას თანხმობა გორგიჯანიძისადმი – ღუნაშვილი განაგრძობს: **„უფრო მეტიც, ელიზბარ ქსნის ერისთავის და ძმის – შალვას, სიტყვიერ**

[1] იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“.

**მონაწილეობასაც კახეთის განთავისუფლებაში არ ადასტურებს და მათი დახოცვის ფაქტს „ბეზღაობით“ ხსნის“ (გვ. 182).**

ასევე აღნიშნული ფაქტის არაპირდაპირ სამტკიცადაა მიჩნეული ის, რომ ყანჩაეთის ჟამგულანზე 310 წლის მანძილზე გაკეთებულ 48 მინაწერიდან არც ერთში თანხმობა და უწყება ბიძინას, შალვას და ელიზბარის აჯანყების მოთავეობაზე არ ფიქსირდება.

*„ჩემი ვარაუდით* (დასძენს ზემოთ ხსენებული წიგნის ავტორი), *ქსნის საერისთავოს, საეკლესიო კულტურულ-საგანმანათლებლო, სამწერლო კერებში მოღვაწენი დუმან მხოლოდ იმიტომ, რომ* **ქსნელებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ კახეთის განთავისუფლებაში**... *ამდენად თუ მთელი ჩემი მსჯელობა ლოგიკურია, დასკვნაც სწორი უნდა იყოს. ჩემი აზრით,* **კახეთის განთავისუფლების ფარული ხელმძღვანელ-ორგანიზატორი იყო ქართლის მეფე ვახტანგ V“** (გვ. 184-185).

ქსნის ერისთავების ახალგორის სასახლიდან ვ. ღუნაშვილის ამგვარი მსჯელობა უდავოდ ალოგიკურია და ამდენად მისეული დასკვნაც შესაბამისი.

აჯანყების რეალური დამწყებ-დამაგვირგვინებელნი ახმეტის მებატონე სუფრაჯი ბიძინა ჩოლოყაშვილი და ქსნის ერისთავები შალვა და ელიზბარი თავიანთი ნებით ყარაღაჯში ეახლნენ ყარაბაღის ყოფილ ბეგლარბეგს, კახეთის მმართველს მურთუზ-ყული-ხანს. სპარსელებმა სამივეს მისვლისთანავე ბორკილები დაადეს და ირანში გაგზავნეს.

თავდაპირველად ცბიერ შაჰს არ სურდა ქართველების სიკვდილით დასჯა, უნდოდა მათთვის რჯული გამოეცვალა და მერე ირანის მტრებთან და ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა ნიჭიერი სარდლები. თავის ზრახვების დასაფარავად შაჰმა განაცხადა *„რამეთუ სიმხნის და ახოვანების მათისა არა მნებავს მოწყუდა მათი“.*

მართლაც, ძველ ქართულ მწერლობაში სასულიერონი ბიძინას – „სანატრელის“ ეპითეტით ამკობენ, ელიზბარს – „ახოვანს“, ხოლო შალვას – „ყოვლად ქებულისა“, რასაც სხვა წყაროებიც იმეორებენ.

*„შაჰ-აბას მეორე თავისი დიდი წინაპრისა და სეხნიის მიმდევარი და მიმბაძველი იყო. ეს პატარა შაჰ-აბასი დიდ შაჰ-აბასივით ცდილობდა ყოველი დიდი ქართველი თათრობის გზაზე შეეგდო და, თვითონ საქართველოს სამტროდ და საზიანოდ, სპარსეთის „ისტორიის მჭედლად“ გადაექცია“.*[1]

---

[1] სანიკიძე ლ., დედა ისტორია, II, თბ., 1986, გვ. 31.

ბახტრიონის გმირებმა სარწმუნოების გამოცვლაზე უარი განაცხადეს და სამივემ უდრტვინველად მიიღო მოწამის გვირგვინი. ბიძინა ჩოლოყაშვილს უთქვამს შალვა და ელიზბარისთვის, *„ძმებო ნუ მოვდუნდებით, სიკდილი ჩვენდა დაუკითხავადაც მოგვაკითხავსო“.*

პირველად ელიზბარი და შალვა გამოასალმეს სიცოცხლეს, მათ არაადამიანურ ტანჯვა-წამებას ბიძინას აყურებინებდნენ, რადგან ისევ ცდილობდნენ მის გადაბირებას, მაგრამ ბიძინა კვლავ ურყევად იდგა თავის სარწმუნოებაზე: *„მაშინ თათართ იწყეს დაცინვა, წამოასხეს კუბასტა* (ჩადრი), *შესვეს ვირზე და უბან-უბან ატარებდნენ. ბოლოს მოიტანეს მახვილი და ასო-ასო დასჭრეს – დაკეპეს. ჯერეთ ხელების თითები მოსჭრეს, მერე ფეხებისა, მოსჭრეს ხელები, მოსჭრეს ფეხები, კოჭები და მკლავები; ბიძინა ამ დროს ლოცულობდა, იმეორებდა „მრწამს“ და „მამაო ჩვენოს“. ათრევდნენ დაჭრილს დედამიწაზე. თავი ამ დროს უვნებლად ჰქონდა და რაოდენიც კი შეეძლო ლოცვის ნიშნებს იძლეოდა.*[1] *„გვამნი წმინდათა მოწამეთა წვრილ-წვრილად დაჭრილნი უპატიურად დაჰყარეს ცის ქვეშ და არავის არ შეეძლო და ვერცა ჰბედავდნენ შიშის გამო მიკარებას. იმ ღამეს ბრწყინვალე ნათელი დაადგათ წმინდანთა გვამთა, რომელთაც საკვირველი ხილვა იხილეს ღმერთს ადიდებდნენ და იძახდნენ: „დიდ არს ღმერთი ქრისტიანეთა და რომელთათვის მოიკვლნენო“.*[2]

*„მოვიდეს იდუმალ პატივითა და კრძალვითა იდუმალ ადიდნეს სხეულნი წმინდათანი, წარიღეს და დაკრძალნეს ეკლესიასა თვისსა, სადა იგი ჰყოფდეს ნაწილნი იგი წმინდანი მრავალთა კურნებათა“.*[3]

არ არის ცნობილი, თუ რამდენ ხანს ესვენა სომხთა ეკლესიაში წმინდანთა ნაწილები. წყაროებში გაკეთებული მინიშნებებით („შემდგომათ წელთა, „წარხდეს წელნი არა მცირედნი“, „რაოდენთამე წელთა“) ვგებულობთ, რომ სულ მცირე 4-5 წლის შემდეგ მოხდებოდა ცხედრების საქართველოში გადმოსვენება და დაკრძალვა ქსნის ერისთავების საგვარეულო საძვალეში.

*„ცოლმან წმინდისა შალვას, ღვთისმოყვარე ქეთევანმა და ძემან მისმან დავითმა წარგზავნეს სპარსეთს სარწმუნო კაცნი, იქ სადაც იყვნენ დაკრძალულნი გვამნი წმინდანთანი. ამოიღეს საფლავიდან და ნახეს საკვირველებანი სამივე შეერთებულიყვნენ. მაგრამ თავები კი აღარ ჰქონდათ, რადგან ფრანგთა და სომეხთა, იმ ქვეყანაში იმჟამად მყოფთა,*

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899, №777.

[2] გაზ. „ცნობის ფურცელი, იქვე.

[3] ბატონიშვილი ი., დასახ. ნაშრ.

*გაეყოთ და დაეკრძალათ. აიღეს ეს გვამნი და ქართლს ჩამოასვენეს. უამრავი ხალხი მოვიდა იკორთის მონასტერში, რათა ამბორ ეყოთ წმინდანთათვის. ისინი დაკრძალეს ამავე მონასტერში ჩრდილოეთის მხრით, სვეტის ქვემოთ".*[1] როგორც იოანე ბატონიშვილი ამბობს, „ჩრდილოეთისა მხარეს წინაშე სვეტისა დამართებით დასდვეს საფლავსა შინა სამთავე წმინდათა ამათ მოწამეთა სხეულნი საკურთხებელად სნეულებათა შვენთა და დღესასწაულიცა განუწესეს თვესა სეკდემბერსა ათვრამეტსა".

აქ ორ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი. ერთი ის, რომ კახეთის აჯანყებამ ქართულ საისტორიო წყაროებში სრული და ღირსეული ასახვა ვერ პოვა. სულ რამდენიმე სტრიქონით გამოხატეს ეს ფაქტი ვახუშტიმ, ფარსადან გორგიჯანიძემ და ბერი ეგნატაშვილმა. შენიშნულია, რომ ამ ისტორიული მოვლენის შესახებ ძირითადი ცნობები საეკლესიო მწერლობის ისეთმა ძეგლმა შემოგვინახა, როგორიცაა კათალიკოს ბესარიონ ორბელიშვილის „შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი შალვასი და ელიზბარისი და უწყება წამებისა მათისა". გარდა ამ ვრცელი აღწერისა, ჩვენამდე მოღწეულია მოკლე სვინაქსარული ცხოვრება, რომლის თანახმადაც, ქსნის ერისთავთა ქვრივებმა წამებული მეუღლენი ჯერ ნიქოზის ეკლესიაში დაასვენეს, შემდეგ კი იკორთის ტაძარში დაკრძალეს, რაზეც არაფერს ამბობს ბესარიონ კათალიკოსი.

მეორე გარემოება ისაა, რომ წმინდანთა ხსენების დღეს, ძვ. სტილით 18 სექტემბერს, ახალი სტილით 1 ოქტომბერს აღნიშნავს მართლმადიდებლური ეკლესია. თუმცა არის რამდენიმე ხელნაწერი (გულანის სადღესასწაულო ნაწილი A 366., ეფთვიმე ბარათაშვილის 1736 წლის სადღესასწაულო და სხვა), რომლებიც წმინდა მოწამეთა ხსენების დღეს 24 ივლისს მიუთითებს. სვინაქსარული წმინდანთა შემოკლებული ცხოვრებანი (თვეებისა და დღეების მიხედვით) ხელმოსმით ყველა 18 სექტემბერს მიუთითებს. სამწუხაროდ, ამ დღეს არ ასახელებს და არც უარყოფს XVII ს-ის გასულისა და XVIII ს-ის I ნახევრის მოღვაწე ბესარიონ კათალიკოსი. აღნიშნული, დაუსაბუთებელი ფაქტის გასანეიტრალებლად მკვლევარ მ. ქავთარიას მოჰყავს საქართველოს ცენტრალური არქივის ხელნაწერი – № 488.

*„ამასვე დღესა ბიძინა დაჭრილისა ამათი ხსენება და წამება ამასა დღესა არს, ძმანო და არა ივლისს კდ, ვისაც დაუწერია, ტყვილად დაუწერია ივლისს არ არის, არამედ იჱ სექტემბერს იწამნეს".*[2] არ არის გამორ-

---

[1] „ცნობის ფურცელი", 1899, № 777.

[2] მრავალთავი, III, 1973, გვ. 157.

იცხული, რომ წმინდანთა ხსენების დღის გაორება გამოეწვია აჯანყების დღის, ან იკორთაში დაკრძალვის დღის რომელიმე ძველ წყაროში დაფიქსირებას, რომელიც შეიძლება ყოფილიყო 24 ივლისი.

**„ტაძარს პირველად მაშინ აკურთხებენ როცა გასრულდება. იკორთის ტაძარი მეორედ იმ დღეს ეკურთხა და აღორძინდა როცა სამი მოწამე მიიბარა თავის წიაღში“.**

## ტაძრის 1893 წლის რესტავრაცია

ძველი ქართული საზოგადოება იკორთის XII საუკუნის უნიკალურ ტაძარს დიდხანს VI საუკუნის ძეგლად მიიჩნევდა, რომლის არასახარბიელო მდგომარეობა და გაპარტახება XIX საუკუნის ეროვნული ინტელიგენციისა და სასულიერო პირთა ფიქრისა და მსჯელობის საგნად იქცა. თვალსა და ხელს შუა ინგრეოდა დიდი ეროვნული სიამაყე – მშველელი კი არსაიდან ჩანდა. სწორედ საზოგადოების ამგვარი პასიურობის პროტესტს წარმოადგენს XIX ს-ის 80-იანი წლების ბოლოს ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ცნობილი მამულიშვილის ნიკო ლომოურის (1852-1915) ერთი წერილი:

*„მშვენიერი ტაძარი იკორთისა, რომელიც უბედურათ იშლება და ლამის ზედ დააწვეს ერისთავიანთ სახელოვან წინაპართა საფლავებს. ჩუქურთმიანი კედლების უპატრონოდ ნგრევას, ძვირფას საფლავის ქვების წახდენას და მთელის დიდებულის ტაძრის გავერანებას აწინდელი ერისთავები გულგრილად უცქერიან...*

*ასეთივეა შესანიშნავი ატენური სიონის ტაძარი, რომელიც დღეს საქონლისა და ღამურების სადგომად გადაქცეულა, მაგრამ სად არის და ვინ არის ამ ტაძრების გულშემატკივარი... ან კი ვისთვის რა საჭიროა ტაძრის განახლება?! ამგვარ „ჩხირ-კედელაობას“ ის არა სჯობიან, რომ მამაპაპათგან გარდმოცემული ძვირფასი მამული იაფ ფასად ჰყიდონ, აგირავონ, ალამაჰმად-ხანის მსგავსად აიკლონ და ამგვარად მოპოვებული ფულები პარიჟის სასტუმროებში მუქით აბნიონ!... „ვაი, ვაი, ვასაო, ჩვენისთანა ხალხსაო!...*

*მწყემსი კლდეზე გადავარდეს, ვინ მოუვლის ცხვარსაო!“*[1]

[1] გაზ. „კვალი“, 1889, №22.

ვფიქრობთ, ასეთი გულგრილიც არ იყო საზოგადოება და მით უმეტეს ქსნის ერისთავები, როგორც წინამდებარე სტატიაშია ნათქვამი, მაგრამ ცხადი ხდება, რომ ძეგლი გადაუდებელ რესტავრაციას საჭიროებდა: *„ტაძარი იკორთისა ათას სამასი წლისაა* (ანგარიშობდნენ VI საუკუნიდან. ვ. ქ.). *ამ უკანასკნელ ჟამში თანდათან ირღვევა, მისი გარეგანი მორთულობანი ჩუქურთმითა ძალიან დაზიანდა, შიგნით კედლებზედ ნალესი სცვივა, კედლებზე ნახატი სრულიად წაიშალა, მხოლოდ ტრაპეზში შერჩა რამდენიმე კიდევ. კანკელი და ხატები დროთა ვითარებისა და მტრის წყალობით აგრეთვე დაზიანებულნი არიან. ამისთანა წმინდა ადგილი, რომელსაც შემოძარცვული აქვს გალავანი, აწ მდგომარე ჟამს უკიდურესს მდგომარეობაშია. ტაძარი იგი რაოდენიმეჯერ განუახლებიათ; ამათ გვიმტკიცებს თვით ტაძრის გარეგანი შეხედულობა, მაგრამ განახლების დროს ბევრ ნაირად დაუმახინჯებიათ ტაძარი“.*[1]

ტაძრის სავალალო მდგომარეობა მეტ-ნაკლებად ბევრს აწუხებდა, მაგრამ საჭირო იყო წამომწყები-ორგანიზატორი, რომელსაც გავლენა ექნებოდა საზოგადოებაში და მის ნათქვამ სიტყვას კი ფასი. ასეთ პიროვნებად შუაგულ ქართლში იმ დროებაზე მოისაზრებოდა დიდი ქველმოქმედი, 1869 წლიდან 1882 წლამდე გორის ეპისკოპოსი, 1886-1898 წლებში ქართლ-კახეთის ქორეპისკოპოსი წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) (1824-1907). როგორც ცნობებიდან ირკვევა, გორის ბლაღოჩინს მღვდელ იოელ გამრეკელს საქართველოს იმდროინდელი ეგზარქოსის პალადის (1887-1892, 18. X) ნებართვითა და ლოცვა-კურთხევით 1891 წლის 3 აპრილს შეუქმნია იკორთის ტაძრის განახლების კომიტეტი 7 კაცის შემადგენლობით:

1. თავმჯდომარე – ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე)
2. თავადი რევაზ შალვას ძე ერისთავი (გორის მაზრის უფროსი)
3. თ. კონსტანტინე ბიძინას ძე ერისთავი (ფლაველი მემამულე)
4. მდივანი ბლაღოჩინი მღვდელი იოელ გამრეკელი (გორის ბლაღოჩინი)
5. თ. კონა მირმანოზის ძე ერისთავი (მეჯვრისხეველი მემამულე)
6. თ. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ერისთავი (მეჯვრისხეველი ქველმოქმედი)
7. მღვდელი დავით გამრეკელი (იკორთის მღვდელი)

როგორც ერთი საგაზეთო სტატიიდან ირკვევა, განახლების კომიტეტს ერთ-ერთმა პირველმა გაუწია ფინანსური დახმარება ალექსანდრე

[1] გაზ. „ივერია“, 1892, №66.

ივანეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანმა 80 თუმნით. საჭირო თანხების მოსაზიდად თვით ალექსანდრე ეპისკოპოსს უზრუნია: *„... მისი ყოვლად უსამღვდელოესობა* (ეპისკოპოსი ალექსანდრე. ვ. ქ.) *მეჯვრისხევში ესტუმრა თავად კონა ერისთავს, რომლისასაც შეკრებილნი იყვნენ მისი შვილები და სხვა მონათესავე ერისთავები. მისალმების უმალვე, მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ ბაასი თავისს საყვარელს საგანზე ჩამოაგდო. გამხნევებულმა ერისთავებმა იქვე გამართეს ხელის მოწერა, და ყველა გამოისარჯა. აი სახელდობრ ვინ რა შესწირა:*

*რევაზ შალვას ძე ერისთავმა – 100 თუმანი.*

*დიმიტრი კონას ძე ერისთავმა – 100 თუმანი.*

*კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ერისთავმა – 40 თუმანი.*

*კონა მირმანოზის ძე ერისთავმა – 10 თუმანი.*

*მირმანოზ კონას ძემ – 5 თუმანი.*

*გიორგი დიმიტრის ძე ერისთავმა – 10 თუმანი.*

*ანნა გიორგის ასულმა ერისთავმა – 10 თუმანი.*

*ამასთანავე თავადმა ერისთავებმა ივარაუდეს, ვინ რამდენს შემოგვწირავს ჩვენის გვარის კაციო და, მათის ანგარიშით, ამ მოკლე ხანში ათას თუმნამდე უნდა შეგროვდეს ასეთი უხვის შეწირულობით გამხნევებულმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ და ერისთავებმა გადაწყვიტეს, სხვას ნურავის შევაწუხებთ თხოვნით და მხოლოდ ჩვენმა გვარეულობამ განვაახლოთ ჩვენი ძვირფასი ტაძარიო".*[1] მიუხედავად ფულის გაღებამდე ხელის მოწერისა, საქმემ საჭირო შედეგი მაინც ვერ გამოიღო. საფიქრებელია რომ, არა მარტო იქ არმყოფ სახლიკაცებს, არამედ თვით ხელისმომწერ ერისთავებსაც გაუჭირდათ თანხის თანადროული გადახდა კომიტეტის სასარგებლოდ. შეწირულმა თანხამ ათასი თუმნის ნაცვლად, როგორც ვარაუდობდნენ, პოლკოვნიკ ალ. ივანეს ძე ორბელიანის შემოწირულობიანად შეადგინა 361 თუმანი და 1 მანეთი. რის შემდეგაც კომიტეტი იძულებული გახდა დახმარების თხოვნით მიემართათ საქართველოს ეგზარქოსის – ვლადიმერისთვის, რომელიც საქართველოს საეგზარქოსოს განაგებდა 1892-1898 წლებში.

*„მოგმართავთ უმორჩილესის თხოვნით თქვენს ბრწყინვალებას, მოგვცეთ დახმარება შემოწირულობითა, სასარგებლოდ აღნიშნულის ტაძრისა. ვბედავთ ამას უფრო იმიტომ, რომ იკორთის ტაძრისა, როგორც საუკუნის სავანეს თავად ერისთავთა მომეტებულად თქვენ გმართებთ ყუ-*

---

[1] გაზ. „ივერია", 1891, № 188.

*რადღების მოპყრობა. შემოწირულობა კეთილ ინებეთ და გადმოგვეცით ქალაქ გორში კომიტეტის სახელობაზე".*

მიმართვას ხელს აწერს ეპისკოპოსი ალექსანდრე და წევრები, სულ 7 კაცი.

როგორც საქმიდან ირკვევა, საქართველოს იმდროინდელი რუსი ეროვნების ეგზარქოს პალადის და არც წმინდა სინოდს თავი არ შეუწუხებიათ და არავითარი ფულადი დახმარება არ გაუწევიათ იკორთის ტაძრის განახლების კომიტეტისთვის. რის შემდეგაც არახელსაყრელ პირობებში 1893 წლის გაზაფხულით დაუწყიათ იკორთის ტაძრის რესტავრაცია, რომელიც განუხორციელებია არაპროფესიონალ პირს ვინმე ბერძენ ივანეს. ფულს დახარბებულმა ხელოსანმა ყველაფრის გაუთვალისწინებლად ააგო იკორთის ტაძრის დასავლეთის ტლანქი და პირვანდელთან შედარებით დიდი კარიბჭე, რამაც ნაწილობრივ დაფარა ფასადის სამშენებლო წარწერები და საკმაოდ დააზიანა კიდეც.

მიუხედავად რესტავრაციის მსვლელობისას დაშვებული შეცდომებისა, საზოგადოებისთვის მაინც მოსაწონ და აღსანიშნავ ფაქტად იქცა ტაძრის აღდგენა-შეკეთება, სადაც 1868 წლიდან წირვა აღარ ჩატარებულა. *„... კომიტეტმა შეაკეთა ტაძარი შიგნით და გარეთ, – ალაგ-ალაგ ძველი შესანიშნავი მხატვრობა დაცული იქნა. დღეს იკორთის ტაძარი შესანიშნავი სანახავია და ეს მეორე წელიწადია მასში წირვა-ლოცვა სწარმოებს. კომიტეტი დღეს იმის ზრუნვაშია, რომ როგორმე ამ მშვენიერს ეკლესიას ქვიტკირის გალავანი შემოარტყას და გააკეთოს ოთახები როგორც კრებულისა, ისე მლოცველთათვის".*[1]

უპასუხისმგებლო ვინმე ბერძენ ივანეს, ჩვენდა სავალალოდ, როგორც ნიკო ლომოური იუწყება, იკორთაზე წინ შეუკეთებია ნიქოზის ეკლესია და სერიოზულად დაუმახინჯებია. იკორთის შემდგომ მისი „საამშენებლო" ხელი სამწუხაროდ ასევე შეხებია „კულბითის საყდარს, სადაც ასაფლავია მეფე – გოჩა".[2]

იკორთის ტაძრის 1893 წლის რესტავრაციიდან ხუთიოდე წლის შემდეგ გაირკვა, რომ პატრიოტთა ხელით შეგროვებული 3611 მანეთი წყალში გადაიყარა. ფულის პატივისცემით და ქართველების უპატივცემლობით შესრულებული განახლების სამუშაოები ტაძრისთვის სავალალო აღმოჩნდა.

---

1 გაზ. „ივერია", 1895, № 168.

2 გაზ. „ივერია", 1893, № 186.

*„იკორთის მონასტერი უწინდელს დროში გამშვენებული იყო ჩვენი წინაპრებისაგან, მხოლოდ ეხლა დაძველდა და უყურადღებობის გამო წვიმამაც დაიწყო დენა. ამ ორი წლის წინად ბერძნებმა ნაკლულოვანება შეუმსეს და ეხლა უყურადღებოდ არის მიტოვებული ვეღარც სოფლელები აკეთებენ, რადგანაც არა აქვთ იმდენი ფული და აღარც არავინ სხვა ყურის მგდებელი ჰყავთ. კარგი იქნება პატარა ყურადღება მიექცეს ამ მონასტერს და გაამშვენიერონ თორემ წვიმა უფრო და უფრო ჩამოვა და წაახდენს კედლებს და ძველ მხატვრობას...“.*[1]

ასეა თუ ისე, დიდი იმედითა და ენთუზიაზმით შეგროვილი ფულით ვერც ქსნის ერისთავების საუკუნის სავანეს ეშველა, ვერც იქ აღსავლენ წირვა-ლოცვის რიტუალებს. პირიქით, უფრო დაზიანდა და დამახინჯდა ტაძრის ულამაზესი დასავლეთის ფასადი და რაც დიდად საწყენია, დაიკარგა და სერიოზულად დაზიანდა სამშენებლო წარწერები. ასევე დიდ უკმაყოფილებასთან ერთად დიდი უიმედობა გამოიწვია როგორც გარშემო სოფლების მოსახლეობაში, ისე ქსნის ერისთავების მრავალრიცხოვან შთამომავალებში.

1991 წლის აპრილის მიწისძვრამ ქართლში ბევრ არქიტექტურულ ძეგლთა შორის მძიმედ დააზიანა იკორთის მთავარანგელოზების მიქაელისა და გაბრიელის სახელობის ტაძარი. ჩამოიქცა გუმბათი და კედელკამარების ნაწილი. ჩამოცვივდა მრავალი საპირე ქვა. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო ტაძრისა და მასში შემორჩენილი თანადროული მოხატულობის გადასარჩენად ბევრი ვერაფერი გაკეთდა.

შეიქმნა პროექტი, რომლის მიხედვითაც, ძეგლის რესტავრაცია უნდა დასრულებულიყო მსოფლიო ბანკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდიდან. მართალია, აღდგენილი იქნა გუმბათი და კამარები, მაგრამ შიდა სამუშაოების გარკვეული ნაწილი დაუმთავრებელი დარჩა.

ამჟამად ძეგლი მოქცეულია ჩვენი იურისდიქციის გავრცელების არეალის გარეთ.

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899, №810.

## იკორთის ნაქარგობა

ძველ ქართულ ხელოვნების დარგთა შორის ერთ-ერთი საინტერესოა ნაქარგობა, რაც თავის დანიშნულების მიხედვით ორ მთავარ ჯგუფად იყოფა: საეროდ და საეკლესიოდ. საეკლესიო ნაქარგობაში შედის: გარდამოხსნა, დაფარნა, ომოფორი, ოლარი, საბუხარი და სხვა. საეროში კი ქალისა და მამაკაცის სამოსი, კაპარჭები, ბალიშისპირები, თავსამკაულები და სხვა.

„შუა საუკუნეების საქართველოში ნაქარგობა თავისი ცხოველხატულობით უმაღლეს წერტილს აღწევს". იმ პერიოდისთვის იმდენად ფართოდ იყო გავრცელებული ქარგვა, რომ მაღალი წოდების ქალებიც ქარგავდნენ და თავიანთ მხევალთა შორის მოწაფეებიც კი ჰყავდათ, რომელთაც ოსტატებად წვრთნიდნენ.

ქარგვაში ქსნის ერისთავების ქალების დიდად ხელგაწაფულობის თქმის უფლებას იძლევა მათგან შექმნილი და ჩვენამდე მოღწეული ძველი ქართული ნაქარგობის ნიმუშები.

ფეოდალური ხანის საქართველოს ეკლესია-მონასტრებში არსებულ სახელოსნოებში გლეხის პატარა გოგონებს წერა-კითხვის და გალობის გარდა მთავარ საგნად ჭრა-კერვასა და ქარგვას ასწავლიდნენ. წყაროების სიმწირის გამო დოკუმენტურად არ დასტურდება იკორთის სასულიერო სასწავლებელთან მყოფი ქარგვის ოსტატ-შეგირდები, მაგრამ დიდი ალბათობით იქ უნდა ყოფილიყვნენ ამ საქმის მიმდევარნი.

იკორთის სამონასტრო ცენტრიდან, რომლის დაქვეითება და დაცემა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის დაკარგვის დღიდან, 1811 წლის 30 ივნისიდან დაიწყო, ჩვენამდე მოღწეულ ნაქარგობათა ნიმუშებიდან ძირითადად დაფარნები ანუ საფლავის ქვის გადასაფარებლებია წარმოდგენილი, რომელთაგან ნაწილი 1910 წელს ე. თაყაიშვილმა ჩამოიტანა ქ. თბილისში და გადასცა საეკლესიო მუზეუმს, მაგრამ ჩვენ ისე არ უნდა გავიგოთ, რომ იკორთაში არ იქმნებოდა და არ ინახებოდა გარდამოხსნის სცენები.

ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ელ. ერისთავის მოგონებებიდან ვგებულობთ, რომ მისთვის 1893 წელს იკორთის ტაძრის მღვდელს (მაშინ მეჯვრისხევიდან ადიოდა წირვაზე მღვდელი) უჩვენებია *„ტაძარში შენახული ხელსაქმე, ნაკერები, შეწირული ერისთავების ასულებისაგან და რძლებისაგან. ხავერდზე ოქრომკერდით*

*ნაქარგი „გარდამოხსნა“ და ბევრი რამ რასაც ხმარობდა წირვის დროს“.*[1] გარდამოხსნა ეწოდება სიმბოლური მნიშვნელობის საეკლესიო ნივთ – არდაგს, რომელზეც გამოსახულია ქრისტეს დატირების სცენა. იგი გამოიყენებოდა მართლმადიდებლურ ეკლესიაში წითელი პარასკევისა და დიდი შაბათის ღვთისმსახურების დროს და სიმბოლურად გამოხატავს იმ ტილოს, რომლითაც ჯვრიდან გარდამოხსნილი ნაწამები ქრისტე „წარგრაგნა“ – გაახვია იოსებ არიმათიელმა საფლავში ჩასვენების წინ – „ვითარცა ჩვეულება არს ურიათა დაფლვისაო“. გარდამოხსნაზე მოთხოვნილება XIV-XV საუკუნეებიდან გაჩნდა ჩვენში.

ამ არდაგზე გამოსახულია ჯვრიდან ჩამოხსნილი, სარეცელზე დასვენებული მკვდარი ქრისტე, რომელიც ანგელოზებითა და მტირალი მახლობლებითაა გარშემორტყმული.

წმინდა არდაგმა ანუ „გარდამოხსნამ“ ადრევე დაიმკვიდრა ადგილი ეკლესიის, კერძოდ ტრაპეზის სიმბოლიკაში. მისი განმასახიერებელი მოგვიანებით დაფარნა მოგვევლინა, რომელიც დაკავშირებულია არა მარტო როგორც საეკლესიო მსახურების სიმბოლური ნივთი, არამედ, როგორც ქრისტეს ტირილის გამომსახველი კომპოზიციაც[2] დაფარნისა და გარდამოხსნის სამშობლო ბიზანტიაა, საიდანაც ეს ჩვეულება სხვა მართლმადიდებლურ ქვეყნებშიც გავრცელდა და მათ შორის საქართველოშიც, რომლის არსებობის დადასტურებაც XV საუკუნიდან ჩვენ უკვე შეგვიძლია. დაფარნაზე გამოისახებოდა ის პიროვნება, ვისი საფლავისთვისაც მზადდებოდა გადასაფარებელი. მას დიდი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა: *„წმინდა საფარებელის დაფარება მოწმობს ეკლესიის რწმენას, რომ მიცვალებული იმყოფება ქრისტეს მფარველობის ქვეშ“.*

**დაფარნები** იქარგებოდა როგორც სასულიერო, ისე საერო პირთათვის. მათთვის, ვინც ეკლესიაში იკრძალებოდა. მოგვიანებით, იკორთის შემთხვევაში, დაირღვა ეს წესი და ტაძრის შიდა ფართის ათვისების შემდეგ მის გარეთ გალავანში დაკრძალულთათვისაც იქარგებოდა დაფარნები. სამწუხაროდ, ადრეული ხანის ნაქარგობათა ნიმუშებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. შიდა ქართლისა და გვერდისძირის სოფლების აოხრებასთან ერთად მრავალგზის აუოხრებიათ მტრებს იქ არსებული ეკლესია-მონასტრები. ქართლის მაგალითზე მ. ჯანაშვილი ამბობს: *„გადმოცემით ერთი გარდამოხსნა 1614 წ. შაჰ-აბაზს I მცხეთიდან გაუტაცია სპარსეთ-*

---

[1] გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, № 19799–300.

[2] ბერიძე ვ., ქართული ნაქარგობის ისტორიიდან, თბ., 1983, გვ. 10-11.

*ში და ცხენისთვის უნაგირის ქვეშ დაუფენია. მალე სპარსეთში რაღაც წყლული გაჩენილა, რომელიც მოსახლეობას დიდ უბედურებას აყენებდა, რაც შაჰ-აბაზს გარდამოხსნის შეურაცხყოფისთვის მიუწერია და რაც ეს უკანასკნელი დიდი საჩუქრებით ისევ მცხეთისთვის დაუბრუნებია“.*[1] ამ ეტაპზე ქვემოთ მოცემულია იკორთის ტაძრის კუთვნილი დაფარნები, რომლებიც ამჟამად ინახება შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში და ეკუთვნით ერისთავიანთ კონკრეტულ პირებს ან თვით ტაძრის სახელზეა შენაწირი ერთი რომელიმე პირისაგან.

**I. იკორთის ტაძრის დაფარნა** „ნუ მტირ მე დედაო“. ხელოვნების ეს ნიმუში 1910 წელს ე. თაყაიშვილს ჩამოუტანია თბილისში და შეუნახავს საეკლესიო მუზეუმში. იგი დაკავშირებულია იოსებ ტფილელის (1620-1688) სახელთან. დაფარნა დამზადებულია ატლასის, ვერცხლისა და ოქროს თმისაგან და ზეზისგან. კომპოზიცია ღვთისმშობლის გოდების ტექსტებზეა აგებული. გამოსახულია ჯვარი – ქრისტეს ტანჯვისა და წამებისა, ხოლო სარკოფაგი მისი დაკრძალვის სემანტიკის მატარებელია. დაფარნაზე ასევე გამოსახულნი არიან ღვთისმშობელი და წმ. იოანე. კუთხეებთან, მრგვალ მედალიონებში, მახარებელთა სიმბოლოებია. ჩარჩოდ შემოსდევს კანონიკური და საქტიტორო წარწერა:

> *„ქ. დაფარნა ცანი შვენიერებითა, ხოლო, ქებითა და დიდებითა*
> *მისითა აღივსო ცა და ქვეყანა, მოიხსენე (უფალო)*
> *ც(ოდვილ)ი ტფილელი იოსებ რ(ომელმა)ნ*
> *შევაკერვინე დაფარნა ესე“.*

დაფარნის საქტიტორო წარწერაში მოხსენიებული ქტიტორი – იოსებ ტფილელი, ძმისშვილი გიორგი სააკაძისა, იგი ისტორიაში ცნობილია როგორც საეკლესიო მოღვაწე, კალიგრაფი და მდივან-მწიგნობარი. მისი გადაწერილია ციციშვილებისთვის დამზადებული „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც შემდგომ ვახტანგ VI-ის კუთვნილება გახდა, ამ წიგნის მიხედვით მოხერხდა 1712 წელს ბეჭდვითი ეგზემპლარის შექმნა.

იოსებ ტფილელი ცნობილია, ასევე, როგორც პოეტი, ავტორი პოემისა „დიდმოურავიანი“. იყო ნიკორწმინდის ეპარქიის მღვდელმთავარი 1647-1659 წწ. მოღვაწეობდა აწყურში შერყეული ქრისტიანობის განსამტკიცებლად. 1660 წლიდან თბილისის მიტროპოლიტია (აქედან „ტფილელი“). ეძებდა კულტურულ-ეკონომიკურ გზებს ევროპასთან დასაახლოე-

---

[1] იხ. დავითაშვილი ქ., ძველი ქართული ნაქარგობა, თბ., 1973.

ბლად. დასავლური გავლენები, გარკვეულწილად, აისახა მის სახელთან დაკავშირებულ ნაქარგობის ნიმუშებზე. იოსებ ტფილელმა დააარსა სიონის წიგნსაცავი. დაიღუპა დუშეთთან 1688 წელს შინააშლილობის დროს.[1]

**II დაფარნა:** ნაქარგია სირმითა და აბრეშუმით. ერთობ ლამაზი ნახელავია. შუაში წარმოდგენილია ჯვრის მსგავსი ვაზი, რომელიც ფართოდ არის განშტოებული. ამ შტოებზე გამოხატულია ვაზის ფოთლები და ყურძნის მტევნები. აშიები შემკულია ბალახოვან-ყვავილოვანი ორნამენტით. ჯვრის ბოლოში წარწერებია, რომლებიც უქარაგმოდ ასე იკითხება:

*„დიდო მთავარო იკორთისაო, შეიწირეთ მცირე ესე მწვლილი.*

*სასუფეველისა შენისაგან ნუ ხვებულ-ყოფთ ფ~უ ერისთავის დას საღომეს“.*

ქარაგმით წარმოდგენილი „ფ~უ“ ასოებში შესაძლებელია იგულისხმებოდეს ფარემუზ ერისთავი. სტილის და დამწერლობის მიხედვით ეს დაფარნა XVII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

**III დაფარნა:** ნაქარგია ჟოლოსფერ ხავერდზე. მოქარგულია ფრიად მდიდრულად და ლამაზად, ოქრომკედით და სირმით. ცენტრში გამოსახულია ფეხზე მდგომი გვირგვინოსანი ახალგაზრდა ქალი, რომლის ნაწნავები მკერდსა სცემს. მის ფერხთით გამოსახულია სიკვდილის სიმბოლო თავის ქალა და ერთმანეთზე გადაჭდობილი ცელი და კანჭის ძვალი. აშიას ამშვენებს ზიგზაგური ვაზის გამოსახულება ფოთლებითა და მტევნებით. მის დაბლა ხუთპწკარიანი მხედრული წარწერაა:

*„სჭურიტეთ ღმობით ჰოი მხილვენო ყუა-*
*ვილოვნებისა ჩემისა მოსხლეასა, რომელიცა*
*ვიყავი ღენერალ მაიორის თავადის თამაზ ორბელიანის ასული ნინა,*
*შობითგან წლისა 19-ისა და მეუღლე თავადი იოანე ერისთავისა,*
*რომელმანცა დაუტევე მშობელნი ძმანი და დანი გოდებით,*
*გარნა აწ დედა ჩემი კნეინა ქეთევან შეიქმს სახისა ჩემისა*
*ნიშანსა და თქვენ მხილველნო ჰყავთ ოხა წ~ე ღ~ისა და შენ*
*ჰოი ღმერთთო შეაცურივე ნაწლევი მშობლისა ჩემისა და განმისვენე მართლათ*
*თანა სეკდემბერსა ვ ჩუკზ“.* (1827 წლის 6 სექტემბერი)

დაფარნაზე შეცდომით მითითებული გარდაცვალების თარიღი გასწორდა ნ. ბერძენიშვილის მონაცემების მიხედვით. ი. დაფარნაში უნდა ამოექარგათ 1857 წელი.

---

[1] იხ. „ქართული ნაქარგობა“, თბ., 2011, გვ. 100.

**IV დაფარნა:** მოქარგული წითელ ატლასზე ოქრომკედით და სირმით. ცენტრში ვერტიკალურ მართკუთხედში გამოსახულია ქართულად შემოსილი გვირგვინოსანი ქალი; მის ზემოთ თავთან ფრთოსანი ანგელოზი. ქვემოთ ფეხებთან სიკვდილის სიმბოლო მწოლარე ჩონჩხი, რომელსაც მარჯვენა ხელთ ცელი უჭირავს. ფართო აშიები ფოთლოვანი ორნამენტებითაა შემკული. ქვემოთ 7 პწკარიანი მხედრული წარწერაა:

„ეჰა მხედნო ჰსჭურეტთლმობით უწყალოსა სიკვდილსა
მანგლისა მიერ დაზრულსა ახალ ყვავილოვნებისა ჩემისა
მოსხლვასა რა ვიყავ თავადის აბაშიძის ასული თამარ
და მეუღლე პოდპოლკოვნიკის და კავალერიის თავადის ქსნის
ერისთავის ძის მირმანოზისა მშობელნი უმემკვიდრონი ჰყოფ-
დენ ხედვითა ჩემითა შუებასა და დაუტევე სანუგეშოდ მათდა
ასული ჩვილი წლისა ა (1) გარნა აწ სახმილ მგზნებარეობით
შემწუარქმნილი დედა მუხრანის ბატონის სვიმონის ასული
სალომე შემიქმს შვენიერებისა ჩემისა აჩრდილებრივსა სახ-
ისა ნიშანსა და თქვენ ეპიტაფისა ამის ჩემისა მხილველნო
ჰყავთ ოხაჲ წინაშე ღმრთისა და შენ ჰოი ღმერთო შეა-
ცურვე ნაწლევი მშობლისა ჩემისა და განმისუენე საყო-
ფელსა მართალთასა შობითგან წლისა 19-სა აღვესრულე წელსა ჩყთ (1809) თთუესა მარტსა ივ (16) დღესა შამშაფთსა“.[1]

**V დაფარნა:** წითელი მაუდის დიდი საფარი, რომელზედაც შუაში ამოქარგულია ქართულად შემოსილი ქალი. აშიები მდიდრულადაა შემკული ფოთლოვანი ორნამენტის სამი წყებით. ყველაფერი ეს ფაქიზადაა სირმით ნაქარგი. მაუდი ადგილადგილ ჩრჩილს შეუჭამია.

ვერ ვიტყვით თუ ვის საფლავს ეფარა ეს საფარი, ვინაიდან მას წარწერა არა აქვს. მიუხედავად ამისა, ხელობა უეჭველყოფს, რომ იგი XIX საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის.

**VI დაფარნა:** ხავერდის საფარზე ამოქარგულია თეთრი, ევროპული ტანისამოსით შემოსილი, ევროპული ვარცხნილობის გვირგვინოსანი ქალი. ზემოთ აქეთ-იქით ფრთოსანი ანგელოზებია ამოქარგული. აშია ვაზის ტოტებით, ფოთლებითა და მტევნებითაა შემკული. ქვემოთ რუსული წარწერაა, რომლის ჩვენეულ თარგმანს ქვემოთ გთავაზობთ: *„არაადამიანურმა სიკვდილმა გაფურჩქვნის ხანაში, სიყვარულის კავშირი გაწყვი-*

[1] თაყაიშვილი ე., მხატვრული ნაქარგობა იკორთის ტაძრიდან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. X, ნაკ. № 1, 1949.

*ტა, დააშორა თავად ივანე ერისთავის ქალიშვილი მარიამი მოსიყვარულე მშობლებს, დებს და ძმებს, მათი მუდმივი მწუხარებისთვის რომელიც გარდაიცვალა რა 12 სექტემბერს 1859 წელს გადავიდა ამ ქვეყნიდან თავის უმწიკვლო დასთან დარიასთან და ძვირფას აღმზრდელთან მამასთან, რომლის მგვანობა მთელი მადლით სრულად შეითვისა. ღვთის სიყვარულით და კეთილშობილებით შემკულმა მარიამმა რომელიც სთხოვს წამკითხველს ცრემლიან თანაგრძნობას წმინდანებთან შესაერთებლად".*

ეს ის მარიამია, რომელზეც ჩვენ უკვე ლაპარაკი გვქონდა ბელოთიქვეშის (XXII) თავში. ასევე ვთქვით, რომ იგი გახლდათ ავტორი შესანიშნავი ლექსის „იკორთასი", რომელიც დაიბეჭდა 1861 წლის ჟურნალ „ცისკარში". მარიამი არის ადრესატი იმ ქება-დიდებით სავსე წერილისა, რომელიც აკაკი წერეთელმა დაწერა და გამოაქვეყნა 1891 წლის „კვალში" (№ 14).

რადგან საფლავი არის ძეგლი მიცვალებულის ხსოვნისა და გულის საოხი ცოცხლად მყოფთათვის ამიტომაც დიდი რუდუნებით ქარგავდნენ და ქმნიდნენ ქართველი მანდილოსნები ხელოვნების ასეთ ულამაზეს ნიმუშებს. ვფიქრობთ, დაფარნებით საფლავის ქვები იფარებოდა მხოლოდ მიცვალებულთათვის განკუთვნილ დღეებში, როდესაც საფლავთან მიცვალებულის მოსახსენებელ რაიმე რიტუალს ასრულებდნენ. არსებობდა თუ არა მამაკაცთა გამოსახულებიანი დაფარნები მათივე საფლავების დასაფარად და გასალამაზებლად ჯერჯერობით პასუხგაუცემელია.

**კრეტსაბმელი** – იგივე აღსავლის კარის ფარდა

ნაქარგობა არასოდეს ყოფილა იკორთის ტაძრის კუთვნილება, მაგრამ, როგორც ქსნის ერისთავების რძლის ქეთევანის შემოქმედებითი ნიმუში, საჭიროდ მივიჩნიეთ დაგვეყენებინა იკორთის ნაქარგობების გვერდით.

ისტორიაში კარგად ცნობილი იესე ყულარაღასის (მეამბოხე შანშეს ძმა) პირველი მეუღლე – ქეთევანი იყო მეფე თეიმურაზ II-ის დის მაკრინეს ასული, მამიდაშვილი სახელოვანი მეფის ერეკლე მეორისა.

ქეთევანი, ცოლი იესესი და დედა დავით ქსნის ერისთავისა 1739 წელს ბაზალეთთან შანშეს ოჯახობასთან ერთად კახეთს მიმავალნი ტყვედ აიყვანა და დიდად შეურაცხმყოფელ ვითარებაში ამყოფა უთრუთ არაგვის ერისთავმა. ქეთევანი 1773 წელს კიდევ ცოცხალი ჩანს, როდესაც მან თავის ხელით მოქარგა სიონის აღსავლის კარისთვის ხელოვნების შესანიშნავი ფარდა, რომელიც თბილისის ერთ-ერთი ბანკის არაქართველ (კავკასიელ სომეხ) დირექტორს საქართველოდან გერმანიაში წაეღო.

აღნიშნული კავკასიელის გარდაცვალების შემდეგ მისი გერმანელი ქალბატონისგან უცხოეთში მცხოვრებმა თამარ და აკაკი პაპავებმა 25 ათას დოლარად შეიძინეს.[1]

ნახვისთანავე ნაქარგობის სურათები და წარწერები პაპავებმა გამოსარკვევად და ისტორიული ფასეულობის დასადგენად საფრანგეთში მყოფ ე. თაყაიშვილს გაუგზავნეს. მოგვიანებით პარიზიდან გერმანიაში პასუხად შემდეგი შინაარსის წერილს ღებულობენ: *„.... თქვენ მიერ ნაპოვნი სიონის ტრაპეზის ნაქარგი გადასაფარებელი ფრიად და ფრიად საყურადღებოა და მისი ხელიდან გაშვება შეუძლებელია. სურათი, რომელიც მასზედ ნაქარგით გამოყვანილია, წარმოადგენს ეგრედ წოდებულს იესეს ნერგს, რომელთაგანაც მომდინარეობენ ძველი აღთქმის მეფენი და წინასწარმეტყველნი და მათ შორის ღვთის მშობელიც. ჩვენი ბაგრატიონის ლეგენდა ხომ იესეს და დავით მეფეს უკავშირებს მათ შთამომავლობას, ამიტომ მათი ტიტული ასე იწყება იესიან-დავითიან ბაგრატოვანმან და სხვა. ეს სურათი ეკლესიათა ფრესკებზე ზოგჯერ გვხვდება მაგრამ ნაქარგად მატერიაზე მე არსად არ შემხვედრია. თქვენი გადასაფარებელი ამ მხრივ პირველი მაგალითია. ამიტომაც ჩვენთვის ძვირფასია და ერთი საუკეთესო იქნება მე-18 საუკუნისათვის“.*[2]

ექვთიმეს მითითებით პაპავებმა 1937 წელს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიონის ტაძრის კუთვნილი ფარდა 25 ათას დოლარად შეიძინეს და მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე უსაფრთხოების მიზნით შეინახეს ჰამბურგის ცნობილ ბანკში. 1943 წელს ჰამბურგის დაბომბვისას ბანკი მთლიანად დაინგრა და დაიწვა. სასაწაულებრივ გადარჩენილი სეიფიდან ამოღებული ფარდაგი პაპავებმა არგენტინაში გადასვლისას ჩარჩოში ჩასვეს და თან წაიღეს, საიდანაც 80-იან წლებში ცნობილმა ქართველმა მამულიშვილმა რეზო თაბუკაშვილმა საქართველოში ჩამოიტანა და როგორც კინო-დოკუმენტალისტმა მოკლემეტრაჟიანი ფილმიც კი გადაიღო აღნიშნული ფარდაგის, ანუ ქეთევანის კრეტსაბმელზე, რომელიც ამჟამად ინახება შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში და მთელი ქართველი ხალხის საკუთრებაა.

რაც შეეხება თვით ქეთევან ერისთავის ნახელავს, ნაქარგობა შესრულებულია წითელ ატლასზე. ოქრომკედით ამოქარგულია დატოტვილი ხე, სადაც სხვადასხვა ფერის მიხაკის ყვავილოვან გვირგვინებში წმინდ-

[1] ჟურნ. „კავკასიონი“ (პარიზში გამომავალი), 1964, №9, გვ. 70.

[2] იქვე.

ანთა ფიგურებია მოთავსებული. ყოველ მათგანს ხელში კვერთხი უჭირავს და თავი სამეფო გვირგვინით აქვს შემკული. წმინდანები სხვადასხვა ასაკისანი არიან. შიდა არე შევსებულია ოქრომკედით ნაქარგი ვაზის ფოთლებით, ვაზის შუა ნაწილზე ფეხზე მდგომი მარიამ ღვთისმშობელია ყრმით ხელში. კომპოზიციას გარს უვლის განიერ ცისფერ ატლასზე შესრულებული ლოტოსის ყვავილების ოლე. ჰორიზონტალურ ჩარჩოებზე სხვადასხვა ხელით შესრულებული მხედრული წარწერებია.[1]

ზემო წარწერა განსაკუთრებით ლამაზი და მარტივი ქეთევანს ეკუთვნის, ხოლო ქვემო – უცნობ ავტორს. წარწერა პირველად ე. თაყაიშვილმა წაიკითხა.

*„შენ ძირით იესესით აღყვავებულსა მაგას ქალწულსა დედასა მხსნელისასა ტფილისს სიონთა ღვთისმშობლის მშობელს გიძღვნი ქვრივვთა მწულილსა დედა ქსნის ერისთვის დავითისა ქეთავან ფარდასა ამას საოხად სულისა მისისა და ძეთა მისთა აღსაზრდელად აგვისტოს ი~დ (14) წელსა 1773“.*[2]

აღნიშნული აღსავლის ფარდის ირგვლივ ე. თაყაიშვილს თავის დროზე წერილი გამოუქვეყნებია პარიზის ჟურნალ „გეორგიკაში“.

ზემოთ განხილული ყველა ნაქარგობის ნიმუში რესტავრირებულია და დაცულია შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში.

---

1 იხ.: ქართული ნაქარგობა, გვ. 176.

2 ჟურნ. „კავკასიონი“, 1964, № 9.

# სასულიერო მოღვაწენი

*„ყველას თავისი პატივი უნადა მივაგოთ და უნდა ვთქვათ, რომ გამალიელი იყო ყველაზე დიდი მოღვაწე ადამიანი, გულშემატკივარი და მზრუნველი თავისი საქმისა და კუთხისა... მან კარგად იცოდა თავისი დროის მეცნიერთა აზრები და შეხედულებები, ავსებდა და ამდიდრებდა მონასტერს წიგნებით, იგი მოიძიებდა და აგროვებდა მონასტრის საუკუნეების მონაპოვარ ქონებრივ საკუთრებას. მან თავისი ხელით დაწერა, იკორთის როგორც ძველი ისე ამჟამინდელი ქონების, საკუთრების აღწერა“.*

***პლ. იოსელიანი***

ძველი ქართული კულტურის ერთ-ერთი სასინჯი ქვა მწერლობა და მწიგნობრობაა. საქართველოში არ ყოფილა არც ერთი ისეთი ეკლესია-მონასტერი, სადაც სასულიერო პირებს უცხოვრიათ მწიგნობრობის გარეშე. მონასტრებში წინამძღვრები თუ მღვდელ-მონაზონნი ითვისებდნენ და ითავსებდნენ ლიტურგიასთან ერთად სამწერლობო საქმიანობას. სწორედ მათი ამგვარი სამოღვაწეო საქმიანობით მოხდა სასულიერო შემოქმედებასთან სამწიგნობრო შემოქმედების გაიგივება. მონასტერი მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა, სადაც შეიგრძნობოდა როგორც ქვეყნის, ისე ცალკე ამა თუ იმ რეგიონის კულტურული ცხოვრების მაჯისცემა. მონასტრებში თავმოყრილნი იყვნენ მწერლები, კალიგრაფისტები, მთარგმნელები, ეტრატის შემქმნელნი და წიგნების მომრთველ-მკმაზავნი.

ქსნის ერისთავები ყურადღებას არ აკლებდნენ იკორთის სავანეს. მათი საგვარეულოს ორ ძირითად და უმნიშვნელოვანეს კულტურულ-საგანმანათლებლო და რელიგიურ კერას სწორედ ლარგვისი და იკორთა წარმოადგენდა. ქსნის ერისთავების კუთვნილ, გვერდისძირის ულამაზეს სავანეში უმოღვაწია მრავალ სასულიერო პირს, რომელთაგან დიდი ნაწილი ჩვენდა სამწუხაროდ უცნობია. ისტორიამ შემოგვინახა მხოლოდ რამდენიმე სასულიერო პირის მოღვაწეობისა და ცხოვრების ამსახველი ძუნწი ცნობები.

იკორთაში მოღვაწეთაგან რამდენიმე სასულიერო პირს ასახელებს საქართველოს XIX საუკუნის ისტორიის მკვლევარი პ. იოსელიანი, ხოლო მოღვაწეთა ნაწილის ღვაწლსა და ცხოვრებაზე, როგორც აღვნიშნეთ, ძალზე მწირი ცნობებია შემონახული. ეს გამოწვეული იყო, ერთი მხრივ,

წინაპართა მოკრძალებულობით და თავმდაბლობით, მეორე მხრივ, კი მტერთა განუწყვეტელი თავდასხმებით, შინაფეოდალური კინკლაობით და ჩვენშივე ათასი უგერგილობის და ვერცხლთმოყვარეობის მიზეზით.

იკორთის სავანეში მოღვაწეობდნენ:

**1. იოაკიმე იგივე იოამე თითასმანელის ძე** – იგი ყოფილა იკორთის წინამძღვარი, რომელსაც შალვა ქვენიფნეველის (1422-1470) დავალებით 1446 წელს გადაუწერია ტყავის ზატიკი.

**2. გიორგი** – იკორთის წინამძღვარი (პ. იოსელიანის ცნობით) მოიხსენიება მეფე გიორგი VIII-ის მიერ შალვა ქვენიფნეველისადმი რატისა და სხვებისადმი ბოძებულ აქტში. 1460 წელს გიორგის სასულიერო მოღვაწეობა იკორთის მთავარანგელოზთა მონასტერში დაუწყია და ლარგვისის წმ. თევდორეს სახელობის მონასტრის წინამძღვრობით დაუსრულებია.

**3. ტიმოთე (ერისთვისშვილი)** – ქსნის ერისთავების საგვარეულოდან (პ. იოსელიანის ცნობით) მოღვაწეობდა იკორთაში XVII საუკუნის პირველ ნახევარში.

**4. პავლე** – დიაკვანი იკორთისა. მოღვაწეობდა XVII ს-ის შუახანებში (პ. იოსელიანის ცნობით).

**5. დოროთე** – ბერძენი, წარმოშობით ტრაპიზონიდან. მოღვაწეობდა იკორთაში. მოგვიანებით გახდა ტრაპიზონის არქიეპისკოპოსი, გარდაიცვალა დაახლოებით 1770 წელს (პ. იოსელიანის ცნობით).

**6. დანიელი** – იესე დავითის ძე ერისთავის (ყულარაღასის) თანაშემწე სპარსეთში. მისი ბედი უცნობია (პ. იოსელიანის ცნობით).

**7. დავითი** – იმერელი, იკორთის წინამძღვარი. გარდაიცვალა 1750 წელს, დაკრძალულია იკორთაში (პ. იოსელიანის ცნობით).

**8. გარსევან-ქრისტეფორე (ერისთვისშვილი)** – იყო მთავარი დიაკვანი, ბერი, 1735 წლისთვის ეკავა იკორთის არქიმანდრიტის თანამდებობა. იგი იყო იესე ყულარაღასისა და შანშე ერისთავის ძმა.

**ქვენიფნეველ IV**

ერასტი II

შანშე
მეუღლე: ქეთევანი

დათუნა
მარიამ ბატონიშვილი. გიორგი XI-ის ასული

შანშე — იესე — ქრისტეფორე (იკორთის არქიმანდრიტი)

